ი. სტალინი

თხზულებანი

2

იბეჭდება
საქართველოს
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва • 1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. პ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი —
ს. კ. კ. პ. ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი • 1953

ი. ბ. სტალინი

ტომი
2
1907–1913

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მეტწილად დაწერილია 1907 წლის მეორე ნახევრიდან 1913 წლამდე, სანამ ამხანაგ სტალინს გადაასახლებდნენ ტურუხანსკის მხარეში, სადაც მან 1917 წლის თებერვლამდე დაჰყო. ეს ნაწარმოებები უმთავრესად მოიცავენ ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ორ პერიოდს — ბაქოს პერიოდს და პეტერბურგის პერიოდს.

1907 წლის პირველი ნახევრის ნაწარმოებები ეხება ბოლშევიკების ტაქტიკას რუსეთის პირველ რევოლუციაში («კ. კაუცკის ბროშურის — «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» — ქართული გამოცემის წინასიტყვაობა», სტატია «საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები» და სხვ.). ამ დროის სტატიები იბეჭდებოდა ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებში — «ჩვენი ცხოვრება» და «დრო». რუსულად ეს სტატიები პირველად ქვეყნდება.

იმ ნაწარმოებებში, რომლებიც დაწერილია 1907 წლის ივნისიდან — რა დროიდანაც ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობას უმთავრესად ბაქოში ეწეოდა, გაშუ-

ქებულია ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ არალეგალური რევოლუციური მარქსისტული პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის («პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები», «ბაქოს კომიტეტის მიერ 1910 წლის 22 იანვარს მიღებული რეზოლუციები», «წერილები კავკასიიდან»). მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და პროფკავშირების ხელმძღვანელობის საკითხებისადმი მიძღვნილია სტატიები: «რას გვეუბნება ჩვენი ბოლოდროინდელი გაფიცვები?», «ნავთის მრეწველნი ეკონომიური ტერორის შესახებ», «თათბირი და მუშები» და სხვ. რსდმპ V ყრილობის შედეგების შეჯამება მოცემულია ნაშრომში «რსდმპ ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)». ი. ბ. სტალინის მიერ ამ პერიოდში დაწერილი და მეორე ტომში მოთავსებული სტატიები იბეჭდებოდა გაზეთებში — «ბაკინსკი პროლეტარი», «გუდოკ» და «სოციალ-დემოკრატ».

1911 წლის მეორე ნახევრიდან იწყება ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდი (1911 — 1913 წწ.). ამხანაგი სტალინი სათავეში უდგება ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს და ხელმძღვანელობს რუსეთში პარტიის მუშაობას პარტიის პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ ხანას ეკუთვნის ნაწარმოებები, რომლებიც ეხება, უმთავრესად, ახალ რევოლუციურ აღმავლობას მუშათა მოძრაობაში, ბოლშევიკური პარტიის ამოცანებს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით. ეს ნაწარმოებებია: ფურცელი «პარტიისათვის!», სტატიები — «ახალი ხანა», «ისინი კარგად მუშაობენ...», «დაიძრა!..», «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», «რწმუნებულთა ნება», «არჩევნები პეტერბურგში» და სხვა. სტატიები იბეჭდებოდა პეტერბურგის გაზეთებში — «ზვეზდა» და «პრავდა».

მეორე ტომში შედის ი. ბ. სტალინის ცნობილი ნაშრომი «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (1913 წ.), სადაც განვითარებულია ბოლშევიკური თეორია და პროგრამა ნაციონალურ საკითხში.

დღემდე აღმოჩენილი არ არის სტატია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ», დაწერილი ამხანაგ სტალინის მიერ ტურუხანსკის გადასახლებაში, და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებნი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1907–1913

კ. კაუცკის ბროშურის — «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» — ქართული გამოცემის წინასიტყვაობა [1]

კარლ კაუცკის სახელი ახალი გაგონება არ არის. მას კარგა ხანია იცნობენ როგორც სოციალ-დემოკრატიის ღირსეულ თეორეტიკოსს. მაგრამ კაუცკი მარტო ამ მხრივ არ არის ცნობილი, ის შესანიშნავია აგრეთვე როგორც დარბაისელი და გონიერი გამრკვევი ტაქტიკური საკითხებისა. ამ მხრივ მან დიდი ყურადღება დაიმსახურა არა მარტო ევროპელ ამხანაგებში, არამედ ჩვენშიც. და ეს არც საკვირველია: დღეს, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ორ ფრაქციად თიშავს ტაქტიკური უთანხმოება, როცა ურთიერთი კრიტიკა ხშირად საქმეს ამწვავებს, კინკლაობაში გადადის, და სიმართლის გამორკვევა კი მეტისმეტად ძნელდება, — დიდად საინტერესოა იმისთანა მიუდგომელი და გამოცდილი ამხანაგის მოსმენა, როგორიც არის კ. კაუცკი. ამიტომ იყო, რომ ასე გაფაციცებით დაეწაფნენ ჩვენი ამხანაგები კაუცკის ტაქტიკურ წერილებს: «სახელმწიფო სათათბირო», «მოსკოვის აჯანყება», «აგრარული საკითხი», «რუსეთის გლეხობა და რევოლუცია», «ებრაელთა დარბევანი რუსეთში» და სხვ.. მაგრამ გაცილებით უფრო მეტი ყურადღებით შეხვდნენ ამხანაგები ამ ბროშურას, და ეს იმიტომ, რომ აქ თავმოყრილია ყველა ის მთავარი საკითხი, რომლებიც ორ ფრაქციად ყოფს სოციალ-დემოკრატიას. საქმე იმაშია, რომ პლეხანოვს,

რომელმაც ამას წინათ უცხოელ ამხანაგებს მიმართა ჩვენი საჭირბოროტო საკითხების გამოსარკვევად, კაუცკისთვისაც მიუმართავს ამ საკითხების გამო, მისგანაც მოუთხოვია შესაფერი პასუხი, და კაუცკის, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ამ ბროშურით უპასუხნია. ამის შემდეგ, თქმა არ უნდა, რომ მით უფრო დიდი ყურადღებით შეხვდებოდნენ ამხანაგები ხსენებულ ბროშურას. ცხადია, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ბროშურას.

ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ საერთოდ მაინც გავიხსენებთ ჩვენი უთანხმოების საკითხებს და გზადაგზა გამოვარკვევთ კაუცკის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე.

ვის ემხრობა კაუცკი, ვის უჭერს მხარს, ბოლშევიკებს თუ მენშევიკებს?

პირველი საკითხი, რომელიც ორ ნაწილად თიშავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, — ეს არის ჩვენი რევოლუციის საერთო ხასიათის საკითხი. რომ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია და არა სოციალისტური, რომ ის ფეოდალიზმის დანგრევით უნდა გათავდეს და არა კაპიტალიზმის დანგრევით, — ეს ყველასთვის ცხადია. მაგრამ ვინ უხელმძღვანელებს ამ რევოლუციას და ვინ შემოიკრებს ხალხის უკმაყოფილო ელემენტებს: ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი? პროლეტარიატი გაჰყვება კუდში ბურჟუაზიას, — როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, — თუ ბურჟუაზია გაჰყვება პროლეტარიატს? აი რაშია კითხვა.

მენშევიკები ამბობენ **მარტინოვის** პირით, რომ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ის განმეორებაა საფრანგეთის რევოლუციისა და, რადგანაც საფრანგეთის რევოლუციას, როგორც ბურჟუაზიულს, ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა, ამიტომ ჩვენს რევოლუციასაც ბურჟუაზიამ უნდა უხელმძღვანელოსო. «პროლეტარიატის მეთაურობა მავნე ოცნებაა...» «პროლეტარიატი უკიდურეს ბურჟუაზიულ

ოპოზიციას უნდა გაჰყვეს უკან» (იხ. **მარტინოვის** «ორი დიქტატურა»).

ბოლშევიკები კი ამბობენ: მართალია, ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის განმეორებაა საფრანგეთის რევოლუციისა, რომ მას უეჭველად ბურჟუაზია უნდა ხელმძღვანელობდეს, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა. საფრანგეთში პროლეტარიატი ნაკლებშეგნებული და დაურაზმავი იყო, რის გამოც რევოლუციის მეთაურობა ბურჟუაზიას დარჩა; ჩვენში კი პროლეტარიატი შედარებით უფრო შეგნებულია და დარაზმული, რის გამოც ის ბურჟუაზიის მაჩანჩალობას აღარ სჯერდება და, როგორც ურევოლუციონერესი კლასი, სათავეში ექცევა დღევანდელ მოძრაობას. პროლეტარიატის მეთაურობა ოცნება არ არის, — ის ცოცხალი ფაქტია, პროლეტარიატი ფაქტიურად იკრებს თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენტებს. და ვინც მას «ბურჟუაზიული ოპოზიციის უკან გაყოლას» ურჩევს, ის ხელს უშლის პროლეტარიატის დამოუკიდებლობას, ის ბურჟუაზიის იარაღად ხდის რუსეთის პროლეტარიატს (იხ. **ლენინის** «ორი ტაქტიკა»).

როგორ უყურებს ამ საკითხს კ. კაუცკი?

«ლიბერალები ხშირად გვითითებენ საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, მაგრამ მათ ყოველთვის როდი აქვთ საამისო საფუძველი. დღევანდელი რუსეთის პირობები ბევრ რამეში სრულებით განსხვავდება იმ პირობებისგან, რომლებიც საფრანგეთში იყო 1789 წელს» (იხ. ბროშურის მესამე თავი)... «რუსეთის ლიბერალიზმი ძირიანად განირჩევა დასავლეთ ევროპის ლიბერალიზმისგან, და სხვა არა იყოს-რა, ამიტომ მაინც დიდი შეცდომა იქნებოდა, საფრანგეთის დიდი რევოლუცია რუსეთის დღევანდელი რევოლუციის პირდაპირ ნიმუშად მიგვეჩნია. დასავლეთ ევროპის

რევოლუციურ მოძრაობებში ხელმძღვანელი კლასი იყო წვრილი ბურჟუაზია, მეტადრე დიდი ქალაქების წვრილი ბურჟუაზია» (იხ. მეოთხე თავი)... «ბურჟუაზიული რევოლუციების ხანა, ე. ი. ისეთი რევოლუციებისა, რომელთა მამოძრავებელ ძალას ბურჟუაზია წარმოადგენდა, — უკვე დამთავრდა, — დამთავრდა აგრეთვე რუსეთისთვისაც. იქაც პროლეტარიატი ბურჟუაზიის უბრალო მაჩანჩალა და იარაღი კი აღარ არის, როგორც ეს ბურჟუაზიული რევოლუციების დროს იყო, არამედ დამოუკიდებელი კლასია, და მას დამოუკიდებელი რევოლუციური მიზნები აქვს დასახული» (იხ. მეხუთე თავი).

ასე ლაპარაკობს კ. კაუცკი რუსეთის რევოლუციის საერთო ხასიათზე, ასე ესმის კაუცკის პროლეტარიატის როლი რუსეთის დღევანდელ რევოლუციაში. ბურჟუაზია ვერ უხელმძღვანელებს რუსეთის რევოლუციას, — მაშასადამე, რევოლუციის მეთაურად პროლეტარიატი უნდა გამოვიდესო.

ჩვენი უთანხმოების მეორე საკითხი: შეუძლია თუ არა ლიბერალურ ბურჟუაზიას მოკავშირეობა მაინც გაუწიოს პროლეტარიატს დღევანდელ რევოლუციაში?

ბოლშევიკები ამბობენ, არ შეუძლიაო. მართალია, საფრანგეთის რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზია რევოლუციურ როლს თამაშობდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ კლასთა ბრძოლა ისე გამწვავებული არ იყო, პროლეტარიატი ნაკლებშეგნებული იყო, ის სჯერდებოდა ლიბერალების მაჩანჩალობას, მაშინ როდესაც ჩვენში კლასთა ბრძოლა მეტისმეტად გამწვავებულია, პროლეტარიატი გაცილებით უფრო შეგნებულია და ლიბერალების მაჩანჩალობას ვერ შეეგუება. იქ, სადაც პროლეტარიატი შეგნებულად იბრძვის, ლიბერალური ბურჟუაზია თავს ანებებს რევოლუციონერობას. ამიტომ არის, რომ პროლეტარიატის ბრძოლით დამფრთხალი კადეტ-ლიბერალები

რეაქციის კალთას აფარებენ თავს. ამიტომ არის, რომ ისინი რევოლუციას უფრო ებრძვიან, ვიდრე რეაქციას. ამიტომ არის, რომ კადეტები[2] რეაქციასთან უფრო შეჰკრავენ კავშირს რევოლუციის წინააღმდეგ, ვიდრე რევოლუციასთან. დიახ, ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია და მისი დამცველი კადეტები რეაქციის მოკავშირეები არიან, ისინი რევოლუციის «განათლებული» მტრები არიან. სულ სხვაა ღარიბი გლეხკაცობა. ბოლშევიკები ამბობენ, რომ მხოლოდ ღარიბი გლეხკაცობა გაუწოდებს ხელს რევოლუციურ პროლეტარიატს და მხოლოდ მას შეუძლია მკვიდრი მოკავშირეობა გაუწიოს პროლეტარიატს მთელ დღევანდელ რევოლუციაში. პროლეტარიატიც მას უნდა უჭერდეს მხარს რეაქციისა და კადეტების წინააღმდეგ. და თუ ეს ორი მთავარი ძალა კავშირს შეჰკრავს, თუ მუშები და გლეხები ერთიმეორეს მხარს დაუჭერენ, მაშინ რევოლუციის გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება. უამისოდ რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკები მხარს არ უჭერენ კადეტებს არც სათათბიროში, არც სათათბიროს გარეთ, არჩევნების პირველ საფეხურზე. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკები მხოლოდ გლეხების რევოლუციურ წარმომადგენლებს უჭერენ მხარს როგორც არჩევნებში, ისე სათათბიროში რეაქციისა და კადეტების წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკები მხოლოდ სათათბიროს რევოლუციური **ნაწილის** გარშემო უყრიან თავს ხალხის ფართო მასას, და არა **მთელი** სათათბიროს გარშემო. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკები მხარს არ უჭერენ კადეტების სამინისტროს შექმნის მოთხოვნას (იხ. **ლენინის** «ორი ტაქტიკა» და «კადეტების გამარჯვება»).

სულ სხვანაირად ლაპარაკობენ მენშევიკები. მართალია, ლიბერალური ბურჟუაზია მერყეობს რეაქციასა და რევოლუციას შორის, მაგრამ, მათი აზრით, ბოლოს და

ბოლოს ის მაინც რევოლუციას შეუკავშირდება, მაინც რევოლუციურ როლს ითამაშებს. რატომ? იმიტომ, რომ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ საფრანგეთშიც რევოლუციური როლი ითამაშა, იმიტომ, რომ ის ოპოზიციაში უდგას ძველ წესებს და, მაშასადამე, იძულებული იქნება რევოლუციას მიემხროსო. მენშევიკების აზრით, ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის დამცველ კადეტებს მოღალატეებს ვერ დავარქმევთ დღევანდელ რევოლუციაში, ისინი რევოლუციის მოკავშირეები არიან. ამიტომ არის, რომ მენშევიკები მხარს უჭერენ მათ როგორც არჩევნებში, ისე სათათბიროში. კლასობრივმა ბრძოლამ არასდროს არ უნდა დაჩრდილოს საერთო ბრძოლაო, იძახიან მენშევიკები. სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი **მთელი** სათათბიროს გარშემო მოუწოდებენ ხალხის მასას, და არა მხოლოდ მისი რევოლუციური **ნაწილის** გარშემო, სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი ორივე ხელით უჭერენ მხარს კადეტური სამინისტროს შექმნის მოთხოვნას, სწორედ ამიტომ არის, რომ მენშევიკები მზად არიან დავიწყებას მისცენ პროგრამა-მაქსიმუმი, ფრთები შეაჭრან პროგრამა-მინიმუმს და უარყონ დემოკრატიული რესპუბლიკა, ოღონდ კი კადეტები არ შემოეფანტნენ. შეიძლება ყოველივე ეს მენშევიკების მიმართ ცილისწამებად ჩამოგვართვას ზოგიერთმა მკითხველმა და ფაქტები მოგვთხოვოს. აი ფაქტებიც.

ამას წინათ მენშევიკების ცნობილი ლიტერატორი, **მალიშევსკი**, ასე წერდა:

«ჩვენს ბურჟუაზიას არ უნდა რესპუბლიკა, მაშასადამე, ჩვენში ვერ განხორციელდება რესპუბლიკა...», ასე რომ «...ჩვენს რევოლუციას კონსტიტუციური წესები უნდა მოჰყვეს და არა დემოკრატიული რესპუბლიკა». ამიტომ მალიშევსკი ურჩევს «ამხანაგებს» თავი დაანებონ «რესპუბლიკურ ილუზიებს» (იხ. «პირველი კრებული» [3], გვ. 288, 289).

ეს ერთი.

მენშევიკების ბელადი **ჩერევანინი** არჩევნების წინა დღეებში ასე წერდა:

«სისულელე და უგონობა იქნებოდა პროლეტარიატის მხრივ, თუ ის, როგორც ზოგიერთები ურჩევენ, შეეცდებოდა გლეხებთან ერთად ჩაბმულიყო ბრძოლაში მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ სრულძალაუფლებიანი და სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაპოვებლად». ჩვენ ახლა კადეტებთან შეთანხმება და კადეტური სამინისტრო გვინდაო (იხ. «ნაშე დელო»[4] № 1).

ეს მეორე.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იწერებოდა. მენშევიკების მეორე ბელადი, **პლეხანოვი,** ამას აღარ დასჯერდა და დაწერილის სისრულეში მოყვანა მოინდომა. იმ დროს, როდესაც პარტიაში გაცხარებული კამათი იყო საარჩევნო ტაქტიკაზე, როცა ყველა კითხულობდა: შეიძლება თუ არა კადეტებთან შეთანხმება არჩევნების პირველ საფეხურზეო, — იმ დროს პლეხანოვმა საკმარისადაც კი არ სცნო კადეტებთან **შეთანხმება** და მათთან პირდაპირი ბლოკის ქადაგება, დროებითი **შეერთების** ქადაგება დაიწყო. გაიხსენეთ გაზეთი «ტოვარიშჩ»[5] 24 ნოემბრისა (1906 წ.), სადაც პლეხანოვმა თავისი პაწია წერილი მოათავსა. «ტოვარიშჩის» ერთი მკითხველთაგანი ეკითხება პლეხანოვს: შესაძლებელია თუ არა საერთო პლატფორმა სოციალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის, და თუ შესაძლებელია, «როგორი უნდა იყოს... საერთო საარჩევნო პლატფორმა?» პლეხანოვი უპასუხებს, რომ საერთო პლატფორმა **აუცილებელია** და ასეთი პლატფორმა «სრულძალაუფლებიანი სათათბირო» უნდა იყოს... «სხვანაირი პასუხი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო» (იხ. «ტოვარიშჩ», 1906 წ. 24 ნოემბერი). რას ნიშნავს პლეხანოვის სიტყვები? მხოლოდ იმას, რომ არჩევნების დროს

პროლეტარების პარტია, ე. ი. სოციალ-დემოკრატია, ფაქტიურად უნდა **შეუერთდეს** მეწარმეთა პარტიას, ე. ი. კადეტებს, მათთან ერთად უნდა გამოსცეს სააგიტაციო ფურცლები მუშებისადმი, ფაქტიურად უნდა დაანებოს თავი სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, სოციალ-დემოკრატების პროგრამა-მინიმუმს, და ამის მაგიერ უნდა წამოაყენოს კადეტური ლოზუნგი სრულძალაუფლებიანი სათათბიროს შესახებ. დიახ, ეს ჩვენი პროგრამა-მინიმუმის უარყოფაა კადეტების მოსახიბლავად, მათში სახელის გასაკეთებლად.

ეს მესამე.

მაგრამ რაც პლეხანოვმა გაბედულად ვერ თქვა, ის შესანიშნავი გამბედაობით გამოთქვა მენშევიკების მესამე ბელადმა, **ვასილიევმა**. ყური დაუგდეთ:

«ჯერ კონსტიტუციური ძალაუფლება დაამყაროს მთელმა საზოგადოებამ, ყველა მოქალაქეებმა... რაკი ეს ძალაუფლება ხალხს ექნება, ხალხს შეუძლია, კლასებისა და ინტერესების მიხედვით დაჯგუფების შესაბამისად... შეუდგეს ყველა საკითხის გადაჭრას. მაშინ კლასთა და ჯგუფთა ბრძოლა უადგილო კი არა, საჭირო და აუცილებელი იქნება... დღეს კი ეს ბრძოლა **მომაკვდინებელი და დანაშაულებრივია**...» ამიტომ საჭიროა სხვადასხვა კლასებმა და ჯგუფებმა **«დროებით თავი დაანებონ ყოველგვარ «საუკეთესო პროგრამებს» და შეერთდნენ ერთ კონსტიტუციურ პარტიად**...» «ჩემი წინადადება მდგომარეობს საერთო პლატფორმაში, ხოლო ამ პლატფორმის საფუძველს უნდა შეადგენდეს პირველი საძირკვლის ჩაყრა **სრულძალაუფლებიანი** საზოგადოებისთვის, რომელიც თავის შესაფერ სათათბიროს მოგვცემს...» «ამ პლატფორმის შინაარსია... ხალხის წარმომადგენლობის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო... სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება...» და სხვ. (იხ. «ტოვარიშჩ», 1906 წ. 17 დეკემბერი).

რაც შეეხება სრულიად სახალხო დამფუძნებელ კრებას და, საერთოდ, ჩვენს პროგრამა-მინიმუმს, ყოველივე ამას, ვასილიევის აზრით, «თავი უნდა დავანებოთ»...

ეს მეოთხე.

მართალია, მენშევიკების მეოთხე ბელადი, **მარტოვი,** არ ეთანხმება მენშევიკ ვასილიევს და დიდი რიხით ლანძღავს მას ზემოთ მოყვანილი წერილის გამო (იხ. «ოტკლიკი»[6] № 2). მაგრამ, სამაგიეროდ, პლეხანოვი დიდი ქებით იხსენიებს ვასილიევს, რომელიც, პლეხანოვის აზრით, «დაუღალავი და საყვარელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზატორია შვეიცარიელი მუშებისა» და რომელიც «დიდ სამსახურს გაუწევს რუსეთის მუშათა საქმეს» (იხ. «მირ ბოჟი»[7], 1906 წ. ივნისი). რომელ მენშევიკს დავუჯეროთ: პლეხანოვს თუ მარტოვს? გარდა ამისა, განა ამას წინათ თვითონ მარტოვი არ ამბობდა: «განხეთქილება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის თვითმპყრობელობის პოზიციას ამაგრებს და მით ხელს უშლის ხალხის განთავისუფლების წინსვლასო»? (იხ. **ელმარი,** «ხალხი და სახელმწიფო სათათბირო», გვ. 20). ვინ არ იცის, რომ ეს არამარქსისტული აზრი ნამდვილი საფუძველია იმ ლიბერალური «წინადადებისა», რომელსაც ვასილიევი იძლევა?

როგორც ხედავთ, მენშევიკები ისე გატაცებული არიან ლიბერალური ბურჟუაზიის «რევოლუციონერობით», ისე დიდ იმედებს ამყარებენ მის «რევოლუციონერობაზე», რომ მზად არიან მისი გულის მოსაგებად დავიწყებას მისცენ თვით სოციალ-დემოკრატიული პროგრამა.

როგორ უყურებს ჩვენს ლიბერალურ ბურჟუაზიას კ. კაუცკი, ვისა სცნობს ის პროლეტარიატის ნამდვილ მოკავშირედ, რას ამბობს ის ამ საკითხზე?

«დღეს (ე. ი. რუსეთის დღევანდელ რევოლუციაში) პროლეტარიატი ბურჟუაზიის უბრალო მაჩანჩალა და

იარაღი კი აღარ არის, როგორც ეს ბურჟუაზიული რევოლუციების დროს იყო, არამედ დამოუკიდებელი კლასია, და მას დამოუკიდებელი რევოლუციური მიზნები აქვს დასახული. მაგრამ იქ, სადაც პროლეტარიატი ამნაირი სახით გამოდის, იქ **ბურჟუაზია რევოლუციური კლასი აღარ არის.** რუსეთის ბურჟუაზიას, რამდენადაც ის საერთოდ ლიბერალურია და დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს, აუცილებლად სძულს აბსოლუტიზმი, მაგრამ უფრო მეტად სძულს რევოლუცია... და რამდენადაც მას უნდა პოლიტიკური თავისუფლება, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ამაში ხედავს ის ერთადერთ საშუალებას რევოლუციის ბოლოს მოსაღებად. ამგვარად, **ბურჟუაზია არ მიეკუთვნება რუსეთის დღევანდელი რევოლუციური მოძრაობის მამოძრავებელ ძალებს...** ინტერესთა მკვიდრი ერთიანობა მთელი რევოლუციური ბრძოლის დროს არსებობს **მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხკაცობას შორის.** სწორედ ეს უნდა დაედოს საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელ რევოლუციურ ტაქტიკას... უგლეხებოდ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ დღეს რუსეთში» (იხ. მეხუთე თავი).

ასე ლაპარაკობს კაუცკი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განმარტება ზედმეტია.

ჩვენი უთანხმოების მესამე საკითხი: რაში მდგომარეობს ჩვენი რევოლუციის გამარჯვების კლასობრივი შინაარსი, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომელმა კლასებმა უნდა გაიმარჯვონ ჩვენი რევოლუციის დროს, რომელმა კლასებმა უნდა დაიპყრონ ძალაუფლება?

ბოლშევიკები ამბობენ, რომ რადგანაც დღევანდელი რევოლუციის მთავარი ძალები პროლეტარიატი და გლეხკაცობაა, რადგანაც მათი გამარჯვება უერთმანეთოდ პირდაპირ შეუძლებელია, — ამიტომ ძალაუფლებასაც სწორედ ესენი დაიპყრობენ, ამიტომ რევოლუციის გამარჯვება

პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა იქნებაო (იხ. **ლენინის** «ორი ტაქტიკა» და «კადეტების გამარჯვება»).

მენშევიკები კი, პირიქით, უარყოფენ პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურას, მათ არა სწამთ, რომ ძალაუფლებას პროლეტარიატი და გლეხკაცობა დაიპყრობს. მათი აზრით, ძალაუფლება კადეტურ სათათბიროს უნდა ჩაუვარდეს ხელში, რის გამოც დიდი გატაცებით უჭერენ მხარს კადეტების ლოზუნგს პასუხისმგებელი სამინისტროს შესახებ. ამგვარად, მენშევიკები პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურის მაგიერ კადეტების დიქტატურას გვიყენებენ (იხ. **მარტინოვის** «ორი დიქტატურა», აგრეთვე გაზეთები «გოლოს ტრუდა» [8], «ნაშე დელო» და სხვ.).

როგორ უყურებს ამ საკითხს კ. კაუცკი?

ამის შესახებ კაუცკი პირდაპირ ამბობს, რომ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ძალა და მისი გამარჯვების შესაძლებლობა სამრეწველო პროლეტარიატისა და გლეხკაცობის ინტერესთა ერთიანობიდან გამომდინარეობსო» (იხ. მეხუთე თავი). ესე იგი რევოლუცია გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი და გლეხკაცობა ერთად იბრძოლებენ საერთო გამარჯვებისთვის, — კადეტების დიქტატურა ანტირევოლუციურიაო.

ჩვენი უთანხმოების მეოთხე საკითხი: თქმა არ უნდა, რომ რევოლუციური ქარტეხილის დროს თავისთავად დაიბადება ეგრეთწოდებული დროებითი რევოლუციური მთავრობა, — შესაწყნარებელია თუ არა, რომ სოციალ-დემოკრატიამ მონაწილეობა მიიღოს რევოლუციურ მთავრობაში?

ბოლშევიკები ამბობენ, რომ ასეთ დროებით მთავრობაში მონაწილეობა არა თუ შესაწყნარებელია პრინციპების მხრივ, არამედ საჭიროც იქნება პრაქტიკულად, და

ეს იმიტომ, რომ იქ, დროებით რევოლუციურ მთავრობაში, სოციალ-დემოკრატიამ ღირსეული მოსარჩლეობა გაუწიოს პროლეტარიატისა და რევოლუციის ინტერესებს. თუ ქუჩის ბრძოლაში გლეხებთან ერთად დაანგრევს პროლეტარიატი ძველ წესებს, თუ მათთან ერთად დაღვრის სისხლს, ცხადია, მათთანვე ერთად უნდა შევიდეს ის დროებით რევოლუციურ მთავრობაში, რომ სასურველ შედეგამდე მიიყვანოს რევოლუციის მსვლელობა (იხ. **ლენინის** «ორი ტაქტიკა»).

მენშევიკები კი უარყოფენ დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობას — ეს შესაწყნარებელი არაა სოციალ-დემოკრატიისთვის, ეს არ შეჰფერის სოციალ-დემოკრატს, ეს დაღუპავს პროლეტარიატსო (იხ. **მარტინოვის** «ორი დიქტატურა»).

რას ამბობს ამაზე კ. კაუცკი?

«ადვილი შესაძლებელია, რომ რევოლუციის შემდგომ მსვლელობაში გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დარჩეს...» მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც «რუსეთის დღევანდელ რევოლუციას პირდაპირ მოჰყვება წარმოების სოციალისტური წესის შემოღება, თუნდაც მან **დროებით სოციალ-დემოკრატია მოაქციოს მართვა-გამგეობის სათავეში**» (იხ. მეხუთე თავი).

როგორც ხედავთ, კაუცკის აზრით, არათუ შესაწყნარებელია დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა, არამედ ისიც კი შეიძლება მოხდეს, რომ მთელი «დროებითი მართვა-გამგეობა» მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას ჩაუვარდეს ხელში.

ასეთია კაუცკის შეხედულება ჩვენი უთანხმოების უმთავრეს საკითხებზე.

როგორც ხედავთ, სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი თეორეტიკოსი კაუცკი და ბოლშევიკები სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს.

ამას არ უარყოფენ არც მენშევიკები, რა თქმა უნდა, ზოგიერთ «კაზიონურ» მენშევიკს გარდა, რომლებსაც, მგონია, თვალითაც არ უნახავთ კაუცკის ბროშურა. მარტოვი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს, რომ «თავის საბოლოო დასკვნაში კაუცკი **ეთანხმება** ამხ. ლენინს და მის თანამოაზრეებს, რომლებმაც პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დემოკრატიული დიქტატურა აღიარეს» (იხ. «ოტკლიკი» № 2, გვ. 19).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენშევიკები **არ ეთანხმებიან** კ. კაუცკის, ან, უკეთ რომ ვთქვათ, კაუცკი **არ ეთანხმება** მენშევიკებს.

მაშ ვინ ეთანხმება მენშევიკებს და ვის ეთანხმებიან, ბოლოს და ბოლოს, მენშევიკები?

ამაზე აი რას მოგვითხრობს ისტორია. 27 დეკემბერს (1906 წ.) სოლიანოი გოროდოკში (პეტერბურგში) სადისკუსიო კრება მოხდა. კამათის დროს კადეტების ბელადმა პ. სტრუვემ განაცხადა: «თქვენ ყველანი კადეტებად გადაიქცევით... მენშევიკებს უკვე ნახევრად-კადეტებს უწოდებენ. პლეხანოვს ბევრნი კადეტად სთვლიან, და მართლაც, კადეტებს შეუძლიათ მიესალმონ ბევრ იმ შეხედულებას, რასაც დღეს პლეხანოვი გამოთქვამს; სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ პლეხანოვი არ ამბობდა ყოველივე ამას იმ დროს, როცა კადეტები მარტონი იყვნენ» (იხ. «ტოვარიშჩ», 1906 წ. 28 დეკემბერი).

აი ვინ ეთანხმება მენშევიკებს.

რაღა საკვირველია, თუ მენშევიკებიც მათ დაეთანხმებიან და ლიბერალობის გზას დაადგებიან?..

1907 წ. 10 თებერვალი.

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით.
ხელმოწერა: კ ო ბ ა.

საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები

არსად ისე არ გამწვავებულა საარჩევნო ბრძოლა, როგორც პეტერბურგში. არსად ისე არ შესჯახებიან ერთმანეთს პარტიები, როგორც პეტერბურგში. სოციალ-დემოკრატები, ნაროდნიკები, კადეტები, შავრაზმელები, ბოლშევიკები და მენშევიკები სოციალ-დემოკრატიაში, ტრუდოვიკ[9]-ესერები და სახალხო სოციალისტები ნაროდნიკებში, მემარცხენე და მემარჯვენე კადეტები კადეტურ პარტიაში, — ყველა ესენი ცხარე ბრძოლას ეწეოდნენ...

სამაგიეროდ, არსად ისე ნათლად არ გამორკვეულა პარტიათა ფიზიონომია, როგორც პეტერბურგში. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. საარჩევნო ბრძოლა — ეს ცოცხალი საქმეა, პარტიების გაცნობა კი მხოლოდ საქმეში შეიძლება. ცხადია, რაც უფრო ცხარედ წარმოებდა ბრძოლა, მით უფრო აშკარად უნდა გამორკვეულიყო მებრძოლთა ფიზიონომია.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ყოფაქცევა საარჩევნო ბრძოლის დროს.

გეხსომებათ მენშევიკების ლაპარაკი. ისინი ჯერ კიდევ არჩევნებამდე იძახდნენ, რომ დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული რესპუბლიკა მეტი ბარგია, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა სათათბირო და კადეტების სამინისტრო,

რის გამოც საჭიროა საარჩევნო შეთანხმება კადეტებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში შავრაზმელები გაიმარჯვებენო. ეი რასა წერდა არჩევნების წინ მენშევიკების ბელადი, **ჩერევანინი:**

«სისულელე და უგონობა იქნებოდა პროლეტარიატის მხრივ, თუ ის, როგორც ზოგიერთები ურჩევენ, შეეცდებოდა გლეხებთან ერთად ჩაბმულიყო ბრძოლაში მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ სრულძალაუფლებიანი და სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაპოვებლად» (იხ. «ნაშე დელო» № 1).

მენშევიკების მეორე ბელადი, **პლეხანოვი**, კვერს უკრავდა ჩერევანინს, ისიც უარყოფდა სრულიად სახალხო დამფუძნებელ კრებას და, სამაგიეროდ, «სრულძალაუფლებიან სათათბიროს» მოითხოვდა, რომელიც «საერთო პლატფორმად» უნდა გადაქცეულიყო კადეტებისა და სოციალ-დემოკრატებისთვის (იხ. «ტოვარიშჩ», 1906 წ. 24 ნოემბერი).

ხოლო ცნობილი მენშევიკი, **ვასილიევი**, უფრო გულახდილად ამბობდა, რომ კლასთა ბრძოლა «დღეს მომაკვდინებელი და დანაშაულებრივია...», რომ საჭიროა სხვადასხვა კლასებმა და ჯგუფებმა «დროებით თავი დაანებონ ყოველგვარ «საუკეთესო პროგრამებს» და შეერთდნენ ერთ კონსტიტუციურ პარტიად...» (იხ. «ტოვარიშჩ», 1906 წ. 17 დეკემბერი).

ასე ლაპარაკობდნენ მენშევიკები.

ბოლშევიკები თავიდანვე ჰგმობდნენ მენშევიკების ამგვარ პოზიციას. ისინი ამბობდნენ, რომ სოციალისტებს არ შეჰფერით კადეტებთან შეთანხმება, — სოციალისტები დამოუკიდებლად უნდა გამოდიოდნენ საარჩევნო ბრძოლაში. არჩევნების პირველ საფეხურზე შეთანხმება დასაშვებია მხოლოდ როგორც გამონაკლისი, და ისიც ისეთ

პარტიებთან, რომლებიც დღიურ ლოზუნგად აყენებენ სრულიად სახალხო დამფუძნებელ კრებას, მთელი მიწების ჩამორთმევას, 8-საათიან სამუშაო დღეს და სხვ. კადეტები კი უარყოფენ ყოველივე ამას. «შავრაზმული საფრთხე» ლიბერალების გამოგონებაა ზოგიერთ გულუბრყვილოთა შესაშინებლად. შავრაზმელები ვერ «აავსებენ» სათათბიროს. მენშევიკები ლიბერალების ფეხის ხმას მისდევენ, როცა «შავრაზმულ საფრთხეზე» ლაპარაკობენ. სამაგიეროდ არსებობს და მართლა საფრთხეც არის «კადეტური საფრთხე». ჩვენი ვალია გარს შემოვიკრიბოთ ყველა რევოლუციური ელემენტი და ბრძოლა გავუწიოთ კადეტებს, რომლებიც კავშირს ჰკრავენ რეაქციასთან რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ ერთსა და იმავე დროს ორნაირ ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ: როგორც რეაქციასთან, ისე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და მის დამცველებთან.

ასე ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები.

და აი, ახლოვდება პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის გახსნის დღე [10]. აქ, ამ კონფერენციაზე, უნდა წამდგარიყო პროლეტარიატის წინაშე ორი ტაქტიკა: ტაქტიკა კადეტებთან შეთანხმებისა და ტაქტიკა კადეტებთან ბრძოლისა... რასაც დღემდის ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები და მენშევიკები, დღეს ყოველივე ის კონფერენციაზე უნდა შეეფასებინა პროლეტარიატს. მაგრამ მენშევიკებს დამარცხების სუნი მიუვიდათ, მათ იგრძნეს, რომ კონფერენცია გაჰკიცხავდა მათს ტაქტიკას, და გადაწყვიტეს წასულიყვნენ კონფერენციიდან, კავშირი შეეწყვიტათ სოციალ-დემოკრატიასთან. კადეტებთან შეთანხმებისთვის მენშევიკებმა განხეთქილება დაიწყეს. კადეტებთან ვაჭრობით უნდოდათ მათ «თავისი კაცები» გაეყვანათ სათათბიროში.

ბოლშევიკები ხმამაღლა ჰგმობდნენ ამ უხასიათო საქციელს. ისინი ციფრებით ხელში ამტკიცებდნენ «შავრაზ-

მული საფრთხის» არარაობას. ისინი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ესერებსა და ტრუდოვიკებს და ხმამაღლა მოუწოდებდნენ მათ — პროლეტარიატის გარშემო დარაზმულიყვნენ კონტრრევოლუციისა და კადეტების წინააღმდეგ.

და როცა ბოლშევიკები პროლეტარიატის გარშემო ჰკრებდნენ რევოლუციურ ელემენტებს, როცა ისინი შეუდრეკლად ახორციელებდნენ პროლეტარიატის შეურიგებელ ტაქტიკას, — ამ დროს მენშევიკები, მუშების ზურგს უკან, მოლაპარაკებას მართავდნენ კადეტებთან.

კადეტები კი თანდათან მარჯვნივ იხრებოდნენ. კადეტების ლიდერი **მილიუკოვი** სტოლიპინმა მიიწვია «მოსალაპარაკებლად». კადეტებმა ერთხმად მიანდეს მილიუკოვს «პარტიის სახელით» ელაპარაკნა რეაქციასთან. ცხადია, კადეტებს შეთანხმება უნდოდათ რეაქციასთან რევოლუციის წინააღმდეგ. ამავე დროს კადეტების მეორე ლიდერი, **სტრუვე,** ხმამაღლა აცხადებდა, «კადეტებს მონარქთან შეთანხმება უნდათ კონსტიტუციის მოსაპოვებლადო» (იხ. «რეჩ»[11], 1907 წ. 18 იანვარი). აშკარა იყო, რომ კადეტები რეაქციას უკავშირდებოდნენ.

მენშევიკები კი მაინც მოლაპარაკებას მართავდნენ კადეტებთან, ისინი მაინც მათთან კავშირს ეძებდნენ. საბრალონი, ვერ ხვდებოდნენ, რომ კადეტებთან შეთანხმებით რეაქციას უთანხმდებოდნენ!

ამავე დროს იწყება ხელისუფლების მიერ ნებადართული სადისკუსიო კრებები. აქ, ამ მიტინგებზე, პირდაპირ ირკვეოდა, რომ «შავრაზმული საფრთხე» ფანტაზიაა, რომ მთავარი ბრძოლა კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის წარმოებს, და ვინც კადეტებთან შეთანხმებას ეწევა, ის ძირს უთხრის სოციალ-დემოკრატიას. მენშევიკები აღარ ჩანან მიტინგებზე: მათ ერთხელ-ორჯერ სცადეს

კადეტების გამოსარჩლება, მაგრამ აშკარად შერცხვნენ და მიიმალნენ. კადეტების მაჩანჩალა მენშევიკებს გასავალი აღარ ჰქონდათ. სადისკუსიო მოედანი ბოლშევიკებს და კადეტებს დარჩათ. მათ შორის ბრძოლამ მოიცვა მიტინგები. ესერები და ტრუდოვიკები თავს ანებებენ კადეტებთან მოლაპარაკებას. სახალხო სოციალისტები მერყეობენ. ბოლშევიკები მეთაურობენ საარჩევნო ბრძოლას.

სად იყვნენ ამ დროს მენშევიკები?

ისინი კადეტებთან ბაასობდნენ სამი სადეპუტატო ადგილის შესახებ. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. და ჩვენი ვალია ხმამაღლა ვაღიაროთ სიმართლე.

ბოლშევიკები იძახიან: ძირს კადეტების მეთაურობა!

მენშევიკები **უარყოფენ ამ ლოზუნგს** და მით კადეტების მეთაურობას ემორჩილებიან, კუდში მისჩანჩალებენ მათ.

ამავე დროს არჩევნები ხდება მუშათა კურიაში. ირკვევა, რომ **მენშევიკების რაიონებში მუშებს თითქმის ყველგან ესერები აურჩევიათ რწმუნებულებად.** «ჩვენ ხმას ვერ მივცემთ კადეტებთან შემთანხმებლებს, ისევ ესერები სჯობიანო», — ასე ამბობდნენ, თურმე, მუშები. მუშები ლიბერალებს უწოდებენ სოციალ-დემოკრატებს და ბურჟუაზიულ დემოკრატებთან, ესერებთან ყოფნას რჩეობენ! აი სადამდე მიგვიყვანა მენშევიკების ოპორტუნიზმმა!

ბოლშევიკები განაგრძობენ თავიანთ შეურიგებელ ტაქტიკას და პროლეტარიატის გარშემო მოუწოდებენ ყველა რევოლუციურ ელემენტს. ესერები და ტრუდოვიკები აშკარად უერთდებიან ბოლშევიკების ლოზუნგს: ძირს კადეტების მეთაურობა! სახალხო სოციალისტები კავშირს წყვეტენ კადეტებთან. ყველასთვის თვალსაჩინო ხდება, რომ სოციალ-დემოკრატებისა და ესერ-ტრუდო-

ვიკების შეთანხმება ისე ვერასდროს ვერ დაანაწილებს ხმებს, რომ შავრაზმელებმა გაიმარჯვონ. ან კადეტებმა უნდა გაიმარჯვონ, ან უკიდურესმა მემარცხენეებმა, — «შავრაზმული საფრთხე» ფანტაზიაა.

ამავე დროს კადეტები მოლაპარაკებას წყვეტენ მენშევიკებთან. ჩანს, ვაჭრობა ვერ დაუჯდათ. ბოლშევიკებმა კი შეთანხმება შეჰკრეს ესერ-ტრუდოვიკ-სახალხო სოციალისტებთან, გაამარტოვეს კადეტები და საერთო იერიშით გაილაშქრეს რეაქციისა და კადეტების წინააღმდეგ. პეტერბურგში სამი საარჩევნო სია გამოცხადდა: შავრაზმელების, კადეტების და უკიდურესი მემარცხენეებისა. ასე ასრულდა ბოლშევიკების ნათქვამი სამი სიის შესახებ, წინააღმდეგ მენშევიკებისა.

უკუგდებულნი პროლეტარიატისგან, პირში ჩალაგადაყლაპებულნი კადეტებისგან, ჯასხარად აგდებულნი ესერტრუდოვიკებისგან, შერცხვენილნი ისტორიისგან, — მენშევიკები ჰყრიან იარაღს და უკიდურეს მემარცხენეთა სიას აძლევენ ხმას, **წინააღმდეგ კადეტებისა**. ვიბორგელი მენშევიკების საარაიონო კომისია ხმამაღლა აცხადებს, რომ მენშევიკები უკიდურეს მემარცხენეებს მისცემენ ხმას, წინააღმდეგ კადეტებისა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა უარყვეს «შავრაზმული საფრთხის» არსებობა, მათ უარყვეს კადეტებთან შეთანხმება და მხარი დაუჭირეს ბოლშევიკების ლოზუნგს: ძირს კადეტების მეთაურობა!

ეს კი, შემდეგ, იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა უარყვეს თავიანთი ტაქტიკა და ხმამაღლა აღიარეს **ბოლშევიკების** ტაქტიკა.

ეს კი, ბოლოს, იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა ხელი აიღეს კადეტების მაჩანჩალობაზე და ახლა ბოლშევიკებს აეჩანჩალნენ.

ბოლოს, მოხდა არჩევნები, და აღმოჩნდა, რომ არც ერთი შავრაზმელი არ აურჩევიათ პეტერბურგში!

ასე გამართლდა ბოლშევიკების ტაქტიკა პეტერბურგში.

ასე დამარცხდნენ მენშევიკები.

გაზეთი «ჩვენი ცხოვრება» 12 № 1,
1907 წლის 18 თებერვალი.
სტატია ხელმოუწერელია.

კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა?

ვინ უნდა ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება რევოლუციის დროს, რომელმა კლასებმა უნდა დაიჭიროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სადავეები? — ხალხმა, პროლეტარიატმა და გლეხკაცობამო! — უპასუხებდნენ და უპასუხებენ ახლაც ბოლშევიკები. მათი აზრით, რევოლუციის გამარჯვება — ეს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურაა (თვითმპყრობელობა) რვასაათიანი სამუშაო დღის მოსაპოვებლად, მემამულეთა ყველა მიწის ჩამოსართმევად და დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად. მენშევიკები უარყოფენ ხალხის თვითმპყრობელობას და აქამდე სწორ პასუხს არ იძლეოდნენ იმის შესახებ, თუ მაშ ვიღამ უნდა ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება? ახლა კი, როცა მენშევიკები აშკარად გადაიხარნენ კადეტებისკენ, — ისინი უფრო გაბედულად ამბობენ, ძალაუფლება კადეტებმა უნდა ჩაიგდონ ხელში, და არა პროლეტარიატმა და გლეხკაცობამო. ყური დაუგდეთ:

«პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა... პარადოქსია» (შეუსაბამობა)... ეს «სოციალ-რევოლუციონერთა გზაზე შედგომაა» (იხ. მენშევიკური ორგანო «ნა ოჩერედი» 13 № 4, გვ. 4 — 5, პოტრესოვის წერილი).

მართალია, გამოჩენილი მარქსისტი კ. კაუცკი აშკარად ამბობს, პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დემოკრატიული დიქტატურა აუცილებელიაო, მაგრამ პოტრესოვს აბა როგორ შეედრება კ. კაუცკი: ყველამ იცის, რომ პოტრესოვი ნამდვილი მარქსისტია და კაუცკი კი — არა!

მეორე მენშევიკი ასე დასძენს:

«პასუხისმგებელი სამინისტროს ლოზუნგი გადაიქცევა ძალაუფლებისთვის იმ ბრძოლის ლოზუნგად, რომლის მიზანია — ბიუროკრატიის ხელიდან ხალხის ხელში გადაიტანოს ეს ძალაუფლება» (იხ. იქვე, გვ. 3, კოლცოვის წერილი).

როგორც ხედავთ, კოლცოვის აზრით, პასუხისმგებელი სამინისტროს ლოზუნგი ხალხის ბრძოლის ლოზუნგად უნდა გადაიქცეს, ე. ი. პროლეტარიატმა და გლეხკაცობამ უნდა იბრძოლონ სწორედ ამ ლოზუნგით და სისხლი უნდა დაღვარონ არა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, არამედ კადეტური სამინისტროსთვის.

აი, თურმე, რას ეძახიან მენშევიკები ხალხის მიერ ძალაუფლების დაპყრობას!

თურმე ნუ იტყვით, პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა მავნებელია, ხოლო კადეტების დიქტატურა — სასარგებლო! ხალხის თვითმპყრობელობა კი არა, კადეტების თვითმპყრობელობა გვინდაო!

დიახ, დიახ, ტყუილად არ აქებენ მენშევიკებს ხალხის მტრები — კადეტები!..

გაზეთი «დრო» 14 № 2,
1907 წლის 13 მარტი.

სტატია ხელმოუწერელია.

პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან

«პრუსიის ბურჟუაზია არ ჰგავდა 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიას... იგი რაღაც ისეთი წოდების დონემდე ჩამოქვეითდა... რომელიც თავიდანვე მზად იყო ხალხისთვის ეღალატნა და ძველი საზოგადოების გვირგვინოსანთან წარმომადგენელს მორიგებოდა».

ასე წერდა კ. მარქსი პრუსიის ლიბერალებზე.

და მართლაც, ჯერ რიგიანად არც კი გაფურჩქვნილიყო რევოლუცია, რომ გერმანიის ლიბერალებმა მორიგება დაიწყეს «უზენაეს ხელისუფლებასთან». ჩქარა ეს მორიგებაც განახორციელეს და შემდეგ მთავრობასთან ერთად გაილაშქრეს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ყველამ იცის, რა გესლიანად და მოსწრებულად ააშკარავებდა კ. მარქსი ლიბერალების ამგვარ ორჭოფობას:

«ურწმუნო თავისი თავის მიმართ, ურწმუნო ხალხის მიმართ, გაუბედავად მდრტვინავი მაღალი ფენის წინააღმდეგ და მძრწოლი დაბალი ფენის წინაშე, ეგოისტური როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ და თავისი ეგოიზმის შემგნები, რევოლუციური — კონსერვატორების მიმართ და კონსერვატიული — რევოლუციონერების მიმართ, თავისი საკუთარი ლოზუნგებისადმი უნდობლობით გამსჭვალული,

ფრაზებით იდეების მაგიერ, მსოფლიო ქარიშხლით დამფრთხალი და ამავე ქარიშხლის ექსპლოატაციის გამწევი, — ყოველგვარ ენერგიას მოკლებული, პლაგიატი ყოველი მხრით, უხამსი, რადგან იგი არ იყო ორიგინალური, ხოლო ორიგინალური თავის უხამსობაში, — თავისი საკუთარი სურვილებით მოვაჭრე, უინიციატივო, ურწმუნო თავისი თავის მიმართ, ურწმუნო ხალხის მიმართ, მსოფლიო ისტორიულ მოწოდებას მოკლებული, — შეჩვენებული მოხუცი... ბრმა, ყრუ, უკბილო, ყოვლად დაძაბუნებული, — ასეთი აღმოჩნდა პრუსიის ბურჟუაზია, როდესაც ის მარტის რევოლუციის შემდეგ პრუსიის სახელმწიფოს სათავეში მოექცა» (იხ. «რეინის ახალი გაზეთი») [15]

ამგვარი რამ ხდება ჩვენშიც დღეს, რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში.

საქმე იმაშია, რომ არც ჩვენი ბურჟუაზია ჰგავს 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიას. ჩვენმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გერმანიის ბურჟუაზიაზე უფრო ჩქარა და პირდაპირ გამოაცხადა, რომ ის «უზენაეს ხელისუფლებას შეურიგდება» მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიამ, ეგრეთწოდებულმა კადეტებმა — კარგა ხანია ხალხის ზურგს უკან ფარული მოლაპარაკება გამართეს სტოლიპინთან. რა მიზანი ჰქონდა ამ მოლაპარაკებას, რა აქვთ სალაპარაკო კადეტებს «სამხედრო-საველე» მინისტრთან, თუ ისინი მართლა ხალხის ინტერესებს არ ღალატობენ? ამის შესახებ ამას წინათ ფრანგული და ინგლისური გაზეთები წერდნენ, რომ მთავრობა და კადეტები ერთმანეთს უკავშირდებიან რევოლუციის ასალაგმავად. ამ საიდუმლო კავშირის პირობები ასეთია: კადეტებმა თავი უნდა გაანებონ თავიანთ ოპოზიციურ მოთხოვნებს, სამაგიეროდ მთავრობამ მინისტრობა უნდა მისცეს რამდენიმე კადეტს. კადეტებმა იტკიცეს — ეს მართალი არ არისო. მაგრამ საქმემ გამოაჩინა, რომ ეს

მართალი ყოფილა, საქმემ გამოაჩინა, რომ კადეტებს **უკვე** შეუკრავთ კავშირი მემარჯვენეებთან და მთავრობასთან.

მაშ რას ამტკიცებს უკანასკნელი კენჭისყრა სათათბიროში, თუ არ მთავრობისა და კადეტების შეკავშირებას? გაიხსენეთ ფაქტები. სოციალ-დემოკრატებს შეაქვთ წინადადება დამშეულ გლეხთა კომისიის შექმნის შესახებ. მაი უნდათ, რომ დამშეულების დახმარების საქმეს, დეპუტატებსა და ბიუროკრატებს გარდა, თვითონ ხალხმაც მოჰკიდოს ხელი და თავისივე პირით გამოააშკარაოს გურკოლიდვალების[16] «საქმენი საგმირონი». ეს კარგია, ეს სასურველია იმიტომ, რომ ყოველივე ეს ხალხსა და დეპუტატებს აკავშირებს, ყოველივე ეს შეგნებულ ხასიათს აძლევს ხალხის უსიტყვო დრტვინვას. ცხადია, ვინც მართლა ხალხის ინტერესებს ემსახურება, ის უეჭველად მხარს დაუჭერდა სოციალ-დემოკრატების წინადადებას, როგორც ხალხის სასარგებლო საშუალებას. მერე, როგორ მოიქცნენ კადეტები, მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებს? არა! მათ ერთხმად გააშავეს სოციალ-დემოკრატების წინადადება ოქტიაბრისტებთან[17] და შავრაზმელებთან ერთად. თქვენი წინადადების განხორციელება ხალხის მოძრაობას გამოიწვევს, ამიტომ ის საზარალო არისო, — უპასუხა სოციალ-დემოკრატებს კადეტების ლიდერმა **გესენმა** (იხ. «პარუს»[18] № 24). — მე სრულიად გეთანხმებით, ბატონო კადეტებო, თქვენ მართალი ხართ, — მიუგო კადეტებს **სტოლიპინმა** (იხ. იქვე). შედეგი ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ ესერებმა, სახალხო სოციალისტებმა და ტრუდოვიკების უმეტესობამ დაუჭირეს მხარი.

ამგვარად, სათათბირო ორ ნაწილად გაიყო: ხალხის მოძრაობის მტრებად და ხალხის მოძრაობის მომხრეებად. პირველთა რიცხვში არიან: შავრაზმელები, ოქტიაბრისტები, სტოლიპინი, კადეტები და სხვები. მეორეთა რიცხვში

არიან: სოციალ-დემოკრატები, ესერები, სახალხო სოციალისტები, ტრუდოვიკების უმეტესობა და სხვები.

რას ნიშნავს ეს, თუ არ იმას, რომ კადეტები **უკვე** შეკავშირებიან მთავრობას?

როგორც ეტყობა, მართლდება ბოლშევიკების ტაქტიკა, რომელიც უნდობლობას თესავს ხალხის მოღალატე კადეტებისადმი და მოუწოდებს მათთან საბრძოლველად.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ ინგლისური და ფრანგული გაზეთების მიერ გავრცელებული ზემოთ მოყვანილი ხმები სავსებით მართლდება. უკანასკნელ დღეებში სატახტო ქალაქის გაზეთები «ნამდვილი წყაროებიდან» გადმოგვცემენ, რომ მთავრობისა და კადეტების მორიგება უკვე მომხდარა. ასე გასინჯეთ, ამ მორიგების პირობები დაწვრილებითაც კი გამოაშკარავებულა. მართალია, კადეტები უარყოფენ ამას, მაგრამ ეს მხოლოდ ფარისევლობაა და მეტი არაფერი. ყური დაუგდეთ:

«გაზეთი «სეგოდნია» 19 სარწმუნო წყაროებიდან გვაცნობებს, რომ სტოლიპინის გუშინდელი გამოსვლა სახელმწიფო სათათბიროში სრულიადაც არ ყოფილა მოულოდნელი კადეტებისა და ოქტიაბრისტებისთვის. ამაზე მთელ დღეს წინასწარი მოლაპარაკება ყოფილა პრემიერსა, კუტლერსა... და ფედოროვს შორის, რომელიც მემარჯვენე ცენტრს წარმოადგენდა. გადამჭრელი შეთანხმება მათ შორის «სლოვოს» 20 რედაქციაში მოხდა, სადაც გრ. ვიტეც უნდა მისულიყო... საერთოდ ეს შეთანხმება შემდეგში მდგომარეობს: 1) კადეტებმა აშკარად უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი კავშირი მემარცხენე პარტიებთან და მტკიცედ დაიჭირონ ცენტრის ადგილი სათათბიროში. 2) კადეტებმა უნდა უარყონ თავიანთი აგრარული პროგრამის ერთი ნაწილი და დაუახლოონ ის ოქტიაბრისტების პროგრამას. 3) კადეტებმა არ უნდა მოითხოვონ ჯერჯერობით ეროვნებათა თანასწორობა. 4) კადეტებმა მხარი უნდა დაუჭირონ საგარეო სესხს. ამის მაგიერ მთავრობა დაჰპირდა მათ: 1) კადეტების პარტიის დაუყოვნებლივ ლეგალიზაციას. 2) ...რამდენიმე მინისტრის ადგილს, სახელდობრ: მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედებისა, სახალხო განათლებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა,

იუსტიციისა. 3) ნაწილობრივ ამნისტიას. 4) კადეტების იმ კანონ-პროექტის მხარის დაჭერას, რომელიც სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმებას მოითხოვს» (იხ. «პარუს» № 25).

ასეთია საქმის ვითარება.

მაშინ როდესაც ხალხი იბრძვის, მაშინ როდესაც მუშები და გლეხები სისხლს ღვრიან რეაქციის დასამხობად, კადეტები კავშირს ჰკრავენ ამ რეაქციასთან ხალხის რევოლუციის ასალაგმავად!

აი ვინ არიან კადეტები!

აი, თურმე, რისთვის უნდათ მათ სათათბიროს «შენახვა»!

აი რატომ არ დაუჭირეს მათ მხარი სოციალ-დემოკრატების პროექტს დამშეულთა კომისიის შექმნის შესახებ!

ასე მარცხდება მენშევიკების თეზისი კადეტების დემოკრატობის შესახებ.

ასე მარცხდება მენშევიკების ტაქტიკა კადეტების მხარის დაჭერისა: ამის შემდეგ კადეტების მხარის დაჭერა — ეს მთავრობის მხარის დაჭერაა!

მართლდება ბოლშევიკების შეხედულება იმის შესახებ, რომ სერიოზულ მომენტში მხოლოდ გლეხების შეგნებული წარმომადგენლები დაგვიჭერენ მხარს, როგორიც არიან, მაგალითად, ესერები და სხვები.

ცხადია, ჩვენც მათ უნდა დავუჭიროთ მხარი წინააღმდეგ კადეტებისა.

ან იქნებ ამას იქითაც ფიქრობენ მენშევიკები კადეტების მხარის დაჭერას?..

გაზეთი «დრო» № 6,
1907 წლის 17 მარტი.

სტატია ხელმოუწერელია.

ამხ. გ. თელიას ხსოვნას [1]

გარდაცვალებული ამხანაგების ქებათა-ქება ჩვეულებად გადაიქცა ჩვენს პარტიულ წრეებში. სუსტი მხარეების გადაფუჩეჩება და კარგი მხარეების გაზვიადება — ნიშნობლივი თვისებებია დღევანდელი ნეკროლოგებისა. ეს, რა თქმა უნდა, უაზრო ჩვეულებაა. ჩვენ არ გვინდა ამ ჩვეულებას გავყვეთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ სინამდვილე ვილაპარაკოთ ამხ. გ. თელიაზე, ჩვენ გვინდა ნამდვილი თელია გავაცნოთ მკითხველს. და აი, სინამდვილე გვეუბნება, რომ ამხ. გ. თელია, როგორც მოწინავე მუშა და როგორც პარტიული მუშაკი, თავით ბოლომდე დაუფასებელი და წუნდაუდებელი იყო პარტიისთვის. ყოველივე ის, რაც ძირეულად ახასიათებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას: ცოდნის წყურვილი, დამოუკიდებლობა, შეუდრეკელი წინსვლა, შეუპოვრობა, შრომისმოყვარეობა, ზნეობრივი მადლი, — ყოველივე ეს თავმოყრილი იყო ამხ. თელიაში. თელია ხორცშესხმული პროლეტარი იყო. ეს გაზვიადება არ არის. ამას დაგვანახვებს მისი მოკლე ბიოგრაფია.

ამხ. თელია არ ეკუთვნოდა «ნასწავლებს». მან შინაური მეცადინეობით შეიძინა სწავლა-შეგნება. სოფ. ჭაგნიდან წამოსვლის შემდეგ (თელია სოფ. ჭაგნიდან იყო, ქუთაისის მაზრიდან) ის ხელზე მოსამსახურედ დადგა თბილისში რომელი-

ღაც კერძო ოჯახში. აქვე გაეჩვია რუსულად ლაპარაკს და წიგნების კითხვას. მაგრამ მას ჩქარა მოსწყინდა მსახურის ხელობა და მალე რკინიგზის სახელოსნოებში დადგა, სადურგლო საამქროში. ამ სახელოსნოებმა დიდი სამსახური გაუწია ამხ. თელიას. ეს იყო მისი სკოლა, აქ გახდა ის სოციალ-დემოკრატი, აქ გამოიწვრთნა ის შეუპოვარ მებრძოლად, აქვე ამაღლდა როგორც ნიჭიერი და შეგნებული მუშა.

1900—1901 წლებში თელია უკვე ერჩეოდა მოწინავე მუშებში როგორც ერთ-ერთი ღირსეული მეთაური. თბილისის 1901 წლის დემონსტრაციის [22] შემდეგ ამხ. თელიას აღარ დაუსვენია. გახურებული პროპაგანდა, ორგანიზაციების მოწყობა, საპასუხისმგებლო კრებებში მონაწილეობა, საოცარი მეცადინეობა სოციალისტური თვითგანვითარებისთვის — აი რას ანდომებდა ის თავისუფალ დროს. მას დასდევდა პოლიცია, «სანთლით ხელში» ეძებდა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ უორკეცებდა ენერგიას და ბრძოლის წყურვილს. 1903 წლის დემონსტრაციის (თბილისში) [23] სულისჩამდგმელი ამხ. თელია იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ფეხდაფეხ დასდევდა პოლიცია, — დროშის აწევა, სიტყვის თქმა სულ მისი საქმე იყო. ამ დემონსტრაციის შემდეგ ის უკვე სავსებით არალეგალურ მდგომარეობაში გადადის. ამ წლიდან ის ორგანიზაციის დავალებით «მოგზაურობას» იწყებს ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ამავე წელს, თანახმად ორგანიზაციის დავალებისა, ბათუმისკენ გასწია მან არალეგალური სტამბის მოსაწყობად. მაგრამ ბათუმის სადგურზე ის დაიჭირეს ხსენებული სტამბის მოწყობილობით და ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისის ციხეში წაიყვანეს. აქედან იწყება ახალი ხანა მის «მოუსვენარ» ცხოვრებაში. ციხეში წელიწადნახევარს ჯდომამ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა თელიასთვის. ციხე მის მეორე სკოლად გადაიქცა. გამუდმებული მეცადინეობით, სოციალისტური

წიგნების კითხვით და კამათში მონაწილეობით მან შესამჩნევად გაამდიდრა თავისი გონებრივი სალარო. აქვე ჩამოუყალიბდა საბოლოოდ ის შეურყეველი რევოლუციური ხასიათი, რომელიც ბევრ მის ამხანაგს ენატრებოდა. მაგრამ ამავე ციხემ დაასვა მას ის სამარცვდილო დაღი, ამავე ციხემ შეჰყარა მას ის სასიკვდილო სენი (ჭლექი), რომელმაც ბოლო მოუღო ჩვენს საუკეთესო ამხანაგს.

თელია ხედავდა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაგრამ ეს არ აფიქრებდა მას. მას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა — «ტყუილად ჯდომა და უმოქმედობა». «როდის მოვესწრები იმ დღეს, რომ ჩემებურად გავინავარდო, ხალხის მასა ვნახო, გულში ჩავეკონო და ვემსახუროო», — აი რა ენატრებოდა ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგს. და ეს ნატვრა აუსრულდა კიდეც. წელიწადნახევრის შემდეგ ქუთაისის «პატარა» ციხეში გადაიყვანეს, საიდანაც ის უმალვე გამოიქცა და თბილისში ჩამოიჭრა. ამ დროს პარტიაში განხეთქილება იყო. ამხ. თელია მაშინ მენშევიკებს ემხრობოდა, მაგრამ ის სრულიადაც არ ჰგავდა იმ «კაზიონურ» მენშევიკებს, რომლებსაც მენშევიზმი «ყურანი» ჰგონიათ, თავიანთი თავი — მართლმორწმუნენი და ბოლშევიკები — გიაურები. არც იმ «მოწინავე» მუშებს ჰგავდა თელია, რომლებსაც «დაბადებით სოციალ-დემოკრატად» მოაქვთ თავი და, უვიცობით გაჟღენთილები, სასაცილოდ გაიძახიან: ჩვენ არ გვინდა ცოდნა, ჩვენ მუშები ვართო. თელიას დამახასიათებელი თვისება სწორედ ის იყო, რომ ის უარყოფდა ფრაქციულ ფანატიზმს, მთელი არსებით ეზიზღებოდა სხვისი მაჩანჩალობა და ყველაფერი თავისი ჭკუით უნდოდა გაეგო. ამიტომ იყო, რომ, გამოიქცა თუ არა ციხიდან, მაშინვე წიგნებს ეცა: «მეორე ყრილობის ოქმები», მარტოვის «საალყო მდგომარეობა», ლენინის «რა ვაკეთოთ?», ლენინისავე «ნაბიჯი წინ». უნდა

გენახათ ჩამომხმარი, გაყვითლებული თელია, რომელიც დაჟინებით ჩაჰკოწიწებოდა წიგნებს და ღიმილით გაიძახოდა: «მე როგორც ვხედავ, ბოლშევიკ-მენშევიკობა არც ეგრე ადვილია; სანამ ამ წიგნებს არ შევისწავლი, მანამდე ჩემი მენშევიკობა ყინულზეა აშენებულიო». და აი, შეისწავლა ამხ. თელიამ საჭირო ლიტერატურა, ჩაუკვირდა ბოლშევიკ-მენშევიკების ურთიერთშორის კამათს, აწონ-დაწონა ყოველივე ეს და მხოლოდ მერე თქვა: «მე, ამხანაგებო, ბოლშევიკი ვარ; მე როგორც ვატყობ, ვინც ბოლშევიკი არ არის, ის უეჭველად ღალატობს მარქსიზმის რევოლუციურ სულს».

მას შემდეგ ის რევოლუციური მარქსიზმის (ბოლშევიზმის) მოციქულად გადაიქცა. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, 1905 წელს ბაქოსკენ წავიდა. სტამბის მოწყობა, რაიონული ორგანიზაციების მოწესრიგება, ხელმძღვანელ ორგანიზაციაში მონაწილეობა, წერილების მოწოდება «პროლეტარიატის ბრძოლისთვის» [24], — აი რას აკეთებდა იქ ამხ. თელია. ცნობილი «ჩავარდნის» დროს ისიც დაიჭირეს, მაგრამ მან აქაც «თავი დაიძვრინა» და ისევ თბილისისკენ გამოეშურა. თბილისას ხელმძღვანელ ორგანიზაციაში რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების სრულიად რუსეთის კონფერენციაში, რომელიც 1905 წელს შედგა ტამერფორსში. საინტერესოა მისი შთაბეჭდილებანი ამ კონფერენციაზე. ის დიდი იმედით უყურებდა პარტიის მომავალს და თვალებგაბრწყინებული ამბობდა: უკანასკნელ სუნთქვას არ დავიშურებ ამ პარტიის სამსახურისთვისო. მაგრამ უბედურებაც სწორედ იმაში იყო, რომ რუსეთიდან დაბრუნებისთანავე ლოგინში ჩაწვა და აღარ ამდგარა. მხოლოდ ახლა დაიწყო მან სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობა. ავადმყოფობის დროს დაწერა მან: «რა არის ჩვენთვის საჭირო» (იხ. «ახალი ცხოვრება» [25]), «ძველი და ახალი

მკვდრები» (პასუხად არ. ჯორჯაძეს), «ანარქიზმი და სოციალ-დემოკრატია» *, «რატომ გვეძახიან ბლანკისტებს» და სხვ.

უკანასკნელ დღეებში ჩვენ გვწერდა, კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაზე ვამზადებ ბროშურასო, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ დაუმსხვრია კალამი დაუღალავ ამხანაგს.

ასეთია სურათი ამხ. თელიას მოკლე, მაგრამ ქარიშხლით სავსე ცხოვრებისა.

საოცარი ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია, დამოუკიდებლობა, საქმის ღრმა სიყვარული, გმირული შეუპოვრობა და მოციქულებრივი მადლი — აი რა უნდა დაერქვას ამხ. თელიას ცხოვრებას.

მხოლოდ პროლეტარიატში მოიპოვება თელიასთანა პირები, მხოლოდ ის შობს თელიასთანა გმირებს, და პროლეტარიატივე ეცდება სისხლი აიღოს იმ უკუღმართი წესწყობილებისგან, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა ჩვენი ამხანაგი — **მუშა გ. თელია.**

გაზეთი «დრო» № 10,
1907 წლის 22 მარტი.

ხელმოწერა: კ ო...

* უკანასკნელი ორი ბროშურა ვეღარ დაიბეჭდა, რადგანაც პოლიციამ წაიღო ჩხრეკის დროს.

მოწინავე პროლეტარიატი და პარტიის მეხუთე ყრილობა

ყრილობისთვის მზადება თავდება[26]. ფრაქციათა ძალების განწყობილება თანდათან აშკარავდება. ირკვევა, რომ სამრეწველო რაიონები, მეტწილად, ბოლშევიკებს ემხრობიან. პეტერბურგი, მოსკოვი, ცენტრალური სამრეწველო რაიონი, პოლონეთი, ბალტიისპირა მხარე, ურალი — აი სად უცხადებენ ნდობას ბოლშევიკების ტაქტიკას. კავკასია, იმიერკასპიის მხარე, სამხრეთი რუსეთი, «ბუნდის»[27] გავლენის ქვეშ მყოფი რაიონების ზოგიერთი ქალაქი, «სპილკის»[28] საგლეხო ორგანიზაციები — აი სად პოულობენ ძალებს ამხ. მენშევიკები. სამხრეთი რუსეთი ერთადერთი სამრეწველო რაიონია, სადაც მენშევიკებს ნდობას უცხადებენ. მენშევიზმის დანარჩენი დასაყრდენი პუნქტები, მეტწილად, წვრილი წარმოების ცენტრებია.

ირკვევა, რომ მენშევიკების ტაქტიკა — ეს უმთავრესად ჩამორჩენილი ქალაქების ტაქტიკაა, სადაც რევოლუციის წინსვლას და კლასობრივი შეგნების განვითარებას ალმაცერად უყურებენ.

ირკვევა, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა — ეს უმთავრესად მოწინავე ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ტაქტიკაა, სადაც რევოლუციის გაღრმავებას და კლასობრივი შეგნების გაალმასებას უმთავრეს ყურადღებას აქცევენ...

დრო იყო, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატია ერთ მუჭა წევრებს წარმოადგენდა. მაშინ ის ინტელიგენტურ ხასიათს ატარებდა და პროლეტარიატის ბრძოლას თავის დაღს ვერ ასვამდა. მაშინ პარტიულ პოლიტიკას ორიოდე პირი აწარმოებდა, პარტიულ-პროლეტარული მასის ხმა დაჩრდილული იყო... სულ სხვაა დღეს. დღეს ჩვენს წინ დიადი პარტიაა — **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია**, რომელიც 200 000-მდე წევრს ითვლის თავის რაზმებში, თავის ელფერს აძლევს პროლეტარიატის ბრძოლას, გარშემო იკრებს მთელი რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას და თავზარს სცემს «ძლიერთა ამა ქვეყნისათა». და ეს დიადი პარტია მით უფრო დიადია და შესანიშნავი, რომ მისი სადავეები პარტიულ მასას უჭირავს და არა ორიოდე «განათლებულ პირს». ეს ყველაზე კარგად სათათბიროს არჩევნების დროს გამოირკვა, როცა პარტიულმა მასამ შორს გადააგდო «ავტორიტეტული» პლეხანოვის წინადადება და არ ისურვა კადეტებთან «საერთო პლატფორმის» შემუშავება. მართალია, ამხ. მენშევიკები მაინც ინტელიგენტურს ეძახიან ჩვენს პარტიას, მაგრამ ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ხსენებული პარტია მენშევიკური არ არის თავისი უმეტესობით. მაგრამ თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც 18 მილიონი პროლეტარიდან მხოლოდ 400 000 წევრს ითვლის, თუ ამ პარტიას უფლება აქვს პროლეტარული პარტიის სახელი ატაროს, — მაშინ ასეთივე უფლება აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც რუსეთის 9 მილიონი პროლეტარიდან 200 000 წევრი ჰყავს, პროლეტარულ პარტიად ითვლებოდეს...

ამრიგად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია კიდევ იმითაა დიადი, რომ ის ნამდვილი პროლეტარული პარტიაა, რომელიც საკუთარი გზით მიდის მომავლისკენ

და თავისი ძველი «ბელადების» ჩურჩულს კრიტიკული თვალით უყურებს.

ამ მხრივ საინტერესოა პეტერბურგისა და მოსკოვის უკანასკნელი კონფერენციები.

ორივე კონფერენციაზე მუშური ხმა ტრიალებდა, დელეგატების ცხრა მეათედი ორივეგან მუშები იყვნენ. ორივე კონფერენციამ უარყო პლეხანოვისებური «ძველი ბელადების» მოძველებული და შეუფერებელი «დირექტივები». ორივე კონფერენციამ საჭაროდ აღიარა ბოლშევიზმის აუცილებლობა. ყოველივე ამით მოსკოვი და პეტერბურგი ჟნდობლობას უცხადებენ მენშევიკურ ტაქტიკას, ისინი საჭიროდ სთვლიან პროლეტარიატის მეთაურობას დღევანდელ რევოლუციაში.

პეტერბურგისა და მოსკოვის პირით მთელი შეგნებული პროლეტარიატი ლაპარაკობს. მოსკოვი და პეტერბურგი — ორივე მეთაურებია დანარჩენი ქალაქებისა მოსკოვი და პეტერბურგი აძლევდნენ მათ დირექტივებს იანვრისა და ოქტომბრის გალაშქრებაში, ისინი ხელმძღვანელობდნენ მოძრაობას სახელოვან დეკემბრის დღეებში. უეჭველია, ისინივე მისცემენ სიგნალს რევოლუციის მომავალ გალაშქრებას.

პეტერბურგი და მოსკოვი კი ბოლშევიზმის ტაქტიკას ემყარებიან. ბოლშევიზმის ტაქტიკა ერთადერთი პროლეტარული ტაქტიკაა, — აი რას ეუბნებიან ხსენებული ქალაქების მუშები რუსეთის პროლეტარიატს...

გაზეთი «დრო» № 25
1907 წლის 8 აპრილი.

სტატია ხელმოუწერელია.

აგდაუგდა...

ვერ იქნა, ვერ გაარკვიეს «ლახვარის»[29] «პუბლიცისტებმა» თავიანთი ტაქტიკა. პირველ ნომერში წერდნენ, ჩვენ მხოლოდ კადეტების «პროგრესულ ნაბიჯებს» ვუჭერთ მხარს, და არა თვითონ კადეტებსო. ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეს სასაცილო სოფიზმია, რადგანაც მენშევიკები ხმას აძლევდნენ სათათბიროში გასასვლელ კადეტებს, და არა მარტო მათს «ნაბიჯებს»; მათ მთელი კადეტები გაჰყავდათ სათათბიროში, და არა მარტო მათი «ნაბიჯები»; მათ მთელი კადეტი გაიყვანეს სათათბიროს თავმჯდომარედ, და არა მარტო მისი «ნაბიჯი», — რაც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ მენშევიკები მხარს უჭერდნენ კადეტებს. ეს ისე ცხადია, კადეტების მხარის დაჭერაზე ისე ბევრს ლაპარაკობდნენ მენშევიკები, რომ ამ ფაქტის უარყოფა მხოლოდ სიცილს იწვევდა...

ახლა ცოტა «დაფიქრებულან» და სხვას გაიძახიან: მართალია, «არჩევნებში მხარს ვუჭერდით კადეტებს» (იხ. «ლახვარი» № 3), მაგრამ ეს მხოლოდ არჩევნებში, სამაგიეროდ სათათბიროში მხოლოდ «ნაბიჯებს» ვუჭერთ მხარს და არა კადეტებს, თქვენ კი «ვერ გაგირჩევიათ ტაქტიკა სათათბიროში და ტაქტიკა არჩევნებშიო». ჯერ-ერთი, რომ ძალიან სასაცილოა ის «ტაქტიკა», რომელიც მხოლოდ სათათბიროში გიფარავს სისულელისგან, არჩევნებში კი სისულელეს გიქადაგებს. მეორეც, განა მართალი არ არის,

რომ მენშევიკებმა კადეტი გაიყვანეს სათათბიროს თავმჯდომარედ? რომელ ტაქტიკას ეკუთვნოდა კადეტის თავმჯდომარედ გაყვანა: «ტაქტიკას სათათბიროში» თუ ტაქტიკას სათათბიროს გარეთ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ გოლოვინი სათათბიროში გაიყვანეს სათათბიროს თავმჯდომარედ, და არა ქუჩაში — ქუჩის თავმჯდომარედ.

ცხადია, სათათბიროშიც იმავე ტაქტიკას აწარმოებდნენ მენშევიკები, რასაც სათათბიროს გარეთ. ეს ტაქტიკა არის ტაქტიკა კადეტების მხარის დაჭერისა. თუ დღეს ამას უარყოფენ, ეს იმიტომ, რომ აბდაუბდაობის მსხვერპლი გამხდარან.

კადეტების მხარის დაჭერა კადეტების სახელის გაკეთება არ არის, წინაალმდეგ შემთხვევაში, მაშ, თქვენც სახელს უკეთებთ ესერებს, როცა მათ მხარს უჭერთო, — გვეუბნება «ლახვარი». ოხუნჯი «ლახვარისტები»! მათ არ სცოდნიათ, რომ ყოველი მხარის დაჭერა სოციალ-დემოკრატიის მხრივ სახელს უკეთებს იმ პარტიას, რომელსაც ის მხარს უჭერს! კიდეც იმიტომ ფანტავდნენ ისინი ასე უხვად სხვადასხვა «მხარის დაჭერას»... დიახ, საყვარელო ამხანაგებო, ესერების მხარის დაჭერით სოციალ-დემოკრატია სახელს უკეთებს ხალხის თვალში ესერებს, და სწორედ ამიტომ არის, რომ ასეთი მხარის დაჭერა მისაღებია **მხოლოდ როგორც გამონაკლისი და როგორც ზომა კადეტების დასამარცხებლად.** ესერების მხარის დაჭერა იდეალი როდია, ის აუცილებელი ბოროტებაა, რომელიც კადეტების ასალაგმავად შეიძლება გამოიყენო. თქვენ კი სწორედ ამ კადეტებს უჭერდით მხარს, მუშებისა და გლეხების გამყიდველ კადეტებს, რომლებსაც ესერები იმით სჯობიან, რომ რევოლუციას ემხრობიან...

«ვთქვათ, კადეტებმა საყოველთაო არჩევნები მოითხოვეს. ეს თურმე დიდი ბოროტება იქნება, ვინაიდან ეს მოთხოვნა კადეტურია» (იხ. იქვე).

ოხუნჯი ამხანაგები! თურმე ნუ იტყვით, საყოველთაო საარჩევნო უფლება «კადეტური მოთხოვნა» ყოფილა! თბილისელ მენშევიკებს თურმე არ სცოდნიათ, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება კადეტების კი არა, — რევოლუციური დემოკრატიის მოთხოვნაა, რომელსაც ყველაზე თანმიმდევრობით სოციალ-დემოკრატია იცავს! არა, ამხანაგებო, თუ ისიც ვერ გაგიგიათ, რომ კადეტები რევოლუციური დემოკრატები არ არიან; თუ ისიც ვერ გაგიგიათ, რომ მათთან ბრძოლა სადღეისო კითხვაა ჩვენთვის პროლეტარიატის მეთაურობის განსამტკიცებლად; თუ ისიც ვერ გაგიგიათ, რას ამბობდით გუშინ და რას ამბობთ დღეს, — სჯობს ჯერ კალამს გაუშვათ ხელი, ჯერ აბდაუბდაობისგან თავი გამოიხსნათ და მხოლოდ მერე შეუდგეთ «კრიტიკოსობას»...

ჰო, ვფიცავთ სათათბიროს, ისევ ასე გირჩევნიათ...

გაზეთი «დრო» № 26,
1907 წლის 10 აპრილი.

სტატია ხელმოუწერელია.

ჩვენი კავკასიელი კლოუნები

ჩვენი წერილების გამო მენშევიკურ გაზეთ «ლახვარს» კუჭი მოსვლია, გაფხუკიანებულა, — ჩანს, კუჭში მოხვედრია ჩვენი ბრალდება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გასართობი ამბავია...

რაშია საქმე?

ჩვენ ვწერდით, რომ სათათბიროს მარჯვნივ გადახრა საკვირველი არაა ჩვენთვის. რატომ? იმიტომ, რომ სათათბიროში ლიბერალური ბურჟუაზიაა გამეფებული, ეს ბურჟუაზია კი მთავრობას უკავშირდება და კავშირს წყვეტს მუშებთან და გლეხებთან. აქედან — სათათბიროს სისუსტე. და თუ მუშები და რევოლუციური გლეხები კუდში არ მისდევენ ანტირევოლუციურ სათათბიროს, თუ ისინიც კავშირს წყვეტენ სათათბიროს უმრავლესობასთან, — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში უფრო თვალახილულია ხალხი, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში. აქედან — კიდევ სათათბიროს სისუსტე. ასე ეხსნიდით ჩვენ სათათბიროს სისუსტეს და მის მარჯვნივ გადახრას.

ჩვენს მენშევიკებს შიშით გული მუცელში გადავარდნიათ ჩვენი ახსნის შემდეგ და თავზარდაცემულნი გაიძახიან:

«არა, ბოლშევიკების ახსნა რომ მართალი იყოს, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი ვიქნებოდით ხელი ჩაგვექნია და გვეთქვა, რომ რუსეთის რევოლუცია გათავდა» (იხ. «ლახვარი» № 6).

საბრალონი! თავიანთი რევოლუციონერობა არა სწამთ ისე მაგრად, როგორც კადეტებისა! ლიბერალები ღალატობენ რევოლუციას, — მაშასადამე, რევოლუცია დადუნებულა! მუშები და რევოლუციური გლეხები არაფერი ყოფილან! ვაგლახ თქვენ, თუ მეტი გამჭრიახობა არ მოგეპოვებათ!

თავიანთ ნათქვამსაც კი აღარ უჯერებენ. აი, მაგალითად, წელიწადნახევრის წინათ გაზეთ «სხივში»[30] იგივე მენშევიკები რაღაც სხვას გვეუბნებოდნენ:

«დეკემბრის გაფიცვამ რევოლიუციას ჩამოაშორა ბურჟუაზია და **ის კონსერვატორათ აქცია**... რევოლიუციის შემდეგი განვითარება უნდა მოხდეს **წინააღმდეგ ლიბერალებისა**... შესძლებს კი ამას რევოლიუცია? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება რევოლიუციის მატარებელი. **რევოლიუციის მეთაური აქაც, რასაკვირველია, პროლეტარიატია**, მარა მას მარტო არ ძალუძს მისი ბოლომდის მიყვანა, თუ ძლიერი და ერთგული მოკავშირე არ გამოუჩნდა. ასეთი მოკავშირეა **ერთათ ერთი — ეს არის გლეხობა**» (იხ. «სხივი» № 12).

დიახ, ასე ლაპარაკობდნენ მენშევიკები, სანამ ისინი სოციალ-დემოკრატობდნენ...

მაგრამ დღეს, როცა ისინი სოციალ-დემოკრატიას ზურგს აქცევენ, სხვა ჰანგზე დაიწყეს მღერა და ლიბერალებს რევოლუციის ცენტრად, მის მხსნელად აღიარებენ.

და ყოველივე ამის შემდეგ გამბედაობა შესწევთ გვარწმუნონ: კავკასიელი მენშევიკები კლოუნები არ არიან, ისინი სოციალ-დემოკრატიულ ტანისამოსში არ ირთვებიან თავიანთი კადეტობის დასაფარავადო!

«მერე როგორ მოხდა, — გვეუბნებიან მენშევიკები, — რომ პირველ დუმაში კადეტები უფრო გაბედულათ იქცეოდენ, თხოულობდენ დუმის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს და სხ.? რით ავხსნათ, რომ კადეტებმა დუმის გარეკის მეორე დღეს ხელი მოაწერეს ვიბორგის მანიფესტს?

რატომ ასე არ იქცევიან დღეს?

ამ კითხვაზე ბოლშევიკების პოლიტიკური ფილოსოფია **პასუხს არ იძლევა და ვერც მოგვცემს»** (იხ. იქვე).

ტყუილად ინუგეშებთ თავს, დამფრთხალო ამხანაგებო. ჩვენ დიდი ხანია პასუხი მოგეცით მაგ კითხვაზე: დღევანდელი სათათბირო იმიტომ არის უფრო უფერული, რომ პროლეტარიატი ახლა უფრო შეგნებულია და დარაზმული, ვიდრე პირველი სათათბიროს დროს, რაც რეაქციისკენ ისვრის ლიბერალურ ბურჟუაზიას. ერთხელ და სამუდამოდ დაიჭდიეთ ცხვირზე, ჩვენო მოლიბერალო ამხანაგებო, რომ, **რაც უფრო შეგნებულად იბრძვის პროლეტარიატი, მით უფრო კონტრრევოლუციონერობს ბურჟუაზია.** აი როგორია ჩვენი ახსნა.

თქვენ როგორღა ხსნით მეორე სათათბიროს უფერულობას, საყვარელო ამხანაგებო?

აი, მაგალითად, «ლახვარის» მეოთხე ნომერში სწერთ, რომ სათათბიროს სისუსტე, მისი უფერულობა — «ხალხის შეუგნებლობის და მოუწყობლობის» ბრალიაო. პირველი სათათბირო უფრო «გამბედავი» იყო, როგორც თქვენ თვითონ იძახით, — მაშასადამე, მაშინ ხალხი «შეგნებული და მოწყობილი» ყოფილა. მეორე სათათბირო უფრო უფერულია, — მაშასადამე, წელს უფრო «შეუგნებელია და მოუწყობელი» ხალხი, ვიდრე შარშან, — მაშასადამე, უკან წასულა რევოლუციის და ხალხის შეგნების ზრდის საქმე! ეს გინდოდათ გეთქვათ, არა, ამხანაგებო? ამით გინდათ გაამართლოთ თქვენი კადეტობა, არა, საყვარელნო?

ვაგლახ თქვენ და თქვენს აბდაუბდა «ლოგიკას», თუ მუდამ აგრე კლოუნებად დარჩენას ფიქრობთ...

გაზეთი «დრო» № 29,
1907 წლის 13 აპრილი.

Სტატია ხელმოუწერელია.

სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები

მეორე სათათბირო გარეკეს [31]. და მერე უბრალოდ კი არ გარეკეს, არამედ აურზაურით — სწორედ ისე, როგორც პირველი სათათბირო. აქ არის «გარეკვის მანიფესტიც», სადაც ფარისეველი მეფე «გულწრფელ მწუხარებას» გამოთქვამს გარეკვის გამო. არის «ახალი საარჩევნო კანონიც», რომელიც არარად აქცევს მუშებისა და გლეხების საარჩევნო უფლებებს. არის თვით დაპირებაც რუსეთის «განახლებისა», რა თქმა უნდა, დახვრეტათა და მესამე სათათბიროს შემწეობით. ერთი სიტყვით, აქ არის ყოველივე ის, რაც სულ ამ ცოტა ხნის წინათ, პირველი სათათბიროს გარეკვის დროს, მოხდა. მეფემ მოკლედ გაიმეორა პირველი სათათბიროს გარეკვის ამბავი...

ხოლო მეორე სათათბირო მეფეს ტყუილუბრალოდ კი არ გაურეკია და არც უმიზნოდ. სათათბიროს შემწეობით მას უნდოდა დაკავშირებოდა გლეხობას, მთავრობის მოკავშირედ გაეხადა პროლეტარიატის ეს მოკავშირე, ამრიგად, განმარტოებული, იზოლირებული დაეტოვებინა პროლეტარიატი და მით ჩაეშალა რევოლუციის საქმე, შეუძლებელი გაეხადა მისი გამარჯვება. ამისთვის მთავრობამ მიმართა ლიბერალური ბურჟუაზიის დახმარებას, რომელიც ჯერ კიდევ სარგებლობს ერთგვარი გავლენით გლეხთა ბნელ მასაში, და აი სწორედ მისი მეშვეობით უნდოდა მთავრობას მრავალმილიონიან გლეხობასთან დაკავშირება.

ასე უნდოდა მას გამოეყენებინა მეორე სახელმწიფო სათათბირო.

მაგრამ საწინააღმდეგო რამ გამოვიდა. მეორე სათათბიროს პირველსავე სხდომებზე გამოაშკარავდა გლეხთა დეპუტატების უნდობლობა არა მარტო მთავრობისადმი, არამედ ლიბერალურ ბურჟუათა დეპუტატებისადმიც. ეს უნდობლობა იზრდებოდა მთელ რიგ კენჭისყრათა გამო და, ბოლოს, იქამდე მივიდა, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის დეპუტატებისადმი აშკარა მტრობად გადაიქცა. ამრიგად, მთავრობამ ვერ შეძლო გლეხთა დეპუტატების დარაზმვა ლიბერალების ირგვლივ, მათი მეშვეობით კი — ძველი ხელისუფლების ირგვლივ. მთავრობის სურვილი — სათათბიროს მეშვეობით გლეხობას დაკავშირებოდა და პროლეტარიატი განემარტოებინა — ვერ განხორციელდა. პირიქით: გლეხთა დეპუტატები სულ უფრო მეტად ირაზმებოდნენ პროლეტარული დეპუტატების გარშემო, სოციალ-დემოკრატების გარშემო. და რაც უფრო შორდებოდნენ ისინი ლიბერალებს, კადეტებს, მით უფრო გადაჭრით უახლოვდებოდნენ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს. ეს კი საგრძნობლად აადვილებდა სათათბიროს გარეთ პროლეტარიატის ირგვლივ გლეხების დარაზმვის საქმეს. მაშასადამე, პროლეტარიატის განმარტოება კი არ გამოვიდა, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიისა და მთავრობის განმარტოება გლეხებისაგან, — პროლეტარიატმა შემოიმტკიცა მრავალმილიონიანი გლეხობა — მაშასადამე, რევოლუციის საქმე კი არ იფუშებოდა, როგორც ეს მთავრობას სურდა, — არამედ კონტრრევოლუციის საქმე. ამის გამო მეორე სათათბიროს არსებობა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა მთავრობისთვის. და მანაც «დაითხოვა» სათათბირო.

და უფრო წარმატებით რომ ჩაეშალა პროლეტარიატთან გლეხების დაახლოების საქმე, სოციალ-დემოკრატები-

სადმი მტრობა რომ დაეთესა გლეხთა ბნელ მასებში და თავის გარშემო დაერაზმა ისინი, მთავრობამ ორ ღონისძიებას მიმართა.

ჯერ ერთი, იგი თავს დაესხა სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას, ცრუ ბრალდება წაუყენა მის წევრებს, თითქოს ისინი დაუყოვნებლივი აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, და, ამრიგად, სათათბიროს გარეკვის მთავარ დამნაშავეებად გამოიყვანა ისინი. ჩვენაო, ძვირფასო გლეხებო, არ გავრეკავდით თქვენს «საყვარელ» სათათბიროს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები აჯანყებას გვემუქრებოდნენ, და ჩვენც იძულებული გავხდით «დაგვეთხოვა» იგიო.

მეორეც, მთავრობამ გამოსცა «ახალი კანონი», რომლითაც სანახევროდ შეამცირა გლეხ ამრჩეველთა რიცხვი, ამდენადვე გაადიდა მემამულე ამრჩეველთა რიცხვი, უფლება მისცა უკანასკნელთ აერჩიათ გლეხთა დეპუტატები საერთო კრებებზე, თითქმის ასევე სანახევროდ შეამცირა მუშა ამრჩევლების რიცხვი (237 ამრჩევლის ნაცვლად — 124), უფლება დაიტოვა გადაენაწილებინა ამომრჩეველნი «ადგილის, ქონებული ცენზის სახეობისა და ეროვნების მიხედვით», მოსპო საარჩევნო აგიტაციის თავისუფლების ყოველგვარი შესაძლებლობა და სხვ. და სხვ. და ყოველივე ეს იმისთვის, რომ: არ შეეშვა მესამე სათათბიროში მუშებისა და გლეხების რევოლუციური წარმომადგენლები; აევსო სათათბირო მემამულეებისა და მეფაბრიკეების ლიბერალური და რეაქციული წარმომადგენლებით; შესაძლებელი გაეხადა, თვით გლეხების სურვილის წინააღმდეგ, გლეხებისაგან ყველაზე კონსერვატიული დეპუტატების გაყვანა, ამით დაემახინჯებინა გლეხთა წარმომადგენლობა და, ამრიგად, მოესპო პროლეტარიატისათვის თავის ირგვლივ გლეხობის ფართო მასების აშკარად დარაზმვის შესაძლებლობა, — მაშასადამე, შეექმნა

თავისთვის გლეხობასთან აშკარად დაახლოების შესაძლებლობა.

ასეთია მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის აზრი.

ლიბერალური ბურჟუაზია, ეტყობა, მიხვდა ყოველივე ამას და, თავისი კადეტების სახით, ხელს უმართავს მთავრობას. ჯერ კიდევ მეორე სათათბიროში მოურიგდა იგი ძველ ხელისუფლებას, ელაციცებოდა გლეხთა დეპუტატებს და ცდილობდა განემარტოებინა პროლეტარიატი. სათათბიროს გარეკვის წინა დღეებში კადეტების ლიდერი, მილიუკოვი, თავის პარტიას მოუწოდებდა ყველაფერი და ყველანი შემოეკრიბა «სტოლიპინის მთავრობის» გარშემო, შეთანხმებოდა მას და ომი გამოეცხადებინა რევოლუციისთვის, საკუთრივ — პროლეტარიატისთვის. ხოლო კადეტების მეორე ლიდერი, სტრუვე, უკვე გარეკვის შემდეგ იცავდა მთავრობისთვის სოციალ-დემოკრატი დეპუტატების «გადაცემის იდეას», მოუწოდებდა კადეტებს აშკარად დასდგომოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, შეერთებოდნენ კონტრრევოლუციონერ ოქტიაბრისტებს, განემარტოებინათ დაუდგრომელი პროლეტარიატი და ბრძოლა გაეჩაღებინათ მის წინააღმდეგ. კადეტთა პარტია დუმს, — მაშასადამე, ის ეთანხმება თავის ლიდერებს.

ცხადია, ლიბერალურ ბურჟუაზიას ესმის, თუ რა დიდმნიშვნელოვანია დღევანდელი მომენტი.

მით უფრო მკაფიოდ დგება პროლეტარიატის წინაშე შეფის ხელისუფლების დამხობის ამოცანა. აბა დაუფიქრდით. იყო პირველი სათათბირო. იყო მეორეც. მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ «გადაჭრა» რევოლუციის ვერც ერთი საკითხი — და არც შეეძლო «გადაეჭრა». ძველებურად რჩებიან: გლეხები უმიწოდ, მუშები რვასაათიანი სამუშაო დღის მიუღებლად, ყველა მოქალაქე — პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული. რატომ?

იმიტომ, რომ მეფის ხელისუფლება ჯერ არ მომკვდარა, იგი ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას, პირველი სათათბიროს შემდეგ ერეკება მეორეს, რაზმავს კონტრრევოლუციას და ცდილობს დაშალოს რევოლუციის ძალები, ჩამოაშოროს პროლეტარებს მრავალმილიონიანი გლეხობა. ამავე დროს, რევოლუციის მიწისქვეშა ძალები — კრიზისი ქალაქად და შიმშილი სოფლად — განაგრძობენ თავიანთ მუშაობას, სულ უფრო ძლიერად აშფოთებენ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, სულ მეტი დაჟინებით მოითხოვენ ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაჭრას. მეფის ხელისუფლების ჭაპანწყვეტა მხოლოდ ამწვავებს კრიზისს. ლიბერალური ბურჟუაზიის ცდა — ჩამოაშოროს გლეხები პროლეტარებს — მხოლოდ აძლიერებს რევოლუციას. ცხადია, მეფის ხელისუფლების დაუმხობლად და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოუწვევლად შეუძლებელია მუშათა და გლეხთა ფართო მასების დაკმაყოფილება. არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაჭრა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ დამყარდა კავშირი გლეხობასთან მეფის ხელისუფლებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეფის ხელისუფლების დამხობა და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა — აი საით მივყავართ მეორე სათათბიროს გარეკვას.

ომი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, მჭიდრო კავშირი გლეხობასთან — აი რას გვეუბნება მეორე სათათბიროს გარეკვა.

პროლეტარიატის ამოცანაა შეგნებულად დაადგეს ამ გზას და ღირსეულად შეასრულოს რევოლუციის ბელადის როლი.

გაზეთი «ბაკინსკი პროლეტარი» № 1, 1907 წლის 20 ივნისი.
სტატია ხელმოუწერელია.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა

(დელეგატის წერილები) [32]

ლონდონის ყრილობა დამთავრდა. ლიბერალი მჯღაბნელების, სხვადასხვა ვერგეჟსკებისა [33] და კუსკოვების [34] მოლოდინის წინააღმდეგ, — ყრილობამ პარტიის გათიშვა კი არ მოგვცა, არამედ შემდგომი შემჭიდროება, მთელი რუსეთის მოწინავე მუშების შემდგომი გაერთიანება ერთ განუყოფელ პარტიად. ეს იყო ნამდვილი სრულიად რუსეთის გამაერთიანებელი ყრილობა: ვინაიდან ამ ყრილობაზე პირველად იყვნენ უაღრესად ფართოდ და სრულად წარმოდგენილნი ჩვენი პოლონელი, ბუნდელი და ლატვიელი ამხანაგები, აქ მათ პირველად მიიღეს აქტიური მონაწილეობა პარტიული ყრილობის მუშაობაში და, მაშასადამე, პირველად დაუკავშირეს უფრო უშუალოდ თავიანთი ორგანიზაციების ბედი მთელი პარტიის ბედს. ამ აზრით ლონდონის ყრილობამ თვალსაჩინოდ წასწია წინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემჭიდროებისა და განმტკიცების საქმე.

ასეთია ლონდონის ყრილობის პირველი და მნიშვნელოვანი შედეგი.

მაგრამ ლონდონის ყრილობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. საქმე ის არის, რომ, იმავე ლიბერალი-

მჭლაბნელების სურვილის წინააღმდეგ, ყრილობა დამთავრდა «ბოლშევიზმის» გამარჯვებით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებით ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე, «მენშევიზმზე». ყველამ იცის, რა თქმა უნდა, ჩვენი უთანხმოებანი ჩვენს რევოლუციაში სხვადასხვა კლასებისა და პარტიების როლისა და მათდამი ჩვენი დამოკიდებულების საკითხზე. ისიც ცნობილია, რომ პარტიის ოფიციალური ცენტრი, თავისი შემადგენლობით მენშევიკური, მთელი რიგი გამოსვლებით მთლიანად აღებული პარტიის საწინააღმდეგო ხაზს ადგებოდა. მოიგონეთ თუნდაც: ისტორია ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგისა პასუხისმგებელი კაბინეტური სამინისტროს შესახებ, — ეს ლოზუნგი უარყო პარტიამ პირველი სათათბიროს დროს; ისტორია იმავე ც. კ-ის ლოზუნგისა «სათათბიროს სესიის განახლების» შესახებ პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ, — ეს ლოზუნგიც უარყო პარტიამ; ისტორია ც. კ-ის ცნობილი მოწოდებისა საყოველთაო გაფიცვისაკენ პირველი სათათბიროს გარეკვის გამო, — ეს მოწოდებაც უარყო პარტიამ... საჭირო იყო ბოლო მოღებოდა ამ არანორმალურ მდგომარეობას. საამისოდ კი თავის მხრივ საჭირო იყო შეჯამებულიყო პარტიის ფაქტიური გამარჯვებანი ოპორტუნისტულ ც. კ-ზე, გამარჯვებანი, რომლებიც ავსებენ ჩვენი პარტიის შინაგანი განვითარების ისტორიას მთელი განვლილი წლის მანძილზე. და აი, ლონდონის ყრილობამ შეაჯამა **რევოლუციური** სოციალ-დემოკრატიის მთელი ეს გამარჯვებანი, განუმტკიცა მას გამარჯვება და მიიღო ამ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა.

მაშასადამე, ამიერიდან პარტია სოციალისტური პროლეტარიატის მტკიცე კლასობრივ პოლიტიკას გაატარებს. პროლეტარიატის წითელი დროშა აღარ დაიხრება ლიბერალიზმის მოლაყბეთა წინაშე. პროლეტარიატისთვის

შეუფერებელ ინტელიგენტურ მეწყეობას სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა.

ასეთია ჩვენი პარტიის ლონდონის ყრილობის მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი.

მთელი რუსეთის მოწინავე მუშების ფაქტიური გაერთიანება სრულიად რუსეთის ერთიან პარტიად **რევოლუციური** სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ — ასეთია ლონდონის ყრილობის დედააზრი, ასეთია მისი საერთო ხასიათი.

გადავიდეთ ახლა ყრილობის უფრო დაწვრილებით დახასიათებაზე.

I

ყრილობის შემადგენლობა

სულ ყრილობას დაახლოებით 330 დელეგატი დაესწრო. ამათგან 302 დელეგატს — პარტიის 150 000-ზე მეტი წევრის წარმომადგენელს — გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდა, დანარჩენებს — სათათბირო ხმის უფლება. ფრაქციების მიხედვით დელეგატები დაახლოებით შემდეგნაირად იყოფოდნენ: (მხოლოდ გადამწყვეტი ხმის მქონენი) 92 ბოლშევიკი, 85 მენშევიკი, 54 ბუნდელი, 45 პოლონელი და 26 ლატვიელი.

ყრილობის წევრთა საზოგადოებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით (მუშები და არამუშები) ყრილობა შემდეგ სურათს წარმოადგენდა: ფიზიკური შრომის მუშები იყვნენ სულ 116; კანტორის მოსამსახურეები და ნოქრები — 24; დანარჩენნი — არამუშები. ამასთან ფიზიკური შრომის მუშები ფრაქციების მიხედვით შემდეგნაირად იყოფოდნენ: ბოლშევიკურ ფრაქციაში — 38 (36 პროცენტი); მენშევიკურში — 30 (31 პროცენტი); პოლონელებს შორის — 27 (61 პროცენტი); ლატვიელებს

შორის — 12 (40 პროცენტი); ბუნდელებს შორის — 9 (15 პროცენტი). პროფესიონალი რევოლუციონერები კი ფრაქციების მიხედვით შემდეგნაირად იყოფოდნენ: ბოლშევიკურ ფრაქციაში — 18 (17 პროცენტი); მენშევიკურში — 22 (22 პროცენტი); პოლონელებს შორის — 5 (11 პროცენტი); ლატვიელებს შორის — 2 (6 პროცენტი); ბუნდელებს შორის — 9 (15 პროცენტი).

ამ სტატისტიკამ ყველანი «გაგვაოცა». როგორ? მენშევიკები ამდენს გაჰკიოდნენ ჩვენი პარტიის ინტელიგენტურ შემადგენლობაზე, დღედაღამ ლანძღავდნენ ბოლშევიკებს — ინტელიგენტები ხართო, იმუქრებოდნენ — ყველა ინტელიგენტს გავაგდებთ პარტიიდანო, მუდამ აბუჩად იგდებდნენ პროფესიონალ რევოლუციონერებს — და უცებ მათ ფრაქციაში გაცილებით ნაკლები მუშა აღმოაჩნდათ, ვიდრე «ინტელიგენტ»-ბოლშევიკებს! მათ გაცილებით უფრო მეტი პროფესიონალი რევოლუციონერი აღმოაჩნდათ, ვიდრე ბოლშევიკებს! მაგრამ ჩვენ მენშევიკების ყვირილს იმით ვხსნიდით, რომ «ვისაც რა სტკივა, იმაზე ყვირის»...

კიდევ უფრო საინტერესოა ყრილობის შემადგენლობის ციფრები დელეგატების «ტერიტორიული დანაწილების» თვალსაზრისით. გამოირკვა, რომ მენშევიკი დელეგატების დიდ ჯგუფებს გზავნიან უმთავრესად გლეხთა და ხელოსანთა რაიონები: გურია (9 დელეგატი), თბილისი (10 დელეგატი), მალოროსული გლეხთა ორგანიზაცია «სპილკა» (მგონი, 12 დელეგატი), ბუნდი (დიდი უმრავლესობა — მენშევიკები) და, როგორც გამონაკლისი, — დონეცის აუზი (7 კაცი). ამავე დროს კი ბოლშევიკი დელეგატების დიდ ჯგუფებს გზავნიან მარტოოდენ მსხვილი სამრეწველო რაიონები: პეტერბურგი (12 დელეგატი), მოსკოვი (13 თუ 14 დელეგატი), ურალი

(21 დელეგატი), ივანოვო-ვოზნესენსკი (11 დელეგატი), პოლონეთი (45 დელეგატი).

ცხადია, ბოლშევიკების ტაქტიკა წარმოადგენს მსხვილი მრეწველობის პროლეტარების ტაქტიკას, იმ რაიონების ტაქტიკას, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი განსაკუთრებით მკაფიოა და კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მკვეთრია. ბოლშევიზმი ნამდვილი პროლეტარების ტაქტიკა არის.

მეორე მხრივ, არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ მენშევიკების ტაქტიკა უმთავრესად წარმოადგენს ხელოსანი მუშებისა და ნახევრად-პროლეტარი გლეხების ტაქტიკას, იმ რაიონების ტაქტიკას, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი მთლად მკაფიო არ არის და კლასობრივი ბრძოლა შენიღბულია. მენშევიზმი პროლეტარიატის ნახევრად-ბურჟუაზიული ელემენტების ტაქტიკა არის.

ამას მეტყველებენ ციფრები.

ეს არცთუ ძნელი გასაგებია: არ შეიძლება სერიოზულად ველაპარაკოთ ლოძის, მოსკოვის ან ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებს ბლოკის შეკვრაზე სწორედ იმ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, რომლის წევრები მათ გააფთრებით ებრძვიან და წარამარა «სჯიან» ნაწილობრივი დათხოვნითა და მასობრივი ლოკაუტებით — იქ მენშევიზმი სიმპათიას ვერ მოიხვეჭს, იქ ბოლშევიზმია საჭირო, შეურიგებელი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკაა საჭირო. და, პირიქით, ძალიან ძნელია კლასობრივი ბრძოლის იდეა ჩაუნერგო გურულ გლეხებს ან რომელიმე შკლოველ ხელოსნებს, რომლებიც ვერ გრძნობენ კლასობრივი ბრძოლის მწვავე სისტემატურ დარტყმებს და ამიტომ ხალისით იღებენ ყოველგვარ შეთანხმებას «საერთო მტრის» წინააღმდეგ — იქ ბოლშევიზმი ჯერჯერობით საჭირო არ არის, იქ მენშევიზმია საჭირო,

რადგან ყველაფერი იქ გაჟღენთილია შეთანხმებისა და კომპრომისების ატმოსფეროთი.

არა ნაკლებ საინტერესოა ყრილობის შემადგენლობა ეროვნებათა თვალსაზრისით. სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ მენშევიკური ფრაქციის უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ (რა თქმა უნდა, ბუნდელების ჩაუთვლელად), შემდეგ ქართველები და მერე რუსები. სამაგიეროდ ბოლშევიკური ფრაქციის დიდ უმრავლესობას რუსები შეადგენენ, შემდეგ ებრაელები (რა თქმა უნდა, პოლონელებისა და ლატვიელების ჩაუთვლელად), მერე ქართველები და სხვ.. ამის გამო ერთ-ერთმა ბოლშევიკმა იხუმრა (მგონი, ამბ. ალექსინსკიმ [35]): მენშევიკები — ებრაული ფრაქციაა, ბოლშევიკები — ჰეშმარიტად-რუსული, ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენ, ბოლშევიკებს რბევა მოგვეხდინა პარტიაშიო.

ფრაქციების ასეთი შემადგენლობის ახსნა ძნელი რომდია: ბოლშევიზმის კერებს უმთავრესად წარმოადგენენ მსხვილი სამრეწველო რაიონები, წმინდა რუსული რაიონები, გარდა პოლონეთისა, მაშინ როდესაც მენშევიკური რაიონები, წვრილი წარმოების რაიონები, ამავე დროს წარმოადგენენ ებრაელების, ქართველებისა და სხვათა რაიონებს.

რაც შეეხება მიმდინარეობებს, რომლებიც ყრილობაზე დაისახა, უნდა შევნიშნოთ, რომ ყრილობის ფორმალურმა დაყოფამ 5 ფრაქციად (ბოლშევიკები, მენშევიკები, პოლონელები და სხვ.) ერთგვარი ძალა შეინარჩუნა, თუმცა უმნიშვნელო, მხოლოდ პრინციპული ხასიათის საკითხების განხილვამდე (საკითხი არაპროლეტარული პარტიებისა, მუშათა ყრილობისა და სხვ.). პრინციპული საკითხების განხილვის მომენტიდან კი ფორმალური დაჯგუფება ფაქტიურად უკუგდებულ იქნა, და კენჭისყრის დროს ყრილობა ჩვეულებრივ 2 ნაწილად იყოფოდა: ბოლშევიკებად

და მენშევიკებად. ეგრეთწოდებული ცენტრი, ანუ ჭაობი, ყრილობაზე არ ყოფილა. ტროცკი «ლამაზი ზედმეტობა» გამოდგა. ამასთან ყველა პოლონელი გარკვევით ემხრობოდა ბოლშევიკებს. ლატვიელების დიდი უმრავლესობა აგრეთვე გარკვევით უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. ბუნდი, რომელიც თავისი დელეგატების დიდი უმრავლესობით ფაქტიურად ყოველთვის მხარს უჭერდა მენშევიკებს, ფორმალურად მეტისმეტად ორაზროვან პოლიტიკას ეწეოდა, და ეს პოლიტიკა, ერთი მხრივ, ღიმილს იწვევდა, მეორე მხრივ — გულისწყრომას. ამხ. როზა ლუქსემბურგმა მხატვრულად და მოსწრებულად დაახასიათა ბუნდის ეს პოლიტიკა; მან თქვა, ბუნდის პოლიტიკა მასებზე გავლენის მომხდენი მომწიფებული პოლიტიკური ორგანიზაციის პოლიტიკა არ არის, ესაა პოლიტიკა ვაჭრუკანებისა, რომლებიც მუდამ რაღაცას უთვალთვალებენ და მუდამ იმედით ელიან: იქნებ ხვალ შაქარი გაიაფდესო. ბუნდელთაგან ბოლშევიკებს მხარს უჭერდა მხოლოდ 8 — 10 დელეგატი, ისიც ყოველთვის არა.

საერთოდ ბოლშევიკები სჭარბობდნენ, და საკმაოდ თვალსაჩინოდაც სჭარბობდნენ.

ამგვარად, ყრილობა ბოლშევიკური იყო, თუმცა მკვეთრად ბოლშევიკური არა. მენშევიკური რეზოლუციებიდან გავიდა მხოლოდ რეზოლუცია პარტიზანული გამოსვლების შესახებ, ისიც სრულიად შემთხვევით: ბოლშევიკები ამჯერად ბრძოლაში არ ჩაებნენ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ არ მოინდომეს ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, უბრალო სურვილის გამო: «ერთხელ მაინც გაიხარონ გული ამხ. მენშევიკებმაო»...

II

დღის წესრიგი. ც. კ-ის ანგარიში. სათათბიროს ფრაქციის ანგარიში

ყრილობის მუშაობა, პოლიტიკურ მიმდინარეობათა თვალსაზრისით, შეიძლებოდა 2 ნაწილად დაგვეყო.

პირველი ნაწილი: კამათი ფორმალურ საკითხებზე, როგორიცაა ყრილობის დღის წესრიგი, ც. კ-ის ანგარიშები და სათათბიროს ფრაქციის ანგარიში; ამ საკითხებს ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ისინი უკავშირდებოდნენ ან მათ უკავშირებდნენ ამა თუ იმ ფრაქციის «ღირსებას», იმ აზრს, «ვაი თუ ვაწყენინოთ» ამა თუ იმ ფრაქციას, «ვაი თუ გათიშვა გამოვიწვიოთო»,— და ამიტომ ხსენებულ საკითხებს ფორმალური საკითხები ეწოდებოდა. ყრილობის ამ ნაწილმა ყველაზე მღელვარედ ჩაიარა და ყველაზე მეტი დრო შთანთქა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ პრინციპის მოსაზრებებს უკანა რიგზე სწევდნენ «მორალის» მოსაზრებანი («ვაი თუ ვაწყენინოთო»), მაშასადამე, მკვეთრად განსაზღვრული დაჯგუფებანი არ იქმნებოდა, არ შეიძლებოდა ადამიანი უცებ მიმხვდარიყო, «ვინ დასძლევდა», და ფრაქციებიც, იმ იმედით, რომ «ნეიტრალურთავაზიან პირებს» გაიყოლებდნენ, გააფთრებულ ბრძოლაში ებმებოდნენ უპირატესობის მოსაპოვებლად.

მეორე ნაწილი: კამათი პრინციპულ საკითხებზე, როგორიცაა საკითხი არაპროლეტარული პარტიებისა, მუშათა ყრილობისა და სხვ.. აქ უკვე აღარ არსებობდა «მორალის» მოსაზრებანი, იქმნებოდა გარკვეული დაჯგუფებანი, მტკიცედ განსაზღვრულ პრინციპულ მიმდინარეობათა მიხედვით, ფრაქციების ძალთა შეფარდება ერთბაშად ირკვეოდა, ამიტომ ყრილობის ეს ნაწილი ყველაზე უფრო მშვიდი

და ნაყოფიერი იყო; ეს აშკარად ამტკიცებს იმას, რომ პრინციპულობა კამათში ყრილობის მუშაობის ნაყოფიერებისა და სიმშვიდის საუკეთესო გარანტია არის.

გადავიდეთ ყრილობის მუშაობის პირველი ნაწილის მოკლე დახასიათებაზე.

ამხ. პლეხანოვის სიტყვის შემდეგ, რომელმაც ყრილობა გახსნა და თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ აუცილებელია «შემთხვევიდან შემთხვევამდე» შეთანხმება ბურჟუაზიული საზოგადოების «პროგრესულ ელემენტებთანო», ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი ხუთი კაცის შემადგენლობით (თითო კაცი ფრაქციიდან), აირჩია სამანდატო კომისია და გადავიდა დღის წესრიგის შემუშავებაზე. დამახასიათებელია, რომ ამ ყრილობაზეც, ისევე როგორც შარშანდელ, გამაერთიანებელ ყრილობაზე, მენშევიკები უდიდესი გააფთრებით შეებრძოლნენ ბოლშევიკების წინადადებას, რომ დღის წესრიგში შეტანილიყო მომენტის შეფასებისა და ჩვენს რევოლუციაში პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების საკითხები. ძლიერდება თუ ნელდება რევოლუცია, და ამის შესაბამისად — საჭიროა რევოლუციის «ლიკვიდაცია» თუ მისი ბოლომდე მიყვანა; როგორია ჩვენს რევოლუციაში პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები, რომლებიც მკაფიოდ ავლებენ საზღვარს პროლეტარიატსა და რუსეთის საზოგადოების დანარჩენ კლასებს შორის, — აი რა საკითხებისა ეშინიათ ამხ. მენშევიკებს. ამ საკითხებს მენშევიკები ისე გაურბიან, როგორც მზეს ჩრდილი, მათ არა სურთ დღის სინათლეზე გამოიტანონ ჩვენი უთანხმოების ფესვები. რატომ? იმიტომ, რომ ამ საკითხებზე თვით მენშევიკების ფრაქციაში ღრმა უთანხმოებაა; იმიტომ, რომ მენშევიზმი მთლიანი მიმდინარეობა არ არის, მენშევიზმი ისეთ მიმდინარეობათა გროვაა, რომლებიც შეუმჩნეველია ბოლშევიზმთან ფრაქციული ბრძოლის დროს, მაგრამ რომლებიც მყისვე იჩენენ

თავს მომენტისა და ჩვენი ტაქტიკის საკითხების პრინციპულად დაყენების დროს. მენშევიკებს არა სურთ გამოააშკარაონ თავიანთი ფრაქციის ეს შინაგანი სისუსტე. ბოლშევიკებმა ეს იცოდნენ და ისინი, კამათის მეტი პრინციპულობისათვის, დაჟინებით მოითხოვდნენ ზემოაღნიშნული საკითხების შეტანას დღის წესრიგში. მენშევიკებმა, რაკი დაინახეს, რომ პრინციპულობა მათი სიკვდილია, ჯიუტობა დაიწყეს, აგრძნობინეს «თავაზიან ამხანაგებს», რომ «ეწყინებათ», — და ყრილობასაც დღის წესრიგში არ შეუტანია მომენტის საკითხი და სხვ.. ბოლოს და ბოლოს მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, სათათბიროს ფრაქციის ანგარიში, არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ, სათათბიროს შესახებ, მუშათა ყრილობის შესახებ, პროფესიული კავშირების შესახებ, პარტიზანული გამოსვლების შესახებ, კრიზისები, ლოკაუტები და უმუშევრობა, შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესი [36], ორგანიზაციული საკითხები.

ც. კ-ის ანგარიშის საკითხზე მთავარ მომხსენებლებად გამოვიდნენ ამხ. მარტოვი (მენშევიკებისაგან) და ამხ. რიადოვოი [37] (ბოლშევიკებისაგან). მარტოვის მოხსენება, კაცმა რომ თქვას, მოხსენება კი არ იყო მოვლენების სერიოზულად გაშუქებით, არამედ გულითადად მოთხრობილი ამბავი, თუ როგორ მოჰკიდა ხელი უმანკო ც. კ-მა პარტიისა და შემდეგ სათათბიროს ფრაქციის ხელმძღვანელობას, და როგორ უშლიდნენ ხელს მის მოქმედებას «საშინელი» ბოლშევიკები იმით, რომ საქმეს უჭირვებდნენ თავიანთი პრინციპულობით. პასუხისმგებელი კადეტური სამინისტროს, «სათათბიროს

სესიის განახლებისა» და სხვ. და სხვ. ლოზუნგებს, რომლებიც ც. კ-მა წამოაყენა, ხოლო პარტიამ შემდეგ უარყო, მარტოვი იმით ამართლებდა, რომ მომენტი გაურკვეველი იყო და ჩამოვარდნილი სიწყნარის დროს სხვა ლოზუნგების წამოყენება არ შეიძლებოდაო. ც. კ-ის შეუსაბამო მოწოდებას საყოველთაო გაფიცვისაკენ, შემდეგ კი ნაწილობრივი გამოსვლებისაკენ პირველი სათათბიროს გარეკვისთანავე — მარტოვი მდგომარეობის იმავე გაურკვევლობითა და მასების სულიერი განწყობილების ზუსტად გაგების შეუძლებლობით ამართლებდა. ძალიან ცოტა ილაპარაკა ც. კ-ის როლზე პეტერბურგის ორგანიზაციის გათიშვის საქმეში[38]. სამაგიეროდ მეტისმეტად ბევრი ილაპარაკა სამხედრო და მებრძოლი ორგანიზაციების კონფერენციის შესახებ, რომელიც ბოლშევიკების ერთი ჯგუფის თაოსნობით გაიმართა და რომელმაც, მარტოვის აზრით, დეზორგანიზაცია და ანარქია შეიტანა პარტიულ ორგანიზაციებში. მოხსენების დასასრულს მარტოვი მოუწოდებდა ყრილობას მხედველობაში მიეღო პარტიის ხელმძღვანელობისათვის საჭირო მუშაობის მძიმე პირობები, რაც მომენტის განსაკუთრებული სირთულითა და დახლართულობით იყო გამოწვეულიო, და სიმკაცრე არ გამოეჩინა ც. კ-ის მიმართ. ცხადია, თვითონ მარტოვი აღიარებდა ც. კ-ის სერიოზულ ცოდვებს.

ამხ. რიადოვოის მოხსენება სულ სხვა ხასიათისა იყო. მისი აზრით, პარტიის ც. კ. მოვალეა: 1) იცავდეს და ატარებდეს პარტიის პროგრამას, 2) ახორციელებდეს ტაქტიკურ დირექტივებს, რომლებიც მას პარტიის ყრილობამ მისცა, 3) იცავდეს პარტიის მთლიანობას, 4) აერთიანებდეს პარტიის დადებით მუშაობას. ც. კ-ს კი არც ერთი ეს მოვალეობა არ შეუსრულებია. პარტიის პროგრამის დაცვისა და გატარების ნაცვლად, ც. კ., პირველი სათათბიროს ცნობილი აგრარული მიმართვის გამო[39],

წინადადებას აძლევდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომ მას, ოპოზიციის ერთიანობის ინტერესებისათვის, კადეტების მიმხრობის ინტერესებისათვის, არ შეეტანა სათათბიროს მიმართვაში ჩვენი აგრარული პროგრამის ცნობილი პუნქტი (მემამულეთა) მთელი მიწის კონფისკაციის შესახებ, არამედ დაჯერებოდა უბრალო განცხადებას მიწის გასხვისების შესახებ უშენიშვნოდ: გამოყიდვით თუ გამოუყიდველად.

ერთი ჩაუფიქრდით: პარტიის ც. კ. წინადადებას იძლეოდა ამოგდებულიყო პარტიის პროგრამის უმნიშვნელოვანესი პუნქტი მიწის კონფისკაციის შესახებ. ც. კ. პარტიის პროგრამას არღვევდა! ც. კ. — პროგრამის დამრღვევი, — შეგიძლიათ თუ არა წარმოიდგინოთ ეს გაუგონარი სამარცხვინო საქციელი?

შემდეგ. იმის ნაცვლად, რომ ცხოვრებაში გაეტარებინა თუნდაც დირექტივები გამაერთიანებელი ყრილობისა; იმის ნაცვლად, რომ სათათბიროს შიგნით სისტემატურად გაეღრმავებინა პარტიების ბრძოლა სათათბიროს გარეთ კლასთა ბრძოლაში მეტი შეგნებულობის შეტანის მიზნით; იმის ნაცვლად, რომ განეხორციელებინა პროლეტარიატის მტკიცე კლასობრივი დამოუკიდებელი პოლიტიკა, — ც. კ-მა წამოაყენა პასუხისმგებელი კადეტური სამინისტროს, «სათათბიროს სესიის განახლების», «სათათბიროს დასაცავად კამარილიასთან ბრძოლის» და სხვ. და სხვ. ლოზუნგები, რომლებიც აფუჩეჩებდნენ პარტიის ბრძოლას სათათბიროში, ჩქმალავდნენ კლასობრივ წინააღმდეგობებს სათათბიროს გარეთ, შლიდნენ ყოველგვარ საზღვარს პროლეტარიატის მებრძოლ პოლიტიკასა და ლიბერალური ბურჟუაზიის შემთანხმებლურ პოლიტიკას შორის და პროლეტარიატის პოლიტიკას უგუებდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკას. და როდესაც ერთ-ერთი წევრი ცენტრალური ორგანოსი, მაშასადამე, ცენტრალური

კომიტეტისაც, ამბ. პლეხანოვი, კიდევ უფრო შორს წავიდა კადეტებთან შეთანხმების გზაზე და წინადადებით მიმართა პარტიას — ბლოკი შეეკრა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, უკუეგდო დამფუძნებელი კრების ლოზუნგი და წამოეყენებინა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის მისაღები ლოზუნგი «სრულუფლებიანი სათათბიროსი», — ც. კ-მა არამცთუ პროტესტი არ განაცხადა ამბ. პლეხანოვის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან პარტიის შემარცხვენელი საქციელი ჩაიდინა, არამედ ეთანხმებოდა კიდეც მას, თუმცა თავისი თანხმობის ოფიციალურად გამოთქმა ვერ გაბედა.

აი როგორ არღვევდა პარტიის ც. კ. პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკისა და გამაერთიანებელი ყრილობის დადგენილებათა ელემენტარულ მოთხოვნებს!

ც. კ., რომელიც პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას აბნელებს; ც. კ., რომელიც პროლეტარიატის პოლიტიკას ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკას უმორჩილებს; ც. კ., რომელიც პროლეტარიატის დროშას ხრის კადეტური ლიბერალიზმის შარლატნების წინაშე — აი სადამდის მიგვიყვანეს მენშევიზმის ოპორტუნისტებმა!

აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ც. კ. არამცთუ არ იცავდა პარტიის ერთიანობასა და დისციპლინას, არამედ სისტემატურად არღვევდა მათ, — მან იკისრა პეტერბურგის ორგანიზაციის გათიშვის თაოსნობა.

არ გვინდა ბევრი ვილაპარაკოთ იმაზედაც, რომ ც. კ. არ აერთიანებდა პარტიის მუშაობას — ეს თავისთავად ცხადია.

რით აიხსნება ყველაფერი ეს, ც. კ-ის მთელი ეს შეცდომები? რა თქმა უნდა, ამის მიზეზია არა «საშინელი» პიროვნებანი, რომლებიც ც. კ-ში ისხდნენ, არამედ ის, რომ მენშევიზმს, რომელიც მაშინ ც. კ-ს ავსებდა, პარტიის ხელმძღვანელობის უნარი არ შესწევს, ის საბოლოოდ

გაკოტრდა, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა. ამ თვალსაზრისით ც. კ-ის მთელი ისტორია მენშევიზმის მარცხის ისტორიას წარმოადგენს. და როდესაც ამხ. მენშევიკები გვისაყვედურებენ და გვეუბნებიან, რომ ჩვენ «ხელს ვუშლიდით» ც. კ-ს, «საქმეს ვუჭირვებდით» მას და სხვ. და სხვ., ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუპასუხოთ ამ მორალის წამკითხველ ამხანაგებს: დიახ, ამხანაგებო, ჩვენ «ხელს ვუშლიდით» ც. კ-ს, რომ მას არ დაერღვია ჩვენი პროგრამა, ჩვენ «ხელს ვუშლიდით» ც. კ-ს, რომ მას პროლეტარიატის ტაქტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის გემოვნებისათვის არ შეეგუებინა, და კვლავაც შევუშლით ხელს, რადგან ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა...

დაახლოებით ასე ილაპარაკა ამხანაგმა რიადოვოიმ.

კამათიდან გამოირკვა, რომ ამხანაგების მეტი ნაწილი, ზოგიერთი ბუნდელიც კი, მხარს უჭერს ამხ. რიადოვოის თვალსაზრისს. და თუ მაინც არ გავიდა ბოლშევიკების რეზოლუცია, რომელიც ც. კ-ის შეცდომებს აღნიშნავდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ამხანაგებზე ძლიერ მოქმედებდა მოსაზრება: «ვაი თუ გათიშვა გამოვიწვიოთო». რასაკვირველია, არ გავიდა მენშევიკების რეზოლუციაც ც. კ-ისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. გავიდა უბრალო გადასვლა მორიგ საქმეებზე ც. კ-ის მუშაობის შეუფასებლად...

კამათი სათათბიროს ფრაქციის ანგარიშის საკითხზე საერთოდ წარმოადგენდა წინა საკითხის ირგვლივ გამართული კამათის განმეორებას. ეს გასაგებიც არის: სათათბიროს ფრაქცია ც. კ-ის პირდაპირი ხელმძღვანელობით მოქმედებდა, და, ბუნებრივია, ც. კ-ის კრიტიკა თუ დაცვა ამავე დროს სათათბიროს ფრაქციის კრიტიკასა თუ დაცვას წარმოადგენდა.

საინტერესო იყო მეორე მომხსენებლის, ამხ. ალექსინსკის (პირველი მომხსენებელი ამხ. წერეთელი იყო) შენიშვნა, რომ ლოზუნგი სათათბიროს ფრაქციისა, რომლის უმრავლესობა მენშევიკური იყო, სათათბიროში ოპოზიციის ერთიანობის შესახებ, ოპოზიციის გაუთიშველობისა და კადეტებთან ერთად მოქმედების საჭიროების შესახებ — ეს მენშევიკური ლოზუნგი, ამხ. ალექსინსკის გამოთქმით, სათათბიროში სავსებით გაკოტრდა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, მაგალითად, ბიუჯეტისა, არმიისა და სხვა საკითხებში, კადეტები სტოლიპინთან ერთად მიდიოდნენ, და სოციალ-დემოკრატ-მენშევიკებს გლეხთა დეპუტატებთან მხარდამხარ ბრძოლა უხდებოდათ მთავრობისა და კადეტების წინააღმდეგ. მენშევიკებს სინამდვილეში უხდებოდათ თავიანთი პოზიციის გაკოტრების აღნიშვნა და სათათბიროში ბოლშევიკების იმ ლოზუნგის გატარება, რომ საჭიროა გლეხთა დეპუტატები გავიყოლიოთ მემარჯვენეებისა და კადეტების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაშიო.

არა ნაკლებ საინტერესოა პოლონელი ამხანაგების შენიშვნა, რომ სათათბიროს ფრაქციისათვის შეუწყნარებელია საერთო კრებების გამართვა ნაროდოვცებთან [40], პოლონეთის ამ შავრაზმელებთან ერთად, რომლებსაც არა ერთხელ მოუწყვიათ პოლონეთის სოციალისტების ხოცვა-ჟლეტა და რომლებიც ახლაც აწყობენ მათ ხოცვა-ჟლეტას. ამის პასუხად კავკასიელი მენშევიკების ორმა ლიდერმა [41] ზედიზედ განაცხადა: სათათბიროს ფრაქციისათვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ შინ რას აკეთებენ პარტიები, — არამედ იმას, თუ როგორ იქცევიან სათათბიროშიო, სათათბიროში კი ნაროდოვცები ცოტად თუ ბევრად ლიბერალურად იქცევიანო. ისე გამოდიოდა, რომ პარტიები უნდა დაგვეხასიათებინა არა იმის მიხედვით, თუ რას **აკეთებენ** ისინი სათათბიროს გარეთ, არამედ იმის მიხედვით.

თუ რას **ლაპარაკობენ** სათათბიროში. ამაზე შორს ოპორტუნიზმი ვეღარ წავა...

ორატორების უმრავლესობა ეთანხმებოდა ამხ. ალექსინსკის თვალსაზრისს, მაგრამ ამ საკითხზედაც არავითარი რეზოლუცია არ ყოფილა მიღებული ისევ იმავე მოსაზრებით: «არ ვაწყენინოთო». ყრილობამ რეზოლუციის საკითხი გადადო და პირდაპირ გადავიდა შემდეგ საკითხზე.

III

არაპროლეტარული პარტიების შესახებ

ფორმალური საკითხებიდან გადავდივართ პრინციპულ საკითხებზე, ჩვენი უთანხმოების საკითხებზე.

ჩვენი ტაქტიკური უთანხმოების საკითხები ჩვენი რევოლუციის მოსალოდნელი ბედისა და ამ რევოლუციაში რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და პარტიის როლის საკითხებია. ჩვენი რევოლუცია რომ ბურჟუაზიულია, ის რომ ბატონყმური და არა კაპიტალისტური წესწყობილების განადგურებით უნდა დამთავრდეს, ის რომ მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკით შეიძლება დაგვირგვინდეს, — ამას, გვგონია, ჩვენს პარტიაში ყველა ეთანხმება. შემდეგ, ჩვენი რევოლუცია რომ საერთოდ და მთლიანად ძლიერდება და არა ნელდება, და ჩვენს ამოცანას რომ რევოლუციის «ლიკვიდაცია» კი არა, არამედ მისი ბოლომდე მიყვანა შეადგენს, — ამასაც, ფორმალურად მაინც, ყველა ეთანხმება, რადგან მენშევიკებს, როგორც ფრაქციას, ამის საწინააღმდეგო ჯერ არსად არაფერი განუცხადებიათ. მაგრამ როგორ უნდა მივიყვანოთ ჩვენი რევოლუცია ბოლომდე? როგორია პროლეტარიატის, გლეხობის, ლიბერალური ბურჟუაზიის როლი ამ რევოლუციაში? მებრძოლი ძალების როგორი შეხამებით შეიძლებოდა მიმდინარე რევოლუციის ბოლომდე მიყვანა? ვისთან ერ-

თად ვიაროთ, ვის დავარტყათ და სხვ. და სხვ.. აი სად გვეწყება უთანხმოება.

მენშევიკების აზრი. რადგან ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ამიტომ მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია რევოლუციის ბელადი იყოს. ბურჟუაზია იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბელადი, იგი იყო ევროპის სხვა სახელმწიფოთა რევოლუციების ბელადი — იგივე ბურჟუაზია უნდა იყოს აგრეთვე ჩვენი, რუსეთის რევოლუციის ბელადი. პროლეტარიატი რევოლუციის მთავარი მებრძოლია, მაგრამ ის ბურჟუაზიას უნდა მისდევდეს და წინ უბიძგებდეს მას. გლეხობაც რევოლუციური ძალაა, მაგრამ მას მეტისმეტად ბევრი რამ აქვს რეაქციული, და ამიტომ პროლეტარიატს გაცილებით უფრო იშვიათად მოუხდება მასთან ერთად გამოსვლა, ვიდრე ლიბერალურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიასთან. ბურჟუაზია უფრო საიმედო მოკავშირეა პროლეტარიატისა, ვიდრე გლეხობა. ლიბერალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის გარშემო, როგორც ბელადის გარშემო, უნდა ირაზმებოდნენ მთელი მებრძოლი ძალები. ამიტომ ჩვენს დამოკიდებულებას ბურჟუაზიული პარტიებისადმი უნდა განსაზღვრავდეს არა რევოლუციური დებულება: გლეხობასთან ერთად მთავრობისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მეთაურობით, — არამედ ოპორტუნისტული დებულება: მთელ ოპოზიციასთან ერთად მთავრობის წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით. აქედან გამომდინარეობს ლიბერალებთან შეთანხმების ტაქტიკა.

ასეთია მენშევიკების აზრი.

ბოლშევიკების აზრი. ჩვენი რევოლუცია მართლაც ბურჟუაზიულია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი ბელადი ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია იქნება. მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზია საფრანგეთის რევოლუციის ბელადი იყო, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ

საფრანგეთის პროლეტარიატი სუსტი იყო, დამოუკიდებლად არ გამოდიოდა, თავის კლასობრივ მოთხოვნებს არ აყენებდა, მას არა ჰქონდა არც კლასობრივი შეგნება, არც ორგანიზაცია, ის მაშინ კუდში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიას, და ბურჟუაზიაც იარაღად იყენებდა მას თავისი ბურჟუაზიული მიზნებისათვის. როგორც ხედავთ, ბურჟუაზიას მაშინ არ სჭირდებოდა მოკავშირე მეფის ხელისუფლების სახით, პროლეტარიატის წინააღმდეგ — პროლეტარიატი თვითონ იყო ბურჟუაზიის მოკავშირე-მსახური — ამიტომაც შეეძლო მაშინ ბურჟუაზიას რევოლუციური ყოფილიყო, რევოლუციის სათავეშიც კი მდგარიყო. სულ სხვას ვხედავთ ჩვენში, რუსეთში. რუსეთის პროლეტარიატს სრულებითაც არ შეიძლება სუსტი ვუწოდოთ: ის უკვე რამდენიმე წელიწადია სრულიად დამოუკიდებლად გამოდის და თავის კლასობრივ მოთხოვნებს აყენებს; ის საკმაოდ არის აღჭურვილი კლასობრივი თვითშეგნებით, რათა ესმოდეს თავისი ინტერესები; ის დარაზმულია თავის პარტიად; მას ჰყავს რუსეთში უძლიერესი, თავისი პროგრამისა და ტაქტიკურ-ორგანიზაციული პრინციპების მქონე პარტია; ამ პარტიის მეთაურობით მან უკვე მოიპოვა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებანი ბურჟუაზიაზე... შეუძლია თუ არა ამ პირობებში ჩვენს პროლეტარიატს დასჯერდეს ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალის როლს, ამ ბურჟუაზიის ხელში უბადრუკი იარაღის როლს? შეუძლია თუ არა, უნდა მისდევდეს თუ არა პროლეტარიატი ბურჟუაზიას და თავის ბელადად გაიხადოს იგი? შეუძლია თუ არა მას რევოლუციის ბელადი არ იყოს? აბა შეხედეთ, რა ხდება ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზიის ბანაკში: პროლეტარიატის რევოლუციურობით დაშინებული ჩვენი ბურჟუაზია, იმის ნაცვლად, რომ რევოლუციას მეთაურობდეს, გულ-მკერდში ეხუტება კონტრრევოლუციას, უკავშირდება მას პროლეტარიატის წინააღმდეგ. ხოლო

ბურჟუაზიის პარტია, კადეტების პარტია, აშკარად, საქვეყნოდ უთანხმდება სტოლიპინს, ხმას აძლევს ბიუჯეტსა და არმიას ცარიზმის სასარგებლოდ, სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ. განა ცხადი არ არის, რომ რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ანტირევოლუციური ძალაა, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა უაღრესად ულმობელი ომის წარმოება? და განა მართალი არ იყო ამხ. კაუცკი, როცა ამბობდა — იქ, სადაც პროლეტარიატი დამოუკიდებლად გამოდის, ბურჟუაზია რევოლუციური აღარ არისო?..

მაშ ასე: რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ანტირევოლუციურია; მას არ შეუძლია რევოლუციის არც მამოძრავებელი იყოს, არც, მით უმეტეს, ბელადი; ის რევოლუციის მოსისხლე მტერია, და მის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა არის საჭირო.

ჩვენი რევოლუციის ერთადერთი ბელადი, რომელიც დაინტერესებულია და რომელსაც შეუძლია გაიყოლიოს რუსეთის რევოლუციური ძალები მეფის თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად, — პროლეტარიატია. მხოლოდ პროლეტარიატი დარაზმავს თავის გარშემო ქვეყნის რევოლუციურ ელემენტებს, მხოლოდ ის მიიყვანს ჩვენს რევოლუციას ბოლომდე. სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა გააკეთოს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, პროლეტარიატის მოსამზადებლად რევოლუციის ბელადის როლისათვის.

ეს არის ბოლშევიკური თვალსაზრისის ღერძი.

კითხვაზე: მაშ ვინ შეიძლება პროლეტარიატის საიმედო მოკავშირე იყოს ჩვენი რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში — ბოლშევიკები უპასუხებენ: ერთადერთი რამდენადმე საიმედო და ძლიერი მოკავშირე პროლეტარიატისა რევოლუციური გლეხობა არის. არა მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური გლეხობა

იბრძოლებს პროლეტარიატთან ერთად ბატონყმური წეს-წყობილების ყველა საფუძვლის წინააღმდეგ.

ამის შესაბამისად ჩვენს დამოკიდებულებას ბურჟუაზიული პარტიებისადმი უნდა განსაზღვრავდეს დებულება: რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მეთაურობით. აქედან გამომდინარეობს კადეტური ბურჟუაზიის ჰეგემონიასთან (წინამძღოლობა) ბრძოლის აუცილებლობა და, მაშასადამე, კადეტებთან შეთანხმების შეუწყნარებლობა.

ასეთია ბოლშევიკების აზრი.

ამ ორი პოზიციის ფარგლებში ტრიალებდა მომხსენებელთა, ლენინისა და მარტინოვის, და ყველა დანარჩენი ორატორის სიტყვები.

ამხ. მარტინოვმა საბოლოოდ «გააღრმავა» მენშევიკების თვალსაზრისი, როცა კატეგორიულად უარყო პროლეტარიატის ჰეგემონიის შესაძლებლობა და კატეგორიულადვე დაიცვა კადეტებთან ბლოკის შეკვრის იდეა.

დანარჩენი ორატორები, მათი დიდი უმრავლესობა, ბოლშევიკურ პოზიციას უჭერდნენ მხარს.

განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვები ამხ. როზა ლუქსემბურგისა, რომელმაც ყრილობას სალამი გადასცა გერმანიის სოციალ-დემოკრატების სახელით და განავითარა ჩვენი გერმანელი ამხანაგების შეხედულება ჩვენს უთანხმოებაზე. (რ. ლ-ის სხვადასხვა დროს წარმოთქმულ ორივე სიტყვას ჩვენ აქ ვაირთებთ). რ. ლუქსემბურგი სავსებით ეთანხმებოდა ბოლშევიკებს შემდეგ საკითხებში: როლი პროლეტარიატისა, როგორც რევოლუციის ბელადისა; როლი ლიბერალური ბურჟუაზიისა, როგორც ანტირევოლუციური ძალისა და სხვ. და სხვ.; იგი აკრიტიკებდა მენშევიზმის ლიდერებს, პლეხანოვსა და აქსელროდს, ოპორტუნისტებს უწოდებდა მათ, ხოლო მათს პოზიციას

ადარებდა ჟორესისტების პოზიციას საფრანგეთში. ვიცით, ამბობდა ლუქსემბურგი, რომ ბოლშევიკებსაც აქვთ ზოგიერთი შეცდომა, უცნაურობა, ზედმეტი შეუდრეკელობა, მაგრამ მე მათი სავსებით მესმის და ვამართლებ მათ: არ შეიძლება შეუდრეკელი არ იყო, მენშევიკური ოპორტუნიზმის უსახო, სისხლგაყინულ მასას რომ უყურებ. ასეთსავე ზედმეტ შეუდრეკელობას იჩენდნენ საფრანგეთში გედისტები [42], რომელთა ლიდერი, ამხ. გედი, ცნობილ საარჩევნო აფიშაში აცხადებდა: «არ გაბედოს არც ერთმა ბურჟუამ და ხმა არ მომცეს, რადგან მე პარლამენტში დავიცავ მხოლოდ პროლეტარების ინტერესებს ყველა ბურჟუას წინააღმდეგ». და მიუხედავად ამისა, მიუხედავად ამ სიმძაფრისა, ჩვენ, გერმანელი სოციალ-დემოკრატები, ყოველთვის გედისტების მხარეზე ვიყავით მარქსიზმის მოღალატეების წინააღმდეგ, ჟორესისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგივე უნდა ითქვას ბოლშევიკებზედაც, რომლებსაც ჩვენ, გერმანელი სოციალ-დემოკრატები, მხარს დავუჭერთ ოპორტუნისტ მენშევიკებთან ბრძოლაშიო...

დაახლოებით ასე ილაპარაკა ამხ. რ. ლუქსემბურგმა.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობილი წერილი, რომელიც ყრილობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუგზავნა და როზა ლუქსემბურგმა წაიკითხა. წერილი იმით არის საინტერესო, რომ, ურჩევს პარტიას **ებრძოლოს** ლიბერალიზმს, აღიარებს რუსეთის პროლეტარიატის, როგორც რუსეთის რევოლუციის ბელადის, განსაკუთრებულ როლს და ამით აღიარებს ბოლშევიზმის ყველა ძირითად დებულებას.

ამგვარად, ცხადი ხდებოდა, რომ ევროპაში ყველაზე ნაცადი და ყველაზე რევოლუციური გერმანული სოციალ-დემოკრატია აშკარად და ნათლად უჭერს მხარს ბოლშევიკებს, როგორც ნამდვილ მარქსისტებს, მარქსიზმის

მოღალატეების **წინააღმდეგ**, მენშევიკების **წინააღმდეგ** ბრძოლაში.

საგულისხმოა აგრეთვე ზოგიერთი ადგილი იმ სიტყვისა, რომელიც წარმოთქვა **ამხ.** ტიშკომ — პოლონეთის დელეგაციის წარმომადგენელმა პრეზიდიუმში. ორივე ფრაქცია გვარწმუნებს, თქვა ამხ. ტიშკომ, რომ ისინი მტკიცედ დგანან მარქსიზმის თვალსაზრისზე. ყველა როდი გაიგებს ადვილად: ვინა დგას, ბოლოს და ბოლოს, ამ თვალსაზრისზე — ბოლშევიკები თუ მენშევიკები... «მარქსიზმის თვალსაზრისზე ჩვენა ვდგავართო», — შეაწყვეტინა ლაპარაკი «მარცხნიდან» რამდენიმე მენშევიკმა. «არა, ამჯანაგებო», — უპასუხა მათ ტიშკომ, — «თქვენ კი არა დგახართ, არამედ **წევხართ** მასზე: ვინაიდან მთელი თქვენი უმწეობა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში, ის ფაქტი, რომ თქვენ იცით დიდი მარქსის დიადი სიტყვების გაზეპირება, მაგრამ არ იცით მათი გამოყენება, — ყოველივე ეს იმას **მოწმობს**, რომ თქვენ კი არა დგახართ, არამედ წევხართ მარქსიზმის თვალსაზრისზე».

ეს იყო მხატვრულად მოსწრებული თქმა.

მართლაც, აიღეთ თუნდაც შემდეგი ფაქტი. მენშევიკები ხშირად ამბობენ, სოციალ-დემოკრატიის ამოცანა ყველგან და ყოველთვის არის პროლეტარიატის გადაქცევა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად. სწორია თუ არა ეს? უთუოდ სწორია! ეს მარქსის დიადი სიტყვებია, რომლებიც მუდამ უნდა ახსოვდეს ყოველ მარქსისტს. მაგრამ როგორ იყენებენ ამ სიტყვებს ამხ. მენშევიკები? ხელს უწყობენ თუ არა ისინი პროლეტარიატის ფაქტიურ გამოყოფას გარემომცველი ბურჟუაზიული ელემენტების მასიდან ცალკე დამოუკიდებელ კლასად? რაზმავენ თუ არა ისინი რევოლუციურ ელემენტებს პროლეტარიატის გარშემო და ამზადებენ თუ არა პროლეტარიატს რევოლუციის ბელადის

როლისათვის? ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მენშევიკები არაფერს ამის მსგავსს არ აკეთებენ. პირიქით: მენშევიკები ურჩევენ პროლეტარიატს ხშირ-ხშირად შეუთანხმდეს ლიბერალურ ბურჟუაზიას, — და ამით ხელს უწყობენ პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასად გამოყოფას კი არა, არამედ მის შერევას ბურჟუაზიასთან; მენშევიკები ურჩევენ პროლეტარიატს უარი თქვას რევოლუციის ბელადის როლზე, ეს როლი ბურჟუაზიას დაუთმოს, უკან გაჰყვეს ბურჟუაზიას, — და ამით ხელს უწყობენ პროლეტარიატის გადაქცევას არა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, — არამედ მის გადაქცევას ბურჟუაზიის მაჩანჩალად... ესე იგი, მენშევიკები სწორედ იმის საწინააღმდეგოს აკეთებენ, რაც უნდა გაეკეთებინათ სწორი მარქსისტული დებულების მიხედვით.

დიახ, მართალი იყო ამხ. ტიშკა, როცა თქვა, მენშევიკები კი არა დგანან, არამედ წვანან მარქსიზმის თვალსაზრისზეო...

კამათის დამთავრების შემდეგ წარმოდგენილ იქნა რეზოლუციის ორი პროექტი: მენშევიკური და ბოლშევიკური. მათგან ხმის დიდი უმრავლესობით ყრილობამ საფუძვლად ბოლშევიკების პროექტი მიიღო.

შემდეგ დაიწყო პროექტის შესწორებათა შემოტანა. შემოვიდა დაახლოებით 80 შესწორება. შესწორებანი უმთავრესად პროექტის ორ პუნქტს ეხებოდნენ: პუნქტს პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის ბელადის, შესახებ, და მეორე პუნქტს — კადეტების, როგორც ანტირევოლუციური ძალის, შესახებ. ეს იყო კამათის ყველაზე საინტერესო ნაწილი, რადგან აქ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოირკვა ფრაქციების ფიზიონომია. პირველი მნიშვნელოვანი შესწორება ამხ. მარტოვმა შემოიტანა. ის მოითხოვდა შეცვლილიყო სიტყვები: «პროლეტარიატი,

როგორც რევოლუციის **ბელადი»** სიტყვებით: «პროლეტარიატი, როგორც **ავანგარდი»**. თავის შესწორებას იგი იმით ასაბუთებდა, რომ სიტყვა «ავანგარდი» აზრს უფრო ზუსტად გამოხატავსო. მას ამხ. ალექსინსკიმ უპასუხა. ის ამბობდა, საქმე სიზუსტე კი არ არის, არამედ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც ამ პუნქტში აშკარავდებაო: რადგან «ავანგარდი» და «ბელადი» — ორი სრულიად სხვადასხვა ცნება არისო. იყო ავანგარდი (მოწინავე რაზმი), — ეს იმას ნიშნავს, რომ იბრძოდე მოწინავე რიგებში, გეჭიროს ადგილი, რომელსაც მტერი ყველაზე მეტად უშენს, სისხლს ღვრიდე, მაგრამ ამავე დროს **სხვა გხელმძღვანელობდეს,** ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული დემოკრატები: ავანგარდი არასოდეს არ ხელმძღვანელობს საერთო ბრძოლას, მაგრამ ავანგარდს ყოველთვის ხელმძღვანელობენ. პირიქით: ბელადობა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ მოწინავე რიგებში იბრძოდე, **არამედ კიდეც ხელმძღვანელობდე საერთო ბრძოლას, წარმართავდე** მას შენი მიზნისაკენ. ჩვენ, ბოლშევიკებს, არა გვსურს, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიული დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ, — ჩვენ გვინდა, რომ პროლეტარიატი თვითონ ხელმძღვანელობდეს ხალხის მთელ ბრძოლას და წარმართავდეს მას დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ.

შედეგად მარტოვის შესწორება უკუაგდეს.

უკუაგდეს აგრეთვე ასეთივე ხასიათის ყველა სხვა შესწორება.

შესწორებათა მეორე ჯგუფი მიმართული იყო იმ პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც კადეტებს ეხებოდა. მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ — აღიარებული ყოფილიყო, რომ კადეტები ჯერ კიდევ არ დასდგომიან კონტრრევოლუციის გზას. მაგრამ ყრილობამ ეს წინადადება არ მიიღო და ამ ხასიათის ყველა შესწორება

უკუაგდო. შემდეგ მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში ნებადართული ყოფილიყო ტექნიკური შეთანხმებანი კადეტებთან. ყრილობამ არც ეს წინადადება მიიღო და საამისო შესწორებანი უკუაგდო.

ბოლოს კენჭი უყარეს მთლიანად რეზოლუციას, და აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკების რეზოლუციას 159 კაცმა მისცა ხმა, 104 წინააღმდეგი იყო, დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

ხმის დიდი უმრავლესობით ყრილობამ ბოლშევიკების რეზოლუცია მიიღო.

ამიერიდან ბოლშევიკების თვალსაზრისი პარტიის თვალსაზრისად გადაიქცა.

გარდა ამისა, ამ კენჭისყრამ ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა:

ჯერ ერთი, მან ბოლო მოუღო ყრილობის ფორმალურ, ხელოვნურ დაყოფას 5 ფრაქციად (ბოლშევიკები, მენშევიკები, პოლონელები, ლატვიელები, ბუნდელები) და დასაწყისი მისცა ახალ, პრინციპულ დაყოფას: ბოლშევიკებად (ყველა პოლონელისა და ლატვიელების უმრავლესობის ჩათვლით) და მენშევიკებად (თითქმის ყველა ბუნდელის ჩათვლით).

მეორეც, ამ კენჭისყრამ მოგვცა უაღრესად ზუსტი სტატისტიკა მუშათა დელეგატების განაწილებისა ფრაქციების მიხედვით: გამოირკვა, რომ ბოლშევიკების ფრაქციაში 38 კი არა, 77 მუშაა (38 პლუს 27 პოლონელი, პლუს 12 ლატვიელი), ხოლო მენშევიკების ფრაქციაში 30 კი არა, 39 მუშაა (30 პლუს 9 ბუნდელი). მენშევიკური ფრაქცია ინტელიგენტური ფრაქცია აღმოჩნდა.

IV

მუშათა ყრილობის შესახებ

ვიდრე გადავიდოდეთ იმ კამათის დახასიათებაზე, რომელიც მუშათა ყრილობის საკითხის გამო გაიმართა, საჭიროა საკითხის ისტორიას გავეცნოთ *. საქმე ის არის, რომ ეს საკითხი მეტისმეტად დახლართული და გამოურკვეველია. იმ დროს, როდესაც ჩვენი უთანხმოების სხვა პუნქტების გამო პარტიაში უკვე ორი მკვეთრად განსაზღვრული მიმდინარეობა არსებობს: ბოლშევიკური და მენშევიკური, — მუშათა ყრილობის საკითხის გამო ორი კი არა, არამედ მთელი გროვა მიმდინარეობანია, მეტისმეტად გამოურკვეველნი და ერთიმეორის საწინააღმდეგონი. მართალია, ბოლშევიკები დარაზმულად და გარკვეულად გამოდიან: ისინი საერთოდ წინააღმდეგი არიან მუშათა ყრილობისა. სამაგიეროდ მენშევიკებში სრული ქაოსი და არევ-დარევაა: ისინი მრავალ ჯგუფად დაიყვნენ, ყოველი ჯგუფი თავისებურად მღერის და სხვას ყურს არ უგდებს. იმ დროს, როდესაც პეტერბურგელი მენშევიკები, აქსელროდის მეთაურობით, წინადადებას იძლევიან მუშათა ყრილობა **პარტიის შესაქმნელად** იქნას მოწვეული, — მოსკოველი მენშევიკები, ელის მეთაურობით, ყრილობის მოწვევას თხოულობენ პარტიის შექმნის ინტერესებისათვის კი არა, **არამედ უპარტიო «საერთო-რუსეთის მუშათა კავშირის» შექმნის მიზნით.** სამხრეთელი მენშევიკები კიდევ უფრო შორს მიდიან და ლარინის [44] მეთაურო-

---

* ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციებში გადაბარგებული **ამხ.** მენშევიკები ზღაპრებს ავრცელებენ ამ საკითხის წარსულსა და აწმყოზე (იხ. «ტოვარიშჩში» მოთავსებული სტატია «მუშათა ყრილობის» შესახებ, რომელიც თვალსაჩინო მენშევიკის კალამს ეკუთვნის და «ბაკინსკი დენშია» [43] გადაბეჭდილი).

ბით ქადაგებენ მუშათა ყრილობის მოწვევას არა პარტიისა და არა «მუშათა კავშირის», — **არამედ უფრო ფართო «შრომის კავშირის»** შექმნის მიზნით, რომელიც მოიცავდა, ყველა პროლეტარული ელემენტის გარდა, აგრეთვე ესერულ, ნახევრად-ბურჟუაზიულ, «მშრომელ» ელემენტებს. აღარას ვამბობ სხვა, ნაკლებ გავლენიან ჯგუფებსა და პირებზე, როგორიც არიან ოდესისა და იმიერკასპიის ჯგუფები და როგორიც არიან სასაცილო ბროშურის გლახაკი «ავტორები» — ეგრეთწოდებულნი «ბროდიაგა» და «შურა» [45].

ასეთია მენშევიკების რიგებში გამეფებული არევ-დარევა.

მაგრამ როგორ მოიწვიონ მუშათა ყრილობა, როგორ მოაწყონ, რას შეუფარდონ მისი მოწვევა, ვინ მოიწვიონ ყრილობაზე, ვინ იკისროს ყრილობის მოწვევის თაოსნობა?

ყველა ამ საკითხის გამო მენშევიკებს შორის ისეთივე არევ-დარევაა გამეფებული, როგორც ყრილობის მიზნის საკითხის გამო.

იმ დროს, როდესაც ზოგი მათგანი წინადადებას იძლევა, რომ მუშათა ყრილობის არჩევნები დაუკავშირდეს სათათბიროს არჩევნებს და, ამგვარად, «თვითნებური გზით» მოეწყოს მუშათა ყრილობა, — სხვები წინადადებას იძლევიან დავემყაროთ მთავრობის მხრივ «ხელშეშვების» იმედს, უკიდურეს შემთხვევაში, გამოვითხოვოთ მთავრობისაგან «ნებართვა», ზოგნი კი გვირჩევენ საზღვარგარეთ გაიგზავნონ დელეგატები, თუნდაც 3 — 4 ათასი დელეგატი იყოს, და იქ არალეგალურად ჩატარდეს მუშათა ყრილობა.

იმ დროს, როდესაც ზოგი მენშევიკი წინადადებას იძლევა, რომ ყრილობაზე წარმომადგენლობა მხოლოდ გაფორმებულ მუშათა ორგანიზაციებს მიეცეს, სხვები გვირჩევენ, რომ ყრილობაზე გაიგზავნონ წარმომადგენლები

საერთოდ მთელი ორგანიზებული და არაორგანიზებული პროლეტარიატისა, რომლის რიგებშიც ითვლება არა ნაკლებ 10 მილიონი კაცისა.

იმ დროს, როდესაც ზოგი მენშევიკი წინადადებას იძლევა, რომ მუშათა ყრილობა ს.-დ. პარტიის თაოსნობითა და ინტელიგენტების მონაწილეობით იქნეს მოწვეული, სხვები გვირჩევენ — განზე დავტოვოთ პარტიაც, ინტელიგენტებიც და მოვიწვიოთ ყრილობა მხოლოდ თვით მუშების თაოსნობით, ინტელიგენტების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

იმ დროს, როდესაც ზოგი მენშევიკი მუშათა ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვს, სხვები წინადადებას იძლევიან — განუსაზღვრელი დროისათვის გადავდოთ იგი და ჯერჯერობით დავჯერდეთ მხოლოდ აგიტაციას მუშათა ყრილობის იდეის სასარგებლოდ.

კეთილი, მაგრამ რა უნდა ვუყოთ არსებულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ხელმძღვანელობს პროლეტარიატის ბრძოლას, რომელსაც თავის რიგებში 150 000 წევრი ჰყავს დარაზმული, რომელსაც უკვე ხუთი ყრილობა ჰქონდა და სხვ. და სხვ.? «ჯანდაბას გავგზავნოთ», თუ სხვა რამ ვუყოთ?

ამის პასუხად ყველა მენშევიკი, აქსელროდიდან ლარინამდე, ერთხმად გაიძახის, **ჩვენ პროლეტარული პარტია არა გვყავსო.** «საქმეც ის არის, რომ ჩვენ პარტია არა გვყავს», — გვეუბნებოდნენ ყრილობაზე მენშევიკები, — **«ჩვენ მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაცია გვაქვს»**, რომელიც მუშათა ყრილობის შემწეობით პარტიად უნდა შეიცვალოთო. ასე განაცხადა პარტიულ ყრილობაზე მენშევიკების მომხსენებელმა, ამხ. აქსელროდმა.

მაგრამ მოითმინეთ, ეს როგორ არის? მაშ ჩვენი პარტიის მთელი ეს ყრილობანი, პირველი ყრილობიდან (1898 წ.) უკანასკნელამდე (1907 წ.), რომელთა მოწყობაში ამხ. მენშევიკები უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ; მთელი ეს უდიდესი ხარჯვა პროლეტარული ფულისა და ძალ-ღონისა, ხარჯვა, რაც საჭირო იყო ყრილობების მოსაწყობად, ხარჯვა, რაშიც მენშევიკებს ისევე უდევთ წილი, როგორც ბოლშევიკებს, — მაშ, ყველაფერი ეს მხოლოდ მოტყუება და ფარისევლობა ყოფილა?!

მაშ, პარტიის მთელი ეს საბრძოლო მოწოდებანი პროლეტარიატისადმი, მოწოდებანი, რომლებსაც მენშევიკებიც აწერდნენ ხელს; 1905 — 1906 — 1907 წლებში მომხდარი მთელი ეს გაფიცვები და აჯანყებანი, რომლებიც გაჩაღდა პარტიის მეთაურობით, ხშირად პარტიის თაოსნობით; პროლეტარიატის მიერ ჩვენი პარტიის მეთაურობით მოპოვებული მთელი ეს გამარჯვებანი; პროლეტარიატის მთელი ეს ათასობით მსხვერპლნი, პეტერბურგის, მოსკოვისა და სხვ. ქუჩებში რომ დაეცნენ, ციმბირში რომ გადაკარგეს, საპყრობილეებში რომ ჩაღუპეს პარტიის **გულისთვის**, პარტიის **დროშის ქვეშ**, — ყველაფერი ეს მხოლოდ კომედია და მოტყუება ყოფილა?

მაშ, ჩვენ პარტია არა გვყოლია? მხოლოდ «წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაცია» გვქონია?

ეს, რა თქმა უნდა, აშკარა სიცრუე იყო, აღმაშფოთებელი, უტიფარი სიცრუე.

ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის უსაზღვრო აღშფოთება, რაც აქსელროდის ზემოაღნიშნულმა განცხადებამ გამოიწვია პეტერბურგელ და მოსკოველ დელეგატ-მუშებს შორის. ისინი ადგილიდან წამოხტნენ და ენერგიულად უპასუხებდნენ მომხსენებელ აქსელროდს: «სწორედ შენა **ხარ**, **საზღვარგარეთ** მოკალათებული, — ბურჟუა, და არა

ჩვენ. ჩვენ მუშები ვართ, და ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია გვყავს, რომლის დამცირების ნებას არ მოგცემთო»...

მაგრამ, ვთქვათ, მუშათა ყრილობა შედგება, წარმოვიდგინოთ, რომ ის უკვე შედგა. არსებული ს.-დ. პარტია, მაშასადამე, არქივს ჩავაბარეთ, მოვიწვიეთ ასე თუ ისე მუშათა ყრილობა და გვინდა შევქმნათ ყრილობაზე «მუშათა» თუ «შრომის» კავშირი. რა მოხდება შემდეგ? რა პროგრამას მიიღებს ეს ყრილობა? როგორი იქნება მუშათა ყრილობის **ფიზიონომია**?

ზოგი მენშევიკი გვიპასუხებს, რომ მუშათა ყრილობას შეეძლო სოციალ-დემოკრატიის პროგრამის მიღება, რასაკვირველია, ერთგვარი შეკვეცით, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ყრილობას შეეძლო არც მიეღო სოციალ-დემოკრატების პროგრამა, რაც, მათი აზრით, პროლეტარიატისათვის განსაკუთრებულ უბედურებას არ წარმოადგენს. სხვები უფრო გადაჭრით გვიპასუხებენ: რადგან ჩვენი პროლეტარიატი ძალიან არის გამსჭვალული წვრილბურჟუაზიული სულისკვეთებით, ამიტომ, ალბათ, მუშათა ყრილობა სოციალ-დემოკრატიულს კი არა, **წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ პროგრამას** მიიღებსო. მუშათა ყრილობაზე პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას დაკარგავს, მაგრამ სამაგიეროდ შეიძენს მუშათა ორგანიზაციას, რომელიც ყველა მუშას ერთ კავშირად შეჰკრავსო. ასე ლაპარაკობს, მაგალითად, მოსკოველი მენშევიკების მეთაური ნ. ჩერევანინი (იხ. «ტაქტიკის პრობლემები») [46].

ამრიგად: «მუშების კავშირი, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პროგრამა არ ექნება» — ასეთია მუშათა ყრილობის მოსალოდნელი შედეგი.

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ თვით მენშევიკები.

ცხადია, მენშევიკები, რომლებიც ერთმანეთს არ ეთანხმებიან მუშათა ყრილობის მოწვევის მიზნებისა და საშუალებების ზოგიერთ საკითხში, ერთმანეთს იმაში ეთანხმებიან, რომ «ჩვენ პარტია არა გვყავს, მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაცია გვაქვს, **რომელიც არქივს უნდა ჩაბარდესო»**...

სწორედ ამ ჩარჩოებში ტრიალებდა აქსელროდის მოხსენება.

აქსელროდის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აგიტაცია მუშათა ყრილობისათვის პრაქტიკულად აუცილებლივ გადაიქცევა აგიტაციად პარტიის **წინააღმდეგ**, პარტიასთან ომად.

ხოლო მუშათა ყრილობის მოსაწვევად წარმოებული პრაქტიკული მუშაობა აგრეთვე აუცილებლივ გადაიქცევა ჩვენი ახლანდელი პარტიის დეზორგანიზაციისა და დაშლისაკენ მიმართულ პრაქტიკულ მუშაობად.

ამავე დროს, მენშევიკები — თავიანთი მომხსენებლის პირით, აგრეთვე რეზოლუციის თავიანთ პროექტში — ყრილობას თხოვდნენ — **აეკრძალნა აგიტაცია** მუშათა ყრილობის მოწყობის ცდების წინააღმდეგ, ე. ი. ისეთი ცდების წინააღმდეგ, რომლებიც პარტიის დეზორგანიზაციას იწვევენ.

აი რა არის საინტერესო: მენშევიკი ორატორების სიტყვებში (გარდა პლეხანოვისა, რომელსაც თვით მუშათა ყრილობის შესახებ არაფერი უთქვამს) წითელ ზოლად იყო გავლებული ლოზუნგები: ძირს პარტია, ძირს სოციალ-დემოკრატია — გაუმარჯოს უპარტიობას, გაუმარჯოს არასოციალ-დემოკრატიულ «მუშათა კავშირს». ამ ლოზუნგებს აშკარად არ აყენებდნენ ორატორები, მაგრამ ეს მათს სიტყვებში გამოსჭვიოდა.

ტყუილად კი არ არის, რომ ყველა ბურჟუაზიული მწერალი, სინდიკალისტებიდან და ესერებიდან კადეტებამდე და ოქტიაბრისტებამდე, — ტყუილად კი არ არის, რომ ისინი ყველანი ასე გულმხურვალედ ემხრობიან მუშათა ყრილობას: ესენი ხომ ყველანი ჩვენი პარტიის მტრები არიან, ხოლო მუშათა ყრილობის მოწვევისაკენ მიმართულ პრაქტიკულ მუშაობას შეეძლო პარტიის საგრძნობლად დასუსტება და დეზორგანიზება. მაშ როგორ არ უნდა მისალმებოდნენ ისინი «მუშათა ყრილობის იდეას»?

სულ სხვას ამბობდნენ ბოლშევიკი ორატორები.

ბოლშევიკების მომხსენებელმა, ამხ. ლინდოვმა [47], მოკლედ დაახასიათა უმთავრესი მიმდინარეობანი თვით მენშევიკებს შორის და გადავიდა მუშათა ყრილობის იდეის წარმომშობ პირობათა გამორკვევაზე. აგიტაცია მუშათა ყრილობის მოსაწვევად 1905 წელს დაიწყო, ოქტომბრის დღეებამდე, რეპრესიების დროს. ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში აგიტაცია შეწყდა. შემდგომ თვეებში, ახალი რეპრესიების დროს, აგიტაცია მუშათა ყრილობისათვის ისევ გამოცოცხლდა. პირველი სათათბიროს დროს, შედარებითი თავისუფლების დღეებში, აგიტაცია მიყუჩდა. მერე, სათათბიროს გარეკვის შემდეგ, ისევ გაძლიერდა და ა. შ.. დასკვნა ნათელია: შედარებითი თავისუფლების დღეებში, როდესაც პარტიას თავისუფლად გაფართოების შესაძლებლობა აქვს, აგიტაცია მუშათა ყრილობის მოსაწვევად, «ფართო უპარტიო პარტიის» შექმნის მიზნით, ბუნებრივად კარგავს ნიადაგს; და, პირიქით, რეპრესიების დღეებში, როდესაც ახალი წევრების დენა პარტიაში უკუდენად იცვლება, აგიტაცია მუშათა ყრილობისათვის, როგორც ისეთი ხელოვნური ღონისძიებისათვის, რომელმაც უნდა გააფართოოს ან შეცვალოს ვიწრო პარტია «ფართო უპარტიო» პარტიით, ერთგვარ ნიადაგს პოვებს. მაგრამ

თავისთავად ცხადია, რომ ვერავითარი ხელოვნური ღონისძიება ვერ უშველის საქმეს: რადგან პარტიის ნამდვილი გაფართოებისათვის საჭიროა პოლიტიკური თავისუფლება, და არა მუშათა ყრილობა, რომელსაც თვითონ ესაჭიროება ასეთი თავისუფლება.

შემდეგ. მუშათა ყრილობის იდეა, მისი კონკრეტული სახით აღებული, ძირშივე ყალბია: რადგან იგი ფაქტებს კი არ ემყარება, არამედ იმ შემცდარ დებულებას, რომ «ჩვენ პარტია არა გვყავს». საქმე ის არის, რომ ჩვენ გვყავს პროლეტარული პარტია, ის ხმამაღლა მეტყველებს თავის არსებობაზე, ფრიად სერიოზულად აგრძნობინებს თავის არსებობას პროლეტარიატის მტრებს — ეს ძალიან კარგად იციან თვით მენშევიკებმა — და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ უკვე გვყავს ასეთი პარტია, სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობის იდეა ძირშივე ყალბია. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ პარტია არა გვყოლოდა, რომლის რიგებშიც 150 ათასზე მეტი მოწინავე პროლეტარია და რომელიც ასიათასობით მებრძოლს მიუძღვის წინ; ჩვენ რომ მცირეგავლენიან ადამიანთა პატარა ჯგუფს წარმოვადგენდეთ გასული საუკუნის 60-იანი წლების გერმანელი სოციალ-დემოკრატების ან 70-იანი წლების ფრანგი სოციალისტების მსგავსად, — მაშინ ჩვენ თვითონ ვეცდებოდით მუშათა ყრილობის მოწვევას იმ მიზნით, რომ ამ ყრილობიდან გამოგვეძნო სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ უკვე გვყავს პარტია, ნამდვილი პროლეტარული პარტია, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მასებში; იმისათვის, რომ მუშათა ყრილობა მოვიწვიოთ, იმისათვის, რომ ფანტასტიკური «უპარტიო პარტია» შევქმნათ, ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება, პირველ ყოვლისა, «ბოლო მოვუღოთ» არსებულ პარტიას, პირველ ყოვლისა, დავანგრიოთ იგი.

აი რატომ არის, რომ მუშათა ყრილობის მოსაწვევად

წარმოებული მუშაობა პრაქტიკულად აუცილებლივ გადაიქცევა პარტიის დეზორგანიზაციისაკენ მიმართულ მუშაობად. ხოლო მოხერხდება როდისმე, რომ ამის სანაცვლოდ შეიქმნას «ფართო უპარტიო პარტია», ან საჭიროა თუ არა მისი შექმნა, — ეს კიდევ საკითხია.

აი რატომ არის, რომ ჩვენი პარტიის მტრები, სხვადასხვა კადეტები და ოქტიაბრისტები, ასე გულმოდგინედ აქებენ მენშევიკებს მუშათა ყრილობის სასარგებლო აგიტაციისათვის.

აი რატომ ფიქრობენ ბოლშევიკები, რომ მუშაობა მუშათა ყრილობის მოსაწვევად სახიფათოა, მავნებელია: ვინაიდან ეს მუშაობა სახელს უტეხს პარტიას მასებში და ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენას უმორჩილებს მათ.

დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ამხ. ლინდოვი.

მუშათა ყრილობისათვის ს.-დ. პარტიის წინააღმდეგ, თუ პარტიისათვის მუშათა ყრილობის წინააღმდეგ?

ასე იდგა კითხვა ყრილობაზე.

მუშა დელეგატმა ბოლშევიკებმა მყისვე გაიგეს კითხვა და ენერგიულად გამოვიდნენ «პარტიის დასაცავად»: «ჩვენ პარტიის პატრიოტები ვართ», — ამბობდნენ ისინი, — «ჩვენ გვიყვარს ჩვენი პარტია და ნებას არ მივცემთ დაღლილ ინტელიგენტებს — სახელი გაუტეხონ მას».

საინტერესოა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი, ამხ. როზა ლუქსემბურგი, მთლიანად ეთანხმებოდა ბოლშევიკებს. «ჩვენ, — ამბობდა ის, — გერმანიის სოციალ-დემოკრატებს, ვერ გაგვიგია სასაცილო დაბნეულობა ამხ. მენშევიკებისა, რომლებიც ხელის ფათურით დაეძებენ მასას, მაშინ როდესაც მასა თვითონ დაეძებს პარტიას და შეუჩერებლივ მიიწევს მისკენ»...

კამათიდან გამოირკვა, რომ ორატორების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკებს უჭერს მხარს.

კამათის დამთავრების შემდეგ კენჭი ეყარა რეზოლუციის ორ პროექტს: ბოლშევიკებისას და მენშევიკებისას. ყრილობამ საფუძვლად ბოლშევიკების პროექტი მიიღო. პრინციპული ხასიათის შესწორებანი თითქმის ყველა უარყოფილ იქნა. მიიღეს მხოლოდ ერთი ცოტად თუ ბევრად სერიოზული შესწორება მუშათა ყრილობის საკითხის განხილვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ. მთლიანად რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ «მუშათა ყრილობის იდეას მივყავართ პარტიის დეზორგანიზაციისაკენ», «ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენისადმი მუშათა ფართო მასების დამორჩილებისაკენ», და როგორც ასეთი, მავნებელია პროლეტარიატისათვის. ამასთანავე რეზოლუცია მტკიცედ განასხვავებდა მუშათა ყრილობას მუშათა დეპუტატების საბჭოებისა და მათი ყრილობებისაგან, რომლებსაც არამცთუ დეზორგანიზაცია არ შეაქვთ პარტიაში, არამცთუ მეტოქეობას არ უწევენ მას, არამედ, პირიქით, ამაგრებენ პარტიას, მიჰყვებიან მას და ეხმარებიან პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში რევოლუციური აღმავლობის დროს.

ბოლოს მთლიანად რეზოლუცია მიღებულ იქნა 165 ხმის უმეტესობით 94-ის წინააღმდეგ. დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

ამგვარად, ყრილობამ უარყო მუშათა ყრილობის იდეა, როგორც მავნე, ანტიპარტიული იდეა.

კენჭისყრამ ამ საკითხზე შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა დაგვანახა. გამოირკვა, რომ 114 მუშა დელეგატიდან, რომლებმაც კენჭისყრაში მიიღეს მონაწილეობა, მუშათა ყრილობას ხმა მისცა მხოლოდ 25 კაცმა. დანარჩენებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. პროცენტულად მუშა დელეგატების 22%-მა ხმა მისცა მუშათა ყრილობას, 78%-მა — წინააღმდეგ. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 94 დელეგატიდან, რომლებმაც მუშათა ყრილობას

მისცეს ხმა, მუშა გამოდგა მხოლოდ 26%, ინტელიგენტი — 74%.

მენშევიკები კი ყოველთვის გაჰკიოდნენ, მუშათა ყრილობის იდეა მუშური იდეა არისო, მხოლოდ «ინტელიგენტი» ბოლშევიკები ეწინააღმდეგებიან ყრილობის მოწვევასო და სხვ.. თუ ამ კენჭისყრის მიხედვით განვსჯით, უფრო ის უნდა გვეღიარებინა, რომ მუშათა ყრილობის იდეა, პირიქით, ინტელიგენტი ფანტაზიორების იდეა არის...

მენშევიკმა მუშებმაც კი, როგორც ჩანს, ხმა არ მისცეს მუშათა ყრილობას: 39 მუშა დელეგატიდან (30 მენშევიკი + 9 ბუნდელი) მუშათა ყრილობას ხმა მისცა მხოლოდ 24 კაცმა.

ბაქო. 1907 წელი.

პირველად დაიბეჭდა გაზეთში
«ბაკინსკი პროლეტარი» №№ 1 და 2;
1907 წ. 20 ივნისი და 10 ივლისი.

ხელმოწერა: კობა ივანოვიჩ.

განაწესი
III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებისათვის,

მიღებული მუშათა კურიის რწმუნებულთა კრებაზე ქ. ბაქოში

1907 წლის 22 სექტემბერს [48]

სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა სახელმწიფო სათათბიროში უნდა შეადგინონ განსაკუთრებული ფრაქცია, რომელიც, როგორც ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაცია, უმჭიდროესად უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან და უნდა ემორჩილებოდეს მის ხელმძღვანელობასა და პარტიის ც. კ-ის დირექტივებს.

სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს პროლეტარიატის კლასობრივ აღზრდასა და კლასობრივ ბრძოლას როგორც მშრომელთა გასათავისუფლებლად კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, ისე პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ბელადის როლის შესასრულებლად, რაც მას რუსეთის დღევანდელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ეკისრება.

ამ მიზნით ფრაქცია ყოველი შემთხვევისას უნდა აყენებდეს თავის კლასობრივ-პროლეტარულ პოლიტიკას, რომელიც სოციალ-დემოკრატიას განასხვავებს ყველა დანარჩენი ორგანიზაციისა და რევოლუციური პარტიისაგან,

კადეტებით დაწყებული და ესერებით გათავებული. ამ ამოცანას იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასთმობს იმ მიზნისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ერთიანობა ოპოზიციური მოქმედებისა სათათბიროში წარმოდგენილ რომელიც უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიასა და ჯგუფთან.

ჩვენმა დეპუტატებმა განუხრელად უნდა ამხილონ სათათბიროში მთელი კონტრრევოლუციური ბუნება როგორც მემამულურ-შავრაზმული პარტიებისა, ისე კადეტების გამცემლური ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიული პარტიისა. მეორე მხრივ, ისინი უნდა ცდილობდნენ ჩამოაშორონ ლიბერალებს და თანმიმდევრული დემოკრატიულ-რევოლუციური პოლიტიკის გზაზე დააყენონ გლეხთა წვრილბურჟუაზიული პარტიები (ესერები, ენესები და ტრუდოვიკები), თან გაიყოლიონ ისინი თავიანთ ბრძოლაში როგორც შავი რაზმის წინააღმდეგ, ისე კადეტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ბრძოლას უნდა ეწეოდეს იმ რეაქციული ფსევდოსოციალისტური უტოპიების წინააღმდეგ, რითაც თავიანთ, არსებითად წვრილბურჟუაზიულ, მოთხოვნებს მოსავენ ესერები, ენესები და სხვები და რის შემწეობითაც ისინი აბნელებენ მუშათა კლასის წმინდა კლასობრივ პროლეტარულ-სოციალისტურ შეგნებას. ჩვენმა ფრაქციამ სათათბიროს ტრიბუნიდან მთელ ხალხს უნდა გაურკვიოს მთელი სიმართლე მიმდინარე რევოლუციის შესახებ. მან ყველას გასაგონად უნდა უთხრას ხალხს, რომ რუსეთში შეუძლებელია მშვიდობიანი გზით ხალხის განთავისუფლების მიღწევა, რომ თავისუფლებისაკენ ერთადერთი გზა — ეს არის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის გზა.

სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგს, რომლის გულისთვისაც მან ახალი აშკარა ბრძოლისაკენ უნდა მოუწოდოს

მასებს, წარმოადგენს მთელი ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც სამუდამოდ მოუღებს ბოლოს მეფის თვითმპყრობელობას და რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკას დაამკვიდრებს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ვერ მიიღებს და მხარს ვერ დაუჭერს ვერავითარ სხვა ლოზუნგს, როგორიც არის პასუხისმგებელი სამინისტრო და სხვ., რომელთაც ლიბერალური ბურჟუაზია პროლეტარული ლოზუნგების საპირისპიროდ აყენებს.

სახელმწიფო სათათბიროს ყოველდღიურ საკანონმდებლო და სხვა მუშაობაში მონაწილეობის დროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია უნდა მისდევდეს თავის მუდმივ კრიტიკულ და სააგიტაციო ამოცანებს, და არა უშუალო კანონმდებლობის მიზნებს, ურკვევდეს ხალხს, რომ მთელი ეს კანონმდებლობა არამტკიცეა და უშედეგო, სანამ რეალური ძალაუფლება მთლიანად თვითმპყრობელი მთავრობის ხელშია.

III სახელმწიფო სათათბიროში ამგვარი მუშაობით სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ხელს შეუწყობს იმ რევოლუციურ ბრძოლას, რასაც პროლეტარიატი და მასთან ერთად გლეხობა ამჟამად სათათბიროს გარეთ ეწევიან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

გამოცემულია ცალკე ფურცლად 1907 წლის სექტემბერში.

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით.

თათბირს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ!

ნავთობის მრეწველებთან თათბირში მონაწილეობისა თუ მისი ბოიკოტის საკითხი ჩვენთვის პრინციპის კი არა, — პრაქტიკული მიზანშეწონილობის საკითხს წარმოადგენს. არ შეგვიძლია ერთხელ და სამუდამოდ გამოვუცხადოთ ბოიკოტი ყველა და ყოველგვარ თათბირს, რის წინადადებასაც ზოგიერთი გაბოროტებული და არცთუ სავსებით ნორმალური «ინდივიდი» იძლევა. და პირიქით, არ შეგვიძლია ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ საკითხი თათბირში მონაწილეობის სასარგებლოდ, როგორც ამას ჩვენი კადეტმაგვარი ამხანაგები სჩადიან. თათბირში მონაწილეობისა და მისი ბოიკოტის საკითხს ჩვენ ცოცხალი ფაქტების და მხოლოდ ფაქტების თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. ამასთან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გარკვეული ფაქტების არსებობისას, გარკვეულ პირობებში ჩვენმა ამოცანამ — მასების შეკავშირების ამოცანამ — მონაწილეობის აუცილებლობამდე მიგვიყვანოს, — და მაშინ ჩვენ უთუოდ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. და პირიქით, სხვა პირობებში იმავე ამოცანამ შეიძლება ბოიკოტის აუცილებლობამდე მიგვიყვანოს, — და მაშინ ჩვენ უთუოდ ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ თათბირს.

შემდეგ, არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად წინასწარვე უნდა დავადგინოთ, რა ცნებებთან გვაქვს საქმე. რას ნიშნავს თათბირში «მონაწილეობა»? რას ნიშნავს თათბირის «ბოიკოტი»? თუ ჩვენ საერთო მოთხოვნებს ვაყალიბებთ კრებებზე, რწმუნებულებს ვირჩევთ და სხვ. და ა. შ., ამავე დროს კი მიზნად არ ვისახავთ თათბირის ჩაშლას, არამედ — პირიქით — თათბირზე იმისთვის მივდივართ, რომ თათბირის რეგლამენტს დავემორჩილოთ, მას დავეყრდნოთ და ისე გავმართოთ მოლაპარაკება ნავთობის მრეწველებთან, ბოლოს კი ამა თუ იმ ხელშეკრულებას მივაღწიოთ, — მაშინ ასეთ ჩვენს მოქმედებას თათბირში მონაწილეობა უნდა ვუწოდოთ. მაგრამ თუ ჩვენ მოთხოვნებს გამოვიმუშავებთ, რწმუნებულებს ვირჩევთ ამ მოთხოვნათა უკეთ ჩამოსაყალიბებლად, პოპულარიზაციას ვუკეთებთ და ვაქვეყნებთ უკვე გამომუშავებულ მოთხოვნებს, ამავე დროს კი ნავთობის მრეწველებთან თათბირის მუშაობაში მონაწილეობას კი არ ვისახავთ მიზნად, არამედ თვით თათბირის ჩაშლას, ნავთობის მრეწველებთან ყოველგვარი ხელშეკრულების ჩაშლას **ბრძოლის დაწყებამდე** (ხელშეკრულება **ბრძოლის შემდეგ**, განსაკუთრებით წარმატებითი ბრძოლის შემდეგ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია), — მაშინ ჩვენს ასეთ მოქმედებას თათბირის ბოიკოტი უნდა ვუწოდოთ, აქტიური ბოიკოტი, რა თქმა უნდა, ვინაიდან ის თათბირის ჩაშლით მთავრდება.

ამასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ტაქტიკა სათათბიროს მიმართ და ტაქტიკა თათბირის მიმართ. თათბირში მონაწილეობის თუ მისი ბოიკოტის მიზანია პირობების მომზადება **სარეწებში** არსებული წესების გასაუმჯობესებლად, სათათბიროში მონაწილეობის თუ მისი ბოიკოტის მიზანი კი — **ჩვენს ქვეყანაში** საერთო პირობების **გაუმჯობესება.** თათბირის ბედს მთლიანად განსაზღვრავს **მხოლოდ და მხოლოდ**

გარკვეული ადგილის პროლეტარიატი, ვინაიდან პროლეტარიატის მონაწილეობის გარეშე თათბირი თავისთავად ჩაიშლება, ხოლო სათათბიროში მონაწილეობის თუ მისი ბოიკოტის ბედს მარტო პროლეტარიატი კი არ განსაზღვრავს, არამედ გლეხობაც. ბოლოს, თათბირის აქტიური ბოიკოტი (ჩაშლა) ადვილი განსახორციელებელია აქტიური გამოსვლების მოუხდენლადაც, რასაც ვერ ვიტყვით სათათბიროს ბოიკოტის შედეგებზე.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ მომავალი თათბირის ბოიკოტის კონკრეტულ საკითხზე.

ბაქოს მუშების ეკონომიური ბრძოლის ისტორია შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ.

პირველი პერიოდი — ეს არის პერიოდი ბრძოლისა უკანასკნელ ხანამდე, როცა მთავარ მოქმედ პირებად ხელოსნები გამოდიოდნენ, როცა სარეწების მუშები[50] უბრალოდ და ნდობით მიჰყვებოდნენ ხელოსნებს, როგორც თავიანთ ბელადებს, როცა სარეწების მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი უდიდესი როლი წარმოებაში. ნავთობის მრეწველთა ტაქტიკა ამ პერიოდში შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელოსანთა გულის მოგების ტაქტიკა, ხელოსანთა წინაშე სისტემატურ დათმობათა და სარეწთა მუშების სისტემატურივე უგულებელყოფის ტაქტიკა.

მეორე პერიოდი იწყება სარეწთა მუშების გამოღვიძებით, მათი დამოუკიდებლად გამოსვლით სცენაზე და ამავე დროს ხელოსნების მოქცევით უკანა რიგში. ამასთან ეს გამოსვლა უაღრესად კარიკატურული ხასიათისაა, ვინაიდან ის 1) არ სცილდება სამარცხვინო ფულად ჯილდოს და 2) შეფერილია უაღრესად დამღუპველი უნდობლობით ხელოსნებისადმი. ნავთობის მრეწველნი ცდილობენ გამოიყენონ შეცვლილი მდგომარეობა და ცვლიან თავიანთ

ტაქტიკას. ისინი აღარ ელოლიავებიან ხელოსნებს, აღარ ცდილობენ ხელოსნების გულის მოგებას — ვინაიდან კარგად იციან, რომ ახლა სარეწების მუშები ყოველთვის როდი გაჰყვებიან მათ — პირიქით, ნავთობის მრეწველნი თვითონ ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ხელოსანთა გაფიცვა **სარეწთა მუშების მონაწილეობის გარეშე,** რათა ამით ცხადყონ ხელოსანთა შედარებითი უძლურება და მორჩილი გახადონ ისინი. ამის პარალელურად ნავთობის მრეწველნი, რომელნიც წინათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სარეწთა მუშებს, ახლა ყოვლად უტიფრად ელაციცებიან ამ მუშებს, ფულადი ჯილდოთი უმასპინძლდებიან მათ. ამით ისინი ცდილობენ საბოლოოდ ჩამოაშორონ ხელოსნებს სარეწთა მუშები, ერთიანად გარყვნან, ნავთობის მრეწველებისადმი მონური ნდობა ჩაუნერგონ, შეურიგებელი ბრძოლის პრინციპი ვაჭრუკანობისა და ლაქიური მათხოვრობის «პრინციპით» შეცვალონ და ამრიგად შეუძლებელი გახადონ ყოველგვარი სერიოზული გაუმჯობესება.

ამავე მიზნით «გამოიგონეს» მომავალი თათბირიც.

აქედან აშკარაა, რომ მოწინავე ამხანაგების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს თავდადებული ბრძოლა სარეწთა მუშებისათვის, ბრძოლა ამხანაგ ხელოსანთა ირგვლივ სარეწთა მუშების დასარაზმავად **მათს შეგნებაში ნავთობის მრეწველთა მიმართ უსაზღვრო უნდობლობის ჩანერგვის გზით, მათი შეგნებიდან ვაჭრუკანობისა და მათხოვრობის მავნე ცრურწმენათა ამოფხვრის გზით.** სარეწთა მუშების მასას, რომელიც პირველად გამოდის ასპარეზზე, ამასთან ასე მოუხერხებლად და კარიკატურულად გამოდის («ფეშქეში»[51] და სხვ.), ხმამაღლა და მკვეთრად უნდა ვუთხრათ (ფაქტიურად ვუთხრათ, და არა მარტო სიტყვიერად!), რომ ცხოვრების გაუმჯობესება ზემოდან კი არ

ხდება, და არც ვაჭრობის გზით, არამედ ქვემოდან, ხელოსნებთან ერთად საერთო ბრძოლის გზით.

მხოლოდ მაშინ შევძლებთ სწორად გადავჭრათ თათბირის საკითხი, თუ ეს ამოცანა გვექნება მხედველობაში.

და აი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალ თათბირში მონაწილეობის მიღება, ნავთობის მრეწველებისა და მუშების საერთო მუშაობისაკენ **მოწოდება სავალდებულო** ხელშეკრულების გამოსამუშავებლად ახლა, საერთო ბრძოლამდე, როდესაც ნაწილობრივი ბრძოლა გრძელდება, როდესაც საერთო ბრძოლა ჯერ კიდევ წინ გვიდევს, როდესაც ნავთობის მრეწველნი უხვად არიგებენ ფულად ჯილდოს, რათა ხელოსნებს ჩამოაცილონ სარეწთა მუშები და მათი ნორჩი შეგნება შერყვნან, — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ დროს **«თათბირზე წასვლა»** — მასების თავში «ფეშქეშურ» ცრურწმენათა აღმოფხვრას კი არ ნიშნავს, არამედ მათს განმტკიცებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ნავთობის მრეწველებისადმი უნდობლობა კი არ ჩაუნერგო მასებს შეგნებაში, არამედ მათდამი ნდობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელოსანთა გარშემო კი არ დარაზმო სარეწთა მუშები, ხელოსნებს კი არ დაუახლოო ისინი, არამედ დროებით მიატოვო, კაპიტალისტებს ჩაუგდო კლანჭებში.

რა თქმა უნდა, «ზოგი ჭირი მარგებელია», დღევანდელ მომენტში თათბირსაც შეეძლო **ერთგვარი** სარგებლობის მოცემა ორგანიზაციის აზრით, «ბრძოლის გაფართოების» აზრით, როგორც ამბ. **კოჩეგარი**[52] ამბობს. მაგრამ თუ თათბირით მოყენებული ზიანი უთუოდ ჭარბობს აი ამ **ერთგვარ** სარგებლობას, მაშინ თათბირიც უთუოდ უნდა უკუვაგდოთ, როგორც ზედმეტი ბარგი. ვინაიდან, თუ ამბ. **კოჩეგარი, უმთავრესად,** იმიტომ «მიდის თათბირზე», რომ თათბირი **«აორგანიზებს»** და «აფართოებს ბრძოლას», მაშინ პირდაპირ გაუგებარია, რატომ არ «წავიდეთ თათბირზე» აღმავლობის დროსაც, საერთო ბრძოლის

წინადღით, ორგანიზების პროცესში მყოფი საერთო ბრძოლის დასაწყისს? რისა უნდა გვეშინოდეს? «საერთო ორგანიზაცია», «ბრძოლის გაფართოება» ხომ მაშინ არის განსაკუთრებით საჭირო? მაშინ ხომ ყველაზე ნაკლებად წამოეგება მასა ზემოდან მომდინარე დათმობათა ანკესზე? მაგრამ საკითხიც ის არის, რომ რწმუნებულთა არჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასის დარაზმვას. საქმეც ის არის, რომ დარაზმვა **(ჩვენი** გაგებით, რა თქმა უნდა, და არა გაპონური გაგებით) — ეს, **უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ განავითარო კაპიტალისტებისა და მუშების შეურიგებელი** წინააღმდეგობის შეგნება. ოღონდ კი იყოს **ასეთი** შეგნება, — დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

მომავალი თათბირი კი სწორედ ამას ვერ მოგვცემს.

ამის გამო ერთადერთი ტაქტიკა, რომელიც ჩვენს ამოცანას შეესაბამება დღევანდელ პირობებში, შეიძლება მხოლოდ თათბირის ბოიკოტის ტაქტიკა იყოს.

ბოიკოტის ტაქტიკა საუკეთესოდ ანვითარებს მუშებსა და ნავთობის მრეწველებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობის შეგნებას.

ბოიკოტის ტაქტიკა არყევს «ფეშქეშურ» ცრურწმენას, ნავთობის მრეწველებს აშორებს სარეწთა მუშებს და ხელოსანთა გარშემო რაზმავს მათ.

ბოიკოტის ტაქტიკა ნერგავს უნდობლობას ნავთობის მრეწველთა მიმართ და საუკეთესოდ ცხადყოფს მასების თვალწინ ბრძოლის, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების ერთადერთი საშუალების, აუცილებლობას.

ამიტომ ჩვენ უნდა დავიწყოთ ბოიკოტისტური კამპანია: მოვაწყოთ საქარხნო კრებები, შევიმუშაოთ მოთხოვნები, ავირჩიოთ რწმუნებულნი საერთო მოთხოვნათა უკეთ ჩამოსაყალიბებლად, ვბეჭდოთ და გავავრცელოთ მოთხოვნები, განვმარტოთ ისინი, ერთხელ კიდევ გადავიტანოთ მასებში საბოლოოდ დასამტკიცებლად და სხვ. და

სხვ., და ყოველივე ეს მოვიმოქმედოთ ბოიკოტის ლოზუნგით, რათა, მას შემდეგ, რაც პოპულარულს გავხდით საერთო მოთხოვნებს და გამოვიყენებთ «ლეგალურ შესაძლებლობებს», — ბოიკოტით შევხვდეთ თათბირს, სასაცილო გავხადოთ იგი და მით ხაზგასმით აღვნიშნოთ საერთო მოთხოვნებისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

მაშ ასე, თათბირს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ!

გაზეთი «გუდოკ» № 4,
1907 წ. 29 სექტემბერი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ ო . . .

არჩევნების წინ

ბატონმა ნავთობის მრეწველებმა უკან დაიხიეს. თავიანთ გაზეთ «ნეფტიანოე დელოს»[53] რედაქტორის პირით მათ ჯერ კიდევ ამას წინათ განაცხადეს, პროფესიული კავშირები ბაქოში «სხვათაშორისი, მუშების გარეშე მდგომი ელემენტიაო». ხელისუფლებამ, მათი ნება-სურვილის ასასრულებლად, განცხადება გამოაკრა, რომლითაც მუშებს იწვევდა რწმუნებულნი აერჩიათ საორგანიზაციო კომისიაში გასაგზავნად; ამით სურდათ კამპანიის ხელმძღვანელობისაგან ჩამოეშორებინათ პროფესიული კავშირები. ასე იყო გუშინ. დღეს კი, 7 იანვარს, საფაბრიკო ინსპექტორმა პროფესიულ კავშირთა მდივნებს აცნობა, რომ შემდგარა ნავთობის მრეწველთა კრება, რომელზედაც მათ გადაუწყვეტიათ წინადადებით მიმართონ ბ-ნ ქალაქის უფროსს მისცეს პროფესიულ კავშირებს ნებართვის მოწმობანი, რომ მათ უფლება აქვთ კრებები მოაწყონ სარეწებსა და ქარხნებში.

ბატონ კაპიტალისტებს პროფესიულ კავშირთა გავლენის გაძლიერებისა ეშინიათ, მათ ის უნდათ, რომ მუშები დაქსაქსული და დეზორგანიზებული იყვნენ, ამისთვის თვით სასარეწო და საქარხნო კომისიებიც კი არ სურთ იცნონ. მაგრამ ახლა ჩვენ ვაიძულეთ ისინი აღეარებინათ, რომ მუშათა ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი

საკითხის — თათბირისა და კოლექტიური ხელშეკრულების საკითხის გადაჭრას კავშირებმა უნდა უხელმძღვანელონ, და ისინი უხელმძღვანელებენ კიდევაც.

ჩვენ ვაიძულეთ ისინი აღეარებინათ პროფესიულ კავშირთა ხელმძღვანელი მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დაშნაკცაკანები [54] და სოციალისტ-რევოლუციონერები დაეხმარნენ ბატონ ნავთობის მრეწველებს და ხელისუფალთ მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

ბატონი დაშნაკცაკანები მყისვე გამოეხმაურნენ ბ-ნ ქალაქის უფროსის მოწოდებას, დაუყოვნებლივ შეუდგნენ არჩევნებს, რა თქმა უნდა, თავიანთი მიზნის მისაღწევად — ჩაეშალათ კამპანიის ჩატარების ის პირობები, რაც პროფესიულმა კავშირებმა წამოაყენეს, და მთავარი მათგანი — მუშათა ორგანიზაციების ცნობა.

მაგრამ დაშნაკცაკანთა სასწრაფო მოქმედებით ბატონი ნავთობის მრეწველნი როდი დაკმაყოფილდნენ. დაშნაკცაკანებს მხოლოდ წვრილი ფირმები გაჰყვნენ, როგორიცაა აბიანცი, რადუგა, არარატი, ფაროსი და სხვ., და მხოლოდ ორ-სამ სომხურ დიდ ფირმაში ჩატარდა არჩევნები.

კასპიისა და შავი ზღვის საზოგადოების, ნობელის, კოკორევის, «ბორნის», შიბაევის, ასადულაევის, მოსკოვ-კავკასიის ამხანაგობისა და სხვა ფირმების მუშები თავიანთი რეზოლუციებით პროტესტს აცხადებდნენ ასეთი არჩევნების წინააღმდეგ და უარს ამბობდნენ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში მანამდე, სანამ პროფესიულ კავშირებს ნებართვის მოწმობები არ მიეცემოდათ.

ყველაზე დიდი და გავლენიანი ფირმების მუშებმა ნათლად და გარკვევით გამოხატეს თავიანთი ნება-სურვილი და მით პასუხი გასცეს არა მარტო ბატონ ნავთობის მრეწველებს, არამედ თავიანთ იმ «მეგობრებსაც», რომელთაც ნამეტნავად ლამაზი, ოღონდ ფუჭი ლაპარაკი უყვართ.

მუშებმა თავიანთი რეზოლუციებით ნათლად და გარკვევით დაადასტურეს, რომ პროფესიული კავშირების მიერ წამოყენებული პირობები «ბელადების» გამონაგონი როდია, როგორც ამას სოციალისტ-რევოლუციონერები ამტკიცებენ თავიანთ ბროშურაში: «რატომ არ მივდივართ თათბირზე».

ხელისუფლება, ნავთობის მრეწველნი და დაშნაკცაკანები პროფესიულ კავშირთა გავლენის გაფართოების წინააღმდეგ იბრძვიან. მუშები ნდობას უცხადებენ კავშირებს და სავსებით ეთანხმებიან პროფესიულ კავშირთა მიერ წამოყენებულ პირობებს.

სიტყვები «თათბირი» და «მოლაპარაკება» მუშებისათვის საფრთხობელას არ წარმოადგენს და არც უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც არ ეშინიათ მუშებს იმისა, რომ გაფიცვის წინადღით მოლაპარაკება აწარმოონ და მოთხოვნები წამოაყენონ. მოთხოვნათა წაყენება ზოგჯერ თავიდან გვაცილებს იმის საჭიროებას, რომ კონფლიქტი გაფიცვით გადაიჭრას. უფრო ხშირად წინააღმდეგი რამ ხდება. მაგრამ იმისათვის, რომ «მოლაპარაკებამ» თვალწინ გადაუშალოს მუშებს საქმის ნამდვილი ვითარების მთელი სურათი, იმისათვის, რომ თათბირის კამპანიამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მუშებს მუშათა ცხოვრების ყველა საკითხის ფართოდ დაყენებითა და საჯარო განხილვით, აუცილებლად საჭიროა იმ პირობების გატარება, რომლებიც პროფესიული კავშირების მიერ არის წამოყენებული და რომლებიც ასარჩევ რწმუნებულთათვის შედგენილ განაწესში შევა.

პარავითარი მოლაპარაკება «არ არის საშიში», თუ ეს მუშათა მთელი მასის წინაშე ხდება. წამოყენებული პირობები უზრუნველყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ ყველა მუშამ ფართოდ მიიღოს მონაწილეობა თათბირთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვაში.

შენდრიკოვული ტიპის ავად მოსაგონარი თათბირები სამუდამოდ დასამარდა.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მექანიკური წარმოების კავშირის «მომხრე» ამხანაგები ჩვენ გამოგვყვნენ, უარი თქვეს ლოზუნგზე «თათბირი რადაც უნდა დაჯდეს». იმათაც გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს, თუ არ იქნა დაცული ძირითადი პირობა, თუ არ იქნა აღიარებული პროფესიული კავშირების ხელმძღვანელი მნიშვნელობა. ჩვენ იმასაც მივაღწევთ, რომ აღარ იქნებიან მომხრეები ბოიკოტისა «რადაც უნდა დაჯდეს». თათბირი და, რაც მთავარია, თათბირის ირგვლივ გაწეული კამპანია, მისაღებია მუშებისათვის, თუ საამისო აუცილებელი პირობები შეიქმნა.

მუშებმა უკანასკნელი რეზოლუციებით დაადასტურეს ჩვენი პოზიციის სისწორე.

ნებართვის მოწმობები მოგვეცა. მაშასადამე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ხელისუფლებასა და ნავთობის მრეწველებს ვაღიარებინეთ კავშირების ხელმძღვანელი როლი.

უველაზე დიდი ფირმების მუშების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა არჩევნებში მონაწილეობას ჩვენს მიერ წამოყენებული პირობებით.

ახლა ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით და რწმენით შევუდგეთ რწმუნებულთა არჩევნებს; ჩვენი რჩევაა — ამ რწმუნებულთ დაევალოთ: აირჩიეთ 16 ისეთი დელეგატი, რომლებიც საორგანიზაციო კომისიაში მოლაპარაკების წარმოების აუცილებელ პირობად უწინარეს ყოვლისა შემდეგი პუნქტების აღიარებას მოითხოვენ:

1) თათბირის მოწვევის დრო უნდა განსაზღვრონ მუშებისა და მეწარმეთა რწმუნებულებმა, როგორც თანასწორუფლებიანმა მხარეებმა, ე. ი. ურთიერთშეთანხმებით.

2) ყოველ ასეულ მუშაზე თითო კაცის ვარაუდით არჩეულ ყველა რწმუნებულთა კრებამ თათბირის დამთავრე-

ბამდე უნდა იარსებოს, იგი პერიოდულად და საჭიროებისდა კვალად უნდა იკრიბებოდეს მუშების, თათბირის წევრების, დელეგატების ანგარიშების განსახილველად და მათთვის სახელმძღვანელო მითითებათა მისაცემად.

3) რწმუნებულთ უფლება აქვთ მოაწყონ კრებები ქარხნებსა, სარეწებსა და სახელოსნოებში ხელშეკრულების მოთხოვნილ და შემოთავაზებულ პირობათა განსახილველად.

4) ნავთობის მრეწველობისა და მექანიკური წარმოების მუშების პროფესიულ კავშირთა გაძგეობებს უფლება ეძლევათ გაგზავნონ თავიანთი დელეგატები გადამწყვეტი ხმის უფლების უქონლად თვით ნავთობის მრეწველებთან ერთად გამართულ თათბირზე, აგრეთვე უფლება გააკეთონ მოხსენებები თათბირის ყველა კომისიაში, რწმუნებულთა, საქარხნო, სასარეწო კრებებზე და სხვ.

5) საორგანიზაციო კომისიის დელეგატებს ირჩევს რწმუნებულთა საბჭო, როგორც მთლიანი ერთეული, წარმოებებად დაუყოფლად. მოლაპარაკება საორგანიზაციო კომისიაში ასევე მთლიანი ერთეულის სახით წარმოებს (ერთიანი ხელშეკრულება ყველა მუშისათვის).

გაზეთი «გუდოკ» № 14,
1908 წ. 13 იანვარი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

სტატია ხელმოუწერელია

ისევ გარანტიანი თათბირის შესახებ

კამპანია თათბირის ირგვლივ გაჩაღებულია. რწმუნებულთა არჩევნები დასასრულს უახლოვდება. ახლო მომავალში რწმუნებულთა საბჭო შეიკრიბება. იყოს თუ არ იყოს თათბირი, რა გარანტიებით (პირობებით) არის სასურველი თათბირი, როგორ უნდა გვესმოდეს ეს გარანტიები — აი, უწინარეს ყოვლისა, რა საკითხების გადაჭრას შეუდგება რწმუნებულთა საბჭო.

როგორი უნდა იყოს რწმუნებულთა საბჭოში ჩვენი მოქმედების გეზი?

ვიმეორებთ, ნავთობის მრეწველებთან თათბირები ჩვენთვის ახალი ამბავი როდია. ჩვენ გვქონდა ერთი თათბირი 1905 წელს. გვქონდა მეორეც 1906 წელს. რა მოგვცეს ამ თათბირებმა, რა გვასწავლეს, გამართლებულია თუ არა მათი მოწვევა?

როგორც იმ დროს, ისე ამას წინათაც ჩვენ გვეუბნებოდნენ — თათბირი **თავისთავად,** ყოველგვარი პირობის გარეშეც, რაზმავსო მასებს. მაგრამ ფაქტებმა კი დაგვანახეს, რომ ვერც ერთმა ამ წინანდელ თათბირთაგანმა ვერ შეაკავშირა მასები და ვერც შეაკავშირებდა მათ: — მხოლოდ არჩევნები ჩატარდა, და მთელი «შეკავშირებაც» ამით დამთავრდა.

რატომ?

იმიტომ, რომ ყოფილი თათბირების მოწყობის დროს ხსენებაც არ იყო სიტყვის და კრების რაიმე **თავისუფლებისა,** შეუძლებელი იყო მასის შეკრება ქარხნებში — სარეწებში — ყაზარმებში, თვითეულ გასარჩევ საკითხზე განაწესის შემუშავება და საერთოდ თათბირის

ყველა საქმეში აქტიურად ჩარევა. მაშასადამე, მასას მაშინ უმოქმედოდ ყოფნა უხდებოდა, მოქმედებდნენ კი მხოლოდ და მხოლოდ დელეგატები, მუშათა მასას მოწყვეტილნი. ჩვენ კი დიდი ხანია ვიცით, რომ მასები მხოლოდ თვით მოქმედების პროცესში ირაზმებიან...

შემდეგ — იმიტომ, რომ არ იყო **რწმუნებულთა საბჭო,** როგორც მუშების მუდმივი ორგანო, რომელიც თავისუფლად მოქმედებს მთელი თათბირის განმავლობაში, თავის გარშემო აერთიანებს ყველა ფირმისა და რაიონის მუშებს, გამოიმუშავებს ამ მუშების მოთხოვნებს და კონტროლს უწევს, ამ მოთხოვნათა საფუძველზე, მუშების დელეგატებს. მაგრამ რწმუნებულთა ასეთი საბჭოს შექმნის ნებართვის მოცემა ნავთობის მრეწველებს არ სურდათ, თათბირის ინიციატორები კი მორჩილად შეურიგდნენ ამას.

ალარას ვამბობთ იმაზე, რომ არ იყო მაშინ მოძრაობის ის ცენტრები — **პროფესიული კავშირები,** — რომელნიც თავიანთ ირგვლივ დარაზმავდნენ რწმუნებულთა საბჭოს და კლასობრივი ბრძოლის გზით წარმართავდნენ მის მუშაობას...

ოდესღაც გვეუბნებოდნენ — თათბირს **თავისთავადაც** კი შეეძლო მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაო. მაგრამ პირველი ორი თათბირის გამოცდილებამ ეს ვარაუდიც გააქარწყლა. ვინაიდან, როდესაც პირველ თათბირზე ჩვენმა დელეგატებმა მუშების მოთხოვნებზე წამოიწყეს ლაპარაკი, ნავთობის მრეწველებმა მათ სიტყვა შეაწყვეტინეს და უთხრეს: «ეს არ ეხება თათბირის დღის წესრიგს», თათბირი მოწოდებულია იმსჯელოს «მრეწველობის თხევადი სათბობით მომარაგებაზე», და არა რაღაც მოთხოვნებზეო. ხოლო, როდესაც ჩვენმა დელეგატებმა მეორე თათბირზე მოითხოვეს, რომ უმუშევართა დელეგატებსაც მიეღოთ მონაწილეობა თათბირში, ნავთობის მრეწველებმა ამჯერადაც შეაწყვეტინეს მათ სიტყვა და უთხრეს: ჩვენ დავალებული

არა გვაქვს ანგარიში გავუწიოთ ამგვარ მოთხოვნებსო. ასე გამორეკეს კინწისკვრით ჩვენი დელეგატები. და როდესაც ზოგიერთმა ამხანაგმა დააყენა საკითხი — მხარი დაგვეჭირა ჩვენი დელეგატებისათვის საერთო ბრძოლის გზით, — გამოირკვა, რომ ასეთი ბრძოლა შეუძლებელია, რადგან კაპიტალისტებმა ორივე თათბირი მძიმე და მათთვის ხელსაყრელ დროს გამართეს — ზამთარში, როცა ვოლგა გაყინულია, როცა ნავთობის პროდუქტების ფასები დაბლა იწევს, როცა, მაშასადამე, პირდაპირ უგუნურებაა მუშების გამარჯვებაზე ფიქრიც კი.

აი როგორ «გაამართლა» მოლოდინი ორმა წინანდელმა თათბირმა.

ცხადია, თათბირი **თავისთავად**, თათბირი რწმუნებულთა თავისუფალი საბჭოს გარეშე, თათბირი კავშირების მონაწილეობისა და ხელმძღვანელობის გარეშე, ისიც ზამთარში მოწვეული — ერთი სიტყვით, **თათბირი უგარანტიოდ** — ეს არის ლიტონი სიტყვა. ასეთი თათბირი არათუ არ გვაკავშირებს, არათუ ხელს არ უწყობს ჩვენი მოთხოვნების მოპოვებას, არამედ — პირიქით — დეზორგანიზაცია შემოაქვს და გვაშორებს ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილების მომენტს, ვინაიდან იგი არაფერს აძლევს მუშებს და ცარიელი დაპირებებით უმასპინძლდება მათ.

აი რა გვასწავლა ორმა წინანდელმა თათბირმა.

აი რატომ გამოუცხადა შეგნებულმა პროლეტარიატმა ბოიკოტი მესამე თათბირს 1907 წლის ნოემბერში.

დაე ახსოვდეთ ეს იმ ცალკეულ ამხანაგებს მექანიკური კავშირიდან, რომლებიც აგიტაციას ეწევიან **უგარანტიო** თათბირისათვის, მიუხედავად წინა თათბირების მთელი გამოცდილებისა, მიუხედავად ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატის უმრავლესობის ნება-სურვილისა, **ბოლოს, მიუხედავად კავშირებს შორის დადებული ხელშეკრულებისა!**

დაე ახსოვდეთ ეს და ნუ დაარღვევენ ამ ხელშეკრულებას.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ხელი უნდა ჩავიქნიოთ ყველა და ყოველგვარ თათბირზე?

არა, ეს არ ნიშნავს ამას!

ბოიკოტისტ ესერების შენიშვნას, რომ თათბირზე არ უნდა წავიდეთ, რადგან ჩვენ იქ ჩვენი მტრები, ბურჟუები გვიწვევენო, — ასეთ შენიშვნას შეგვიძლია მხოლოდ სიცილით ვუპასუხოთ, ვინაიდან ფაბრიკა-ქარხანასა თუ სარეწშიც ხომ იგივე მტრები, ბურჟუები გვიწვევენ სამუშაოდ. ამიტომ ფაბრიკა-ქარხანას თუ სარეწს განა მხოლოდ იმის გამო უნდა გამოვუცხადოთ ბოიკოტი, რომ იქ ჩვენ მტრები, ბურჟუები გვიწვევენ? ასე ხომ შიმშილით ამოგხდება სული! მაშინ გამოდის, ყველა მუშა შეშლილა ჭკუაზე, რაკი ისინი ბურჟუების მიწვევით სამუშაოზე წასვლას დათანხმდნენ!

დაშნაკცაკანების განცხადებას, რომ თათბირზე არ უნდა წავიდეთ, რადგან ეს თათბირი ბურჟუაზიული დაწესებულებააო, — ასეთ უაზრო განცხადებას შეგვიძლია სრულებითაც არ მივაქციოთ ყურადღება, ვინაიდან დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებაც ხომ იგივე ბურჟუაზიული «დაწესებულებაა», ფაბრიკა, ქარხანა, სარეწი — ყოველივე ეს ხომ ბურჟუაზიული «დაწესებულებებია», ბურჟუაზიის «ხატად და მსგავსად», ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოწყობილი, — ყოველივე ამას განა მხოლოდ იმისთვის უნდა გამოვუცხადოთ ბოიკოტი, რომ ეს ბურჟუაზიულია? სადღა გადავსახლდეთ ამ შემთხვევაში, — მარსზე, იუპიტერზე, თუ, იქნებ, დაშნაკ-ესერთა ჰაეროვან კოშკებში?.. *

* ბ-ნ დაშნაკცაკანებისა და ესერების ბოიკოტისტური პოზიციის მთელი არასერიოზულობა და უნიათობა უკვე იმითაც მტკიცდება, რომ ისინი თვითონვე კეთილგანწყობილად უყურებენ სტამბის მუშების

არა, ამხანაგებო! ზურგი კი არ უნდა შევაქციოთ ბურჟუაზიის პოზიციას, არამედ იერიში უნდა მივიტანოთ მასზე! ბურჟუაზიას კი არ უნდა დავუტოვოთ ხელთ პოზიციები, არამედ თანდათანობით უნდა წავართვათ მას ეს პოზიციები და გამოვაგდოთ იქიდან ბურჟუაზია! მხოლოდ ჰაეროვანი კოშკების ადამიანებს ვერ გაუგიათ ეს უბრალო ჭეშმარიტება!

ჩვენ არ წავალთ თათბირზე, თუ წინასწარ არ მივიღებთ მოთხოვნილ გარანტიებს, — მაგრამ ჩვენ წავალთ თათბირზე, თუ მოვიპოვებთ მოთხოვნილ გარანტიებს, რათა დავეყრდნოთ ამ გარანტიებს, მათხოვრობის იარაღიდან შემდგომი ბრძოლის იარაღად გადავაქციოთ თათბირი, — სწორედ ისევე, როგორც, გარკვეული აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, არ ვამბობთ უარს სამუშაოდ წასვლაზე, რათა ფაბრიკა, ქარხანა, სარეწი ჩაგვრის ასპარეზიდან გათავისუფლების ასპარეზად გადავაქციოთ.

ხოლო თუ მოვაწყობთ თათბირს მოპოვებული მუშური გარანტიებით და ძუშათა 50-ათასიან მასას რწმუნებულთა საბჭოს არჩევისა და ჩვენს მოთხოვნათა გამომუშავებისაკენ მოვუწოდებთ, ამით ჩვენ ბაქოს მუშათა მოძრაობას ბრძოლის ახალ, მისთვის ხელსაყრელ გზაზე გამოვიყვანთ: არა სტიქიური (დაქსაქსული) და ფეშქეშური, არამედ ორგანიზებული და შეგნებული მოძრაობის გზაზე.

აი არსებითად რას ველით ჩვენ გარანტიებიანი თათბირისაგან, აი რატომ ვამბობთ ჩვენ: **თათბირი გარანტიებით, ანდა არავითარი თათბირი!** [53]

დაე გასწიონ ბატონმა ძველმა მოთათბირეებმა აგიტაცია გარანტიების წინააღმდეგ, დაე ადიდონ მათ ცამდე

თათბირს თავიანთ მეპატრონეებთან და კოლექტიურ ხელშეკრულებას მათს შორის. ეს კიდევ არაფერი, — მათს ცალკეულ წევრებს **არ ეკრძალებათ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება.**

უგარანტიო თათბირი, დაე იხოხონ ზუბატოვური ჭაობის ფსკერზე, — პროლეტარიატი ამოათრევს მათ ჭაობიდან და ასწავლის კლასობრივი ბრძოლის ფართო ველზე სიარულს!

დაე «იფრთხიალონ» ბ-მა დაშნაკ-ესერებმა, დაე ბოიკოტით შეხვდნენ ისინი თავიანთი ჰაეროვანი კოშკებიდან მუშების ორგანიზებულ მოქმედებას, — შეგნებული პროლეტარიატი ძირს ჩამოაბრძანებს მათ ჩვენს ცოდვილ მიწაზე და ქედს მოახრევინებს გარანტიანი თათბირის წინაშე!

ჩვენი მიზანი ნათელია: შემოვკრიბოთ პროლეტარიატი რწმუნებულთა საბჭოს ირგვლივ და დავრაზმოთ ეს უკანასკნელი კავშირების ირგვლივ ჩვენი საერთო მოთხოვნების განსახორციელებლად, ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ჩვენი გზა ნათელია: გარანტიანი თათბირიდან ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატის საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ.

თავის დროზე ჩვენ მოვუწოდებთ რწმუნებულთა საბჭოს — ებრძოლოს როგორც თათბირის დახავსებულ მომხრეებს, ისე ესერ-დაშნაკ ბოიკოტისტების ზღაპრულ ფანტაზიებს.

თათბირი გარკვეული გარანტიებით, ანდა არ გვინდა თათბირი!

გაზეთი «ვუდოკ» № 17,
1908 წ. 3 თებერვალი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

Სტატია ხელმოუწერელია.

რას გვეუბნება ჩვენი ბოლოდროინდელი გაფიცვები?

იანვარ-თებერვლის გაფიცვათა ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ზოგიერთი ახალი თავისებურება, რასაც ახალი ელემენტები შეაქვს ჩვენს მოძრაობაში. ერთ-ერთ ასეთ თავისებურებაზე — გაფიცვების თავდაცვით ხასიათზე — უკვე იყო ლაპარაკი «გუდოკში»[56]. მაგრამ ეს გარეგანი თავისებურებაა. გაცილებით უფრო საინტერესოა სხვა, შინაგანი თავისებურებები, რომლებიც მკაფიოდ გვიშუქებენ ჩვენი მოძრაობის განვითარებას. ჩვენ აქ ვგულისხმობთ, მოთხოვნების ხასიათს, გაფიცვათა ჩატარების ხერხებს, ბრძოლის ახალ მეთოდებს და სხვ.

პირველი, რაც თვალში გეცემა — ესაა მოთხოვნების შინაარსი. დამახასიათებელია, რომ გაფიცვების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აყენებს ფულადი ჯილდოს მოთხოვნას (ნობელი, მოტოვილიხა, მოლოტი, მირზოევები, ადამოვები და სხვ.). ხოლო იქ, სადაც ფულად ჯილდოს მოითხოვენ, მუშები ცდილობენ ეს თავიანთ მოთხოვნათა ბოლოს მოაქციონ, რადგან რცხვენიათ მარტოოდენ «ფეშქეშის» გულისთვის იბრძოლონ (პიტოევი და სხვ.). აშკარაა, ძველ ფეშქეშურ ცრურწმენათა სერიოზული რღვევა ხდება. «ფეშქეშს» უკვე მნიშვნელობა ეკარგება მუშების თვალში. წვრილბურჟუაზიული მოთხოვნებიდან (ფულადი

ჯილდო) მუშები პროლეტარულ მოთხოვნებზე გადადიან: ყველაზე თავხედი ადმინისტრატორების დათხოვნა (ნობელი, მოლოტი, ადამოვები), დათხოვნილი ამხანაგების უკანვე მიღება (მირზოევი), სასარეწო-საქარხნო კომისიის უფლებათა გაფართოება (ნობელი, მირზოევი). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მირზოეველთა გაფიცვა[57]. ისინი მოითხოვენ კომისიის ცნობას და დათხოვნილი ამხანაგების უკანვე მიღებას, როგორც იმის გარანტიას, რომ ამიერიდან ფირმა არც ერთ მუშას არ დაითხოვს ისე, თუ კომისიის თანხმობა არ იქნა. გაფიცვა უკვე ორი კვირაა რაც გრძელდება და ოშვიათი ერთსულოვნობით ტარდება. უნდა ნახოთ ეს მუშები, უნდა იცოდეთ, რა სიამაყით ამბობენ ისინი: «ჩვენ ფულადი ჯილდოს ანდა პირსახოც-საპნის გულისთვის კი არ ვიბრძვით, არამედ მუშათა კომისიის უფლებებისა და ღირსებისათვისო», — უნდა იცოდეთ, ვამბობ მე, ყოველივე ეს, რომ გაიგოთ, თუ რა ცვლილება მოხდა მუშების შეგნებაში.

უკანასკნელი გაფიცვების მეორე თავისებურებას წარმოადგენს სარეწებზე მომუშავეთა მასის გამოღვიძება და აქტიურობა. საქმე ისაა, რომ დღემდე სარეწების მუშები ძალაუნებურად ხელოსნებს მისდევდნენ, და ყოველთვის როდი მიჰყვებოდნენ მათ ხალისით, დამოუკიდებლად კი მხოლოდ ფულადი ჯილდოს გულისთვის ამოძრავდებოდნენ ხოლმე. ამასთან ისინი ერთგვარი მტრობით ეკიდებოდნენ **ხელოსნებს**, რასაც აღვივებდა ნავთობის მრეწველთა პროვოკატორულ-ფეშქეშური პოლიტიკა (ბიბი-ეიბათის საზოგადოება შარშან, ლაპშინი ამას წინათ). უკანასკნელი გაფიცვები ცხადყოფენ, რომ სარეწთა მუშების პასიურობა წარსულს ჰბარდება. ნობელთან გაფიცვა (იანვარი) მათ დაიწყეს და თან გაიყოლიეს ხელოსნები; მირზოევთან გაფიცვის (თებერვალი) სულისჩამდგმელნი იგივე სარეწთა მუშები არიან. თავისთავად გასაგებია, რომ სარეწთა

მუშების გააქტიურებასთან ერთად კლებულობს ხელოსნებისადმი მათი მტრობაც. სარეწთა მუშები უკვე ხელოსნების მხარდამხარ მიდიან.

კიდევ უფრო საინტერესოა მესამე თავისებურება — გაფიცულთა მეგობრული დამოკიდებულება ჩვენი კავშირისადმი და, საერთოდ, გაფიცვების შედარებით ორგანიზებულად ჩატარება. უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია ის, რომ ახლა ვეღარ ნახავთ ოცდაათადღიან მოთხოვნებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქმის წარმატებით წარმართვას (გაიხსენეთ კასპიის ამხანაგობაში შარშან მომხდარი ამბავი), — ახლა მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას აყენებენ, რასაც შეუძლია დარაზმოს მასა (ნობელი, მირზოევები, მოტოვილიხა, მოლოტი, ადამოვები). მეორეც — თითქმის არც ერთი ამ გაფიცვათაგანი არ ტარდება ისე, რომ მასში აქტიურად არ ჩაერიოს კავშირი: მუშები აუცილებელ საჭიროებად ცნობენ კავშირის წარმომადგენელთა მიწვევას (კოკორევი, ნობელი, მოლოტელები, მირზოევები და სხვ.). წინანდელი დაპირისპირება სასარეწო და საქარხნო კომისიებისა კავშირისადმი — წარსულს ჰბარდება. ახლა უკვე კავშირს ისე უყურებენ, როგორც თავიანთ პირმშოს. სასარეწო და საქარხნო კომისიები კავშირის კონკურენტებიდან უკვე კავშირის დასაყრდენად იქცევიან. ამის შედეგია ბოლოდროინდელი გაფიცვების მეტი ორგანიზებულობა.

აქედანვე გამომდინარეობს მეოთხე თავისებურება — უკანასკნელი გაფიცვების შედარებითი წარმატებულობა ანუ, უკეთ, ის ფაქტი, რომ ნაწილობრივი გაფიცვები არცთუ ისე ხშირად და არცთუ ყოველთვის ჩაიშლება ხოლმე მთლიანად. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, გაფიცვა კოკორევთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოკორევის მუშების გაფიცვა შემობრუნების პუნქტია ჩვენი ბრძოლის მეთოდების განვითარებაში. ამ და ზოგიერთმა სხვა

გაფიცვამ (პიტოევი, მოტოვილიხა) გვიჩვენა, რომ 1) საქმის ორგანიზებულად წარმართვის, 2) კავშირის აქტიურად ჩარევის, 3) გარკვეული შეუპოვრობის გამოჩენის და 4) ბრძოლის მომენტის მარჯვედ შერჩევის პირობებში — ნაწილობრივი გაფიცვები შეიძლება სრულიადაც არ იყოს უშედეგო. ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ «პრინციპული» წამოძახილი — «ძირს ნაწილობრივი გაფიცვები»— სახიფათო ლოზუნგია, რასაც საკმაოდ ვერ ამართლებენ ბოლოდროინდელი მოძრაობის ფაქტები. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავშირის მხრივ ხელმძღვანელობისა და მომენტის მარჯვედ შერჩევის შემთხვევაში ნაწილობრივი გაფიცვები შეიძლება პროლეტარიატის დარაზმვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცნენ.

ასეთია, ჩვენი აზრით, ბოლოდროინდელი გაფიცვების ყველაზე მნიშვნელოვანი შინაგანი თავისებურებანი.

გაზეთი «გუდოკ» № 21,
1908 წ. 2 მარტი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ. კ ა ტ ო.

შემოგბრუნება ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში

ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო — სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ — როდესაც ჩვენი ნავთობის მრეწველნი მუშებსა და მეპატრონეებს შორის «ევროპულ» ურთიერთობაზე «ლაპარაკობდნენ».

ისინი მაშინ ცდილობდნენ შემარიგებლურად მოქცეულიყვნენ. ეს გასაგებიცაა: «დაკვირვებული» რინის დაუღალავი ქადაგება კოლექტიური ხელშეკრულების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ, ნაწილობრივ გაფიცვათა სულ უფრო მეტად აზვირთება, ნავთობის მრეწველთა იმედი «ევროპული» თათბირის საშუალებით «წარმოების მოწესრიგებისა», გარკვეული დაძაბულება ხელისუფლების მხრივ, — ყოველივე ეს სწორედ შემარიგებლურ, «ევროპულ» განწყობილებას უქმნიდა ნავთობის მრეწველებს.

— ძირს გაფიცვათა ანარქია, — გაიძახოდა რინი.

— გაუმარჯოს წესრიგს, — კვერს უკრავდნენ მას ნავთობის მრეწველნი.

და «წესრიგი» თითქოს მყარდებოდა. რეპრესიები მეპატრონეთა მხრივ თითქოს მცირდებოდა რაოდენობრივად. გაფიცვათა რიცხვიც მცირდებოდა. ნავთობის მრეწ-

ველნი «საჭიროდ ცნობდნენ მორიგებას» (იხ. «ნეფტიანოე დელო», დეკემბერი).

მაგრამ აი დაიწყო კამპანია. მუშებმა გადაჭრით უარყვეს ძველი, კულისებსიქით თათბირი. მათმა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გარანტიებიან თათბირს. ამით მუშებმა გარკვეულად გამოხატეს თავიანთი სურვილი — მთლიანად გამოეყენებინათ თათბირი, ორგანიზებული, შეგნებული ბრძოლის იარაღად გადაექციათ იგი.

და მერე რას ვხედავთ?

აღარ ისმის სიტყვები «ევროპულ» ურთიერთობაზე. «წარმოების მოწესრიგების» «იმედზე» კრინტსაც აღარ ძრავენ. «გაფიცვათა ანარქია» აღარ აშინებს ნავთობის მრეწველებს — პირიქით — ისინი თვითონ აქეზებენ მუშებს «ანარქიისაკენ», როდესაც უტევენ მათ, ართმევენ მოპოვებულს, სამუშაოდან ითხოვენ მოწინავე ამხანაგებს და სხვ. და სხვ.

ცხადია, ნავთობის მრეწველნი საჭიროდ აღარ ცნობენ მორიგებას. ისინი შეტევას ამჯობინებენ.

ჯერ კიდევ ნავთობის მრეწველთა ყრილობაზე, იანვრის დამლევს, დაიწყეს მათ იერიში მუშების წინააღმდეგ. მათ პირში ბურთი ჩასჩარეს კავშირის წარმომადგენლებს. მათ დაასამარეს მუშათა დაბების საკითხი. მათ გადაწყვიტეს «წყალს გაატანონ» სკოლების, საექიმო დახმარებისა და სხვა საკითხები. მათ წაართვეს მუშებს სახალხო სახლების გამგებლობაში მონაწილეობის უფლება.

ყოველივე ამით ნავთობის მრეწველნი გვაგრძნობინებდნენ, რომ ისინი «ახალ» «არაევროპულ» გზას ადგებიან, მუშებზე აშკარა თავდასხმათა გზას.

ყრილობის საბჭო მათი ყრილობის «საქმეს» განაგრძობს. ამ საბჭომ შეუტია მუშებს, — შემოიღო «ათკაპიკიანი გამოსაღები საავადმყოფოების სასარგებლოდ». აღარას ვამბობთ საბჭოს წვრილმან განკარგულებებზე,

რომელთაც დაღი აზის იმავე შემობრუნებისა ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში.

ამას მოსდევს რეპრესიების ჩვეულებრივი «გაღრმავება», რაც გამოიხატება მუშების მიერ სარეწებსა და ქარხნებში უკვე მოპოვებულ უფლებათა წართმევით, შტატის შემცირებით, მოწინავე მუშების დათხოვნით, ლოკაუტებით და ა. შ.

მათ არარად აქციეს სასარეწო-საქარხნო კომისიები. როტშილდთან (ბალახანა), კასპიის ამხანაგობაში, შიბაევთან (ბალახანა), «ბორნთან» (ბალახანა), ბიერინგთან, მირზოევთან, ნაფტალანის საზოგადოებაში კომისიის გამო მომხდარი შეჯახებანი ნათლად მოწმობენ ამას.

«შტატის შემცირების» საბაბით ისინი «აგდებენ» ყველაზე გავლენიან ამხანაგებს, განსაკუთრებით რწმუნებულებს თათბირის ხაზით. კასპიის საზოგადოებაში, «ბორნთან», მუხტაროვთან (ბალახანა), შიბაევთან (ბალახანა), ლაპშინთან (ბიბი-ეიბათი), მალნიკოვთან მომხდარი ფაქტები სრულიად უეჭვოს ხდიან ამას.

ლოკაუტი ვოტანთან ნავთობის მრეწველთა «ახალი» ტაქტიკის დაგვირგვინებას წარმოადგენს.

ყოველივე ამით ისინი მუშებს უბიძგებენ სტიქიურ-ანარქიულ აფეთქებათა გზისაკენ, რომელნიც ძალას აცლიან მუშებს.

კიდევ უფრო დამახასიათებელია გაფიცულთა დევნის ფორმები. ჩვენ აქ ვგულისხმობთ მირზოევის ფირმას, უფრო სწორად — ამ ფირმის მმართველს, ბ-ნ მარქაროვს, რომელიც გაფიცული სომხების წინააღმდეგ ამხედრებს ბერდანებით შეიარაღებულ მუსლიმანებს და, ამრიგად, პირობებს უქმნის სომეხ-თათართა შეტაკებებს.

ასეთია ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში მომხდარი შემობრუნება.

ცხადია, ნავთობის მრეწველებს აღარ უნდათ «ევროპული პირობები».

რაკი გაუცრუვდათ თათბირის «წარმატების» მოლოდინი, რაკი დაეკარგათ იმის იმედი, რომ შესაძლებელია «წარმოების მოწესრიგება» მარტოოდენ თათბირის გზით, მუშების ძირითად მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლად, რაკი ხედავენ, თუ როგორ იქცევა თათბირი დეზორგანიზაციის იარაღიდან ორმოცდაათიათასიანი მასის დარაზმვის იარაღად, — ნავთობის მრეწველებს სურთ როგორმე მოიცილონ თავიდან თათბირი, განუსაზღვრელი დროით გადადონ იგი ანდა ყოველ შემთხვევაში ძალა გამოაცალონ მას.

ამისთვის ისინი მიმართავენ რეპრესიების სისტემას, ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ მუშების ნაადრევი გამოსვლები, ცალკეულ, ნაწილობრივ მოძრაობებად დაქსაქსონ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთო მოძრაობა, კლასობრივი ბრძოლის ფართო გზიდან ჯგუფობრივ შეტაკებათა ვიწრო ქუჩაბანდებში გადაახვევინონ მუშებს.

ყოველივე ამით მათ სურთ გარანტიებიან თათბირს ჩამოაშორონ მუშების ყურადღება, მნიშვნელობა დაუკარგონ მუშებში რწმუნებულთა საბჭოს, რომელსაც მათი შეკავშირება შეუძლია, ხელი შეუშალონ მუშებს გაერთიანდნენ. ამრიგად, საშუალება არ მისცენ მათ მოემზადონ თავიანთ მოთხოვნათა განსახორციელებლად.

ამნაირი მოქმედებით ისინი ცდილობენ პროვოკაციულად წააქეზონ ჯერ კიდევ დაურაზმავი მუშები ნაადრევი საერთო გამოსვლისათვის, რაც შესაძლებლობას მისცემს ნავთობის მრეწველებს «საბოლოოდ» მოუდრიკონ მუშებს კისერი, დიდი ხნით უზრუნველყონ ნავთის «განუწყვეტელი» მოპოვება.

ასეთია ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში მომხდარი შემობრუნების აზრი.

. როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა ყოველივე თქმულის გამო?

ჩვენ თავს გვესხმიან ნავთობის მრეწველნი, რადგან სარგებლობენ ჩვენი დაურაზმაობით, — მაშასადამე, ჩვენი ამოცანაა დავირაზმოთ ჩვენი კავშირის გარშემო, მოვიგერიოთ იერიშები ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

მათ სურთ პროვოკაციულად წაგვაქეზონ სტიქიური ნაწილობრივი აფეთქებებისათვის, რათა დააჭუცმაცონ ჩვენი საერთო მოძრაობა, — მაშასადამე, ჩვენი ვალია არ წამოვეგოთ ნავთობის მრეწველთა ანკესზე, შეძლებისდაგვარად შევიკავოთ თავი ნაწილობრივი გაფიცვებისაგან და არ დავქსაქსოთ საერთო მოძრაობა.

მათ სურთ ხელიდან გამოგვტაცონ ჩვენი შეკავშირების იარაღი, სურთ წაგვართვან რწმუნებულთა საბჭო, როდესაც ცდილობენ თათბირი განუსაზღვრელი დროით გადადონ, ნაადრევი საერთო გამოსვლისათვის წაგვაქეზონ, — მაშასადამე, ჩვენი ვალია მოვითხოვოთ რწმუნებულთა საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევა, შევუდგეთ მუშათა მოთხოვნების გამომუშავებას და ამ მუშაობის მსვლელობაში რწმუნებულთა საბჭოს ირგვლივ დავრაზმოთ მასები.

ხოლო თუ რწმუნებულთა საბჭოს განვამტკიცებთ და მის გარშემო 50-ათასიან მასას შემოვკრებთ, ჩვენთვის ძნელი არ იქნება საკადრისი პასუხი გავცეთ ბატონ ნავთობის მრეწველთა არაევროპულ ოინებს.

გაზეთი «გუდოკ» № 22,
1908 წ. 9 მარტი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

სტატია ხელმოუწერელია.

უნდა ვემზადოთ!

ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა მიიღოს ზომები რწმუნებულთა საბჭოს საჩქაროდ მოწვევისათვის [58].

ამ გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობა ეყრდნობოდა მუშების მრავალ განცხადებას, რომლებსაც ლოდინი აღარ სურთ და რწმუნებულთა საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვენ.

ასევე გადაწყვიტა იმოქმედოს მექანიკური წარმოების კავშირმა.

ამ დღეებში ორივე კავშირმა უკვე სათანადო განცხადებით მიმართა უფროს საფაბრიკო ინსპექტორს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საკითხი მალე გადაიჭრება ამა თუ იმ მიმართულებით.

თუ სახელდობრ რა პასუხს გასცემენ კავშირების განცხადებას ძალაუფლებისა და კაპიტალის მფლობელნი — ჩვენ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ვიცით.

შესაძლოა მათ დააკმაყოფილონ მუშების მოთხოვნა, დაუყოვნებლივ შეკრიბონ რწმუნებულთა საბჭო, და მაშინ, ალბათ, თათბირის საქმეები «ნორმალურად» წავა.

შესაძლოა ისიც, რომ მათ საქმე გააჭიანურონ და ჯერ-ჯერობით პირდაპირი პასუხი არ გაგვცენ.

ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის, რომ საშუალება არ მივცეთ ნავთობის მრეწველებს მოატყუონ მუშები.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველ წუთს სავსებით შეიარაღებულნი წარვდგეთ ნავთობის მრეწველთა წინაშე.

ამისთვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მოთხოვნების შემუშავებას.

ჩვენ მივდივართ გარანტიან თათბირზე. მაგრამ რით წარვდგებით ნავთობის მრეწველების წინაშე, თუ ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატის მთელი მასის მიერ მოწონებული მოთხოვნებით არა? მაშ მოდით შევიმუშაოთ მუშათა მოთხოვნები ხელფასზე, სამუშაო დღეზე, მუშათა დაბებზე, სახალხო სახლებზე, საავადმყოფო დახმარებაზე და სხვ.

ჩვენი კავშირი უკვე შეუდგა საქმეს. «გუდოკის» ფურცლებზე მან თავისი აზრი გამოთქვა მუშათა დაბების, საავადმყოფო დახმარების, სახალხო სახლების, სკოლების საკითხებზე. ეს მოთხოვნები კავშირმა უკვე გამოუშვა ცალკე ბროშურად, რომელსაც ეწოდება «მასალები თათბირისათვის».

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა.

საჭიროა ყველა ეს მოთხოვნანი გადავცეთ მასას, რათა მან განიხილოს ისინი და გამოთქვას თავისი აზრი, მისთვის სავალდებულო ეროვნული აზრი.

გარდა ამისა, ხელფასისა და სამუშაო დღის საკითხები ჯერ კიდევ არ დაუმუშავებია კავშირს, — მაშასადამე, საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მოთხოვნების შემუშავებას ამ საკითხებზეც.

ამ მიზნით ჩვენი კავშირი ირჩევს სპეციალურ კომისიას მოთხოვნების გამოსამუშავებლად.

ეს კომისია უკავშირდება რწმუნებულებს თათბირის ხაზით და ოთხი რაიონის სასარეწო-საქარხნო კომი-

სიებს, რათა მათთან ერთად დაამუშაოს ჩვენი ყოფის საჭირბოროტო საკითხები.

შემდეგ იკრიბებიან საერთო კრებები ქარხნებში, სარეწებში, ყაზარმებში და საბოლოოდ მტკიცდება მოთხოვნები.

ასეთი უნდა იყოს გარანტიანი თათბირისათვის მოსამზადებლად მიმართული ჩვენი მუშაობის გეგმა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოთხოვნებს შევიმუშავებთ და მასებს გავაცნობთ მათ, შევძლებთ სწორედ ამ მასის დარაზმვას რწმუნებულთა საბჭოს გარშემო.

ხოლო მასის შემოკრებით მისი საბჭოს გარშემო საშუალება მოგვეცემა დავაზღვიოთ იგი მოულოდნელობათაგან ნავთობის მრეწველების მხრივ.

არა უნიათო ფილოსოფოსობა გარანტიების პუნქტების «კონკრეტიზაციის» შესახებ (იხ. «პრომისლოვი ვესტნიკ»[59]) და არა ქარაფშუტული წამოძახილები — «გაზაფხული დადგაო» (გაიხსენე ესერები), — არამედ შეუპოვარი მუშაობა მუშათა მოთხოვნების შესამუშავებლად, აი, უწინარეს ყოვლისა, რას უნდა შევუდგეთ ჩვენ მოახლოებული ამბების გამო.

მაშ ასე, უფრო ერთსულოვნად ვემზადოთ გარანტიანი თათბირისათვის!

გაზეთი «გუდოკ» № 23.
1908 წ. 16 მარტი.
სტატია ხელმოუწერელია.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ეკონომიური ტერორი და მუშათა მოძრაობა

მუშების ბრძოლას ყოველთვის და ყველგან ერთი და იგივე ფორმა როდი აქვს.

იყო დრო, როცა მუშები, მეწარმეებს რომ ებრძოდნენ, მანქანებს ამსხვრევდნენ, ქარხნებს ცეცხლს უკიდებდნენ. მანქანა — აი სიღატაკის წყარო! ქარხანა — აი ჩაგვრის ადგილი! მაშ დაამსხვრიე ისინი, ცეცხლი წაუკიდეო — ამბობდნენ მაშინ მუშები.

ეს იყო ჩამოუყალიბებელ, **ანარქიულ-მეამბოხურ შეტაკებათა** დრო.

ჩვენ ვიცით სხვა შემთხვევებიც, როცა მუშები, ცეცხლის წაკიდებისა და ნგრევის ძალაში იმედი რომ გაუცრუვდებოდათ, «უფრო მკვეთრ ფორმებზე» გადადიოდნენ, — კლავდნენ დირექტორებს, მმართველებს, გამგეებს და სხვ.. ყველა მანქანასა და ქარხანას ვერ მოსპობ, ამბობდნენ მაშინ მუშები, და ეს არც ხელსაყრელია მუშებისათვის, მმართველების დაშინება და მოდრეკა კი ტერორის საშუალებით ყოველთვის შეიძლება, — მაშ ჰკა მაგათ, შიშის ზარი დაეცო!

ეს იყო ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე ერთპიროვნულ **ტერორისტულ შეტაკებათა** დრო.

მუშათა მოძრაობამ მკაცრად დაგმო ბრძოლის როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა და წარსულს ჩააბარა ისინი.

და ეს გასაგებიცაა. უეჭველია, რომ ქარხანა ნამდვილად წარმოადგენს მუშათა ექსპლოატაციის ადგილს, და მანქანა დღემდე კიდევ ეხმარება ბურჟუაზიას გააფართოოს ეს ექსპლოატაცია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მანქანა და ქარხანა თვითონ წარმოადგენენ სიღატაკის წყაროს. პირიქით, სწორედ ქარხანა და სწორედ მანქანა შესაძლებლობას მისცემენ პროლეტარიატს დაამსხვრიოს მონობის ბორკილი, მოსპოს სიღატაკე, დაძლიოს ყოველგვარი ჩაგვრა — ოღონდ საჭიროა, რომ ცალკეულ კაპიტალისტთა კერძო საკუთრებიდან ისინი ხალხის საზოგადოებრივ საკუთრებად გადაიქცნენ.

მეორე მხრივ, რად გადაიქცეოდა ცხოვრება, ჩვენ რომ მართლაც შევდგომოდით მანქანების, ქარხნების, რკინიგზების ნგრევასა და მათთვის ცეცხლის წაკიდებას? მაშინ ცხოვრება ხომ უბადრუკ უდაბნოს დაემსგავსებოდა, და მუშები პირველნი დაკარგავდნენ ლუკმაპურს!..

ცხადია, რომ კი არ უნდა დავამსხვრიოთ მანქანები და ქარხნები, **არამედ ხელში ჩავიგდოთ ისინი, როცა შესაძლებლობა იქნება, თუ ჩვენ მართლა მივისწრაფით სიღატაკის მოსპობისაკენ.**

აი რატომ უარყოფს მუშათა მოძრაობა ანარქიულ-მეამბოხურ შეტაკებებს.

უეჭველია, ეკონომიურ ტერორსაც აქვს ერთგვარი, მოჩვენებითი «გამართლება», რამდენადაც მას ბურჟუაზიის დასაშინებლად მიმართავენ. მაგრამ რას ნიშნავს ასეთი შიში, თუ იგი წამიერი და სწრაფწარმავალია? და რომ იგი შეიძლება მხოლოდ წამიერი იყოს, ეს ცხადად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ შეუძლებელია ეკონომიური ტერორის გამოყენება ყოველთვის და ყველგან. ეს ერთი. მეორეც, რა

უნდა მოგვცეს ბურჟუაზიის წამიერმა შიშმა და მით გამოწვეულმა დათმობამ, თუ ზურგს უკან არ გვეყოლება მუშათა ძლიერი მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის მზად იქნება იბრძოლოს მუშათა მოთხოვნებისათვის და შეეძლება შეინარჩუნოს მოპოვებული დათმობანი? ფაქტები კი თვალნათლივ მოწმობენ, რომ ეკონომიური ტერორი ახშობს მისწრაფებას ასეთი ორგანიზაციისაკენ, უკარგავს მუშებს დარაზმვის, დამოუკიდებლად გამოსვლის ხალისს — იმათ ხომ ჰყავთ გმირი ტერორისტები, რომლებსაც შეუძლიათ გამოვიდნენ მათ მაგივრად. უნდა განვავითაროთ თუ არა მუშებში თვითმოქმედების სულისკვეთება? უნდა განვავითაროთ თუ არა მუშებში დარაზმვის სურვილი? რასაკვირველია, უნდა განვავითაროთ! მაგრამ განა შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიური ტერორი, თუ იგი მუშებში ერთსაც ახშობს და მეორესაც.

არა, ამხანაგებო! ჩვენ არ შეგვფერის ვაფრთხობდეთ ბურჟუაზიას ცალკეული თავდასხმებით საფრიდან — ასეთი «საქმეები» ცნობილ თავდამცემთათვის დაგვითმია. ჩვენ **აშკარად** უნდა გამოვდიოდეთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ჩვენ **სულ მუდამ, საბოლოო გამარჯვებამდე,** უნდა ვიყოლიოთ იგი შიშში! ამისთვის კი საჭიროა არა ეკონომიური ტერორი, არამედ მტკიცე მასობრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება ბრძოლაში გაუძღვეს მუშებს.

აი რატომ უარყოფს მუშათა მოძრაობა ეკონომიურ ტერორს.

ნათქვამის გამო, მირზოეველ გაფიცულთა უკანასკნელ რეზოლუციას, რომელიც მიმართულია ცეცხლწაკიდებისა და «ეკონომიურ» მკვლელობათა წინააღმდეგ, განსაკუთრებული ინტერესი ენიჭება. ამ რეზოლუციაში 1500 მირზოეველის გაერთიანებული კომისია აღნიშნავს საცეცხლეფარეშოსათვის ცეცხლის წაკიდებისა (ბალახანაში) და

ეკონომიურ ნიადაგზე გამგის მოკვლის (სურახანა) ფაქტებს და აცხადებს, რომ «პროტესტს გამოთქვამს ბრძოლის ისეთი მეთოდის წინააღმდეგ, როგორიცაა მკვლელობა და ცეცხლწაკიდება» (იხ. «გუდოკ» № 24).

ამით მირზოეველები საბოლოოდ აქცევენ ზურგს ძველ ტერორისტულ მეამბოხურ ტენდენციებს.

ამით ისინი გადაჭრით ადგებიან ნამდვილი მუშათა მოძრაობის გზას.

ჩვენ მივესალმებით ამხანაგ მირზოეველებს და მოვუწოდებთ ყველა მუშას ასევე გადაჭრით დაადგნენ პროლეტარული მასობრივი მოძრაობის გზას.

გაზეთი «გუდოკ» № 25,
1908 წ. 30 მარტი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

სტატია ხელმოუწერელია.

ნავთობის მრეწველნი ეკონომიური ტერორის შესახებ

ეკონომიური ტერორის საკითხი კვლავ იზიდავს «საზოგადოების» ყურადღებას.

ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი ამის თაობაზე და დავგმეთ ეკონომიური ტერორი, როგორც ბრძოლის ისეთი მეთოდი, რომელიც მუშათა კლასისათვის მავნეა და ამიტომ უვარგისია.

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვეს მუშებმაც სარეწებსა და ქარხნებში.

აზრს გამოთქვამენ, რასაკვირველია, ნავთობის მრეწველებიც. ამასთან ირკვევა, რომ მათი «შეხედულებანი» ძირეულად განსხვავდებიან მუშების შეხედულებებისაგან, ვინაიდან ისინი «მუშებისაგან გამომდინარე» ეკონომიურ ტერორს გმობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ ასეთივე ტერორის წინააღმდეგ ნავთობის მრეწველების მხრივ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცნობილი მოწინავე სტატია ეკონომიური ტერორის შესახებ ნავთობის მრეწველთა ცნობილ ორგანოში (იხ. «ნეფტიანოე დელო» № 6, ბ-ნ ყ — ზას[60] სტატია).

გავარჩიოთ ეს მოწინავე. იგი საინტერესოა არა მარტო როგორც ნავთობის მრეწველების «შეხედულებათა» დასაბუთება, არამედ როგორც მუშებთან ბრძოლის ახლანდელ მომენტში მათი განწყობილების გამოხატულებაც. სიმარჯვისათვის საჭიროა შემდეგ სამ ნაწილად გავყოთ ეს სტატია:

პირველი, სადაც ბ-ნი ყ—ზა ლაპარაკობს ზოგიერთ კერძო საკითხზე მუშებისა და მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ; მეორე — ეკონომიური ტერორის მიზეზების შესახებ და მესამე — მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ.

დავიწყოთ კერძო საკითხებიდან. უწინარეს ყოვლისა მირზოეველების შესახებ. ყველამ იცის, რომ სურახანის მმართველის მოკვლისა და საცეცხლფარეშოში მომხდარი ხანძრისთანავე, მირზოეველთა გაერთიანებულმა კომისიამ, 1500 მუშის სახელით, ერთხმად განაცხადა პროტესტი ბრძოლის ასეთი მეთოდის წინააღმდეგ და უარყო ხანძრისა და მკვლელობის კავშირი გაფიცვასთან. თითქოს არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ეჭვი შეეტანო ამ პროტესტის გულწრფელობაში. მაგრამ ყ—ზა სხვანაირად ფიქრობს. იგი, როგორც შარიანი «კრიტიკოსი», მაინც საჭიროდ თვლის საეჭვო გახადოს მუშების გულწრფელობა, ამბობს, «კომისია ცდებაო», ხანძარსა და მკვლელობას გაფიცვასთან პირდაპირი კავშირი აქვსო. და ასე იქცევა 1500 მუშის წარმომადგენელთა ერთსულოვანი პროტესტის შემდეგ! რა არის ეს, თუ იმის სურვილი არა, რომ დაამახინჯოს ფაქტები, სახელი გაუტეხოს მუშებს, «სამარცხვინო ბოძზე გააკრას» ისინი თუნდაც ცილისწამების საშუალებით? და განა შეიძლება ამის შემდეგ გვჯეროდეს ბ-ნ ყ—ზას გულწრფელობა, რომელიც თავის სტატიაში ამდენს ლაპარაკობს «ადამიანთა დანაშაულებრივი ნების გაკეთილშობილებაზე».

მირზოეველებიდან ბ-ნი ყ—ზა ჩვენს კავშირზე გადმოდის. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი კავშირი სწრაფად იზრდება. თუ რა უდიდესი გავლენა აქვს მას მუშებში, ეს შეიძლება თუნდაც იმის მიხედვით განვსაჯოთ, რომ მთელი კამპანია თათბირის გარშემო მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. და «გუდოკი» მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს აღნიშნავდა, როცა ამბობდა,

რომ «კავშირის გავლენა და მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, რომ მას მუშათა მასის ყველაზე ჩამორჩენილი, უკულტურო ფენების თვალშიც კი თანდათანობით ენიჭება მათი ეკონომიური ბრძოლის ბუნებრივი ხელმძღვანელის როლი». დიახ, ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ჩვენი ულმობელი «კრიტიკოსი» ანგარიშს არ უწევს ფაქტებს, იგი «საეჭვოს ხდის» ყოველივესა და ყველაფერს, იგი მზადაა ფაქტებიც კი უარყოს, ოღონდ მკითხველის თვალში მუშათა კავშირის პრესტიჟი და ღირსება შელახოს! და ბ-ნ ყ—ზას ყოველივე ამის შემდეგ გამბედაობა ჰყოფნის თავის თავზე განაცხადოს, რომ იგი ჩვენი კავშირის მომხრე და «ეკონომიური ბრძოლის გაკეთილშობილების» დამცველია!

ვინც **ანი** თქვა, იგი **ბანსაც** იტყვის, ვინც ჩვენს კავშირს ლანძღავს, მან ჩვენი გაზეთიც უნდა გალანძღოს, — და აი ბ-ნი ყ—ზა «გუდოკზე» გადმოდის. ამასთან ირკვევა, რომ თურმე «გუდოკი» «არ აკეთებს ყოველივეს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა გაწმინდოს ეკონომიური ბრძოლის ატმოსფერო ფუჭი გაბოროტებისა, საშიში გაღიზიანებისა, ზედმეტი ნერვიულობისა და უკულტურო ღვარძლიანობისაგან», რომ «გუდოკი» მხოლოდ იმას აკეთებს, რომ «თავს ესხმის სხვა ორგანიზაციებს, პარტიებს, კლასებს, გაზეთებსა და ცალკე პირებს და თავისსავე მოძმე «პრომისლოვი ვესტნიკსაც» კი».

ასე გალობს ბ-ნი ყ—ზა. ჩვენ შეგვეძლო ყურადღებაც არ მიგვექცია განთქმული «კრიტიკოსის» მთელი ამ ლაყბობისათვის — განა ცოტა რამეს მოჩმახავს კაპიტალის ლაქია იმ იმედით, რომ თავისი ბატონის გული მოიგოს! მაგრამ რაც იყოს — იყოს, ამჯერად რამდენიმე სიტყვა მივუძღვნათ დიდ ბაქოელ კრიტიკოსს. მაშ ასე, «გუდოკი» «არ წმენდს ბრძოლის ატმოსფეროს ფუჭი გაბოროტებისა და საშიში გაღიზიანებისაგან»... დავუშვათ, რომ ყოველივე ეს

მართალია. მაგრამ გვითხარით წმინდა კაპიტალის გულისათვის: რას შეუძლია მეტი გაბოროტებისა და გაღიზიანების გამოწვევა, «გუდოკის» ბეჭდვითს სიტყვას თუ ნავთობის მრეწველთა ცოცხალ საქმეს, რომლებიც სისტემატურად ითხოვენ სამუშაოდან მუშებს, აწესებენ 10-კაპიკიან საავადმყოფო გამოსაღებს, ართმევენ მუშებს სახალხო სახლებს, მიმართავენ ყოჩების[61] დახმარებას, მუშტი-კრივს და სხვ.? რატომ არის, რომ ბ–ნი ყ—ზა, «ეკონომიური ბრძოლის გაკეთილშობილების» ეს «თავდადებული» დამცველი, საჭიროდ არ თვლის კრინტი დაძრას გამაღიზიანებელ და გამაბოროტებელ მოქმედებაზე, რასაც ნავთობის მრეწველები მიმართავენ? ის «ბნელი» ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიური ტერორის გზას დაადგნენ, ჩვენს გაზეთს ხომ არ კითხულობენ, მათ ხომ უფრო გააღიზიანებს და გააბოროტებს ნავთობის მრეწველთა რეპრესიები და მათგან შევიწროება, — მაშ რატომ არის, რომ ბ-ნი ყ — ზა, რომელიც ამდენს ლაპარაკობს «გუდოკის» წინააღმდეგ, კრინტსაც არა ძრავს ბ-ნ ნავთობის მრეწველთა «ბნელ საქმეებზე»? და განა ცხადი არ არის ამის შემდეგ, რომ ბ-ნ ყ — ზას უტიფრობას საზღვარი არა აქვს?

მეორეც, საიდან გამოატყვრინა ბ-მა ყ—ზამ, რომ «გუდოკი» არ ცდილობდა «გაეწმინდა ეკონომიური ბრძოლის ატმოსფერო ფუჭი გაბოროტებისა და საშიში გაღიზიანებისაგან»? მერე-და «გუდოკის» აგიტაცია ეკონომიური ტერორისა და იტალიური გაფიცვის წინააღმდეგ, ანარქიულ-მეამბოხური გაფიცვების წინააღმდეგ ორგანიზებულ გაფიცვათა სასარგებლოდ, ნაწილობრივი გამოსვლების წინააღმდეგ თავიანთი ინტერესების საერთო-კლასობრივი დაცვის სასარგებლოდ, — რა არის ეს, თუ არა «ბრძოლის ატმოსფეროს გაწმენდა ფუჭი გაბოროტებისა და საშიში გაღიზიანებისაგან»? ნუთუ ყოველივე ეს არ იცის ბ-მა ყ — ზამ? ანდა იქნებ მას სურს თავი მოგვაჩვენოს

უცოდინრად და კაპიტალის მეხოტბის როლი შეასრულოს? მაშ რაღა საჭიროა მთელი ეს ლამაზი სიტყვები «მორალზე» და «ადამიანურ სინდისზე»?

«გუდოკი» «თავს ესხმის სხვა ორგანიზაციებს, პარტიებს, კლასებს, გაზეთებსა და ცალკე პირებს, «პრომისლოვი ვესტნიკსაც» კი», — განაგრძობს ბრალდებათა წამოყენებას ბ-ნი ყ—ზა. სწორედ ასეა, ბ-ნო ყ—ზა, თქვენ სიმართლე წამოგცდათ, «გუდოკი» მართლაც აწარმოებს ბრძოლას სხვა კლასებისა და მათი ორგანოების წინააღმდეგ! მაგრამ ნუთუ შეიძლება სხვა რამე მოსთხოვო მუშების გაზეთს, რომლებსაც ყველა სხვა კლასი და ჯგუფი უწევს ექსპლოატაციას? კმარა, «უბიწო ანგელოზად» ნუ მოგაქვთ თავი და პირდაპირ, მიუკიბავ-მოუკიბავად, თქვით: ნუთუ არ იცით, რომ ნავთობის მრეწველთა ორგანო «ნეფტიანოე დელო» და მისი პატრონი, ყრილობის საბჭო, სწორედ იმისთვის არიან შექმნილნი, რომ «თავს დაესხან» მუშათა კლასს, მუშათა პარტიას, მუშათა გაზეთებს? ნუთუ არ გახსოვთ ყრილობის საბჭოს უკანასკნელი განკარგულებანი 10-კაპიკიანი გამოსაღების, კერძების ფასის გადიდების, სკოლებისა და ბარაკების შემცირების, მუშებისათვის სახალხო სახლების ჩამორთმევისა და სხვათა შესახებ? და განა ამ აზიურ განკარგულებათა გამართლებას არ ცდილობს ნავთობის მრეწველთა ორგანო «ნეფტიანოე დელო»? ან, იქნებ, ეს მუშებზე «თავდასხმა» კი არ არის, არამედ «დანაშაულებრივი ნების გაკეთილშობილებაა», ეკონომიური ბრძოლის მოწესრიგება და სხვა? მაშ როგორ გნებავთ იმოქმედოს მუშათა გაზეთმა ნავთობის მრეწველების მიმართ, რომლებიც მუშებს ყვლეფენ, მათი ორგანიზაციის მიმართ, რომელიც მუშებს ატყუებს, მათი ორგანოს მიმართ, რომელიც მუშებს რყვნის, ანდა, მაგალითად, ყ—ზას მიმართ, რომელიც სასაცილოდ ცდილობს «ფილოსოფიურად» დაასაბუთოს ნავთობის მრეწველთა აზიურ-ველური **ნაბიჯები?** ნუთუ ნამდვილად

არ ესმის ბ-ნ ყ—ზას მუშებსა და მეწარმეებს შორის კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა? აბა, რა სათქმელია! ბ-ნ ყ—ზას მშვენივრად ესმის ყოველივე ეს: ის ხომ თვითონ აწარმოებს ბრძოლას პროლეტარიატისა და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ! მაგრამ, ჯერ ერთი, იგი ლაპარაკობს მუშების მხრივ ბრძოლის წინააღმდეგ და არა საერთოდ ბრძოლის წინააღმდეგ; მეორეც, ნავთობის მრეწველები ხომ არ იბრძვიან, არამედ მხოლოდ «აკეთილშობილებენ ბრძოლას»; მესამეც, ყ—ზა ხომ მუშების წინააღმდეგი არ არის, — ის სავსებით მუშების მხარეზეა... ნავთობის მრეწველთა სასარგებლოდ; მეოთხეც, ყ—ზა ხომ «იღებს», — იცით რა, ამასაც უნდა 'გავუწიოთ ანგარიში...

ეტყობა, ბ-ნ ყ—ზას სითამამე მის «სინდისს» არ ჩამოუვარდება, — ერთიც და მეორეც საჭიროების მიხედვით ფართოვდება.

ასეთია პროლეტარიატისა და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ კერძო საკითხების საქმის ვითარება ბ-ნ ყ—ზას მოწინავე სტატიაში.

* * *

ახლა გადავიდეთ მისი სტატიის მეორე ნაწილზე.

თავისი სტატიის ამ ნაწილში ავტორი ლაპარაკობს ეკონომიური ტერორის მიზეზებზე. ამასთან «ირკვევა», რომ მიზეზია მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენების «გონების სიბნელე» და «ნების დანაშაულებრიობა». «სიბნელე» და «დანაშაულებრიობა» კი იმით აიხსნება, რომ მუშათა კავშირები და გაზეთები საკმაო ენერგიით არ ეწევიან განმანათლებელ და გამაკეთილშობილებელ მუშაობას მუშებში. რა თქმა უნდა, დასძენს ბ-ნი ყ—ზა, «პროგრამები (კავშირების?) არ იწონებენ ეკონომიურ ტერორს», მაგრამ მარტო «პროგრამული არმოწონება არ კმარა, როცა ვხედავთ, რომ ცხოვრება ყალბი გზით წავიდა. აქ საჭიროა... ყველა

პარტიისა და კავშირის აქტიური ბრძოლა» «წარმოშობილ ბოროტებასთან». «მხოლოდ მაშინ, — განმარტავს თავის აზრს ბ-ნი ყ — ზა, — როცა... მუშების ყველა მეგობარი, მათი პარტიული დაჯგუფების მიუხედავად, ენერგიულ ბრძოლას გააჩაღებს... ეკონომიური ტერორის წინააღმდეგ, **მხოლოდ მაშინ** მოისპობა მკვლელობანი» და ა. შ.

ამრიგად, მუშები გონებაბნელნი არიან და ამიტომ ხშირად ბედავენ მკვლელობას, მაგრამ ისინი გონებაბნელნი არიან იმიტომ, რომ მათი კავშირები და გაზეთები არ ცდილობენ «გაანათლონ და გააკეთილშობილონ» ისინი, — მაშასადამე, ყველაფერში დამნაშავენი არიან მუშათა კავშირები და გაზეთები.

ასე გალობს ბ-ნი ყ—ზა.

ჩვენ არ შევჩერდებით იმ აბნეულობაზე, რაც ბ-ნ ყ—ზას თავში სუფევს ეკონომიური ტერორის შესახებ — მხედველობაში გვაქვს მისი უმეცრული განცხადება — ეკონომიური ტერორი პროგრამის საკითხიაო. ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი რამ შევნიშნოთ: 1) თუ ბ-ნი ყ—ზა, «პროგრამულ ტერორს» რომ იხსენიებს, კავშირებზე ლაპარაკობს, ნუთუ არ იცის მან, რომ რუსეთში საერთოდ კავშირებს პროგრამა არა აქვთ, — ეს ხომ ყოველმა მუშამ იცის! 2) ხოლო თუ მას პარტიები ჰყავს მხედველობაში, ნუთუ არ იცის ის, რაც ყოველმა გიმნაზიელმა იცის, რომ ეკონომიური ტერორი ტაქტიკის საკითხია და არა პროგრამისა! რაღა საჭიროა მთელი ეს ლათაიები პროგრამის შესახებ? გვიკვირს, რატომ ვერ მოუხერხებიათ ბ-ნ ნავთობის მრეწველებს უკეთესი, თუნდაც ნაკლებად უვიცი «იდეოლოგის» დაქირავება.

აღარ შევჩერდებით ბ-ნ ყ—ზას მეორე, უკვე უაზრო (და არა მარტო უმეცრულ!) განცხადებაზეც — ეკონომიური ტერორის გამო «ცხოვრება ყალბი გზით წავიდა» და «ჩვენ» ცხოვრებას უნდა ვებრძოლოთო. მხოლოდ შევნიშნავთ,

ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე, სწორედ ცხოვრება რომ წასულიყო ყალბი გზით **და არა ცალკეული, ცხოვრებას ჩამორჩენილი პირები.** ჩვენი აგიტაციის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიურ ტერორთან ბრძოლას მოითხოვს თვით ცხოვრება, ყოვლისშემძლე, განვითარების პროცესში მყოფი ცხოვრება. თუ ბ-ნ ყ—ზას არ ესმის ეს, ვურჩევთ გადასახლდეს სადმე სხვა პლანეტაზე, იქნებ იქ მოახერხოს და გამოიყენოს თავისი უაზრო თეორია განვითარების პროცესში მყოფ ცხოვრებასთან ბრძოლის შესახებ...

უმჯობესია გადავიდეთ ბ-ნ ყ—ზას «ანალიზზე».

და უწინარეს ყოვლისა გვინდა ვიკითხოთ: ნუთუ მართლაც ფიქრობს ბ-ნი ყ—ზა, რომ სწორედ მუშათა კავშირები და გაზეთები წარმოადგენენ ეკონომიური ტერორის მიზეზს?

რას ნიშნავს «გაანათლო» მუშები? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მუშებს შეგნებული, გეგმაშეწონილი ბრძოლა ასწავლო! (ბ-ნი ყ—ზა ამის თანახმაა!). მაგრამ სხვას ვის შეეძლო ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის, თუ არა მუშათა კავშირებსა და გაზეთებს მათი ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაციით ორგანიზებული ბრძოლის სასარგებლოდ?

რას ნიშნავს «გააკეთილშობილო» ეკონომიური ბრძოლა? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ წარმართო იგი **წესების** წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში **პიროვნებათა** წინააღმდეგ! (ამას ყ—ზაც ეთანხმება!). მაგრამ ვინ აკეთებს ამ საქმეს, მუშათა კავშირებისა და გაზეთების გარდა?

და განა ნავთობის მრეწველები არ აქცევენ მუშათა კლასთან ბრძოლას ცალკეულ მუშებთან ბრძოლად, ყველაზე შეგნებულ მუშებს რომ გამოარჩევენ და დაითხოვენ ხოლმე?

და თუ ბ-ნი ყ—ზა მართლაც დარწმუნებულია მუშათა კავშირებისა და გაზეთების წინააღმდეგ თავისი ბრალდების

სიმართლეში, რატომ მიმართავს რჩევით სწორედ ამ კავშირებსა და გაზეთებს? ნუთუ არ იცის მან, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც «თავს ესხმიან სხვა კლასებს, გაზეთებს, პიროვნებებს» და სხვ., ბ-ნ ყ—ზას რჩევით არ იმოქმედებენ? მაშ რაღას შესდგომია წყლის ნაყვას!

ცხადია, მას თვითონ არ სჯერა თავისი ბრალდებისა.

და თუ ბ-ნი ყ — ზა, მიუხედავად ამისა, მაინც ლაპარაკობს კავშირების წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველის ყურადღება ჩამოაშოროს ნამდვილ მიზეზს, დაუმალოს მას ნამდვილი «დამნაშავენი».

მაგრამ არა, ბ-ნო ყ—ზა! თქვენ ვერ მოახერხებთ დაუმალოთ მკითხველს ეკონომიური ტერორის ნამდვილი მიზეზები!

არა მუშები და არა მათი ორგანიზაციები, — არამედ გამალიზიანებელი და გამაბოროტებელი მოქმედება ბ-ნ ნავთობის მრეწველებისა — აი რა არის «ეკონომიურ მკვლელობათა» ნამდვილი მიზეზი.

თქვენ აღნიშნავთ პროლეტარიატის განსაზღვრული ფენების «სიბნელესა» და «უვიცობას». მაგრამ სად უნდა ვებრძოლოთ «სიბნელესა» და «უვიცობას», თუ სკოლებში და ლექციებზე არა? მაშ რატომღა ამცირებენ ბ-ნი ნავთობის მრეწველები სკოლებისა და ლექციების რაოდენობას? და რატომ არის, რომ თქვენ, «სიბნელესთან» ბრძოლის «გულწრფელი» მომხრე, არ აღიმაღლებთ ხმას ნავთობის მრეწველების წინააღმდეგ, რომლებიც მუშებს სკოლებსა და ლექციებს ართმევენ?

თქვენ ლაპარაკობთ ზნე-ჩვეულების «გაკეთილშობილებაზე». მაშ რატომღა სდუმდით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, როცა ბ-ნი ნავთობის მრეწველნი ართმევდნენ მუშებს სახალხო სახლებს — ხალხის გართობის ამ ცენტრებს?

თქვენ «ეკონომიური ბრძოლის გაკეთილშობილებაზე» ვალობთ. მაგრამ რატომ სდუმდით, როცა კაპიტალის დაჭი-

რავებულმა აგენტებმა მოკლეს მუშა ხანლარი[62] (ნაფტალანის საზოგადოება), როცა «ბორნმა», კასპიის ამხანაგობამ, შიბაევმა, მირზოევმა, მოლოტმა, მოტოვილიხამ, ბიერინგმა, მუხთაროვმა, მალნიკოვმა და სხვებმა დაითხოვეს ყველაზე მოწინავე მუშები, როცა შიბაევი, მუხთაროვი, მოლოტი, «რუნო», კოკორევი ბიბი-ეიბათში და სხვ. სცემდნენ მუშებს?

თქვენ ლაპარაკობთ მუშების «დანაშაულებრივ ნებაზე», «ზედმეტ გაბოროტებაზე» და სხვ.. მაგრამ სად იმალებოდით, როცა ბ-ნი ნავთობის მრეწველები აბოროტებდნენ მუშებს, აღიზიანებდნენ მათგან ყველაზე გრძნობიერებს, ყველაზე ადვილად ასაგზნებებს — ფირმისგარეშეებსა და უმუშევრებს? მერე იცით თუ არა თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მუშების სწორედ ეს ნაწილი საშიშროდ გასწირა ცნობილმა 10-კაპიკიანმა საავადმყოფო გამოსაღებმა და ყრილობის საბჭოს სასადილოებში კერძების ფასის მომატებამ?

თქვენ ლაპარაკობთ ეკონომიური ტერორით გამოწვეული «სისხლისა და ცრემლის» საშინელებაზე. მაგრამ იცით თუ არა, რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება უამრავი მუშის დასახიჩრების გამო, რომლებიც ადგილს ვერ პოულობენ ყრილობის საბჭოს საავადმყოფოებში? რატომ ამცირებენ ბ-ნი ნავთობის მრეწველნი ბარაკების რაოდენობას? და რატომ სწორედ ისევე არ ყვირით თქვენ ამის გამო, როგორც მუშათა კავშირებისა და გაზეთების წინააღმდეგ გაყვირით?

თქვენ გალობთ «სინდისზე» და ა. შ.. რატომ დუმს თქვენი შუშის სინდისი ბ-ნ ნავთობის მრეწველთა მთელი ამ რეპრესიების გამო?

თქვენ ამბობთ... მაგრამ კმარა! ვფიქრობთ ცხადია, რომ «ეკონომიურ მკვლელობათა» ძირითად მიზეზს წარმოადგენენ არა მუშები და არა მათი ორგანიზაციები, არამედ

გამაღიზიანებელი და გამაბოროტებელი მოქმედება ბ-ნ ნავთობის მრეწველებისა.

არანაკლებ ცხადია ისიც, რომ ბ-ნი ყ — ზა ბ-ნ ნავთობის მრეწველთა უბადრუკი დაქირავებულია, რომელიც ყველაფერში ბრალსა დებს მუშათა ორგანიზაციებს და, ამრიგად, ცდილობს «საზოგადოების» თვალში გაამართლოს თავისი ბატონთა მოქმედება.

* * *

ახლა გადავიდეთ ბ-ნ ყ—ზას სტატიის მესამე ნაწილზე.

თავისი სტატიის მესამე ნაწილში ბ-ნი ყ—ზა ლაპარაკობს ეკონომიურ ტერორთან ბრძოლის მეთოდებზე, ამასთან მისი «ზომები» სავსებით შეესაბამება მის «ფილოსოფიას» ეკონომიური ტერორის «მიზეზების შესახებ».

მოვუსმინოთ დიდ ბაქოელ ფილოსოფოსს.

«საჭიროა აქტიური ბრძოლა წარმოშობილ ბოროტებასთან და უნდა წამოვაყენოთ ამ ბრძოლის ლოზუნგი. ასეთი ლოზუნგი ყველა პარტიისა და ორგანიზაციისათვის, ყველა კავშირისა და წრისათვის ამჟამად უნდა იყოს: «ძირს ეკონომიური ტერორი!» მხოლოდ მაშინ, როცა გაბედულად აფრიალდება სუფთა თეთრი ალამი ამ ლოზუნგით, მხოლოდ მაშინ... გაქრება მკვლელობა».

ასე ფილოსოფოსობს ბ-ნი ყ—ზა.

როგორც ხედავთ, ბ-ნი ყ—ზა თავისი ღვთაების — კაპიტალის — ბოლომდე ერთგული რჩება.

ჯერ ერთი, მთელი «დანაშაული» «ეკონომიურ მკვლელობათათვის» მან მოხსნა (ფილოსოფიურად მოხსნა!) ნავთობის მრეწველებს და დააკისრა მუშებს, მათს კავშირებსა და გაზეთებს. ამით მან მთლიანად «გაამართლა» ეგრეთწოდებული «საზოგადოების» თვალში ბ-ნ ნავთობის მრეწველთა **აზიური** შეტევითი ტაქტიკა.

მეორეც, — და ეს უმთავრესია ნავთობის მრეწველთათვის — მან «გამოიგონა» ყველაზე იაფი საშუალება «მკვლელობათა» წინააღმდეგ, რომელიც არავითარ ხარჯს არ მოითხოვს ნავთობის მრეწველებისაგან—კავშირებისა და გაზეთების გაძლიერებული აგიტაცია ეკონომიური ტერორის წინააღმდეგ. ამით მან ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნავთობის მრეწველებმა არ უნდა დაუთმონ მუშებს, არ უნდა «გასწიონ ხარჯი».

იაფიცაა და კარგიც! ალბათ შესძახებენ ბ-ნი ნავთობის მრეწველნი, ბ-ნ ყ—ზას რომ უსმენენ.

რა თქმა უნდა, ბ-ნ ნავთობის მრეწველებს «ფეხებზეც არა ჰკიდიათ» ეგრეთწოდებული «საზოგადოების» აზრი. მაგრამ რა შეიძლება ქონდეთ იმის საწინააღმდეგო, თუ რომელიმე ყ—ზა «საერთო-საკაცობრიო სინდისის» ინტერესებისათვის კისრულობს გაამართლოს ისინი «საზოგადოების» თვალში?

და პირიქით, როგორ არ უნდა უხაროდეთ, როცა, ასეთი გამართლების შემდგომ, იგივე ყ—ზა აყენებს ყველაზე «საიმედო» და ყველაზე იაფ საშუალებას ეკონომიური ტერორის წინააღმდეგ? დაე სრულიად თავისუფლად და დაუბრკოლებლივ გასწიონ აგიტაცია კავშირებმა და გაზეთებმა, ოღონდ კი ნავთობის მრეწველთა ჯიბეს არაფერი მოაკლდეს. აბა თქვით, განა ლიბერალური არ არის ეს!.. და ამის შემდეგ როგორ არ გამოუშვან ლიტერატურულ ასპარეზზე თავისი «დევგმირი», ბ-ნი ყ—ზა.

ამავე დროს კი, საკმარისია ცოტა დაფიქრდეთ, საკმარისია შეგნებული მუშების თვალსაზრისზე დადგეთ, რომ მაშინვე გაიგოთ, თუ რა სასაცილოა ბ-ნ ყ—ზას მიერ წამოყენებული ღონისძიება.

საქმე აქ მარტო კავშირებსა და გაზეთებში როდია — კავშირები და გაზეთები დიდი ხანია ეწევიან აგიტაციას ეკონომიური ტერორის წინააღმდეგ, და, მიუხედავად ამისა,

«მკვლელობანი» მაინც არ ქრება. საქმე გაცილებით უფრო მეტად აიხსნება იმ გამაღიზიანებელი და გამაბოროტებელი მოქმედებით, რასაც ბ–ნი ნავთობის მრეწველნი მიმართავენ, იმ ეკონომიური რეპრესიებით, იმ შევიწროებით, იმ **აზიური** შეტევითი ტაქტიკით ბ–ნ ნავთობის მრეწველთა მხრივ, რაც ახლა ასაზრდოებს და კვლავაც ასაზრდოებს ჩვენთვის საყურადღებო «ეკონომიურ მკვლელობებს».

ერთი გვიბრძანეთ: რის მაქნისია თუნდაც ძალიან გავლენიანი კავშირებისა და გაზეთების **მარტოოდენ აგიტაცია,** როცა ბ–ნი ნავთობის მრეწველნი **გამაბოროტებელ მოქმედებას** მიმართავენ, როცა ისინი ზედიზედ ართმევენ მუშებს მათს მონაპოვარს და ამით ყველაზე შეუგნებლებს ბიძგს აძლევენ «ეკონომიური მკვლელობებისაკენ»! ცხადია, მარტო ანტიტერორისტულ აგიტაციას, თუნდაც «სუფთა თეთრი ალმით», არ ძალუძს ამ მკვლელობათა მოსპობა.

ცხადია, «ეკონომიურ მკვლელობათა» «გაქრობისათვის» საჭიროა უფრო ღრმა ღონისძიებანი, ვიდრე უბრალო აგიტაცია, და უწინარეს ყოვლისა ის, რომ ნავთობის მრეწველებმა ხელი აიღონ შევიწროებასა და რეპრესიებზე, დააკმაყოფილონ მუშების სამართლიანი მოთხოვნები... მხოლოდ მაშინ, როცა ნავთობის მრეწველები ხელს აიღებენ თავიანთ **აზიურ** შეტევითს ტაქტიკაზე ხელფასის შემცირების, სახალხო სახლების ჩამორთმევის, სკოლებისა და ბარაკების შემცირების, ათკაპიკიანი საავადმყოფო გამოსაღების, კერძების ფასების მომატების, მოწინავე მუშების სისტემატურად დათხოვნის, მათი ცემა–ტყეპის საბით და ა. შ., მხოლოდ მაშინ, როცა ნავთობის მრეწველები გარკვევით დაადგებიან მუშათა მასებისა და მათი კავშირებისადმი კულტურული ევროპული დამოკიდებულების გზას და ცნობენ მათში «თანასწორუფლებიან» ძალას, — მხოლოდ მაშინ შეიქმნება ნიადაგი «მკვლელობათა» «გაქრობისათვის».

ყოველივე ეს იმდენად ცხადია, რომ მტკიცებაც არ ესაჭიროება.

მაგრამ ბ-ნ ყ — ზას არ ესმის ეს, და არც შეუძლია გაიგოს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ სურს გაიგოს, ვინაიდან ეს «ხელსაყრელი» არ არის ბ-ნ ნავთობის მრეწველთათვის, ვინაიდან ეს ერთგვარ ხარჯებს მოთხოვდა მათ, ვინაიდან ეს გამოამჟღავნებდა მთელ სიმართლეს ეკონომიურ «მკვლელობებში» «დამნაშავეთა» შესახებ...

დასკვნა ერთია: ყ — ზა კაპიტალის ლაქიაა.

მაგრამ რა გამოდის აქედან, ყ—ზას ლაქიური როლიდან?

აქედან აი რა გამოდის: ის, რასაც ბ-ნი ყ — ზა ამბობს, მას კი არ ეკუთვნის, არამედ ნავთობის მრეწველებს, რომლებიც მას «ასულდგმულებენ». მაშასადამე, ყ—ზას სტატია მისი ფილოსოფია კი არ არის, არამედ ბ-ნ ნავთობის მრეწველთა ფილოსოფიაა. ცხადია, ყ—ზას პირით თვით ნავთობის მრეწველები მეტყველებენ, ყ — ზა მხოლოდ გადმოგვცემს მათს «ფიქრებს, სურვილებსა და სულისკვეთებას».

ამ მხრივ და მხოლოდ ამ მხრივ უნდა გვაინტერესებდეს ბ-ნ ყ — ზას ეს სტატია.

ყ — ზა, როგორც ასეთი, ყ — ზა, როგორც «პიროვნება», ჩვენთვის აბსოლუტური არარაობაა, უწონო ნივთიერებაა, რომელსაც არავითარი ღირებულება არ მოეპოვება. და ტყუილად უჩივის ბ-ნი ყ — ზა «გუდოკს», რომელიც თითქოს «თავს ესხმის» მის «პიროვნებას»: შეგვიძლია დავარწმუნოთ ბ-ნი ყ—ზა, რომ «გუდოკი» არასოდეს არ დაინტერესებულა მისი ეგრეთწოდებული «პიროვნებით».

მაგრამ ყ—ზა, როგორც რაღაც უპიროვნო არსება, ყ—ზა, როგორც «პიროვნების» უქონლობა, ყ—ზა, როგორც ბ-ნ ნავთობის მრეწველთა აზრებისა და სულისკვეთების უბრალო გამოხატულება, — უეჭველად წარმოადგენს ჩვენთვის ერთგვარ ღირებულებას. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენ როგორც თვით ყ—ზას, ისე მის სტატიას.

ცხადია, ბ-ნი ყ—ზა ტყუილად როდი გალობს. თუ თავისი სტატიის პირველ ნაწილში იგი გააფთრებით ესხმის თავს კავშირებს და ცდილობს სახელი გაუტეხოს მათ, თუ თავისი სტატიის მეორე ნაწილში ბრალს დებს კავშირებს ეკონომიური ტერორის გაღვივებაში, ამავე დროს კი კრინტსაც არა ძრავს ნავთობის მრეწველთა აზიურ განკარგულებებზე, თუ თავისი სტატიის მესამე ნაწილში მიგვითითებს ანტიტერორისტულ აგიტაციაზე, როგორც «მკვლელობათა» წინააღმდეგ ერთადერთ ზომაზე, ამავე დროს კი გვერდს უვლის თავის ბატონთა შეტევითს ტაქტიკას, ეს იმას ნიშნავს, რომ ნავთობის მრეწველებს განზრახული არა აქვთ დაადგნენ მუშათა მასებისადმი დათმობის გზას.

ნავთობის მრეწველები შემოგიტევენ, ნავთობის მრეწველებმა უნდა შემოგიტიონ, თქვენ კი, მუშებო და კავშირებო, კეთილ ინებეთ და უკან დაიხიეთო — აი რას გვეუბნება ბ-ნ ყ—ზას სტატია, აი რას გვეუბნებიან ნავთობის მრეწველები თავისი «დევგმირის» პირით.

ასეთია ბ-ნ ყ—ზას სტატიის მორალი.

ჩვენ, მუშებს, ჩვენს ორგანიზაციებსა და გაზეთებს დარჩენიათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ბ-ნ ნავთობის მრეწველებს, არ აჰყვნენ მათს გამომწვევ მოქმედებას, და მტკიცედ და დინჯად, ისევე როგორც წინათ, იარონ იმ გზით, რომ ჩვენი სტიქიური ბრძოლა გადააქციონ წმინდა კლასობრივ, გეგმაშეწონილ, გარკვეული მიზნისაკენ წამყვან ბრძოლად.

რაც შეეხება კაპიტალის სხვადასხვა დაჭირავებული აგენტების ფარისევლურ გოდებას, ეს შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ.

გაზეთი «გუდოკ» №№ 28, 30 და 32; 1908 წ. 21 აპრილი, 4 და 18 მაისი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ. კატო.

პრესა [63]

ლაჟია «სოციალისტები»

თბილისში გამომავალ სხვა გაზეთებთან ერთად არსებობს ქართული გაზეთიც, რომელსაც «ნაპერწკალი» [64] ეწოდება. ეს ახალი გაზეთია, მაგრამ ამავე დროს მეტის-მეტად ძველიც, ვინაიდან იგი წარმოადგენს თბილისში დღემდე არსებული ყველა მენშევიკური გაზეთის გაგრძელებას, დაწყებული 1905 წლის «სხივიდან». «ნაპერწკალს» მენშევიკ ოპორტუნისტთა ძველი ჯგუფი რედაქტორობს. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ეს როდია. საქმე უმთავრესად ისაა, რომ ამ ჯგუფის ოპორტუნიზმი რაღაც განსაკუთრებული, ზღაპრულია. ოპორტუნიზმი ხომ უპრინციპობაა, პოლიტიკური უხერხემლობა, და აი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ არც ერთი მენშევიკური ჯგუფისათვის არ შეგვიმჩნევია ასეთი უსირცხვილო უპრინციპობა, როგორც თბილისის ჯგუფისათვის. 1905 წელს ეს ჯგუფი ცნობდა **პროლეტარიატის**, როგორც რევოლუციის ბელადის, როლს (იხ. «სხივი»). 1906 წელს მან «პოზიცია» იცვალა და განაცხადა: «მუშებზე იმედის დამყარება არ შეიძლება... ინიციატივა მხოლოდ **გლეხებისაგან** უნდა მომდინარეობდესო» (იხ. «სხივი»). 1907 წელს მან ერთხელ კიდევ

იცვალა «პოზიცია» და თქვა, «რევოლუციაში მეთაურობა ლიბერალურ ბურჟუაზიას უნდა ეკუთვნოდესო» (იხ. «აზრი» [65]) და სხვ. და ა. შ.

მაგრამ აღნიშნული ჯგუფის უპრინციპობა ჯერ კიდევ არასოდეს არ მისულა ისეთ უსირცხვილობამდე, როგორც ახლა, 1908 წლის ზაფხულში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის შეფასება, რაც «ნაპერწკალმა» მისცა ჩაგრულთა იდეური დამმონებლის, ეგრეთწოდებული ეგზარქოსის მოკვლას. ამ მკვლელობის ისტორია საყოველთაოდ ცნობილია. რომელიღაც ჯგუფმა, ეგზარქოსი რომ მოკლა, მოკლა კიდევ ჟანდარმთა როტმისტრი, რომელიც «დანაშაულის ადგილიდან» ოქმით ბრუნდებოდა. შემდეგ ეს ჯგუფი თავს დაესხა ხულიგანთაგან შემდგარ პროცესიას, რომელიც ეგზარქოსის ცხედარს მიაცილებდა. ეს ჯგუფი, აშკარაა, ხულიგნური არ არის, მაგრამ არც რევოლუციურია, ვინაიდან არავითარი რევოლუციური ჯგუფი არ ჩაიდენს ასეთ აქტს ამჟამად, ძალთა შემოკრების მომენტში, და საფრთხეში არ ჩააყენებს პროლეტარიატის დარაზმვის საქმეს. სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ასეთი ჯგუფების მიმართ საყოველთაოდ ცნობილია: იგი არკვევს ასეთი ჯგუფების წარმოშობის პირობებს და ებრძვის ამ პირობებს, ხოლო ამავე დროს იდეურად და ორგანიზაციულად ებრძვის თვით ჯგუფებსაც, სახელს უტეხს მათ პროლეტარიატის თვალში, მიჯნავს მათგან პროლეტარიატს. ასე როდი იქცევა «ნაპერწკალი». იგი არაფერს არ არკვევს და არაფერს არ იძლევა, სამაგიეროდ რამდენიმე უხამს ლიბერალურ ფრაზას როშავს საერთოდ ტერორის წინააღმდეგ და შემდეგ ურჩევს მკითხველთ, და არა მარტო ურჩევს, არამედ ავალდებულებს მათ — პოლიციასთან **დააბეზღონ** ასეთი ჯგუფები, პოლიციას **ჩაუგდონ** ისინი ხელში, არც მეტი და არც ნაკლები! ეს სამარცხვინოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია. მოუსმინეთ «ნაპერწკალს»:

«ეგზარხოსის მკვლელთა სასამართლოს წინაშე წაყენება — ერთათ ერთი საშუალებაა ამ ჩირქის სამუდამოთ მოწმენდის...» ასეთია მოწინავე ელემენტების მოვალეობა (იხ. «ნაპერწკალი» № 5).

სოციალ-დემოკრატები ნებაყოფლობითი მაბეზღრების როლში — აი სადამდე მიგვიყვანეს თბილისელმა მენშევიკებმა ოპორტუნისტებმა!

ოპორტუნისტების პოლიტიკური უხერხემლობა ციდან როდი ჩამოვარდნილა. იგი გამომდინარეობს თავშეუკავებელი მისწრაფებიდან — შეეგუონ ბურჟუაზიის გემოვნებას, თავი მოაწონონ «ბატონებს», შეჭება დაიმსახურონ მათგან. ასეთია შეგუების ოპორტუნისტული ტაქტიკის ფსიქოლოგიური საფუძველი. და აი, თავი რომ გამოიჩინონ «ბატონების» წინაშე, თავი რომ მოაწონონ მათ, ანდა ეგზარქოსის მოკვლის გამო მათი წყრომა მაინც აიცდინონ, — ჩვენი მენშევიკი ოპორტუნისტები ლაქიურად იმანჭებიან მათ წინაშე და პოლიციის მაძებრების როლს კისრულობენ!

შეგუების ტაქტიკა ამაზე შორს ვეღარ წავა!

ფარისეველი ზუბატოველები

კავკასიის იმ სხვა ქალაქების წყებაში, რომლებიც ოპორტუნიზმის ორიგინალურ ტიპებს იძლევიან, ბაქოც დგას. ბაქოშიც არის ჯგუფი, კიდევ უფრო მემარჯვენე და ამიტომ უფრო უპრინციპო, ვიდრე თბილისისა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა «პრომისლოვი ვესტნიკი», რომელიც უკანონოდ შეეუღლა ბურჟუაზიულ «სეგოდნიას», — მის შესახებ საკმაოდ დაიწერა ჩვენს პრესაში. ჩვენ ვლაპარაკობთ შენდრიკოვების ჯგუფ «პრავოე დელოზე», ბაქოელ მენშევიკთა მამამთავარზე. მართალია, ეს ჯგუფი დიდი ხანია აღარ არსებობს ბაქოში, იგი იძულებული გახდა

პეტერბურგს გადასახლებულიყო, ბაქოს მუშებისა და მათი ორგანიზაციების მიერ დევნილი. მაგრამ ეს ჯგუფი თავის ნაწერებს ბაქოში გზავნის, მხოლოდ ბაქოს საქმეებზე წერს, მომხრეებს სწორედ ბაქოში ეძებს, ცდილობს «დაიპყროს» ბაქოს პროლეტარიატი. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ვილაპარაკოთ ამ ჯგუფის შესახებ. მაშ ასე, ჩვენს წინ დევს «პრავოე დელო» № 2—3. გადავფურცლოთ — და ჩვენს წინაშე გადაიშლება ბ-ნ შენდრიკოვების[66] ძველი შეხმატკბილებული კომპანიის ძველი სურათი. აი ილია შენდრიკოვი, ბ-ნ ჯუნკოვსკის ცნობილი «ხელისჩამომრთმევი», ფარულ საქმეთა ძველი ოსტატი. აი გლებ შენდრიკოვიც, ყოფილი ესერი, ყოფილი მენშევიკი, ყოფილი «ზუბატოველი», ახლა გადამდგარი ადამიანი. აი სახელგანთქმული მოლაქლაქე, «ყოვლად წმინდა», კლავდია შენდრიკოვაც, ყოველმხრივ სასიამოვნო ბანოვანი. არც სხვადასხვა «მიმდევრები» აკლიათ, როგორიც არიან ვროშევები და კალინინები, რომლებიც ოდესღაც როლს ასრულებდნენ მოძრაობაში, ახლა კი ცხოვრებას ჩამორჩენილან და მოგონებებითღა ცოცხლობენ. განსვენებული ლიოვას აჩრდილიც კი წარმოსდგება ჩვენს წინაშე... ერთი სიტყვით, სურათი სრულია!

მაგრამ ვისთვის რა საჭიროა ყოველივე ეს, რისთვის ახვევენ მუშებს თავს შავბნელი წარსულის სამარცხვინო აჩრდილებს? იმისთვის ხომ არ აქეზებენ მუშებს, რომ კოშკურებს ცეცხლი წაუკიდონ? თუ პარტია ლანძღონ და ლაფში ამოსვაროონ იგი? თუ უმუშო თათბირზე წავიდნენ და შემდეგ ბ-ნ ჯუნკოვსკისთან საქმეები მოაჭახრაკონ?

არა! შენდრიკოვებს სურთ «იხსნან» ბაქოს მუშები! ისინი «ხედავენ», რომ 1905 წლის შემდეგ, ე. ი. მუშების მიერ შენდრიკოვების განდევნის შემდეგ «მუშები უფსკრულის პირას აღმოჩნდნენ» (იხ. «პრავოე დელო», გვ. 80), და აი, შენდრიკოვებმა დაწერეს «პრავოე დელო», რათა «იხსნან»

მუშები, «ჩიხიდან» გამოიყვანონ ისინი. ამისთვის მუშებს წინადადებას აძლევენ დაუბრუნდნენ ძველს, უარყონ უკანასკნელი სამი წლის მონაპოვარი, ზურგი აქციონ «გუდოკს» და «პრომისლოვი ვესტნიკს», ხელი ჩაიქნიონ არსებულ კავშირებზე, ჯანდაბის გზა უჩვენონ სოციალ-დემოკრატიას, მუშათა კომისიებიდან განდევნონ ყველა არაშენდრიკოველი და დაირაზმონ **შეთანხმების კამერის** გარშემო. საჭირო აღარაა გაფიცვები, საჭირო აღარაა არალეგალური ორგანიზაციებიც — მუშებს ესაჭიროებათ მხოლოდ შეთანხმების კამერა, სადაც შენდრიკოვები და გუკასოვები [67] «გადაწყვეტენ საკითხებს» ბ-ნ ჯუნკოვსკის ნებართვით...

ასე სურთ მათ «ჩიხიდან» გამოიყვანონ ბაქოს მუშათა მოძრაობა!

მთლად ისე, როგორც «ნეფტიანოე დელოს» ქამელეონს, ბ-ნ ყ — ზას (იხ. «ნეფტიანოე დელო» № 11).

მაგრამ განა ასევე არ უპირებდნენ «ხსნას» მუშებს: ზუბატოვი მოსკოვში, გაპონი პეტერბურგში, შაევიჩი ოდესაში? და განა ისინი ყველანი მუშების დაუძინებელი მტრები არ აღმოჩნდნენ?

მაშ ვისი გაბრიყვება სურთ დღისით-მზისით ამ ფარისეველ «მხსნელებს»?

არა, ბ-ნო შენდრიკოვებო, — თუმცა თქვენ ყ — ზასთან ერთად ამტკიცებთ, რომ ბაქოს პროლეტარიატი ჯერ კიდევ «არ მომწიფებულა», რომ მან ჯერ კიდევ «უნდა ჩააბაროს (ვის ჩააბაროს?) სიმწიფის ატესტატის გამოცდა» (იხ. «პრავოე დელო», გვ. 2), — მაგრამ თქვენ მაინც ვერ მოახერხებთ მის მოტყუებას!

ბაქოს პროლეტარიატი საკმაოდ შეგნებულია იმისთვის, რომ ნიღაბი ჩამოგგლიჯოთ და საკადრისი ადგილი მიგიჩინოთ!

ვინა ხართ თქვენ, საიდანა ხართ?

თქვენ სოციალ-დემოკრატები არა ხართ, ვინაიდან სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში, პარტიულობასთან ბრძოლაში გაიზარდეთ და ცხოვრობთ!

თქვენ არც პროფესიონალისტები ხართ, ვინაიდან ლაფში სვრით მუშათა კავშირებს, რომლებიც ბუნებრივად გამსჭვალული არიან სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით!

თქვენ იგივე გაპონელები და ზუბატოველები ხართ, ფარისევლურად რომ იმალებით «ხალხის მეგობართა» ნიღაბქვეშ!

თქვენ პროლეტარიატის შინაგანი და ამიტომ ყველაზე ააშიში მტრები ხართ!

ძირს შენდრიკოველები! ზურგი აქციეთ შენდრიკოველებს!

აი როგორ ვუპასუხებთ თქვენს «პრავოე დელოს», ბ-ნო შენდრიკოვებო!

აი როგორ პასუხს გასცემს ბაქოს პროლეტარიატი თქვენს ფარისევლურ ლაქუცს მისდამი!..

გაზეთი «ბაკინსკი პროლეტარი» იბეჭდება გაზეთის
№ 5, 1908 წ. 20 ივლისი. ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ ო...

თათბირი და მუშები

თათბირის კამპანია შეჩერებულია. მხარეთა შორის მოლაპარაკება შეწყდა[68]. ძველი, მაგრამ მუდამ ახალი, თათბირი ერთხელ კიდევ ჩაშალეს. რწმუნებულთა საბჭო, საორგანიზაციო კომისია, მოთხოვნათა შემუშავება, მოხსენებები მასებში, მუშების **ფართო** გაერთიანება თავიანთი კომისიების გარშემო, კომისიებისა — კავშირების გარშემო, კავშირებისა — სოციალ-დემოკრატიის გარშემო, — ყოველივე ეს შეწყვეტილია და წარსულს ჩაბარდა. დავიწყებულია ძველი ფარისევლური სიტყვებიც თათბირის საშუალებით «წარმოების მოწესრიგების» შესახებ, მუშებსა და მეწარმეებს შორის «ურთიერთობის გაკეთილშობილების» შესახებ. ძველი კლოუნი თბილისიდან, ბ-ნი ჯუნკოვსკი, «წარმოდგენას» დახურულად აცხადებს. კაპიტალის ნათრევი ლაქია, ბ-ნი ყარა-მურზა, მას ტაშს უკრავს. ფარდა ეშვება, და ჩვენს წინაშე იშლება დიდი ხნის ნაცნობი სურათი: ნავთობის მრეწველები და მუშები ძველ პოზიციებზე რჩებიან ახალ ქარიშხალთა, ახალ შეტაკებათა მოლოდინში.

ოღონდ ცოტა «გაუგებარია»: ჯერ კიდევ ხომ გუშინ ნავთობის მრეწველები ემუდარებოდნენ მუშებს წასულიყვნენ თათბირზე, ბოლო მოეღოთ «ნაწილობრივი გაფიცვების ანარქიისათვის», «შეთანხმებოდნენ» მათ, ხელისუფალნი კი, ყბადაღებული ჯუნკოვსკის სახით, თავისთან

იწვევდნენ გავლენიან მუშებს, აწყობდნენ მათთან ოფიციალურ მოლაპარაკებას, არწმუნებდნენ მათ კოლექტიური ხელშეკრულების ხელსაყრელობაში, — და უცებ ასეთი მკვეთრი ცვლილება, — თათბირს ზედმეტად აცხადებენ, კოლექტიურ ხელშეკრულებას — მავნედ, «ნაწილობრივი გაფიცვების ანარქიას» — სასურველად!

რას ნიშნავს ეს, რით უნდა აიხსნას ეს «უცნაურობა», ვის მიუძღვის, ბოლოს და ბოლოს, «ბრალი» თათბირის ჩაშლაში?

ბრალი მიუძღვით, რასაკვირველია, მუშებსო, იძლევა პასუხს ბ-ნი ჯუნკოვსკი: ჩვენ მოლაპარაკება ჯერ არც კი დაგვიწყია, ისინი კი ულტიმატურ მოთხოვნას აყენებენ კავშირების შესახებ, დაე მუშებმა უარი თქვან კავშირებზე და მაშინ გვექნება თათბირი, წინააღმდეგ შემთხვევაში თათბირი არ გვინდაო!

თანახმანი ვართ, გუნდად იმეორებენ ნავთობის მრეწველები, სწორედ მუშებს მიუძღვით ბრალი, უარი თქვან კავშირებზე, არ გვინდა ჩვენ კავშირებიო!

ესენი ხომ მართალი არიან, ხომ მართლაც მუშებს მიუძღვით ბრალიო, იმეორებს მუშების მტრებს შემდეგ უმუშო კავშირი, «მექანიკური წარმოების კავშირი»: მართლაც-და, რატომ არ უნდა თქვან მუშებმა უარი კავშირებზე, განა არ ჯობია ჯერ შეევაჭრონ, თავიანთ მოთხოვნებზე უარი თქვან, ხოლო შემდეგ მოთხოვნებზე ალაპარაკდნენო?

დიახ, დიახ, უდასტურებს უმუშო კავშირს უმკითხველო გაზეთი, «პრომისლოვი ვესტნიკი»: წესიერი მუშები ჯერ შეევაჭრებიან და შემდეგ ულტიმატუმებზე ლაპარაკობენ, ჯერ პოზიციებს აბარებენ და შემდეგ ხელახლა იპყრობენ მათ, ბაქოელ მუშებს კი ეს წესიერება არ ეყოთ, ისინი მეტად არაწესიერნი, თითქმის ბოიკოტისტები აღმოჩნდნენო.

ჩვენ ხომ ვიცოდით ეს, ჩვენ ხომ დიდი ხანია ვითვალისწინებდით ყოველივე ამასო, ღრმააზროვნად შენიშნავენ დაშნაკები და სოციალისტ-რევოლუციონერები: აი მუშებს ბოიკოტი რომ გამოეცხადებინათ, სავსებით შეექციათ ზურგი კავშირებისათვის და პირდაპირ გაეჩაღებინათ გაფიცვა სრულიად მოუმზადებლად, რაღაც ფართო მასების დაუკითხავად, მაშინ ისინი მიხვდებოდნენ, რომ «მიწისა და თავისუფლების» გარეშე თათბირი არ მოხდება და რომ «ბრძოლაში ჰპოვებ შენ უფლებასაო»[69]...

ასე ლაპარაკობენ ბაქოს პროლეტარიატის მტერ-«მოყვარენი».

განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ ეს ბრალდებანი ბაქოს პროლეტარიატის წინააღმდეგ უსაფუძვლოა? საკმარისია დაუპირდაპირო დაშნაკები და სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც მუშებს ბრალს დებენ თათბირისადმი **სიყვარულში**, — მექანიკოსებსა და ნავთობის მრეწველებს, რომლებიც იმავე მუშებს ბრალს დებენ თათბირის **ბოიკოტში**, — საკმარისია-მეთქი, ერთმანეთს დაუპირდაპირო ეს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი, რომ მაშინვე გაიგო, თუ რა სულელური და ყალბია ხსენებული ბრალდებები...

მაშ ვის მიუძღვის ნამდვილად «ბრალი» თათბირის ჩაშლაში?

თვალი გადავავლოთ თათბირის ისტორიას. ნავთობის მრეწველნი პირველად როდი იწვევენ მუშებს თათბირზე, — ჩვენ უკვე მეოთხე თათბირს მოვესწარით (1905, 1906, 1907, 1908 წლები). ნავთობის მრეწველნი ყოველთვის პირველნი იწვევდნენ მუშებს თათბირზე და ხელისუფალნი ყოველთვის ეხმარებოდნენ მათ «შეთანხმებოდნენ» მუშებს, დაედოთ კოლექტიური ხელშეკრულება. ნავთობის მრეწველებს თავიანთი მიზანი ჰქონდათ: მათ სურდათ მცირე დათმობათა ფასად მიეღოთ გარანტია გაფიცვების

წინააღმდეგ, უზრუნველეყოთ ნავთობის განუწყვეტელი ამოღება. ხელისუფალნი კიდევ უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი ნავთობის სამეფოში «მყუდროებითა და სიმშვიდით», თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ მთავრობის ბევრი წევრი ნავთობის უდიდესი ფირმების აქციონერია, რომ ნავთობის მრეწველობის გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშემოსავლო წყაროს შეადგენს, რომ ბაქოს მაზუთი ასაზრდოებს «სამშობლოს მრეწველობას», რის გამო ნავთობის მრეწველობაში მომხდარი თუნდაც ოდნავი შეფერხება აუცილებლად გავლენას ახდენს რუსეთის მრეწველობის მდგომარეობაზე.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ყოველივე ზემოთ ნათქვამს გარდა, ბაქოში მშვიდობა კიდევ იმ მხრივ არის მთავრობისათვის მნიშვნელოვანი, რომ ბაქოს პროლეტარიატის, როგორც ნავთობის მრეწველობის, ისე მასთან დაკავშირებული საზღვაო პროლეტარიატის, მასობრივი გამოსვლები სხვა ქალაქების პროლეტარიატზეც გადამდებად მოქმედებს. გაიხსენეთ ფაქტები. ბაქოში 1903 წლის გაზაფხულზე მომხდარმა პირველმა საერთო გაფიცვამ დასაწყისი მისცა რუსეთის სამხრეთი ქალაქების ივლისის განთქმულ გაფიცვა-დემონსტრაციებს [70]. 1904 წლის ნოემბერ-დეკემბერში მომხდარი მეორე საერთო გაფიცვა [71] მთელ რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა. 1905 წელს ბაქოს პროლეტარიატი სწრაფად იშუშებს სომეხ-თათართა ჟლეტით მიყენებულ ჭრილობებს, კვლავ ებმება ბრძოლაში და თავისი ენთუზიაზმით «მთელ კავკასიას» აღაგზნებს. დასასრულ, დაწყებული 1906 წლით, უკვე მას შემდეგ, რაც რევოლუციამ რუსეთში უკან დაიხია, ბაქო მაინც არ «ცხრება», დღემდე ნამდვილად სარგებლობს ზოგიერთი თავისუფლებით და ყოველწლიურად, უკეთ, ვიდრე სადმე სხვა ადგილას რუსეთში, დღესასწაუ-

ლობს პროლეტარულ მაისობას, რითაც სხვა ქალაქებში კეთილშობილური შურის გრძნობას იწვევს... ყოველივე ამის შემდეგ ძნელი გასაგები არ არის, თუ რატომ ცდილობდნენ ხელისუფალნი არ გაეღიზიანებინათ ბაქოს მუშები და ყოველთვის მხარს უჭერდნენ ნავთობის მრეწველთ მათს ცდებში — თათბირი გაემართათ მუშებთან, «შეთანხმებოდნენ» მათ, დაედოთ კოლექტიური ხელშეკრულება.

მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის ბოიკოტით ვუპასუხებდით.

რატომ?

იმიტომ, რომ ნავთობის მრეწველებს სურდათ თათბირი გაემართათ და ხელშეკრულება დაედოთ არა მასასთან, არა მასების თვალწინ, — არამედ ერთ მუჭა პირებთან, მასის ზურგს უკან: მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ნავთობის მრეწველობის მუშების მრავალათასიანი მასის მოტყუება.

რაშია **ჩვენი** თათბირის არსი? ჩვენი თათბირი ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატისა და ნავთობის მრეწველი ბურჟუაზიის მოლაპარაკებაა მოთხოვნათა შესახებ. თუ მოლაპარაკებას შეთანხმება მოჰყვება, მაშინ თათბირი მთავრდება გარკვეული ვადით დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის. **საერთოდ რომ ვთქვათ,** ჩვენ თათბირის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ვინაიდან მას, გარკვეულ პირობებში, საერთო მოთხოვნათა ნიადაგზე, **შეუძლია** ერთ მთელად გააერთიანოს მუშები. მაგრამ თათბირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გააერთიანოს მუშები: 1) თუ მასები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მასში, თავისუფლად იმსჯელებენ თავიანთ მოთხოვნებზე, კონტროლს გაუწევენ თავიანთ დელეგატებს და სხვა; 2) თუ მასებს შესაძლებლობა ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში, საერთო გაფიცვით გაუმაგრონ ზურგი თავიანთ მოთხოვნებს. განა

შეუძლიათ მუშებს აქტიურად ითათბირონ, იმსჯელონ მოთხოვნებზე და ა. შ., თუ სარეწებსა და ქარხნებში კრებების ერთგვარი თავისუფლება არ არის, თუ რწმუნებულთა საბჭო თავისუფლად არ იკრიბება, თუ მათ კავშირები არ ხელმძღვანელობენ? რა თქმა უნდა, არა! განა შეუძლიათ მუშებს დაიცვან თავიანთი მოთხოვნები ზამთარში, როცა ნავიგაცია დახურულია და ნავთის გატანა წყდება, როცა მეწარმეებს ყოველ სხვა დროზე უფრო დიდხანს შეუძლიათ გაუწიონ წინააღმდეგობა საერთო გაფიცვას? არა და არა! ამავე დროს კი დღემდე ჩატარებულ ყველა თათბირს სწორედ ზამთარს შეუფარდებდნენ ხოლმე და ამ თათბირებს ისე გვთავაზობდნენ, რომ არ ყოფილიყო სწორედ მოთხოვნათა თავისუფალი განხილვა, არ ყოფილიყო რწმუნებულთა თავისუფალი საბჭო, არ მომხდარიყო კავშირების ჩარევა, მუშათა მასებსა და მათს ორგანიზაციებს გულმოდგინედ იშორებდნენ ასპარეზიდან, მთელ საქმეს გადასცემდნენ ერთ მუჭა შენდრიკოვულად განწყობილ «ინდივიდებს». თქვენ, ბატონო მუშებო, დელეგატები აირჩიეთ, შემდეგ კი შეგიძლიათ შინ მიბრძანდეთო! თათბირი **უმუშებოდ,** თათბირი მუშების **მოსატყუებლად** — აი რას გვთავაზობდნენ სამი წლის განმავლობაში. **ასეთი** თათბირები მხოლოდ ბოიკოტის ღირსია, და ჩვენ, ბოლშევიკებმა, მათ ბოიკოტი გამოვუცხადეთ...

მუშები ერთბაშად ვერ მიხვდნენ ყოველივე ამას და ამიტომ, 1905 წელს, პირველ თათბირზე წავიდნენ. მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თათბირი, ჩაეშალათ იგი.

მუშები 1906 წელსაც შეცდნენ, მეორე თათბირზე რომ წავიდნენ. მაგრამ ისინი კვლავ იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თათბირი, ერთხელ კიდევ ჩაეშალათ იგი.

ყოველივე ეს იმას მოწმობდა, რომ თვით ცხოვრება გმობდა და ასწორებდა მუშების შეცდომებს. უბიძგებდა

მათ იქით, რომ ბოიკოტი გამოეცხადებინათ ფარული, მოსატყუებელი, შენდრიკოვული თათბირებისათვის.

მენშევიკები, რომლებიც მუშებს **ასეთ** თათბირებზე იწვევდნენ, შეუგნებლად ეხმარებოდნენ ნავთობის მრეწველებს მუშების მოტყუების საქმეში...

მაგრამ 1907 წელს საქმე სხვანაირად შეტრიალდა. ერთი მხრივ, ორი თათბირის გამოცდილებამ, ხოლო, მეორე მხრივ, ბოლშევიკების გაძლიერებულმა აგიტაციამ — თავისი გაიტანა: ხელისუფალთა და ნავთობის მრეწველთა წინადადებას თათბირზე (უკვე მესამე თათბირზე!) წასვლის შესახებ მუშებმა გადაჭრილი უარით უპასუხეს.

ამ მომენტიდან ახალი ხანა იწყება ბაქოს მუშათა მოძრაობაში...

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მუშებს ეშინოდათ თათბირისა? რა თქმა უნდა, არა! განა ისინი, რომლებმაც გრანდიოზული გაფიცვები ჩაატარეს, ნავთობის მრეწველებთან მოლაპარაკებას შეუშინდებიან?

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მუშები კოლექტიურ ხელშეკრულებას გაურბოდნენ? რა თქმა უნდა, არა! განა ისინი, რომლებმაც «დეკემბრის ხელშეკრულება» ჩაატარეს, კოლექტიურ ხელშეკრულებას შეუშინდებიან?

1907 წლის ნოემბერში თათბირს რომ ბოიკოტს უცხადებდნენ, მუშები ამით ამბობდნენ, რომ ისინი საკმაოდ მომწიფებული არიან, რათა თავი აღარ გააბრიყვებინონ მუშების მტრებს შენდრიკოვულ-ფარული თათბირით.

და აი, როცა ხელისუფალნი და ნავთობის მრეწველნი, ბოიკოტის აჩრდილი რომ დაინახეს, შეგვეკითხნენ — ბოლოს და ბოლოს რა პირობებში შეგიძლიათ თათბირზე წახვიდეთო, ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშათა მასები და მათი კავშირები უაღრესად ფართო მონაწილეობას მიიღებენ თათბირის მთელ მსვლელობაში. მხოლოდ მაშინ, როცა მუშებს საშუალებას მისცემენ

1) თავისუფლად იმსჯელონ თავიანთ მოთხოვნებზე, 2) თავისუფლად მოიწვიონ რწმუნებულთა მომავალი საბჭო, 3) თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი კავშირების სამსახურით, 4) თავისუფლად შეარჩიონ თათბირის გახსნის მომენტი,—მხოლოდ მაშინ წავლენ მუშები თათბირზე. ამასთან მთავარ მოთხოვნად წამოყენებული იყო პუნქტი კავშირების აღიარების შესახებ. თვით პუნქტებს კი გარანტიები ეწოდებოდა. აქ პირველად გამოყენებულ იქნა ცნობილი ფორმულა: **თათბირი გარანტიებით ან არავითარი თათბირი!**

ვღალატობდით თუ არა ჩვენ ამით ძველი, შენდრიკოვული უმუშო თათბირების ბოიკოტის ტაქტიკას? იოტის ოდენადაც არა! ძველი თათბირების ბოიკოტი სავსებით ხელსაბრელი რჩებოდა,—ჩვენ მოვითხოვდით მხოლოდ ახალ თათბირს, თათბირს გარანტიებით, და მხოლოდ ასეთ თათბირს!

განა მტკიცება ესაჭიროება ასეთი ტაქტიკის სისწორეს, განა მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ მხოლოდ ასეთი ტაქტიკით შევძლებდით გადაგვეჭრა თათბირი მუშების მოტყუების იარაღიდან იმის იარაღად, რომ ისინი დაირაზმონ კავშირების გარშემო ერთიან მრავალათასიან არმიად, რომელსაც შეეძლება დაიცვას თავისი მოთხოვნები?

მენშევიკებმაც კი, მექანიკურმა კავშირმა, «პრომისლოვი ვესტნიკმა», მათაც კი ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ასეთ პოზიციას და ჩვენს შემდეგ გამოაცხადეს კავშირების შესახებ წამოყენებული პუნქტის ულტიმატურობა. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მენშევიკები არ თანხმდებოდნენ არათუ თათბირს, არამედ რწმუნებულთა არჩევნებსაც კი, თუ წინასწარ დაკმაყოფილებული არ იქნებოდა პუნქტი კავშირების შესახებ, თუ კავშირებს არ მიეცემოდათ ნებართვის ბარათები. ყოველივე ეს ხდებოდა ორგანიზაციულ კომისიაში **მოლაპარაკებამდე**, რწმუნებულთა **საბჭომდე**, რწმუნებულთა **არჩევამდე**.

რა თქმა უნდა, ახლა მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ «ულტიმატურობა მხოლოდ მოლაპარაკების **ბოლოს** უნდა გამოჩნდეს», რომ ისინი **«თავიდანვე** იბრძოდნენ მოთხოვნების ულტიმატურობის წინააღმდეგ» (იხ. «პრომისლოვი ვესტნიკ» № 21), მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი, დიდი ხნის ნაცნობი «მალაყებია» მენშევიკთა ბანაკის უპრინციპო ოპორტუნისტებისა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი ტაქტიკის სასწორეს!

ესერებმა და დაშნაკებმაც კი, რომლებმაც შეაჩვენეს «ყველა და ყოველივე, რასაც დამოკიდებულება აქვს თათბირთან», მათაც კი «ქედი მოიხარეს» ჩვენი ტაქტიკის წინაშე და გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ თათბირის მოსამზადებელ მუშაობაში!

მუშებმა შეიგნეს ჩვენი პოზიციის სისწორე და მათმა უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა მას. ოცდათხუთმეტი შეკითხული მუშიდან ესერებსა და დაშნაკებს (უპირობო ბოიკოტი) ხმა მისცა მხოლოდ 8 ათასმა, მენშევიკებს (უპირობო თათბირი) — 8 ათასმა, ჩვენს ტაქტიკას, გარანტიანი თათბირის ტაქტიკას — 19 ათასმა.

ამრიგად, მუშებმა არ მიიღეს მენშევიკების ტაქტიკა, უმუშო, უგარანტიო თათბირის ტაქტიკა. მუშებმა არ მიიღეს აგრეთვე დაშნაკ-ესერთა ტაქტიკა, განყენებული ბოიკოტისა და არაორგანიზებული საერთო გაფიცვის ტაქტიკა. მუშებმა მხარი დაუჭირეს გარანტიან თათბირს, თათბირის მთელი მსვლელობის გეგმაშეწონილად გამოყენებას საერთო გაფიცვის მოწყობის მიზნით.

აი სად არის თათბირის ჩაშლის საიდუმლოება!

ნავთობის მრეწველებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი უგარანტიო თათბირს. ამით მათ მოიწონეს მენშევიკების ტაქტიკა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს მენშევიკების პოზიციის მცდარობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

მაგრამ ვინაიდან მუშებმა უგარანტიო თათბირი უარყვეს, ნავთობის მრეწველებმა თავიანთი ტაქტიკა შეატრია-

ლეს და... თათბირი ჩაშალეს, ბოიკოტი გამოუცხადეს მას. ამით მათ გამოთქვეს სოლიდარობა დაშნაკ-ესერთა ტაქტიკისადმი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს დაშნაკ-ესერთა პოზიციის უვარგისობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

ბაქოს პროლეტარიატის ტაქტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკა აღმოჩნდა.

სწორედ ამიტომ ესხმიან მას თავს ნავთობის მრეწველი ბურჟუაზიის მთელი ძალები. მაშინ როცა ნავთობის მრეწველი ბურჟუაზია სავსებით იწონებს მენშევიკურ უგარანტიო თათბირს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში თვითონ ებღაუჭება დაშნაკ-ესერთა ბოიკოტს, მას არამც და არამც არ სურს შეურიგდეს ბაქოს პროლეტარიატს, რომელიც მოითხოვს თათბირს გარანტიებით!

ეს გასაგებიცაა. აბა ერთი წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: კმაყოფილდება ცნობილი პუნქტები — გარანტიები; ჩაღდება მუშათა მოთხოვნების უაღრესად ფართოდ განხილვა; რწმუნებულთა საბჭო სულ უფრო და უფრო მტკიცდება მასებში; მოთხოვნათა გამომუშავების პროცესში მასები ირაზმებიან თავიანთი საბჭოს გარშემო, ხოლო მისი მეშვეობით — კავშირების გარშემო; ერთიან არმიად დარაზმული ორმოცდაათიათასიანი მასა მოთხოვნებს უყენებს ნავთობის მრეწველებს; ნავთობის მრეწველები იძულებული არიან უბრძოლველად დანებდნენ, ან ანგარიში გაუწიონ სერიოზულად მოწყობილ, მათთვის ყველაზე უხერხულ მოშენტში დაწყებულ საერთო გაფიცვას, — განა ეს ხელსაყრელია ნავთობის მრეწველი ბურჟუაზიისათვის? როგორ არ იყეფონ და არ იკნავლონ ამის შემდეგ «ნეფტიანოე დელოს» და «ბაკუს»[72] ბურჟუაზიულმა უბადრუკმა მხეცებმა? მაშ ძირს იგი, ეს თათბირი, რაკი მისი მოწვევა არ შეიძლება წყეული გარანტიების გარეშეო,—ამბობენ ნავთობის მრეწველები და ფუშავენ თათბირს.

აი სად არის ხელისუფლებისა და ნავთობის მრეწველების მიერ თათბირის ჩაშლის მიზეზი.

ამას გვეუბნება თათბირის ისტორია.

ხოლო «პრომისლოვი ვესტნიკი», რომელმაც ყოველივე ეს დაიწყო, განაგრძობს გალობას «ხელმძღვანელთა უტაქტობაზე», უჭკუოდ იმეორებს და ღეჭავს «ბაკუს» და «ნეფტიანოე დელოს» მოწინავე სტატიებს. თბილისელ მენშევიკთა ქართულმა გაზეთმაც კი საჭიროდ ჩათვალა «ხმა აღიმაღლოს» და ბანი მისცეს ბაქოელ კადეტებს [73]! უბადრუკი მაჩანჩალები!

მაგრამ როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა საქმის ახალი ვითარების გამო?

ნავთობის მრეწველებმა თათბირი ჩაშალეს. ისინი საერთო გაფიცვისათვის გვიწვევენ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ საერთო გაფიცვით უნდა ვუპასუხოთ? რა თქმა უნდა, არა! იმაზე თუ აღარას ვიტყვით, რომ ნავთობის მრეწველებმა უკვე მოასწრეს ნავთობის უდიდესი მარაგის დაგროვება, რომ ისინი დიდი ხანია ემზადებიან საერთო გაფიცვისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითონ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მზად ასეთი სერიოზული ბრძოლისათვის. ჯერჯერობით ჩვენ გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი საერთო ეკონომიურ გაფიცვაზე.

უკანდახევის მიზანშეწონილ ფორმად, რომელიც მომენტს შეესაბამება, აღიარებულ უნდა იქნას მხოლოდ გაფიცვა ფირმების მიხედვით. მენშევიკები, რომლებიც თითქმის «პრინციპისათვის» უარყოფენ ასეთი გაფიცვების მიზანშეწონილობას (იხ. ლ. ა. რინის [74] ბროშურა), დიდად ცდებიან. გაზაფხულის გაფიცვების გამოცდილება ცხადყოფს, რომ, კავშირებისა და ჩვენი ორგანიზაციის აქტიური ჩარევით, ფირმების მიხედვით გაფიცვა შეიძლება პროლეტარიატის დარაზმვის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო

საშუალება აღმოჩნდეს. მით უფრო მაგრად უნდა ჩავჭიდოთ ხელი ამ საშუალებას: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია გაიზრდება მხოლოდ იმის მიხედვით, რაც უფრო აქტიურად ჩაერევა იგი პროლეტარიატის ბრძოლის ყველა საქმეში.

ასეთია ჩვენი უახლოესი ტაქტიკური ამოცანა.

ხელისუფლებს, რომლებმაც თათბირი ჩაშალეს, სურთ საბოლოოდ მოსპონ ეგრეთწოდებული «ბაქოს თავისუფლება». ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ მთლიანად უნდა გადავიდეთ იატაკქვეშეთში და სამოქმედო ასპარეზი შავ ძალებს დავუთმოთ? რა თქმა უნდა, არა! რარიგაც უნდა მძვინვარებდეს რეაქცია, როგორც უნდა არღვევდეს იგი ჩვენს კავშირებსა და ორგანიზაციებს, მას არ შეუძლია მოსპოს სასარეწო-საქარხნო კომისიები, ისე რომ «ანარქია და შეტაკებები» არ გამოიწვიოს ქარხნებსა და სარეწებში. ჩვენი მოვალეობაა განვამტკიცოთ ეს კომისიები, გავმსჭვალოთ ისინი სოციალიზმის სულისკვეთებით და გავაერთიანოთ ფირმების მიხედვით. ამისთვის კი თავის მხრივ საჭიროა, რომ ჩვენი საქარხნო და სასარეწო უჯრედები სისტემატურად გამოდიოდნენ ასეთი კომისიების სათავეში, თავის მხრივ გაერთიანდნენ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით აგრეთვე ფირმების მიხედვით, რაიონთშორის.

ასეთია ჩვენი უახლოესი ორგანიზაციული ამოცანები.

ხოლო ამ უახლოესი ამოცანების შესრულებით და ამით კავშირებისა და ჩვენი ორგანიზაციის განმტკიცებით ჩვენ შევძლებთ ერთიანად შევადუღაბოთ ნავთობის მრეწველობის მუშათა მრავალათასიანი მასა ნავთობის კაპიტალის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლებისათვის.

დაბეჭდილია გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» № 5-ის დანართში, 1908 წ. 20 ივლისს.
ხელმოწერა: კ ო ბ ა.

იბეჭდება გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» დანართის ტექსტის მიხედვით.

პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი პარტია მძიმე კრიზისს განიცდის. პარტიიდან წევრების წასვლა, ორგანიზაციების შემცირება და სისუსტე, მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა, გაერთიანებული პარტიული მუშაობის უქონლობა, — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პარტია დაავადებულია, რომ იგი სერიოზულ კრიზისს განიცდის.

პირველი, რაც განსაკუთრებით აწუხებს პარტიას — ეს არის მისი ორგანიზაციების მოწყვეტა ფართო მასებისაგან. იყო დრო, როცა ჩვენი ორგანიზაციები თავის რიგებში ათასებს ითვლიდნენ, ხოლო მათ ასეული ათასები მიჰყვებოდნენ. მაშინ პარტიას მტკიცე ფესვები ჰქონდა მასებში. ახლა ასე როდია. ათასების ნაცვლად ორგანიზაციებში ათეულები დარჩნენ, უკეთეს შემთხვევაში — ასეულები. რაც შეეხება ასეული ათასების ხელმძღვანელობას, ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირს. მართალია, ჩვენი პარტია სარგებლობს ფართო **იდეური** გავლენით მასებზე, მას იცნობენ მასები, მას პატივს სცემენ მასები. უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით განსხვავდება «რევოლუციისშემდგომი» პარტია «რევოლუციამდელი» პარტიისაგან. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამით ამოიწურება პარტიის მთელი გავლენა. ხოლო მარტო იდეური გავლენა სრულებითაც არ

კმარა. საქმე ისაა, რომ **იდეური** გავლენის სიფართოვეს **ორგანიზაციული** განმტკიცების სივიწროვე აქარწყლებს, — აი სად არის ფართო მასებისაგან ჩვენი ორგანიზაციების მოწყვეტის წყარო. საკმარისია დავასახელოთ პეტერბურგი, სადაც ცხრაას შვიდ წელს 8 ათასამდე წევრი ითვლებოდა, ახლა კი 300 — 400 წევრი თუ მოგროვდება, — რომ მაშინვე გავიგოთ კრიზისის მთელი სერიოზულობა. აღარას ვამბობთ მოსკოვზე, ურალზე, პოლონეთზე, დონეცის აუზზე და სხვ., რომელნიც ასეთსავე მდგომარეობას განიცდიან.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. პარტიას ვნებს არა მარტო მასებისაგან მოწყვეტა, არამედ ისიც, რომ მისი ორგანიზაციები არაფრით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არ ცხოვრობენ ერთიანი პარტიული ცხოვრებით, მოწყვეტილი არიან ერთმანეთს. პეტერბურგმა არ იცის, რა ხდება კავკასიაში, კავკასიამ არ იცის, რა ხდება ურალში და ა. შ., ყოველი კუთხე განცალკევებულად ცხოვრობს. პირდაპირ რომ ვთქვათ, ფაქტიურად უკვე აღარ არის ის ერთიანი, ერთი საერთო ცხოვრების მქონე პარტია, რომლითაც ცხრაას ხუთ-ექვს-შვიდ წლებში ჩვენ ყველანი ვამაყობდით. ჩვენ განვიცდით ყოვლად უმსგავს კუსტარულობას. საზღვარგარეთ არსებული ორგანოები, ერთი მხრივ «პროლეტარი» [75] და «გოლოსი» [76], ხოლო მეორე მხრივ «სოციალ-დემოკრატი» [77], არ აკავშირებენ რუსეთში გაფანტულ ორგანიზაციებს და არც შეუძლიათ შეაკავშირონ ისინი, არ შეუძლიათ მისცენ მათ ერთიანი პარტიული ცხოვრება. და უცნაურიც იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საზღვარგარეთ არსებული ორგანოები, რომლებიც შორს დგანან რუსეთის სინამდვილისაგან, შეძლებენ ერთ მთლიანობად შეაკავშირონ მუშაობა პარტიისა, რომელმაც უკვე დიდი ხანია განვლო წრეობრიობის სტადია. მართალია, ერთმანეთს მოწყვეტილ ორგანიზაციებს შორის ბევრი რამ საერთო არსებობს, რაც მათ **იდეურად** აკავშირებს ერთმა-

ნეთთან, — მათ აქვთ ერთი საერთო პროგრამა, რომელმაც რევოლუციის კრიტიკას გაუძლო, საერთო პრაქტიკული პრინციპები, რომლებიც რევოლუციამ გაამართლა, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები. სწორედ ესაა მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომლითაც «რევოლუციისშემდგომი» პარტია განსხვავდება «რევოლუციამდელი» პარტიისაგან. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საქმე ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციების **იდეური** ერთიანობა ჯერ კიდევ ვერ იხსნის პარტიას მათი ორგანიზაციული დაქუცმაცებისა და დაქსაქსულობისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ უბრალო წერილობითი ინფორმაციაც კი ცოტად თუ ბევრად სასურველ დონეზე ვერ არის დაყენებული პარტიაში. აღარას ვამბობთ პარტიის ნამდვილ შეკავშირებაზე ერთიან ორგანიზმად.

ამრიგად: 1) პარტიის მოწყვეტა ფართო მასებისაგან და 2) მისი ორგანიზაციების მოწყვეტა ერთმანეთისაგან — ასეთია იმ კრიზისის არსი, რომელსაც პარტია განიცდის.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ყოველივე ამის მიზეზია თვით რევოლუციის კრიზისი, დროებითი გამარჯვება კონტრრევოლუციისა, მიწყნარება გამოსვლების შემდეგ, დასასრულ, ყველა იმ ნახევართავისუფლების დაკარგვა, რომლებითაც პარტია ცხრაას ხუთი-ექვსი წლების განმავლობაში სარგებლობდა. პარტია ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა, სანამ რევოლუცია წინ მიდიოდა, სანამ არსებობდნენ თავისუფლებანი. რევოლუციამ უკან დაიხია, თავისუფლებანი გაქრნენ, — და პარტიამ დაჩიავება იწყო, დაიწყო ინტელიგენტების, შემდეგ კი აგრეთვე ყველაზე მერყევი მუშების გაქცევა პარტიიდან. კერძოდ, ინტელიგენტების გაქცევას აჩქარებდა პარტიის, საკუთრივ — მოწინავე მუშების ზრდა, რომლებმაც თავიანთი რთული მოთხოვნილებებით გადაამეტეს «ცხრაას ხუთი წლის ინტელიგენტთა» მცირე გონებრივ ავლადიდებას.

აქედან, რასაკვირველია, სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ მომავალ თავისუფლებათა დადგომამდე პარტიამ კრიზისში უნდა იბოგინოს, როგორც ამას ზოგიერთნი შეცდომით ფიქრობენ. ჯერ ერთი, თვით თავისუფლებათა დადგომა ხომ ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა პარტია ჯანსაღი და განახლებული გამოვიდეს კრიზისიდან: თავისუფლებანი ციდან როდი ცვივიან, მათი მოპოვება ხდება, სხვათა შორის, კარგად ორგანიზებული მუშათა პარტიის მეოხებით. მეორეც, კლასთა ბრძოლის ყველასათვის ცნობილი კანონები გვეუბნებიან, რომ ბურჟუაზიის სულ უფრო და უფრო გაძლიერებულმა ორგანიზებულობამ გარდუვალად უნდა გამოიწვიოს პროლეტარიატის სათანადო ორგანიზებულობა. ხოლო ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის წინასწარი განახლება, როგორც ერთადერთი მუშური პარტიისა, წარმოადგენს ჩვენი პროლეტარიატის, როგორც კლასის, ორგანიზებულობის ზრდის აუცილებელ პირობას.

მაშასადამე, პარტიის გაჯანსაღება თავისუფლებათა დადგომამდე, მისი განთავისუფლება კრიზისისაგან არათუ შესაძლებელია, არამედ გარდუვალიცაა.

მთელი საკითხი ის არის, რომ გამოვნახოთ ამ გაჯანსაღების საშუალებანი, მოვნახოთ ის გზები, რომელთა საშუალებითაც პარტია 1) დაუკავშირდება მასას და 2) ერთიან ორგანიზმად გააერთიანებს ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ორგანიზაციებს.

* * *

ამრიგად, როგორ შეუძლია პარტიას თავი დააღწიოს კრიზისს, რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ ამისთვის?

გავხადოთ პარტია რაც შეიძლება ლეგალური და დავრაზმოთ იგი სათათბიროს ლეგალური ფრაქციის გარშე-

მოო, გვეუბნებიან ზოგნი. მაგრამ როგორ გავხადოთ იგი რაც შეიძლება ლეგალური, როცა ყველაზე უწყინარი ლეგალური დაწესებულებანი, როგორიც არიან კულტურული საზოგადოებანი და სხვ., სასტიკ დევნას განიცდიან? ნუთუ პარტიის რევოლუციურ მოთხოვნებზე ხელის აღების გზით? მაგრამ ეს ხომ იმის მომასწავებელი იქნება, რომ დავასამაროთ პარტია და არა განვაახლოთ იგი! გარდა ამისა, რანაირად შეუძლია სათათბიროს ფრაქციას დააკავშიროს პარტია მასასთან, როცა თვითონ იგი მოწყვეტილია არა მარტო მასებს, არამედ პარტიულ ორგანიზაციებსაც?

ცხადია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა კიდევ უფრო ააბნევს მას და გაუძნელებს პარტიას კრიზისისაგან თავის დაღწევას.

თვით მუშებს გადავცეთ რაც შეიძლება მეტი პარტიული ფუნქციები და ამით გავათავისუფლოთ პარტია მერყევი ინტელიგენტური ელემენტებისგანო, გვეუბნებიან სხვები. უეჭველია, რომ ზედმეტი სტუმრებისაგან პარტიის განთავისუფლება და თვით მუშების ხელში ფუნქციების თავმოყრა ბევრ რამეში დაეხმარებოდა პარტიის განახლებას საქმეს. მაგრამ არანაკლებ ცხადია ისიც, რომ მარტო «ფუნქციების გადაცემა» ორგანიზაციის ძველი სისტემის პირობებში, პარტიული მუშაობის ძველი წესების პირობებში, საზღვარგარეთიდან «ხელმძღვანელობის» პირობებში ვერ დააკავშირებს პარტიას მასასთან და ვერ შეადუღაბებს მას ერთ მთელად.

ცხადია, ნახევარზომებით სერიოზულს ვერაფერს გააკეთებ, — საჭიროა გამოინახოს რადიკალური საშუალებანი დაავადებული პარტიის რადიკალურად განკურნებისათვის.

პარტიას უწინარეს ყოვლისა ვნებს მასებისაგან მოწყვეტა, იგი აუცილებლად უნდა დავაკავშიროთ ამ მასასთან. მაგრამ ეს შესაძლებელია, ჩვენს პირობებში, უწინარეს

ყოვლისა და უმთავრესად იმ საკითხების ნიადაგზე, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებენ ფართო მასებს. ავიღოთ თუნდაც მასების გაღატაკების ფაქტი და კაპიტალის შემოტევა. მუშებს გრიგალივით გადაუარეს გრანდიოზულმა ლოკაუტებმა, ხოლო წარმოების შემცირება, მუშების თვითნებურად დათხოვნა, ხელფასის დაკლება, სამუშაო დღის გადიდება და, საერთოდ, კაპიტალის შემოტევა დღემდე გრძელდება. ძნელი წარმოსადგენია, რა ტკივილებს, აზრის რა დაძაბვას იწვევს ყოველივე ეს მუშებში, რა უამრავი «გაუგებრობა» და კონფლიქტი წარმოიშობა მუშებსა და მეწარმეებს შორის, რა უამრავი საინტერესო საკითხები იბადება ამ ნიადაგზე მუშების თავში. დაე ჩვენი ორგანიზაციები, საერთო-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად, დაუცხრომლად ჩაერიონ ყველა ამ მცირე შეტაკებაში, დაუკავშირონ ეს შეტაკებანი კლასთა დიად ბრძოლას, მხარი დაუჭირონ მასებს მათს ყოველდღიურ პროტესტებსა და მოთხოვნებში და ცოცხალი ფაქტებით ცხადყონ ჩვენი პარტიის დიადი პრინციპები. ხომ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მხოლოდ ასეთ ნიადაგზე შეიძლება ავამოძრაოთ «კედელთან მიმწყვდეული» მასები, მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება «დავძრათ» ისინი წყეული მკვდარი წერტილიდან. ხოლო ამ წერტილიდან მათი «დაძვრა» — სწორედ ეს ნიშნავს მათ შეკავშირებას ჩვენი ორგანიზაციების გარშემო.

საფაბრიკო და საქარხნო პარტიული კომიტეტები — აი პარტიის ის ორგანოები, რომლებიც ყველაზე მეტი წარმატებით შეძლებენ მასებში ასეთი მუშაობის გაჩაღებას. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში შემავალი მოწინავე მუშები — აი ის ცოცხალი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ პარტიის გარშემო დარაზმონ მათ ირგვლივ მყოფი მასები. ოღონდ საჭიროა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები დაუცხრომლად ჩაერიონ მუშების ბრძოლის ყველა

საქმეში, დაიცვან მათი ყოველდღიური ინტერესები და დააკავშირონ ეს უკანასკნელნი პროლეტართა კლასის ძირეულ ინტერესებთან. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, როგორც პარტიის ძირითადი ბურჯები — ასეთია ამოცანა.

შემდეგ, მასასთან იმავე დაახლოების ინტერესებისათვის საჭიროა, რომ პარტიის დანარჩენი, უმაღლესი ორგანიზაციებიც აგებულ იქნან მასების არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური ინტერესების დაცვის შესაბამისად. საჭიროა, რომ ორგანიზაციას ყურადღებიდან არ გამოეპაროს წარმოების არც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი დარგი. ამისთვის კი საჭიროა, რომ ორგანიზაციის წყობაში ტერიტორიულ პრინციპს ემატებოდეს საწარმოო პრინციპი, ე. ი. რომ, მაგალითად, წარმოების სხვადასხვა დარგების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები დაჯგუფებული იყვნენ სხვადასხვა ქვერაიონებად, წარმოების მიხედვით, რათა ეს ქვერაიონები ტერიტორიულად გაერთიანდნენ რაიონებად და ა. შ. არა უშავს რა, თუ ქვერაიონების რაოდენობა მეტისმეტად გაიზრდება, — სამაგიეროდ ორგანიზაცია მოიგებს თავისი საძირკვლის სიმკვიდრითა და სიმტკიცით, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება მასას.

კრიზისის გადაჭრის საქმეში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობას. საჭიროა, რომ ყველაზე გამოცდილი და ყველაზე გავლენიანი მოწინავე მუშები ყველა ადგილობრივ ორგანიზაციაში იყვნენ, რომ ორგანიზაციის საქმეები მოქცეული იყოს მათს მტკიცე ხელში, რომ მათ, სწორედ მათ, ეჭიროთ ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი პოსტები პრაქტიკულიდან და ორგანიზაციულიდან თვით ლიტერატურულამდე. არა უშავსრა, თუ ის მუშები, რომლებიც დიდმნიშვნელოვან პოსტებს დაიკავებენ, საკმაოდ გამოცდილნი და მომზადებულნი ვერ აღმოჩნდებიან, თუნდ კიდევაც წაიფორხილონ ხოლმე პირველ ხანებში, — პრაქტიკა და უფრო

გამოცდილ ამხანაგთა რჩევა-დარიგება ჰორიზონტს გაუფართოებს მათ და ბოლოს და ბოლოს ნამდვილ ლიტერატორებსა და მოძრაობის ბელადებს გამოზრდის მათგან. **არ უნდა** დავივიწყოთ, რომ ბებელები ციდან როდი ცვივიან, ისინი მხოლოდ მუშაობის პროცესში, პრაქტიკაში იზრდებიან, ჩვენს მოძრაობას კი ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროება რუსეთის ბებელები, მუშებიდან გამოსული გამოცდილი და მტკიცე ბელადები.

სწორედ ამიტომ ჩვენი ორგანიზაციული ლოზუნგი უნდა იყოს: «ფართო გზა მოწინავეებს პარტიული მუშაობის ყველა სფეროში», «მეტი გასაქანი მათ»!

თავისთავად ცხადია, რომ ხელმძღვანელობის სურვილისა და ინიციატივის გარდა, მოწინავეებს სერიოზული ცოდნაც ესაჭიროებათ. მცოდნე მუშები კი ჩვენ ცოტა გვყავს. მაგრამ სწორედ აქ გამოგვადგება გამოცდილ და აქტიურ ინტელიგენტთა დახმარება. საჭიროა შევქმნათ უმაღლესი წრეები, მოწინავეთა «საუბრები», რაიონში თითო მაინც, და სისტემატურად «გავიაროთ» მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა, — ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეავსებს მოწინავეთა ხარვეზებს, გამოიმუშავებს მათგან მომავალ ლექტორებსა და იდეურ ხელმძღვანელებს. ამავე დროს საჭიროა, რომ მოწინავენი უფრო ხშირად გამოვიდნენ რეფერატებით თავიანთ ქარხნებსა და ფაბრიკებში, «რაც შეიძლება მეტი პრაქტიკა მიიღონ», არ მოერიდონ აუდიტორიის წინაშე «ჩავარდნის» საფრთხეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვაგდოთ ზედმეტი მოკრძალება და შიში აუდიტორიის წინაშე, უნდა აღვიჭურვოთ გამბედაობით, საკუთარი ძალების რწმენით: არა უშავს რა, ერთ ხანს კიდევაც რომ შეგეშალოს რამე, ერთი-ორჯერ წაიფორხილებ, შემდეგ კი მიეჩვევი დამოუკიდებლად სიარულს, როგორც «ქრისტე წყალზე».

ერთი სიტყვით, 1) გაძლიერებული აგიტაცია ყოველდღიურ საჭიროებათა ნიადაგზე, რომლებიც პროლეტარიატის საერთო-კლასობრივ საჭიროებებს უნდა უკავშირდებოდეს, 2) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, როგორც პარტიის ყველაზე სერიოზული რაიონული პუნქტების, მოწყობა და განმტკიცება, 3) უმნიშვნელოვანესი პარტიული ფუნქციების «გადაცემა» მოწინავეთა ხელში, 4) მოწინავეთა «საუბრების» მოწყობა — ასეთია ის გზები, რომელთა მეოხებითაც ჩვენი ორგანიზაციები შეძლებენ თავიანთ გარშემო დარაზმონ ფართო მასები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით ცხოვრება სახავს აღნიშნულ გზებს პარტიული კრიზისის გადასაჭრელად. ცენტრალური რაიონი და ურალი დიდი ხანია იოლად გადიან უინტელიგენტებოდ, იქ თვითონ მუშები უძღვებიან ორგანიზაციის საქმეებს. სორმოვოში, ლუგანსკში (დონეცის აუზი), ნიკოლაევში — იქ მუშები ცხრაას რვა წელს ფურცლებს სცემდნენ, ნიკოლაევში, ფურცლებს გარდა, — არალეგალურ ორგანოსაც. ბაქოში კი ორგანიზაცია სისტემატურად ერეოდა და ერევა მუშათა ბრძოლის ყველა საქმეში, მხედველობიდან არ უშვებდა და არ უშვებს მუშების თითქმის არც ერთ შეტაკებას ნავთობის მრეწველებთან და ამასთან ერთად, რასაკვირველია, საერთო-პოლიტიკურ აგიტაციას ეწევა. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება, რომ ბაქოს ორგანიზაციამ დღემდე შეინარჩუნა კავშირი მასასთან.

ასეთია საქმის ვითარება მუშათა ფართო მასებთან პარტიის დაკავშირების საშუალებების დარგში.

მაგრამ პარტიას აწუხებს არა მარტო მასებისაგან მოწყვეტა. მას აწუხებს კიდევ თავისი ორგანიზაციების ერთი-მეორისაგან მოწყვეტა.

გადავიდეთ ამ უკანასკნელ საკითხზე.

* * *

ამრიგად, როგორ დავაკავშიროთ ერთმანეთთან ურთიერთს მოწყვეტილი ადგილობრივი ორგანიზაციები, როგორ შევაკავშიროთ ისინი ერთ მთლიან, მჭიდრო, ერთიანი ცხოვრების მქონე პარტიად?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დროდადრო მოწყობილი საერთო-პარტიული კონფერენციები გადაჭრიან ამოცანას, გააერთიანებენ ორგანიზაციებს. ან საზღვარგარეთ გამომავალი «პროლეტარი», «გოლოსი» და «სოციალ-დემოკრატი» ბოლოს და ბოლოს შეკრებენ, შეამჭიდროებენ პარტიას. ეჭვი არაა, როგორც ერთს, ისე მეორეს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციების შეკავშირებისათვის. ყოველ შემთხვევაში, დღემდე კონფერენციები და საზღვარგარეთ არსებული ორგანოები ერთმანეთს მოწყვეტილი ორგანიზაციების გაერთიანების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდნენ. მაგრამ, ჯერ ერთი, კონფერენციებს, რომლებიც ამასთან ძალიან იშვიათად ეწყობა, შეუძლიათ მხოლოდ დროებით შეაკავშირონ ორგანიზაციები და ამიტომ არა ისე მტკიცედ, როგორც ეს საჭიროა, საერთოდ: კონფერენციებს შორის განვლილი დროის მანძილზე კავშირი წყდება, და ფაქტიურად კუსტარულობა ძველებური რჩება. მეორეც, რაც შეეხება საზღვარგარეთ არსებულ ორგანოებს, იმაზე თუ ალარას ვიტყვით, რომ ისინი რუსეთში მეტად მცირე რაოდენობით აღწევენ, — ისინი, ბუნებრივია, ჩამორჩებიან რუსეთში პარტიული ცხოვრების მსვლელობას, მათ არ ძალუძთ დროულად შეამჩნიონ და შეეხონ იმ საკითხებს, რომლებიც მუშებს აღელვებენ, — და ამიტომ — არ შეუძლიათ მტკიცედ შეაკავშირონ ერთ მთლიანობად ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები. ფაქტები მოწმობენ, რომ ლონდონის ყრილობის შემდეგ პარტიამ შეძლო ორი კონფერენციის[78] მოწვევა და საზღვარგარეთ არსებული ორგანოების ათობით ნომრის

გამოცემა, და მაინც ჩვენი ორგანიზაციების ნამდვილ პარტიად შეკავშირების საქმემ, კრიზისის მოგვარების საქმემ ოდნავ თუ წაიწია წინ.

მაშასადამე, კონფერენციები და საზღვარგარეთ არსებული ორგანოები, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ პარტიის შესაკავშირებლად, ამავე დროს საკმარისი არ არიან კრიზისის გადასაჭრელად, ადგილობრივი ორგანიზაციების მტკიცედ გასაერთიანებლად.

აშკარაა, საჭიროა რადიკალური ზომა.

ასეთი ზომა კი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო-რუსული გაზეთი, პარტიული მუშაობის ცენტრში მდგომი და რუსეთში გამომავალი გაზეთი.

რუსეთში გაფანტული ორგანიზაციების გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ საერთო პარტიულ მუშაობაში. საერთო მუშაობა კი შეუძლებელია ისე, თუ ადგილობრივი ორგანიზაციების გამოცდილება არ გაერთიანდა ერთ საერთო ცენტრში, საიდანაც განზოგადებული პარტიული გამოცდილება შემდეგ მთელ ადგილობრივ ორგანიზაციებში უნდა ვრცელდებოდეს. საერთო-რუსული გაზეთი შეიძლება გახდეს სწორედ ასეთი ცენტრი, პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი, მისი გამაერთიანებელი და წარმმართველი ცენტრი. მაგრამ მას რომ შეეძლოს ნამდვილად უხელმძღვანელოს მუშაობას, ამისთვის საჭიროა, რომ მას სისტემატურად მისდიოდეს ადგილებიდან შეკითხვები, განცხადებები, წერილები, კორესპონდენციები, საჩივრები, პროტესტები, მუშაობის გეგმები, მასებისათვის საინტერესო კითხვები და სხვ.; რომ გაზეთსა და ადგილებს შორის არსებობდეს უაღრესად მჭიდრო კავშირი, უაღრესად მტკიცე ურთიერთობა; რომ გაზეთს, რომელსაც, ამრიგად, საკმაო მასალა უქნება, შეეძლოს დროულად შეამჩნიოს, შეეხოს და გააშუქოს საჭირო საკითხები, გამოიტანოს მასალიდან საჭირო

მითითებანი, ლოზუნგები და გახადოს ისინი მთელი პარტიის, მთელი თავისი ორგანიზაციების კუთვნილებად...

ასეთი პირობების გარეშე არ არსებობს პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა, მუშაობის ხელმძღვანელობის გარეშე არ შეიძლება ორგანიზაციების მჭიდროდ შეკავშირება ერთ მთელად!

აი რატომ აღვნიშნავთ ჩვენ ხაზგასმით სწორედ საერთო-რუსული (და არა საზღვარგარეთ გამომავალი) და სწორედ ხელმძღვანელი (და არა მხოლოდ პოპულარული) გაზეთის საჭიროებას.

თქმა არ უნდა, რომ ერთადერთ დაწესებულებას, რომელსაც შეუძლია ხელში აიღოს ასეთი გაზეთის მოწყობა და გაძღოლა, — წარმოადგენს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ამოცანა ისედაც შეადგენს ცენტრალური კომიტეტის მოვალეობას. მაგრამ ეს ამოცანა ამჟამად ცუდად სრულდება, რის შედეგიცაა ადგილობრივი ორგანიზაციების თითქმის სრული დაქსაქსულობა. კარგად დაყენებული საერთო-რუსული გაზეთი კი შეიძლება ცენტრალური კომიტეტის ხელში უაღრესად ბასრი იარაღი გახდეს პარტიის ნამდვილი შემჭიდროებისა და პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. უფრო მეტიც, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ცენტრალური კომიტეტი მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება გადაიქცეს ფიქციური ცენტრიდან ნამდვილ, საერთო-პარტიულ, პარტიის ნამდვილად შემაკავშირებელ და მისი მუშაობისათვის ნამდვილად ტონის მიმცემ ცენტრად. ამიტომ საერთო-რუსული გაზეთის მოწყობა და გაძღოლა ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი ამოცანაა.

მაშ ასე, საერთო-რუსული გაზეთი, როგორც ცენტრალური კომიტეტის გარშემო პარტიის გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი ორგანო — ასეთია ამოცანა, ასეთია იმ კრიზისის გადაჭრის გზა, რომელსაც პარტია განიცდის.

ვაჯამებთ ყოველივე ზემონათქვამს. რევოლუციის კრიზისის გამო კრიზისი დადგა პარტიაშიც — ორგანიზაციებმა დაკარგეს მტკიცე კავშირი მასასთან, პარტია ცალკეულ ორგანიზაციებად დაქუცმაცდა.

საჭიროა ჩვენი ორგანიზაციების დაკავშირება ფართო მასებთან — ეს არის ადგილობრივი ამოცანა.

საჭიროა აღნიშნული ორგანიზაციების დაკავშირება ერთმანეთთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, — ეს არის ცენტრალური ამოცანა.

ადგილობრივი ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა, საერთო-პოლიტიკურ აგიტაციასთან ერთად, ეკონომიური აგიტაცია მწვავე ყოველდღიურ საჭიროებათა ნიადაგზე, სისტემატური ჩარევა მუშების ბრძოლის საქმეში, საფაბრიკო-საქარხნო პარტიული კომიტეტების შექმნა და განმტკიცება, მოწინავე მუშების ხელში რაც შეიძლება მეტი პარტიული ფუნქციების თავმოყრა, მოწინავეთა «საუბრების» მოწყობა მტკიცე და ცოდნით შეიარაღებული მუშათა ბელადების მოსამზადებლად.

ცენტრალური ამოცანის გადასაჭრელად კი საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციების პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დამაკავშირებელი და მათი ერთ მთელად გამაერთიანებელი საერთო-რუსული გაზეთი.

მხოლოდ ამ ამოცანების გადაჭრით შეძლებს პარტია ჯანსაღი და განახლებული გამოვიდეს კრიზისიდან, მხოლოდ ამ პირობების შესრულებით შეძლებს პარტია იკისროს რუსეთის გმირი პროლეტარიატის ღირსეული ავანგარდის პასუხსაგები როლი.

ასეთია პარტიული კრიზისის გადაჭრის გზები.

თქმა არ უნდა, რაც უფრო სრულად გამოიყენებს პარტია მის გარშემო არსებულ ლეგალურ შესაძლებლობებს, სათათბიროს ტრიბუნიდან და პროფესიული კავშირებიდან

კოოპერატივებამდე და დამკრძალავ სალაროებამდე, მით უფრო მალე შესრულდება კრიზისის გადაჭრის ამოცანა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის განახლებისა და გაჯანსაღების ამოცანა.

გაზეთი «ბაკინსკი პროლეტარი» №№ 6 და 7; 1909 წ. 1 და 27 აგვისტო.

სტატია ხელმოუწერელია.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

მომავალი საერთო გაფიცვისათვის

მძიმე დრო დაუდგათ ბაჭოს მუშებს. ნავთობის მრეწველების შემოტევა, რაც შარშან გაზაფხულზე დაიწყო, კვლავ გრძელდება. მუშებს მთლიანად ართმევენ ძველ მონაპოვარს. მუშები კი «იძულებული არიან» დუმდნენ, «დაუსრულებლად» ითმენდნენ.

მუშებს ხელფასს უმცირებენ პირდაპირი დაკლების, ან საბინაო ფულის, ფულადი ჯილდოს წართმევის გზით და ა.შ. სამუშაო დღეს უდიდებენ, რამდენადაც სამ ცვლად მუშაობას ცვლიან ორ ცვლად მუშაობით, ხოლო ზესაგანაკვეთო და სანარდო მუშაობას ფაქტიურად სავალდებულოდ უხდიან. ეგრეთწოდებული «შტატის შემცირება» ძველებურად გრძელდება. მუშებს — განსაკუთრებით შეგნებულებს — სამუშაოდან ითხოვენ უმნიშვნელო საბაბით, ზოგჯერ კი სრულიად უსაბაბოდაც. «შავ სიებს» სრულიად უბოდიშოდ იყენებენ. «მუდმივი» მუშების სისტემას ცვლიან «დროებითი», მარკიანი მუშების სისტემით, რომლებსაც ყოველთვის შეიძლება სრულიად უმნიშვნელო საბაბით მოუსპო ხელფასი. ფართოდ მიმართავენ ჯარიმებისა

და ცემის «სისტემას». სასარეწო-საქარხნო კომისიებს აღარ ცნობენ. კანონს დასახიჩრებათა შესახებ ყოვლად უტიფრად უვლიან გვერდს. სამედიცინო დახმარება მინიმუმამდეა დაყვანილი. ათკაპიკიანი საავადმყოფო გამოსაღების «საკატორღო კანონი» კვლავ მოქმედებს. ჰიგიენა და სანიტარია მივიწყებულია. სასკოლო საქმე მოიკოჭლებს. არ არის სახალხო სახლები. არ არის საღამოს კურსები. არ ეწყობა ლექციები. მხოლოდ დათხოვნა და კიდევ დათხოვნა! თუ სადამდე მიაღწია ნავთობის მრეწველთა თავხედობამ, ეს იქიდან ჩანს, რომ ბევრი მსხვილი ფირმა, მაგალითად, «კასპიის ამხანაგობა», იმისთვის, რომ საბინაო ფულის მიცემა თავიდან აიცილოს, პირდაპირ უკრძალავს «თავის» მუშებს ცოლის შერთვას ფირმის ადმინისტრაციის უნებართვოდ. და ყოველივე ეს გაუდით ნავთობის მეფეებს. და ისინი კვლავ აბუჩად იგდებენ მუშებს, რადგან გრძნობენ თავიანთ ძალას, ხედავენ მზაკვრულად მოფიქრებული შეტევითი ტაქტიკის წარმატებას.

ნავთობის მრეწველთა შემოტევის წარმატება კი სრულებითაც არ არის შემთხვევითი. იგი მთლიანად გამოწვეულია საამისოდ ხელსაყრელი ბევრი გარეშე გარემოებით. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, საერთო მიწყნარება რუსეთში, შექმნილი კონტრრევოლუციური ვითარება, რომელიც ხელსაყრელ ატმოსფეროს წარმოადგენს კაპიტალის შემოტევისათვის. რაღა თქმა უნდა, სხვა პირობებში ნავთობის მრეწველებს თავიანთი მადის შეკვეცა მოუხდებოდათ. შემდეგ, ნამდვილი ლაქიური გულმოდგინება ადგილობრივი ადმინისტრაციისა დამრბევ მარტინოვის მეთაურობით, — იმ ადმინისტრაციისა, რომელიც ყველაფრისათვის მზად არის ნავთობის მრეწველთა გულის მოსაგებად, — გავიხსენოთ თუნდაც «მირზოევის საქმე». შემდეგ, მუშების სუსტი ორგანიზებულობა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სარეწების მუშათა მასის შემადგენლობის არამუდმივი

ხასიათით. ყველასათვის ცხადია სარეწების მუშების მნიშვნელობა ნავთობის მრეწველებთან ბრძოლაში, ამავე დროს კი სწორედ ისინი არიან ყველაზე მეტად დაკავშირებული სოფელთან, სწორედ მათ ყველაზე ნაკლებად შესწევთ ორგანიზებული ბრძოლის «უნარი». დასასრულ, ხელფასის დაჭუცმაცება (რომელიც შედგება, სხვათა შორის, ფულადი ჯილდოსაგან, საბინაო, საგზაო, სააბანოო ფულისაგან და სხვ.), რაც აადვილებს მის შემცირებას. მტკიცებაც არ უნდა იმას, რომ ხელფასის პირდაპირი შემცირება არც ისე იოლია, როგორც მისი შენიღბულად, ნაწილ-ნაწილ შემცირება, ჯილდოს, საბინაო, საგზაო ფულისა და სხვ. თანდათან ჩამორთმევის გზით, ამასთან ილუზიის შექმნა, თითქოს «თვით» ხელფასი წინანდელი ოდენობითაა დატოვებული.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ნავთობის მრეწველთა გამოცდილებისა და ორგანიზებულობის ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად აადვილებს ნავთობის სამეფოში კაპიტალის შემოტევის საქმეს.

თუ როდის შეწყდება ნავთობის მეფეთა ეს გააფთრებული შემოტევა, საზღვარი აქვს თუ არა მათს უტიფრობას — ეს დამოკიდებულია იმაზე, წააწყდებიან თუ არა ისინი ძლიერ, ორგანიზებულ წინააღმდეგობას მუშების მხრივ.

ჯერჯერობით ერთი რამ არის ცხადი: ნავთობის მრეწველებს სურთ «საბოლოოდ» გატეხონ მუშები, «ერთხელ და სამუდამოდ» დაუკარგონ ბრძოლის ხალისი, «რადაც უნდა დაუჯდეთ» გადააქციონ «თავიანთი» მუშები მორჩილ მონებად. ასეთ მიზანს ისახავდნენ ისინი ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე, როცა თათბირი ჩაშალეს და სცადეს პროვოკაციის გზით გამოეწვიათ მუშების არაორგანიზებული საერთო გაფიცვა, რათა ერთბაშად მოეღოთ მათთვის ბოლო. ამავე მიზანს ისახავენ ისინი ახლა, ბოროტად და სისტემატურად რომ აწარმოებენ შეტევას მუშებზე და ხშირად იწვევენ მათ სტიქიური გამოსვლების მოსახდენად.

მუშები ჯერჯერობით დუმან, უხმოდ იტანენ ნავთობის მრეწველთა იერიშებს და გულში იგროვებენ ბოღმას. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრივ, იმას, რომ ნავთობის მრეწველები სულ უფრო და უფრო თავხედდებიან, დაუსრულებლად ართმევენ მუშებს დარჩენილ ნამცეცებს და გაღატაკებამდე მიჰყავთ ისინი, აბუჩად იგდებენ მათ, პროვოკაციული გზით იწვევენ სტიქიური გამოსვლების მოსახდენად; რომ, მეორე მხრივ, მუშებს მოთმინება სულ უფრო და უფრო ეკარგებათ და ადგილს უთმობს ყრუ, უფრო და უფრო გაძლიერებულ დრტვინვას ნავთობის მრეწველების წინააღმდეგ, — თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნავთობის მრეწველობის მუშათა აღშფოთების აფეთქება პირდაპირ გარდუვალია უახლოეს მომავალში. ორში ერთი: ან მუშები მართლაც «დაუსრულებლად» მოითმენენ და მონურად მორჩილი ჩინელი ყუჟლის მდგომარეობამდე დაქვეითდებიან—ან ისინი კვლავ ამხედრდებიან ნავთობის მრეწველების წინააღმდეგ და გზას გაიკაფავენ უკეთესი ცხოვრებისაკენ. მასებში სულ უფრო და უფრო გაძლიერებული აღშფოთება მოწმობს იმას, რომ მუშები აუცილებლად დაადგებიან მეორე გზას, ნავთობის მრეწველებთან ბრძოლის გზას.

ხოლო ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა ისეთია, რომ სავსებით შესაძლებელს ხდის მუშების არა მარტო თავდაცვით ბრძოლას, არა მარტო ძველი პოზიციების შენარჩუნებას, არამედ შეტევაზე გადასვლასაც, არამედ ახალი პოზიციების დაპყრობასაც, ხელფასის შემდგომ გადიდებას, სამუშაო დღის შემდგომ შემცირებას და ა. შ.

მართლაც, თუ ნავთობის მრეწველთა მოგება ამჟამად ზღაპრულად დიდია რუსეთისა და ევროპის სხვა მეწარმეთა მოგებასთან შედარებით; თუ ნავთობის ბაზარი არათუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება და ახალ ოლქებს

იპყრობს (მაგალითად, ბულგარეთს); თუ შადრევნების რაოდენობა უფრო და უფრო მატულობს; თუ ნავთობის ფასები არათუ არ ეცემა, არამედ, პირიქით, გადიდების ტენდენციას იჩენს, — მაშინ განა ცხადი არ არის, რომ მუშებს სრული შესაძლებლობა აქვთ დაამსხვრიონ მონური მოთმინების ბორკილი, მოიშორონ სამარცხვინო დუმილის უღელი, აღმართონ ნავთობის მრეწველების წინააღმდეგ კონტრშეტევის დროშა და ბრძოლით გამოგლიჯონ მათ შრომის ახალი, უკეთესი პირობები?..

მაგრამ ყოველივე ეს რომ გვახსოვს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მომავალი საერთო გაფიცვა ყველაზე სერიოზული, ყველაზე ხანგრძლივი და შეუპოვარი იქნება იმ გაფიცვათაგან, რომლებიც კი დღემდე ბაქოში მომხდარა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თუ წინა გაფიცვებში ჩვენ ხელს გვიწყობდა 1) საერთო აღმავლობა რუსეთში, 2) ამით გამოწვეული შედარებითი «ნეიტრალობა» ადგილობრივი ადმინისტრაციისა, 3) გამოუცდელობა და დაუორგანიზებლობა ნავთობის მრეწველებისა, რომლებსაც თავგზა ებნეოდათ პირველი გაფიცვისთანავე, — ახლა აღარც ერთია, არც მეორე და არც მესამე. საერთო აღმავლობა შეცვალა საერთო მიწყნარებამ, რაც ამხნევებს ნავთობის მრეწველებს. ადგილობრივი ადმინისტრაციის შედარებითი «ნეიტრალობა» — მისმა სრულმა მზადყოფნამ აამოქმედოს «დაწყნარების» ყველა საშუალება. ნავთობის მრეწველთა გამოუცდელობა და დეზორგანიზებულობა — მათმა ორგანიზებულობამ. უფრო მეტიც, ნავთობის მრეწველები ისე გაიწაფნენ ბრძოლაში, რომ თვითონ იწვევენ მუშებს გაფიცვებისათვის. ისინი არც იმას მოერიდებიან, რომ პროვოკაციის გზით საერთო გაფიცვაც დააწყებინონ მუშებს, ოღონდ ეს გაფიცვა არაორგანიზებული იყოს და საშუალებას აძლევდეს მათ «ერთბაშად მოდრიკონ» მუშები.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მუშებს მოელით სერიოზული და ძნელი ბრძოლა ორგანიზებულ მტრებთან. ბრძოლა გარდუვალია. გამარჯვება შესაძლებელია, მიუხედავად მრავალი არახელსაყრელი პირობისა. ოღონდ საჭიროა, რომ მუშების ბრძოლა სტიქიური და დაქსაქსული კი არ იყოს, არამედ ორგანიზებული, გეგმაშეწონილი და შეგნებული.

მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ვიქონიოთ გამარჯვების იმედი.

ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ როდის დაიწყება საერთო გაფიცვა — ყოველ შემთხვევაში არა მაშინ, როცა ნავთობის მრეწველებს ენებებათ. ჯერჯერობით ვიცით ერთი რამ — ახლავე უნდა დავიწყოთ შეუპოვარი მოსამზადებელი მუშაობა საერთო გაფიცვისათვის და მას ჩავაქსოვოთ ჩვენი გონების, ენერგიის, სიმამაცის მთელი ძალა.

ჩვენი დარაზმულობის, ჩვენი ორგანიზებულობის გაძლიერება — ასეთია ჩვენი მოსამზადებელი მუშაობის დროშა.

ამიტომ ახლავე უნდა შევუდგეთ მუშების მასობრივად დარაზმვას სოციალ-დემოკრატიის გარშემო, კავშირების გარშემო. უწინარეს ყოვლისა, ბოლო უნდა მოვუღოთ განხეთქილებას ორგანიზაციაში, ერთ მთელად გავაერთიანოთ ორივე ფრაქცია. ბოლო უნდა მოვუღოთ აგრეთვე განხეთქილებას კავშირებში, გავაერთიანოთ ისინი ერთ ძლიერ კავშირად. საჭიროა გამოვაცოცხლოთ სასარეწო-საქარხნო კომისიები, გავმსჭვალოთ ისინი სოციალიზმის სულისკვეთებით, დავაკავშიროთ ისინი მასებთან და მათი საშუალებით თვითონ დავუკავშირდეთ ნავთობის მუშათა მთელ არმიას. საჭიროა შევუდგეთ საერთო მოთხოვნების შემუშავებას, რომლებითაც შეიძლება მუშების დარაზმვა ერთ ძლიერ არმიად. საჭიროა მუდამ ვერეოდეთ მუშების ყველა შეტაკებაში ნავთობის მრეწველებთან და ამით ნამ-

დვილად ვრაზმავდეთ მუშებს სოციალ-დემოკრატიის გარშემო. ერთი სიტყვით, უნდა ვემზადოთ დაუღალავად, მთელი ძალ-ღონით, რათა ღირსეულად შევხვდეთ ძნელ, მაგრამ სახელოვან მომავალ საერთო გაფიცვას.

ჩვენ მოგიწოდებთ მწყობრი მუშაობისაკენ საერთო ეკონომიური გაფიცვისათვის მოსამზადებლად.

გაზეთი «ბაკინსკი პროლეტარი» №7, 1909 წ. 27 აგვისტო.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ. კ ო...

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ბაქოს კომიტეტის რეზოლუციას «პროლეტარის» რედაქციაში არსებული უთანხმოების შესახებ. ეს უთანხმოება ახალი ამბავი როდია, მის შესახებ დიდი ხანია წარმოებს პოლემიკა ჩვენს საზღვარგარეთულ პრესაში. იმასაც კი ამბობენ, ბოლშევიკების ფრაქციაში განხეთქილებააო. ხოლო ბაქოს მუშები ნაკლებად იცნობენ ან სრულებით ვერ იცნობენ ამ უთანხმოების შინაარსს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ერთგვარი განმარტება წავუმძღვაროთ რეზოლუციას.

უწინარეს ყოვლისა განხეთქილებაზე ბოლშევიკების ფრაქციაში. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ფრაქციაში არავითარი განხეთქილება არ არის და არც ყოფილა, არის მხოლოდ უთანხმოება ლეგალურ შესაძლებლობათა საკითხში. ამგვარი უთანხმოება კი ყოველთვის იყო და იქნება ისეთ მდიდარ და ცოცხალ ფრაქციაში, როგორიც ბოლშევიკური ფრაქციაა. ყველამ იცის, რომ ფრაქციაში ერთ ხანს საკმაოდ სერიოზული უთანხმოება იყო აგრარული პროგრამის, პარტიზანული გამოსვლების, კავშირებისა და პარტიის საკითხებში, და, მიუხედავად ამისა, ფრაქციაში განხეთქილება არ მომხდარა, ვინაიდან სხვა დიდ ტაქტიკურ საკითხებზე ფრაქციაში სრული სოლიდარობა იყო. იგივე უნდა ითქვას ამ შემთხვევაზეც. მაშასადამე, მითქმა-მოთქმა ფრაქციაში განხეთქილების შესახებ მთლად მოჭორილია.

რაც შეეხება თვით უთანხმოებას, «პროლეტარის» გაფართოებულ რედაქციაში[80], რომელიც 12 კაცისაგან შედგება, ორი მიმდინარეობა დაისახა: რედაქციის უმრავლესობა (10 კაცი 2-ის წინააღმდეგ) ფიქრობს, რომ ლეგალური შესაძლებლობანი კავშირების, კლუბების, განსაკუთრებით სათათბიროს ტრიბუნის სახით უნდა გამოვიყენოთ პარტიის განმტკიცების ინტერესებისათვის, რომ პარტიამ არ უნდა გამოიწვიოს სათათბიროს ფრაქცია სათათბიროდან, რომ იგი, პირიქით, უნდა ეხმარებოდეს ფრაქციას გამოასწოროს თავისი შეცდომები და აწარმოოს სწორი, აშკარა სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია სათათბიროს ტრიბუნიდან. რედაქციის უმცირესობა (ორი კაცი), რომლის გარშემოც თავს იყრიან ეგრეთწოდებული ოტზოვისტები და ულტიმატისტები, პირიქით, ფიქრობს, რომ ლეგალური შესაძლებლობანი მაინცდამაინც არ წარმოადგენენ ღირებულებას, იგი უნდობლობით უცქერის სათათბიროს ფრაქციას, საჭიროდ არ ცნობს ფრაქციისათვის მხარის დაჭერას და წინააღმდეგი არ არის განსაზღვრულ პირობებში კიდევაც გამოიწვიოს იგი სათათბიროდან.

ბაქოს კომიტეტს მიაჩნია, რომ რედაქციის უმცირესობის თვალსაზრისი არ შეესაბამება პარტიისა და პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ გადაჭრით უჭერს მხარს რედაქციის უმრავლესობის პოზიციას, რომლის წარმომადგენელიც არის ამხანაგი ლენინი.

ბაქოს კომიტეტის რეზოლუცია «პროლეტარის» გაფართოებულ რედაქციაში არსებული უთანხმოების შესახებ

ბაქოს კომიტეტმა განიხილა «პროლეტარის» გაფართოებულ რედაქციაში არსებული ვითარება რედაქციის ორივე ნაწილის მიერ გამოგზავნილი ნაბეჭდი დოკუმენტების მიხედვით და შემდეგ დასკვნამდე მივიდა.

1) საქმის არსის თვალსაზრისით რედაქციის უმრავლესობის პოზიცია სათათბიროში და სათათბიროს გარეთ მუშაობის საკითხებზე ერთადერთი სწორი პოზიციაა. ბაქოს კომიტეტი ფიქრობს, რომ მხოლოდ ასეთ პოზიციას შეიძლება ეწოდოს ნამდვილად ბოლშევიკური, ბოლშევიკური— სულის და არა მარტო სიტყვის მიხედვით.

2) «ოტზოვიზმი», როგორც ფრაქციაში არსებული მიმდინარეობა, შედეგია ლეგალურ შესაძლებლობათა, განსაკუთრებით სათათბიროს ტრიბუნის შეუფასებლობისა, რაც მავნეა პარტიისათვის. ბაქოს კომიტეტი ამტკიცებს, რომ მიწყნარების ახლანდელ პირობებში, აშკარა სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის სხვა უფრო სერიოზულ საშუალებათა უქონლობისას, სათათბიროს ტრიბუნიდან მუშაობა შეიძლება წარმოადგენდეს და უნდა წარმოადგენდეს პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს.

3) «ულტიმატიზმი», როგორც სათათბიროს ფრაქციისათვის პარტიული დისციპლინის მუდმივი მოგონება,— არავითარ მიმდინარეობას არ შეადგენს ბოლშევიკების ფრაქციაში. ხოლო რამდენადაც იგი ცდილობს დაიკავოს მდგომარეობა განსაკუთრებული მიმდინარეობისა, რომელიც **სჭერდება** სათათბიროს ფრაქციის მიმართ ცენტრალური კომიტეტის უფლებათა დემონსტრაციას,— «ულტიმატიზმი» «ოტზოვიზმის» ყველაზე ცუდ სახეს წარმოადგენს. ბაქოს კომიტეტი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის დაუღალავ მუშაობას ფრაქციაში და ფრაქციისათვის შეუძლია ნამდვილად პარტიული და დისციპლინიანი გახადოს ეს უკანასკნელი. ბაქოს კომიტეტი ფიქრობს, რომ სათათბიროს ფრაქციის საქმიანობის უკანასკნელი თვეების ფაქტები თვალნათლივ ამტკიცებენ ყოველივე ამას.

4) ეგრეთწოდებული «ღვთისმშენებლობა», როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, და საერთოდ, სოცია-

ლიზმში რელიგიური ელემენტების შემოტანა, — მარქსიზმის საფუძვლების არამეცნიერული და ამიტომ პროლეტარიატისათვის მავნე განმარტების შედეგია. ბაქოს კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარქსიზმი გარკვეულ მსოფლმხედველობად ჩამოყალიბდა და გამომუშავდა არა რელიგიურ ელემენტებთან კავშირის წყალობით, არამედ მათთან ულმობელი ბრძოლის შედეგად.

5) ყოველივე ნათქვამის მიხედვით, ბაქოს კომიტეტს მიაჩნია, რომ ულმობელი **იდეური** ბრძოლა აღნიშნულ მიმდინარეობებთან, რომლებიც თავს იყრიან რედაქციის უმცირესობის გარშემო, პარტიული მუშაობის ერთ-ერთ გადაუდებელ მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

6) მეორე მხრივ, გამოდის რა იქიდან, რომ რედაქციის ორივე ნაწილი, მიუხედავად აღნიშნული უთანხმოებისა, ფრაქციისათვის მეტი მნიშვნელობის მქონე საკითხებში სოლიდარულია ერთმანეთს შორის (მომენტის შეფასება, პროლეტარიატისა და სხვა კლასების როლი რევოლუციაში და ა. შ.), — ბაქოს კომიტეტი ფიქრობს, რომ ფრაქციის ერთიანობა და, მაშასადამე, რედაქციის ორივე ნაწილის ერთობლივი მუშაობაც, შესაძლებელი და საჭიროა.

7) ამის გამო ბაქოს კომიტეტი არ ეთანხმება რედაქციის უმრავლესობის ორგანიზაციულ პოლიტიკას და პროტესტს აცხადებს რედაქციის უმცირესობის მომხრეების «ჩვენი წრიდან» ყოველგვარი «განდევნის» წინააღმდეგ. ბაქოს კომიტეტი ასევე პროტესტს აცხადებს ამხ. მაქსიმოვის ქცევის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ რედაქციის გადაწყვეტილებებს არ ემორჩილება, და ამით ახალი საბაბი შექმნა ახალი, უფრო ძლიერი უთანხმოებისათვის.

8) როგორც პრაქტიკულ ზომას შექმნილი არანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის ბაქოს კომიტეტი

წინადადებას აყენებს მოწვეულ იქნას ბოლშევიკების კონფერენცია, საერთო-პარტიული კონფერენციის პარალელურად [81].

«NN-ის სკოლის» და «მემარცხენე მენშევიკებისადმი» დამოკიდებულების საკითხებში ბაქოს კომიტეტი ჯერჯერობით თავს იკავებს გარკვეული რეზოლუციების მიღებისაგან საკმაო მასალების უქონლობის გამო.

1909 წ. 2 აგვისტო.

გაზეთი «ბაკინსკი პროლეტარი» № 7, 1909 წ. 27 აგვისტო.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

დეკემბრის გაფიცვისა და დეკემბრის ხელშეკრულების შესახებ

(მეხუთე წლისთავის გამო)

ამხანაგებო!

დღეს შესრულდა 5 წელი იმ დღიდან, რაც ბაქოს რაიონებში საერთო ეკონომიური გაფიცვა გამოცხადდა 1904 წ. დეკემბერში.

ამ დღეებში შესრულდება 5 წელი იმ დროიდან, რაც მუშებმა და ნავთობის მრეწველებმა გამოიმუშავეს ცნობილი დეკემბრის ხელშეკრულება, ჩვენი «მაზუთის კონსტიტუცია».

ჩვენ სიამაყით ვიგონებთ ამ დღეებს, ვინაიდან ისინი ჩვენი გამარჯვების დღეებია, ნავთობის მრეწველთა დამარცხების დღეებია!

ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობი დიდებული სურათი, როცა გაფიცული მუშების ათასიანი მასები «ელექტრიჩესკაია სილას» გარს შემორტყმოდნენ და თავიანთ დელეგატებს დეკემბრის მოთხოვნებს უკარნახებდნენ, ხოლო ნავთობის მრეწველთა

წარმომადგენელნი, «ელექტრიჩესკაია სილაში» თავშეფარებულნი და მუშების მიერ ალყაშემორტყმულნი, — «თავიანთ სოლიდარობას გამოთქვამდნენ», ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, «ყველაფერზე თანხმდებოდნენ»...

ეს იყო ღარიბების — პროლეტარების ნამდვილი გამარჯვება მდიდრებზე — კაპიტალისტებზე, გამარჯვება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა «ახალ წესებს» ნავთობის მრეწველობაში.

დეკემბრის ხელშეკრულებამდე ჩვენ დღეში საშუალოდ 11 საათს ვმუშაობდით, — ხელშეკრულების შემდეგ კი 9 საათის მუშაობა დაწესდა და თანდათანობით შემოღებულ იქნა ნავთობის ამოღებაზე მომუშავეთათვის რვასაათიანი სამუშაო დღე.

დეკემბრის ხელშეკრულებამდე ჩვენ საშუალოდ 80 კაპიკამდე ვიღებდით, — ხელშეკრულების შემდეგ კი ხელფასი დღეში მანეთ და რამდენიმე კაპიკამდე გავადიდებინეთ.

დეკემბრის გაფიცვამდე ჩვენ არ გვაძლევდნენ არც ბინის ფულს, არც საბინაო კმაყოფას, — გაფიცვის მეოხებით კი ჩვენ მივაღწიეთ ხელოსნებისათვის როგორც ერთს, ისე მეორეს, საჭირო იყო მხოლოდ, რომ ეს დანარჩენ მუშებზე გავრცელებულიყო.

დეკემბრის გაფიცვამდე სარეწებსა და ქარხნებში გამეფებული იყო კაპიტალის ლაქიების სრული თვითნებობა, — ისინი სრულიად უბოდიშოდ გვცემდნენ და გვჯარიმებდნენ,—გაფიცვის მეოხებით კი დამყარდა ერთგვარი წესები, ერთგვარი «კონსტიტუცია», რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეთქვა ჩვენი ნება ჩვენი დელეგატების მეშვეობით, ერთად შევთანხმებოდით ნავთობის მრეწველებს, ერთად დაგვემყარებინა მათთან ურთიერთობა.

«ამშარიდან»[82] და «სასაპალნე პირუტყვიდან» ჩვენ ერთბაშად გადავიქეცით უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლ ადამიანებად!

აი რა მოგვცა ჩვენ დეკემბრის გაფიცვამ და დეკემბრის ხელშეკრულებამ!

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ძირითადი, რაც დეკემბრის ბრძოლამ მოგვცა — ეს არის საკუთარი ძალების რწმენა, გამარჯვების რწმენა, ახალი ბრძოლებისათვის მზადყოფნა, იმის შეგნება, რომ კაპიტალისტური მონობის ბორკილის დამსხვრევა «მხოლოდ საკუთარი ხელით» შეიძლება...

მას შემდეგ სულ მუდამ წინ მივიწევდით, — ვაღწევდით იმას, რომ ხელფასი გაედიდებინათ, ბინის ფული სარეწების მუშებისთვისაც მიეცათ, განვამტკიცებდით «მაზუთის კონსტიტუციას», ვაღწევდით იმას, რომ ნაწილობრივ ეცნოთ სასარეწო-საქარხნო კომისიები, ვერთიანდებოდით კავშირებად, ვირაზმებოდით სოციალ-დემოკრატიის ვარშემო...

მაგრამ ყოველივე ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. რევოლუციის უკანდახევისა და კონტრრევოლუციის გაძლიერების შემდეგ, მეტადრე 1908 წლის დამდეგიდან, ნავთობის მრეწველები, ნავთობის ამოღების დაკლებისა და მისი ბაზრის შემცირების ფარისევლური მომიზეზებით, იწყებენ ძველ მონაპოვართა ჩამორთმევას. ისინი აღარ აძლევენ მუშებს ფულად ჯილდოს და ბინის ფულს. აწესებენ ორცვლიანს, თითო ცვლაში 12-საათიან მუშაობას სამცვლიანი, 8-საათიანი მუშაობის მაგიერ. გვიმცირებენ სამედიცინო დახმარებას. უკვე ჩამოგვართვეს სახალხო სახლები და გვართმევენ სკოლებს, რომლებისთვისაც საცოდავ გროშებს იძლევიან, მაშინ როცა პოლიციისათვის ყოველწლიურად 600 ათას მანეთზე მეტს ხარჯავენ. აღარას ვამბობთ ცემა-ტყეპისა და ჯარიმების აღდგენაზე, კომისიების მოსპობაზე, შეფის მთავრობის — მსხვილი კაპიტალის ამ ლაქიის — მსახურთა მხრივ კავშირების დევნაზე...

ამრიგად, უკანასკნელ 2 წელს არათუ გვაიძულეს ხელი აგვეღო ჩვენი მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე, არამედ ძველი მდგომარეობაც გაგვიუარესეს, წაგვართვეს ძველი მონაპოვარნი, უკუგვაგდეს ძველ, დეკემბრამდელ დროებამდე.

და აი ახლა, 13 დეკემბერს, დეკემბრის იმ ძლევამოსილი გაფიცვის მეხუთე წლისთავის დღეს, როცა ნავთობის მრეწველები ძრწოდნენ ჩვენს წინაშე, ჩვენ კი შეტევაზე გადავდიოდით და ახალ უფლებებს ვიპყრობდით, — სწორედ დღეს ისმება ჩვენს წინაშე სერიოზული საკითხი, რომელიც აღელვებს ნავთობის მრეწველობის მუშათა მასებს: ნუთუ კიდევ დიდხანს ვიქნებით გაჩუმებულნი, აქვს თუ არა საზღვარი ჩვენს მოთმინებას, გვმართებს თუ არა გავწყვიტოთ დუმილის ბორკილი და აღვმართოთ ჩვენი საარსებო მოთხოვნებისათვის საერთო ეკონომიური გაფიცვის დროშა?

თვითონ განსაჯეთ. წელს ნავთობის ამოღებამ 500 მილიონ ფუთს მიაღწია, — ეს ისეთი ციფრია, რომლისთვისაც ნავთობის ამოღებას უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე არც ერთ წელს არ მიუღწევია. ნავთობის ფასები სრულებითაც არ კლებულობს, ვინაიდან საშუალო წლიური ფასი იგივე გამოდის, რაც შარშან, — 21 კაპიკი. შადრევნის ნავთობი, რომელიც ხარჯებს არ მოითხოვს, უფრო და უფრო მეტია. ბაზარი დღითი დღე ფართოვდება, ხელს იღებს ქვანახშირზე და გადადის ნავთობზე. ნავთობის გატანა განუწყვეტლივ მატულობს. ამავე დროს, რაც უფრო უმჯობესდება ნავთობის მრეწველთა საქმე, რაც უფრო მეტ «მოგებას» სწურავენ მუშებიდან, მით უფრო აუტანელი ხდებიან ისინი მუშების მიმართ, მით უფრო ძლიერ ავიწროებენ მუშებს, მით უფრო გულმოდგინედ ითხოვენ სამუშაოდან შეგნებულ ამხანაგებს, მით უფრო გადაჭრით ართმევენ უკანასკნელ ნამცეცებს!

განა ცხადი არ არის, ამხანაგებო, რომ ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება ნავთობის მრეწველობის მუშების საერთო ბრძოლისათვის, ხოლო ნავთობის მრეწველთა გამომწვევი მოქმედება გარდუვალად უბიძგებს მუშებს ასეთი ბრძოლისაკენ?

ეს იმიტომ, ამხანაგებო, რომ ორში ერთი: ან ჩვენ დაუსრულებლად უნდა ვითმინოთ და უტყვი მონების მდგომარეობამდე დავქვეითდეთ, — ან აღვდგეთ საერთო ბრძოლისათვის ჩვენი საერთო მოთხოვნების დასაცავად.

მთელი ჩვენი წარსული და აწმყო, ჩვენი ბრძოლა და ჩვენი გამარჯვებანი მოწმობენ იმას, რომ ჩვენ ავირჩევთ მეორე გზას, ხელფასის გადიდებისა და რვასაათიანი სამუშაო დღისათვის, მუშათა უბნებისა და ბინის ფულისათვის, სახალხო სახლებისა და სკოლებისათვის, სამედიცინო დახმარებისა და დასახიჩრებულთა ანაზღაურებისათვის, სასარეწო-საქარხნო კომისიათა და კავშირთა უფლებებისათვის საერთო გაფიცვის გზას.

და ჩვენ ჩვენსას გავიტანთ, ამხანაგებო, მიუხედავად გაუგონარი რეპრესიებისა, მიუხედავად ნავთობის მრეწველთა მზარდი ორგანიზებულობისა, ჩვენ მოვდრეკთ ჩვენს მეპატრონეებს, როგორც მოვდრიკეთ ისინი 5 წლის წინათ, თუ გავაძლიერებთ საერთო გაფიცვისათვის მოსამზადებელ მუშაობას, თუ განვამტკიცებთ ჩვენს სასარეწო-საქარხნო კომისიებს, თუ გავაფართოებთ ჩვენს კავშირებს, თუ დავირაზმებით სოციალ-დემოკრატიის გარშემო.

სოციალ-დემოკრატიამ წაგვიყვანა ჩვენ გამარჯვებისაკენ 1904 წლის დეკემბერში, იგივე წაგვიყვანს მომავალი გამარჯვებებისაკენ ორგანიზებული საერთო გაფიცვის გზით.

ამას მოწმობს სახელოვანი დეკემბრის ბრძოლის გამოცდილება.

მაშ დაე დღევანდელმა დღემ, ცხრაას ოთხი წლის დეკემბრის ძლევამოსილი გაფიცვის დაწყების დღემ,

აღგვაფრთოვანოს მწყობრი და შეუპოვარი მუშაობისათვის საერთო გაფიცვის მოსამზადებლად!

დაე ჩვენი საერთო თანაგრძნობა ამ დღისადმი გახდეს ნავთობის მრეწველებისათვის ავის მაუწყებელი ნიშანი, მაუწყებელი მომავალი საერთო გაფიცვისა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით!

გაუმარჯოს მომავალ საერთო გაფიცვას!
გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას!

რსდმპ ბაქოს კომიტეტი

1909 წ. 13 დეკემბერი.

გამოცემულია ცალკე პროკლამაციად. იბეჭდება პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

წერილები კავკასიიდან*

I

ბაქო

ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა

ჩვენს ქვეყანაში ერთგვარი «დამშვიდების» შემდეგ, რუსეთში კარგი მოსავლის მიღებისა და ცენტრალურ-სამრეწველო რაიონში სამუშაოთა გამოცოცხლების შემდეგ, ნავთობის მრეწველობა ერთგვარი აღმავლობის ფაზაში შევიდა. რადგან ნაწილობრივი გაფიცვები სახიფათო გახდა (სასტიკი პოლიტიკური რეპრესიებისა და ნავთობის მრეწველთა მზარდი ორგანიზებულობის გამო), ნავთობის ამოღების დანაკლისი, რაც გაფიცვებით იყო გამოწვეული, რაღაც ნახევარ მილიონ ფუთამდე შემცირდა (1908 წელს უდრიდა 11, ხოლო 1907 წელს — 26 მილიონ ფუთს). ის გარემოება, რომ გაფიცვები არ იყო და ნავთობის სათლებით ამოღება შეუფერხებლად მიმდინარეობდა, შადრევნის ნავთობის რაოდენობის გადიდების ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობა გახდა. ხოლო ნავთობის მრეწველობის მდგომარეობაში შექმნილმა (შედარებითმა) სიმტკიცემ დაუბრუნა ამ მრეწველობას უკანასკნელ წლებში დაკარგული ბაზარი. ნავთობის ამოღება წელს გაიზარდა 500 მილიონ ფუთამდე, — ეს ისეთი ციფრია, რომლისთვისაც

ამოღებას არ მიუღწევია არც ერთ წელს უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე (შარშან ამოღებული იყო 467 მილიონი ფუთი). იმის მეოხებით, რომ ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის მხრივ გაიზარდა თხევადი სათბობის მოთხოვნა და სამხრეთ-აღმოსავლეთის, რიაზან-ურალისა და მოსკოვ-ყაზანის რკინიგზები დონეცის ქვანახშირიდან ნავთზე გადავიდნენ, ნავთის გატანამ წელს მნიშვნელოვნად გაუსწრო შარშანდელს. ნავთის ფასი, წინააღმდეგ ნავთობის მრეწველთა გოდებისა, კი არ კლებულობს, არამედ ძველი რჩება, ვინაიდან წლის განმავლობაში საშუალო ფასი იგივე გამოდის, რაც შარშან იყო (21 კაპიკი). დალოცვილი ჰაბურღილები კი ხშირ-ხშირად აფრქვევენ შადრევნებს და ნავთობის წვიმით აჯილდოებენ ნავთობის მრეწველებს.

ერთი სიტყვით, ნავთობის მრეწველთა «საქმე» გამოკეთების გზაზეა.

ამავე დროს ეკონომიური რეპრესიები არათუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდება. «ფულად ჯილდოებსა» და ბინის ფულის გაცემას აუქმებენ. სამცვლიან მუშაობას (8 საათის მუშაობა) ცვლიან ორცვლიანით (12 საათის მუშაობა), ხოლო საზეგანაკვეთო სანარდო მუშაობა სისტემად შემოაქვთ. სამედიცინო დახმარებასა და სასკოლო ხარჯებს მინიმუმამდე ამცირებენ (პოლიციისათვის კი ნავთობის მრეწველები ყოველწლიურად 600 ათას მანეთზე მეტს ხარჯავენ!). სასადილოები და სახალხო სახლები უკვე ჩამორთმეულია. სასარეწო-საქარხნო კომისიებსა და პროფესიულ კავშირებს სრულებით უგულებელყოფენ, შეგნებულ მუშებს წინანდებურად ითხოვენ. ჯარიმები და ცემა-ტყეპა განაახლეს.

მეფის ხელისუფლების მსახურნი, პოლიცია და ჟანდარმერია, — სრულ სამსახურს უწევენ ნავთობის მეფეებს. ბაქოს ნავთობის რაიონების გავსება ჯაშუშებითა და პროვოკატორებით, მუშების მასობრივი გადასახლება ნავთო-

ბის მრეწველებთან ოდნავი შეხლისათვის, ფაქტიურ «თავისუფლებათა» — ბაქოს პრივილეგიათა — სრული დარღვევა და დაუსრულებელი დაპატიმრება,—ასეთია ადგილობრივი ადმინისტრაციის «კონსტიტუციური» მუშაობის სურათი. ეს გასაგებიც არის: ჯერ ერთი, ამ ადმინისტრაციას «ბუნებით» არ შეუძლია არ ჩაახრჩოს ყოველი, თუნდაც სულ ელემენტარული «თავისუფლება»; მეორეც, იგი მოვალეა ასე მოიქცეს იმიტომაც, რომ ნავთობის მრეწველობას, რომელიც ხაზინას ყოველწლიურად სულ მცირე 40 მილიონ მანეთ «შემოსავალს» აძლევს ფუთობრივი გადასახადისა და სახაზინო ნაკვეთებიდან წილობრივი ანარიცხების, აქციზისა და გადაზიდვის ტარიფის სახით, — «ესაჭიროება» სიმშვიდე, ნავთობის განუწყვეტლივ ამოღება. იმაზე აღარას ვამბობთ, რომ ყოველი შეფერხება ნავთობის მრეწველობაში მძიმე გავლენას ახდენს ცენტრალურ-სამრეწველო რაიონზე, ეს კი, თავის მხრივ, «საქმეს» უწევს წავს მთავრობას. მართალია, ამ ცოტა ხნის წინათ მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა ნავთობის რაიონებში დაეშვა ერთგვარი «თავისუფლება», აწყობდა რა მუშათა და ნავთობის მრეწველთა «თათბირს». მაგრამ ეს წარსულში იყო, როცა კონტრრევოლუციის შანსები ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, — მაშინ მუშებთან ლაქუცის პოლიტიკა ყველაზე უფრო ხელსაყრელი პოლიტიკა იყო. ახლა მდგომარეობა უკვე გამოირკვა, კონტრრევოლუცია «საბოლოოდ» დამკვიდრდა, — და მხეცური რეპრესიების პოლიტიკამ დაიკავა ლაქუცის პოლიტიკის ადგილი, დამრბევმა მარტინოვმა შეცვალა ტკბილმოუბარი ჯუნკოვსკი.

ამავე დროს მუშებს საბოლოოდ უტყდებათ გული ნაწილობრივი გაფიცვების მიზანშეწონილობაზე, ისინი სულ უფრო გადაჭრით ლაპარაკობენ საერთო ეკონომიური გაფიცვის შესახებ. ის ფაქტი, რომ ნავთობის მრეწველთა «საქმე» გამოკეთების გზაზეა, შევიწროება კი მაინც

მატულობს — მუშების უდიდეს აღშფოთებას იწვევს და მათ საბრძოლველად განაწყობს. და რაც უფრო გადაჭრით ართმევენ მუშებს ძველ მონაპოვართ, მით უფრო სრულად მწიფდება მათს გონებაში საერთო გაფიცვის იდეა, მით უფრო მეტი მოუთმენლობით «ელოდებიან» ისინი გაფიცვის «გამოცხადებას».

ორგანიზაციამ მხედველობაში მიიღო როგორც ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა, რომელიც ხელსაყრელია გაფიცვისათვის, ისე მუშების საგაფიცვო განწყობილება და გადაწყვიტა დაიწყოს საერთო გაფიცვისათვის მოსამზადებელი მუშაობა. ამჟამად ბაქოს კომიტეტი მუშაობს მასების გამოკითხვასა და იმ საერთო მოთხოვნათა გამომუშავებაზე, რომლებსაც შეუძლიათ დარაზმონ ნავთობის მრეწველობის მთელი პროლეტარიატი. მოთხოვნები ალბათ ასეთი იქნება: 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, საზეგანაკვეთო და სანარდო სამუშაოთა გაუქმება, სამედიცინო დახმარების გაძლიერება, მუშათა დაბები და ბინის ფული, სახალხო სახლები და სკოლები, კომისიებისა და კავშირების ცნობა. ორგანიზაცია და მისი აღმასრულებელი ორგანო, ბაქოს კომიტეტი, ფიქრობენ, რომ, კონტრრევოლუციის გაძლიერებისა და ნავთობის მრეწველთა მზარდი ორგანიზებულობის მიუხედავად, მუშები შეძლებენ თავისი გაიტანონ, თუ ისინი მტრულ ძალებს დაუპირდაპირებენ თავიანთ კლასობრივ ორგანიზებულობას სასარეწოსაქარხნო კომისიათა გაერთიანების, კავშირთა გაფართოებისა და განმტკიცების, სოციალ-დემოკრატიის გარშემო დარაზმვის სახით. მომენტის შერჩევა დამოკიდებულია მრავალფეროვან პირობებზე, რომელთა წინასწარ გათვალისწინება ძნელია. ჯერჯერობით ერთი რამ არის ცხადი, — რომ გაფიცვა გარდუვალია და საჭიროა ვემზადოთ მისთვის «ერთი წუთის» დაუკარგავად...

სასარეწო თვითმმართველობა

ნავთობის მრეწველობის გამოცოცხლება ერთადერთი მნიშვნელოვანი მოვლენა როდია ბაქოს პროლეტარიატის ცხოვრებაში. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა «საერობო კამპანია», რომელიც ჩვენში ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო. ჩვენ ვლაპარაკობთ სასარეწო თვითმმართველობაზე ბაქოს ნავთობის რაიონებში. განაპირა კუთხეებში ერობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობილ «განზრახულობათა» და კავკასიაში ერობის შემოღების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის სათანადო «ცირკულარის» შემდეგ, ნავთობის მრეწველები სასარეწო თვითმმართველობის პროექტის შემუშავებას შეუდგნენ. პროექტის საფუძვლები, რომლებსაც, უეჭველია, დაამტკიცებს ნავთობის მრეწველთა მორიგი (28-ე) ყრილობა, დაახლოებით ასეთია. სარეწთა რაიონი (ბალახანა, რომანი, საბუნჩი, სურახანა, ბიბი-ეიბათი) გამოიყოფა ქალაქისა და მაზრისაგან განცალკევებულ საერობო ერთეულად, რომელსაც სასარეწო თვითმმართველობა ეწოდება. სასარეწო თვითმმართველობის ფუნქციებია: წყლით მომარაგება, განათება, გზების გაყვანა, ტრამვაი, სამედიცინო დახმარება, სახალხო სახლები, სკოლები, სასაკლაოებისა და აბანოების, მუშათა დაბების მოწყობა და სხვ. თვით თვითმმართველობა ეწყობა საერთოდ 1890 წლის 12 ივნისის «დებულების»[84] ტიპის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ «დებულების» მიხედვით ერობის წევრთა ნახევარი რაოდენობა აუცილებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნას თავადაზნაურობისათვის, აქ კი, ვინაიდან თავადაზნაურობა არ არის (მაზრისაგან სარეწთა რაიონის გამოყოფით ნავთობის მრეწველებმა თავიდან აიცილეს მიწათმფლობელთა უმეტესობის საშიშროება და საკუთარი უმეტესობა შექმნეს), იგივე რაოდენობა უზრუნველყოფილი იქნება არა ყველა, არამედ მხოლოდ 23 მსხვილი

ნავთობის მრეწველისათვის. თვითმმართველობაში 46 ადგილიდან 6 ადგილი ეთმობათ უწყებათა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებს; 4 ადგილი — მუშათა ასიათასიან მოსახლეობას; 18 ადგილი — ყველა გადასახადის ⅔-ის გადამხდელებს, ე. ი. 23 მსხვილ ნავთობის მრეწველს (მთელი ბიუჯეტი დაახლოებით 600 ათასი მანეთია); 9 ადგილი — გადასახადების ⅙-ის გადამხდელებს, ე. ი. 140 — 150 საშუალო ნავთობის მრეწველს, რომლებიც მსხვილებისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან; დანარჩენი 9 ადგილი — წვრილ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიას (დაახლოებით 1 400 კაცი).

როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე არიან, ერთი მხრივ, პრივილეგირებული კაპიტალისტები, მეორე მხრივ — წმინდა სამრეწველო ერობა, რომელიც შრომასა და კაპიტალს შორის მკვეთრ შეტაკებათა ასპარეზს უნდა წარმოადგენდეს.

სწორედ ასეთ ერობას რომ აწყობენ, ნავთობის მრეწველებს სურთ: ჯერ ერთი, თავიანთი «ყრილობის» კულტურულ-სამეურნეო ფუნქციათა მეტი წილი სასარეწო თვითმმართველობას გადააკისრონ და «ყრილობა» წმინდა სინდიკატად გადააქციონ; მეორეც, — სარეწების მუშათა მოსახლეობის საჭიროებისათვის გასაწევ ხარჯებში მონაწილეობა მიაღებინონ დანარჩენ ბურჟუაზიასაც, დამხმარე საწარმოების, საიჯარო ბურღვის მფლობელებს და სხვ. რაც შეეხება ოთხ ხმას მუშებისათვის, რომლებიც «მე-3 სახელმწიფო სათათბიროს დებულების თანახმად» ირჩევენ (მუშათა კურიის რწმუნებულები, ხოლო შემდეგ 4 ამრჩეველი), — ეს არათუ არ წარმოადგენს მსხვერპლს ნავთობის მრეწველთა მხრივ, არამედ ძალიან ხელსაყრელიც კია მათთვის: ოთხი მუშათა ხმა თვითმმართველობის დეკორაციისათვის — ეს ისე «ლიბერალური» და... იაფია, რომ ნავთობის მეფეებს თავისუფლად შეეძლოთ ამაზე დათანხმებულიყვნენ.

მეორე მხრივ, უეჭველია, რომ რამდენადაც სასარეწო თვითმმართველობა ერთ მთელად გააერთიანებს ნავთობის მრეწველ და, ასე ვთქვათ, «დამხმარე» ბურჟუაზიას, იმდენადვე მან უნდა გააერთიანოს ნავთობის მრეწველობისა და დამხმარე საწარმოების მანამდე დაქსაქსული მუშები და შესაძლებლობა მისცეს მათ წამოაყენონ თავიანთი საერთო მოთხოვნები თავიანთი ოთხი წარმომადგენლის მეშვეობით.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ბაქოს კომიტეტმა თავის რეზოლუციაში სასარეწო თვითმმართველობის შესახებ გადაწყვიტა გამოიყენოს პროექტირებული თვითმმართველობა **მასში მონაწილეობის აზრით,** მუშების საერთო-ეკონომიურ საჭიროებათათვის აგიტაციისა და მუშების გაძლიერებული დარაზმვის მიზნით.

შემდეგ, საარჩევნო სისტემის ჩარჩოების გასაფართოებლად და იმის გამო, რომ სასარეწო თვითმმართველობა საერთოდ იმავე საკითხებზე იმუშავებს, რომლებიც მუშებს აღელვებენ და რომლებზეც მუშაობდნენ დღევანდლამდე მოწვეული თათბირები, — უკანასკნელებში კი მუშებს მუდამ ეთმობოდათ ნავთობის მრეწველთა ხმების თანაბარი რაოდენობა — ორგანიზაცია თავის რეზოლუციაში მოითხოვს მუშათა ხმების თანაბარ რაოდენობას თვითმმართველობაში და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვითმმართველობის შიგნით ბრძოლას მხოლოდ იმდენად შეიძლება ჰქონდეს ძალა, რამდენადაც მას ზურგს უმაგრებს თვითმმართველობის გარეთ ბრძოლა და რამდენადაც იგი ამ უკანასკნელის ინტერესებს ემსახურება.

გარდა ამისა, იღებს რა მხედველობაში საგუბერნიო თათბირის გადაწყვეტილებას სასარეწო თვითმმართველობის რაიონიდან სოფლების: ბალახანის, საბუნჩის, რომანის — არსებითად მუშათა დაბების — გამოყოფის შესახებ, რაც არახელსაყრელია მუშებისათვის, ორგანიზაცია მოითხოვს

ამ სოფლების შეტანას სასარეწო თვითმმართველობის რაიონში.

ბოლოს, რეზოლუციის ზოგად ნაწილში, მიუთითებს რა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭისყრაზე, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობათა თავისუფალი განვითარებისა და არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა თავისუფალი გამოვლინების აუცილებელ პირობაზე, ბაქოს კომიტეტი ხაზს უსვამს მეფის ხელისუფლების დამხობისა და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის, როგორც თანმიმდევრულ-დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმმართველობათა შექმნის წინასწარი პირობის, აუცილებლობას...

სასარეწო თვითმმართველობა ჯერჯერობით ჩამოყალიბების სტადიაშია. ნავთობის მრეწველთა კომისიის პროექტი უნდა დაამტკიცოს ნავთობის მრეწველთა ყრილობამ, შემდეგ მეფისნაცვლის კანცელარიის მეშვეობით გადავა შინაგან საქმეთა სამინისტროში, მერე სახელმწიფო სათათბიროში და ა. შ.. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ გადაწყვიტა ახლავე დაიწყოს კამპანია, მოიწვიოს სარეწებსა და ქარხნებში კრებები ნავთობის მრეწველთა მხილების, ფართო მასებში თავისი პლატფორმის პოპულარიზაციის, საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების სასარგებლო აგიტაციის მიზნით. ამავე მიზნით იგი ხელს არ აიღებს როგორც ნავთობის მრეწველთა ყრილობაში «მონაწილეობაზე», ისე სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაზე, რისთვისაც ჩვენს ფრაქციას წინასწარ მიაწვდის საჭირო მასალებს.

ორგანიზაციის მდგომარეობა

სარეწებზე არსებულ ზოგიერთ სპეციფიკურ-ბაქოურ პირობათა გამო (შეკრების ერთგვარი შესაძლებლობა, რაც ჯერ კიდევ მთლიანად არ მოუსპია ადმინისტრაციას; სასარეწო-საქარხნო კომისიების არსებობა), ორგანიზაციის

მდგომარეობა ბაქოში ხელსაყრელად განსხვავდება რუსეთის სხვა ნაწილებში არსებული მდგომარეობისაგან. გარდა ამისა, ეგრეთწოდებულ ლეგალურ შესაძლებლობათა არსებობაც აადვილებს მუშაობას. ამის გამო ორგანიზაციას კავშირურთიერთობაც საკმაოდ ფართო აქვს. მაგრამ კავშირურთიერთობა გამოუყენებელი რჩება ძალებისა და სახსრების ნაკლებობის გამო. საჭიროა სიტყვიერი და, უმთავრესად, ბეჭდვითი აგიტაცია თათრულ, სომხურ და რუსულ ენებზე, მაგრამ სახსრების (და ძალების) ნაკლებობის გამო იძულებული ვართ დავჯერდეთ რუსულ ენას, მაშინ როცა, მაგალითად, მუსლიმან მუშებს უმნიშვნელოვანესი პოსტი უჭირავთ წარმოებაში (ნავთობის სათლებით ამოღება) და რაოდენობრივად ისინი შედარებით მეტი არიან, ვიდრე რუსები ან სომხები. «ბაკინსკი პროლეტარი» (ბაქოს კომიტეტის ორგანო) [85], რომელიც რუსულ ენაზე გამოდის, უკვე 3 თვეა არ გამოსულა უმთავრესად უსახსრობის გამო. თავის უკანასკნელ სხდომაზე ბაქოს კომიტეტმა მიიღო თბილისის კომიტეტის წინადადება — გამოიცეს საერთო ორგანო შეძლებისამებრ ოთხ ან სამ ენაზე (რუსული, თათრული, ქართული, სომხური). წევრი (სიტყვის ზუსტი აზრით) ჩვენს ორგანიზაციას 300-ზე მეტი არა ჰყავს. ამხანაგ მენშევიკებთან (100-მდე წევრი) გაერთიანება ჯერ კიდევ არ გადასულა განხორციელების სფეროში — ჯერჯერობით მხოლოდ სურვილები ჩანს, მარტო სურვილები კი ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრიან გათიშვას. ...პროპაგანდა წარმოებს მხოლოდ უმაღლეს წრეებში, რომლებსაც ჩვენში «გასაუბრება» ეწოდება. სისტემა ლექციურია. იგრძნობა სერიოზული პროპაგანდისტული ლიტერატურის დიდი ნაკლებობა... პარტიულ მასაზე ცუდად მოქმედებს პარტიისაგან მოწყვეტილობა, რუსეთის პარტიული ორგანიზაციების საქმეთა შესახებ ცნობების სრული უქონლობა. საქმეს უშველიდა საერთო-რუსული ორგანო, რეგულარულად

მოწყობილი საერთო-პარტიული კონფერენციები და ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ სისტემატური შემოვლა. ბაქოს კომიტეტის მიერ მიღებულ საერთო-ორგანიზაციული ხასიათის გადაწყვეტილებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი: საერთო-პარტიული კონფერენციისა და საერთო-რუსული ორგანოს შესახებ *. პირველ საკითხზე ბაქოს კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევა მომწიფებული, უმთავრესად ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად. მასთან ერთად ბაქოს კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ბოლშევიკების კონფერენცია უკანასკნელი თვეების მანძილზე ფრაქციის შიგნით შექმნილი არანორმალური მდგომარეობის სალიკვიდაციოდ. მეორე საკითხზე ბაქოს კომიტეტი აღნიშნავს ორგანიზაციების ურთიერთისაგან განცალკევებულობას, ფიქრობს რომ მხოლოდ რუსეთში გამომავალ **საერთო-რუსულ ორგანოს** შეუძლია შეაკავშიროს ერთ მთელად პარტიული ორგანიზაციები და წინადადებით მიმართავს პარტიას ხელი მოჰკიდოს ასეთი გაზეთის შექმნას.

«ლეგალური შესაძლებლობანი»

თუ ჩვენმა ორგანიზაციამ შედარებით ადვილად გაართვა თავი კრიზისს, თუ მას არასოდეს არ შეუწყვეტნია მუშაობა და მუდამ ასე თუ ისე ეხმაურებოდა ყველა სადღეისო საკითხს, — ეს უმთავრესად შედეგი იყო მისი გარემომცველი «ლეგალური შესაძლებლობებისა», რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას. რა თქმა უნდა, «ლეგალურ შესაძლებლობათა» არსებობა თავის მხრივ დამოკი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 209 — 212. **რედ.**

დებულია ნავთობის მრეწველობის განსაკუთრებულ პირობებზე, მის განსაკუთრებულ როლზე საერთო-ნაციონალურ მეურნეობაში, მაგრამ ახლა ამაზე როდია ლაპარაკი... ბაქოში არსებულ «ლეგალურ შესაძლებლობათაგან» განსაკუთრებით საინტერესოა სასარეწო-საქარხნო კომისიები. ამ კომისიებს ირჩევს ამა თუ იმ ფირმის უკლებლივ ყველა მუშა ეროვნებისა და პოლიტიკურ რწმენათა განურჩევლად. ამ კომისიების ფუნქციებია მუშების სახელით მოლაპარაკება ფირმის ადმინისტრაციასთან სასარეწო-საქარხნო ხასიათის საკითხებზე. პირდაპირი აზრით ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ლეგალურ ორგანიზაციებს, მაგრამ არაპირდაპირ და ფაქტიურად ისინი სავსებით ლეგალური არიან, ვინაიდან არსებობენ «დეკემბრის ხელშეკრულების» საფუძველზე, რაც მთლიანად შესულია მუშათა «საანგარიშო წიგნაკებში», რომლებიც ხელისუფლების ნებართვით გამოდის. ჩვენი ორგანიზაციისათვის სასარეწო-საქარხნო კომისიების მნიშვნელობა გასაგებია: მათი საშუალებით ჩვენს ორგანიზაციას შესაძლებლობა ეძლევა ორგანიზებულად მოახდინოს გავლენა ნავთობის მრეწველობის მუშათა მთელ მასაზე, ოღონდ საჭიროა, რომ კომისიები მასის წინაშე იცავდნენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. მართალია, კომისიების მნიშვნელობა ახლა უკვე ისე დიდი არ არის, ვინაიდან მათ ანგარიშს აღარ უწევენ ნავთობის მრეწველები, მაგრამ კომისიებს «ანგარიშს უწევენ» მუშები, ეს კი ჩვენთვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია...

კომისიებს გარდა არსებობენ კიდევ კავშირები, ნამდვილად რომ ვთქვათ, ორი კავშირი: «ნავთობის მრეწველობის მუშებისა» (900-მდე წევრი) და «მექანიკური მუშებისა» (300-მდე წევრი). «ნავთის ამოღების დარგის» კავშირი შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში, ვინაიდან მისი მნიშვნელობა მეტად მცირეა. ჩვენ არაფერს ვამბობთ

კავშირებზე სხვა პროფესიებში, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ნავთობის მრეწველობასთან, აგრეთვე მეზღვაურთა არალეგალურ კავშირზე (200-მდე წევრი), რომელშიც გავლენა აქვთ ესერებს, თუმცა უკანასკნელს კიდევაც აქვს მნიშვნელობა ნავთობის მრეწველობისათვის. ორი დასახელებული კავშირიდან პირველი (ბოლშევიკების გავლენა) განსაკუთრებით პოპულარულია მუშებს შორის. იგი საწარმოო პრინციპის მიხედვით არის აგებული და აერთიანებს ნავთობზე მომუშავე ყველა თანრიგის მუშებს (ამოღების, ბურღვის, მექანიკური, ნავთის გამოხდის დარგის მუშები, შავი მუშები). ორგანიზაციის ასეთი ტიპი ნაკარნახევია ბრძოლის პირობებით, რომლებიც მიზანშეუწონელს ხდიან, მაგალითად, მექანიკური მუშების გაფიცვას ნავთობის ამოღების დარგის მუშებისაგან დამოუკიდებლად და სხვ.. ეს შეიგნეს მუშებმა * და მასობრივად იწყეს «მექანიკური მუშების» კავშირიდან გამოსვლა. საქმე ის არის, რომ «მექანიკური მუშების» კავშირი (მენშევიკების გავლენა), რომელიც პროფესიულ პრინციპზეა აგებული, უარყოფს საწარმოო პრინციპს და წინადადებას იძლევა ერთი საერთო კავშირის ნაცვლად იყოს სამი ცალკე კავშირი (მექანიკური, ამოღების, ნავთობის გადამუშავების დარგის მუშებისა). მაგრამ პროფესიების მიხედვით ორგანიზაციის პრინციპი დიდი ხანია უარყოფილია ბაქოს პრაქტიკით. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება «მექანიკური მუშების» კავშირის პროგრესული დაცემა. თუმცა ეს შეგნებული აქვთ კავშირის ხელმძღვანელებსაც,

* ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია დმიტრიევს, რომელიც თავის წიგნში «პროფესიული მოძრაობის პრაქტიკიდან» «ამტკიცებს» სამი კავშირის საჭიროებას არა ნავთობის მრეწველობის მუშათა ბრძოლის პირობების, არამედ... შრომის ტექნიკის «ანალიზის» საფუძველზე: პროფესიები სხვადასხვაა, ამიტომ კავშირებიც სხვადასხვა უნდა იყოსო...

რომლებიც კავშირის წევრებად არა მექანიკური წარმოების მუშებსაც უშვებენ და ამით თავიანთ საკუთარ პრინციპს არღვევენ. დასახელებული ხელმძღვანელების ყალბი თავმოყვარეობა რომ არა, «მექანიკური მუშების» კავშირი აშკარად ცნობდა თავის შეცდომას და დიდი ხანია შეუერთდებოდა «ნავთობის მრეწველობის მუშათა» კავშირს.

სიტყვამ მოიტანა, და ვიტყვით შეერთების შესახებაც. უკვე ორი წელიწადია წარმოებს «მოლაპარაკება» კავშირების შეერთების შესახებ, მაგრამ ჯერ არავითარი შედეგი არ არის მიღწეული, ვინაიდან: 1) მენშევიკი ხელმძღვანელები შეგნებულად აფერხებენ შეერთებას ბოლშევიკების უმრავლესობაში გათქვეფის შიშით; 2) ფრაქციები, რომელთა გავლენითაც კავშირები მოქმედებენ, ჯერ კიდევ არ გაერთიანებულან. ან ვისთან უნდა გაერთიანდნენ? 80—100 «წევრი», რომლებიც, შეიძლება, ირიცხებიან მენშევიკებთან, ჯერ კიდევ თვითონაც არ არიან გაერთიანებული. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში ჩვენ არ ვიცით მენშევიკური «ხელმძღვანელი კოლექტივის» არც ერთი ფურცელი, არც ერთი გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ნავთობის რაიონებში ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი კამპანიები, როგორიც არის საერთო-საგაფიცვო, საერობო, ალკოჰოლის საწინააღმდეგო და სხვ. მენშევიკების ორგანიზაცია ფაქტიურად არ არსებობს, ლიკვიდირებულია. კაცმა რომ თქვას, არავინ არის, ვისთანაც გაერთიანება შეიძლებოდეს. ასეთი ვითარება კი, ბუნებრივია, აფერხებს კავშირების შეერთების საქმეს...

ორივე კავშირი უპარტიოა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ უმჭიდროესი კავშირი ჰქონდეთ პარტიულ ორგანიზაციასთან.

კავშირების გავლენა მასებზე მცირე როდია, განსაკუთრებით «ნავთობის მრეწველობის მუშათა» კავშირისა. ეს

კი თავისთავად აადვილებს ჩვენი ორგანიზაციის გარშემო ყველაზე ცოცხალი ელემენტების შემჭიდროების საქმეს.

დანარჩენ «ლეგალურ შესაძლებლობათაგან» ყურადღების ღირსია კლუბები (ესდეკების გავლენა) და სამომხმარებლო კოოპერატივი «ტრუდ»[86] (ესერ-ესდეკების გავლენა), როგორც ბაქოს პროლეტარიატის ყველაზე ცოცხალი ელემენტების თავმოყრის ცენტრები. მათს ურთიერთობაზე ორგანიზაციასთან, განსაკუთრებით კლუბისა «ზნანიე — სილა»[87], რომელიც ნავთობის ყველა რაიონში მოქმედებს (კლუბი «ნაუკა» მოქმედებს მხოლოდ ქალაქში), — იგივე შეიძლება ითქვას, რაც კავშირებზე...

უკანასკნელ 2 კვირას წარმოებდა ალკოჰოლის საწინააღმდეგო კამპანია, რომელსაც თითქმის ყველა ლეგალური აპარატის მუშაობა დასჭირდა. ბაქოს კომიტეტის პოზიცია ამ საკითხში გამოხატულია მის რეზოლუციაში. უკანასკნელში ალკოჰოლიზმი განხილულია, როგორც კაპიტალიზმის დროს არსებული აუცილებელი ბოროტება, რომელიც შეიძლება მოისპოს მხოლოდ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ. ამასთან არსებული თვითმპყრობელურ-ბატონყმური წესწყობილება, მუშებსა და გლეხებს რომ უუფლებო მონების მდგომარეობამდე აქვეითებს და მათ რომ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას ართმევს, ამით უდიდესად უწყობს ხელს მშრომელთა ფენებს შორის ლოთობის გავრცელებას. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ «ხელისუფლების» წარმომადგენლები პირდაპირაც აქეზებენ ლოთობას, როგორც ხაზინის შევსების წყაროს. ყოველივე ამის გამო, ბაქოს კომიტეტი ამტკიცებს, რომ ვერც «ლიბერალების» ქადაგება, რომლებიც აწყობენ ყრილობებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და «სიფხიზლის საზოგადოებებს», ვერც ხუცესთა შთაგონება ვერ შეასუსტებს, მით უფრო ვერ მოსპობს, ლოთობას, რომელიც ცხოვრე-

ბის უთანასწორობით არის წარმოშობილი და თვითმპყრობელური წყობილებით გაძლიერებული. კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში შესაძლებელი და საჭიროა მხოლოდ ისეთი ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს არა ლოთობის მოსპობას, არამედ მის დაყვანას მინიმუმამდე. მაგრამ ასეთი ბრძოლის წარმატებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მეფის ხელისუფლების დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვება, რაც შესაძლებელს ხდის კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას და ქალაქად და სოფლად პროლეტარიატის დარაზმვას, მისი კულტურული დონის ამაღლებას და მისი ძალების ფართოდ მომზადებას სოციალიზმისათვის დიადი ბრძოლის საწარმოებლად. ბაქოს კომიტეტი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მომავალ ყრილობას [88] განიხილავს, როგორც რუსეთის პროლეტარიატის დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობისათვის აგიტაციის საშუალებას, და წინადადებას აძლევს ჩვენს დელეგატს — იბრძოლოს ყრილობის ოპორტუნისტი წევრების წინააღმდეგ, რომლებიც ჩქმალავენ პროლეტარიატის კლასობრივ ამოცანებს...

20 დეკემბერი.

ბირველად დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 11, 1910 წ. 13 (26) თებერვალს. ხელმოწერა: კ. ს.

თჱვი «ლეგალური შესაძლებლობანი» დაწერილია 1909 წ. 20 დეკემბერს. ხელმოწერა: კ. ს ტ ე ფ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით. თავი «ლეგალური შესაძლებლობანი» იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

II

თბილისი

მრეწველობის განვითარების მხრივ თბილისი ბაქოს პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. თუ ბაქო საინტერესოა როგორც ნავთობის მრეწველობის ცენტრი, თბილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და «კულტურული» ცენტრი. თბილისში სულ 20 ათასამდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები. ერთადერთი დიდი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3 500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თითოში 200, 100, მეტწილად კი 40 — 20 კაცია. სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ სავსეა სავაჭრო დაწესებულებებით და მათთან დაკავშირებული «სავაჭრო პროლეტარიატით». რუსეთის მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი დიდი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უმოძრაობის დაღს ასვამს. ის გარემოება კი, რომ აქ ადგილი არა აქვს მწვავე კლასობრივ შეჯახებებს, რაც მხოლოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრების დამახასიათებელია, თბილისს იმ ჭაობს ამსგავსებს, რომელიც ბიძგს გარედან ელოდება. სწორედ ამით

აიხსნება, რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა «მემარჯვენე» მენშევიზმმა, ასე დიდხანს გაძლო თბილისში. სულ სხვაა ბაქო, სადაც ბოლშევიკების მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ცხოველ გამოხმაურებას პოულობს მუშებს შორის!

ის, რაც ბაქოში «თავისთავად ცხადია», თბილისში ცხადი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად, — ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს დიდი სიძნელით ინელებენ. სწორედ ამით აიხსნება თბილისელი ბოლშევიკების «განსაკუთრებული მიდრეკილება» დისკუსიებისადმი და, პირიქით, მენშევიკების სურვილი — შეძლებისამებრ «თავიდან აიცილონ» დისკუსიები. მაგრამ ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მიერ თბილისის პროლეტარიატის სოციალისტური განათლებისათვის წარმოებული მუშაობა ძალიან ხშირად და გარდუვალად მიიღებს მენშევიზმთან იდეური ბრძოლის ფორმას. ამის გამო განსაკუთრებული ინტერესი ენიჭება იმ იდეური ატმოსფეროს თუნდაც გაკვრითს ანალიზს, რომელთანაც უწინარეს ყოვლისა გვიხდება ბრძოლა და რომელსაც ქმნიან თბილისელი მენშევიკები, ჯერ კიდევ რომ სჭარბობენ თბილისში. ეს ატმოსფერო შეიძლება დავახასიათოთ როგორც ლიკვიდატორული, ლიკვიდატორული არა მარტო ორგანიზაციული აზრით, არამედ ტაქტიკური აზრითაც და პროგრამული აზრითაც. სწორედ ამ ატმოსფეროს დახასიათებით დავიწყებთ თბილისში პარტიულ საქმეთა მდგომარეობის ჩვენს გაკვრითს ნარკვევს.

პროგრამული ლიკვიდატორობა

ორგანო, რომელშიც ასახულია მენშევიკების «საზოგადოებრივი აზრი», არის ქართული მენშევიკური პრესა. თბილისელი მენშევიკების კრედო გამოხატულია სტატიებში

«საჭირ-ბოროტო კითხვები» (იხ. «აზრისა» და «დასაწყისის» [89] №№). ამ სტატიების ავტორია უაღრესად გავლენიანი თბილისელი მენშევიკი ამხ. **ანი** [90].

გადავიდეთ ამ სტატიების შინაარსის გადმოცემაზე, რომლებიც იდეურად ამზადებდნენ ლიკვიდატორობას თბილისში.

აღნიშნულ სტატიებში ავტორი იწყებს «ყველა ფასეულობის გადაფასებას» და იმ დასკვნამდე მიდის, რომ პარტია (განსაკუთრებით ბოლშევიკები) ცდებოდა თავის ზოგიერთ პროგრამულ, განსაკუთრებით კი ტაქტიკურ დებულებებში. ავტორის აზრით, საჭიროა «პარტიული ტაქტიკის ერთიანად გამოცვლა», რათა შესაძლებელი გავხადოთ «ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა შეერთება» — რევოლუციის გამარჯვების ერთადერთი საწინდარი. თუმცა, ვალაპარაკოთ თვით ავტორი.

«ბოლშევიკები ამტკიცებდენ, — ამბობს ავტორი, — რომ მან (პროლეტარიატმა) თავისი პროგრამის მთელი მინიმუმი უნდა განახორციელოსო (ბურჟუაზიულ რევოლუციაში). მაგრამ ამ მინიმუმის სოციალური ნაწილის განხორციელება ხომ ბურჟუაზიის წარმოების შებორკვაა, რაიცა გამოიწვევს მთელ ბურჟუაზიის პროტესტს და დიდი კონტრრევოლიუციის დაწყებას... აბა ვინ იტყვის იმას, რომ რვა საათის სამუშაო დღე რუსეთის დღევანდელი, განუვითარებელი ბურჟუაზიის ინტერესებს ეთანხმებაო?» ცხადია, რომ «ბოლშევიკთა პროგრამა-მინიმუმის განხორციელება უბრალო დეკლამაციაა» (იხ. «აზრი» № 17, 1908 წ. თებერვალი).

რა თქმა უნდა, მთელი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაზე მარტო ბოლშევიკები კი არ ლაპარაკობდნენ, და არავითარი ბოლშევიკური პროგრამა-მინიმუმი ისტორიამ არ იცის, გარდა საერთო-პარტიულისა, — მაგრამ ამ შემთხვევაში ეს როდია საინტერესო. მნიშვნელოვანია ის, რომ «ბურჟუაზიის განუვითარებლობისა» და აქედან გამომდინარე კონტრრევოლუციური საშიშროების გამო

ჩვენი ავტორი ილაშქრებს პროგრამის «სოციალური ნაწილის», როგორც «უბრალო დეკლამაციის», წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ჩანს, უნდა ამოიშალოს.

მრეწველობის ნამდვილი მდგომარეობის ვერავითარ ანალიზს (ამხ. **ანი**, ცხადია, არასწორ გამოთქმას ხმარობს, მრეწველობის ჩამორჩენილობას «ბურჟუაზიის განუვითარებლობას» რომ უწოდებს. — **კ. სტ.**), ვერავითარ ციფრებს, ვერავითარ რამდენადმე სერიოზულ ცნობებს ვერ უპოვნით ამხ. **ანს.** იგი პირდაპირ ემყარება იმ მშრალ დებულებას, რომ ბურჟუაზია არ შეიწყნარებს 8-საათიანი სამუშაო დღის განხორციელებას, მაშინ როდესაც «პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ძალთა შეუერთებლად» რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია, — მაშასადამე, ძირს პროგრამის «სოციალური ნაწილი»...

ჩვენ არ შევუდგებით ავტორის მტკიცებათა უაზრობის დასაბუთებას, იმ მტკიცებათა, რომლებსაც სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ წარამარა მიმართავენ ჩვენი დროის ლიბერალები. ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია მათი ციტირება, რომ ერთბაშად გავარკვიოთ თბილისელი მენშევიკების ფიზიონომია...

მაგრამ ჩვენი ავტორი პროგრამის მარტო «სოციალური ნაწილის» წინააღმდეგ კი არ ამხედრებულა. იგი ასევე არ წყალობს მის პოლიტიკურ ნაწილსაც, თუმცა არც ისე პირდაპირ და აშკარად. მოვუსმინოთ მას:

«მარტო პროლეტარიატის ან მარტო ბურჟუაზიის * ბრძოლა ვერასოდეს ვერ გასტეხს რეაქციას... ცხადია, მათი ძალების შეერთება, ასეთი თუ ისეთი კომბინაცია და ერთი მიზნისაკენ მიმართვა — რეაქციის **ერთათ ერთი** (ხაზგასმა ჩვენია) გამტეხია»... «რეაქციის გატეხა, კონსტიტუციის მოპოვება და გატარება დამოკიდებული იქნება პრო-

---

* «ბურჟუაზიად» ავტორი ყველგან გულისხმობს «საშუალო» ლიბერალურ ბურჟუაზიას, «რომლის იდეოლოგებიც კადეტები არიან». — **კ. სტ.**

ლეტარიატის და ბურჟუაზიის ძალთა შეგნებულათ შეერთებაზე და საერთო მიზნისაკენ მიმართვაზე»... ამასთან «პროლეტარიატმა ისე უნდა იაროს... რომ მან თავისი შეურიგებლობით არ შეასუსტოს საერთო მოძრაობა». მაგრამ ვინაიდან «ბურჟუაზიის უახლოესი მოთხოვნილება შეიძლება იყოს მხოლოთ ზომიერი კონსტიტუცია», ცხადია, რომ პროლეტარიატის მოვალეობაა უკუაგდოს თავისი «რადიკალური კონსტიტუცია», თუ არ უნდა «თავისი შეურიგებლობით შეასუსტოს საერთო მოძრაობა» და ჩაჰფუშოს «ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ძალთა შეგნებულად მიმართვა საერთო მიზნისაკენ», ერთი სიტყვით, თუ არ უნდა მოამზადოს კონტრრევოლუციის გამარჯვება (იხ. «დასაწყისი» № 4, 1908 წ.).

დასკვნა ნათელია: ძირს დემოკრატიული რესპუბლიკა, გაუმარჯოს «საერთო მოძრაობას» და... «ზომიერ კონსტიტუციას», რა თქმა უნდა, რევოლუციის «გამარჯვებისათვის»...

ჩვენს წინაშეა, როგორც ხედავთ, ცუდი გადმოცემა ყოფილ ს.-დ. ვასილიევის ცნობილი სტატიისა 1906 წლის «ტოვარიშჩში» «კლასების გაერთიანებაზე», პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების დროებით დავიწყებაზე, დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნის მოხსნაზე და სხვ. განსხვავება ის არის, რომ ვასილიევი ლაპარაკობდა პირდაპირ, ნათლად, ამბ. **ანს** კი რცხვენია საკმაოდ ნათლად ლაპარაკისა.

ამჟამად არც დრო გვაქვს, არც სურვილი — გავარჩიოთ მთელი ეს ლიბერალური ტიტინი, რომელიც ძირითადად უკვე დიდი ხანია გარჩეული და შეფასებულია რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. ჩვენ მხოლოდ გვსურს საგნებს საკუთარი სახელები ვუწოდოთ: ჩვენი ავტორის პროგრამული ვარჯიში, რაც თბილისელმა მენშევიკებმა «ახალ» ფრაქციულ მანიფესტად მიიღეს, არის ლიკვიდაცია პარტიის პროგრამა-მინიმუმისა, ლიკვიდაცია, რომელიც მოითხოვს ჩვენი პროგრამის შეგუებას კადეტების პროგრამასთან.

თბილისელი მენშევიკების «ახალი» პროგრამიდან მაოს «ახალ ტაქტიკაზე» გადავიდეთ.

ტაქტიკური ლიკვიდატორობა

ამხ. **ანი** განსაკუთრებით უკმაყოფილოა პარტიის ტაქტიკით, რომელიც, მისი აზრით, საჭიროა «ერთიანად გამოიცვალოს» (იხ. «დასაწყისი» № 4). ამიტომ თავისი სტატიების მეტ წილს იგი ამ ტაქტიკის კრიტიკას უძღვნის. ის განსაკუთრებით ესხმის თავს ცნობილს «პლეხანოვის ფორმულას» («რევოლუცია რუსეთში გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან სრულებით ვერ გაიმარჯვებს»[91]), აიგივებს მას დებულებასთან პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ და წყვეტს, რომ ეს ფორმულა ვერ უძლებს კრიტიკას. იგი წინადადებას იძლევა — ეს «ფორმულა» შეიცვალოს «ახალი» (ძველი!) დებულებით «ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა შეერთების» შესახებ «საერთო მოძრაობისათვის»... «საერთო მიზნისაკენ». მოისმინეთ:

«ბურჟუაზიული რევოლიუციის პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელობა ვერ მართლდება ვერც მარქსისტული თეორიით და ვერც ისტორიული ფაქტებით».

თეორიის დამოწმება:

«პროლეტარიატი ვერ იქნება თავის მტერთა წყობილების თავის ხელით შემომღები. მაშასადამე, ბურჟუაზიული რევოლიუციის პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელობა შეუძლებელია».

ისტორიული ფაქტების დამოწმება:

«ჩვენი რევოლიუცია იყო იმავე დროს ჩვენი მუშათა მოძრაობა. მიუხედავათ ამისა, რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა. ცხადია, პლეხანოვის ფორმულა არ გამართლდა» (იხ. «აზრი» № 17).

მოკლედ და ნათლად არის ნათქვამი. ისღა დაგვრჩენია, რომ შევიბრალოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატია,

რომელმაც ჯერ კიდევ თავის მისასალმებელ წერილში ლონდონის ყრილობისადმი აღიარა (ალბათ, მოუფიქრებლობით!), რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ჩვენს რევოლუციაში სავსებით მართლდება როგორც «მარქსის თეორიით», ისე «ისტორიული ფაქტებითაც». ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ჩვენს (უბედურ!) პარტიაზე...

მერე რით სცვლის ჩვენი ავტორი პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს, სამაგიეროდ რას გვთავაზობს?

«მარტო პროლეტარიატის, — ამბობს **ამხ. ანი**, — ან მარტო ბურჟუაზიის ბრძოლა ვერასოდეს ვერ გასტეხს რეაქციას... ცხადია, მათი ძალების შეერთება, ასეთი თუ ისეთი კომბინაცია და ერთი მიზნისაკენ მიმართვა — რეაქციის ერთათ ერთი გამტეხია». ამასთან «პროლეტარიატმა ისე უნდა იაროს... რომ მან თავისი შეურიგებლობით არ შეასუსტოს საერთო მოძრაობა»... (იხ. «დასაწყისი» № 4). ვინაიდან, გვარწმუნებს ავტორი, «რამდენათ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის კლასთა ბრძოლა **ნაკლებია**, იმდენათ ბურჟუაზიული რევოლიუცია **ძლევა-მოსილია** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია. — კ. სტ.), სხვა თანასწორ პირობაში, რასაკვირველია» (იხ. «აზრი» № 15).

რა «სხვა თანასწორ პირობაზე» ლაპარაკობს ავტორი — ალაჰმა უწყის. ცხადია მხოლოდ ერთი რამ, — რომ იგი ქადაგებს კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას... რევოლუციის სასარგებლოდ. მთელი ჩვენი რევოლუციის გამოცდილებით დადასტურებული ის დებულება, რომ ამ რევოლუციის გამარჯვება მით უფრო სრული იქნება, რაც უფრო მეტად დაემყარება რევოლუცია პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, პროლეტარიატისა, რომელიც მიუძღვის სოფლის ღარიბ მოსახლეობას მემამულეებისა და ლიბერალი ბურჟუების წინააღმდეგ, — ეს დებულება ჩვენი ავტორისათვის ცხრაკლიტულის საიდუმლოებად დარჩა. «პროლეტარიატის ძალთა შეერთება ბურჟუაზიის ძალებთან» — აი რაში პოულობს **ამხ. ანი** რევოლუციის გამარჯვების ერთადერთ საწინდარს.

მაგრამ ეს რა ბურჟუაზიაა, რომელზეც ჩვენი ავტორი ასეთ დიდ იმედს ამყარებს? მოუსმინეთ:

«რეაქციონერები, — ამბობს ჩვენი ავტორი, — განსაკუთრებით ებრძვიან კადეტთა პარტიას... ვინაიდან... რუსეთის მომავალი ბატონი სწორეთ იმ საშუალო კლასმა უნდა მოგვცეს, რომლის იდეოლოგიას კადეტები ხატავენ. რეაქციონერებისათვის სახელმწიფო ძალის წართმევა შეუძლია მხოლოდ ბატონობისათვის მომწყინებულ საშუალო ბურჟუაზიას, ეს კლასია მათი პირდაპირი კონკურენტი და ამიტომ მათ ყველაზე უფრო მისი ეშინიათ». საერთოდ «ყველა რევოლიუციაში რეაქციონურ წოდებას **ზომიერი** ბურჟუაზიის უფრო ეშინოდა, ვინემ რევოლიუციონერების. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ეს კლასია ძველი რეჟიმისაგან მართველობის მიმღები, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიეთ. მაშასადამე, ის არის მოწოდებული თავისი **ზომიერი** კონსტიტუციით ახალი წყობილება დიდი უმრავლესობისათვის ასატანელი გახადოს და ისე რეაქციონერთ ნიადაგი გამოაცალოს» (იხ. «აზრი» № 24). მაგრამ ვინაიდან «უპროლეტარიატოთ ბურჟუაზიას ვერ შეეძლება ახალი წყობილების დამყარება», ამიტომ «პროლეტარიატს მოუხდება მხარის დაჭერა ბურჟუაზიული ოპოზიციისათვის» (იხ. «დასაწყისი» № 4).

ამრიგად, «ზომიერი» კადეტური ბურჟუაზია მისი «ზომიერი» მონარჩისტული კონსტიტუციით — აი, თურმე, ვინ იხსნის ჩვენს რევოლუციას.

ხოლო გლეხობა, როგორია მისი როლი რევოლუციაში?

«მართალია, — ამბობს ჩვენი ავტორი, — მოძრაობაში ჩაერევა გლეხობა და მას მისცემს სტიქიურ ხასიათს, მარა გადამწყვეტი როლი კი მაინც ამ ორ თანამედროვე კლასს ექნება»: ზომიერ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს (იხ. «დასაწყისი» № 4).

მაშასადამე, არ უნდა გვქონდეს, თურმე, გლეხობის დიდი იმედი.

ახლა ყველაფერი ნათელია. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა ზომიერი კადეტური ბურჟუაზია ზომიერი კონსტიტუციით. მაგრამ მარტო იგი ვერ გაიმარჯვებს, მას პროლეტარიატის დახმარება ესაჭიროება. მას პროლეტა-

რიატი უნდა დაეხმაროს, ვინაიდან პროლეტარიატს არავისი იმედი არ უნდა ჰქონდეს, თვით გლეხობისაც კი, გარდა ზომიერი ბურჟუაზიისა. მაგრამ ამისთვის მან უნდა უკუაგდოს თავისი შეურიგებლობა, ხელი გაუწოდოს ზომიერ ბურჟუაზიას და დაიწყოს საერთო ბრძოლა ზომიერი კადეტური კონსტიტუციისათვის. დანარჩენი თავისთავად მოეწყობა. პარტია, რომელიც რევოლუციის გამარჯვების საწინდარს ზომიერი ბურჟუაზიისა და ბატონყმობის დამცველთა წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ბრძოლაში ხედავს, — ცდება.

ერთი სიტყვით, ნაცვლად გლეხების გამძღოლი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა — ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის თვალისამხვევი კადეტური ბურჟუაზიისა.

ასეთია თბილისელი მენშევიკების «ახალი» ტაქტიკა.

ჩვენი აზრით, არც კია საჭირო მთელი ამ უხამს-ლიბერალური ნაჩმახის გარჩევა. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ თბილისელი მენშევიკების «ახალი» ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციით დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად.

პირველად დაიბეჭდა
«დისკუსსიონნი ლისტოკში»
(გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
დამატება) № 2, 1910 წ.
25 მაისს (7 ივნისს).

ხელმოწერა: კ. ს ტ.

ბაქოს კომიტეტის მიერ 1910 წლის 22 იანვარს მიღებული რეზოლუციები

(მომავალი საერთო-პარტიული კონფერენციისათვის)

I

პოლიტიკური აგიტაციისა და პარტიის ფაქტიური დარაზმვის შესახებ

დაძაბუნებისა და გარინდების მდგომარეობა, რამაც ერთ დროს მოიცვა რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები, თანდათანობით ქრება.

მეფის ხელისუფლების პოლიტიკის ჩაფუშვა ბალკანეთში, სპარსეთსა და შორეულ აღმოსავლეთში; მთავრობის სასაცილო ცდა — დაამშვიდოს გლეხები 9 ნოემბრის კანონის[92] შემწეობით, რომელიც ღარიბებს უმიწოდ ტოვებს და მდიდრებს ამდიდრებს; სრული არადამაკმაყოფილებლობა მთავრობის «მუშათა პოლიტიკისა», რომელიც მუშებს ელემენტარულ თავისუფლებებს ართმევს და მათ კაპიტალის ონავართა მსხვერპლად ხდის; ხაზინის მზარდი დავალიანება და რუსეთის ნაწილობრივ მიყიდვა უცხოეთის კაპიტალისათვის; ადმინისტრაციული აპარატების სრული რღვევა, რაც გამოიხატა ინტენდანტებისა და რკინიგზელ მოსაქმეთა ქურდობით, სამძებრო პოლიციების შანტაჟით, დამცველ განყოფილებათა თაღლითობით და სხვ., — ყოველივე ეს, ნათელყოფს რა მასებისათვის, რომ კონტრრევოლუციას უნარი არ შესწევს ბოლო მოუღოს რევოლუციის მთვლემარე ძალებს, ხელს უწყობს მუშების გამოცოცხლებას, რაც მათ უკანასკნელ თვეებში ემჩნევათ, უღვიძებს მათ ინტერესს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური

ცხოვრებისადმი, ბადებს კითხვებს: რა ვაკეთოთ, საით წავიდეთ და სხვ.?

პარტიის წინაშე დგება მწვავე საკითხი ფართო პოლიტიკური პარტიული აგიტაციის საჭიროებისა. ხოლო ცდები მოლიბერალო კონტრრევოლუციონერებისა, რომლებიც პრესის თავისუფლებით სარგებლობენ, — მოათვინიერონ მასები ლეგალური «ყრილობებისა» და «საზოგადოებების» გზით და ძირი გამოუთხარონ მათ შორის სოციალ-დემოკრატიის გავლენას, — ეს ცდები პარტიულ-პოლიტიკური აგიტაციის საჭიროების საკითხს პარტიის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდიან.

ამავე დროს ჩვენი ორგანიზაციების ურთიერთისაგან მოწყვეტილობა და ისეთი (ხელმძღვანელი) პრაქტიკული ცენტრის არარსებობა, რომელიც რეგულარულად იმოქმედებდა რუსეთში და ნამდვილად გააერთიანებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს მთლიან პარტიად, გამორიცხავს ნამდვილად პარტიული (და არა კუსტარულ-ჯგუფური) პოლიტიკური აგიტაციის განხორციელების შესაძლებლობას, შეუძლებელს ხდის პარტიისათვის რაიმე სერიოზული დაუპირდაპიროს «ლიბერალების» მხრივ სისტემატურ დევნას და ამით ამცირებს პარტიას მუშების თვალში.

აღარას ვამბობთ იმაზე, რომ საქმის ასეთმა ვითარებამ, ნაცვლად იმისა, რომ გამოგვაყენებინოს «ლეგალური შესაძლებლობანი», შეიძლება გამოიწვიოს დაქსაქსულ და ამიტომ სუსტ არალეგალურ ორგანიზაციათა სავსებით ნამდვილი გამოყენება «ლეგალური შესაძლებლობების» მიერ, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიის ინტერესების საზიანოდ.

ყოველივე ამის გამო, ბაქოს კომიტეტს მორიგ და გადაუდებელ საკითხად მიაჩნია ისეთ ღონისძიებათა შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პარტიის ფაქტიურ დარაზმვას

და, მაშასადამე, პარტიულ-პოლიტიკური აგიტაციის განხორციელებასაც.

ბაქოს კომიტეტი თვლის, რომ მთელ რიგ საჭირო ღონისძიებათა შორის მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს:

1) (ხელმძღვანელი) პრაქტიკული ცენტრის რუსეთში გადატანამ;

2) ადგილებთან დაკავშირებული საერთო-რუსული ხელმძღვანელი გაზეთის შექმნამ, რომელიც რუსეთში გამოიცემა აღნიშნული პრაქტიკული ცენტრის რედაქტორობით;

3) მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში პრესის ადგილობრივი ორგანოების შექმნამ (ურალი, დონეცის აუზი, პეტერბურგი, მოსკოვი, ბაქო და სხვ.).

ბაქოს კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება სოციალ-დემოკრატიულ პარტიად დაარაზმავდა ყველა ნამდვილად პარტიულ ელემენტებს ფრაქციების განურჩევლად, შექმნიდა ფართო პოლიტიკური აგიტაციის შესაძლებლობას და დიდად გააადვილებდა ჩვენი პარტიის გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით «ლეგალურ შესაძლებლობათა» ფართოდ გამოყენების საქმეს.

ამიტომ ბაქოს კომიტეტი წინადადებით მიმართავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს — დაუყოვნებლივ მოიწვიოს საერთო-პარტიული კონფერენცია, რომლის განსახილველადაც აყენებს ზემოაღნიშნულ საკითხებს.

II

მომავალ საერთო-პარტიულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის შესახებ

ბაქოს კომიტეტმა განიხილა საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის ორგანიზაციული გეგმა («მორიგი ამოცანა», «პროლეტარი» № 50) და თვლის, რომ მონაწილეობის

მისაღებად მიწვეულ უნდა იქნან (გარდა დაწესებული წარმომადგენლობისა) მოქმედი და ნამდვილად არსებული პარტიული არალეგალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დიდ ცენტრებს, სადაც თავმოყრილი არიან პროლეტარიატის უდიდესი მასები.

ასეთი წარმომადგენლობის საჭიროების დასაბუთება ზედმეტია (იხ. სპეციალური რეზოლუცია კონფერენციის დღის წესრიგის საკითხზე).

ბაქოს კომიტეტი აღიარებს კონფერენციის გაფართოებული შემადგენლობის საჭიროებას, მაგრამ ამასთანავე გადაჭრით წინააღმდეგია ლეგალურ «ორგანიზაციებში» მომუშავე ჯგუფების განსაკუთრებული წარმომადგენლობისა.

ბაქოს კომიტეტი თვლის, რომ ასეთი ჯგუფების განსაკუთრებული წარმომადგენლობა არსებითს არაფერს შეიტანს კონფერენციის მუშაობაში, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში შედის და მის ხელმძღვანელობას ემორჩილება, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა ჯგუფი მხოლოდ თვლის თავს სოციალ-დემოკრატიულად, — მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არა ცნობს. პირველ შემთხვევაში პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლობა ზედმეტს ხდის ყოველივე სხვა, განსაკუთრებული წარმომადგენლობის საჭიროებას. მეორე შემთხვევაში განსაკუთრებული წარმომადგენლობა ეწინააღმდეგება კონფერენციის თვით ხასიათს, ვინაიდან კონფერენცია უთუოდ პარტიული უნდა იყოს.

გამოცემულია ცალკე ფურცლად. იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით.

ავგუსტ ბებელი,
გერმანიის მუშების ბელადი

ვინ არ იცნობს ბებელს, გერმანიის მუშების მხცოვან ბელადს, ოდესღაც «უბრალო» ხარატს, ახლა კი განთქმულ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის კრიტიკის წინაშე, როგორც უროს დარტყმის წინაშე, არა ერთხელ დაუხევიათ უკან «გვირგვინოსნებს», პატენტიან მეცნიერებს, რომლის სიტყვას, როგორც წინასწარმეტყველის სიტყვას, ყურს უგდებს გერმანიის მრავალმილიონიანი პროლეტარიატი?

ამა წლის 22 თებერვალს მას 70 წელი შეუსრულდა.

ამ დღეს მთელი გერმანიის მებრძოლმა პროლეტარიატმა, სოციალისტთა ინტერნაციონალურმა ბიურომ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის დარაზმულმა მუშებმა ზეიმით იდღესასწაულეს მოხუცი ბებელის 70 წლის იუბილე.

რით დაიმსახურა ბებელმა ასეთი პატივი, რა გააკეთა მან პროლეტარიატისათვის?

როგორ დაწინაურდა ბებელი მუშათა ქვედა ფენიდან, როგორ გადაიქცა «უბრალო» ხარატიდან მსოფლიო პროლეტარიატის დიდ მებრძოლად?

როგორია მისი ცხოვრების გზა?

ბებელმა ბავშვობა სიღატაკესა და გაჭირვებაში გაატარა. უკვე სამი წლისამ დაკარგა მან მარჩენალი მამა, ღარიბი, ჭლექიანი უნტერ-ოფიცერი. ბავშვებისათვის სხვა

მარჩენალი რომ გაეჩინა, ბებელის დედა მეორედ გათხოვდა, ამჯერად ციხის ზედამხედველზე. დედა ბავშვებიანად ყაზარმიდან, სადაც მანამდე ცხოვრობდა, ციხის შენობაში გადავიდა.

მაგრამ 3 წლის შემდეგ მეორე ქმარიც გარდაეცვალა. უმარჩენლოდ დარჩენილი ოჯახი მიდის სამშობლოში, მიყრუებულ პროვინციაში, სადაც სანახევროდ შიმშილობს. ბებელს, როგორც ღარიბს, იღებენ «ღარიბთა სკოლაში», რომელსაც იგი წარმატებით ამთავრებს 14 წლისა. მაგრამ სკოლის დამთავრებამდე ერთი წლის წინ მას ახალი უბედურება ეწია — იგი კარგავს დედას — თავის უკანასკნელ დასაყრდენს. დედ-მამით ობოლი, თავის ამარა მიტოვებული ბებელი, რომელსაც შესაძლებლობა აღარ ჰქონდა გაგრძელებინა სწავლა, შეგირდად მიებარა ნაცნობ ხარატს.

იწყება ერთფეროვანი, კატორღული ცხოვრება. დილის ხუთი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე ბებელი სახელოსნოშია. მის ცხოვრებაში ერთგვარი სიხალისე შეაქვს წიგნებს, რომელთა კითხვას იგი მთელ თავისუფალ დროს ანდომებს. ამისთვის ის ეწერება ბიბლიოთეკაში იმ 5 — 6 კაპიკით, რასაც ყოველკვირეულად იმით შოულობდა, რომ თავის დიასახლისს ყოველ დილით, მუშაობის დაწყებამდე, წყალს უზიდავდა.

ჩანს, სიღატაკესა და გაჭირვებას არათუ ვერ დაუძაბუნებია ჭაბუკი ბებელი, არათუ ვერ ჩაუკლავს მასში სინათლისაკენ სწრაფვა, — პირიქით, უფრო გამოუწრთვია მისი ნებისყოფა, გაუძლიერებია ცოდნის წყურვილი, აღუძრავს მისთვის კითხვები, რომელთა პასუხს იგი ხარბად ეძებდა წიგნებში.

ასე იბრძმედებოდა, გაჭირვებასთან ბრძოლაში, პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მომავალი დაუღალავი მებრძოლი.

18 წლის ბებელი ამთავრებს შეგირდობის ვადას და იწყებს ცხოვრებას როგორც დამოუკიდებელი ხარატი. 20 წლისა იგი უკვე ესწრება მუშათა კრებას ლაიპციგში და ისმენს სოციალისტი მუშების სიტყვებს. ეს პირველი კრება იყო, სადაც ბებელი პირისპირ შეხვდა ორატორ მუშებს. ბებელი ჯერ კიდევ არ იყო სოციალისტი, იგი ლიბერალებს თანაუგრძნობდა, მაგრამ მას გულწრფელად ახარებს მუშების დამოუკიდებელი გამოსვლა, შენატრის მათ — მას უღვივდება სურვილი — გახდეს ისეთივე ორატორი მუშა, როგორიც ისინი არიან.

ამ დროიდან ბებელისათვის იწყება ახალი ცხოვრება — მას უკვე აქვს გარკვეული გზა. ბებელი შედის მუშათა ორგანიზაციებში და გაძლიერებით მუშაობს იქ. მალე იგი გავლენიანი ხდება, მას ირჩევენ მუშათა პროფესიული კავშირების კომიტეტში. კავშირებში მუშაობის დროს იგი ებრძვის სოციალისტებს, მოქმედებს ლიბერალებთან ერთად, მაგრამ სოციალისტებთან ბრძოლისას იგი თანდათანობით რწმუნდება მათს სიმართლეში.

26 წლისა იგი უკვე სოციალ-დემოკრატია. ბებელი ისე სწრაფად ხდება ცნობილი, რომ ერთი წლის შემდეგ (1867 წ.) მას ირჩევენ კავშირების კომიტეტის თავმჯდომარედ და მუშათა პირველ დეპუტატად პარლამენტში.

ამრიგად, ბებელი იბრძვის და იმარჯვებს, თანდათანობით ძლევს დაბრკოლებებს თავის გარშემო, — ბოლოს კი წინაურდება მუშათა ქვედა ფენიდან და ხდება გერმანიის ბებრძოლი მუშების ბელადი.

ამ დროიდან ბებელი უკვე აშკარად გამოდის სოციალ-დემოკრატიის მხარეზე. მისი უახლოესი მიზანია ომი ლიბერალებთან, მუშების განთავისუფლება მათი გავლენისაგან, მუშების გაერთიანება თავიანთ მუშურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად.

თავის მიზანს ბებელი აღწევს მომდევნო, 1868 წელს, ნიურნბერგის ყრილობაზე. ამ ყრილობაზე ბებელის მოხერხებულმა ულმობელმა იერიშმა ის გამოიწვია, რომ ლიბერალებმა სრული მარცხი განიცადეს, ხოლო ლიბერალიზმის ნანგრევებზე წარმოიშვა გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

მუშების განთავისუფლება თვით მუშებისავე საქმე შეიძლება იყოს, ამბობდა ბებელი ყრილობაზე, ამიტომ მუშებმა კავშირი უნდა გაწყვიტონ ბურჟუაზიულ ლიბერალებთან და გაერთიანდნენ საკუთარ მუშათა პარტიადო, — და ყრილობის დიდი უმრავლესობა, ერთი მუჭა ლიბერალების საწინააღმდეგოდ, მასთან ერთად იმეორებდა კარლ მარქსის დიად სიტყვებს.

მუშების სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა, რომ ყველა ქვეყნის მუშები გაერთიანდნენ, ამბობდა ბებელი, ამიტომ უნდა შევუერთდეთ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობასო, — და ყრილობის უმრავლესობა ერთსულოვნად იმეორებდა მასთან ერთად დიდი მასწავლებლის სიტყვებს.

ასე იშვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ბებელმა დაანახვა მას მზის სინათლე.

იმ დროიდან ბებელის ცხოვრება განუყრელი ხდება პარტიის ცხოვრებასთან, მისი ჭირ-ვარამი და სიხარული — პარტიის ჭირ-ვარამსა და სიხარულთან. თვით ბებელი კი ხდება გერმანიის მუშების საყვარელი ადამიანი და შთამაგონებელი, ვინაიდან, ამხანაგებო, არ შეიძლება არ გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც ესოდენ ბევრი გაუკეთებია იმისათვის, რომ საკუთარ ფეხზე დაეყენებინა მუშები, გაეთავისუფლებინა ისინი ბურჟუაზიული ლიბერალების ძეურვეობისაგან და მიეცა მათთვის საკუთარი მუშათა პარტია.

1870 წელი პირველი გამოცდა იყო ახალგაზრდა პარტიისათვის. იწყებოდა ომი საფრანგეთთან, გერმანიის მთავრობა ომისათვის ფულს მოითხოვდა პარლამენტისაგან,

რომლის წევრი ბებელიც იყო, საჭირო იყო აზრის გარკვეულად გამოთქმა, ომის მომხრე ხარ თუ მისი წინააღმდეგი. ბებელს, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ ომი მხოლოდ პროლეტარიატის მტრებისათვის არის ხელსაყრელი, გერმანიის საზოგადოების ყველა ფენას კი, ბურჟუებით დაწყებული და მუშებით დამთავრებული, იპყრობს ცრუ პატრიოტული გზნება, მთავრობისათვის ფულის მიცემაზე უარის თქმას სამშობლოს ღალატს უწოდებენ. მაგრამ ბებელი ანგარიშს არ უწევს «პატრიოტულ» ცრურწმენას, მას არ ეშინია საწინააღმდეგო მიმართულებით სვლისა და ხმამაღლა აცხადებს პარლამენტის ტრიბუნიდან: მე, როგორც სოციალისტი და რესპუბლიკელი — ვემხრობი არა ომს, არამედ ხალხთა ძმობას, არა მტრობას საფრანგეთის მუშებთან, არამედ მათთან ჩვენი გერმანელი მუშების გაერთიანებასო. საყვედურები, დაცინვა, ზიზღი — ასეთი იყო პასუხი მუშების მხრივაც კი ბებელის გაბედულ გამოსვლაზე. მაგრამ მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების ერთგული ბებელი ერთი წუთითაც არ ხრის დროშას თავისი თანამოძმეების ცრურწმენათა დონემდე, — პირიქით, იგი ყოველნაირად ცდილობს აამაღლოს ისინი ომის დამღუპველობის ნათელ შეგნებამდე. შემდეგ მუშებმა შეიგნეს თავიანთი შეცდომა და მათ კიდევ უფრო შეუყვარდათ თავიანთი მტკიცე, ძლიერი ბებელი. სამაგიეროდ მთავრობამ ორი წლით უკრა მას თავი ციხეში, მაგრამ პატიმრობაში ბებელს ტყუილად როდი დაუკარგავს დრო, — მან იქ დაწერა განთქმული წიგნი «ქალი და სოციალიზმი».

70-იანი წლების დამლევსა და 80-იან წლებს კვლავ ახალი განსაცდელი მოაქვს პარტიისათვის. სოციალ-დემოკრატიის ზრდით შეშფოთებული გერმანიის მთავრობა სცემს «განსაკუთრებულ კანონებს სოციალისტების წინააღმდეგ», ანგრევს პარტიულ და კავშირის ორგანიზაციებს, ხურავს უკლებლივ ყველა ს.-დ. გაზეთს, სპობს კრებებისა და

კავშირების თავისუფლებას; ს.-დ. პარტიას, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ლეგალური იყო, აიძულებენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდეს. ყოველივე ამით მთავრობას უნდოდა პროვოკაციულად გამოეწვია სოციალ-დემოკრატიის ისეთი გამოსვლები, რაც მარცხისათვის განწირული და დამღუპველი იქნებოდა, დემორალიზაცია შეეტანა მის რიგებში და დაენგრია იგი. საჭირო იყო განსაკუთრებული სიმტკიცე და უმაგალითო შორსმჭვრეტელობა, რომ გონება არ დაგეკარგა, დროზე შეგეცვალა ტაქტიკა, გონივრულად შეგეგუებოდი ახალ პირობებს. ბევრი სოციალ-დემოკრატი პროვოკაციას აჰყვა და ანარქიზმს მიემხრო. სხვები სრულიად გაუხამსდნენ და ლიბერალებამდე დაეჭანენ. მაგრამ ბებელი განუხრელად იდგა პოსტზე, ზოგს ამხნევებდა, ზოგს უგუნურ აღგზნებას უნელებდა, ზოგის ფრაზიორობას ამხილებდა და უნარიანად წარმართავდა პარტიას ჭეშმარიტი გზით სულ წინ, მხოლოდ წინ. 10 წლის შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო მუშათა მოძრაობის მზარდი ძალისათვის და გააუქმა «განსაკუთრებული კანონები». ბებელის ხაზი ერთადერთი სწორი ხაზი აღმოჩნდა.

90-იანი წლების დამლევმა და ცხრაასიანმა წლებმა პარტიას კიდევ ერთი განსაცდელი მოუტანეს. სამრეწველო აღმავლობითა და შედარებით ადვილი ეკონომიური გამარჯვებებით წახალისებულმა სოციალ-დემოკრატიის ზომიერმა ელემენტებმა იწყეს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის საჭიროების უარყოფა. საჭირო არ არის შეურიგებლობა, საჭირო არ არის რევოლუციაო, ამბობდნენ ისინი, საჭიროა კლასთა თანამშრომლობა, ჩვენ გვესაჭიროება ბურჟუაზიასთან და მთავრობასთან შეთანხმება, რათა მათთან ერთად შევაკეთოთ არსებული წესწყობილება, — ამიტომ მოდით ხმა მივცეთ ბურჟუაზიული მთავრობის ბიუჯეტს, მოდით მონაწილეობა

შევიღოთ არსებულ ბურჟუაზიულ მთავრობაშიო. სწორედ ამით ზომიერნი ძირს უთხრიდნენ მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლებს, სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ტაქტიკას. ბებელი მიხვდა მდგომარეობის მთელ საშიშროებას და, პარტიის სხვა ბელადებთან ერთად, შეურიგებელ ომს უცხადებს ზომიერებს. დრეზდენის ყრილობაზე (1903 წ.) იგი სასტიკად ამარცხებს გერმანელ ზომიერთა ბელადებს, ბერნშტეინსა და ფოლმარს, და აცხადებს ბრძოლის რევოლუციური მეთოდების საჭიროებას. შემდგომ წელს ამსტერდამში, ყველა ქვეყნის სოციალისტთა წინაშე, იგი უკვე ამარცხებს ზომიერთა საერთაშორისო ბელადს, ჟან ჟორესს, და ერთხელ კიდევ აცხადებს შეურიგებელი ბრძოლის საჭიროებას. იმ დროიდან იგი მოსვენებას არ აძლევს «პარტიის ზომიერ მტრებს» და ზედიზედ ამარცხებს მათ იენაში (1905 წ.) და ნიურნბერგში (1908 წ.). ამის შედეგად პარტია შინაგანი ბრძოლიდან გამოდის ერთიანი და ძლიერი, განსაცვიფრებლად განმტკიცებული, კოლოსალურად გაზრდილი, და ყოველივე ამას იგი, უმთავრესად, იმავე ავგუსტ ბებელს უნდა უმადლოდეს...

მაგრამ ბებელი მარტო პარტიის ფარგლებში მოღვაწეობით როდი კმაყოფილდება. მისი მჭუხარე სიტყვები გერმანიის პარლამენტში, რომლებიც ამათრახებენ დამყაყებულ აზნაურებს, ნიღაბს ხდიან ლიბერალებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ «საიმპერიო მთავრობას», მისი მრავალი წლის მოღვაწეობა პროფესიულ კავშირებში — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბებელი, როგორც პროლეტარიატის ერთგული გუშაგი, გამოჩნდებოდა ხოლმე ყველგან, სადაც კი გაჩაღებული იყო ბრძოლა, სადაც კი საჭირო იყო მისი მძაფრი პროლეტარული ენერგია.

აი რისთვის ეპყრობიან ბებელს ასეთი პატივისცემით გერმანიისა და საერთაშორისო სოციალისტები.

რასაკვირველია, ბებელს შეცდომებიც ჰქონდა — ვინ არ შემცდარა (მარტო მკვდრები არ სცდებიან), — მაგრამ ყველა წვრილმანი შეცდომა მკრთალი მოჩანს იმ დიდ დამსახურებასთან შედარებით, რაც მას მიუძღვის პარტიის წინაშე, რომელსაც ახლა, ბებელის 42 წლის ხელმძღვანელობის შემდეგ, 600 ათასზე მეტი წევრი და 2 მილიონამდე პროფესიულად ორგანიზებული მუშა ჰყავს, რომელიც სარგებლობს 3 — 4 მილიონი ამომრჩევლის ნდობით და ერთი ნიშნის მიცემით აწყობს ასიათასიან დემონსტრაციებს პრუსიაში.

და საგულისხმოა, რომ ბებელის პატივსაცემად მოწყობილი საიუბილეო ზეიმის დღეები დაემთხვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძლიერების ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას, პრუსიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად უმაგალითოდ ორგანიზებული ხალხმრავალი დემონსტრაციების დღეებს.

ბებელს სრული უფლება აქვს თქვას, რომ მას ამაოდ არ უმუშავნია.

ასეთია ცხოვრება და მოღვაწეობა მოხუცი ბებელისა, დიახ, ძლიერ მოხუცისა, მაგრამ სულით მეტად ახალგაზრდისა, რომელიც ძველებურად პოსტზე დგას და ახალ ბრძოლებს, ახალ გამარჯვებებს ელოდება.

მხოლოდ მებრძოლ პროლეტარიატს შეეძლო ეშვა ასეთი ცოცხალი, მარად ჭაბუკი, მარად წინ მჭვრეტელი ბებელი, ისეთი, როგორიც თვითონ პროლეტარიატია.

მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის თეორიას შეეძლო ფართო გასაქანი მიეცა ბებელის მჩქეფარე ბუნებისათვის, რომელიც დაუღალავად მიისწრაფის ძველი, ძირმომპალი, კაპიტალისტური სამყაროს დანგრევისაკენ.

ბებელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მოწმობს პროლეტარიატის ძალასა და უძლეველობას, სოციალიზმის გამარჯვების გარდუვალობას...

მაშ მივესალმოთ, ამხანაგებო, ძვირფას მასწავლებელს — ხარატს, ავგუსტ ბებელს!

დაე იგი მაგალითი იყოს ჩვენთვის, რუსეთის მუშებისათვის, რომლებსაც განსაკუთრებით გვესაჭიროება მუშათა მოძრაობის ბებელები.

გაუმარჯოს ბებელს!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!

რსდმპ ბაქოს კომიტეტი

გამოცემულია ცალკე
პროკლამაციად
1910 წლის 23 მარტს.

იბეჭდება პროკლამაციის
ტექსტის მიხედვით.

წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან

ამხანაგო სიმონ! გუშინ ამხანაგებისაგან მივიღე თქვენი წერილი. უწინარეს ყოვლისა მხურვალე სალამი ლენინს და სხვ. შემდეგ კი თქვენი წერილის გამო და საზოგადოდ «წყეული საკითხების» შესახებ.

ჩემი აზრით, ბლოკის (ლენინი — პლეხანოვი) ხაზი ერთადერთი სწორი ხაზია: 1) იგი, და მხოლოდ იგი, შეეფერება რუსეთში მუშაობის ნამდვილ ინტერესებს, რომლებიც მოითხოვენ ყველა ნამდვილად პარტიული ელემენტების დარაზმვას; 2) იგი. და მხოლოდ იგი, აჩქარებს ლიკვიდატორთა უღლისაგან ლეგალური ორგანიზაციების განთავისუფლების პროცესს, უფსკრულს თხრის მენშევიკ მუშებსა და ლიკვიდატორებს შორის, ფანტავს და კლავს უკანასკნელთ. ლეგალურ ორგანიზაციებში გავლენისათვის ბრძოლა საჭირბოროტო საკითხია, აუცილებელი ეტაპია პარტიის აღორძინების გზაზე, ხოლო ბლოკი ერთადერთი საშუალებაა ასეთი ორგანიზაციების გასაწმენდად ლიკვიდატორობის ნაგვისაგან.

ბლოკის გეგმაში ჩანს ლენინის ხელი, — ის ჭკვიანი კაცია და იცის ავისა და კარგის გარჩევა. მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ბლოკი კარგია. ტროცკისეული ბლოკი (ის იტყოდა — «სინთეზიო») — ეს არის ლაყე

უპრინციპობა, სხვადასხვაგვარი პრინციპების მანილოვური ამალგამა, უპრინციპო ადამიანის უმწეო დარდი «კარგ» პრინციპზე. საგანთა ლოგიკა უაღრესად პრინციპულია თავისი ბუნებით და იგი ამალგამებს ვერ მოითმენს. ლენინ — პლეხანოვის ბლოკი სწორედ იმიტომ არის სიცოცხლისუნარიანი, რომ იგი ღრმად პრინციპულია, ემყარება შეხედულებათა ერთიანობას პარტიის აღორძინების გზების საკითხში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ბლოკია და არა შეერთება, — სწორედ ამიტომ ბოლშევიკებს ესაჭიროებათ თავიანთი ფრაქცია. ადვილი შესაძლებელია, რომ მუშაობის მსვლელობაში ბოლშევიკები საბოლოოდ მოათვინიერებენ პლეხანოველებს, მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვმართებს ძილს მივცეთ თავი და ვიქონიოთ ასეთი, თუნდაც სავსებით შესაძლებელი, შედეგის იმედი. რაც უფრო დარაზმულად იმოქმედებენ ბოლშევიკები, რაც უფრო ორგანიზებულად გამოვლენ, მით უფრო მეტია მოთვინიერების შესაძლებლობის შანსები. ამიტომ ჩვენ დაუღალავად უნდა ვჭედოთ ყველა გრდემლზე. ვჰერიოდელთა შესახებ არაფერს ვამბობ, რადგან ახლა ისინი ნაკლებ საინტერესონი არიან, ვიდრე ლიკვიდატორებში და პლეხანოველებში. თუ როდისმე მოვლენ გონს — რა თქმა უნდა, კარგია, არა და — ჯანდაბას, დაე თავიანთ საკუთარ წვენში იხარშონ.

ასე ვფიქრობ მე საზღვარგარეთზე.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია და მთავარიც კი არ არის. მთავარია — რუსეთში მუშაობის მოწყობა. ჩვენი პარტიის ისტორია გვიჩვენებს, რომ უთანხმოებათა საკითხების გადაჭრა ხდება არა კამათში, არამედ უმთავრესად მუშაობის პროცესში, პრინციპების გამოყენების პროცესში. ამიტომ სალღეისო ამოცანაა რუსეთში მუშაობის მოწყობა ზუსტად გარკვეული პრინციპის გარშემო. ლიკვიდატორები მაშინვე მიხვდნენ, რაშია საქმე (ალბათ ძლიერ აქვთ

განვითარებული), და დაიწყეს მოკალათება (უკვე მოკალათდნენ) მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში, ამასთან, თურმე, თავიანთი არალეგალური რუსული ცენტრი აქვთ, რომელიც მუშაობას წარმართავს და ა. შ. ჩვენ კი სულ «ვემზადებით», რეპეტიციების სტადიაში ვიმყოფებით. ჩემი აზრით, ჩვენთვის მორიგ, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩამოყალიბება ცენტრალური (რუსეთის) ჯგუფისა, რომელიც გააერთიანებს არალეგალურ, ნახევრადლეგალურ და ლეგალურ მუშაობას პირველ ხანად მთავარ ცენტრებში (პიტერი, მოსკოვი, ურალი, სამხრეთი). რაც გნებავთ, ის უწოდეთ მას — «ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილი» ან დამხმარე ჯგუფი ცენტრალურ კომიტეტთან — ეს სულ ერთია. მაგრამ ასეთი ჯგუფი საჭიროა როგორც ჰაერი, როგორც პური. ახლა ადგილებზე მუშაკებს შორის გამეფებულია გაურკვევლობა, მარტოობა, მოწყვეტილობა, ყველა ყურჩამოყრილია. ამ ჯგუფს კი შეეძლო მუშაობა გამოეცოცხლებინა, გარკვეულობა შეეტანა. ეს კი გზას გაუკაფავდა ლეგალურ შესაძლებლობათა ნამდვილ გამოყენებას. ჩემი აზრით, სწორედ ამით დაიწყება პარტიულობის აღორძინების საქმე. ზედმეტი არ იქნებოდა მოწყობილიყო იმ მუშაკთა წინასწარი თათბირი, რომლებიც აღიარებენ პლენუმის[93] გადაწყვეტილებებს, რასაკვირველია, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს ცენტრალურ დაწესებულებათა «რეფორმის»[94] შემდეგ და პლეხანოველთა მხრივ თანხმობის პირობით. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ თათბირმა მოგვცეს შესაფერი ადამიანები ზემოხსენებული ცენტრალური ჯგუფისათვის. ჩემი აზრით, ასეთი თათბირის სარგებლობა სხვა მრავალი მხრივაც ნათელია. მოქმედება კი მოგვიხდება განუხრელად და ულმობლად, არ უნდა შევუშინდეთ საყვედურებს ლიკვიდატორთა, ტროცკისტთა, ვპერიოდელთა მხრით. თუ პლეხა-

ნოველები და ლენინელები დაირაზმებიან რუსეთში მუშაობის ნიადაგზე, მათ შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ არავითარ საყვედურებს.

ასე ვფიქრობ მე რუსეთში მუშაობაზე.

ახლა ჩემს შესახებ. მე დამრჩენია ექვსი თვე [95]. ვადას რომ გავათავებ, მზად ვარ გემსახუროთ. თუ მუშაკების ნაკლებობა მართლაც მწვავეა, შემიძლია დაუყოვნებლივ წამოვიდე. «მისლ» [96] № 1 წავიკითხე. წარმოდგენილი მაქვს, რა გარკვეულობას და სიმხნევეს შეიტანს მუშებში გუშინდელ მოწინააღმდეგეთა ერთად გამოსვლის თუნდაც მარტო ფაქტი, რამდენ არევ-დარევასა და ქაოსს დათესავს ლიკვიდატორთა რიგებში. და ყოველი რიგიანი ადამიანი იტყვის, რომ ეს ცუდი არ იქნება.

გადასახლებაში ხალხი ბლომად არის, და ძალიან კარგი იქნებოდა მათთვის პერიოდული არალეგალური გამოცემების გზავნა. გამოგზავნეთ «სოციალ-დემოკრატი» № 17 და შემდეგი ნომრები, აგრეთვე «სოციალ-დემოკრატის» «დამატება». ჩვენ არა გვაქვს «რაბოჩაია გაზეტას» [97] არც № 1, არც № 2, არა გვაქვს არც «გოლოს სოციალ-დემოკრატა». «ზვეზდას» [98], ალბათ, მივიღებთ. მისამართები ამანათებისათვის: 1) სოლვიჩეგოდსკი, ვოლოგდის გუბერნია, ივანე ისაკის-ძე ბოგომოლოვს; 2) სოლვიჩეგოდსკი, ვოლოგდის გუბერნია, პეტრე მიხეილის-ძე სერაფიმოვს. მისამართი ჩემთან მიწერმოწერისათვის: სოლვიჩეგოდსკი, ვოლოგდის გუბერნია, გრიგოროვის სახლი, — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ვოზნესენსკი.

ამხანაგური სალამით **კ. ს.**

დაზღვეულს ნუ გამოგზავნით. მოიწერეთ მანდაური ამბები, ძალიან გთხოვთ.

დაწერილია 1910 წლის 31 დეკემბერს.

იბეჭდება წერილის ასლის მიხედვით.

პარტიისათვის [99]

ჩვენს ქვეყანაში იღვიძებს ინტერესი პოლიტიკური ცხოვრებისადმი და ამასთან ერთად ბოლო ეღება ჩვენი პარტიის კრიზისს. ჭრება უმოძრაობის მკვდარი წერტილი. ამას წინათ შემდგარი საერთო-პარტიული კონფერენცია [100] პარტიის ალორძინების ამკარა ნიშანია. რუსეთის რევოლუციის ზრდასთან ერთად განმტკიცებული და უკანასკნელის დაცემასთან ერთად განადგურებული ჩვენი პარტია აუცილებლად უნდა დამდგარიყო ფეხზე ქვეყნის პოლიტიკურ გამოღვიძებასთან ერთად. გამოცოცხლებას მრეწველობის ბირთვად დარგებში და კაპიტალისტთა მოგების ზრდას მუშათა რეალური ხელფასის დაცემასთან ერთად; ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციების თავისუფალ განვითარებას პროლეტარიატის ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციების მოძალადურ დანგრევასთან ერთად; საარსებო პროდუქტების ფასების აწევასა და მეშვიდეთა მოგების ზრდას გლეხური მეურნეობის გაჩანაგებასთან ერთად; შიმშილობას, რომელშიც 25 მილიონ სულზე მეტი მოსახლეობა მიიცვა და რომელიც

«განახლებული» კონტრრევოლუციური რეჟიმის უმწეობას ცხადყოფს, — ყოველივე ამას არ შეეძლო არ ემოქმედნა მშრომელთა ფენებზე და, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატზე მათში პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვიძების აზრით. ამ გაღვიძების ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას, სხვათა შორის, წარმოადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენცია, რომელიც ამა წლის იანვარში შედგა.

მაგრამ გონებისა და გულის გამოცოცხლება საკუთარ ნაჭუჭში ვერ ჩაიკეტება, — ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში მან აუცილებლად უნდა მიიღოს აშკარა მასობრივი გამოსვლების სახე.

საჭიროა გაუმჯობესდეს მუშათა ცხოვრება, უნდა გადიდდეს ხელფასი, შემცირდეს სამუშაო დღე, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მუშების მდგომარეობა ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში. მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ყოველივე ეს, თუ არ ნაწილობრივი და საერთო ეკონომიური გამოსვლების გზით, რომლებიც ჯერ კიდევ აკრძალულია?

უნდა მოვიპოვოთ მეპატრონეებთან თავისუფალი ბრძოლის უფლება, გაფიცვის, კავშირების, კრებების, სიტყვის, პრესის და სხვ. უფლება: უამისოდ მუშების ბრძოლა თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უკიდურესობამდე იქნება გაძნელებული. მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ყოველივე ეს, თუ არ აშკარა პოლიტიკური გამოსვლების გზით, დემონსტრაციების, პოლიტიკური გაფიცვების და სხვ. გზით?

უნდა გავაჯანსაღოთ ჩვენი ქვეყანა, რომელიც დაავადებულია ქრონიკული შიმშილობით, ბოლო უნდა მოვუღოთ ახლანდელ ვითარებას, რომლის დროსაც მიწის ათეულ-მილიონობით მშრომელი იძულებულია პერიოდულად განიცადოს შიმშილობა მთელი მისი საშინელებით: შეუძლებელია

გულხელდაკრეფილმა ვუცქიროთ იმას, თუ დამშეული თვალცრემლიანი დედ-მამა როგორ «ასაღებს ჩალის ფასად» თავის ქალიშვილებსა და ვაჟებს! ძირფესვიანად უნდა მოვსპოთ ახლანდელი მტაცებლური საფინანსო პოლიტიკა, რომელიც აჩანაგებს ღარიბ გლეხურ მეურნეობას და ყოველი მოუსავლობის დროს გარდუვალად აყენებს მილიონობით გლეხს გამანადგურებელი შიმშილობის გზაზე! უნდა ვიხსნათ ქვეყანა სიღატაკისა და დემორალიზაციისაგან! მაგრამ განა შევძლებთ ყოველივე ამას, თუ თავიდან ბოლომდე არ დავამხობთ ცარიზმის მთელ შენობას? და როგორ უნდა დავამხოთ მეფის მთავრობა მთელი ბატონყმური გადმონაშთებიანად, თუ არ ფართო სახალხო რევოლუციური მოძრაობის გზით, მოძრაობისა, რომელსაც უხელმძღვანელებს ისტორიის მიერ აღიარებული ჰეგემონი, სოციალისტური პროლეტარიატი?..

მაგრამ იმისათვის, რომ მომავალი გამოსვლები დაქსაქსული და უწესრიგო არ იყოს, რომ პროლეტარიატს შეეძლოს ღირსეულად შეასრულოს მომავალი გამოსვლების გამაერთიანებლისა და ხელმძღვანელის მაღალი როლი, — ყოველივე ამისათვის, ხალხის ფართო ფენების რევოლუციურ შეგნებასა და პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას გარდა, საჭიროა კიდევ არსებობდეს ძლიერი და მოქნილი პროლეტარული პარტია, რომელსაც შეეძლება ერთ საერთო ღონისძიებად გააერთიანოს ადგილობრივი ორგანიზაციების ცალკეული ღონისძიებანი და მით მტრების მთავარ სიმაგრეთა წინააღმდეგ წარმართოს მასობრივი რევოლუციური მოძრაობა. პროლეტარიატის პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოწესრიგება, — აი განსაკუთრებით რა არის საჭირო იმისათვის, რომ პროლეტარიატს შეეძლოს ღირსეულად შეხვდეს მომავალ რევოლუციურ გამოსვლებს.

პარტიის შემჭიდროების უაღრესი საჭიროება კიდევ უფრო ცხადი ხდება მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მოახლოებული არჩევნების გამო.

მაგრამ როგორ მოვაწესრიგოთ პარტია?

საჭიროა განვამტკიცოთ უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. წვრილ და უწვრილეს ჯგუფებად დაქსაქსულნი, ზღვა სასოწარკვეთილებითა და საქმისადმი რწმენის უქონლობით გარემოცულნი, ინტელიგენტურ ძალებს მოკლებულნი და ხშირად პროვოკატორების მსხვერპლად გამხდარნი — ვინ არ იცნობს ადგილობრივი ორგანიზაციების ცხოვრების ამ უსიხარულო სურათს? საჭიროა და შესაძლებელიც ბოლო მოვუღოთ ძალთა ამ დაქსაქსულობას! ერთი მხრივ, მუშათა მასების დაწყებული გამოღვიძება და, მეორე მხრივ, ამას წინათ შემდგარი კონფერენცია, როგორც ამ გამოღვიძების გამოხატულება, — მნიშვნელოვნად აადვილებენ ასეთი დაქსაქსულობის ლიკვიდაციის საქმეს. მაშ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, ორგანიზაციული დაქსაქსულობის ლიკვიდაციისათვის! დაე ყოველ ქალაქსა და ყოველ სამრეწველო პუნქტში დაჯგუფდნენ სოციალ-დემოკრატი მუშები, ყველანი, განურჩევლად ფრაქციებისა, ყველანი, ვისაც სწამს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა არალეგალური პარტიის საჭიროება, — დაე ისინი ყველანი დაჯგუფდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებად! დაე დაზგებმა, რომლებიც მუშებს ექსპლოატირებულთა ერთ არმიად აერთიანებენ, — დაე იმავე დაზგებმა შეაკავშირონ ისინი ექსპლოატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთიან პარტიად!.. ამასთან საჭირო არ არის გამოვედევნოთ წევრთა დიდ რაოდენობას: მუშაობის ახლანდელ პირობებში ეს შეიძლება სახიფათოც აღმოჩნდეს. თავიდათავია ამხანაგების ხარისხი, თავიდათავია ის, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებად დაჯგუფებულ

გავლენიან ამხანაგებს შეგნებული ჰქონდეთ იმ საქმის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ისინი ემსახურებიან, და მტკიცედ ეწეოდნენ თავიანთ მუშაობას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხაზით. და ამგვარად ჩამოყალიბებული ადგილობრივი ორგანიზაციები დაე ნუ ჩაიკეტებიან თავიანთ ნაჭუჭში, დაე განუწყვეტლივ ჩაერიონ ხოლმე პროლეტარიატის ბრძოლის ყველა საქმეში, ყველაზე «წვრილმანი» და ჩვეულებრივი საქმეებით დაწყებული და ყველაზე დიდი და «არაჩვეულებრივი» საქმეებით დამთავრებული, დაე მათს გავლენას ნუ ასცდება შრომისა და კაპიტალის ნურც ერთი შეტაკება, ,მეფის მთავრობის მხეცობათა წინააღმდეგ მუშათა მასების ნურც ერთი პროტესტი: მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას ადგილობრივი ორგანიზაციების განმტკიცება და გაჯანსაღება. აი რატომ არის საჭირო, სხვათა შორის, რომ მათ უცხოველესი კავშირი ჭონდეთ მუშათა ლეგალურ მასობრივ ორგანიზაციებთან, კავშირებთან და კლუბებთან, და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მათს განვითარებას.

და ამხანაგ მუშებს დაე ნუ დააფიქრებს სიძნელე და სირთულე ამოცანებისა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ აწვებათ კისრად ინტელიგენტური ძალების უყოლობის გამო, — ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ ეს ყველასათვის უმაქნისი მორიდებულობა და «უჩვეულო» მუშაობის შიში, უნდა გვქონდეს გამბედაობა ხელი მოვკიდოთ რთულ პარტიულ საქმეებს! არა უშავს რა, თუ ამ მუშაობაში გამომჭლავნდება ზოგიერთი შეცდომა: ორიოდჯერ წაიბორძიკებ, შემდეგ კი მიეჩვევი გაბედულად სიარულს. ბებელები ზეციდან როდი ცვივიან, ისინი იზრდებიან მხოლოდ ქვევიდან პარტიული მუშაობის მსვლელობისას მის ყველა დარგში...

მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები, თუნდაც მტკიცენი და გავლენიანნი, ცალკე აღებულნი, ჯერ კიდევ არ შეადგენენ პარტიას. ამისათვის კიდევ საჭიროა თავი მოვუყაროთ მათ, შევაკავშიროთ ისინი ერთიანი, საერთო ცხოვრების მქონე ერთ მთლიანობად. დაქსაქსული ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც არათუ დაკავშირებული არ არიან ერთმანეთთან, არამედ ურთიერთის არსებობაც კი არ იციან, ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად საკუთარი თავის ანაბარა არიან მიტოვებული, თავიანთი პასუხისმგებლობით მოქმედებენ და მუშაობაში საკმაოდ ხშირად საწინააღმდეგო ხაზებს ატარებენ, — ყოველივე ეს პარტიაში არსებული კუსტარულობის ნაცნობი სურათებია. ადგილობრივი ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირება და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მათი შემოკრება — სწორედ ეს ნიშნავს კუსტარულობაზე ხელის აღებას და პროლეტარული პარტიის მოწესრიგების საქმისათვის გზის გაკაფვას. გავლენიანი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ცოცხალი ფესვებით არის დაკავშირებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სისტემატურად იწვდის ინფორმაციას ამ უკანასკნელთ და მათ ერთმანეთთან აკავშირებს, ცენტრალური კომიტეტი, რომელიც განუწყვეტლივ ერევა საერთო-პროლეტარული გამოსვლების ყველა საქმეში, ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც, ფართო პოლიტიკური აგიტაციის მიზნით, ექნება რუსეთში გამომავალი არალეგალური გაზეთი, — აი საით უნდა წარიმართოს პარტიის განახლებისა და შემჭიდროების საქმე.

თქმა არ უნდა, მარტო ცენტრალური კომიტეტი ვერ გაართმევს თავს ამ ძნელ ამოცანას: ამხანაგებს ადგილობრივი ორგანიზაციებიდან უნდა ახსოვდეთ, რომ ადგილებიდან მათი სისტემატური დახმარების გარეშე ცენტრალური კომიტეტი გარდუვალად გადაიქცევა ცარიელ ადგილად, ხოლო პარტია — ფიქციად. ამიტომ ცენტრისა და

ადგილობრივი ორგანიზაციების ერთსულოვანი მუშაობა — აი პარტიის განახლების აუცილებელი პირობა, აი რისკენ მოვუწოდებთ ამხანაგებს.

მაშ ასე, ამხანაგებო, პარტიისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული, აღორძინების გზაზე მდგომი არალეგალური მუშათა პარტიისათვის!

გაუმარჯოს ერთიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

გამოცემულია ცალკე პროკლამაციად 1912 წლის მარტში.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

გაუმარჯოს პირველ მაისს! [101]

ამხანაგებო!

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გადაწყვიტეს ყველა ქვეყნის მუშებმა ყოველწლიურად იდღესასწაულონ დღევანდელი დღე, პირველი მაისის დღე. ეს იყო 1889 წელს, როცა ყველა ქვეყნის სოციალისტთა პარიზის კონგრესზე მუშებმა დაადგინეს სწორედ დღეს, პირველი მაისის დღეს, როცა ბუნება ზამთრის ძილისაგან იღვიძებს, ტყეები და მთები მწვანით იმოსება, ველ-მინდორი ყვავილებით ირთვება, მზე უფრო მხურვალედ ათბობს, ჰაერში განახლების სიხარული იგრძნობა, ხოლო ბუნება ფერხულს მართავს და ზეიმობს, — მათ გადაწყვიტეს სწორედ დღეს ხმამაღლა და აშკარად ამცნონ მთელ მსოფლიოს, რომ მუშებს კაცობრიობისათვის მოაქვთ გაზაფხული და კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლება, რომ მუშები მოწოდებული არიან განაახლონ მსოფლიო თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე.

ყველა კლასს აქვს თავისი საყვარელი დღესასწაულები. თავადაზნაურებმა შემოიღეს თავიანთი დღესასწაულები, და ამ დღესასწაულებზე ისინი აცხადებენ გლეხების გაყვლეფის «უფლებას». ბურჟუებს თავიანთი დღესასწაულები აქვთ, და ამ დღესასწაულებზე ისინი «ამართლებენ» მუშების ექსპლოატაციის «უფლებას». დღესასწაულები

ხუცებსაც აქვთ, და ამ დღესასწაულებზე ისინი ხოტბას ასხამენ არსებულ წესწყობილებას, როცა მშრომელნი სიღატაკეში იღუპებიან, ხოლო მუქთახორები ფუფუნება-განცხრომაში არიან.

მუშებსაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი დღესასწაული, და ამ დღესასწაულზე მათ უნდა გამოაცხადონ: საყოველთაო შრომა, საყოველთაო თავისუფლება, ყველა ადამიანის საყოველთაო უსაფრთხოება. ეს დღესასწაულია პირველი მაისის დღესასწაული.

ასე გადაწყვიტეს მუშებმა ჯერ კიდევ 1889 წელს.

მას შემდეგ მუშათა სოციალიზმის საბრძოლო ძახილი სულ უფრო და უფრო მძლავრად გაისმის მიტინგებსა და დემონსტრაციებზე პირველი მაისის დღეს. სულ უფრო და უფრო ფართოვდება მუშათა მოძრაობის ოკეანე, რომელიც სწვდება ახალ-ახალ ქვეყნებსა და სახელმწიფოებს ევროპიდან და ამერიკიდან აზიამდე, აფრიკამდე და ავსტრალიამდე. მუშათა ოდესღაც სუსტი საერთაშორისო კავშირი სულ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გაიზარდა გრანდიოზულ ინტერნაციონალურ ძმობად, რომელსაც აქვს რეგულარული კონგრესები და რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხის მილიონობით მუშას აერთიანებს. მძლავრად ზვირთდება პროლეტარიატის გულისწყრომის ზღვა და სულ უფრო მრისხანედ უტევს კაპიტალიზმის მერყეე ბურჯებს. მაღაროელთა დიდი გაფიცვა, რომელიც ამას წინათ მოხდა ინგლისში, გერმანიაში, ბელგიაში, ამერიკაში და სხვ., გაფიცვა, რომელმაც შიშის ზარი დასცა მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორებსა და მეფეებს, — იმის აშკარა ნიშანია, რომ სოციალისტური რევოლუცია შორს აღარ არის...

«ზიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს!» არ გვინდა ბურჟუათა და მჩაგვრელთა სამეფო! წყევლა-კრულვა და

სიკვდილი კაპიტალიზმს, რომელსაც თან სდევს სიღატაკისა და სისხლისღვრის საშინელებანი! გაუმარჯოს შრომის სამეფოს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

აი რას აცხადებენ დღევანდელ დღეს ყველა ქვეყნის შეგნებული მუშები.

და თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებულნი, გულდაჯერებულნი და ძლიერნი, ამაყად მიდიან ისინი წინ აღთქმული ქვეყნისაკენ, ნათელი სოციალიზმისაკენ და თანდათანობით ახორციელებენ კარლ მარქსის დიად მოწოდებას: «მუშებო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით!»

ასე დღესასწაულობენ პირველ მაისს თავისუფალი ქვეყნების მუშები.

რუსეთის მუშები მას შემდეგ, რაც თანდათანობით იგნებდნენ თავიანთ მდგომარეობას, თავიანთ ამხანაგებს რომ არ ჩამორჩენოდნენ, ყოველთვის შეუერთდებოდნენ ხოლმე თავიანთი საზღვარგარეთელი ამხანაგების საერთო გუნდს და მათთან ერთად დღესასწაულობდნენ პირველ მაისს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად მეფის მთავრობის მხეცური რეპრესიებისა. მართალია, უკანასკნელ 2 — 3 წელიწადში, კონტრრევოლუციური აღვირახსნილობისა და პარტიული რღვევის, სამრეწველო დეპრესიისა და ფართო მასებში საშინელი პოლიტიკური გულგრილობის პერიოდში, რუსეთის მუშებს შესაძლებლობა წაერთვათ ძველებურად ედღესასწაულნათ თავიანთი ბრწყინვალე მუშური დღესასწაული. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ ხანს დაწყებული გამოცოცხლება, ეკონომიური გაფიცვები და მუშების პოლიტიკური პროტესტები თუნდაც მეორე სათათბიროს წევრ სოციალ-დემოკრატთა საქმის გადასინჯვის გამო, გლეხთა ფართო ფენებში წარმოშობილი უკმაყოფილება შიმშილობის გამო, რამაც 20 გუბერნიაზე მეტი მოიცვა, ასეულათასობით ნოქრების პროტესტები რუსეთის ვეშაპთა «განახლებული» წყობილების წინააღ-

მდეგ, — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სალათას ძილი მთავრდება და ადგილს უთმობს პოლიტიკურ გამოცოცხლებას ჩვენს ქვეყანაში, უწინარეს ყოვლისა კი — პროლეტარიატში. აი ამიტომ წელს რუსეთის მუშებს დღევანდელ დღეს შეუძლიათ ხელი გაუწოდონ და კიდევაც უნდა გაუწოდონ თავიანთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს. აი ამიტომ მათ ამა თუ იმ ფორმით მათთან ერთად უნდა იდღესასწაულონ პირველი მაისი.

მათ დღეს უნდა თქვან, რომ ისინი მხარს უჭერენ ამხანაგებს თავისუფალი ქვეყნებიდან — ზიზღით უცქერიან და შემდეგშიც ზიზღით შეხედავენ ოქროს კერპს.

გარდა ამისა მათ ყველა ქვეყნის მუშების საერთო მოთხოვნას უნდა დაუმატონ თავიანთი საკუთარი, რუსეთის მუშების მოთხოვნა ცარიზმის დამხობისა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა.

«მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი!» «ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეს, მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ!» სიკვდილი პირსისხლიან ცარიზმს! სიკვდილი თავადაზნაურთა მიწის საკუთრებას! სიკვდილი მეპატრონეთა მტარვალობას ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში! მიწა — გლეხებს! 8 საათს მუშაობა — მუშებს! დემოკრატიული რესპუბლიკა — რუსეთის ყველა მოქალაქეს!

აი კიდევ რა უნდა გამოაცხადონ დღევანდელ დღეს რუსეთის მუშებმა.

სიცრუე და ლაჩრობაა ნიკოლოზ უკანასკნელის წინაშე, როცა რუსეთის ლიბერალები არწმუნებენ თავიანთ თავს და სხვებს — ცარიზმი განმტკიცდა რუსეთში და მას უნარი შესწევს დააკმაყოფილოს ხალხის ძირითადი საჭიროებანიო.

მოტყუება და ფარისევლობაა, როცა რუსეთის ლიბერალები ყველა ჰანგზე მღერიან — რევოლუცია მოკვდა, ცხა ჩვენ «განახლებულ» წყობილებაში ვცხოვრობთო.

მიმოიხედეთ თქვენს გარშემო: განა მრავალტანჯული რუსეთი ჰგავს «განახლებულ», «კეთილმოწყობილ» ქვეყანას?

დემოკრატიული კონსტიტუციის ნაცვლად — სახრჩობელებისა და ველური თვითნებობის რეჟიმი!

საყოველთაო-სახალხო პარლამენტის ნაცვლად — შავ მემამულეთა შავი სათათბირო!

«სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძველთა» ნაცვლად, სიტყვის, კრებების, პრესის, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების ნაცვლად, რომლებსაც ჯერ კიდევ 17 ოქტომბრის მანიფესტით გვპირდებოდნენ, — «მიხედულობათა» და «აღკვეთათა» მომაკვდინებელი ხელი, დახურული გაზეთები, გაძევებული რედაქტორები, დანგრეული კავშირები, გარეკილი კრებები!

პიროვნების ხელშეუხებლობის ნაცვლად — საპყრობილეებში ცემა-ტყეპა, მოქალაქეთა აბუჩად აგდება, გაფიცულებთან სისხლისმღვრელი გასწორება ლენის სამადნოებში!

გლეხთა საჭიროებების დაკმაყოფილების ნაცვლად — გლეხთა მასების უმიწაწყლოდ დატოვების პოლიტიკის განგრძობა!

მოწესრიგებული სახელმწიფო მეურნეობის ნაცვლად — ქურდობა საინტენდანტოებში, ქურდობა რკინიგზის სამმართველოებში, ქურდობა სატყეო მეურნეობაში, ქურდობა საზღვაო უწყებაში!

მთავრობის მექანიზმში წესრიგისა და დისციპლინის ნაცვლად — სიყალბე სასამართლოებში, შანტაჟი და გამომძალველობა სამძებრო პოლიციებში, მკვლელობანი და პროვოკაცია დამცველ განყოფილებებში!

რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო სიდიადის ნაცვლად — რუსეთის «პოლიტიკის» სამარცხვინო ჩაფუშვა ახლო და შორეული აღმოსავლეთის საქმეებში, ჯალაფისა

და გამპარტახებლის როლი სისხლით დაცლილი სპარსეთის საქმეებში!

მცხოვრებლების დამშვიდებისა და კეთილდღეობის ნაცვლად — თვითმკვლელობანი ქალაქებში და საშინელი შიმშილობა 30-მილიონიანი გლეხობისა სოფლად!

ზნეობის გაჯანსაღებისა და გაწმენდის ნაცვლად — უმაგალითო გარყვნილება მონასტრებში, ოფიციალური მორალის ამ სიმაგრეებში!

და როგორც სურათის დასრულება — ასეულ მშრომელთა მხეცური დახვრეტა ლენის სამადნოებში!..

მოპოვებულ თავისუფლებათა დამანგრეველნი, სახრჩობელებისა და დახვრეტის თაყვანისმცემლები, «მიხედულობათა» და «აღკვეთათა» ავტორები, ქურდი ინტენდანტები, ქურდი ინჟინრები, მძარცველი პოლიციელები, მკვლელი ოხრანკის აგენტები, გარყვნილი რასპუტინები — აი ისინი, რუსეთის «განმაახლებლები»!

და ამ ქვეყნად კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ბედავენ ამტკიცონ, რომ რუსეთში ყველაფერი რიგზეა, რომ რევოლუცია მოკვდა!

არა, ამხანაგებო: იქ, სადაც შიმშილობენ მილიონობით გლეხები, ხოლო მუშებს ხვრეტენ გაფიცვისათვის — იქ რევოლუცია იცოცხლებს, სანამ პირისაგან მიწისა არ აღიგვება კაცობრიობის შემარცხვენელი — რუსეთის ცარიზმი.

და დღევანდელ დღეს, პირველი მაისის დღეს, ამა თუ იმ ფორმით, მიტინგებზე, მასობრივ თუ საიდუმლო კრებებზე — სადაც როგორ იქნება მიზანშეწონილი — უნდა ვთქვათ, რომ ფიცსა ვდებთ ვიბრძოლოთ მეფის მონარქიის სრული დამხობისათვის, რომ მივესალმებით რუსეთის მომავალ რევოლუციას, რუსეთის განმათავისუფლებელს!

მაშ ხელი გავუწოდოთ ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგებს და მათთან ერთად შევძახოთ:

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

აღვმართოთ რუსეთის რევოლუციის დროშა და ზედ წავაწეროთ:

ძირს მეფის მონარქია!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ამხანაგებო! დღეს ჩვენ პირველ მაისს ვდღესასწაულობთ! **გაუმარჯოს პირველ მაისს!**

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

გამოცემულია ცალკე პროკლამაციად 1912 წლის აპრილში.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.

ახალი ხანა

მუშების ეკონომიურ გამოსვლებს მოჰყვა მათი პოლიტიკური გამოსვლები.

ხელფასისათვის გაფიცვებს მოჰყვა პროტესტები, მიტინგები, პოლიტიკური გაფიცვები ლენის მუშების დახვრეტის გამო.

პიტერსა და მოსკოვში, რიგასა და კიევში, სარატოვსა და ეკატერინოსლავში, ოდესასა და ხარკოვში, ბაქოსა და ნიკოლაევში, — ყველგან, რუსეთის ყველა კუთხეში ხმას იმაღლებენ მუშები ლენის სამადნოებში დაღუპული თავიანთი ამხანაგების დასაცავად.

«ჩვენ ცოცხლები ვართ, დაუშრეტელი ძალების ცეცხლით დუღს ჩვენი ალისფერი სისხლი»!..

მესამე საფეხურს გადის მუშათა მოძრაობა თავისი მზარდი გამოცოცხლების პროცესში. და ეს ხდება კონტრრევოლუციური აღვირახსნილობის შემდეგ.

ორიოდე წლის წანათ მუშები კიდევ ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ გაუმაძღარ მეპატრონეთა სულ უფრო და უფრო მზარდი თავდასხმებისათვის. თავდაცვის გაფიცვები, ხოლო ზოგან შეტევითი გაფიცვებიც — აი რით გამოიხატებოდა მოძრაობის გამოცოცხლება. ეს პირველი საფეხური იყო. მოსკოვის რაიონი იყო დამწყები.

წელიწადნახევრის წინათ მუშები შეტევითს გაფიცვებზე გადადიან. ისინი აყენებენ ახალ ეკონომიურ მოთხოვ-

ნებს, ცდილობენ მიაღწიონ 1905—1906 წლების პირობებს, რომლებიც მუშებს წაერთვა კონტრრევოლუციური თარეშის დროს. ეს იყო მეორე საფეხური. დამწყებნი იყვნენ დასავლეთი განაპირა კუთხეები.

ახლა დაიწყო მესამე საფეხური, პოლიტიკური მოძრაობის პერიოდი.

საფეხურიდან საფეხურზე!

ეს მოსალოდნელიც იყო. აღმავლობა მრეწველობის ძირითად დარგებში და კაპიტალისტურ მოგებათა ზრდა რეალური ხელფასის დაცემასთან ერთად; ბურჟუაზიის პროფესიულ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ზრდა მუშათა ორგანიზაციების დანგრევასთან ერთად; საარსებო პროდუქტების ფასების აწევა და მემამულეთა შემოსავლის ზრდა 30 მილიონი გლეხის შიმშილობასთან ერთად, როცა გაჭირვებაში ჩაცვივნული დედები და მამები იძულებული არიან გაყიდონ თავიანთი ქალიშვილები და ვაჟები,— ყოველივე ამას არ შეეძლო პოლიტიკური გამოცოცხლება არ შეეტანა მუშათა კლასის რიგებში.

ლენის მუშების დახვრეტა მხოლოდ სიგნალი იყო.

როგორც ჩანს, «შიპკაზე სრული სიმშვიდე როდია». ამას გრძნობენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომლებიც გაფაციცებით ემზადებიან ქვეყნის «დასამშვიდებლად». ეს, როგორც ჩანს, ჩვენი საგარეო პოლიტიკის საქმეებზეც ახდენს გავლენას...

ხოლო ცნობები პოლიტიკური გაფიცვა-პროტესტების შესახებ კვლავ მოდის და მოდის.

უეჭველია, რომ ამუშავდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიწისქვეშა ძალები...

სალამი თქვენ, პირველო მერცხლებო!

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა»
№ 30, 1912 წლის 15 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ლიბერალი ფარისევლები

«რეჩი» ერთხელ კიდევ «შეცდა»! იგი, თურმე, «არ მოელოდა» «მთავრობისაგან» «უტაქტო» განმარტებებს ლენის სამადნოებში მომხდარ მხეცობათა შესახებ. მას, თურმე, «იმედი ჰქონდა», რომ მინისტრი მაკაროვი «კანონიერად აგებინებდა პასუხს» ბატონ ტრეშჩენკოებს. და უცებ — მაკაროვის განცხადება იმის შესახებ, რომ ტრეშჩენკო მართალია, ხოლო მუშებს კვლავაც დახვრეტენ ხოლმე!

«ჩვენ შევცდით», ცრუ მწუხარებით აღნიშნავს ამის გამო ლიბერალური «რეჩი» (იხ. 12 აპრილის «რეჩი»).

საწყალი კადეტები, მერამდენეჯერ «სცდებიან» ისინი მთავრობაზე დამყარებულ თავიანთ ვარაუდებში!

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ისინი «ფიქრობდნენ», რომ რუსეთში არის კონსტიტუცია; და ისინი ყველა ენაზე ფიცულობდნენ ევროპის წინაშე, «ჩვენი გაერთიანებული მთავრობა» «სავსებით კონსტიტუციურიაო». ეს იყო ლონდონში, რუსეთს დაშორებით. მაგრამ საკმარისი იყო დაბრუნებულიყვნენ ისინი რუსეთში, «მიხედულობათა» და «აღკვეთათა» ქვეყანაში, რომ ელიარებინათ თავიანთი «შეცდომა» და «იმედი გასცრუებოდათ».

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მათ «სწამდათ», რომ სტოლიპინმა შეძლო ქვეყნის დაყენება პარლამენტური

«განახლების» გზაზე. მაგრამ საკმარისი იყო სტოლიპინს აემოქმედებინა ცნობილი 87-ე მუხლი [102], — რომ კადეტებს კვლავ დაეწყოთ გალობა «შეცდომებსა» და «გაუგებრობებზე».

განა დიდი ხანია, რაც კადეტებს პარალელი გაჰყავდათ რუსეთის მთავრობასა (გაიხსენეთ ნავსადგურთა მუშების გაფიცვა) და ინგლისის მთავრობას შორის გაფიცვებისადმი მათი დამოკიდებულების მხრივ? მაგრამ საკმარისი იყო ლენის დრამა მომხდარიყო, რომ კადეტებს ერთხელ კიდევ ეგალობნათ თავიანთი ფარისევლური «ჩვენ შევცდით».

და საგულისხმოა: «შეცდომები» და «იმედგაცრუებანი» სულ უფრო და უფრო მატულობს, მთავრობის წინაშე ლაჭუცობის კადეტური ტაქტიკა კი უცვლელი რჩება!

საწყალი, საწყალი კადეტები! ისინი, როგორც ჩანს, «ვარაუდს ამყარებენ» მიამიტ მკითხველებზე, რომლებსაც სწამთ მათი გულწრფელობა.

ისინი «ფიქრობენ», რომ მოსახლეობა ვერ ამჩნევს მათს ლაქიურ მანჭვა-გრეხას რუსეთის განთავისუფლების ალტრების წინაშე.

მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ თუ დღემდე ისინი წამდაუწუმ «სცდებოდნენ» მთავრობაზე დამყარებულ თავიანთ იმედებში, ახლა მათ მოელით «იმედგაცრუება» მოსახლეობის მასებისაგან, რომლებიც, ბოლოს, შეიგნებენ მათს კონტრრევოლუციურ ხასიათს და ზურგს შეაქცევენ მათ.

მაშინ ვიღას მოატყუებენ ბატონი კადეტები?

ლაქიობა მთავრობის წინაშე, ფარისევლობა ქვეყნის წინაშე — მაშ რისთვისღა უწოდებენ მათ «სახალხო თავისუფლების პარტიას»?

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა»
№ 30, 1912 წლის 15 აპრილი.
ხელმოწერა: ს.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

უპარტიოდ ახირებულნი

უპარტიო პროგრესიზმი მოდად შემოვიდა. ასეთია რუსი ინტელიგენტის ბუნება — მას მოდა ესაჭიროება. გატაცებული იყვნენ სანინობით, მისდევდნენ დეკადენტობას, — ახლა უპარტიობის რიგია.

რა არის უპარტიობა?

რუსეთში არსებობენ მემამულეები და გლეხები, მათი ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა, მათ შორის ბრძოლა — გარდუვალი მოვლენაა. მაგრამ უპარტიობა გვერდს უვლის ამ ფაქტს, იგი მიდრეკილებას იჩენს მიაფუჩეჩოს ინტერესთა წინააღმდეგობა.

რუსეთში არსებობენ ბურჟუები და პროლეტარები, ერთ-ერთი ამ კლასის გამარჯვება მეორის დამარცხებას ნიშნავს. მაგრამ უპარტიობა ჩქმალავს ინტერესთა წინააღმდეგობას, იგი თვალს ხუჭავს, რომ ვერ შეამჩნიოს მათი ბრძოლის ფაქტი.

ყოველ კლასს ჰყავს განსაკუთრებული პროგრამის, განსაკუთრებული სახის მქონე თავისი პარტია. პარტიები ხელმძღვანელობენ კლასთა ბრძოლას: უპარტიებოდ — ბრძოლა კი არ იქნებოდა, არამედ ქაოსი, გაურკვევლობა, ინტერესთა აღრევა. მაგრამ უპარტიობას არ უყვარს სი-

ცხადე და გარკვეულობა, იგი ამჯობინებს ბუნდოვანებასა და უპროგრამობას.

კლასობრივ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, კლასთა ბრძოლის მიჩქმალვა, ფიზიონომიის უქონლობა, პროგრამულობასთან ბრძოლა, ქაოსისა და ინტერესთა აღრევისაკენ მისწრაფება — ასეთია უპარტიობა.

რის მიღწევას ცდილობს უპარტიობა?

— იმის გაერთიანებას, რის გაერთიანებაც შეუძლებელია, იმის განხორციელებას, რის განხორციელებაც შეუძლებელია.

ბურჟუებისა და პროლეტარების შეკავშირება, მემამულეებსა და გლეხებს შორის ხიდის გადება, გედის, კიბოს და ღლავის დახმარებით ურმის დაძვრა — აი საითკენ მიისწრაფის უპარტიობა.

უპარტიობა გრძნობს თავის უძლურებას იმის გაერთიანების საქმეში, რის გაერთიანებაც შეუძლებელია, და ამიტომ ოხრავს:

«ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამისრულაო!»

მაგრამ ნატვრა არა სრულდება, და უპარტიობა ყოველთვის ხახამშრალი, პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

უთავო კაცი, ან — უფრო ზუსტად — მხრებზე თავის ნაცვლად თალგამის მქონე — აი უპარტიობა.

სწორედ ასეთი პოზაცია უკავია «პროგრესულ» ჟურნალს «ზაპროსი ჟიზნი» [103].

«მემარჯვენე პარტიებმა უკვე მიიღეს თავიანთი გადაწყვეტილება, — ამბობს «ზაპროსი ჟიზნი», — ისინი შეერთდებიან ერთ რეაქციულ მასად მთელ პროგრესულ ოპოზიციასთან საბრძოლველად... ამიტომ მემარჯვენეთა ბლოკს უნდა დაუპირისპირდეს მემარცხენეთა ბლოკი, რომელიც მოიცავს ყველა პროგრესულ საზოგადოებრივ ელემენტს» (იხ. «ზაპროსი ჟიზნი» № 6).

მერე ვინ არიან ეს «პროგრესული ელემენტები»?

ესენი არიან მშვიდობიან-განმაახლებლები [104], კადეტები, ტრუდოვიკები, სოციალ-დემოკრატები. ესე იგი «პროგრესული» ბურჟუები, მოლიბერალო მემამულეები, მემამულეთა მიწას მოწყურებული გლეხები და ბურჟუებთან მებრძოლი პროლეტარები.

და «ზაპროსი ჟიზნი» ცდილობს გააერთიანოს ეს «ელემენტები»!

ხომ დაგვეთანხმებით, რომ ეს მეტად ორიგინალური და... არაგონივრულია.

და უპრინციპო ადამიანთა ეს ორგანო აპირებს ლექციები უკითხოს სოციალ-დემოკრატებს IV სათათბიროს არჩევნებში ტაქტიკის შესახებ?

ახირებულნი!..

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა»
№ 30, 1912 წლის 15 აპრილი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ. ს-ნი.

ცხოვრება იმარჯვებს!

«პეტიციებმა, რომლებიც მუშებმა გამოგზავნეს კოალიციების... თავისუფლების მოთხოვნით, სრულებითაც არ შეუმსუბუქეს მათ მდგომარეობა, არამედ, პირიქით, ამ მოთხოვნის პასუხად მუშებმა დახვრეტა მიიღეს»...

დეპუტატ კუზნეცოვის სიტყვიდან

ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო — სულ ერთი წლის წინათ — როცა «ლეგალური პარტიის» თავგამოდებულმა დამცველებმა, ბატონმა ლიკვიდატორებმა, ხმაურითა და ღრიანცელით დაიწყეს ეგრეთწოდებული საპეტიციო კამპანია.

ლიკვიდატორების «პუბლიცისტური» ორგანო, ყველასათვის ცნობილი «დელო ჟიზნი» [105], წერდა, მუშათა მოძრაობის მორიგი ამოცანაა კოალიციების უფლებისათვის ბრძოლა **პეტიციების გზით.**

ლიკვიდატორების «მეცნიერული» ორგანო, «ნაშა ზარია» [106], ამ ამოცანას «ასაბუთებდა» და მუშებს არწმუნებდა, პეტიციები თავის გარშემო «ფართო მასებს» დარაზმავენო.

მაგრამ აი ლენის სამადნოებში სისხლისმღვრელი დრამა დატრიალდა, სცენაზე გამოვიდა ცოცხალი ცხოვრება მისი ულმობელი წინააღმდეგობებით, — და ლიკვიდატორების

საპეტიციო ტაქტიკა ნაცარტუტად იქცა. კანონიერი გაფიცვა, პეტიციები, თხოვნები — ყველაფერი გაქარწყლდა. «განახლებულმა» წყობილებამ თავისი ნამდვილი სახე გვიჩვენა. ხოლო ამ წყობილების წარმომადგენელმა, მინისტრმა მაკაროვმა, თითქოს მეტი სიცხადისათვის, განაცხადა, 500 მუშის დახვრეტა ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, ეს მხოლოდ დასაწყისია, შემდეგშიც ღვთის შეწევნით იგივე იქნებაო...

აი ამას ჰქვია — კაკალ გულშიო! ხმაურით გამოსული საპეტიციო ტაქტიკა ცხოვრებამ გააცამტვერა! პეტიციების პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა!

მაშასადამე, პეტიციები ვერ გადაწყვეტენ საუკუნეობრივ დავას ძველსა და ახალ რუსეთს შორის...

ხოლო მრავალრიცხოვანი მიტინგები და მუშების გაფიცვები, რაც რუსეთის ყველა კუთხეში დაიწყო, ლენის ხოცვა-ჟლეტის გამო — განა ისინი ერთხელ კიდევ არ მოწმობენ, რომ მუშები პეტიციების გზას არ გაჰყვებიან?

მოუსმინეთ მუშათა დეპუტატს კუზნეცოვს:

«არსებითად რომ ვთქვათ, პეტიციებმა, რომლებიც მუშებმა გამოგზავნეს კოალიციების თავისუფლების მოთხოვნით, სრულებითაც არ შეუმსუბუქეს მათ მდგომარეობა. არამედ, პირიქით, ამ მოთხოვნების პასუხად მუშებმა დახვრეტა მიიღეს»...

აი რას ამბობს დეპუტატი კუზნეცოვი.

სხვანაირად ლაპარაკი არც შეუძლია მუშათა დეპუტატს, რომელიც ყურს უგდებს მისთვის მშობლიური მუშათა წრის ხმას.

არა, ბედი არა სწყალობს ლიკვიდატორებს!..

მერე, საპეტიციო ტაქტიკას რაღა ვუყოთ? სად წავიღოთ იგი?

— რა თქმა უნდა, სადმე შორს მუშებისაგან...

დიახ, დიახ, ცხოვრების გაკვეთილები, როგორც ჩანს, ლიკვიდატორებსაც კი არ ჩაუვლით ხოლმე ფუჭად. პეტიციებით გაბრუება, თითქოს, თანდათანობით ნელდება. მაშ ასე, მივესალმებით მათს გამოფხიზლებას, სულითა და გულით მივესალმებით!

ჩვენ ხომ დიდი ხანია ვიმეორებთ: ცხოვრება ყოვლისმძლეა, და იგი მუდამ იმარჯვებს...

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა»
№ 30, 1912 წ. 15 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს ა ლ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

ისინი კარგად მუშაობენ...

ლენის მუშების დახვრეტის შემდეგ — გაფიცვები და პროტესტები რუსეთში.

სათათბიროში მინისტრ მაკაროვის «ახსნა-განმარტების» შემდეგ — დემონსტრაცია რუსეთის სატახტო ქალაქში.

მთავრობას უნდოდა სისხლისმღვრელ «განკარგულებათა» მუხრუჭში მოექცია რუსეთი.

რუსეთი კი მთავრობაზე ძლიერი აღმოჩნდა და გადაწყვიტა თავისი გზით იაროს...

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი ლენის ამბების ისტორიას.

ლენის სამადნოებში 6 000 მუშის გაფიცვა მიმდინარეობდა. მშვიდობიანი, ორგანიზებული გაფიცვა. რა თქმა უნდა, ცრუპენტელა «რეჩს» შეუძლია ილაპარაკოს «სტიქიურ ამბოხებაზე» ლენის სამადნოებში (იხ. № 103). მაგრამ ჩვენ ცრუპენტელა «რეჩს» კი არ ვუგდებთ ყურს, არამედ თავისი თვალით მნახველ ტულჩინსკის «მოხსენებას». ხოლო ბ-ნი ტულჩინსკი ამტკიცებს, მუშებს იმ დღეს ჩინებულად ეჭირათ თავი, მათ «არავითარი ქვა და ჯოხი არ ჰქონიათო». შემდეგ კი, სამადნოებში მუშაობის ჯოჯოხეთური პირობები, მინიმალური მოთხოვნები მუშების მხრივ, ნებაყოფლობით ხელის აღება რვა საათის მოთხოვნაზე.

მუშების მზადყოფნა შემდგომი დათმობებისათვის — ყოველივე ეს ლენის მშვიდობიანი გაფიცვის ნაცნობი სურათია.

მიუხედავად ამისა მთავრობამ საჭიროდ ცნო დაეხვრიტა მუშები, მშვიდობიანი, უიარაღო მუშები, რომლებსაც ხელში თამბაქოს ქისები ჰქონდათ, ჯიბეში ედოთ განცხადებები დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლების შესახებ...

ტრეშჩენკო პასუხისგებაში არ მიუციათ, — განა ცხადი არ არის, რომ იგი ზემოდან მიღებული განკარგულებით მოქმედებდა?

გადაწყდა პასუხისგებაში მისცენ მუშები, და არა ტრეშჩენკო, — განა ცხადი არ არის, რომ ვიღაცას სწყუროდა პროლეტარიატის სისხლი?

დახვრეტის დღეს ორი კურდღლის მოკვლა უნდოდათ. ჯერ ერთი, დაეკმაყოფილებინათ ლენელი კაციჭამიების ხარბი მადა. მეორეც, დაეშინებინათ სხვა ქალაქებისა და ადგილების მუშები, — უდრტვინველად ზიდეთ კაპიტალის უღელი, თორემ თქვენც იმას გიზამთ, რაც ლენის მუშებს ვუყავითო.

შედეგი კი ის არის, რომ ვერც ერთს მიაღწიეს, ვერც მეორეს.

ლენელი კაციჭამიები დაკმაყოფილებული არ არიან, ვინაიდან სამადნოებში გაფიცვა გრძელდება.

სხვა ქალაქების მუშები კი არათუ დაშინებული არ არიან, არამედ, პირიქით, დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ზედიზედ აწყობენ გაფიცვებს.

უფრო მეტიც. მაკაროვის «ახსნა-განმარტებას» რუსეთის სატახტო ქალაქმა, პეტერბურგმა, ათასობით სტუდენტისა და მუშის დემონსტრაციით უპასუხა.

რუსეთის საზოგადოების ყველაზე გულისხმიერმა ნაწილმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, ხელი გაუწოდა რუსი ხალხის ყველაზე რევოლუციურ ნაწილს, პროლეტარიატს,

წითელი დროშები ააფრიალა და გამოაცხადა: დიახ, «ასე იყო», მაგრამ ასე აღარ უნდა იყოს!

ლენის სამადნოებში მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვიდან — პოლიტიკური გაფიცვებისაკენ რუსეთში, პოლიტიკური გაფიცვებიდან რუსეთში — სტუდენტთა და მუშათა მრავალათასიანი დემონსტრაციისაკენ რუსეთის თვით ცენტრში, — აი რას მიაღწიეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუშების წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში.

დიახ, კარგად «თხრის თხუნელა» გამათავისუფლებელი მოძრაობისა, რუსეთის შორსმჭვრეტელო მთავრობავ!

კიდევ ორი-სამი ასეთი «გმირობა», და დაუეჭვებლად შეიძლება ითქვას, რომ მინისტრ მაკაროვის მყვირალა ფრაზისაგან მარტო უბადრუკი მოგონება-ღა დარჩება.

იმუშავეთ, ბატონებო, იმუშავეთ!

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა» № 31, 1912 წ. 17 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს ო ლ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

დაიძრა..

ბორკილებში ჩაჭედილი ჩვენი ქვეყანა მის დამმონებელთა ფერხთ ქვეშ იყო განრთხმული.

მას უნდოდა სახალხო კონსტიტუცია, — ხოლო მიიღო ველური თვითნებობა, «აღკვეთათა» და «მიხედულობათა» ზომები.

მას ესაჭიროებოდა სახალხო პარლამენტი, — ხოლო მიართვეს ბატონების სათათბირო, პურიშკევიჩისა და გუჩკოვის სათათბირო.

მას უნდოდა სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვების, კავშირების თავისუფლება, — თავის გარშემო კი იგი ხედავს მხოლოდ დანგრეულ მუშათა ორგანიზაციებს, დახურულ გაზეთებს, დაპატიმრებულ რედაქტორებს, გარეკილ კრებებს, გადასახლებულ გაფიცულებს.

იგი მოითხოვდა მიწას გლეხებისათვის, — ხოლო მიართვეს აგრარული კანონები, რომლებმაც გლეხთა მასები მიწის მხრივ კიდევ უფრო მეტ გაჭირვებაში ჩააგდეს სოფლის ერთ მუჭა მდიდართა საამებლად.

მას დაჰპირდნენ «პიროვნებისა» და «საკუთრების» დაცვას, — საპყრობილეები და გადასახლების ადგილები კი სავსეა «არაკეთილსაიმედოებით», ხოლო სამძებრო პოლიციის უფროსები (გაიხსენეთ კიევი, თბილისი!) კავშირს ამყარებენ ბანდიტებთან და ქურდებთან პიროვნების დასაჩაგრავად და საკუთრების დასატაცებლად.

მას დაჰპირდნენ «კეთილდღეობასა» და «წარმატებას», გლეხური მეურნეობა კი სულ უფრო ჭვეითდება, ათეულ მილიონობით გლეხი შიმშილობს, სურავანდი და ტიფი ათასობით მსხვერპლს იწირავს...

ქვეყანა კი ითმენდა და ითმენდა...

ხოლო ისინი, ვისაც მოთმენა არ შეეძლო, თვითმკვლელობას მიმართავდნენ.

მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო, — ამოიწურა ჩვენი ქვეყნის მოთმინებაც.

ლენაზე თოფის გასროლამ დაამსხვრია მდუმარების ყინული, და — დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე.

დაიძრა!..

ყველაფერმა, რაც კი ბოროტი და დამღუპველი იყო თანამედროვე რეჟიმში, ყველაფერმა, რაც აწუხებდა მრავალტანჯულ რუსეთს — ყველაფერმა ამან თავი მოიყარა ერთ ფაქტში, ლენის ამბებში.

აი რატომ იყო, რომ სწორედ ლენაზე თოფის გასროლა გახდა გაფიცვებისა და დემონსტრაციების სიგნალი.

ამაში — და მხოლოდ ამაში — უნდა ვეძებოთ უკანასკნელი ამბების ახსნა.

სათათბიროს მოთავეები კი — ოქტიაბრისტები, კადეტები, პროგრესისტები [107] — «ახსნა-განმარტებას» ელიან ზემოდან, ხელისუფლების წარმომადგენლების ბაგეთაგან!

ოქტიაბრისტებს «შეკითხვა შეაქვთ», პროგრესისტები პირდაპირ «ეკითხებიან», კადეტებს «დროულად მიაჩნიათ» ოლაპარაკონ ვიღაც ტრეშჩენკოებზე — მოვლენათა უბადრუკ მარიონეტებზე!

და ეს მაშინ, როცა მაკაროვმა უკვე მიახალა მათ თავისი მკვეხარა: «ასე იყო, ასე იქნება»!

რუსეთის სატახტო ქალაქში გაფიცული არიან ათეულ ათასობით მუშები, ჯარები საბრძოლველად არიან გამზა-

დებული, შინაგან «გართულებათა» გამო იფუშება საქმეები «ჩვენი» საგარეო პოლიტიკისა დარდანელის საკითხში, — ისინი კი პასუხს ზემოდან — «სფეროებისაგან» ელიან!

ბრმები! ვერ ხედავენ, რომ ამ დღეებში სიტყვა ეკუთვნის პროლეტარიატს და არა ხელისუფლების წარმომადგენლებს...

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა» № 32, 1912 წ. 19 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

რატომ ემზადებიან ისინი არჩევნებისათვის

ახლოვდება IV სათათბიროს არჩევნები[108], და განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ძალებს რაზმავენ.

ჩვენს წინაშე არიან უწინარეს ყოვლისა კონტრრევოლუციური პარტიები: უკიდურესი მემარჯვენეები, ნაციონალისტები, ოქტიაბრისტები. ყველა ისინი ასე თუ ისე მხარს უჭერენ მთავრობას. რის იმედი შეიძლება ჭონდეთ მათ მომავალ საარჩევნო კამპანიაში? რა თქმა უნდა, არა მოსახლეობის ფართო ფენების თანაგრძნობისა: პარტიებს, რომლებმაც თავიანთი ბედი ლენის მუშების დამხვრეტი მთავრობის ბედს დაუკავშირეს, — არ შეუძლიათ მასების თანაგრძნობის იმედი ჰქონდეთ! მათი ერთადერთი იმედია მთავრობის «განკარგულებანი». ხოლო «განკარგულებათა» ნაკლებობა, როგორც ვიცით, არ იქნება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაუგზავნა გუბერნატორებს ცირკულარი, რომლითაც მათ ურჩევს მიიღონ «ღონისძიებანი თემების რწმუნებულებად სავსებით კეთილსაიმედო და არამემარცხენე პირთა არჩევის უზრუნველსაყოფად». სინამდვილეში კი რით გამოიხატება ყველა ეს «ღონისძიებანი» — ეს ჩვენ პრაქტიკით ვიცით: სიებიდან მემარცხენე კანდიდატების ამოშლა, მათ წინააღმდეგ

პროცესების ხელოვნურად შექმნა, დაპატიმრება, გადასახლება, — აი ეს «ღონისძიებანი»! მეორე მხრივ, უწმინდესი სინოდი ეპარქიების ეპისკოპოსებს ურჩევს უაღრესად ცხოველი მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში, გაიყვანონ სათათბიროში ეკლესიის ინტერესების მტკიცე დამცველნი, ამ მიზნით მოიწვიონ ეპარქიის სამღვდელოების წინასაარჩევნო კრებები, შეუდგნენ სპეციალური წინასაარჩევნო გაზეთების გამოცემას და ა. შ.

ცუდად, ცუდად ყოფილა მთავრობის პარტიების საქმე, თუ ეკლესიის მამებიც კი იძულებული ხდებიან მათი გულისთვის «საეკლესიო საქმეები» მიატოვონ «საერო საქმეების» გამო!

არჩევნები სასულიერო და საერო გუბერნატორების ზეგავლენით — აი, მაშასადამე, რა საშუალებათა იმედი შეიძლება ჰქონდეთ მათ.

მართალია, არის კიდევ ერთი საშუალება — მიიწვებენ უპარტიობის მარკა, თვალი აუხვიონ ამომრჩევლებს, როგორმე გაძვრნენ სათათბიროში და შემდეგ მოიხსნან ნიღაბი. სწორედ აქეთ მიჰყავთ «საქმე» კოვნოელ ნაციონალისტებს, რომლებიც ამ დღეებში უპარტიობის ნიღაბით გამოვიდნენ. მაგრამ ეს საშუალება სათუთია და, ალბათ, არც გამოადგებათ ჩვენს ტლანქ შავრაზმელებს...

სულ სხვაა რუსეთის ლიბერალები: კადეტები, მშვიდობიან-განმაახლებლები, პროგრესისტები. ეს გაქნილი ხალხია და იგი, ალბათ, მოახერხებდა ბოლომდე გამოეყენებინა უპარტიობის მარკა... ასეთი უპარტიობა კი სჭირდებათ გახუნებულ კადეტებს, მეტისმეტად სჭირდებათ.

საქმე ის არის, რომ III სათათბიროს პერიოდში ობივატელმა ისწავლა ოქტიაბრისტებისათვის, კადეტებისათვის კრიტიკის თვალით ცქერა. მეორე მხრივ, «პირველი კურიის» ხალხს, ქალაქის მსხვილ ბურჟუებს, «გული გაუტყდა» ოქტიაბრისტებზე, რომლებმაც იმედი არ «გაუმართლეს».

მაშასადამე, არის შესაძლებლობა «უნაგირიდან ჩამოაგდონ» ოქტიაბრისტები, კადეტების კონკურენტები სამინისტროების დერეფნებისათვის ბრძოლაში. მაგრამ როგორ გაიდოს ხიდი «პირველ კურიასთან» დასაკავშირებლად, თუ არ პროგრესულ მშვიდობიან-განმაახლებელთა მეშვეობით? ამიტომ — გაუმარჯოს მშვიდობიან-განმაახლებლებთან კავშირს! მართალია, ამისათვის საჭიროა «ცოტა» გამემარჯვენება, მაგრამ არა უშავსრა: განა არ შეიძლება გამემარჯვენება, თუ კი ეს ასე ხელსაყრელია?

მაშასადამე, სწორება მარჯვნივ!

მეორე მხრივ, «მეორე კურიის» «ქალაქის დაბალმა და საშუალო ფენებმა», ინტელიგენციამ, ნოქრებმა და სხვებმა, მოასწრეს საკმაოდ გამემარცხენება, განსაკუთრებით ლენის ამბებთან დაკავშირებით, რომლებიც ფართოვდება. კადეტები გრძნობენ, რომ მძიმე პოლიტიკური ცოდვები მიუძღვით, ისინი ძალიან ხშირად ცდილობდნენ ეღალატნათ «ხალხის თავისუფლების» საქმისათვის, ისინი ახლაც — ღმერთია მოწამე! — სიხარულით გაეშურებოდნენ სამინისტროების დერეფნებისაკენ, დარწმუნებული რომ იყონ, რომ შეუშვებენ. მაგრამ სწორედ ამიტომ ქალაქის დემოკრატიული ფენები უკვე ალმაცერად უყურებენ კადეტებს. განა კიდევ თქმა უნდა, რომ ასეთი ამომრჩევლის წინაშე უნიღბოდ, ლიბერალ მოღალატეთა საკუთარი ფიზიონომიით გამოსვლა, ცოტა არ იყოს, სახიფათოა? მაგრამ ამ შემთხვევაში რაღა უნდა გამოიგონონ გამემარცხენებული ქალაქელი ხალხისათვის, რომელიც უკვე შორდება კადეტებს, მაგრამ ესდეკებთან ჯერ კიდევ არ მისულა? რა თქმა უნდა, პროგრესული ბურუსი... ესე იგი — პროგრესული უპარტიობა. არა, არ იფიქროთ, რომ პროგრესისტები კადეტები არიან! არა, ისინი სრულებითაც არ არიან კადეტები, ისინი მხოლოდ ხმას მისცემენ კადეტების კანდიდატებს, ისინი კადეტების მხოლოდ «უპარტიო» ნოქრები არიან... და კადეტე-

პიც რეკლამას უკეთებენ «უპარტიო» პროგრესისტებს: სხვანაირად არ შეიძლება, სიტყვით მაინც უნდა გამემარცხენდნენ... უპარტიობისაკენ!

მაშასადამე, სწორება მარცხნივ!

ერთი მხრივ... მეორე მხრივ... მარჯვნისაკენ... მარცხნისაკენ... ასეთია ხალხის ლიბერალური მოტყუების პარტიის, კადეტების პარტიის პოლიტიკა.

ამომრჩევლის თვალის ახვევა — აი რა საშუალების იმედი ექნებათ რუსეთის ლიბერალებს.

და — ამას ხაზი უნდა გაესვას — უპარტიო შარლატნობას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს არჩევნებში. მას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს, თუ სოციალ-დემოკრატები არ გამოააშკარავებენ ნიღბიან ლიბერალ ვაჭბატონებს, თუ ისინი ენერგიულ კამპანიას არ გააჩაღებენ მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით, თუ ისინი მათს განკარგულებაში არსებულ მთელ ძალებს არ მოახმარებენ იმას, რომ ქალაქის დემოკრატიული ფენები დაირაზმონ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარშემო, რუსეთის პროლეტარიატის გარშემო.

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა»
№ 32, 1912 წ. 19 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს ო ლ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

დასკვნები

პოლიტიკური აღმავლობის პირველი ტალღა ნელდება. ხდება «უკანასკნელი» გაფიცვები. აქა-იქ კიდევ გაისმის პროტესტის განმცხადებელ გაფიცულთა ხმები, მაგრამ ეს «უკანასკნელი» ხმები იქნება. ქვეყანა, ჯერჯერობით, «ჩვეულებრივ» სახეს იღებს...

რა გაკვეთილების გამოტანა შეუძლია პროლეტარიატს უკანასკნელი ამბებიდან?

აღვადგინოთ «მოძრაობის დღეების» სურათი.

4 აპრილი. ლენის მუშების დახვრეტა. 500-მდე მსხვერპლი მოკლული და დაჭრილი. ქვეყანაში, თითქოს, სიმშვიდეა. მთავრობის განწყობილება მტკიცეა. სამხრეთში იწყება გაფიცვა-პროტესტები.

10 აპრილი. შეკითხვა სათათბიროში. გაფიცვების რიცხვი მატულობს. მდგომარეობა საშიში ხდება.

11 აპრილი. მინისტრ მაკაროვის პასუხი: «ასე იყო, ასე იქნება». ტიმაშოვი «არც თუ სავსებით» ეთანხმება მაკაროვს. პირველი შეშფოთება ხელისუფლების წარმომადგენელთა რიგებში. პეტერბურგში ეწყობა მიტინგები და გაფიცვები. პროვინციაში მოძრაობა ძლიერდება.

15 აპრილი. პეტერბურგში სტუდენტებისა და მუშების დემონსტრაცია.

18 აპრილი. პეტერბურგში გაფიცულია 100 000-ზე მეტი მუშა. იმართება მუშათა დემონსტრაციები. ხელისუფლება

თავგზას კარგავს. მაკაროვი ვერ ბედავს სათათბიროში გამოჩენას. ტიმაშოვი ბოდიშს იხდის. ხელისუფლება უკან იხევს. დათმობა «საზოგადოებრივი აზრისადმი».

დასკვნა ნათელია: დუმილით, მოთმინებით შეუძლებელია მონობისაგან გათავისუფლების მიღწევა. რაც უფრო მტკიცედ გაისმის მუშების ხმა, მით უფრო მეტად კარგავენ თავგზას რეაქციის ძალები, მით უფრო მალე იხევენ უკან...

«მოძრაობის დღეები» საუკეთესო ასპარეზია პოლიტიკური პარტიების გამოსაცდელად. პარტიები უნდა ფასდებოდნენ იმის მიხედვით კი არა, თუ რას ლაპარაკობენ ისინი, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან «ბრძოლის დღეებში». მერე როგორ იქცეოდნენ ამ დღეებში ის პარტიები, რომლებიც თავიანთ თავს «სახალხო» პარტიებს უწოდებენ?

უკიდურეს-შავრაზმელ მემამულეთა ჯგუფი, ზამისლოვსკებისა და მარკოვების მეთაურობით, ძლივს მალავდა თავის სიხარულს ლენის მუშების დახვრეტის გამო. რას ბრძანებთ, ხელისუფლებამ ძალა და სიმკაცრე გამოიჩინა — დაე იცოდნენ «ცუღლუტმა» მუშებმა, ვისთანაც აქვთ საქმე! ისინი ტაშს უკრავდნენ მაკაროვს. მათ ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვის წინააღმდეგ სათათბიროში. მათი გაზეთი «ზემშჩინა» [109] ყოველნაირად უსისიანებდა ხელისუფლებას ლენელი «აგიტატორების», რუსეთის გაფიცული მუშების, მუშურ გაზეთ «ზვეზდას» წინააღმდეგ.

ზომიერ-შავრაზმელ მემამულეთა ჯგუფს, ბალაშოვებისა და კრუპენსკების მეთაურობით, დახვრეტის საწინააღმდეგო, არსებითად, არა ჰქონდა რა, — იგი მხოლოდ წუხდა, რომ ხელისუფლება მეტისმეტი პირდაპირობით, აშკარად მოქმედებდა. ამიტომ «დახოცილთა» გამო ნიანგის ცრემლების ღვრასთან ერთად იგი მთავრობას უსურვებდა

«ტაქტიანობას» დახვრეტის საქმეებში. მან ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვის წინააღმდეგ, ხოლო მისი ორგანო «ნოვოე ვრემია» [110] წინადადებას აძლევდა ხელისუფლებას — «უბოდიშოდ მოპყრობოდა» «გაფიცვის მტკიცე მომხრეებს», დემონსტრანტებისათვის «არ ეკმარებინა იოლი ჯარიმა ან დაპატიმრება, არამედ სასტიკად დაესაჯა» ისინი, დაპატიმრებული «აგიტატორები» კი აღარ გამოეშვა საპყრობილეებიდან.

კონსერვატიულ მემამულეთა და ბურჟუაზიის პარაზიტული ფენების პარტია, ოქტიაბრისტების პარტია, გუჩკოვებისა და გოლოლობოვების მეთაურობით, დახვრეტილებს კი არ ნაღვლობდა, არამედ იმას, რომ სამინისტროს, რომელსაც იგი მხარს უჭერს, «უსიამოვნება» (გაფიცვები) შეემთხვა იმის გამო, რომ ლენის მაღაროებში «არასწორად იქნა გამოყენებული სასროლი იარაღი». თავის ორგანოში «გოლოს მოსკვი» [111] იგი მაკაროვის გამოსვლას «არასავსებით ტაქტიანს» უწოდებდა და რწმენას გამოთქვამდა, რომ მთავრობა «უდანაშაულოა სისხლის დაღვრაში». ამ პარტიამ ჩაშალა სოციალ-დემოკრატების შეკითხვა. იგი ხელისუფლებას უსისხიანებდა «წამქეზებლების» წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ტიმაშოვმა მაკაროვის რეაბილიტაცია იკისრა, ეს პარტია მას ტაშს უკრავდა და «ინციდენტი» ამოწურულად მიაჩნდა.

ლიბერალი მემამულეებისა და ბურჟუაზიის საშუალო ფენების პარტია, კადეტების პარტია, მილიუკოვებისა და მაკლაკოვების მეთაურობით, ფრაზების ჭექა-ქუხილს ანთებდა ლენის მუშების დახვრეტის წინააღმდეგ, მაგრამ ფიქრობდა, რომ საქმე რეჟიმის საფუძვლები კი არ არის, არამედ პიროვნებანი, როგორიც არიან ტრეშჩენკო და ბელოზიოროვი. ამიტომ ამ პარტიამ ერთი კი ჩაამღერა ფარისევლური «შევცდით» მაკაროვის გამოსვლის გამო, მაგრამ სავსებით დაკმაყოფილდა ტიმაშოვის «მონანიებითი» გამოსვ-

ლით და მიყუჩდა. **ერთი მხრივ,** მან მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელიც მოითხოვდა ხელისუფლების წარმომადგენელთა გასამართლებას ქვეყნის მიერ. **მეორე მხრივ,** იგი მიესალმა სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ბატონ მშვიდობიან-განმაახლებლებს, რომლებიც ხელისუფლების იმავე წარმომადგენლებს თხოვდნენ დაეშოშმინებინათ გაფიცული მუშები «კულტურული ზომებით». ხოლო მისი, კადეტების პარტიის, კეთილგანმზრახველობის მიმართ რომ არავითარი ეჭვი არ დარჩენილიყო, — აიღო და თავის «რეჩში» ლენის მუშების გაფიცვა «სტიქიურ ამბოხებად» გამოაცხადა.

აი როგორ იჭცეოდნენ ყველა ეს «სახალხო» პარტიები ძოძრაობის დღეებში».

დაიხსომონ ეს მუშებმა და ჯეროვანი მიუზღონ მათ IV სათათბიროს «არჩევნების დღეებში».

მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იცავდა «ბრძოლის დღეებში» მუშების ინტერესებს. მხოლოდ იგი ამბობდა მთელ სიმართლეს.

დასკვნა ნათელია: სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის ერთადერთი დამცველია. ყველა დანარჩენი აღნიშნული პარტიები მუშათა კლასის მტრები არიან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი სხვადასხვაგვარად ებრძვიან მუშებს: ზოგნი «კულტურული ზომებით», ზოგნი «არასავსებით კულტურულით», ხოლო ზოგნი «სრულიად არაკულტურულითაც».

ახლა, როცა აღმავლობის პირველი ტალღა ნელდება, ბნელი ძალები, რომლებიც ნიანგის ცრემლების ფარდას ეფარებოდნენ, კვლავ ჩნდებიან. «ზემშჩინა» მოუწოდებს აღებულ იქნას «ზომები» მუშათა პრესის წინააღმდეგ. «ნოვოე ვრემია» თხოვს არ დაზოგონ «მტკიცე რწმენის მქონე» მუშები. ხელისუფალნი კი ხელს ჰკიდებენ «საქმეს».

კვლავ და კვლავ აპატიმრებენ «არაკეთილსაიმედოებს». რის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მათ თავიანთ «ახალ ლაშქრობაში», საიდან მიეცათ ასეთი გამბედაობა თავგზააბნეულ ხელისუფალთ?

მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი რამის იმედი: მასობრივი პროტესტების ყოველთვის აღძვრის შეუძლებლობისა, მუშების არაორგანიზებულობისა, მათი არასაკმაო შეგნებულობისა.

პეტერბურგის გაზეთი «ზვეზდა» № 33, 1912 წ. 22 აპრილი.
ხელმოწერა: კ. ს ო ლ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ჩვენი მიზნები

ვინც «ზვეზდას» კითხულობს და იცის, ვინ არიან მისი თანამშრომლები, რომლებიც «პრავდის»[112] თანამშრომლებიც არიან, მას არ გაუჭნელდება იმის გაგება, თუ რა მიმართულებით იმუშავებს «პრავდა». რუსეთის მუშათა მოძრაობის გზის გაშუქება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შუქით, მუშებს შორის სიმართლის გავრცელება მუშათა კლასის მეგობრებისა და მტრების შესახებ, მუშათა საქმის ინტერესების საგუშაგოზე დგომა — აი რა მიზნებს მოემსახურება «პრავდა».

ასეთ მიზნებს რომ ვისახავთ, ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს განზრახვა მივჩქმალოთ სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის არსებული უთანხმოება. უფრო მეტიც: ჩვენ ვფიქრობთ, რომ მძლავრი და სიცოცხლით აღსავსე მოძრაობა წარმოუდგენელია ისე, რომ მასში უთანხმოება არ იყოს, — მხოლოდ სასაფლაოზე შეიძლება «შეხედულებათა სრული იგივეობის» განხორციელება! მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შეხედულებათა სხვადასხვაობის პუნქტები მეტი იყოს, ვიდრე მსგავსების პუნქტები. სრულებითაც არა! რაც უნდა სხვადასხვა შეხედულებისა იყვნენ მოწინავე მუშები, ისინი ვერ დაივიწყებენ, რომ მათ ყველას, ფრაქციების განურჩევლად, — ერთნაირად უწევენ ექსპლოატაციას, რომ ისინი ყველანი, ფრაქციების განურჩევლად, ერთნაირად უუფლებონი არიან. ამიტომ «პრავდა» მოუწოდებს, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთიანობისაკენ, ერთიანობისაკენ რადაც უნდა დაჯდეს. რამდენადაც ჩვენ

შეურიგებელი უნდა ვიყოთ მტრების მიმართ, იმდენადვე გვმართებს გამოვიჩინოთ ურთიერთისადმი დამთმობლობა. ომი მუშათა მოძრაობის მტრებს, მშვიდობა და შეთანხმებული მუშაობა მოძრაობის შიგნით — აი რით იხელძღვანელებს «პრავდა» თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

ამას განსაკუთრებით საჭიროა ხაზი გაესვას ახლა, როცა ლენის ამბები და IV სათათბიროს მოახლოებული არჩევნები განსაკუთრებული კატეგორიულობით აყენებენ მუშების წინაშე ერთიან კლასობრივ ორგანიზაციად დარაზმვის საჭიროების საკითხს...

ვიწყებთ რა მუშაობას, ვიცით, რომ ჩვენი გზა ეკლებით არის მოფენილი. საკმარისია გავიხსენოთ «ზვეზდა», რომლისადმიც ზედიზედ მიმართავენ მთელ რიგ კონფისკაციებსა და «პასუხისგებინებას». მაგრამ ეკლები საშიში არ არის, თუ მუშების თანაგრძნობა, რომლითაც «პრავდა» ახლა არის გარემოსილი, შემდეგშიც გაგრძელდება. ამ თანაგრძნობაში ჰპოვებს იგი ენერგიას ბრძოლისათვის! ჩვენი სურვილია, რომ ეს თანაგრძნობა იზრდებოდეს. ჩვენი სურვილია, გარდამისა, რომ მუშები მარტო თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძლოლა-გამოცემის საქმეში. დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის «უჩვეულო» სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად, მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდჯერ წაიბორძიკებ, და ამასობაში წერასაც ისწავლი...

მაშ ასე, ერთსულოვნად შევუდგეთ მუშაობას!

გაზეთი «პრავდა» № 1,
1912 წ. 22 აპრილი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

სტატია ხელმოუწერელია.

პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის [113]

რუსი ხალხის ის მოთხოვნები, რაც ცხრაას ხუთი წლის მოძრაობამ წამოაყენა, გადაუჭრელი დარჩა.

რეაქციისა და «განახლებული წყობილების» განვითარებამ არამცთუ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები, არამედ — პირიქით — კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ისინი.

მუშები ხშირად მოკლებული არიან არა მარტო იმის საშუალებას, რომ გაიფიცონ, — ვინაიდან არ არის იმის გარანტია, რომ ამისთვის მათ ტყვიას არ დაუშენენ, არა მარტო იმის საშუალებას, რომ მოაწყონ კავშირები და კრებები, — ვინაიდან არ არის იმის გარანტია, რომ ამისთვის მათ არ დააპატიმრებენ, — არამედ იმისაც, რომ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო არჩევნებში, რადგან სულ ერთია მათ ან «განმარტავენ» [114] ან გადაასახლებენ: აკი ამ დღეებში «განმარტეს» პუტილოველები და ნევის გემთსაშენი ქარხნის მუშები!

აღარას ვამბობთ ათეულმილიონობით დაშეულ გლეხობაზე, რომელიც მემამულეებისა და საეროზო უფროსების თვითნებობის ამარაა მიტოვებული...

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ცხრაას ხუთი წლის მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელია.

ხოლო რუსეთის ეკონომიური ცხოვრების მდგომარეობა, მომავალი სამრეწველო კრიზისის უკვე გამოაშკარავე-

ბული ნიშნები და გლეხობის ფართო ფენების სულ უფრო და უფრო გაძლიერებული გაღატაკება ცხრაას ხუთი წლის ამოცანების გადაჭრის საჭიროებას გადაუდებელს ხდის.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთი ცხოვრობს მომავალ მასობრივ მოძრაობათა წინადღით, რომლებიც, შეიძლება, უფრო ღრმა იყოს, ვიდრე ცხრაას ხუთ წელს იყო. ამას მოწმობს ლენის მუშების გამოსვლები, საპროტესტო გაფიცვები «განმარტებათა» წინააღმდეგ და სხვ.

ამ მოძრაობათა წამომწყები, ისევე როგორც ცხრაას ხუთ წელს, რუსეთის საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასი, რუსეთის პროლეტარიატი იქნება.

მისი მოკავშირე კი შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალტანჯული გლეხობა, რომელიც დიდად არის დაინტერესებული რუსეთის განთავისუფლებით.

ბრძოლა ორ ფრონტზე, — ფეოდალურ-ბიუროკრატიული წესწყობილებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს შეუკავშირდეს ძველ ხელისუფლებას, — აი როგორი ფორმა უნდა მიიღოს ხალხის მომავალმა გამოსვლებმა.

და ეს ბრძოლა ძლევამოსილი იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მუშათა კლასი გამოვა სახალხო მოძრაობის მეთაურად.

მაგრამ მუშათა კლასმა რომ ღირსეულად შეასრულოს სახალხო მოძრაობის ბელადის როლი, იგი აღჭურვილი უნდა იყოს თავისი ინტერესების შეგნებით და დიდი ორგანიზებულობით.

სწორედ სათათბიროს ტრიბუნაა ახლანდელ პირობებში პროლეტარიატის ფართო მასების განათლებისა და დარაზმვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

სწორედ ამიტომ ვგზავნით სათათბიროში ჩვენს დეპუტატს, ვანდობთ რა მას და IV სათათბიროს მთელ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ფართოდ გაავრცელონ სათათბი-

როს ტრიბუნიდან ჩვენი მოთხოვნები, და არა კანონმდებლობიას ფუჭი თამაში გამართონ ბატონთა სათათბიროში.

ჩვენი სურვილია, რომ IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და, კერძოდ, ჩვენს დეპუტატს მაღლა ეჭიროთ მუშათა კლასის დროშა მათდამი მტრულს შავი სათათბიროს ბანაკში.

ჩვენი სურვილია, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან ხმა-მაღლა გაისმოდეს სოც.-დემ. ფრაქციის წევრთა ხმები პროლეტარიატის საბოლოო მიზნებზე, ცხრაას ხუთი წლის სრულ და შეუკვეცელ მოთხოვნებზე, რუსეთის მუშათა კლასზე, როგორც სახალხო მოძრაობის ბელადზე, გლეხობაზე, როგორც მუშათა კლასის ყველაზე უფრო საიმედო მოკავშირეზე, ლიბერალურ ბურჟუაზიაზე, როგორც «სახალხო თავისუფლების» მოღალატეზე.

ჩვენი სურვილია, რომ თავის მუშაობაში ზემოხსენებული ლოზუნგების ნიადაგზე IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ერთიანი და შემჭიდროებული იყოს.

რომ იგი თავის ძალას ფართო მასებთან მუდმივ ურთიერთობაში ღებულობდეს.

რომ იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციას.

გამოცემულია ცალკე ფურცლად 1912 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში.

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით.

რწმუნებულთა ნება

მუშათა კურიაში ჩატარებული არჩევნების შედეგები საბოლოოდ გამორკვეულია[115]. ექვსი ამრჩევლიდან 3 ლიკვიდატორია და 3 — «პრავდის» მომხრე. მათგან ვინ დავასახელოთ დეპუტატად? ნამდვილი რომ ითქვას, ვინ უნდა დაგვესახელებინა? მოგვცა თუ არა ამ მხრივ რაიმე მითითებანი რწმუნებულთა კრებამ?

ლიკვიდატორებმა თავიანთი მომხრეების გაყვანა იმიტომ შეძლეს, რომ რწმუნებულებს დაუმალეს თავიანთი შეხედულებები, «ერთიანობანას» თამაშით მიჩქმალეს უთანხმოებანი. მათ მხარი დაუჭირეს უთანხმოებათა მოძულე უპარტიო რწმუნებულებმა, რომლებმაც მათი სიტყვები იწამეს. მაგრამ რარიგადაც არ ცდილობდნენ ლიკვიდატორები წყალი აემღვრიათ, ერთ რამეში — და ყველაზე უმთავრესში — მაინც გამოჩნდა რწმუნებულთა ნება. ეს იყო განაწესის საკითხი. რწმუნებულთა კრებამ დიდი უმრავლესობით მიიღო გარკვეული განაწესი დეპუტატისათვის, «პრავდის» მომხრეთა განაწესი.

თავის ანგარიშში არჩევნების შესახებ «ლუჩი»[116] დუმს ამაზე, მაგრამ იგი ვერ ახერხებს მკითხველებს დაუმალოს სიმართლე, რომელიც ყველა რწმუნებულისათვის ცნობილია. ჩვენ არ დავამახინჯებინებთ მას რწმუნებულთა ნებას.

განაწესი — ეს არის დეპუტატისათვის მიცემული დირექტივა. განაწესი ქმნის დეპუტატს. როგორიცაა განაწესი, ისეთივეა დეპუტატიც. რას გვეუბნება პეტერბურგის დიდი ქარხნების მიერ წამოყენებული და რწმუნებულთა კრების მიერ მიღებული განაწესი?

განაწესი ლაპარაკობს უწინარეს ყოვლისა ცხრაას ხუთი წლის ამოცანებზე, იმაზე, რომ ეს ამოცანები გადაუჭრელი დარჩა, რომ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო მათი გადაჭრა გარდუვალია. ქვეყნის განთავისუფლება, განაწესის მიხედვით, შეიძლება მიღწეულ იქნეს ბრძოლით, ორ ფრონტზე ბრძოლით: ერთი მხრივ, ფეოდალურ-ბიუროკრატიული ნაშთების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამასთან მუშების საიმედო მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ გლეხობა. მაგრამ ბრძოლა შეიძლება ძლევამოსილი იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ჰეგემონია (ხელმძღვანელი როლი) პროლეტარიატის ხელში იქნება. რაც უფრო მეტად შეგნებული და დარაზმული იქნებიან მუშები, მით უკეთ შეასრულებენ ისინი ხალხის ბელადის როლს. ხოლო ვინაიდან სათათბიროს ტრიბუნა დღევანდელ პირობებში მასების დარაზმვისა და განათლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, მუშებიც იმისთვის გზავნიან დეპუტატს სათათბიროში, რომ იგი, და აგრეთვე IV სათათბიროს მთელი ს.-დ. ფრაქცია, იცავდნენ პროლეტარიატის ძირითად ამოცანებს, ქვეყნის სრულ და შეუკვეცელ მოთხოვნებს...

ასეთია განაწესის შინაარსი.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს განაწესი ძირფესვიანად განსხვავდება ლიკვიდატორების «პლატფორმისაგან», — იგი მთლიანად ანტილიკვიდატორულია.

და აი იბადება კითხვა: თუ ლიკვიდატორები მაინც გაბედავენ წამოაყენონ დეპუტატობის თავიანთი კანდიდატი,

მაშინ რა ვუყოთ განაწესს, რომელიც ხომ უნდა გაატაროს დეპუტატმა, რაკი ამის შესახებ რწმუნებულთა ყრილობის გარკვეული გადაწყვეტილება არსებობს?

ანტილიკვიდატორული განაწესი, გატარებული ლიკვიდატორის მიერ, — განა ასეთ სამარცხვინო რამემდე ჩამოქვეითდებიან ჩვენებური ლიკვიდატორები?

გრძნობენ თუ არა ლიკვიდატორები, რომ «ერთიანობანას» თამაშმა ჩიხში მოამწყვდია ისინი?

ან, შეიძლება, ისინი ფიქრობენ დაარღვიონ განაწესი, დაივიწყონ იგი?

მაგრამ რა ვუყოთ მაშინ რწმუნებულთა ნებას, რომლის დასაცავად უთუოდ გამოვლენ პეტერბურგის მუშები?

გაბედავენ კი ლიკვიდატორები ფეხქვეშ გათელონ რწმუნებულთა ნება?

ისინი კიდევ გამარჯვებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ გრძნობენ თუ არა, რომ განაწესმა მათ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა იმის ხაზგასმით, რომ დეპუტატი შეიძლება იყოს მხოლოდ ანტილიკვიდატორიო?

გაზეთი «პრავდა» № 147,
1912 წლის 19 ოქტომბერი.
ხელმოწერა: კ. ს ტ.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

პეტერბურგის მუშათა კურიაში ჩატარებული არჩევნების შედეგებისათვის

1. რწმუნებულთა არჩევნები

მუშების განწყობილების ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს, 1907 წელთან შედარებით, წარმოადგენს არჩევნებისადმი ინტერესის დიდად გაცხოველება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საწარმოებში აქა-იქ გაფანტულ პატარა-პატარა ჯგუფებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოიკოტისტური განწყობილება სრულებით არ ჩანს. ობუხოვს [117] ბოიკოტი კი არ გამოუცხადებია, არამედ ქარხნის ადმინისტრაციის ნება-სურვილით შესაძლებლობა მოესპო მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. ნევის გემთსაშენი ქარხანა ერთადერთი იყო, სადაც ბოიკოტისტები ორგანიზებულად გამოვიდნენ, მაგრამ იქაც მუშების დიდმა უმრავლესობამ არჩევნებში მონაწილეობას დაუჭირა მხარი. მუშათა ფართო მასები არჩევნებს უჭერდნენ მხარს. კიდევ მეტი, ისინი ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და დიდი ინტერესით ირჩევდნენ, რამდენადაც გადაუსახავ დაბრკოლებებს არ უქმნიდნენ მათ. ამას მოწმობს ამასწინანდელი მასობრივი პროტესტებიც «განმარტებათა» წინააღმდეგ...

ირჩევდნენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს ან სოციალ-დემოკრატების მომხრეებს. ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო მხოლოდ ზოგიერთ საწარმოში მოხერხდა თანმიმდევარი მუშათა დემოკრატიის

პლატფორმის გაშლა, მით უმეტეს, რომ ლიკვიდატორები კეთილგონივრულად უმალავდნენ მუშებს თავიანთ პლატფორმას. მაგრამ იქ, სადაც ეს ხერხდებოდა, მუშები ყველგან იღებდნენ ანტილიკვიდატორთა პლატფორმას «განაწესის» სახით. ასეთ შემთხვევაში ლიკვიდატორები, — ცხადია, პატივს არ სცემდნენ რა არც თავიანთ თავს და არც თავიანთ შეხედულებებს, — აცხადებდნენ, «არსებითად ჩვენც ასეთ განაწესს ვემხრობითო» (ნევის გემთსაშენი ჭარხანა), ამასთან მათ შეჰქონდათ «შესწორებანი» კოალიციის თავისუფლების შესახებ, რომლებსაც მუშები უარყოფდნენ, როგორც ზედმეტს. მაშასადამე, უმთავრესად ირჩევდნენ «პიროვნებათა მიხედვით». და რწმუნებულთა დიდი უმრავლესობაც სოციალ-დემოკრატები ან მათი მომხრეები აღმოჩნდნენ.

სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის ინტერესების ერთადერთი გამომხატველია, აი რას მეტყველებს რწმუნებულთა არჩევნები.

2. ამრჩეველთა არჩევნები

შეკრებილი 82 რწმუნებულიდან გარკვეული ანტილიკვიდატორი იყო 26, გარკვეული ლიკვიდატორი — 15, დანარჩენი 41 — «გაურკვეველი სოციალ-დემოკრატები», სოციალ-დემოკრატების მომხრენი და უპარტიო მემარცხენეები.

ვის მიემხრობა ეს 41 რწმუნებული, რომელ პოლიტიკურ ხაზს მოიწონებენ ისინი — აი საკითხი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აინტერესებდათ «ფრაქციონერებს».

რწმუნებულთა კრებამ დიდი უმრავლესობით მოიწონა «პრავდის» მომხრეების მიერ წარმოდგენილი განაწესი. ამით მან გამოარკვია თავისი ფიზიონომია. გაიმარჯვა ანტილიკვიდატორთა პოლიტიკურმა ხაზმა. ლიკვიდატორების ცდა — ხელი შეეშალათ ამისთვის — ჩაიშალა.

ლიკვიდატორები რომ პოლიტიკურად პატიოსანი ყოფილიყვნენ, ისინი რომ პატივს სცემდნენ თავიანთ შეხედულებებს, — ისინი მოხსნიდნენ თავიანთ კანდიდატებს და ყველა ადგილს «პრავდის» მომხრეებს დაუთმობდნენ. ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ კანდიდატებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ განაწესის მომხრეები. განაწესის **მოწინააღმდეგეები** განაწესის **დამცველებად** — ამის ჩადენა შეეძლოთ მხოლოდ პოლიტიკურ კოტრებს. ლიკვიდატორები ამასაც არ მოერიდნენ! ლიკვიდატორებმა რწმუნებულებს დაუმალეს თავიანთი შეხედულებანი, დროებით «თავისიანებად» მოაჩვენეს თავი, ვითომდა «არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო» მიღებული განაწესისა, თან ერთიანობანას თამაში გააჩაღეს და ანტილიკვიდატორებს უჩიოდნენ — გამთიშველები არიანო, — ამით ცდილობდნენ ისინი გული მოელბოთ არაფრაქციული რწმუნებულისათვის და როგორმე თავიანთი ხალხი «გაეძვრინათ» და, მართლაც, გააძვრინეს ისინი რწმუნებულთა ხმების უმეტესობით.

ცხადი იყო, რომ ლიკვიდატორების ავანტიურიზმს ბოლო არ ექნებოდა.

არა ნაკლებ ცხადი იყო, რომ პეტერბურგის პროლეტარიატი თანაგრძნობით ხვდებოდა «პრავდის» პოლიტიკურ ხაზს, და მხოლოდ მას, რომ, რწმუნებულთა ნება-სურვილის თანახმად, მუშების დეპუტატი მხოლოდ «პრავდის» მომხრე შეიძლება იყოს.

ყოფილი დიდი გამარჯვება ჩვენ არც კი გვსურდა...

8. ორი ერთიანობა

ვიდრე დეპუტატის არჩევნებზე გადავიდოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ «ერთიანობაზე», რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა ამრჩეველთა

არჩევნების დროს და რომელსაც ხელს სჭიდებენ ლიკვიდატორები, როგორც წყალწაღებული — ხავსს.

ამას წინათ ტროცკი «ლუჩში» წერდა — «პრავდა» ოდესღაც ერთიანობის მომხრე იყოო, ახლა კი იგი, თითქოს, ერთიანობის წინააღმდეგია. მერე მართალია ეს? მართალიც არის, და არც არის მართალი. მართალია, რომ «პრავდა» ერთიანობის მომხრე იყო. არ არის მართალი, რომ იგი ახლა ერთიანობის წინააღმდეგია: «პრავდა» მუდამ ერთიანობისაკენ მოუწოდებს თანმიმდევარ მუშათა დემოკრატიას.

მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ, ერთი მხრივ, «პრავდა» და, მეორე მხრივ, «ლუჩი» ტროცკისთან ერთად სულ სხვადასხვანაირად უყურებენ ერთიანობას. ცხადია, ერთიანობა სხვადასხვანაირი ყოფილა.

«პრავდა» ფიქრობს, რომ ერთ მთელად შეიძლება გაერთიანდნენ მხოლოდ ბოლშევიკები და პარტიელი-მენშევიკები. ერთიანობა ანტიპარტიულ ელემენტებთან, ლიკვიდატორებთან გამიჯვნის ნიადაგზე! ასეთ ერთიანობას «პრავდა» მუდამ იცავდა და კვლავაც დაიცავს.

ტროცკი კი სხვანაირად უყურებს ხაქმეს: ის ერთად აქუჩებს ყველას, როგორც პარტიულობის მოწინააღმდეგეებს, ისე მის მომხრეებს. და, რასაკვირველია, მას არავითარი ერთიანობა არ გამოუდის: ხუთი წელია ის ბავშვურად ქადაგებს იმის გაერთიანებას, რის გაერთიანებაც შეუძლებელია, და აი მან კიდევაც მიაღწია იმას, რომ ჩვენ გვაქვს ორი გაზეთი, ორი პლატფორმა, ორი კონფერენცია და არავითარი ერთიანობა მუშათა დემოკრატიასა და ლიკვიდატორებს შორის.

იმ დროს როდესაც ბოლშევიკები და პარტიელი-მენშევიკები სულ უფრო და უფრო მჭიდროვდებიან ერთ მთელად, ლიკვიდატორები უფსკრულს თხრიან თავის თავსა და ამ მთელს შუა.

მოძრაობის პრაქტიკა ადასტურებს «პრავდის» ერთიანობის გეგმას.

მოძრაობის პრაქტიკა ამსხვრევს ტროცკის ბავშვურ გეგმას — გააერთიანოს ის, რის გაერთიანებაც შეუძლებელია.

კიდევ მეტი. ფანტასტიკური ერთიანობის მჭადაგებლიდან ტროცკი იქცევა ლიკვიდატორების ნოქრად, რომელიც ლიკვიდატორების სასურველ საქმეს აკეთებს.

ტროცკიმ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, იმისთვის, რომ ჩვენ გვქონოდა ორი ერთმანეთის მეტოქე გაზეთი, ორი მეტოქე პლატფორმა, ორი ერთმანეთის უარმყოფი კონფერენცია, — და ახლა ეს ყალბკუნთებიანი ჩემპიონი თვითონვე გვიმღერის ერთიანობაზე!

ეს ერთიანობა კი არა, თამაშია, რომელიც კომედიანტს შეეფერება.

და თუ ამ თამაშმა შესაძლებლობა მისცა ლიკვიდატორებს სამი თავიანთი ამრჩეველი გაეყვანათ, ეს იმიტომ, რომ მოკლე დროში შეუძლებელი იყო გვემხილებინა ერთიანობის კომედიანტები, რომლებმაც თავიანთი დროშა დაუმალეს მუშებს...

4. დეპუტატის არჩევნები

აქედან ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რანაირ «ერთიანობაზე» შეეძლოთ ლაპარაკი ლიკვიდატორებს, როდესაც მათ წინადადებით მიმართეს «პრავდის» მომხრეებს — ერთი კანდიდატი წამოვაყენოთ სათათბიროშიო. მათი წინადადება პირდაპირ იმას ნიშნავდა — ხმა მიგვეცა ლიკვიდატორების კანდიდატისათვის, წინააღმდეგ რწმუნებულთა ნება-სურვილისა, წინააღმდეგ პეტერბურგის პროლეტარიატის განაწესისა. რა პასუხი შეეძლოთ გაეცათ ამაზე «პრავდის» მომხრეებს, გარდა იმისა, რომ რწმუნებულთა განაწესი წმიდათა წმიდაა და დეპუტატი შეიძლება იყოს

მხოლოდ განაწესის მომხრეო? დავარღვიოთ რწმუნებულთა ნება-სურვილი ლიკვიდატორების უნიათობის საამებლად, თუ სრულებით უგულებელვყოთ უკანასკნელთა კაპრიზები პეტერბურგის პროლეტარიატის განაწესის სასარგებლოდ? «ლუჩი» გაჰკივის «პრავდის» გამთიშველობაზე და ცილს სწამებს ამრჩევლებს, მაგრამ რატომ არ დათანხმდნენ ლიკვიდატორები წილისყრას მუშათა ექვს ამრჩეველს შორის, რაც «პრავდამ» შესთავაზა მათ? მუშების ერთიანი კანდიდატურის გულისთვის ჩვენ ასეთ დათმობაზეც კი წავედით, მაგრამ, გეკითხებით, რატომ უარყვეს წილისყრა ლიკვიდატორებმა? რატომ ამჯობინეს «ლუჩის» მომხრეებმა ერთის ნაცვლად ექვსი კანდიდატურა სათათბიროს არჩევნებში? იქნებ, «ერთიანობის» გულისთვის?

«ლუჩი» ამბობს, გუდკოვმა კანდიდატად წამოაყენა «პრავდის» მომხრე ბადაევიო, მაგრამ, თავმდაბლად დასძენს ლიკვიდატორთა გაზეთი, წინადადება არ მიიღესო. ჰერე-და, განა «ლუჩელ» ლიკვიდატორებს დაავიწყდათ ის, რომ მათმა მომხრე პეტროვმა, და არა «პრავდელმა», უარი თქვა მოეხსნა თავისი კანდიდატურა და მით საქმით დაგვანახა ლიკვიდატორული მიდრეკილება «ერთიანობისადმი». და ამას მაინც ერთიანობას უწოდებენ! იქნებ ერთიანობას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ «ლუჩის» მეორე მომხრემ გუდკოვმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა მას შემდეგ, რაც «პრავდის» მომხრე ბადაევი უკვე არჩეული იყო? ვინ დაიჯერებს ამას?

«ლუჩი» ფარისევლურად რეკლამას უკეთებს პოლიტიკურად უპიროვნო სუდაკოვს, რომელმაც თითქოს თავისი კანდიდატურა მოხსნა ერთიანობის გულისთვის. მაგრამ ნუთუ «ლუჩმა» არ იცის, რომ სუდაკოვს **არც კი შეეძლო** კენჭი ეყარა, ვინაიდან მან მხოლოდ ორი ბარათი მიიღო? რა ვუწოდოთ გაზეთს, რომელიც ბედავს და ყველას თვალწინ ტყუის?

პოლიტიკური უნიათობა — ნუთუ ეს არის ლიკვიდატორების ერთადერთი «ღირსება»?

ლიკვიდატორები შეეცადნენ თავიანთი კაცი გაეძვრინათ სათათბიროში კადეტებისა და ოქტიაბრისტების ნება-სურვილით, წინააღმდეგ პეტერბურგის მუშების ნება-სურვილისა. მაგრამ ნუთუ მუშათა მასებისაგან მოწყვეტილ «ლუჩს» მართლაც არ გაეგება, რომ ასეთ დეპუტატს პეტერბურგის მუშები უნდობლობას გამოუცხადებდნენ?

გაზეთი «პრავდა» № 151,
1912 წლის 24 ოქტომბერი.
ხელმოწერა: კ. ს ტ.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

დღეს არჩევნებია

დღეს პეტერბურგში არჩევნებია. არჩევნები მეორე კურიაში. ერთმანეთს ებრძვის ორი ბანაკი: სოციალ-დემოკრატები და კადეტები. ამომრჩევლებმა უნდა გადაწყვიტონ, ვის აბარებენ ისინი ქვეყნის ბედს.

რა სურთ სოციალ-დემოკრატებს?

რა სურთ კადეტებს?

სოციალ-დემოკრატები, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენლები, მიისწრაფვიან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

კადეტები კი, როგორც ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, თავიანთ მომავალს აგებენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე, — მართალია — შელამაზებულ ექსპლოატაციაზე, მაგრამ მაინც ექსპლოატაციაზე.

სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, რომ ქვეყნის განახლების საკითხი გადაუჭრელი დარჩა, რომ საჭიროა მისი გადაჭრა, — გადაჭრა თვით ქვეყნისავე ძალ-ღონით.

კადეტებს კი ჰგონიათ, რომ განახლებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან «ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვსო»...

სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, რომ ქვეყნის განახლების გზაზე რუსეთი ორ რუსეთად გაიყო: ძველ, ოფიციალურ, და ახალ, მომავალ რუსეთად.

კადეტებს კი ჰგონიათ, რომ «კონსტიტუციის ბოძების» შემდეგ ორი რუსეთის «ასეთი დაპირისპირება» «აღარ შეიძლება», ვინაიდან «რუსეთი ერთიაო».

დასკვნა ერთია: კადეტების კონსტიტუციური იდეალი უკვე განხორციელებულია. სამი ივნისის დებულების ფარგლები მათ არ ზღუდავს.

აი, მაგალითად, რა ილაპარაკა მილიუკოვმა 1909 წელს ლონდონში შემდგარ ბანკეტზე, სადაც მასთან ერთად რუსეთს «წარმოადგენდნენ» ოქტიაბრისტი გუჩკოვი და «ზომიერი» შავრაზმელი ბობრინსკი:

«თქვენს წინაშეა პოლიტიკურ რწმენათა ფრიად სხვადასხვა ელფერის ადამიანები, მაგრამ ეს განსხვავებანი ერთმანეთს ავსებენ და კონსტიტუციური რუსეთის ჩვენს დიად იდეალს წარმოადგენენ» (იხ. ი. ეფრემოვის წიგნი «რუსეთის სახალხო წარმომადგენლები» და სხვ., გვ. 81).

მაშასადამე, შავრაზმელი ბობრინსკი, რომელიც «ავსებს» კადეტ მილიუკოვს «სახალხო თავისუფლების»... გულისთვის, — ასეთია, თურმე, კადეტების «დიადი იდეალი».

ლონდონის ბანკეტს მუშების **არც ერთი** წარმომადგენელი, გლეხების **არც ერთი** წარმომადგენელი არ დასწრებია, მაგრამ, თურმე, კადეტების «დიადი იდეალები» იოლად მიდის უმუშებოდ, უგლეხებოდ...

ბობრინსკების, გუჩკოვებისა და მილიუკოვების კონსტიტუცია, ისე რომ მუშებს **არ ჰყავდეთ** თავიანთი წარმომადგენლები, გლეხებს **არ ჰყავდეთ** თავიანთი წარმომადგენლები — აი რა არის კადეტების ეს «იდეალები»!

ამის შემდეგ განა უნდა გვიკვირდეს, რომ მესამე სათათბიროში კადეტებმა ხმა მისცეს: 1) ანტიხალხურ ბიუჯეტს,

2) არაპირდაპირ გადასახადებს, 3) საპყრობილეთათვის ფულის გაღებას და სხვ.?

ამის შემდეგ განა უნდა გვიკვირდეს, რომ კადეტები ილაშქრებენ მუშების, გლეხებისა და მთელი დემოკრატიის მოთხოვნების წინააღმდეგ?

ამის შემდეგ განა უნდა გვიკვირდეს, რომ კადეტები, მაკლაკოვის ბაგეებით, მოითხოვდნენ «მეტ ენერგიას, სიმკაცრესა და სისასტიკეს» სტუდენტთა მოძრაობის მიმართ, ხოლო ლენის მუშების მშვიდობიან გაფიცვას აბუჩად იგდებდნენ «რეჩში» და «სტიქიურ ამბოხებად» ნათლავდნენ?

არა, ეს «სახალხო თავისუფლების» პარტია კი არ არის, არამედ «სახალხო თავისუფლების» მოღალატეთა პარტიაა.

ასეთ ადამიანებს მხოლოდ იმის უნარი შესწევთ, რომ ხალხის ზურგს უკან ევაჭრონ ბიუროკრატიას. ვიტესთან, სტოლიპინთან და ტრეპოვთან, ახლა კი საზონოვთან გამართული «მოლაპარაკება» სრულიადაც არ არის შემთხვევითი.

ასეთ ადამიანებს მხოლოდ იმის უნარი შესწევთ, რომ არჩევნების დროს შავრაზმელებს შეუკავშირდნენ და ისე დაამარცხონ სოციალ-დემოკრატები ხარკოვში, კოსტრომაში, ეკატერინოდარსა და რიგაში.

ასეთი ადამიანებისათვის ქვეყნის ბედის ჩაბარება — ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა დასაცინად ჩაუგდო ხელში მტრებს.

ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ თავისი თავის პატივისმცემელი ამომრჩევლები თავიანთ ღირსებას არ დაუკავშირებენ კადეტების ბედს.

დაე ღირსეული სასჯელი მიეზღოთ დღეს კადეტებს მათი მძიმე ცოდვებისათვის რუსი ხალხის მიმართ!

მუშა ამომრჩევლებო! ხმა მიეცით თქვენი ინტერესების წარმომადგენლებს, სოციალ-დემოკრატებს!

ნოქარო ამომრჩევლებო! ნუ მისცემთ ხმას კადეტებს, რომლებმაც უგულებელყვეს თქვენი დასვენების ინტერესები, — ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს, თქვენი ინტერესების ერთადერთ თანმიმდევარ დამცველებს!

პოლონელო ამომრჩევლებო! თქვენ ისწრაფვით მოიპოვოთ თავისუფალი ნაციონალური განვითარების უფლება, — გახსოვდეთ, რომ ეროვნებათა თავისუფლება წარმოუდგენელია საერთო თავისუფლების უქონლად, კადეტები კი ღალატობენ თავისუფლებას!

ებრაელო ამომრჩევლებო! თქვენ ისწრაფვით მოიპოვოთ ებრაელთა თანასწორუფლებიანობა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ბობრინსკების მოამბორე მილიუკოვები და მემარჯვენეებთან ბლოკში მყოფი კადეტები არ მოიპოვებენ თანასწორუფლებიანობას!

სახალხო თავისუფლების გამცემლებს ემხრობით თუ მის დამცველებს, კადეტებს თუ სოციალ-დემოკრატებს — არჩევანი მოახდინეთ, მოქალაქენო!

გაზეთი «პრავდა» № 152,
1912 წლის 25 ოქტომბერი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კ. ს ტ.

რუსეთის ყველა მუშას და მუშა-ქალს![118]

9 იანვარი

ამხანაგებო!

კვლავ ვეგებებით ჩვენ ცხრა იანვარს — იმ დღეს, რომელიც აღბეჭდილია მრავალი ასეული ჩვენი ძმების — მუშების სისხლით, რომლებიც 1905 წლის 9 იანვარს დახვრიტა მეფე ნიკოლოზ რომანოვმა იმისთვის, რომ ისინი, მშვიდობიანნი და უიარაღონი, მივიდნენ მასთან უკეთესი ცხოვრების სათხოვნელად.

რვა წელმა განვლო მას შემდეგ. რვა ხანგრძლივმა წელმა, რომელთა განმავლობაში, ერთი წამით გაელვებული თავისუფლების გამოკლებით, ჩვენს ქვეყანას მუდამ სჯიჯგნიდნენ და აწამებდნენ მეფე და მემამულეები!

ახლაც კი, როგორც წინათ, რუსეთში მუშებს ხვრეტენ მშვიდობიანი გაფიცვისათვის — როგორც ეს ლენაზე ჩაიდინეს. ახლაც, როგორც წინათ, მილიონობით გლეხებს აშიმშილებენ — როგორც ეს იყო 1911 წელს. ახლაც, როგორც წინათ, მეფის საპყრობილეებში აწამებენ და აბუჩად იგდებენ ხალხის საუკეთესო შვილებს, მასობრივ თვითმკვლელობამდე მიჰყავთ ისინი — როგორც ეს მოხდა ამას წინათ კუტომარში, ალგაჩში[119] და სხვ. ახლაც, როგორც წინათ, მეფის სასამართლოს განაჩენით ხვრეტენ მატროსებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც მოითხოვენ მიწას გლეხებისათვის და თავისუფლებას მთელი ხალხისათვის — როგორც ეს დამართეს ამას წინათ შავი ზღვის ფლოტის 17 მატროსს[120]. ეს — ნიკოლოზ რომანოვი, მემამულეთა

წყალობით სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, ახორციელებს თავის ძალაუფლებას, ბოძებულს «ღვთისაგან» და ნაკურთხს ანაფორაში გახვეულ სინოდის ავაზაკებისა და შავრაზმელების — პურიშკევიჩებისა და ხვოსტოვების მიერ.

კვლავინდებურად თავის მარწუხებში სულს უხუთავს რუსეთს რომანოვების მონარქია, რომელიც წელს ემზადება იდღესასწაულოს ჩვენს ქვეყანაზე თავისი სისხლიანი ბატონობის 300 წლის იუბილე.

მაგრამ რუსეთი უკვე აღარ არის ის დაბეჩავებული და მორჩილი რუსეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უსიტყვოდ გმინავდა რომანოვების უღელქვეშ. და უწინარეს ყოვლისა — რაც იყო, ის აღარ არის ჩვენი რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც წინ მიუძღვის თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს. და 1913 წლის 9 იანვარს ჩვენ შევხვდებით, არა ქედმოხრილი, დამცირებული მონებივით, არამედ წელში გაბარტყულნი, — როგორც იმ მებრძოლთა შემჭიდროებული არმია, რომლებიც გრძნობენ, რომლებმაც იციან, რომ კვლავ იღვიძებს ხალხური რუსეთი, რომ კონტრრევოლუციის ყინული დამსხვრეულია, რომ კვლავ დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე. რომ «ჩვენ მოგვყვება ახალ მებრძოლთა მწყობრი»...

რვა წელი! რა ცოტა ვიცხოვრეთ, რა ბევრი განვიცადეთ... ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიხილეთ სამი სახელმწიფო სათათბირო. პირველი ორი, სადაც უმრავლესობა ლიბერალებს ეკუთვნოდათ, მაგრამ სადაც ხმამაღლა სჭექდა მუშებისა და გლეხების ხმა, მეფემ გარეკა შავრაზმელ შემამულეთა ნება-სურვილის შესასრულებლად. მესამე სათათბირო თვით იყო შავრაზმული და ხუთი წლის განმავლობაში მეფის ხროვასთან ერთად მუშაობდა გლეხებისა და მუშების — მთელი ხალხური რუსეთის კიდევ უფრო მეტად დასამონებლად და დასაჩაგრავად.

შავბნელი კონტრრევოლუციის წლების განმავლობაში ყველაზე მწარე ფიასკო დაცლა მუშათა კლასს ხვდა წილად. 1907 წლიდან, როცა ძველი წესწყობილების ძალებმა შეძლეს დროებით ჩაეხშოთ მასების რევოლუციური მოძრაობა, მუშები ორმაგი უღლის ქვეშ გმინავენ. ყველაზე შეუბრალებლად მათზე შურს იძიებს მეფის ბანდა. მათვე ატყდება თავს კაპიტალის შემოტევა. მეფაბრიკენი და მეჭარხნენი სარგებლობენ პოლიტიკური რეაქციით და ზედიზედ ართმევენ მუშებს ყველაფერს, რაც მათ ასეთი სიძნელით, ასეთი მსხვერპლით მოუპოვებიათ. ლოკაუტებით, ქანდარმერიისა და პოლიციის მფარველობით, მეპატრონეები ადიდებენ სამუშაო დღეს, ამცირებენ ხელფასს, ძველი წესები შემოაქვთ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

მუშები კბილს კბილზე აჭერენ და დუმან. ცხრაას რვა და ცხრაას ცხრა წლები ის წლები იყო, როდესაც შავრაზმელები უდიდეს განცხრომას ეძლეოდნენ თავიანთი გამარჯვებით, მუშათა მოძრაობა კი უდიდეს დაცემას განიცდიდა. მაგრამ უკვე 1910 წლის ზაფხულში აღორძინებას იწყებს მუშათა გაფიცვები. 1911 წლის მიწურულს კი მოაქვს ათიათასობით მუშების აქტიური პროტესტი იმის გამო, რომ პროვოკაციულად მსჯავრდადებულნი — II სათათბიროს ს.-დ. დეპუტატები ისევ კატორღაში იმყოფებიან [121].

მუშების მასობრივი მოძრაობა **დამთავრდა** 1907 წლის 22 ნოემბრის გაფიცვით II სათათბიროს ს.-დ. დეპუტატებისათვის კატორღის მისჯის გამო. და მუშათა მასობრივი მოძრაობა კვლავ **აღორძინდა** 1911 წლის დამლევს ისევ **ისე** II სათათბიროს ს.-დ. დეპუტატების, მუშათა კლასის ამ მოწინავე მებრძოლთა, ამ გმირთა ხვედრთან დაკავშირებით, რომელთა საქმეს ახლა IV სათათბიროს მუშა-დეპუტატები განაგრძობენ.

პოლიტიკური ბრძოლის გამოცოცხლება იწვევს მუშების ეკონომიური ბრძოლის გამოცოცხლებასაც. პოლიტი-

კური გაფიცვა ასაზრდოებს ეკონომიურ გაფიცვას და პირიქით. ტალღა ტალღას მისდევს, და მუშათა მოძრაობაც მძლავრ ნაკადად მიექანება მეფის მონარქიისა და კაპიტალის თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ. მუშების სულ ახალ-ახალი ფენები იღვიძებენ განახლებული ცხოვრებისათვის. სულ უფრო და უფრო დიდი მასები ებმებიან ახალ ბრძოლაში. გაფიცვებმა ლენის მუშების დახვრეტის გამო, 1 მაისის გაფიცვებმა, საპროტესტო გაფიცვებმა მუშებისათვის საარჩევნო უფლების წართმევის წინააღმდეგ და საპროტესტო გაფიცვამ შავი ზღვის ფლოტის მატროსთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მილიონამდე მონაწილენი მიიზიდეს. ეს იყო რევოლუციური გაფიცვები, გაფიცვები, რომელთაც თავიანთ დროშაზე აწერიათ: «ძირს რომანოვების მონარქია, ძირს მთელი ძველი, დამპალი მემამულური წყობილება, რომელიც სულს უხუთავს რუსეთს!»

ფართოვდება, იზრდება მუშათა რევოლუციური მოძრაობა. მუშათა კლასი ახალი ბრძოლისათვის აღვიძებს მოსახლეობის სხვა ფენებსაც. ყოველივე, რაც პატიოსანია, ყოველივე, რაც უკეთესი ცხოვრებისაკენ მიილტვის, იწყებს პროტესტის გამოცხადებას მეფის ხროვის ძალადობათა წინააღმდეგ. თვით ბურჟუაზიაც კი დრტვინავს, ისიც კი უკმაყოფილოა პურიშკევიჩების სრული და განუყოფელი ბატონობით.

3 ივნისის რეჟიმმა ვერავინ და ვერაფერი ვერ დააწყნარა. კონტრრევოლუციის მთელმა წლებმა დაგვანახეს, რომ არ შეიძლება რუსეთში თავისუფალი ცხოვრება იყოს, ვიდრე რომანოვების მონარქია არსებობს, ვიდრე მემამულეთა ბატონობა ხელუხლებელია.

იზრდება ახალი რევოლუცია, რომელშიც მუშათა კლასი კვლავ მთელი განმათავისუფლებელი არმიის ბელადის საპატიო როლს შეასრულებს.

მუშათა კლასის დროშას კვლავინდებურად აწერია საბი ძველი მოთხოვნა, რომელთა გულისთვის ესოდენ ბევრი მსხვერპლია გაღებული, რომელთა გულისთვის ამდენი სისხლია დაღვრილი.

8-საათიანი სამუშაო დღე — მუშებისათვის!

მთელი მემამულეთა, მეფისა და სამონასტრო მიწა, გამოუკიდველად — გლეხებისათვის!

დემოკრატიული რესპუბლიკა — მთელი ხალხისათვის!

ამ მოთხოვნების ირგვლივ წარმოებდა და წარმოებს ბრძოლა თანამედროვე რუსეთში. ეს მოთხოვნები წამოაყენეს მუშებმა ლენის ამასწინანდელი გაფიცვების დღეებშიც. მათ წამოაყენებს მუშათა კლასი 9 იანვარსაც.

პეტერბურგში, რიგაში, ნიკოლაევში მუშები უკვე 1912 წლის 9 იანვარს შეეცადნენ გაფიცვებითა და დემონსტრაციებით აღენიშნათ ეს დღე. 1913 წლის 9 იანვარს ჩვენ ამას ვიზამთ ყველგან — **მთელ რუსეთში.** 1905 წლის 9 იანვარს მუშების სისხლში იშვა რუსეთის პირველი რევოლუცია. 1913 წლის დამდეგი დაე იყოს რუსეთის **მეორე** რევოლუციის შესავალი. რომანოვების დინასტია 1913 წელს ემზადება იდღესასწაულოს თავისი 300 წლის იუბილე და ფიქრობს კიდევ დიდი ხნით აჯდეს რუსეთს კისერზე. მაშ ვუთხრათ 1913 წლის 9 იანვარს ამ ხროვას:

კმარა! ძირს რომანოვების მონარქია! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ამხანაგებო! დაე 1913 წლის 9 იანვარი აღუნიშნავად ნუ ჩაივლის ნურსად, სადაც კი ცხოვრობს და იბრძვის რუსი მუშა.

კრებებით, რეზოლუციებით, მიტინგებით და, სადაც შესაძლებელია,

ერთდღიური გაფიცვით და
დემონსტრაციებით

აღვნიშნოთ ყველგან ეს დღე.

მოვიგონოთ ამ დღეს ბრძოლაში დაღუპული გმირები! ყველაზე უკეთ ჩვენ იმით ვცემთ პატივს მათს ხსოვნას, თუ ამ დღეს მთელ რუსეთს მოეფინება ჩვენი ძველი მოთხოვნები:

დემოკრატიული რესპუბლიკა!
მემამულეთა მიწების კონფისკაცია!
8-საათიანი სამუშაო დღე!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგებო!

ემზადეთ 9 იანვრის პროტესტისათვის.

გამოცემულია ცალკე პროკლამაციად 1912 წლის დეკემბრის დამლევს — 1913 წლის იანვრის დამდეგს.

იბეჭდება პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

არჩევნები პეტერბურგში

(წერილი ს.-პეტერბურგიდან)

1907 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით 1912 წლის არჩევნები დაემთხვა მუშების რევოლუციურ გამოცოცხლებას. მაშინ როდესაც იმ დროს რევოლუციის ტალღები ეცემოდა, ხოლო კონტრრევოლუცია ზეიმობდა, 1912 წელს ახალი რევოლუციის პირველი ტალღა აგორდა. სწორედ ამიტომ **მაშინ** მუშები ირჩევდნენ მოდუნებულად, ხოლო ალაგ-ალაგ ბოიკოტსაც უცხადებდნენ არჩევნებს, ბოიკოტს, **რა** თქმა უნდა, **პასიურს,** და ამით ცხადყოფდნენ, რომ პასიური ბოიკოტი — ძალთა მოდუნებულობისა და სისუსტის უცილობელი ნიშანია. სწორედ ამიტომ **ახლა,** აღმავალი რევოლუციის ატმოსფეროში, მუშები დიდი ინტერესით მიდიოდნენ არჩევნებზე და უკუაგდებდნენ მოდუნებულ პოლიტიკურ გულგრილობას. კიდევ მეტი: მუშები იბრძოდნენ არჩევნებისათვის, ისინი ცდილობდნენ მოეპოვებინათ და კიდევაც მოიპოვეს არჩევნების უფლება გრანდიოზული გაფიცვებით «განმარტებათა» წინააღმდეგ, მიუხედავად პოლიციის ყოველგვარი ფანდებისა და წინააღმდეგობისა. ეს უცილობელი ნიშანია იმისა, რომ პოლიტიკურმა გაშეშებამ განვლო, რევოლუცია მკვდარი წერტილიდან დაიძრა. მართალია, ახალი რევოლუციის ტალღა **ჯერ კიდევ** არც ისე ძლიერია, რომ შესაძლებელი იყოს დავსვათ საკითხი,

ვთქვათ, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისა. მაგრამ ეს ტაქტიკა **უკვე** იმდენად ძლიერია, რომ ალაგ-ალაგ შეიძლება გავარღვიოთ «განმარტებათა» ქსელი არჩევნების გამოცოცხლების გულისთვის, პროლეტარიატის ძალების დარაზმვის გულისთვის, მასების პოლიტიკური განათლების გულისთვის.

I

მუშათა კურია

1. ბრძოლა არჩევნებისათვის

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ საგაფიცვო კამპანიის ინიციატივა ეკუთვნოდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელსა და პეტერბურგის კომიტეტს. 4 ოქტომბერს, გვიან საღამოს, ამრჩეველთა არჩევნების წინადღით, ჩვენ გავიგეთ, რომ სამაზრო კომისიის მიერ «განმარტებული» არიან ყველაზე დიდი ქარხნების (პუტილოვისა და სხვ.) რწმუნებულნი. ერთი საათის შემდეგ იკრიბება პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისია ც. კ-ის წარმომადგენელთან ერთად [122], ადგენს ამრჩეველთა ახალ სიას და გამოაქვს გადაწყვეტილება ერთდღიური საპროტესტო გაფიცვის მოწყობის შესახებ. იმავე დღეს ღამით იკრიბება პუტილოვის საქარხნო ს.-დ. ჯგუფი და ღებულობს პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილებას. 5-ში იწყება პუტილოვის ქარხნის გაფიცვა. გაფიცულია მთელი ქარხანა. 7-ში (კვირას) იკრიბება ნევის გემთსაშენი ქარხნის საქარხნო ს.-დ. ჯგუფი და უერთდება პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილებას. 8-ში გაფიცულია მთელი ქარხანა. მას უერთდებიან სხვა ფაბრიკები და ქარხნები. გაფიცული არიან არამცთუ «განმარტებული» საწარმოები, არამედ არა «განმარტებულნიც» (პალი), აგრეთვე ის

საწარმოებიც, რომელთაც «არჩევნების წესების» მიხედვით უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მუშათა კურიის არჩევნებში. გაიფიცნენ სოლიდარობის გამო. რევოლუციური სიმღერები და მანიფესტაციები საკმაოდაა... 8 ოქტომბერს გვიან ღამით ვგებულობთ, რომ საგუბერნიო საარჩევნო კომისია აუქმებს ამრჩეველთა არჩევნებს, აუქმებს სამაზრო კომისიის «განმარტებებს», «უფლებებში აღდგენს» პუტილოველებს, არჩევნებში იზიდავს საწარმოთა მეტ რიცხვს. მუშები გამარჯვებას ზეიმობენ. მუშებმა გაიმარჯვეს.

საინტერესოა ნევის გემთსაშენი და პუტილოვის ქარხნების მუშების მიერ გაფიცვის გამოცხადების დროს მიღებული რეზოლუცია:

«პროტესტს გამოვთქვამთ ჩვენი საარჩევნო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ და ვაცხადებთ, რომ მხოლოდ ცარიზმის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებას შეუძლია უზრუნველყოს მუშებისათვის არჩევნების უფლება და ნამდვილი თავისუფლება».

ლიკვიდატორების რეზოლუცია იმის შესახებ, რომ «...მხოლოდ **სახელმწიფო სათათბიროს** საყოველთაო საარჩევნო უფლება შეძლებდა არჩევნების უფლების გარანტირებას» — უარყოფილ იქნა. ამ რეზოლუციებს წინასწარ იხილავდნენ საქარხნო ს.-დ. ჯგუფებში, და როდესაც გამოირკვა, რომ, მაგალითად, ნევის გემთსაშენი ქარხნის ჯგუფში ლიკვიდატორების რეზოლუციამ თანაგრძნობა ვერ ჰპოვა, მისმა მომხრეებმა პირობა დადეს არ წამოეყენებინათ იგი მიტინგზე უპარტიო მასის წინაშე და მხარი დაეჭირათ ჯგუფის მიერ მიღებული რეზოლუციისათვის. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეასრულეს თავიანთი სიტყვა. სამაგიეროდ ანტილიკვიდატორებმაც ასეთივე ლოიალობით უპასუხეს, როცა რწმუნებულად გაიყვანეს გუდკოვი, რომლის «ჩაგდება» შეეძლოთ, რადგან უმრავლესობა ჰყავდათ ქარხანაში. ცუდი არ იქნებოდა პასუხის-

მგებლობის ასეთივე გრძნობის თუნდ ნატამალიც გააჩნდეს «ლუჩს», რომელსაც ასე კარგად ეხერხება წერა იმაზე, **რასაც ადგილი არ ჰქონია** ქარხნებში, მაგრამ რომელმაც არაფერი თქვა ნევის ქარხნის მუშების ზემოაღნიშნულ რეზოლუციაზე, ხოლო პუტილოველთა რეზოლუცია კიდევაც დაამახინჯა.

ამრიგად, მუშები იბრძოდნენ არჩევნებისათვის და მათ კიდევაც მიაღწიეს იმას, რომ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. დაე გაკვეთილი გამოიტანონ აქედან პეტერბურგელმა ესერებმა, რომლებიც ასე ამაოდ ილაშქრებდნენ არჩევნების წინააღმდეგ ნევის გემთსაშენ ქარხანაში.

მუშები არჩევნებისათვის იბრძოდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგით. დაე გაკვეთილი გამოიტანონ აქედან «ნაწილობრივი რეფორმების» ფეტიშისტებმა, «ლუჩელმა» ლიკვიდატორებმა.

2. განაწესი დეპუტატისათვის

«განმარტებებით» გამოწვეული გაფიცვები ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული, როცა შეიკრიბა რწმუნებულთა ყრილობა. შეიძლებოდა წინასწარ თქმა, რომ პეტერბურგის კომიტეტის მიერ შემუშავებული და პიტერის დიდი ქარხნების (პუტილოვის, ნევის გემთსაშენი ქარხანა, პალი) მიერ მოწონებული განაწესი მიღებული იქნებოდა რწმუნებულთა მიერ. და, მართლაც, განაწესი მიღებულ იქნა დიდი უმრავლესობით ლიკვიდატორთა მცირე ჯგუფის თავშეკავებისას. უკანასკნელთა ცდებს — ხელი შეეშალათ კენჭისყრისათვის — ხვდებოდნენ შეძახილებით: «ხელს ნუ გვიშლით!»

თავიანთ განაწესში დეპუტატისათვის რწმუნებულნი ლაპარაკობენ «ცხრაას ხუთი წლის ამოცანებზე», იმაზე, რომ ეს ამოცანები «გადაუჭრელი დარჩა», რომ რუსეთის

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება «მათს გადაჭრას გარდუვალს ხდის». მუშებისა და რევოლუციური გლეხების ბრძოლა ცარიზმის დამხობისათვის, კადეტური ბურჟუაზიის შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომლის ბელადი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატი, — აი რა გადაწყვეტდა, განაწესის თანახმად, ცხრაას ხუთი წლის ამოცანებს (იხ. «განაწესი» «სოციალ-დემოკრატის» № 28 — 29-ში).

როგორც ხედავთ, ეს სულ სხვა რამ არის, ვიდრე ლიბერალურ-ლიკვიდატორული «III სათათბიროს აგრარულ დადგენილებათა გადასინჯვა» ან «სახელმწიფო სათათბიროს საყოველთაო არჩევნები» (იხ. ლიკვიდატორების პლატფორმა) [123].

პეტერბურგის მუშები ჩვენი პარტიის რევოლუციური ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ. რწმუნებულთა ყრილობამ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები, და მხოლოდ ისინი, აღიარა. ყრილობაზე საკითხს წყვეტდნენ უპარტიოები (82 რწმუნებულიდან 41 «გაურკვეველი სოციალ-დემოკრატი» და უპარტიო იყო), და თუ პეტერბურგის კომიტეტის განაწესი ასეთ კრებაზეც კი მიიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ პეტერბურგის კომიტეტის ლოზუნგებს მაგრად აქვს გადგმული ფესვები მუშათა კლასის გრძნობებსა და აზრებში.

როგორ შეხვდნენ ყოველივე ამას ლიკვიდატორები? მათ რომ თავიანთი შეხედულებები სწამდეთ და პოლიტიკური პატიოსნების მხრივ არ მოიკოჭლებდნენ, ისინი აშკარა ბრძოლას გააჩაღებდნენ განაწესის წინააღმდეგ, საკუთარ განაწესს წამოაყენებდნენ, ან, თუ დამარცხდებოდნენ, სიებიდან მოხსნიდნენ თავიანთ კანდიდატებს. აკი წამოუყენეს მათ ამრჩეველთა კანდიდატების თავიანთი სია ანტილიკვიდატორების სიის დასაპირისპირებლად, — რატომღა არ უნდა წამოეყენებინათ აგრეთვე აშკარად თა-

ვიანთი შეხედულებებიც, თავიანთი განაწესიც? და როდესაც ანტილიკვიდატორების განაწესი გავიდა, რატომ **არ** უნდა ჟანეცხადებინათ პატიოსნად და აშკარად, რომ ისინი, როგორც განაწესის მოწინააღმდეგენი, არ შეიძლება არჩეულ იქნენ განაწესის მომავალ დამცველებად, რომ ისინი ხსნიან თავიანთ კანდიდატურებს და ადგილს უთმობენ განაწესის მომხრეებს? ეს ხომ პოლიტიკური პატიოსნების ელემენტარული წესია. ან, შეიძლება, ლიკვიდატორებმა განაწესს იმიტომ აუარეს გვერდი, რომ ამ საკითხის გამო საკმაო სისრულით არ უკამათნიათ, ყრილობაზე კი საქმე **უპარტიოების** ხმებით გადაწყდა? მაგრამ ამ შემთხვევაში რატომ არ დაემორჩილნენ ისინი 26 **სოციალ-დემოკრატი** რწმუნებულის გადაწყვეტილებას, რწმუნებულთა ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე არალეგალურად რომ შეიკრიბნენ და დისკუსიის შემდეგ ანტილიკვიდატორების პლატფორმა რომ მიიღეს (16 ხმის უმრავლესობით 9-ს წინააღმდეგ, ერთის თავშეკავებისას), ამასთან კრებას ლიკვიდატორთა ლიდერებიც და მათი რწმუნებულნიც დაესწრნენ? რა უმაღლესი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ ლიკვიდატორები, როცა ერთ და იმავე დროს მთელი ყრილობის განაწესსაც და 26 ს.-დ. რწმუნებულის ნება-სურვილსაც ფეხქვეშ თელავდნენ? ცხადია, აქ მხოლოდ ერთი მოსაზრება შეიძლებოდა ყოფილიყო: ზიანი მიეყენებინათ ანტილიკვიდატორებისათვის და «როგორმე» გაეძვრინათ თავიანთი კაცები. მაგრამ საქმეც ისაა, ლიკვიდატორებს რომ აშკარა ბრძოლა ეწარმოებინათ, ისინი ვერც ერთს თავიანთ მომხრეს ვერ გაიყვანდნენ, ვინაიდან ყველასათვის ცხადი იყო, რომ ლიკვიდატორების «III სათაობიროს აგრარულ დადგენილებათა გადასინჯვა» თანაგრძნობას ვერ ჰპოვებდა რწმუნებულთა შორის. რჩებოდა ერთი გზა: დაემალათ თავიანთი დროშა, თავი მოეჩვენებინათ განაწესის მომხრეებად და განეცხადებინათ — «კაცმა რომ

თქვას, ჩვენც თითქმის ასეთივე განაწესის მომხრენი ვართო», და «როგორმე» გაეყვანათ თავიანთი კაცები. ასეც მოიქცნენ. ასეთი მოქმედებით კი ლიკვიდატორებმა აღიარეს თავიანთი დამარცხება და პოლიტიკურ კოტრებში ჩაირიცხეს თავი.

მაგრამ აიძულო მოწინააღმდეგე დაკეცოს თავისი დროშა, ე. ი. აიძულო ის აღიაროს თავისი დროშის **უვარგისობა**, ე. ი. აიძულო ის აღიაროს თავისი მტრის იდეური უპირატესობა — აი ეს ნიშნავს სწორედ მორალურ გამარჯვებას.

და აი «უცნაურობა»: ლიკვიდატორებს ჰყავთ «ფართო მუშათა პარტია», ანტილიკვიდატორებს კი — მხოლოდ «ჩამორჩენილი ვიწრო წრე», და მაინც «ვიწრო წრემ» დაამარცხა «ფართო პარტია»!

რა სასწაულები არ ხდება ქვეყნად!..

3. ერთიანობა, როგორც ნიღაბი, და დეპუტატის არჩევნები

როდესაც ბურჟუაზიული დიპლომატები ომს ამზადებენ, ისინი გაძლიერებით მორთავენ ხოლმე ყვირილს «მშვიდობიანობასა» და «მეგობრულ ურთიერთობაზე». თუ რომელიმე საგარეო საქმეთა მინისტრი ჭაპანწყვეტაშია «სამშვიდობო კონფერენციის» მოწვევისათვის, იცოდეთ, «მის მთავრობას» უკვე შეკვეთილი აქვს ახალი დრედნოუტები და მონოპლანები. დიპლომატის სიტყვები და საქმე ერთმანეთს **უნდა** ცილდებოდნენ, — თორემ აბა რა დიპლომატია ის? სიტყვები — ერთია, საქმე — სულ სხვაა. კარგი სიტყვები ნიღაბია ცუდი საქმეების დასაფარავად. გულწრფელი დიპლომატი — ეს მშრალი წყალია, ხის რკინაა.

იგივე უნდა ითქვას ლიკვიდატორებზე მათი ყალბი ყვირილით ერთიანობის შესახებ. ამას წინათ ამხ. პლეხანოვი,

პარტიის შიგნით გაერთიანების მომხრე, ლიკვიდატორთა კონფერენციის[124] რეზოლუციების გამო წერდა, «მათ ათ ვერსზე უდით დიპლომატობის სუნიო». და შემდეგ იმავე ამხ. პლეხანოვმა მათს კონფერენციას «გამთიშველური» უწოდა. უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ლიკვიდატორები ატყუებენ მუშებს დიპლომატიური ყვირილით ერთიანობაზე, ვინაიდან, ერთიანობაზე რომ ლაპარაკობენ, ისინი გათიშვას აწყობენ. და, მართლაც, ლიკვიდატორები — ეს სოციალ-დემოკრატიის შიგნით მყოფი დიპლომატები არიან, რომლებიც ერთიანობის შესახებ წარმოთქმული კარგი სიტყვებით ფარავენ მათ მიერ დაწყებული გათიშვის ცუდ საქმეს. როდესაც ლიკვიდატორი ჭაპანწყვეტაშია ერთიანობისათვის, იცოდეთ, მან უკვე ფეხქვეშ გათელა ერთიანობა გათიშვის გულისთვის.

არჩევნები პეტერბურგში პირდაპირ ამტკიცებს ამას.

ერთიანობა — ეს, უწინარეს ყოვლისა, არის სოციალ-დემოკრატიულად ორგანიზებული მუშების მოქმედების ერთიანობა მუშათა კლასის შიგნით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული, ჯერ კიდევ არ არის განათლებული სოციალიზმის სინათლით. სოციალ-დემოკრატიულად ორგანიზებული მუშები თავიანთ კრებებზე აყენებენ საკითხებს, მსჯელობენ ამ საკითხებზე, გამოაქვთ გადაწყვეტილებანი და შემდეგ, როგორც ერთი მთელი, გამოდიან უპარტიოების წინაშე ამ გადაწყვეტილებებით, რომლებიც უცილობლად სავალდებულოა უმცირესობისათვის. **უამისოდ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სოციალ-დემოკრატიის ერთიანობა!** იყო კი ასეთი გადაწყვეტილება პეტერბურგში? დიახ, იყო. ეს არის გადაწყვეტილება (ორივე მიმართულების) 26 სოციალ-დემოკრატიული მუშებისა, რომლებმაც მიიღეს ანტილიკვიდატორების პლატფორმა. რატომ არ დაემორჩილნენ ლიკვიდატორები ამ გადაწყვეტილებას? რატომ ჩაშალეს მათ ს.-დ.

რწმუნებულთა უმრავლესობის ნება-სურვილი? **რატომ გათელეს მათ ს.-დ. ერთიანობა** პეტერბურგში? იმიტომ, რომ ლიკვიდატორები სოციალ-დემოკრატიის შიგნით მყოფი დიპლომატები არიან, რომლებიც ერთიანობის ნიღაბით გათიშვას ახდენენ.

შემდეგ, ერთიანობა — ეს არის პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა მთელი ბურჟუაზიული სამყაროს პირისპირ. პროლეტარიატის წარმომადგენლებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები და ატარებენ მათ, გამოდიან რა როგორც ერთი მთელი, იმ პირობით, რომ უმცირესობა დაემორჩილება უმრავლესობას. **უამისოდ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს პროლეტარიატის ერთიანობა!** ჰქონდა თუ არა ასეთი გადაწყვეტილება პეტერბურგის პროლეტარიატს? დიახ, ჰქონდა. ეს არის ანტილიკვიდატორული განაწესი, მიღებული რწმუნებულთა ყრილობის უმრავლესობის მიერ. რატომ არ დაემორჩილნენ ლიკვიდატორები რწმუნებულთა განაწესს? რატომ ჩაშალეს მათ რწმუნებულთა უმრავლესობის ნება-სურვილი? **რატომ გათელეს მათ მუშათა კლასის ერთიანობა პეტერბურგში?** იმიტომ, რომ ლიკვიდატორული ერთიანობა — ეს არის დიპლომატიური **ფრაზა**, რომლითაც იფარება ერთიანობის ჩაშლის **პოლიტიკა...**

როდესაც ლიკვიდატორებმა უმრავლესობის ნება-სურვილის ჩაშლით, მერყეთა (სუდაკოვი) გაყვანით, ნამდვილი დიპლომატიური ხასიათის დაპირებათა წყალობით, როგორც იქნა გაიყვანეს სამი ამრჩეველი, — წამოიჭრა საკითხი, როგორ მოვიქცეთ?

ერთადერთი **პატიოსანი** გამოსავალი იყო წილისყრა. და ანტილიკვიდატორებმაც **შესთავაზეს** ლიკვიდატორებს წილისყრა, ლიკვიდატორებმა კი **უარყვეს** იგი!!

ამ წინადადების გამო ბოლშევიკ X-თან მოლაპარაკებას აწარმოებდა ლიკვიდატორი Y (აუცილებლობის შემთხვევაში

და საჭირო კონსპირაციულობის დაცვის პირობით ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ის პირნი, ვინც მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში ორივე მხრიდან) [125], რომელმაც, თავის თანამოაზრეებთან მოთათბირების შემდეგ, უპასუხა: «წილისყრა მიუღებელია, რადგან ჩვენი ამრჩევლები შეგვიბოჭილი არიან ჩვენი ხელმძღვანელი კოლექტივის გადაწყვეტილებითო».

აბა სცადონ და უარყონ ბბ. ლიკვიდატორებმა ეს ჩვენი განცხადება!

ს.-დ. რწმუნებულთა უმრავლესობის ნება-სურვილის ჩაშლა, რწმუნებულთა ყრილობის უმრავლესობის ნება-სურვილის ჩაშლა, წილისყრაზე უარისთქმა, სათათბიროს ერთიან კანდიდატურაზე უარისთქმა, და ყველაფერი ეს ერთიანობის გულისთვის, — მეტისმეტად ორიგინალური «ერთიანობა» კი გამოგიდით, ბბ. ლიკვიდატორებო!

თუმცაღა, ლიკვიდატორთა გამთიშველური პოლიტიკა ახალი ამბავი როდია. 1908 წლიდანვე ეწევიან ისინი აგიტაციას არალეგალური პარტიის წინააღმდეგ. ლიკვიდატორთა უმსგავსობანი პეტერბურგის არჩევნებში მათი ძველი გამთიშველური პოლიტიკის გაგრძელებაა.

ამბობენ, ტროცკიმ თავისი «გამაერთიანებელი» კამპანიით «ახალი ნაკადი» შეიტანა ლიკვიდატორების ძველ «საქმეებშიო». მაგრამ ეს არ არის სწორი. მიუხედავად ტროცკის «გმირული» ღონისძიებისა და მისი «საშინელი მუქარისა», იგი ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა უბრალო შფოთიანი ყალბკუნთებიანი ჩემპიონი, ვინაიდან 5 წლის «მუშაობით» მან ვერავინ ვერ გააერთიანა, გარდა ლიკვიდატორებისა. ახალი აურზაური — ძველი საქმეები!

მაგრამ დავუბრუნდეთ არჩევნებს. როცა წილისყრაზე უარს ამბობდნენ, ლიკვიდატორებს, ალბათ, ერთი რამის იმედი ჰქონდათ: იმისა, რომ ბურჟუაზია (კადეტები და ოქტიაბრისტები) ლიკვიდატორს ამჯობინებსო! ეს აშკარა

ვარაუდი რომ გაეჭარწყლებინა, პეტერბურგის კომიტეტს არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო და არ მიეცა დირექტივა — კენჭი ეყარა ყველა ამრჩეველს, ვინაიდან ლიკვიდატორებს ჰყავდათ «მერყევიც» (სუდაკოვი), და საერთოდ მათ არ ჰყავდათ ერთსულოვანი მტკიცე ჯგუფი. პეტერბურგის კომიტეტის დირექტივის თანახმად კენჭი იყარა ყველა ანტილიკვიდატორმა ამრჩეველმა. და ლიკვიდატორების აშკარა ვარაუდიც ჩაიშალა! დემორალიზაცია ანტილიკვიდატორებში კი არ იყო, არამედ ლიკვიდატორ ამრჩევლებს შორის, რომლებმაც მათი «კოლექტივის» გადაწყვეტილების წინააღმდეგ კენჭი იყარეს ისე, რომ ერთმანეთს არ აცლიდნენ. ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ გუდკოვი დათანხმდა ბადაევის კანდიდატურას (გუდკოვს სულს უმძიმებდა ანტილიკვიდატორული განაწესი, რომელიც მის ქარხანაში გავიდა!), — არამედ ის ფაქტი, რომ ლიკვიდატორმა პეტროვმა და მის შემდგომ თვითონ გუდკოვმა კენჭი იყარეს ბადაევის **არჩევის შემდეგ.**

ნათქვამიდან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ლიკვიდატორებისათვის ერთიანობა ნიღაბია," რომელიც ფარავს მათს გამთიშველურ პოლიტიკას, ჩვეულებრივი ფანდია, რომლის გამოყენებით მათ სურდათ ფეხი შეედგათ სათათბიროში სოციალ-დემოკრატიისა და პეტერბურგის პროლეტარიატის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

II

საძალაძო კურია

ლენის ამბებს და საერთოდ მუშებს შორის დაწყებულ გამოცოცხლებას ამაოდ არ ჩაუვლია მეორე კურიის ამომრჩევლისათვის. ქალაქის მოსახლეობის დემოკრატიული ფენები მნიშვნელოვნად გამემარცხენდნენ. თუ ხუთი წლის წინათ, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ისინი «ასა-

მარებდნენ» ცხრაას ხუთი წლის იდეალებს, ახლა, მასობრივი გაფიცვების შემდეგ, ძველმა იდეალებმა გამოაცოცხლება იწყეს. შეიქმნა უკმაყოფილების გარკვეული განწყობილება, გამოწვეული კადეტების ორჭოფი პოლიტიკით, რაც კადეტებს არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ.

მეორე მხრივ, ოქტიაბრისტებმა «ვერ გაამართლეს» დიდი კომერსანტებისა და მეფაბრიკეების იმედები. იხსნებოდა ვაკანსიები, რაც კადეტებს ასევე არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ.

კადეტებმა ჯერ კიდევ ამა წლის მაისში გადაწყვიტეს ორ ფრონტზე ეთამაშნათ. კი არ ებრძოლნათ, არამედ ეთამაშნათ.

სწორედ ამით აიხსნება კადეტების საარჩევნო კამპანიის ის ორჭოფობა ორ სხვადასხვა კურიაში, რასაც არ შეიძლებოდა ამომრჩევლის გაოცება არ გამოეწვია.

სოციალ-დემოკრატების საარჩევნო კამპანიის ცენტრი გახდა კადეტებთან ბრძოლა დემოკრატიულ ფენებზე გავლენისათვის. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ჰეგემონია, თუ რევოლუციური პროლეტარიატის ჰეგემონია,— ეს არის სწორედ ბოლშევიკების ის «სქემა», რომლის წინააღმდეგ მრავალი წლის განმავლობაში უომედოდ იბრძვიან ლიკვიდატორები და რომელსაც ახლა იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ, როგორც აშკარა და გარდუვალ საარსებო საჭიროებას.

მეორე კურიაში გამარჯვება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ დემოკრატიული ფენები, დემოკრატიულნი მდგომარეობით, მაგრამ რომელთაც ჯერ კიდევ შეგნებული არ ჰქონდათ თავიანთი ინტერესები. ვის გაჰყვებიან ეს ფენები, სოციალ-დემოკრატიას თუ კადეტებს? იყო მესამე ბანაკიც, მემარჯვენეები ოქტიაბრისტებთან ერთად, მაგრამ «შავრაზმულ საფრთხეზე» სერიოზულად არაფერი ითქმოდა, ვინაიდან ცხადი იყო, რომ მემარჯვენეებს

შეეძლოთ ხმების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის შეკრება. ხოლო ლაპარაკი «ბურჟუაზიის არდაშინება-ზე», თუმცა ასეთი ლაპარაკი მართლაც იყო (იხ. ფ. დ.-ის სტატია «ნევსკი გოლოსში» [126]), მხოლოდ ღიმილს იწვევდა, ვინაიდან ცხადი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიას არა მარტო უნდა «დაეშინებინა», არამედ პოზიციიდანაც უნდა გადაეგდო სწორედ ეს ბურჟუაზია მისი ადვოკატების — კადეტების სახით.

სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონია თუ კადეტების ჰეგემონია — ასე აყენებდა საკითხს თვით ცხოვრება.

აქედან ცხადი იყო, რომ საჭიროა სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებული დარაზმულობა კამპანიის მთელ მსვლელობაში.

სწორედ ამიტომ პეტერბურგის კომიტეტთან არსებული საარჩევნო კომისია შეუთანხმდა მეორე კომისიას, რომელიც შედგებოდა მენშევიკებისა და ერთეულ-ლიკვიდატორებისაგან. შეუთანხმდა პიროვნებათა შესახებ, საარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლებისას და იმ აუცილებელი პირობით, რომ სათათბიროს კანდიდატთა სიაში «ვერ შევა ისეთი პირი, რომელმაც თავისი სახელი ან მოქმედება დაუკავშირა პარტიულობის წინააღმდეგ ბრძოლას» (ამონაწერი მოლაპარაკების «ოქმიდან»). ს.-დ. ცნობილი სია მეორე კურიაში მიღებულ იქნა მხოლოდ იმის შედეგად, რომ ანტილიკვიდატორებმა აცილება მისცეს აბ... და ლ..., ცნობილ პიტერელ ლიკვიდატორებს, რომლებმაც «თავიანთი სახელი და მოქმედება დაუკავშირეს» და სხვ. «ერთიანობის მომხრეთა» დასახასიათებლად ზედმეტი არ იქნება აქვე შევნიშნოთ, რომ მათ, თბილისში ჩხეიძის არჩევის შემდეგ, გადაჭრით უარი თქვეს შეეცვალათ ის III სათათბიროს ყოფილი წევრის, ს.-დ. პოკროვსკის, კანდიდატურით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ — პარალელურ სიას წამოვაყენებთ და კამპანიას ჩავშლითო.

მაგრამ შენიშვნა «საარჩევნო აგიტაციის თავისუფლების» შესახებ თითქმის ზედმეტი აღმოჩნდა, ვინაიდან კამპანიის მსვლელობამ თვალთნათლივ დაგვანახა, რომ კადეტებთან ბრძოლაში სხვა რაიმე კამპანია შეუძლებელია, გარდა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული, ე. ი. ბოლშევიკური კამპანიისა. ვის არ ახსოვს პეტერბურგელი ორატორებისა და სოციალ-დემოკრატიის კანდიდატების სიტყვები «პროლეტარიატის ჰეგემონიაზე» და «ბრძოლის ძველ მეთოდებზე» წინააღმდეგ «ახალი პარლამენტური მეთოდებისა», «მეორე მოძრაობაზე» და «პასუხისმგებელი კადეტური სამინისტროს ლოზუნგის უვარგისობაზე»? სად გაქრა ლიკვიდატორთა მოთქმა «ოპოზიციის გაუთიშველობაზე», «კადეტური ბურჟუაზიის გამემარცხენებაზე», ამ ბურჟუაზიაზე «ზეგავლენის» შესახებ? მერე ანტიკადეტური აგიტაცია «ლუჩელი» ლიკვიდატორებისა, რომლებიც «ჭამდნენ» და «აშინებდნენ» კადეტებს ზოგჯერ გადამეტებულადაც, — განა ყოველივე ეს იმას არ მოწმობს, რომ «ჩვილთა ბაგეებითაც» კი ჭეშმარიტებას ღაღადებდა თვით ცხოვრება?

მაშ სად გაქრა დანის, მარტოვისა და «კადეტთაჭამიობის» სხვა მოწინააღმდეგეთა პრინციპული სინდისი?

ლიკვიდატორების «ფართო მუშათა პარტია» ერთხელ კიდევ დამარცხდა «არალეგალურ წრესთან» ბრძოლაში. აბა ერთი იფიქრეთ: «ფართო მუშათა (?) პარტია» ტყვედ ჩავარდნია პატარა, სრულიად პაწაწკინტელა «წრეს»! სასწაულია...

III

დასკვნები

ნათქვამიდან უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ სიტყვები ორ ბანაკზე, სამი ივნისის რეჟიმის მომხრეთა ბანაკსა და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკზე — ნიადაგს მოკლებულია.

ნამდვილად არჩევნებში გამოდიოდა სამი და არა ორი ბანაკი: რევოლუციის ბანაკი (სოციალ-დემოკრატები), კონტრრევოლუციის ბანაკი (მემარჯვენენი) და იმ შემთანხმებელთა ბანაკი, რომლებიც ძირს უთხრიდნენ რევოლუციას, წყალს უშვებდნენ კონტრრევოლუციის წისქვილზე (კადეტები). რეაქციის წინააღმდეგ «ერთიან ოპოზიციაზე» კრინტიც კი არ დაუძრავთ.

შემდეგ, არჩევნები მოწმობს იმას, რომ ორი უკიდურესი ბანაკი თანდათან სულ უფრო მეტად გაემიჯნება ერთმანეთს, რომ ამის გამო საშუალო ბანაკი თანდათან დადნება, — დემოკრატიულად განწყობილთ სოციალ-დემოკრატიას დაუთმობს, თვითონ კი თანდათან გადაინაცვლებს კონტრრევოლუციისაკენ.

ამიტომ სიტყვები ზემოდან მომდინარე «რეფორმებზე», «აფეთქებათა» შეუძლებლობასა და რუსეთის «ორგანულ განვითარებაზე» «კონსტიტუციის» მფარველობით — ყოველგვარ ნიადაგს კარგავს. მოვლენათა მსვლელობას გარდუვალად მივყავართ ახალი რევოლუციისაკენ, და, წინააღმდეგ ლარინების და სხვა ლიკვიდატორების რწმუნებისა, ჩვენ მოგვიხდება «ახალი ცხრაას ხუთი წლის» გადატანა.

დასასრულ, არჩევნები იმას მოწმობს, რომ პროლეტარიატი და მხოლოდ ის არის მოწოდებული სათავეში ჩაუდგეს მომავალ რევოლუციას და თანდათან შემოიკრიბოს თავის ირგვლივ ყოველივე, რაც კი პატიოსანი და დემოკრატიულია რუსეთში და მოწყურებულია მონობისაგან გაათავისუფლოს სამშობლო. საკმარისია გავეცნოთ მუშათა კურიის არჩევნების მსვლელობას, საკმარისია გავეცნოთ პეტერბურგელი მუშების სიმპატიას, რაც აშკარადაა გამოხატული რწმუნებულთა განაწესში, საკმარისია გავეცნოთ მათს რევოლუციურ ბრძოლას არჩევნებისათვის, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დანამდვილებით ვთქვათ, რომ პეტერბურგის არჩევნებმა სავსებით დაადასტურეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგების სისწორე.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ცხოველმყოფელობა და ძლიერება — ასეთია პირველი დასკვნა.

ლიკვიდატორების პოლიტიკური გაკოტრება — ასეთია მეორე დასკვნა.

გაზეთი «სოციალ-დემოკრატი»
№ 30, 1913 წლის 12 (25) იანვარი.
ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.

ნაციონალიზმის გზით

(წერილი კავკასიიდან)

მთელ რიგ იმ დადგენილებათა შორის, რომელთაც უკვდავყვეს ლიკვიდატორული კონფერენციის სახელი, უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს დადგენილებას «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» შესახებ.

აი ეს დადგენილება:

«მოისმინა რა კავკასიის დელეგაციის ცნობა იმის შესახებ, რომ როგორც რსდმპ კავკასიის ორგანიზაციების უკანასკნელ კონფერენციაზე, ისე ამ ორგანიზაციების ლიტერატურულ ორგანოებში გამოირკვა კავკასიელი ამხანაგების აზრი ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნის წამოყენების საჭიროების შესახებ, კონფერენცია, არ გამოთქვამს რა აზრს არსებითად ამ მოთხოვნის შესახებ, აღნიშნავს, რომ ასეთი განმარტება პარტიული პროგრამის იმ მუხლისა, რომელიც აღიარებს თვითგამორკვევის უფლებას თვითეული ეროვნებისათვის, არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამის ზუსტ აზრს, და გამოთქვამს სურვილს, რომ ნაციონალური საკითხი შეტანილ იქნეს რსდმ პარტიის **უახლოესი ყრილობის** დღის წესრიგში».

ეს დადგენილება მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ იგი გამოხატავს ლიკვიდატორთა ოპორტუნისტულ

პირმოთნეობას აზვირთებული ნაციონალისტური ტალღის ფაქტის წინაშე. იგი მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომაც, რომ მასში ყოველი ფრაზა მარგალიტია.

რადა ღირს, მაგალითად, განცხადება იმის შესახებ, რომ კონფერენცია, «არ გამოთქვამს რა აზრს არსებითად ამ მოთხოვნის შესახებ», მიუხედავად ამისა მაინც «აღნიშნავს» და წყვეტს? ასე ხომ მხოლოდ ოპერეტებში «წყვეტენ»!

ან ფრაზა იმის შესახებ, რომ «ასეთი განმარტება პარტიული პროგრამის იმ მუხლისა, რომელიც აღიარებს თვითგამორკვევის უფლებას თვითეული ეროვნებისათვის, არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამის ზუსტ აზრს». ერთი დაუფიქრდით! პროგრამის ხსენებული მუხლი (მე-9 მუხლი) ლაპარაკობს ეროვნებათა თავისუფლებაზე, ეროვნებათა თავისუფალი განვითარების **უფლებაზე**, პარტიის ვალდებულებაზე — იბრძოლოს მათ მიმართ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ. საერთოდ რომ ვთქვათ, ეროვნებათა **უფლება** ამ მუხლის აზრით არ უნდა იყოს შეზღუდული, ეს უფლება შეიძლება მივიდეს როგორც ავტონომიამდე და ფედერაციამდე, ისე სეპარაციამდეც. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პარტიისათვის სულ ერთია, ერთნაირად კარგია, თუ სახელდობრ როგორ გადაწყვეტს თავის ბედს ესა თუ ის ეროვნება, ცენტრალიზმის თუ სეპარატიზმის სასარგებლოდ? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ეროვნებათა მარტოოდენ აბსტრაქტული უფლების საფუძველზე, «არსებითად ამ მოთხოვნის გამო აზრის გამოუთქმელად», შეიძლება ვურჩიოთ, თუნდაც არაპირდაპირ, ზოგს ავტონომია, ზოგს ფედერაცია და ზოგსაც სეპარაცია? ეროვნება წყვეტს თავის ბედს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ პარტიამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ეროვნების ნებაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება პროლეტარიატის ინტერესებს? პარტია

სარწმუნოებათა თავისუფლების მომხრეა, მომხრეა იმისა, რომ ვისაც რა რელიგია სურს, ის აღიაროს. შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნათ, რომ პარტია მხარს დაუჭერს კათოლიციზმს პოლონეთში, მართლმადიდებლობას საქართველოში, გრიგორიანელობას სომხეთში, რომ იგი არ შეებრძოლება მსოფლმხედველობის ამ ფორმებს?.. და განა თავისთავად ცხადი არაა, რომ პარტიული პროგრამის მე-9 მუხლი და კულტურულ-ნაციონალური ავტონომია — ორი სულ სხვადასხვა რამაა, რაც ისევე შეიძლება ერთმანეთს «ეწინააღმდეგებოდეს», როგორც, ვთქვათ, ხეოფსის პირამიდა და ლიკვიდატორთა ყბადაღებული კონფერენცია?

და კონფერენციაც ხომ სწორედ ასე ოინბაზურად «წყვეტს» საკითხს.

ლიკვიდატორთა ხსენებულ დადგენილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი — ესაა იდეური რღვევა კავკასიელ ლიკვიდატორებს შორის, რომლებმაც უღალატეს ინტერნაციონალიზმის ძველ დროშას კავკასიაში და მიაღწიეს იმას, რომ კონფერენციას ეს დადგენილება გამოეტანა.

კავკასიელი ლიკვიდატორების მობრუნება ნაციონალიზმისაკენ — შემთხვევითი როდია. პარტიული ტრადიციების ლიკვიდაცია — დიდი ხანია დაწყებულია მათ მიერ. პროგრამა-მინიმუმის «სოციალური ნაწილის» გაუქმება, «პროლეტარიატის ჰეგემონიის» გაუქმება (იხ. «დისკუსიონნი ლისტოკ» № 2 [127]), არალეგალური პარტიის გამოცხადება ლეგალურ ორგანიზაციებთან არსებულ დამხმარე ორგანიზაციად (იხ. «დნევნიკი» № 9 [128]) — ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი რამაა. ახლა ჯერი ნაციონალურ საკითხზე მიდგა.

თავისი წარმოშობიდანვე (90-იანი წლების დამდეგი) კავკასიის ორგანიზაციები უაღრესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ. ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ მტრებს — ასეთი იყო პარ-

ტიული ცხოვრების სურათი... 1903 წელს, კავკასიის (საკუთრივ ამიერკავკასიის) ს.-დ. ორგანიზაციების პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიის კავშირს, ორგანიზაციის აგების ინტერნაციონალური პრინციპი კვლავ აღიარებულ იქნა ერთადერთ სწორ პრინციპად. მას შემდეგ კავკასიის სოციალ-დემოკრატია იზრდებოდა ნაციონალიზმთან ბრძოლაში. ქართველი სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ «თავიანთ» ნაციონალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს; სომეხი სოციალ-დემოკრატები — «თავიანთ» დაშნაკცაკანებს; მუსლიმანი სოციალ-დემოკრატები — პანისლამისტებს [129]. და მათთან ბრძოლაში აფართოებდა და განამტკიცებდა თავის ორგანიზაციებს კავკასიის სოციალ-დემოკრატია განურჩევლად ფრაქციებისა... 1906 წელს, კავკასიის საოლქო კონფერენციაზე, პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა და მის დადებითად გადაწყვეტას მოითხოვდა ქუთაისელთა პატარა ჯგუფი. საკითხი, როგორც მაშინ ამბობდნენ, «სამარცხვინოდ ჩაფლავდა», სხვათა შორის, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ერთნაირად მკაცრად გაილაშქრა ორივე ფრაქციამ კოსტროვისა და ამ სტრიქონების დამწერის სახით. გადაწყდა, რომ ეგრეთწოდებული «კავკასიის საოლქო თვითმმართველობა» ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა და ყველაზე უფრო შეეფერება ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს. დიახ, ასე იყო 1906 წელს. და ეს გადაწყვეტილება შეორდებოდა შემდგომ კონფერენციებზე, მას იცავდნენ და მის პოპულარიზაციას ეწეოდნენ კავკასიის როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ პრესაში, ლეგალურსა და არალეგალურში...

მაგრამ აი დადგა 1912 წელი, და «აღმოჩნდა», რომ «ჩვენ» გვესაჭიროება კულტურულ-ნაციონალური ავტო-

ნომია, რა თქმა უნდა (რა თქმა უნდა!), პროლეტარიატის ინტერესებისათვის! მაშ რაშია საქმე? რა შეიცვალა? იქნებ კავკასიის პროლეტარიატი ნაკლებ სოციალისტური გახდა? მაგრამ მაშინ ხომ ყველაზე მეტი უგუნურებაა ნაციონალური ორგანიზაციული და «კულტურული» ზღუდეების აღმართვა მუშებს შორის! იქნებ იგი უფრო სოციალისტური გახდა? მაგრამ ამ შემთხვევაში რა უნდა ეწოდოს იმ, უკაცრავად პასუხია, «სოციალისტებს», ვინც ხელოვნურად ქმნის და ამაგრებს იმ ზღუდეებს, რომლებიც ინგრევა და არავისთვის საჭირო არ არის?.. მაშ რაშია საქმე? სწორედ იმაში, რომ გლეხურმა ქუთაისმა თან გაიყოლია თბილისის «სოციალ-დემოკრატი იქტიაბრისტები». კავკასიის ლიკვიდატორების საქმეებს ამიერიდან გადაწყვეტს მებრძოლი ნაციონალიზმით დაშინებული ქუთაისელი გლეხი. კავკასიის ლიკვიდატორები ვერ გაუმკლავდნენ ნაციონალისტურ ტალღას, მათ ხელიდან გააგდეს ინტერნაციონალიზმის ნაცადი დროშა და... დაიწყეს ქანაობა ნაციონალიზმის «ტალღებზე», — შორს გადაისროლეს უკანასკნელი სიმდიდრე: «ვის ან რად უნდა, რის მაქნისია»...

მაგრამ ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვას: ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს! კავკასიელ ლიკვიდატორთა ქართულ, სომხურ, მუსლიმანურ (და რუსულ?) ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას გაჰყვებიან ქართველ, სომეხ, მუსლიმან და სხვა ლიკვიდატორთა პარტიები. საერთო ორგანიზაციის ნაცვლად გაჩნდება ცალკეული ორგანიზაციები ეროვნებათა მიხედვით, ასე ვთქვათ — ქართული, სომხური და სხვა «ბონდები».

აქეთკენ ხომ არ მიმართავენ ნაციონალური საკითხის თავიანთ «გადაწყვეტას» ბბ. კავკასიელი ლიკვიდატორები?

რა გაეწყობა, ჩვენ შეგვიძლია ვუსურვოთ მათ გამბედაობა. გააკეთეთ. რის გაკეთებაც გინდათ!

ყოველ შემთხვევაში შეგვიძლია დავარწმუნოთ ისინი, რომ კავკასიის ორგანიზაციების მეორე ნაწილი, ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი პარტიული სოციალ-დემოკრატები გადაჭრით გაწყვეტენ კავშირს ბბ. ნაციონალ-ლიკვიდატორებთან, კავკასიაში ინტერნაციონალიზმის სახელოვანი დროშის ამ მოღალატეებთან.

გაზეთი «სოციალ-დემოკრატი» იბეჭდება გაზეთის
№ 30, 1913 წ. 12 (25) იანვარი. ტექსტის მიხედვით.
ხელმოწერა: კ. ს ტ.

მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი [130]

რუსეთში კონტრრევოლუციის პერიოდს მოჰყვა არა მარტო «ელვა-ქუხილი», არამედ მოძრაობაზე გულის გატეხაც, საერთო ძალებისადმი რწმენის დაკარგვა. «ბრწყინვალე მომავალი» სწამდათ, — და იბრძოდნენ ერთად, განურჩევლად ეროვნებისა: საერთო საკითხები უწინარეს ყოვლისა! გულში ეჭვი შეეპარათ, — და ხალხმა ნაციონალურ ბინებს მიაშურა: თვითეულს მხოლოდ თავისი თავის იმედი ჰქონდესო! «ნაციონალური პრობლემა» უწინარეს ყოვლისა!

ამავე დროს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური ცხოვრების სერიოზული ნგრევა ხდებოდა. 1905 წელს ამაოდ არ ჩაუვლია; სოფლად ბატონყმური წყობის ნაშთებს კიდევ ეროხელ ჩაეცა ლახვარი. რამდენიმე მოსავლიანმა წელმა შიმშილობის შემდეგ და მერე დაწყებულმა სამრეწველო აღმავლობამ წინ წასწია კაპიტალიზმი. სოფლის დიფერენციაციამ და ქალაქების ზრდამ, ვაჭრობისა და გზების გაუმჯობესებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ეს განსაკუთრებით სწორია განაპირა მხარეების მიმართ. მაგრამ ამას არ შეიძლებოდა არ დაეჩქარებინა რუსეთის ეროვნებათა საბეურნეო კონსოლიდაციის პროცესი. ეს ეროვნებანი უნდა ამოძრავებულიყვნენ...

ეროვნებათა გამოღვიძების ამავე მიმართულებით მოქმედებდა ამ ხნის განმავლობაში დამყარებული «კონსტიტუციური რეჟიმი». გაზეთების და საერთოდ ლიტერატურის ზრდა, ბეჭდვითი სიტყვის და კულტურულ დაწესებულებათა ერთგვარი თავისუფლება, სახალხო თეატრების ზრდა და სხვა, უეჭველია, ხელს უწყობდა «ნაციონალური გრძნობების» გაძლიერებას. სათათბირომ თავისი საარჩევნო კამპანიითა და პოლიტიკური ჯგუფებით ახალი შესაძლებლობანი წარმოშვა ერების გამოცოცხლებისათვის, ახალი ფართო ასპარეზი შექმნა მათი მობილიზაციისათვის.

ხოლო ზემოდან აგორებულმა მებრძოლი ნაციონალიზმის ტალღამ და მრავალმა რეპრესიამ «ძალაუფლების მჭყრობელთა» მხრივ, რომლებიც შურს იძიებდნენ გაბატონებულ მხარეებზე მათი «თავისუფლებისმოყვარეობისათვის», — გამოიწვია ქვემოდან საპასუხო ტალღა ნაციონალიზმისა, რომელიც ზოგჯერ უხეშ შოვინიზმად იქცევა. სიონიზმის [131] გაძლიერება ებრაელთა შორის, შოვინიზმის ზრდა პოლონეთში, პანისლამიზმი თათართა შორის, ნაციონალიზმის გაძლიერება სომხებში, ქართველებში, უკრაინელებში, ობივატელის საერთო გადახრა ანტისემიტიზმისაკენ, — ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია.

ნაციონალიზმის ტალღა უფრო და უფრო მძლავრად მოგორავდა და მუშათა მასების ჩათრევასაც ლამობდა. და რაც უფრო კლებულობდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მით უფრო დიდებულად იფურჩქნებოდა ნაციონალიზმის ყვავილი.

ამ მძიმე მომენტში სოციალ-დემოკრატიას ეკისრებოდა მაღალი მისია — წინააღმდეგობა გაეწია ნაციონალიზმისათვის, დაეცვა მასები საერთო «სნებისაგან». ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას შეეძლო ეს იმით, რომ ნაციონალიზმს დაუპირისპირებდა ინტერნაციონალიზმის ნაცად იარაღს, კლასობრივი ბრძოლის

ერთიანობასა და განუყოფლობას. და რაც უფრო მძლავრად მოგორავდა ნაციონალიზმის ტალღა, მით უფრო უნდა აღემაღლებინა ხმა სოციალ-დემოკრატიას რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტართა ძმობისა და ერთიანობისათვის. ამასთან განსაკუთრებული სიმტკიცე მოეთხოვებოდათ განაპირა მხარეთა სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც უშუალოდ ეჯახებიან ნაციონალისტურ მოძრაობას.

მაგრამ ყველა სოციალ-დემოკრატი როდი აღმოჩნდა ამოცანის სიმაღლეზე; უწინარეს ყოვლისა ეს განაპირა მხარეთა სოციალ-დემოკრატებზე ითქმის. ბუნდი, რომელიც წინათ ხაზგასმით აღნიშნავდა საერთო ამოცანებს, ახლა შეუდგა თავისი განსაკუთრებული, პირწმინდა ნაციონალისტური მიზნების პირველ რიგში წამოყენებას: საქმე იქამდე მივიდა, რომ მან თავისი საარჩევნო კამპანიის საბრძოლო პუნქტად «შაბათის უქმობა» და «ჟარგონის აღიარება» გამოაცხადა *. ბუნდს კავკასია მიჰყვა: კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი, რომელიც წინათ, დანარჩენ კავკასიელ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას» უარყოფდა, ახლა სწორედ ასეთ ავტონომიას აყენებს მორიგ მოთხოვნად **. აღარას ვამბობთ ლიკვიდატორების კონფერენციაზე, რომელმაც დიპლომატიურად სანქცია მისცა ნაციონალისტურ მერყეობას ***.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებანი ნაციონალურ საკითხში ჯერ კიდევ ყველა სოციალ-დემოკრატისათვის როდი ნათელი.

---

* იხ. «ბუნდის IX კონფერენციის ანგარიში».

** იხ. «აგვისტოს კონფერენციის უწყება».

*** ხხ. ოქვე.

აშკარაა, აუცილებლად საჭიროა ნაციონალური საკითხის სერიოზული და ყოველმხრივი განხილვა. საჭიროა თანმიმდევარი სოციალ-დემოკრატების ერთსულოვანი და დაუღალავი მუშაობა ნაციონალისტური ბურუსის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი.

I

ერი

რა არის ერი?

ერი, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანთა ერთობა. განსაზღვრული ერთობა.

ეს ერთობა არც რასობრივია და არც ტომობრივი. დღევანდელი იტალიელი ერი ჩამოყალიბდა რომაელებისა, გერმანელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისა და სხვებისაგან. ფრანგი ერი ჩამოყალიბდა გალებისა, რომაელებისა, ბრიტებისა, გერმანელებისა და სხვებისაგან. იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებსა და სხვებზე, რომელნიც ერებად ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა რასისა და ტომის ადამიანთაგან.

ამრიგად, ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და არა რასობრივი და ტომობრივი ერთობა.

მეორე მხრივ, უეჭველია, რომ კიროსის ან ალექსანდრეს დიდ სახელმწიფოებს არ შეიძლებოდა ერები დარჩმეოდათ, თუმცა ისინი ჩამოყალიბდნენ ისტორიულად, ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ტომებისა და რასებისაგან. ესენი იყვნენ არა ერები, არამედ ჯგუფთა შემთხვევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერატები, რომელნიც ირღვეოდნენ და ერთიანდებოდენ ამა თუ იმ დამპყრობელის წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით.

ამრიგად, ერი ადამიანთა მყარი ერთობაა და არა შემთხვევითი და ეფემერული კონგლომერატი.

მაგრამ ადამიანთა ყოველი მყარი ერთობა როდი ქმნის ერს. ავსტრიაც და რუსეთიც მყარ ერთობებს წარმოადგენენ, მაგრამ ერებს მათ არავინ უწოდებს. რით განსხვავდება ნაციონალური ერთობა სახელმწიფოებრივი ერთობისაგან? სხვათა შორის, იმით, რომ ნაციონალური ერთობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე, მაშინ როცა სახელმწიფოსათვის საერთო ენა სავალდებულო როდია. ავსტრიაში ჩეხი ერისა და რუსეთში პოლონელი ერის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, თვითეულ მათგანს საერთო ენა რომ არ ჰქონდეს, მაშინ როცა რუსეთისა და ავსტრიის მთლიანობას მათ შიგნით მთელი რიგი ენების არსებობა არაფერს უშლის. მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, სახალხო-სალაპარაკო და არა ოფიციალურ-საკანცელარიო ენები.

ამრიგად — **ენის ერთობა,** როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ერი ყოველთვის და ყველგან სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს ან ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკენი უეჭველად ერთ ერს შეადგენენ. **საერთო** ენა თვითეული ერისათვის, მაგრამ არა უთუოდ სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერისათვის! არ არსებობს ერი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ერი! ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი ერთ ერს მაინც არ შეადგენენ. იგივე უნდა ითქვას ნორვეგიელებსა და დანიელებზე, ინგლისელებსა და ირლანდიელებზე.

მაგრამ რატომ არის, რომ, მაგალითად, ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები, მიუხედავად საერთო ენისა, ერთ ერს არ შეადგენენ?

უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ერთად კი არ ცხოვრობენ, არამედ სხვადასხვა ტერიტორიაზე. ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად, თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად. ხანგრძლივი ერთად ცხოვრება კი შეუძლებელია, თუ საერთო ტერიტორია არ არსებობს. ინგლისელები და ამერიკელები წინათ ერთ ტერიტორიაზე, ინგლისში, ბინადრობდნენ და ერთ ერს შეადგენდნენ. შემდეგ ინგლისელთა ერთი ნაწილი ინგლისიდან ახალ ტერიტორიაზე, ამერიკაში, გადასახლდა და აქ, ახალ ტერიტორიაზე, დროთა განმავლობაში შეექმნა ახალი ჩრდილო-ამერიკელი ერი. სხვადასხვა ტერიტორიამ სხვადასხვა ერის წარმოშობა გამოიწვია.

ამრიგად, **ტერიტორიის ერთობა,** როგორც ერის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ტერიტორიის ერთობა თავისთავად ჯერ კიდევ არ იძლევა ერს. ამისთვის საჭიროა კიდევ შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთელად აერთიანებს. ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის ასეთი კავშირი არ არსებობს, და ამიტომ ისინი ორ სხვადასხვა ერს შეადგენენ. მაგრამ თვითონ ჩრდილო-ამერიკელებიც ვერ დაიმსახურებდნენ ერის სახელწოდებას, ჩრდილოეთ ამერიკის ცალკეული კუთხეები შეკავშირებული რომ არ იყვნენ ერთ ეკონომიურ მთელად — მათ შორის შრომის განაწილების, გზების განვითარებისა და სხვ. მეოხებით.

ავიღოთ თუნდაც ქართველები. რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრე-

ერთმანეთს დაშორებული არიან, სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და სხვ. ასეთები არიან, მაგალითად, რუსეთის, გალიციის, ამერიკის, საქართველოს და მთიელი **ებრაელები,** რომელნიც, ჩვენი აზრით, ერთიან ერს არ შეადგენენ.

შეიძლება წარმოვიდგინოთ საერთო ტერიტორიისა და საერთო ეკონომიური ცხოვრების მქონე ადამიანები, მაგრამ ისინი მაინც ვერ შეადგენენ ერთ ერს, თუ საერთო ენა და საერთო «ნაციონალური ხასიათი» არა აქვთ. ასეთები არიან, მაგალითად, გერმანელები და ლატვიელები ბალტიისპირა მხარეში.

დასასრულ, ნორვეგიელები და დანიელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთ ერს არ შეადგენენ სხვა ნიშნების უქონლობის გამო.

მხოლოდ ყველა ნიშანი, ერთად აღებული, გვაძლევს ერს.

შეიძლება გვეჩვენოს, რომ «ნაციონალური ხასიათი» ერის ერთ-ერთი ნიშანი კი არ არის, არამედ **ერთადერთი** არსებითი ნიშანია, ამასთან ყველა დანარჩენი ნიშანი, არსებითად, ერის განვითარების **პირობებს** შეადგენს და არა მის ნიშნებს. ასეთ თვალსაზრისზე დგანან, მაგალითად, ავსტრიაში ნაციონალური საკითხის ცნობილი ს.-დ. თეორეტიკოსები რ. შპრინგერი და, განსაკუთრებით, ო. ბაუერი.

განვიხილოთ მათი თეორია ერისა.

შპრინგერის მიხედვით, «ერი ერთნაირად მოაზროვნე და ერთნაირად მოლაპარაკე ადამიანთა კავშირია». ეს არის «თანამედროვე ადამიანთა ჯგუფის კულტურული ერთობა, რომელიც დაკავშირებული **არ არის «მიწასთან»** * (ხაზგასმა ჩვენია).

ამრიგად — ერთნაირად მოაზროვნე და ერთნაირად მოლაპარაკე ადამიანთა «კავშირი», რაგინდ განცალკევებულ-

* იხ. რ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 43, «ობშჩესტვენნაია პოლზას» გამოც., 1909 წ.

ნიც იყვნენ ისინი ერთმანეთისაგან, სადაც უნდა ცხოვრობდნენ.

ბაუერი კიდევ უფრო შორს მიდის.

«რა არის ერი? — კითხულობს იგი. — არის თუ არა ეს ენის ერთობა, რომელიც ადამიანებს ერად აერთიანებს? მაგრამ ინგლისელები და ირლანდიელები... ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო ერთიან ხალხს არ წარმოადგენენ; ებრაელებს სულაც არა აქვთ საერთო ენა და, მიუხედავად ამისა, ისინი ერს შეადგენენ» *.

მაშ რა არის ერი?

«ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა»**.

მაგრამ რა არის ხასიათი, ამ შემთხვევაში — ნაციონალური ხასიათი?

ნაციონალური ხასიათი იმ «ნიშანთა ჯამია, რომელნიც ერთი ეროვნების ადამიანებს განასხვავებენ მეორე ეროვნების ადამიანთაგან, ფიზიკურ და სულიერ თვისებათა ის კომპლექსია, რომელიც ერთ ერს მეორისაგან განასხვავებს» ***.

ბაუერმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ნაციონალური ხასიათი ციდან არ ვარდება, და ამიტომ დასძენს:

«ადამიანთა ხასიათი მხოლოდ და მხოლოდ მათი ბედით განისაზღვრება», რომ... «ერი სხვა არა არის რა, თუ არ ბედის ერთობა», რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება იმ «პირობებით, რომლებშიაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების საშუალებებს ქმნიან და თავიანთი შრომის პროდუქტებს ანაწილებენ» ****.

ამრიგად, ჩვენ მივიღეთ ერის, როგორც ბაუერი ამბობს, უველაზე «სრული» განსაზღვრა.

---

* იხ. ო. ბაუერის «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», «სერპის» გამოც., 1909 წ., გვ. 1 — 2.

** იხ. იქვე, გვ. 6.

*** იხ. იქვე, გვ. 2.

**** იხ. იქვე, გვ. 24 — 25.

«ერი იმ ადამიანთა მთელი ერთობლიობაა, რომელნიც შეკავშირებული არიან ხასიათის ერთობით ბედის ერთობის ნიადაგზე» *.

ამრიგად, ნაციონალური ხასიათის ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე, აღებული ტერიტორიის, ენისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობასთან აუცილებელი კავშირის გარეშე.

მაგრამ რაღა რჩება ამ შემთხვევაში ერისაგან? რა ნაციონალურ ერთობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც ეკონომიურად ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან, სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ და თაობიდან თაობამდე სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ?

ბაუერი ლაპარაკობს ებრაელებზე. როგორც ერზე, თუმცა მათ «სულაც არა აქვთ საერთო ენა»**, მაგრამ რა «ბედის ერთობაზე» და ნაციონალურ შეკავშირებულობაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგალითად, საქართველოს, დაღისტნის, რუსეთისა და ამერიკის ებრაელების მიმართ, რომლებიც სრულიად მოწყვეტილი არიან ერთმანეთს, სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ?

ხსენებული ებრაელები, უეჭველია, ქართველებთან, დაღისტნელებთან, რუსებთან და ამერიკელებთან საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებით, მათთან საერთო კულტურულ ატმოსფეროში ცხოვრობენ; ეს არ შეიძლება თავის დაღს არ ასვამდეს მათს ნაციონალურ ხასიათს; თუ მათ საერთო რამ დარჩენიათ, ესაა რელიგია, საერთო წარმოშობა და ნაციონალური ხასიათის ზოგიერთი ნაშთი. ყოველივე ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ როგორ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ, რომ გაქვავებული რელიგიური

* იხ. ო. ბაუერის «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», «სერპის» გამოც., 1909 წ., გვ. 139.

** იხ. იქვე, გვ. 2.

წესები და გაქრობის პროცესში მყოფი ფსიქოლოგიური ნაშთები უფრო ძლიერ გავლენას ახდენენ ხსენებულ ებრაელთა «ბედზე», ვიდრე მათ ირგვლივ არსებული ცოცხალი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული გარემო? ამავე დროს კი მხოლოდ ასეთი ვარაუდისას შეიძლება ლაპარაკი საერთოდ ებრაელებზე როგორც ერთიან ერზე.

რითღა განსხვავდება ამ შემთხვევაში ბაუერის ერი სპირიტუალისტთა მისტიკური და თვითკმარი «ნაციონალური სულისაგან»?

ბაუერს გაუვალი ზღვარი გაჰყავს ერის «განმასხვავებელ ნიშანსა» (ნაციონალური ხასიათი) და მისი ცხოვრების «პირობებს» შორის, ერთმანეთისაგან წყვეტს მათ. მაგრამ რა არის ნაციონალური ხასიათი, თუ არ ცხოვრების პირობების ანარეკლი, თუ არა გარემოსაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შენადედი? როგორ შეიძლება დავჯერდეთ მხოლოდ ნაციონალურ ხასიათს და მოვაშოროთ და მოვწყვიტოთ ეს ხასიათი იმ ნიადაგს, რომელმაც იგი წარმოშვა?

შემდეგ, არსებითად რით განსხვავდებოდა ინგლისელი ერი ჩრდილო-ამერიკელი ერისაგან XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც ჩრდილოეთ ამერიკას ჯერ კიდევ «ახალ ინგლისს» უწოდებდნენ? რაღა თქმა უნდა, არა ნაციონალური ხასიათით: ვინაიდან ჩრდილო-ამერიკელები ინგლისიდან გამოსულნი იყვნენ, მათ ამერიკაში თან გაჰყვათ, გარდა ინგლისური ენისა, ინგლისური ნაციონალური ხასიათიც და, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ასე მალე დაეკარგათ ეს ხასიათი, თუმცა ახალი პირობების გავლენით მათში, ალბათ, თავისი განსაკუთრებული ხასიათი მუშავდებოდა. და მაინც, მიუხედავად ხასიათის მეტი თუ ნაკლები ერთობისა, ისინი უკვე მაშინ ინგლისისაგან განსხვავებულ ერს შეადგენდნენ! ცხადია, «ახალი ინგლისი», როგორც ერი, განვითარდებოდა მაშინ ინგლისისაგან,

როგორც ერისაგან, არა განსაკუთრებული ნაციონალური ხასიათით, ან არა იმდენად ნაციონალური ხასიათით, რამდენადაც ინგლისისაგან განსხვავებული გარემოთი, ცხოვრების პირობებით.

ამგვარად, ცხადია, რომ სინამდვილეში ერის არავითარი **ერთადერთი** განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ნიშანთა ჯამი, რომელთაგან ერების ურთიერთშედარებისას უფრო რელიეფურად იჩენს თავს ხან ერთი ნიშანი (ნაციონალური ხასიათი), ხან მეორე (ენა), ხან მესამე (ტერიტორია, ეკონომიური პირობები). ერი წარმოადგენს ერთად აღებული ყველა ნიშნის შეერთებას.

ბაუერის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ერი და ნაციონალური ხასიათი გაიგივებულია, ერს ნიადაგისაგან წყვეტს და მას რაღაც უხილავ, თვითკმარ ძალად აქცევს. გამოდის არა ერი, ცოცხალი და მოქმედი, არამედ რაღაც მისტიკური, მიუწვდომელი და იმქვეყნიური რამ. ვინაიდან, ვიმეორებ, მაგალითად, ეს რა ებრაელი ერია, შემდგარი საქართველოს, დაღისტნის, რუსეთის, ამერიკისა და სხვა ებრაელთაგან, რომლის წევრებსაც ერთმანეთისა არა ესმით რა (სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ), დედამიწის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ, ვერასოდეს ერთმანეთს ვერ ნახავენ, ვერასოდეს ერთად ვერ გამოვლენ, ვერც მშვიდობიან და ვერც ომიანობის დროს?!

არა, ასეთი, მხოლოდ ქაღალდზე არსებული, «ერებისათვის» როდი ადგენს სოციალ-დემოკრატია თავის ნაციონალურ პროგრამას. მას შეუძლია ანგარიში გაუწიოს მხოლოდ ნამდვილ ერებს, რომელნიც მოქმედებენ და მოძრაობენ, და ამიტომ თავის თავს ანგარიშგასაწევს ხდიან.

ბაუერი, როგორც ჩანს, ერთმანეთში ურევს **ერს**, რომელიც ისტორიული კატეგორიაა, და **ტომს**, რომელიც ეთნოგრაფიული კატეგორიაა.

თუმცაღა, ბაუერი, ეტყობა, თვითონვე გრძნობს თავისი პოზიციის სისუსტეს. თავისი წიგნის დასაწყისში ბაუერი გადაჭრით ლაპარაკობს ებრაელებზე, როგორც ერზე*, ხოლო წიგნის ბოლოს ასწორებს ამას და ამტკიცებს, «კაპიტალისტური საზოგადოება საერთოდ არ აძლევს მათ (ებრაელებს) საშუალებას თავი შეინარჩუნონ ერად»** და ახდენს მათს ასიმილაციას სხვა ერებთანო. მიზეზი, თურმე, ის, არის, რომ «ებრაელებს არა აქვთ შემოფარგლული საკოლონიზაციო ოლქი» ***, მაშინ როცა ასეთი ოლქი აქვთ, მაგალითად, ჩეხებს, რომლებმაც, ბაუერის აზრით, თავი უნდა შეინარჩუნონ როგორც ერმა. მოკლედ: მიზეზი ტერიტორიის უქონლობაა.

ასეთი მსჯელობით ბაუერს სურდა დაემტკიცებინა, რომ ნაციონალური ავტონომია არ შეიძლება იყოს ებრაელი მუშების მოთხოვნა ****, მაგრამ ამით ბაუერმა უნებლიეთ თავდაყირა დააყენა თავისი საკუთარი თეორია, რომელიც უარყოფს ტერიტორიის ერთობას, როგორც ერის ერთერთ ნიშანს.

მაგრამ ბაუერი უფრო შორსაც მიდის. თავისი წიგნის დასაწყისში იგი გადაჭრით აცხადებს, რომ «ებრაელებს სულაც არა აქვთ **საერთო** ენა და, მიუხედავად ამისა, ისინი ერს შეადგენენ» *****. მაგრამ ვერც კი მოასწრო ასოცდამეათე გვერდამდე მისვლა, რომ უკვე ფრონტი იცვალა და ასევე გადაჭრით აცხადებს: **«ეჭვს გარეშეა, რომ არავითარი ერი არ შეიძლება არსებობდეს საერთო ენის უქონლად»** ****** (ხაზგასმა ჩვენია).

---

* იხ. მისი წიგნის გვ. 2.
** იხ. იქვე, გვ. 389.
*** იხ. იქვე, გვ. 388.
**** იხ. იქვე, გვ. 396.
***** იხ. იქვე, გვ. 2.
****** იხ. იქვე, გვ. 130.

ბაუერს აქ სურდა დაემტკიცებინა, რომ «ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღია» *, მაგრამ ამასთან ერთად მან უნებლიეთ დაამტკიცა ისიც, რის დამტკიცებასაც არ აპირებდა, სახელდობრ: უმწეობა ერის შესახებ თავისი საკუთარი თეორიისა, რომელიც ენის ერთობის მნიშვნელობას უარყოფს.

ასე აბათილებს თვითონვე თავის თავს იდეალისტური ძაფით ნაკერი თეორია.

II

ნაციონალური მოძრაობა

ერი უბრალო ისტორიული კატეგორია კი არ არის, არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული კატეგორიაა. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და სხვები ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად მიიწევდა წინ.

მაგრამ ერების წარმოშობა იქ ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისელი, ფრანგი და სხვა ერები ამავე დროს ინგლისისა და სხვა სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ირლანდია, რომელიც ამ პროცესის გარეშე დარჩა, საერთო სურათს არ ცვლის.

რამდენადმე სხვანაირად ვითარდება საქმე აღმოსავლეთ ევროპაში. მაშინ როცა დასავლეთში ერები სახელმწიფოებად განვითარდნენ, აღმოსავლეთში ჩამოყალიბდნენ

* იხ. მისი წიგნის გვ. 130.

ეროვნებათაშორისო სახელმწიფოები, რამდენიმე ეროვნებისაგან შემდგარი სახელმწიფოები. ასეთები არიან ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი. ავსტრიაში პოლიტიკურად ყველაზე უფრო განვითარებულნი აღმოჩნდნენ გერმანელები — და სწორედ მათ იკისრეს ავსტრიის ეროვნებათა სახელმწიფოდ გაერთიანების საქმე. უნგრეთში სახელმწიფოებრივი ორგანიზებულობისადმი ყველაზე მეტად შეგუებულნი აღმოჩნდნენ მადიარები — უნგრეთის ეროვნებათა ბირთვი, და სწორედ ისინი არიან უნგრეთის გამაერთიანებელნი. რუსეთში ეროვნებათა გამაერთიანებლის როლი იკისრეს ველიკოროსებმა, რომელთა სათავეში იდგა ისტორიულად ჩამოყალიბებული ძლიერი და ორგანიზებული თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია.

ასეთი იყო საქმის ვითარება აღმოსავლეთში.

სახელმწიფოების შექმნის ასეთი თავისებური წესი შეიძლებოდა არსებულიყო მხოლოდ ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ფეოდალიზმის პირობებში, სუსტად განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, როდესაც უკანა რიგში მოქცეულ ეროვნებებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ კონსოლიდაცია ეკონომიურად მთლიან ერებად.

მაგრამ კაპიტალიზმი აღმოსავლეთის სახელმწიფოებშიც იწყებს განვითარებას. ვითარდება ვაჭრობა და გზები. ჩნდება დიდი ქალაქები. ხდება ერების ეკონომიური კონსოლიდაცია. დაჩაგრულ ეროვნებათა მშვიდობიან ცხოვრებაში შეჭრილი კაპიტალიზმი აღვიძებს ამ ეროვნებებს და მოძრაობაში მოჰყავს ისინი. პრესისა და თეატრის განვითარება, რეიხსრატის (ავსტრიაში) და სათათბიროს (რუსეთში) საქმიანობა ხელს უწყობს «ნაციონალური გრძნობების» გაძლიერებას. წარმოშობილი ინტელიგენცია «ნაციონალური იდეით» იმსჭვალება და ამავე მიმართულებით მოქმედებს...

მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოღვიძებული დაჩაგრული ერები უკვე ვეღარ ყალიბდებიან დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად: თავიანთ გზაზე მათ ხვდება უძლიერესი წინააღმდეგობა იმ მბრძანებელ ერთა ხელმძღვანელი ფენებისა, რომელნიც უკვე დიდი ხანია სახელმწიფოს სათავეში ჩამდგარან. დაიგვიანეს!..

ასე ყალიბდებიან ერებად ჩეხები, პოლონელები და სხვები ავსტრიაში; ხორვატები და სხვები უნგრეთში; ლატვიელები, ლიტველები, უკრაინელები, ქართველები, სომხები და სხვები რუსეთში. ის, რაც დასავლეთ ევროპაში გამონაკლისი იყო (ირლანდია), აღმოსავლეთში წესად იქცა.

დასავლეთში ირლანდიამ გამონაკლის მდგომარეობას ნაციონალური მოძრაობით უპასუხა. აღმოსავლეთში გამოღვიძებულ ერებს ასეთივე პასუხი უნდა გაეცათ.

ასე იქმნებოდნენ გარემოებანი, რომელნიც აღმოსავლეთ ევროპის ახალგაზრდა ერებს ბრძოლისათვის აქეზებდნენ.

ბრძოლა დაიწყო და გაჩაღდა, არსებითად, არა ერებს შორის მთლიანად, არამედ მბრძანებელი და გარიყული ერების გაბატონებულ კლასებს შორის. ბრძოლას ჩვეულებრივ აწარმოებს ან ჩაგრული ერის ქალაქის წვრილი ბურჟუაზია მბრძანებელი ერის მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ჩეხები და გერმანელები), ან ჩაგრული ერის სოფლის ბურჟუაზია გაბატონებული ერის მემამულეების წინააღმდეგ (უკრაინელები პოლონეთში), ანდა ჩაგრულ ერთა მთელი «ნაციონალური» ბურჟუაზია მბრძანებელი ერის მმართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ (პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა რუსეთში).

ბურჟუაზია მთავარი მოქმედი პირია.

ნორჩი ბურჟუაზიისათვის ძირითადი საკითხია ბაზარი. თავისი საქონლის გასაღება და სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან კონკურენციაში გამარჯვება — ასეთია მისი მიზანი. აქედან გამომდინარეობს მისი სურვილი — უზრუნველყოს

თავისთვის «საკუთარი», «მშობლიური» ბაზარი. ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს.

მაგრამ საქმე, ჩვეულებრივ, ბაზრით როდი შემოიფარგლება. ბრძოლაში ერევა გაბატონებული ერის ნახევრადფეოდალური-ნახევრადბურჟუაზიული ბიუროკრატია თავისი მეთოდებით — «დაიჭი და არ გაუშვა». მბრძანებელი ერის ბურჟუაზიას — სულ ერთია, წვრილია იგი თუ მსხვილი — შესაძლებლობა ეძლევა «უფრო სწრაფად» და «უფრო გაბედულად» გაუსწორდეს თავის კონკურენტს. «ძალები» ერთიანდებიან, და — იწყება მთელი რიგი შემზღუდველი ზომების გატარება «უცხოტომელი» ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რაც რეპრესიებად იქცევა. ბრძოლა სამეურნეო სფეროდან პოლიტიკურში გადააქვთ. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, ენის შევიწროება, საარჩევნო უფლებათა შეზღუდვა, სკოლების შემცირება, რელიგიური შევიწროება და სხვა—ყოველივე ეს თავს ატყდება «კონკურენტს». რა თქმა უნდა, ასეთი ზომები ემსახურება არა მარტო მბრძანებელი ერის ბურჟუაზიული კლასების ინტერესებს, არამედ მმართველი ბიუროკრატიის სპეციფიკურ, ასე ვთქვათ, კასტურ მიზნებსაც. მაგრამ შედეგების თვალსაზრისით ეს სულ ერთია: ბურჟუაზიული კლასები და ბიუროკრატია ამ შემთხვევაში ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან, — სულ ერთია, ავსტრია-უნგრეთზეა ლაპარაკი თუ რუსეთზე.

ჩაგრული ერის ყოველმხრივ შევიწროებული ბურჟუაზია ბუნებრივად იწყებს მოძრაობას. იგი «მშობლიურ ქვედა ფენებს» მიმართავს და «სამშობლოზე» იწყებს ყვირილს, თავის საკუთარ საქმეს საერთო-სახალხო საქმედ ასაღებს. იგი არმიას კრებს «თანამემამულეთაგან», ვითომდა... «სამშობლოს» ინტერესებისათვის. და «ქვედა ფენები» ყოველთვის გულგრილნი როდი რჩებიან ამ მოწოდებისადმი, თავს

იყრიან ამ ბურჟუაზიის დროშის გარშემო: რეპრესიები ზემოდან მათაც აწუხებს და მათს უკმაყოფილებას იწვევს.

ასე იწყება ნაციონალური მოძრაობა.

ნაციონალური მოძრაობის ძალა განიზომება იმით, თუ რამდენად მონაწილეობენ ამ მოძრაობაში ერის ფართო ფენები, პროლეტარიატი და გლეხობა.

დადგება თუ არა პროლეტარიატი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის დროშის ქვეშ — ეს დამოკიდებულია კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების დონეზე, პროლეტარიატის შეგნებულობასა და დარაზმულობაზე. შეგნებულ პროლეტარიატს თავისი საკუთარი ნაცადი დროშა აქვს, და მისთვის საჭირო არ არის ბურჟუაზიის დროშის ქვეშ დადგეს.

რაც შეეხება გლეხებს, ნაციონალურ მოძრაობაში მათი მონაწილეობა უწინარეს ყოვლისა რეპრესიების ხასიათზეა დამოკიდებული. თუ რეპრესიები «მიწის» ინტერესებს ლახავს, როგორც ეს იყო ირლანდიაში, მაშინ გლეხთა ფართო მასები დაუყოვნებლივ დგებიან ნაციონალური მოძრაობის დროშის ქვეშ.

მეორე მხრივ, თუ, მაგალითად, საქართველოში ცოტად თუ ბევრად სერიოზული **ანტირუსული** ნაციონალიზმი არ არის, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იქ არ არიან რუსი მემამულენი ან რუსი მსხვილი ბურჟუაზია, რომელნიც საზრდოს მისცემდნენ ასეთ ნაციონალიზმს მასებში. საქართველოში არის **ანტისომხური** ნაციონალიზმი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ არის სომეხთა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ამარცხებს წვრილ, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ ქართველ ბურჟუაზიას და ანტისომხური ნაციონალიზმისაკენ უბიძგებს ამ უკანასკნელს.

ამ ფაქტორების მიხედვით ნაციონალური მოძრაობა იღებს ან მასობრივ ხასიათს და სულ უფრო და უფრო ძლიერდება (ირლანდია, გალიცია), ანდა იქცევა მცირე შე-

ტაქებათა წყებად, გადაგვარდება სკანდალებად და აბრეგისათვის «ბრძოლად» (ზოგიერთი პატარა ქალაქი ბოჰემიაში).

ნაციონალური მოძრაობის შინაარსი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველგან ერთნაირი იყოს: იგი სავსებით განისაზღვრება სხვადასხვა მოთხოვნით, რასაც მოძრაობა აყენებს. ირლანდიაში მოძრაობას აგრარული ხასიათი აქვს. ბოჰემიაში — «ენისა», აქ სამოქალაქო თანასწორუფლებიანობას და სარწმუნოების თავისუფლებას მოითხოვენ, იქ — «თავიანთ» მოხელეებს ან თავიანთ სეიმს. სხვადასხვანაირ მოთხოვნებში ხშირად გამოსჭვივიან სხვადასხვანაირი ნიშნები, რომელნიც ახასიათებენ საერთოდ ერს (ენა, ტერიტორია და სხვ.). ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ვერსად ვერ შეხვდები მოთხოვნას ბაუერის ყოვლისშემცველი «ნაციონალური ხასიათის» შესახებ. ეს გასაგებიცაა: «ნაციონალური ხასიათი», **თავისთავად** აღებული, მიუწვდომელია და, როგორც სამართლიანად შენიშნა ი. შტრასერმა, «პოლიტიკოსს მასთან არაფერი ესაქმება» *.

ასეთია ზოგადად ნაციონალური მოძრაობის ფორმები და ხასიათი.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ნაციონალური ბრძოლა **ადმავალი** კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს ბურჟუაზიული კლასების ბრძოლას ურთიერთშორის. ზოგჯერ ბურჟუაზია ახერხებს ნაციონალურ მოძრაობაში ჩაითრიოს პროლეტარიატი, და მაშინ ნაციონალური ბრძოლა **გარეგნულად** «საერთო-სახალხო» ხასიათს იღებს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულადაა. **თავისი არსებით** იგი ყოველთვის რჩება ბურჟუაზიულ ბრძოლად, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიისათვის არის სასარგებლო და სასურველი

* იხ. მისი «Der Arbeiter und die Nation», 1912 წ., გვ. 33

მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატმა არ უნდა იბრძოლოს ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ.

თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, ენის შევიწროება, სკოლების შემცირება და სხვა რეპრესიები მუშებს ნაკლებად არ ეხება, თუ მეტად არა, ვიდრე ბურჟუაზიას. ასეთ მდგომარეობას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს დამორჩილებულ ერთა პროლეტარიატის სულიერი ძალების თავისუფალი განვითარების საქმე. არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი თათარი თუ ებრაელი მუშის სულიერი ნიჭის სრულ განვითარებაზე, როდესაც მათ საშუალებას არ აძლევენ ისარგებლონ დედაენით კრებებსა და ლექციებზე, როდესაც მათ სკოლებს უხურავენ.

მაგრამ ნაციონალისტური რეპრესიების პოლიტიკა მეორე მხრივაც სახიფათოა პროლეტარიატის საქმისათვის. იგი ფართო ფენების ყურადღებას აშორებს სოციალურ საკითხებს, კლასობრივი ბრძოლის საკითხებს, და მიმართავს მას ნაციონალური საკითხებისაკენ, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიისათვის «საერთო» საკითხებისაკენ. ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის «ინტერესთა ჰარმონიის» ყალბი ქადაგებისათვის, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების მიჩქმალვისათვის, მუშების სულიერი დამონებისათვის. ხოლო ამით სერიოზული დაბრკოლება ექმნება ყველა ეროვნების მუშების გაერთიანების საქმეს. თუ პოლონელი მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე რჩება ბურჟუაზიული ნაციონალისტების სულიერ მონობაში, თუ დღემდე იგი მუშათა ინტერნაციონალური მოძრაობის გარეთ რჩება, — ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ «ძალაუფლების მპყრობელთა» ოდინდელი ანტიპოლონური პოლიტიკა ქმნის ნიადაგს ასეთი მონობისათვის, აძნელებს მუშების განთავისუფლებას ასეთი მონობისაგან.

მაგრამ რეპრესიების პოლიტიკა ამაზე არ ჩერდება. **ჩაგვრის** «სისტემიდან» იგი ხშირად გადადის ერების ერთმანეთის წინააღმდეგ **წასისიანების** «სისტემაზე», ხოცვა-ჟლეტისა და დარბევის «სისტემაზე». რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ყველგან და ყოველთვის როდია შესაძლებელი, მაგრამ სადაც კი ის შესაძლებელია, — ელემენტარულ თავისუფლებათა უქონლობის პირობებში, — იქ ის ხშირად უსაშინელეს ფარგლებს აღწევს და სისხლსა და ცრემლში ჩახრჩობას უქადის მუშების შეკავშირების საქმეს. კავკასია და სამხრეთი რუსეთი ამის ცოტა მაგალითს კი არ გვაძლევენ. «გათიშე და იბატონე» — ასეთია წასისიანების პოლიტიკის მიზანი. და რამდენადაც ასეთი პოლიტიკის განხორციელება ხერხდება, იგი წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას პროლეტარიატისათვის, უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეკავშირების საქმისათვის.

მაგრამ მუშები დაინტერესებული არიან იმით, რომ ყველა მათი ამხანაგები შეერთდნენ ერთიან ინტერნაციონალურ არმიად, რომ ისინი მალე და საბოლოოდ განთავისუფლდნენ ბურჟუაზიის სულიერი მონობისაგან, რომ სრულად და თავისუფლად განვითარდეს სულიერი ძალები მათი თანამოძმეებისა, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი.

ამიტომ მუშები იბრძვიან და იბრძოლებენ ერთა ჩაგვრის ყოველგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ, რა სახისაც უნდა იყოს ეს პოლიტიკა — ყველაზე დახვეწილი თუ ყველაზე უხეში, ისევე როგორც წასისიანების ყოველგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატია აცხადებს ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

თვითგამორკვევის უფლება, ესე იგი: მხოლოდ თვითონ ერს აქვს უფლება განსაზღვროს თავისი ბედი, არავის არა აქვს უფლება **ძალდატანებით** ჩაერიოს ერის ცხოვრებაში,

დაანგრიოს მისი სკოლები და სხვა დაწესებულებები, **დაარღვიოს** მისი ზნე-ჩვეულებანი, **შეავიწროოს** მისი ენა, **შეჰკვეცოს** უფლებები.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერს ერის ყველა და ყოველგვარ ჩვეულებასა და დაწესებულებას. იბრძვის რა ერის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, იგი დაიცავს მხოლოდ **ერის** უფლებას — თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი, და ამავე დროს გასწევს აგიტაციას ამ ერის მავნე ჩვეულებათა და დაწესებულებათა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა მისცეს ამა თუ იმ ერის მშრომელ ფენებს თავი გაითავისუფლონ მათგან.

თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. — ერს შეუძლია მოეწყოს თავისი სურვილისამებრ. მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძვლებზე. მას უფლება აქვს ფედერაციული ურთიერთობა დაამყაროს სხვა ერებთან. მას უფლება აქვს სავსებით გამოიყოს. ერი სუვერენულია, და ყველა ერი თანასწორუფლებიანია.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია ერის ყოველ მოთხოვნას დაიცავს. ერს უფლება აქვს ძველ წესწყობილებასაც კი დაუბრუნდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია ხელს მოაწერს ამა თუ იმ ერის რომელიმე დაწესებულების ასეთ დადგენილებას. მოვალეობანი სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც პროლეტარიატის ინტერესებს იცავს, და უფლებანი ერისა, რომელიც სხვადასხვა კლასისაგან შედგება, ორი სხვადასხვა რამაა.

იბრძვის რა ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის, სოციალ-დემოკრატია ამასთანავე მიზნად ისახავს ბოლო მოუღოს ერის ჩაგვრის პოლიტიკას, შეუძლებელი გახა-

დოს იგი, და ამით ძირი გამოუთხაროს ერთა ბრძოლას, მოაჩლუნგოს, მინიმუმამდე დაიყვანოს იგი.

შეგნებული პროლეტარიატის პოლიტიკა ამით არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიის პოლიტიკისაგან, ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობს გააღრმაოს და გააღვივოს ნაციონალური ბრძოლა, განაგრძოს და გაამწვავოს ნაციონალური მოძრაობა.

სწორედ ამიტომ არ შეუძლია შეგნებულ პროლეტარიატს ბურჟუაზიის «ნაციონალური» დროშის ქვეშ დადგეს.

სწორედ ამიტომ ბაუერის მიერ წამოყენებული ეგრეთწოდებული «ევოლუციურ-ნაციონალური» პოლიტიკა არ შეიძლება პროლეტარიატის პოლიტიკა გახდეს. ბაუერის ცდა—გააიგივოს თავისი «ევოლუციურ-ნაციონალური» პოლიტიკა და «თანამედროვე მუშათა კლასის» პოლიტიკა* — იმის ცდაა, რომ მუშების კლასობრივი ბრძოლა შეგუებულ იქნეს ერების ბრძოლასთან.

ბედი ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც თავისი არსებით ბურჟუაზიულია, ბუნებრივად დაკავშირებულია ბურჟუაზიის ბედთან. ნაციონალური მოძრაობის საბოლოო დაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიის დაცემასთან ერთად. მხოლოდ სოციალიზმის სამეფოში შეიძლება სრული მშვიდობის დამყარება. მაგრამ კაპიტალიზმის ფარგლებშიც შესაძლებელია მინიმუმამდე დავიყვანოთ ნაციონალური ბრძოლა, ძირი გამოვუთხაროთ მას, პროლეტარიატისათვის მაქსიმალურად უვნებელი გავხადოთ იგი. ამას მოწმობს თუნდაც შვეიცარიისა და ამერიკის მაგალითები. ამისთვის საჭიროა მოვახდინოთ ქვეყნის დემოკრატიზაცია და მივცეთ ერებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.

---

* იხ. ბაუერის წიგნი, გვ. 166.

III

საკითხის დაყენება

ერს უფლება აქვს თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი. მას უფლება აქვს მოეწყოს როგორც სურს, ისე კი, რა თქმა უნდა, რომ სხვა ერთა უფლებები არ შელახოს. ეს უდავოა.

მაგრამ სახელდობრ **როგორ** უნდა მოეწყოს იგი, **რა ფორმები** უნდა მიიღოს მისმა მომავალმა კონსტიტუციამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ერის უმრავლესობის და უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის ინტერესებს?

ერს უფლება აქვს მოეწყოს ავტონომიურად. მას გამოყოფის უფლებაც კი აქვს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი ასე უნდა მოიქცეს ყოველგვარ პირობებში, რომ ავტონომია თუ სეპარაცია ყველგან და ყოველთვის სასარგებლო იქნება ერისათვის, ე. ი. მისი უმრავლესობისათვის, ე. ი. მშრომელი ფენებისათვის. ამიერკავკასიის თათრებს, როგორც ერს, შეუძლიათ შეიკრიბონ, ვთქვათ, თავიანთ სეიმზე, დაემორჩილონ თავიანთი ბეგებისა და მოლების გავლენას და აღადგინონ ძველი წესწყობილება, გადაწყვიტონ სახელმწიფოსაგან გამოყოფა. თვითგამორკვევის პუნქტის აზრის მიხედვით მათ ამის სრული უფლება აქვთ. მაგრამ განა ეს სასარგებლო იქნება თათარი ერის მშრომელი ფენებისათვის? შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიას გულგრილად უყუროს, როგორ იმხრობენ ბეგები და მოლები მასებს ნაციონალური საკითხის გადაჭრის საქმეში? განა სოციალ-დემოკრატია არ უნდა ჩაერიოს საქმეში და გარკვეული გავლენა არ უნდა მოახდინოს ერის ნებაზე? განა იგი არ უნდა გამოვიდეს საკითხის გადაწყვეტის ისეთი კონკრეტული გეგმით, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება თათართა მასებისათვის?

მაგრამ რომელი გადაწყვეტილება შეეფერება **ყველაზე მეტად** მშრომელი მასების ინტერესებს? ავტონომია, ფედერაცია თუ სეპარაცია?

ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომელთა გადაწყვეტა დამოკიდებულია ამა თუ იმ ერის გარშემო არსებულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე.

უფრო მეტიც. პირობები, როგორც ყველაფერი, იცვლებიან, და ამა თუ იმ მომენტისათვის სწორი გადაწყვეტილება შეიძლება სხვა მომენტისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს.

XIX საუკუნის შუა ხანებში მარქსი მხარს უჭერდა რუსეთის პოლონეთის გამოყოფას, და ის მართალი იყო, ვინაიდან მაშინ საკითხი ისე იდგა, რომ უმაღლესი კულტურა განთავისუფლებულიყო მისი დამანგრეველი უფრო დაბალი კულტურისაგან. და მაშინ საკითხი იდგა არა მარტო თეორიულად, არა აკადემიურად, არამედ პრაქტიკულად, თვით ცხოვრებაში...

XIX საუკუნის დასასრულს პოლონელი მარქსისტები გამოდიან უკვე პოლონეთის გამოყოფის წინააღმდეგ, და ისინიც მართალი არიან, ვინაიდან უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ღრმა ცვლილებები მოხდა რუსეთისა და პოლონეთის ეკონომიური და კულტურული დაახლოების მხრივ. გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში გამოყოფის საკითხი პრაქტიკის საგნიდან გადაიქცა აკადემიური დავის საგნად, რაც მხოლოდ საზღვარგარეთელ ინტელიგენტებს თუ აღელვებს.

ამით, რა თქმა უნდა, გამორიცხული როდია შესაძლებლობა განსაზღვრული შინაგანი და საგარეო კონიუნქტურის წარმოშობისა, როცა პოლონეთის გამოყოფის საკითხი შეიძლება კვლავ დღის წესრიგში დადგეს.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ნაციონალური საკითხის გადაჭრა შესაძლებელია **მხოლოდ ისტორიულ პირობებთან**

დაკავშირებით, თუ ამ პირობებს მათს განვითარებაში ავიღებთ.

ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პირობები, რომლებითაც ესა თუ ის ერია გარემოცული, — ასეთია ერთადერთი გასაღები იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ სახელდობრ **როგორ** უნდა მოეწყოს ესა თუ ის ერი, **რა ფორმები** უნდა მიიღოს მისმა მომავალმა კონსტიტუციამ. ამასთან შესაძლოა თვითეული ერისათვის საჭირო გახდეს საკითხის განსაკუთრებული გადაწყვეტა. თუ კი სადმე საჭიროა საკითხის დიალექტიკურად დაყენება, ეს საჭიროა სწორედ აქ, ნაციონალურ საკითხში.

ამის გამო ჩვენ გადაჭრით უნდა უარვყოთ ნაციონალური საკითხის «გადაწყვეტის» ერთი მეტად გავრცელებული, მაგრამ ამასთანავე მეტად ხელაღებითი წესი, რომლის დასაწყისი ბუნდისაგან მომდინარეობს. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ იოლ მეთოდზე, რომ იმოწმებენ ავსტრიისა და იუგოსლავიის * სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც თითქოს უკვე გადაჭრა ნაციონალური საკითხი და რომლისგანაც რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა პირდაპირ უნდა გადმოიღონ საკითხის გადაწყვეტაო. ამასთან იგულისხმება, რომ ყველაფერი, რაც, ვთქვათ, მართებულია ავსტრიისათვის, მართებულია რუსეთისთვისაც. ამ შემთხვევაში მხედველობიდან უშვებენ ყველაზე მნიშვნელოვანსა და გადამწყვეტს: საერთოდ რუსეთისა და კერძოდ რუსეთის ფარგლებში მყოფი თვითეული ცალკე ერის ცხოვრების კონკრეტულ ისტორიულ პირობებს.

მოუსმინეთ, მაგალითად, ცნობილ ბუნდელს ვ. კოსოვსკის:

---

* იუგოსლავიის სოციალ-დემოკრატია მუშაობს სამხრეთ ავსტრიაში.

«როდესაც ბუნდის IV ყრილობაზე საკითხის (ლაპარაკია ნაციონალურ საკითხზე. ი. სტ.) პრინციპულ მხარეს იხილავდნენ და ყრილობის ერთ-ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა — საკითხი იუგოსლავიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეზოლუციის შესაბამისად გადაწყვეტილიყო, ამან საყოველთაო მოწონება გამოიწვია» *.

შედეგად «ყრილობამ ერთხმად მიიღო»... ნაციონალური ავტონომია.

ეს იყო და ეს! არც რუსეთის სინამდვილის ანალიზი, არც რუსეთში ებრაელთა ცხოვრების პირობების გამორკვევა: ჯერ გადმოიღეს საკითხის გადაწყვეტა სამხრეთ-სლავური ს.-დ. პარტიისაგან, მერე «მოიწონეს» და შემდეგ «ერთხმად მიიღეს»! ასე აყენებენ და «წყვეტენ» ბუნდელები ნაციონალურ საკითხს რუსეთში...

ამავე დროს, ავსტრია და რუსეთი სულ სხვადასხვა პირობებს წარმოადგენენ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ნაციონალური პროგრამა ბრიუნში (1899 წ.) [132] იუგოსლავიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეზოლუციის მიხედვით მიიღო (მართალია, ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორებით), სრულიად, ასე ვთქვათ, არარუსულად უდგება საკითხს და, რა თქმა უნდა, არარუსულად წყვეტს მას.

უწინარეს ყოვლისა საკითხის დაყენება. როგორ აყენებენ საკითხს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ავსტრიელი თეორეტიკოსები, ბრიუნის ნაციონალური პროგრამისა და იუგოსლავიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეზოლუციის განმმარტებელნი, შპრინგერი და ბაუერი?

«ჩვენ აქ, — ამბობს შპრინგერი, — უპასუხოდ ვტოვებთ საკითხს, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ეროვნებათა სახელმწიფო და

* იხ. ვ. კოსოვსკის «ეროვნების საკითხები», გვ. 16 — 17, 1907 წ.

იძულებული არიან თუ არა, კერძოდ, ავსტრიის ეროვნებანი შექმნან ერთი პოლიტიკურად მთლიანი რამ; ამ საკითხებს ჩვენ გადაწყვეტილად ჩავთვლით. იმისთვის, ვინც ხსენებულ შესაძლებლობასა და აუცილებლობას არ ეთანხმება, ჩვენი გამოკვლევა, რა თქმა უნდა, უნიადაგო იქნება. ჩვენი თემა ამბობს: ეს ერები **იძულებული არიან** ერთად იარსებონ; რა **უფლებრივი ფორმები** მისცემენ მათ შესაძლებლობას **რაც შეიძლება კარგად იცხოვრონ?»** (ხაზგასმა შპრინგერისაა) *.

ამრიგად, ავსტრიის სახელმწიფოებრივი მთლიანობა, როგორც ამოსავალი წერტილი.

ამასვე ამბობს ბაუერი:

«ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ავსტრიის ერები დარჩებიან იმავე სახელმწიფოებრივ კავშირში, რომელშიც ისინი ახლა ცხოვრობენ, და ვკითხულობთ, როგორი იქნება ამ კავშირის ფარგლებში ერების დამოკიდებულება ურთიერთშორის და ყველა მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი» **.

ისევ და ისევ: ავსტრიის მთლიანობა უწინარეს ყოვლისა.

შეუძლია თუ არა რუსეთის სოციალ-დემოკრატიას **ასე** დააყენოს საკითხი? არა, არ შეუძლია. და არ შეუძლია იმიტომ, რომ იგი თავიდანვე დგას ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც ერს გამოყოფის უფლება აქვს.

ბუნდელმა გოლდბლატმაც კი აღიარა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მეორე ყრილობაზე, რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია ხელი აიღოს თვითგამორკვევის თვალსაზრისზე. აი რას ამბობდა მაშინ გოლდბლატი:

«თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება. თუ რომელიმე ერი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის,

* იხ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 14.

** იხ. ბაუერის «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», გვ. 399.

არ შეიძლება ამას წინააღმდეგობა გავუწიოთ. თუ პოლონეთი არ მოისურვებს «კანონიერ დაჭორწინებას» რუსეთთან, ჩვენი საქმე როდია ხელი შევუშალოთ მას».

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ავსტრიისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ამოსავალი წერტილები არათუ ერთნაირი არ არის, არამედ, პირიქით, პირდაპირ ერთმანეთის საწინააღმდეგოა. განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი ავსტრიელებისაგან ნაციონალური პროგრამის გადმოღების შესაძლებლობაზე?

შემდეგ. ავსტრიელები ფიქრობენ განახორციელონ «ეროვნებათა თავისუფლება» წვრილი რეფორმების გზით, ნელი ნაბიჯით. აყენებენ რა კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, როგორც პრაქტიკულ ღონისძიებას, ისინი სრულიადაც არ ამყარებენ იმედს ძირფესვიან ცვლილებაზე, დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც მათ პერსპექტივაში არა აქვთ. რუსი მარქსისტები კი «ეროვნებათა თავისუფლების» საკითხს უკავშირებენ მოსალოდნელ ძირფესვიან ცვლილებას, დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაკი საფუძველი არა აქვთ იმედი დაამყარონ რეფორმებზე. ეს კი არსებითად ცვლის საქმეს რუსეთში ერების მოსალოდნელი ბედის მხრივ.

«რასაკვირველია, — ამბობს ბაუერი, — ძნელი საფიქრებელია, რომ ნაციონალური ავტონომია შედეგი გახდეს დიდი გადაწყვეტილებისა. გაბედული გადამწყვეტი მოქმედებისა. ავსტრია თანდათანობით მივა ნაციონალურ ავტონომიამდე, ნელი და მტანჯველი პროცესით, მძიმე ბრძოლით, რომლის გამო კანონმდებლობა და მმართველობა ქრონიკული მოდუნებულობის მდგომარეობაში იქნებიან. არა, დიდი საკანონმდებლო აქტის გზით კი არ შეიქმნება ახალი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი წყობილება, არამედ ცალკეული ოლქებისათვის, ცალკეული თემებისათვის გამოცემული მრავალი ცალკეული კანონით» *.

* იხ. ბაუერის «ნაციონალური საკითხი», გვ. 422.

ამასვე ამბობს შპრინგერი:

«მე მშვენივრად ვიცი, — წერს იგი, — რომ ამგვარი ინსტიტუტები (ნაციონალური ავტონომიის ორგანოები. ი. სტ.) იქმნებიან არა ერთ წელიწადში და არა ათეულ წელიწადში. მარტოოდენ პრუსიის მმართველობის რეორგანიზაციას დიდი დრო მოუნდა... პრუსიას ორი ათეული წელი დასჭირდა, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა თავისი ძირითადი ადმინისტრაციული დაწესებულებანი. ამიტომ ნუ იფიქრებენ, თითქოს მე არ ვიცოდე, რამდენი დრო და რამდენი სიძნელის გადალახვა დასჭირდება ავსტრიას» *.

ყოველივე ეს ძალიან გარკვეულად არის ნათქვამი. მაგრამ განა რუს მარქსისტებს შეუძლიათ არ დაუკავშირონ ნაციონალური საკითხი «გაბედულ გადამწყვეტ მოქმედებას»? განა შეუძლიათ მათ იმედი დაამყარონ ნაწილობრივ რეფორმებზე, «მრავალ ცალკეულ კანონზე», როგორც «ეროვნებათა თავისუფლების» მოპოვების საშუალებაზე? და თუ მათ არ შეუძლიათ ასე მოიქცნენ და არც უნდა მოიქცნენ ასე, განა აქედან ცხადი არ არის, რომ ავსტრიელებისა და რუსების ბრძოლის მეთოდები და პერსპექტივები სულ სხვადასხვაა? როგორ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში დავჯერდეთ ავსტრიელების ცალმხრივი და ბუნდოვან ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას? ორში ერთი: ან გადმოღების მომხრეებს რუსეთში «გადამწყვეტი და გაბედული მოქმედების» იმედი არა აქვთ, ანდა მისი იმედი აქვთ, მაგრამ «არ უწყიან, რასა იქმან».

დასასრულ, რუსეთი და ავსტრია სრულიად სხვადასხვა მორიგი ამოცანების წინაშე დგანან, რის გამო ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის მეთოდიც მათთვის სხვადასხვაა ნაკარნახევი. ავსტრია ცხოვრობს პარლამენტარიზმის პირობებში, უპარლამენტოდ იქ დღევანდელ პირობებში განვითარება შეუძლებელია. მაგრამ ავსტრიის პარლამენტური

* იხ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 281 — 282.

ცხოვრება და კანონმდებლობა ხშირად სრულიად წყდება ნაციონალური პარტიების მკვეთრ შეტაკებათა გამო. სწორედ ამით აიხსნება ის ქრონიკული პოლიტიკური კრიზისი, რომლითაც ავსტრია დიდი ხანია დაავადებულია. ამის გამო ნაციონალური საკითხი იქ შეადგენს პოლიტიკური ცხოვრების ღერძს, არსებობის საკითხს. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ავსტრიელი ს.-დ. პოლიტიკოსები ცდილობენ ასე თუ ისე გადაწყვიტონ უწინარეს ყოვლისა ნაციონალურ შეტაკებათა საკითხი, გადაწყვიტონ, რა თქმა უნდა, უკვე არსებული პარლამენტარიზმის ნიადაგზე, პარლამენტური საშუალებით...

სულ სხვაა რუსეთში. რუსეთში, ჯერ ერთი, «მადლობა ღმერთს, პარლამენტი არ არის»[133]. მეორეც — და ეს მთავარია — რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ღერძს წარმოადგენს არა ნაციონალური საკითხი, არამედ აგრარული. ამიტომ რუსეთის საკითხის ბედი და, მაშასადამე, ერთა «განთავისუფლების» ბედიც, რუსეთში დაკავშირებულია აგრარული საკითხის გადაწყვეტასთან, ე. ი. ბატონყმობის ნაშთების მოსპობასთან, ე. ი. ქვეყნის დემოკრატიზაციასთან. სწორედ ამით აიხსნება, რომ რუსეთში ნაციონალური საკითხი გვევლინება არა როგორც დამოუკიდებელი და გადამწყვეტი საკითხი, არამედ როგორც ნაწილი ქვეყნის განთავისუფლების საერთო და უფრო მნიშვნელოვანი საკითხისა.

«ავსტრიის პარლამენტის უნაყოფობა, — წერს შპრინგერი, — ხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ყოველი რეფორმა წარმოშობს ნაციონალური პარტიების შიგნით წინააღმდეგობებს, რაც არღვევს ხოს შეკავშირებას, და ამიტომ პარტიების ბელადები გულმოდგინედ აკვირდებიან ყოველივე იმას, რასაც რეფორმების სუნი უდის. ავსტრიის პროგრესი საერთოდ წარმოსადგენია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერებს ხელშეუვალი უფლებრივი პოზიციები მიეცემათ; ეს იხსნის ხოლო იმის აუცილებლობისაგან, რომ პარლამენტში იყოლიონ მუდმივი

მებრძოლი რაზმები, და შესაძლებლობას მისცემს მათ ხელი მოჰკიდონ სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას» *.

ამასვე ამბობს ბაუერიც:

«ნაციონალური მშვიდობა საჭიროა უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოსათვის. სახელმწიფო სრულებით ვერ მოითმენს, რომ კანონმდებლობა შეწყდეს ყოველად სულელური საკითხის — ენის საკითხის გამო, სადმე ნაციონალურ საზღვარზე აღგზნებულ ადამიანთა ოდნავი დავის გამო, ყოველი ახალი სკოლის გამო» **.

ყოველივე ეს გასაგებია. მაგრამ არანაკლებ გასაგებია ისიც, რომ რუსეთში ნაციონალური საკითხი სულ სხვა სფეროში დგას. არა ნაციონალური, არამედ აგრარული საკითხი წყვეტს პროგრესის ბედს რუსეთში. ნაციონალური საკითხი დაქვემდებარებული საკითხია.

ამრიგად, საკითხის სხვადასხვაგვარი დაყენება, ბრძოლის სხვადასხვა პერსპექტივა და მეთოდი, სხვადასხვა მორიგი ამოცანა. განა ცხადი არ არის, რომ საქმის ასეთ ვითარებაში ავსტრიის მაგალითების აღება და პროგრამის გადმოღებაზე ზრუნვა შეუძლიათ მხოლოდ ქაღალდის ადამიანებს, რომელნიც ნაციონალურ საკითხს სივრცისა და დროის გარეშე «წყვეტენ»?

კიდევ ერთხელ: კონკრეტული ისტორიული პირობები, როგორც ამოსავალი წერტილი, საკითხის დიალექტიკური დაყენება, როგორც ერთადერთი სწორი დაყენება, — ასეთია გასაღები ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისა.

IV

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ ავსტრიის ნაციონალური პროგრამის ფორმალურ მხარეზე, მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე, რომელთა გამო რუს მარქსისტებს არ შეუძლიათ პირ-

* იხ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 36.

** იხ. ბაუერის «ნაციონალური საკითხი», გვ. 401.

დაპირ გადმოიღონ მაგალითი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისაგან და მისი პროგრამა თავის პროგრამად გაიხადონ..

შევეხოთ ახლა თვით პროგრამას არსებითად.

მაშ ასე, როგორია ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ნაციონალური პროგრამა?

იგი ორი სიტყვით გამოითქმის: კულტურულ-ნაციონალური ავტონომია.

ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ ავტონომია ეძლევა, ვთქვათ, არა ჩეხიას ან პოლონეთს, რომელნიც, უმთავრესად, ჩეხებითა და პოლონელებით არიან დასახლებულნი, — არამედ საერთოდ ჩეხებსა და პოლონელებს, ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად, სულ ერთია — ავსტრიის რა ადგილასაც უნდა მოსახლეობდნენ ისინი.

სწორედ ამიტომ ეწოდება ამ ავტონომიას **ნაციონალური** და არა ტერიტორიული.

მეორე, ეს ნიშნავს იმას, რომ ავსტრიის სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ჩეხები, პოლონელები, გერმანელები და სხვ., აღებულნი პერსონალურად, როგორც ცალკეული პირები, კავშირდებიან მთლიან ერებად და, როგორც ასეთები, შედიან ავსტრიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ავსტრია ამ შემთხვევაში იქნება არა ავტონომიური ოლქების კავშირი, არამედ ტერიტორიის დამოუკიდებლად აგებული ავტონომიურ ეროვნებათა კავშირი.

მესამე, ეს ნიშნავს იმას, რომ საერთო-ნაციონალური დაწესებულებები, რომელნიც ამ მიზნით უნდა შეიქმნან პოლონელებისათვის, ჩეხებისათვის და სხვ., განაგებენ არა «პოლიტიკურ» საკითხებს, არამედ მხოლოდ «კულტურულს». სპეციფიკურად პოლიტიკური საკითხები თავმოყრილი იქნება ავსტრიის საერთო პარლამენტში (რეიხსრატში).

ამიტომ ამ ავტონომიას კიდევ ეწოდება **კულტურული. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია.**

აი ტექსტიც იმ პროგრამისა, რომელიც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ მიიღო ბრიუნის კონგრესზე 1899 წელს *.

აღნიშნავს რა, რომ «ნაციონალური შეხლა-შემოხლა ავსტრიაში აბრკოლებს პოლიტიკურ პროგრესს», რომ «ნაციონალური საკითხის საბოლოო გადაწყვეტა... უპირველეს ყოვლისა კულტურული აუცილებლობაა», რომ «გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე აგებული ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების დროს», — პროგრამა განაგრძობს:

«ავსტრიის ხალხების **ნაციონალურ თავისებურებათა** ** **შენარჩუნება და განვითარება** შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სრული **თანასწორუფლებიანობაა** და არავითარი ჩაგვრა არ არსებობს. ამიტომ უწინარეს ყოვლისა **უარყოფილ უნდა იქნეს** ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის სისტემა, ისე როგორც ცალკეულ მხარეთა ფეოდალური პრივილეგიები.

მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება დამყარდეს ავსტრიაში ნაციონალური წესრიგი ნაცვლად ნაციონალური შუღლისა, სახელდობრ შემდეგ საფუძვლებზე:

1. ავსტრია უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოდ, რომელიც ეროვნებათა დემოკრატიული კავშირი იქნება.

---

* მას ხმა მისცეს იუგოსლავიის ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებმაც. იხ. «კამათი ნაციონალური საკითხის გარშემო ბრიუნის პარტეიტაგზე», გვ. 72, 1906 წ.

** მ. პანინის რუსულ თარგმანში (იხ. პანინის თარგმანი ბაუერის წიგნისა) «ნაციონალურ თავისებურებათა» ნაცვლად ნათქვამია «ნაციონალური ინდივიდუალობანი». პანინს არასწორად უთარგმნია ეს ადგილი, გერმანულ ტექსტში არ არის სიტყვა «ინდივიდუალობა», იქ ლაპარაკია **«nationalen Eigenart»**-ზე, ე. ი. **თავისებურებებზე**, რაც სრულიადაც არ არის ერთი და იგივე.

2. ნაცვლად ისტორიული სამეფო მხარეებისა უნდა შეიქმნან ნაციონალურად გამიჯნული თვითმმართველი კორპორაციები, ისე რომ თვითეულ მათგანში კანონმდებლობა და მმართველობა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი კენჭისყრის საფუძველზე არჩეული ნაციონალური პალატების ხელში იქნება.

3. ერთი და იმავე ერის თვითმმართველი ოლქები ერთად ქმნიან ნაციონალურად ერთიან კავშირს, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს სავსებით ავტონომიურად წყვეტს.

4. ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები უზრუნველყოფილია განსაკუთრებული კანონით, რომელსაც საიმპერიო პარლამენტი გამოსცემს».

პროგრამა თავდება ჰოწოდებით ავსტრიის ყველა ერის სოლიდარობისაკენ *.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ პროგრამაში დარჩენილია «ტერიტორიალიზმის» ზოგიერთი კვალი, მაგრამ საერთოდ იგი ნაციონალური ავტონომიის ფორმულირებას წარმოადგენს. ტყუილად კი არ ეგებება მას აღტაცებით კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პირველი აგიტატორი — შპრინგერი **. ბაუერიც იზიარებს ამ პროგრამას, უწოდებს მას ნაციონალური ავტონომიის «თეორიულ გამარჯვებას» ***; ოღონდ მეტი სიცხადისათვის იგი წინადადებას იძლევა — მე-4 პუნქტი შეიცვალოს უფრო გარკვეული ფორმულირებით, რომელშიც ლაპარაკი იქნება იმაზე, რომ აუცილებელია «თვითეული თვითმმართველი ოლქის შიგნით ნაციონალური უმცირესობის კონსტიტუირება საჯარო-უფლებრივ კორპორაციად» სასკოლო და სხვა კულტურული საქმეების გამგებლობისათვის ****.

---

* იხ. «Verhandlungen des Gesammtparteitages» ბრიუნში, 1899 წ.

** იხ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 286.

*** იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 549.

**** იხ. იქვე, გვ. 555.

ასეთია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამა.

განვიხილოთ მისი მეცნიერული საფუძვლები.

ვნახოთ, როგორ ასაბუთებს ავსტრიის სოციალ-დემოკრატია კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, რომელსაც იგი ქადაგებს.

მივმართოთ ამ უკანასკნელის თეორეტიკოსებს — შპრინგერსა და ბაუერს.

ნაციონალური ავტონომიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ცნება ერისა, როგორც პირთა კავშირისა განსაზღვრული ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად.

«ეროვნებას, — შპრინგერის მიხედვით, — არავითარი არსებითი კავშირი არა აქვს ტერიტორიასთან; ერები ავტონომიური პერსონალური კავშირები არიან»*.

ბაუერიც ლაპარაკობს ერზე, როგორც «პერსონალურ ერთობაზე», რომელსაც «მინიჭებული არა აქვს განსაკუთრებული ბატონობა რომელიმე განსაზღვრულ სფეროში» **.

მაგრამ ის პირნი, რომელნიც ერს შეადგენენ, ყოველთვის ერთ მთლიან მასად როდი ცხოვრობენ, — ისინი ხშირად ნაწილდებიან ჯგუფებად და ამ სახით არიან შერეულნი უცხო ნაციონალურ ორგანიზმებში. კაპიტალიზმია, მათ რომ საშოვარზე მიერეკება სხვადასხვა ოლქებსა და ქალაქებში. მაგრამ, როცა სხვათა ნაციონალურ ოლქებში შედიან და იქ უმცირესობას შეადგენენ, ეს ჯგუფები იჩაგრებიან ადგილობრივი ნაციონალური უმრავლესობისაგან, — შევიწროებას განიცდიან ენის, სკოლისა და სხვა საკითხებში. აქედან წარმოიშობა ხოლმე ნაციონალური შეჯახებანი. აქედან წარმოდგება ტერიტორიული ავტონომიის «უვარგისობა». ერთადერთი გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან,

* იხ. შპრინგერის «ნაციონალური პრობლემა», გვ. 19.

** იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 286.

შპრინგერისა და ბაუერის აზრით, ისაა, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას გაფანტული უმცირესობანი ამა თუ იმ ეროვნებისა ორგანიზებულ იქნენ ერთ საერთო კლასთაშორისო ნაციონალურ კავშირად. მხოლოდ ასეთი კავშირი დაიცავდა, მათი აზრით, ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ ინტერესებს, მხოლოდ მას აქვს უნარი შეწყვიტოს ნაციონალური შუღლი.

«საჭიროა, — ამბობს შპრინგერი, — მივცეთ ეროვნებებს მართებული ორგანიზაცია, აღვჭურვოთ ისინი უფლება-მოვალეობით» *... რა თქმა უნდა, «კანონის შექმნა ადვილია, მაგრამ განა ეს ისე მოქმედებს, როგორც მისგან მოელიან»... «თუ სურთ კანონი შექმნან ერებისათვის, უწინარეს ყოვლისა უნდა შექმნან თვით ერები» **... «ეროვნებათა კონსტიტუირების გარეშე ნაციონალური უფლების შექმნა და ნაციონალური შუღლის თავიდან აცილება შეუძლებელია» ***.

იმავე აზრით ლაპარაკობს ბაუერი, როდესაც იგი აყენებს, როგორც «მუშათა კლასის მოთხოვნას», «უმცირესობათა კონსტიტუირებას საჯარო-უფლებრივ კორპორაციებად, პერსონალური პრინციპის საფუძველზე» ****.

მაგრამ როგორ უნდა შეიქმნას ერები? როგორ უნდა გამოირკვეს, რომელ ერს ეკუთვნის ესა თუ ის პირი?

«ეს მიკუთვნება, — ამბობს შპრინგერი, — დგინდება ნაციონალური მატრიკულებით; თვითეულმა ოლქში მცხოვრებმა უნდა გამოაცხადოს, თუ რომელ ერს ეკუთვნის» *****.

«პერსონალური პრინციპი, — ამბობს ბაუერი, — გულისხმობს, რომ მოსახლეობა გაიყოფა ეროვნებათა მიხედვით... სრულწლოვანი მოქალაქეების თავისუფალ განცხადებათა საფუძველზე», რისთვისაც «უნდა დაზადდეს ნაციონალური კადასტრები» ******.

---

* იხ. «ნაციონალური პრობლემა», გვ. 74.

** იხ. იქვე, გვ. 88 — 89.

*** იხ. იქვე, გვ. 89.

**** იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 552.

***** იხ. «ნაციონალური პრობლემა», გვ. 226.

****** იხ. «ნაციონალური საკითხი». გვ. 368.

შემდეგ.

«ყველა გერმანელი, — ამბობს ბაუერი, — ნაციონალურად ერთგვაროვან ოლქებში, შემდეგ ორეროვანი ოლქების ნაციონალურ კადასტრებში შეტანილი ყველა გერმანელი შეადგენს გერმანელ ერს და ირჩევს **ნაციონალურ საბჭოს**» *.

იგივე უნდა ითქვას ჩეხებზე, პოლონელებზე და სხვ.

«**ნაციონალური საბჭო**, — შპრინგერის მიხედვით, — ესაა კულტურულ-ნაციონალური პარლამენტი, რომელსაც ექვემდებარება იმ საფუძვლების დადგენა და იმ სახსრების დადასტურება, რაც საჭიროა ნაციონალურ სასკოლო საქმეზე, ნაციონალურ ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და მეცნიერებაზე ზრუნვისათვის, აკადემიების, მუზეუმების, გალერეების, თეატრებისა» და სხვ. «მოწყობისათვის» **.

ასეთია ერის ორგანიზაცია და მისი ცენტრალური დაწესებულება.

ასეთი კლასთაშორისო ინსტიტუტების შექმნით, ავსტრიის ს.-დ. პარტია, ბაუერის აზრით, მიისწრაფვის იქითკენ, რომ «ნაციონალური კულტურა გახადოს... მთელი ხალხის კუთვნილებად და ასეთი ერთადერთი შესაძლებელი გზით **შეაკავშიროს ერის ყველა წევრი ნაციონალურ-კულტურულ ერთობად**» *** (ხაზგასმა ჩვენია).

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ავსტრიას ეხება. მაგრამ ბაუერი ამას არ ეთანხმება. იგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ნაციონალური ავტონომია აუცილებელია სხვა სახელმწიფოებშიც, რომელნიც, ავსტრიის მსგავსად, რამდენიმე ეროვნებისაგან შედგებიან.

«შეძლებული კლასების ნაციონალურ პოლიტიკას, ეროვნებათა სახელმწიფოში ძალაუფლების მოპოვების პოლიტიკას, ყველა ერის

* იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 375.

** იხ. «ნაციონალური პრობლემა», გვ. 234.

*** იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 553.

პროლეტარიატი უპირისპირებს, ბაუერის აზრით, თავის --- ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას» *.

შემდეგ იგი შეუმჩნეველად ცვლის ერთა თვითგამორკვევას ნაციონალური ავტონომიით და განაგრძობს:

«ნაციონალური ავტონომია, ერთა თვითგამორკვევა, ასე ხდება გარდუვალად ეროვნებათა სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერის პროლეტარიატის კონსტიტუციურ პროგრამად» **.

მაგრამ ბაუერი კიდევ უფრო შორს მიდის. მას ღრმად სწამს, რომ მის და შპრინგერის მიერ «კონსტიტუირებული» კლასთაშორისო «ნაციონალური კავშირები» მომავალი სოციალისტური საზოგადოების ერთგვარი პროტოტიპი იქნებიან. ვინაიდან მან იცის, რომ «სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება... კაცობრიობას დაანაწილებს ნაციონალურად გამიჯნულ საზოგადოებებად» ***, რომ სოციალიზმის დროს მოხდება «კაცობრიობის დაჯგუფება ავტონომიურ ნაციონალურ საზოგადოებებად» ****, რომ «ამგვარად, სოციალისტური საზოგადოება უეჭველად წარმოგვიდგება პირადი ნაციონალური კავშირებისა და ტერიტორიული კორპორაციების ჭრელი სურათის სახით» *****, რომ, მაშასადამე, «ეროვნების სოციალისტური პრინციპი ნაციონალური პრინციპისა და ნაციონალური ავტონომიის უმაღლეს სინთეზს წარმოადგენს» ******.

ვგონებ, კმარა...

ასეთია კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დასაბუთება ბაუერისა და შპრინგერის შრომებში.

---

* იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 337.
** იხ. იქვე, გვ. 333.
*** იხ. იქვე, გვ. 555.
**** იხ. იქვე, გვ. 556.
***** იხ. იქვე, გვ. 543.
****** იხ. იქვე, გვ. 542.

უწინარეს ყოვლისა, თვალში გეცემა სრულიად გაუგებარი და ყოვლად გაუმართლებელი შეცვლა ერთა თვითგამორკვევისა ნაციონალური ავტონომიით. ორში ერთი: ან ბაუერმა თვითგამორკვევა ვერ გაიგო, ანდა გაიგო, მაგრამ რატომღაც შეგნებულად ავიწროებს მას. ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ: ა) კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ეროვნებათა სახელმწიფოს მთლიანობას, თვითგამორკვევა კი ასეთი მთლიანობის ფარგლებს სცილდება; ბ) თვითგამორკვევა ერს აძლევს სრულ უფლებებს, ნაციონალური ავტონომია კი — მხოლოდ «კულტურულ» უფლებებს. ეს — ერთი.

მეორე, საუსებით შესაძლებელია მომავალში შინაგან და საგარეო კონიუნქტურათა ისეთი შეხამება, როდესაც ესა თუ ის ეროვნება გადაწყვეტს გამოვიდეს ეროვნებათა სახელმწიფოდან, თუნდაც ავსტრიიდან, — აკი განაცხადეს რუსინმა სოციალ-დემოკრატებმა ბრიუნის პარტეიტაგზე — მზადა ვართ ჩვენი ხალხის «ორი ნაწილი» ერთ მთელად გავაერთიანოთო *. რა უნდა ვუყოთ მაშინ **«ყველა ერის პროლეტარიატისათვის აუცილებელ»** ნაციონალურ ავტონომიას? ეს რა «გადაწყვეტაა» საკითხისა, ერებს რომ მექანიკურად ათავსებს სახელმწიფოს მთლიანობის პროკრუსტეს სარეცელზე?

შემდეგ. ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება ერთა განვითარების მთელ მსვლელობას. იგი იძლევა ერთა ორგანიზების ლოზუნგს, მაგრამ განა შეიძლება მათი ხელოვნურად შედუღება, თუ ცხოვრება, თუ ეკონომიური განვითარება წყვეტს მათგან მთელ ჯგუფებს და ფანტავს ამ უკანასკნელთ სხვადასხვა ოლქებში? უეჭველია, კაპიტალიზმის პირველ სტადიებში ერები კავშირდებიან. მაგრამ

* იხ. «ჩვენი ნაციონალური საკითხის შესახებ ბრიუნის პარტეიტაგზე», გვ. 48.

ისიც უეჭველია, რომ კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიებში იწყება ერთა დაქსაქსვის პროცესი, ერებისაგან მთელი რიგი იმ ჯგუფების გამოყოფის პროცესი, რომლებიც საშოვარზე მიდიან, ბოლო შემდეგ სრულებითაც სახლდებიან სახელმწიფოს სხვა ოლქებში; ამასთან გადასახლებულნი კარგავენ ძველ კავშირურთიერთობას, იძენენ ახალს ახალ ადგილებზე, ითვისებენ თაობიდან თაობამდე ახალ ზნე-ჩვეულებებს და გემოვნებას და, შესაძლოა, ახალ ენასაც. საკითხავია: შეიძლება თუ არა ასეთი ერთმანეთისაგან განკერძოებული ჯგუფების ერთიან ნაციონალურ კავშირად გაერთიანება? სად არის ის სასწაულმოქმედი სალტეები, რომელთა შეშწეობით შესაძლებელი იყოს იმის გაერთიანება, რის გაერთიანებაც შეუძლებელია? განა წარმოსადგენია «ერთ ერად შეკავშირება», მაგალითად, ბალტიისპირეთის და ამიერკავკასიის გერმანელებისა? მაგრამ თუ ყოველივე ეს წარმოუდგენელი და შეუძლებელია, რითღა განსხვავდება, ამ შემთხვევაში, ნაციონალური ავტონომია იმ ძველი ნაციონალისტების უტოპიისაგან, რომლებიც ცდილობდნენ უკან შემოეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი?

მაგრამ ერის ერთიანობა მარტო სხვადასხვა ოლქში გაფანტვის გამო როდი ირღვევა. იგი ირღვევა აგრეთვე შიგნიდან, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო. კაპიტალიზმის პირველ სტადიებში კიდევ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის «კულტურულ ერთობაზე». მაგრამ მზარდი ინდუსტრიის განვითარებასთან და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად «ერთობა» თანდათან ქრება. არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ერის «კულტურულ ერთობაზე», როდესაც ერთი და იმავე ერის მეპატრონეებსა და მოშრომეს ერთმანეთისა აღარაფერი გაეგებათ. რა «ბედის ერთობაზე» შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბურჟუაზია ომს ნატრობს, პროლეტარიატი კი «ომს» უცხადებს? განა შეიძლება ასეთი მოპირისპირე

ელემენტებისაგან ერთიანი კლასთაშორისო ნაციონალური კავშირის მოწყობა? განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი «ერის ყველა წევრის შეკავშირებაზე ნაციონალურ-კულტურულ ერთობად» *? განა აქედან ცხადი არ არის, რომ ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება კლასობრივი ბრძოლის მთელ მსვლელობას?

მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ლოზუნგი: «მოაწყვე ერი» — ისეთი ლოზუნგია, რომლის განხორციელება შეიძლება. შეიძლება კიდევ გავუგოთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარლამენტარებს, რომლებიც ცდილობენ «მოაწყონ» ერი ზედმეტი ხმების მისაღებად. მაგრამ რა დროიდან დაიწყეს სოციალ-დემოკრატებმა ერების «ორგანიზაცია», ერების «კონსტიტუირება», ერების «შექმნა»?

ეს რა სოციალ-დემოკრატები არიან, კლასთა ბრძოლის უდიდესი გამწვავების ეპოქაში კლასთაშორისო ნაციონალურ კავშირებს რომ აწყობენ? აქამდე ავსტრიის — ისევე როგორც ყველა სხვა — სოციალ-დემოკრატიას ერთი ამოცანა ჰქონდა: პროლეტარიატის ორგანიზება. მაგრამ ეს ამოცანა, როგორც ჩანს, «მოძველდა». ახლა შპრინგერი და ბაუერი აყენებენ «ახალ», უფრო საინტერესო, ამოცანას: ერის «შექმნას», «ორგანიზებას».

თუმცაღა, ლოგიკა გვავალებს: ვინც ნაციონალური ავტონომია მიიღო, მან ეს «ახალი» ამოცანაც უნდა მიიღოს, მაგრამ ამ უკანასკნელის მიღება — ეს ნიშნავს კლასობრივი პოზიციის დატოვებას, ნაციონალიზმის გზაზე დადგომას.

შპრინგერისა და ბაუერის კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ნაციონალიზმის დახვეწილი სახეა.

და სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ნაციონალური პროგრამა გვავალებს ვიზრუნოთ «ხალხების ნაციონალურ

* იხ. ბაუერის «ნაციონალური საკითხი», გვ. 553.

თავისებურებათა **შენარჩუნებასა** და **განვითარებაზე»**. აბა ერთი იფიქრეთ: «შეინარჩუნო» ამიერკავკასიის თათრების ისეთი «ნაციონალური თავისებურება», როგორიცაა თვითგვემა «შახსეი-ვახსეის» დღესასწაულზე! «განავითარო» ქართველების ისეთი «ნაციონალური თავისებურება», როგორიცაა «სისხლის აღების უფლება»!..

ასეთ პუნქტს შეიძლება ადგილი ჰქონდეს წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პროგრამაში, და თუ ის ავსტრიელ სოციალ-დემოკრატების პროგრამაში აღმოჩნდა, ეს იმიტომ, რომ ნაციონალური ავტონომია ითმენს ასეთ პუნქტებს, იგი არ ეწინააღმდეგება მათ.

მაგრამ, აწმყოსათვის გამოუსადეგარი, ნაციონალური ავტონომია კიდევ უფრო გამოუსადეგარია მომავალი, სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ბაუერის წინასწარმეტყველებას «კაცობრიობის ნაციონალურად გამიჯნულ საზოგადოებებად დანაწილების» * შესახებ თანამედროვე კაცობრიობის განვითარების მთელი მსვლელობა უარყოფს. ნაციონალური ზღუდეები კი არ მაგრდებიან, არამედ ინგრევიან და ეცემიან. მარქსი ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ამბობდა, რომ «ნაციონალური განკერძოებულობა და სხვადასხვა ხალხთა ინტერესების დაპირისპირებულობა უკვე ახლა სულ უფრო და უფრო ქრება», რომ «პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათს გაქრობას» [134]. კაცობრიობის შემდგომი განვითარება, მისი კაპიტალისტური წარმოების გიგანტური ზრდით, ეროვნებათა გადაჯგუფებით და სულ უფრო ვრცელ ტერიტორიებზე ადამიანთა გაერთიანებით, — გადაჭრით ადასტურებს მარქსის აზრს.

ბაუერის სურვილი — სოციალისტური საზოგადოება წარმოგვიდგინოს «პირადი ნაციონალური კავშირებისა და

* იხ. ამ თავის დასაწყისში.

ტერიტორიული კორპორაციების ჭრელი სურათის სახით»— არის გაუბედავი ცდა სოციალიზმის მარქსისეული კონცეფციის შეცვლისა ბაკუნინის რეფორმირებული კონცეფციით. სოციალიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი ასეთი ცდა თვითვე შეიცავს გარდუვალი კრახის ელემენტებს.

აღარას ვამბობთ ბაუერის მიერ ხოტბაშესხმულ რაღაც «ეროვნების სოციალისტურ პრინციპზე», რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს **კლასობრივი ბრძოლის** სოციალისტური პრინციპის შეცვლას ბურჟუაზიული **«ეროვნების პრინციპით»**. თუ ნაციონალური ავტონომია ასეთი საეჭვო პრინციპიდან გაძოდის, უხდა ვაღიაროთ, რომ მას მუშათა მოძრაობისათვის მხოლოდ ზიანის მიყენება შეუძლია.

მართალია, ეს ნაციონალიზმი არც ისე გამჭვირვალეა, ვინაიდან იგი ოსტატურადაა შენიღბული სოციალისტური ფრაზებით, მაგრამ მით უფრო მავნებელია იგი პროლეტარიატისათვის. აშკარა ნაციონალიზმს ყოველთვის შეიძლება გავუმკლავდეთ, მისი დანახვა ძნელი არ არის. გაცილებით უფრო ძნელია ბრძოლა შენიღბულ და თავის ნიღაბში ძნელად გამოსაცნობ ნაციონალიზმთან. სოციალიზმის ჯავშნით დაფარული, იგი უფრო ძნელად დასამარცხებელია და უფრო ცხოველმყოფელია. ხოლო მუშათა წრეში რომ ცოცხლობს, იგი წამლავს ატმოსფეროს, ავრცელებს — სხვადასხვა ეროვნების მუშათა ურთიერთუნდობლობისა და განკერძოების მავნე იდეებს.

მაგრამ ნაციონალური ავტონომიის მავნებლობა ამით არ ამოიწურება. იგი ნიადაგს უმზადებს არა მარტო ერების განკერძოებას, არამედ ერთიანი მუშათა მოძრაობის დაქუცმაცებასაც. ნაციონალური ავტონომიის იდეა ქმნის ფსიქოლოგიურ წანაძძვრებს ერთიანი მუშათა პარტიის დანაწილებისათვის ცალკეულ, ეროვნებათა მიხედვით აგებულ, პარტიებად. პარტიის კვალდაკვალ ქუცმაცდებიან კავშირებიც, და გამოდის სრული განკერძოებულობა. ასე

იქსაქსება ერთიანი კლასობრივი მოძრაობა ცალკეულ ნაციონალურ ნაკადულებად.

ავსტრია, «ნაციონალური ავტონომიის» სამშობლო, ამგვარი მოვლენის ყველაზე სავალალო მაგალითებს გვიჩვენებს. ავსტრიის ოდესღაც ერთიანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჯერ კიდევ 1897 წლიდან (ვიმბერგის პარტეიტაგი [135]) იწყო დაქუცმაცება ცალკეულ პარტიებად. ბრიუნის პარტეიტაგის (1899) შემდეგ, რომელმაც ნაციონალური ავტონომია მიიღო, დაქუცმაცება კიდევ უფრო გაძლიერდა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთიანი ინტერნაციონალური პარტიის ნაცვლად ახლა არსებობს ექვსი ნაციონალური პარტია, რომელთაგან ჩეხიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არც კი სურს საქმის დაჭერა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან.

მაგრამ პარტიებთან დაკავშირებული არიან პროფესიული კავშირები. ავსტრიაში, როგორც პარტიებში, ისე პროფესიულ კავშირებში, უმთავრეს მუშაობას იგივე სოციალ-დემოკრატი მუშები ეწევიან. ამიტომ იქმნებოდა საფრთხე, რომ სეპარატიზმი პარტიაში გამოიწვევდა სეპარატიზმს კავშირებში, რომ კავშირებიც გაითიშებოდნენ. ასეც მოხდა: კავშირებიც დანაწილდნენ ეროვნებათა მიხედვით. ახლა ხშირად საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ჩეხი მუშები ჩაშლიან ხოლმე გერმანელი მუშების გაფიცვას ან მუნიციპალიტეტების არჩევნებში ჩეხ ბურჟუებთან ერთად გამოდიან გერმანელი მუშების წინააღმდეგ.

აქედან ჩანს, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ვერ წყვეტს ნაციონალურ საკითხს. ეს კიდევ ცოტაა: იგი ამწვავებს და ხლართავს მას, ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს მუშათა მოძრაობის ერთიანობის დარღვევისათვის, ეროვნებათა მიხედვით მუშების განკერძოებისათვის, მათ შორის უთანხმოების გაძლიერებისათვის.

აი რა ნაყოფი მოაქვს ნაციონალურ ავტონომიას.

V

ბუნდი, მისი ნაციონალიზმი, მისი სეპარატიზმი

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ბაუერი, რომელიც აღიარებს, რომ ნაციონალური ავტონომია აუცილებელია ჩეხებისათვის, პოლონელებისათვის და სხვ., მიუხედავად ამისა, წინააღმდეგია ასეთი ავტონომიისა ებრაელებისათვის. კითხვაზე: «უნდა მოითხოვოს თუ არა მუშათა კლასმა ავტონომია ებრაელი ხალხისათვის» — ბაუერი უპასუხებს, «ნაციონალური ავტონომია არ შეიძლება იყოს ებრაელი მუშების მოთხოვნაო» *. მიზეზი, ბაუერის აზრით, ის არის, რომ «კაპიტალისტური საზოგადოება არ აძლევს მათ (ებრაელებს. ი. სტ.) საშუალებას დარჩნენ ერად» **.

მოკლედ: ებრაელი ერის არსებობა წყდება — მაშასადამე, აღარ რჩება ის, ვისთვისაც ნაციონალური ავტონომია უნდა მოვითხოვოთ. ხდება ებრაელთა ასიმილაცია.

ეს შეხედულება ებრაელების, როგორც ერის, ბედზე ახალი როდია. იგი გამოთქვა მარქსმა ჯერ კიდევ ორმოციან წლებში *** [136], ამასთან მას მხედველობაში ჰყავდა, უმთავრესად, გერმანელი ებრაელები. ეს შეხედულება გაიმეორა კაუცკიმ 1903 წელს ****, — მას მხედველობაში ჰყავდა რუსი ებრაელები. ახლა ამას იმეორებს ბაუერი ავსტრიელი ებრაელების მიმართ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი უარყოფს ებრაელი ერის არა აწმყოს, არამედ მომავალს.

ებრაელების, როგორც ერის, შენარჩუნების შეუძლებლობას ბაუერი იმით ხსნის, რომ «ებრაელებს არა აქვთ

---

* იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 381, 396.

** იხ. იქვე, გვ. 389.

*** იხ. მისი «ებრაელთა საკითხისათვის», 1906 წ.

**** იხ. მისი «კიშინიოვის ხოცვა-ჟლეტა და ებრაელთა საკითხი», 1903 წ.

შემოფარგლული საკოლონიზაციო ოლქი»*. ეს ახსნა, თუმცა იგი ძირითადად სწორია, მთელ ჭეშმარიტებას მაინც ვერ გამოხატავს. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ებრაელებს არა ჰყავთ მიწასთან დაკავშირებული ფართო მყარი ფენა, რომელიც ბუნებრივად ამაგრებს ერს არა მარტო როგორც მისი ჩონჩხი, არამედ როგორც «ნაციონალური» ბაზარიც. 5 — 6 მილიონი რუსი ებრაელიდან მხოლოდ 3 — 4 პროცენტია ასე თუ ისე დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. დანარჩენი 96% ჩაბმულია ვაჭრობაში, მრეწველობაში, ქალაქთა დაწესებულებებში და, საერთოდ, ქალაქებში ცხოვრობს, ამასთან ისინი მთელ რუსეთში არიან გაფანტულნი და არც ერთ გუბერნიაში უმრავლესობას არ შეადგენენ.

ამრიგად, ნაციონალურ უმცირესობათა სახით სხვათა ნაციონალურ ოლქებში შერეული ებრაელები მომსახურებას უწევენ, უმთავრესად, «უცხო» ერებს როგორც მრეწველნიც და ვაჭარნიც, და როგორც თავისუფალი პროფესიის ადამიანებიც, და ბუნებრივია, რომ ისინი ეგუებიან «უცხო ერებს» ენის მხრივ და სხვ. ყოველივე ეს, ეროვნებათა მზარდ გადაჯგუფებასთან დაკავშირებით, რაც კაპიტალიზმის განვითარებულ ფორმებს ახასიათებს, იწვევს ებრაელების ასიმილაციას. «ბინადრობის ფარგლის» მოსპობას შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს ეს ასიმილაცია.

ამის გამო ნაციონალური ავტონომიის საკითხი რუსი ებრაელებისათვის რამდენადმე კურიოზულ ხასიათს იღებს: მოითხოვენ ავტონომიას ისეთი ერისათვის, რომლის მომავალიც უარყოფილია, რომლის არსებობაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია!

მიუხედავად ამისა, ბუნდი ამ კურიოზულ და მერყევ პოზიციას დაადგა, როცა თავის VI ყრილობაზე (1905 წ.)

* იხ. «ნაციონალური საკითხი», გვ. 388.

«ნაციონალური პროგრამა» ნაციონალური ავტონომიის პრინციპის მიხედვით მიიღო.

ორმა გარემოებამ გადაადგმევინა ბუნდს ასეთი ნაბიჯი.

პირველი გარემოებაა ბუნდის არსებობა როგორც ებრაელი და მხოლოდ ებრაელი სოციალ-დემოკრატი მუშების ორგანიზაციისა. ჯერ კიდევ 1897 წლამდე ებრაელ მუშებს შორის მომუშავე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები მიზნად ისახავდნენ «სპეციალურად ებრაელ მუშათა ორგანიზაციის» შექმნას *. 1897 წელს მათ კიდევაც შექმნეს ასეთი ორგანიზაცია, გაერთიანდნენ რა ბუნდად. ეს მოხდა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია, როგორც მთელი, ფაქტიურად არ არსებობდა. მას შემდეგ ბუნდი განუწყვეტლივ იზრდებოდა და ფართოვდებოდა, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ისახებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უფერული დღეების ფონზე... მაგრამ აი დგება ცხრაასიანი წლები. იწყება მუშათა **მასობრივი** მოძრაობა. იზრდება პოლონეთის სოციალ-დემოკრატია და მასობრივ ბრძოლაში აბამს ებრაელ მუშებს. იზრდება რუსეთის სოციალ-დემოკრატია და თავისკენ იზიდავს «ბუნდელ» მუშებს. ბუნდის ნაციონალური, ტერიტორიულ ბაზას მოკლებული, ფარგლები ვიწრო ხდება. ბუნდის წინაშე დგება საკითხი: ან გაითქვიფოს საერთო ინტერნაციონალურ ტალღაში, ან დაიცვას თავისი დამოუკიდებელი არსებობა, როგორც ექსტერიტორიული ორგანიზაციისა. ბუნდი ამ უკანასკნელს ირჩევს.

ასე იქმნება ბუნდის, როგორც «ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენლის», «თეორია».

---

* იხ. «ნაციონალური მოძრაობის ფორმები» etc. კასტელიანსკის რედაქციით, გვ. 772.

მაგრამ ამ უცნაური «თეორიის» როგორმე «უბრალოდ» გამართლება შეუძლებელი ხდება. საჭიროა რაიმე «პრინციპული» სარჩული, «პრინციპული» გამართლება. სწორედ ასეთი სარჩული აღმოჩნდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. ბუნდმაც ხელი ჩასჭიდა მას, ისესხა იგი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისაგან. ავსტრიელებს რომ ასეთი პროგრამა არ ჰქონოდათ, ბუნდი მას გამოიგონებდა, რათა «პრინციპულად» გაემართლებინა თავისი დამოუკიდებელი არსებობა.

ამრიგად, 1901 წლის გაუბედავი ცდის შემდეგ (IV ყრილობა) ბუნდმა საბოლოოდ მიიღო «ნაციონალური პროგრამა» 1905 წელს (VI ყრილობა).

მეორე გარემოებაა ებრაელთა, როგორც ცალკეულ ნაციონალურ უმცირესობათა, განსაკუთრებული მდგომარეობა მთლიან ოლქებში სხვათა ნაციონალურ კომპაქტურ უმრავლესობათა შიგნით. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ასეთი მდგომარეობა ძირს უთხრის ებრაელების როგორც ერის არსებობას, ასიმილაციის გზაზე აყენებს მათ. მაგრამ ეს ობიექტური პროცესია. სუბიექტურად, ებრაელთა შეგნებაში, იგი იწვევს რეაქციას და აყენებს საკითხს ნაციონალური უმცირესობის უფლებების გარანტიის შესახებ, ასიმილაციისაგან გარანტიის შესახებ. ვინაიდან ბუნდი ებრაელი «ეროვნების» სიცოცხლისუნარიანობას ქადაგებდა, მას არ შეეძლო «გარანტიის» თვალსაზრისზე არ დამდგარიყო. ხოლო ამ პოზიციაზე რომ დადგა, მას არ შეეძლო არ მიეღო ნაციონალური ავტონომია. ვინაიდან თუ ბუნდს შეეძლო რაიმე ავტონომიას ჩასჭიდებოდა, — ეს მხოლოდ ნაციონალურს, ე. ი. **კულტურულ-ნაციონალურს:** ებრაელთა ტერიტორიულ-პოლიტიკურ ავტონომიაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო, რადგან ებრაელებს განსაზღვრული მთლიანი ტერიტორია არა აქვთ.

დამახასიათებელია, რომ ბუნდი თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავდა ნაციონალური ავტონომიის, როგორც ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების გარანტიის, როგორც ერების «თავისუფალი განვითარების» გარანტიის ხასიათს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბუნდის წარმომადგენელმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის II ყრილობაზე — გოლდბლატმა ნაციონალური ავტონომია დასახა როგორც «დაწესებულებანი, რომელნიც კულტურული განვითარების სრული თავისუფლების **გარანტიას აძლევენ** მათ» (ერებს. **ი. სტ.**) *. ასეთივე წინადადება შეიტანეს მოთხე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში ბუნდის იდეების მომხრეებმა...

ასე დადგა ბუნდი ებრაელთა ნაციონალური ავტონომიის კურიოზულ პოზიციაზე.

ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ საერთოდ ნაციონალური ავტონომია. გარჩევამ გვიჩვენა, რომ ნაციონალურ ავტონომიას ნაციონალიზმისაკენ მივყავართ. ქვემოთ დავინახავთ, რომ ბუნდი ასეთსავე დასკვნამდე მივიდა. მაგრამ ბუნდი ნაციონალურ ავტონომიას განიხილავს კიდევ სპეციალური მხრივ, ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების **გარანტიების** მხრივ. გავარჩიოთ საკითხი ამ, სპეციალური მხრითაც. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ნაციონალურ უმცირესობათა — და არა მარტო ებრაელ უმცირესობათა — საკითხს სერიოზული მნიშვნელობა აქვს სოციალ-დემოკრატიისათვის.

მაშ ასე, **«დაწესებულებანი,** რომელნიც კულტურული განვითარების სრული თავისუფლების **გარანტიას აძლევენ»** ერებს (ხაზგასმა ჩვენია. **ი. სტ.**).

მაგრამ ეს რა «დაწესებულებანია, რომელნიც გარანტიას აძლევენ» და სხვ.?

---

* იხ. II ყრილობის ოქმები, გვ. 176.

ეს არის უწინარეს ყოვლისა შპრინგერ-ბაუერის «ნაციონალური საბჭო», კულტურულ საქმეთა სეიმის მსგავსი რამ.

მაგრამ შეუძლიათ თუ არა ამ დაწესებულებებს მისცენ ერს «კულტურული განვითარების სრული თავისუფლების» გარანტია? შეუძლიათ თუ არა კულტურულ საქმეთა რაიმე სეიმებს გარანტია მისცენ ერებს ნაციონალისტური რეპრესიებისაგან?

ბუნდი ფიქრობს, რომ შეუძლიათ.

მაგრამ ისტორია საწინააღმდეგოს გვეუბნება.

რუსეთის პოლონეთში ერთ დროს არსებობდა სეიმი, პოლიტიკური სეიმი, და იგი, რა თქმა უნდა, ცდილობდა უზრუნველეყო პოლონელთა «კულტურული განვითარების» თავისუფლება, მაგრამ მან არათუ წარმატება ვერ მოიპოვა ამ საქმეში, არამედ — პირიქით — თვითონ დაეცა რუსეთის საერთო-პოლიტიკურ პირობებთან უთანასწორო ბრძოლაში.

ფინეთში დიდი ხანია არსებობს სეიმი, რომელიც აგრეთვე ცდილობს დაიცვას ფინელი ეროვნება «ხელყოფათაგან», მაგრამ ბევრი რამის გაკეთებას ახერხებს თუ არა იგი ამ მიმართულებით — ამას ყველა ხედავს.

რა თქმა უნდა, სეიმიც არის და სეიმიც, და ფინეთის დემოკრატიულად ორგანიზებულ სეიმთან ანგარიშის გასწორება არც ისე ადვილია, როგორც პოლონეთის არისტოკრატიულ სეიმთან. მაგრამ მაინც **გადამწყვეტია** არა თვით სეიმი, არამედ რუსეთში არსებული საერთო წესწყობილება. ახლა რუსეთში ისეთივე უხეში აზიური სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება რომ იყოს, როგორც წარსულში, პოლონეთის სეიმის გაუქმების წლებში, — ფინეთის სეიმის საქმე გაცილებით უფრო ცუდად იქნებოდა. გარდა ამისა, ფინეთის მიმართ **«ხელყოფათა»**

პოლიტიკა ძლიერდება, და არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პოლიტიკა მარცხს განიცდიდეს...

თუ ასეა ძველი, ისტორიულად ჩამოყალიბებული დაწესებულებების, პოლიტიკური სეიმების საქმე, — მით უფრო ვერ უზრუნველყოფენ ერების თავისუფალ განვითარებას ახალგაზრდა სეიმები, ახალგაზრდა დაწესებულებები, თანაც ისე სუსტნი, როგორიც არიან «კულტურული» სეიმები.

ცხადია, საქმე «დაწესებულებები» კი არ არის, არამედ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული საერთო წესწყობილება. თუ ქვეყანაში დემოკრატიზაცია არ არის, მაშინ არც ეროვნებათა «კულტურული განვითარების სრული თავისუფლების» გარანტიებია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო ნაკლებია «ეროვნებათა თავისუფლების» მიმართ «ხელყოფა», მით უფრო მეტია გარანტია «ხელყოფისაგან».

რუსეთი ნახევრადაზიური ქვეყანაა, და ამიტომ «ხელყოფათა» პოლიტიკა იქ ხშირად იღებს ყოვლად უხეშ ფორმებს, რბევის ფორმებს. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ «გარანტიები» რუსეთში უკიდურეს მინიმუმამდეა დაყვანილი.

გერმანია უკვე ევროპაა მეტი თუ ნაკლები პოლიტიკური თავისუფლებით. გასაკვირველი არ არის, რომ «ხელყოფათა» პოლიტიკა იქ არასოდეს არ იღებს რბევის ფორმას.

საფრანგეთში, რა თქმა უნდა, კიდევ მეტი «გარანტიებია», რადგან საფრანგეთი გერმანიაზე უფრო დემოკრატიულია.

აღარას ვამბობთ შვეიცარიაზე, სადაც, მისი მაღალი, თუმცა ბურჟუაზიული, დემოკრატიულობის მეოხებით, ეროვნებებს თავისუფალი ცხოვრება აქვთ, — სულ ერთია, უმცირესობას წარმოადგენენ ისინი თუ უმრავლესობას.

ამრიგად, ბუნდი ყალბ გზაზე დგას, როცა ამტკიცებს, რომ «დაწესებულებებს» თავისთავად შეუძლიათ ეროვნებათა სრული კულტურული განვითარების გარანტირება.

შეიძლება გვითხრან, ბუნდი თვითონ თვლის რუსეთის დემოკრატიზაციას «დაწესებულებათა შექმნისა» და თავისუფლების გარანტიების **წინასწარ** პირობადო. მაგრამ ეს სწორი არ არის. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიშიდან» [137] ჩანს, რომ ბუნდი ფიქრობს მოიპოვოს «დაწესებულებები» რუსეთში ახლა არსებული წესწყობილების **საფუძველზე, ებრაელთა თემის** «რეფორმირების» გზით.

«თემი, — ამბობდა ამ . კონფერენციაზე ბუნდის ერთ-ერთი ლიდერი, — შეიძლება გახდეს მომავალი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ბირთვი. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია არის ერის თვითმმართველობის ფორმა, ნაციონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფორმა. თემის ფორმაში იგივე შინაარსი იმალება. ეს არის ერთი ჯაჭვის რგოლები, ერთი ევოლუციის ეტაპები» *.

ამისდა მიხედვით, კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ საჭიროა ბრძოლა «ებრაელთა თემის **რეფორმირებისათვის** და **საკანონმდებლო გზით** მისი გადაქცევისათვის საერო დაწესებულებად», რომელიც დემოკრატიულად იქნება მოწყობილი ** (ხაზგასმა ჩვენია. **ი. სტ.**).

ცხადია, პირობად და გარანტიად ბუნდს მიაჩნია არა რუსეთის დემოკრატიზაცია, არამედ ებრაელთა მომავალი «საერო დაწესებულება», მიღებული «ებრაელთა თემის რეფორმირების» გზით, ასე ვთქვათ, «საკანონმდებლო» წესით, სათათბიროს მეშვეობით.

მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ «დაწესებულებები» თავისთავად არ შეიძლება «გარანტიებს» წარმოადგენდნენ,

---

* იხ. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», 1911 წ., გვ. 62.

** იხ. იქვე, გვ. 83 — 84.

თუ მთელ სახელმწიფოში დემოკრატიული წესწყობილება არ არის.

მაგრამ, მაინც, როგორ იქნება საქმე მომავალი დემოკრატიული წყობილების დროს? ხომ არ იქნება საჭირო დემოკრატიზმის დროსაც სპეციალური «კულტურული დაწესებულებები, რომელნიც გარანტიას იძლევიან» და სხვ.? როგორია ამ მხრივ საქმის ვითარება, მაგალითად, დემოკრატიულ შვეიცარიაში? არიან თუ არა იქ სპეციალური, შპრინგერის «ნაციონალური საბჭოს» მსგავსი, კულტურული დაწესებულებანი? ისინი იქ **არ არიან.** მაგრამ ხომ არ ილახება ამით კულტურული ინტერესები, მაგალითად, იტალიელებისა, რომელნიც იქ უმცირესობას შეადგენენ? რაღაც, ამაზე არაფერი ისმის. და ეს გასაგებიცაა: დემოკრატია შვეიცარიაში ზედმეტს ხდის ყოველგვარ სპეციალურ-კულტურულ «დაწესებულებებს», რომლებიც ვითომც «გარანტიას იძლევიან» და სხვა.

ამრიგად, უძლურნი აწმყოში, ზედმეტნი მომავალში — ასეთი არიან კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის **დაწესებულებანი,** ასეთია ნაციონალური ავტონომია.

მაგრამ იგი კიდევ უფრო მავნე ხდება, როდესაც მას თავს ახვევენ «ერს», რომლის არსებობა და მომავალი საეჭვოა. ასეთ შემთხვევებში ნაციონალური ავტონომიის მომხრეებს უხდებათ დაიცვან და შეინარჩუნონ «ერის» ყველა თავისებურება, არა მარტო სასარგებლო, არამედ მავნეც, — ოღონდ კი «იხსნან ერი» ასიმილაციისაგან, ოღონდ კი «გადაარჩინონ» იგი.

ამ სახიფათო გზას გარდუვალად უნდა დადგომოდა ბუნდი. და იგი მართლაც დაადგა ამ გზას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბუნდის უკანასკნელი კონფერენციების ცნობილი დადგენილებანი «შაბათის», «ჟარგონის» და სხვათა შესახებ.

სოციალ-დემოკრატია ცდილობს დედაენის უფლება მოუპოვოს **ყველა ერს**, მაგრამ ბუნდი ამას არ სჯერდება, — იგი მოითხოვს, რომ «განსაკუთრებული შეუპოვრობით» დაიცვან **«ებრაული** ენის უფლებები» (ხაზგასმა ჩვენია. **ი. სტ.**) *, ამასთან თვითონ ბუნდი, IV სათათბიროს არჩევნებში, ანიჭებს «უპირატესობას მათ შორის (ე. ი. ამრჩეველთა შორის) იმას, ვინც ებრაული ენის უფლებათა დაცვას კისრულობს» **.

დედაენის **საერთო** უფლება კი არა, არამედ ებრაული ენის, ჟარგონის **ცალკე** უფლება! ცალკეულ ეროვნებათა მუშებმა **უწინარეს ყოვლისა** თავიანთი ენისათვის იბრძოლონ: ებრაელებმა ებრაულისათვის, ქართველებმა ქართულისათვის და სხვა. ყველა ერის საერთო უფლებისათვის ბრძოლა მეორეხარისხოვანი საქმეა. თქვენ შეგიძლიათ არც აღიარებდეთ ყველა ჩაგრული ეროვნების დედაენის უფლებას; მაგრამ თუ ჟარგონის უფლება აღიარეთ, მაშინ იცოდეთ: ბუნდი თქვენ მოგცემთ ხმას, ბუნდი თქვენ მოგანიჭებთ «უპირატესობას».

მაგრამ რითღა განსხვავდება მაშინ ბუნდი ბურჟუაზიული ნაციონალისტებისაგან?

სოციალ-დემოკრატია იბრძვის კვირაში ერთი სავალდებულო დასასვენებელი დღის დაწესებისათვის, მაგრამ ბუნდი ამას არ სჯერდება, იგი მოითხოვს, რომ «ებრაელი პროლეტარიატისათვის საკანონმდებლო წესით უზრუნველყოფილ» იქნეს «შაბათის უქმობის უფლება, ამასთან ძალით არ მოახვიონ თავს სხვა დღის უქმობაც» ***.

---

* იხ. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», გვ. 85.

** იხ. «ბუნდის IX კონფერენციის ანგარიში», 1912 წ., გვ. 42.

*** იხ. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», გვ. 83.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნდი გადადგამს «ნაბიჯს წინ» და მოითხოვს ყველა ძველი ებრაული დღესასწაულის უქმობის უფლებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ, ბუნდის საუბედუროდ, ებრაელმა მუშებმა უარყვეს ცრურწმენა და თუ მათ არ სურთ იუქმონ, მაშინ ბუნდი თავისი აგიტაციით «შაბათის უფლებისათვის» მოაგონებს მათ შაბათს, ჩაუნერგავს მათ, ასე ვთქვათ, «შაბათის სულს»...

ამიტომ სავსებით გასაგებია ორატორთა «მგზნებარე სიტყვები» ბუნდის VIII კონფერენციაზე, სადაც მოითხოვდნენ «ებრაელთა საავადმყოფოებს», თანაც ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებდნენ, რომ «ავადმყოფი თავისიანებში უკეთ გრძნობს თავს», რომ «ებრაელი მუშა ცუდად იგრძნობს თავს პოლონელ მუშებში, იგი კარგად იგრძნობს თავს ებრაელ მედუქნეებშიო» *.

ყოველივე ებრაულის შენარჩუნება, ებრაელთა **ყველა** ნაციონალური თავისებურების დაცვა, ისეთისაც კი, რომელიც აშკარად საზიანოა პროლეტარიატისათვის, ებრაელთა გამიჯვნა ყოველივე არაებრაულისაგან, განსაკუთრებული საავადმყოფოების მოწყობაც კი,—აი სადამდე დაეცა ბუნდი!

ამხანაგი პლეხანოვი ათასჯერ მართალი იყო, როდესაც ამბობდა, ბუნდი «სოციალიზმს ნაციონალიზმს უგუებსო». რა თქმა უნდა, ვლ. კოსოვსკის და მის მსგავს ბუნდელებს შეუძლიათ «დემაგოგი» უწოდონ პლეხანოვს ** [138] — ქაღალდი ყველაფერს აიტანს, — მაგრამ ვინც ბუნდის საქმიანობას იცნობს, მისთვის ძნელი არაა გაიგოს, რომ ამ მამაც ადამიანებს პირდაპირ ეშინიათ სიმართლე თქვან თავიანთ თავზე და ეფარებიან ლანძღვას «დემაგოგიის» შესახებ...

---

* იხ. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», გვ. 68.

** იხ. «ნაშა ზარია», 1912 წ., № 9 — 10, გვ. 120.

მაგრამ, ნაციონალურ საკითხში ასეთ პოზიციაზე რომ რჩებოდა, ბუნდი, ბუნებრივია, ორგანიზაციულ საკითხშიც უნდა დამდგარიყო ებრაელი მუშების განკერძოების გზაზე, სოციალ-დემოკრატიაში ნაციონალური კურიების არსებობის გზაზე. ასეთია ნაციონალური ავტონომიის ლოგიკა!

და მართლაც, «ერთადერთი წარმომადგენლობის» თეორიიდან ბუნდი გადადის მუშების «ნაციონალური გამიჯვნის» თეორიაზე. ბუნდი მოითხოვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან, რომ მან «თავის ორგანიზაციულ წყობაში გაატაროს გამიჯვნა ეროვნებათა მიხედვით» *. «გამიჯვნისაგან» კი იგი დგამს «ნაბიჯს წინ» «განკერძოების» თეორიისაკენ. ტყუილად კი არ გაისმოდა ბუნდის VIII კონფერენციაზე სიტყვები იმის შესახებ, რომ «განკერძოებაშია ნაციონალური არსებობაო» **.

ორგანიზაციული ფედერალიზმი დაშლისა და სეპარატიზმის ელემენტებს შეიცავს. ბუნდი სეპარატიზმისაკენ მიდის.

არსებითად, მას სხვა გზა აღარც აქვს. თვით მისი არსებობა, როგორც ექსტერიტორიული ორგანიზაციისა, მიაჭანებს მას სეპარატიზმის გზისაკენ. ბუნდს არა აქვს განსაზღვრული მთლიანი ტერიტორია, იგი «სხვების» ტერიტორიებზე იღვწის, მაშინ როცა მასთან ურთიერთობის მქონე პოლონეთის, ლატვიისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიები ინტერნაციონალურ-ტერიტორიული კოლექტივები არიან. მაგრამ ეს იმას იწვევს, რომ ამ კოლექტივების ყოველი გაფართოება ნიშნავს «დანაკლისს» ბუნდისათვის, მისი მოქმედების ასპარეზის შევიწროებას. ორში ერთი: ან მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია უნდა გარდაიქმნას ნაციონალური ფედერალიზმის საფუძველზე, — და მაშინ

* იხ. «ცნობა ბუნდის VII ყრილობის შესახებ» 139, გვ. 7.

** იხ. «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», გვ. 72.

ბუნდს შესაძლებლობა ეძლევა «უზრუნველყოს» თავისთვის ებრაელი პროლეტარიატი; ან ამ კოლექტივების ტერიტორიულ-ინტერნაციონალური პრინციპი ძალაში რჩება, — და მაშინ ბუნდი გარდაიქმნება ინტერნაციონალობის საფუძველზე, როგორც ეს ხდება პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიაში.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ბუნდი თავიდანვე მოითხოვს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გარდაქმნას ფედერაციულ საფუძველზე» *.

1906 წელს ბუნდმა დაუთმო გამაერთიანებელ ტალღას ქვედა ფენებში, საშუალო გზა აირჩია და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში შევიდა. მაგრამ როგორ შევიდა იგი იქ? მაშინ როდესაც პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიები მშვიდობიანი ერთობლივი მუშაობისათვის შევიდნენ, ბუნდი შევიდა იმ მიზნით, რომ ომი გაეჩაღებინა ფედერაციის სასარგებლოდ. სწორედ ასეც ამბობდა მაშინ ბუნდელების ლიდერი მედემი:

«ჩვენ მივდივართ არა იდილიისათვის, არამედ ბრძოლისათვის. იდილია აღარ არის, და ახლო მომავალში მისი მოლოდინი მხოლოდ მანილოვებს შეუძლიათ. ბუნდი პარტიაში უნდა შევიდეს თავით ფეხამდე შეიარაღებული» **.

შეცდომა იქნებოდა ამაში მედემის ბოროტი ნება დაგვენახა. საქმე ბოროტი ნება კი არ არის, არამედ ბუნდის განსაკუთრებული პოზიცია, რომლის გამო მას არ შეუძლია არ ებრძოდეს ინტერნაციონალობის საფუძველზე აგებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. ხოლო მას რომ ებრძოდა, ბუნდი, ბუნებრივია, არღვევდა ერთიანობის ინტე-

* იხ. «ნაციონალური ავტონომიისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნის საკითხისათვის», 1902 წ., ბუნდის გამოცემა.

** იხ. «ნაშე სლოვო» № 3, გვ. 24. ვილნო, 1906 წ.

რესებს. ბოლოს, საქმე იქამდე მიდის, რომ ბუნდი ფორმალურად წყვეტს კავშირს რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან, არღვევს წესდებას და IV სათათბიროს არჩევნებში პოლონელ ნაციონალისტებს უერთდება პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

ბუნდმა, ცხადია, ცნო, რომ კავშირის გაწყვეტა მისი თვითმოქმედების საუკეთესო გარანტიაა.

ასე მიიყვანა ორგანიზაციული «გამიჯვნის» «პრინციპმა» საქმე სეპარატიზმამდე, სრულ განხეთქილებამდე.

ეკამათებოდა რა ძველ «ისკრას» [140] ფედერალიზმის შესახებ, ბუნდი ოდესღაც წერდა:

«„ისკრას" სურს დაგვარწმუნოს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ბუნდის ფედერაციულმა ურთიერთობამ უნდა შეასუსტოს კავშირი მათ შორის. ჩვენ არ შეგვიძლია გავაბათილოთ ეს აზრი რუსეთის პრაქტიკაზე მითითებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია არ არსებობს როგორც ფედერაციული გაერთიანება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ მეტად საჯულისხმო გამოცდილება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელმაც ფედერაციული ხასიათი მიიღო 1897 წლის პარტეიტაგის გადაწყვეტილების საფუძველზე» *.

ეს დაიწერა 1902 წელს.

მაგრამ ახლა 1913 წელია. ახლა ჩვენ გვაქვს რუსეთის «პრაქტიკაც» და «ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებაც».

რას გვეუბნებიან ისინი?

დავიწყოთ «ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მეტად საგულისხმო გამოცდილებით». ჯერ კიდევ 1896 წლამდე ავსტრიაში არსებობს ერთიანი ს.-დ. პარტია. ამ წელს ჩეხებმა ლონდონის საერთაშორისო კონგრესზე პირველად მოითხოვეს ცალკე წარმომადგენლობა და მიიღეს იგი.

* იხ. «ნაციონალური ავტონომიის საკითხისათვის» etc., 1902 წ., გვ. 17, ბუნდის გამოცემა.

1897 წელს, ვენის პარტეიტაგზე (ვიმბერგში), ერთიანი პარტია ფორმალურად უქმდება და მის ნაცვლად არსდება ექვსი ნაციონალური «ს.-დ. ჯგუფის» ფედერაციული კავშირი. შემდეგ ეს «ჯგუფები» დამოუკიდებელ პარტიებად იქცევიან. პარტიები თანდათანობით წყვეტენ ურთიერთკავშირს. პარტიების შემდეგ ითიშება საპარლამენტო ფრაქცია — იქმნება ნაციონალური «კლუბები». მათ მიჰყვებიან კავშირები, რომლებიც აგრეთვე ეროვნებათა მიხედვით ქუცმაცდებიან. საქმე მიდის კოოპერატივებამდეც კი, რომელთა დაქუცმაცებისაკენ მოუწოდებენ მუშებს ჩეხი სეპარატისტები *. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ სეპარატისტული აგიტაცია ასუსტებს მუშებში სოლიდარობის გრძნობას და ხშირად შტრეიკბრეხერობის გზაზე აყენებს მათ.

ამრიგად, «ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მეტად საგულისხმო გამოცდილება» მეტყველებს ბუნდის **წინააღმდეგ**, ძველი «ისკრის» სასარგებლოდ. ფედერალიზმმა ავსტრიის პარტიაში გამოიწვია ყოვლად უმსგავსი სეპარატიზმი, მუშათა მოძრაობის ერთიანობის დარღვევა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ «რუსეთის პრაქტიკაც» ამასვე მოწმობს. ბუნდელმა სეპარატისტებმა, ისევე როგორც ჩეხებმა, კავშირი გაწყვიტეს საერთო, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. რაც შეეხება კავშირებს, ბუნდის კავშირებს, ისინი თავიდანვე მოწყობილი იყვნენ ეროვნების საფუძველზე, ე. ი. მოწყვეტილი იყვნენ სხვა ეროვნებათა მუშებს.

სრული განკერძოება, სრული გათიშვა — აი რას გვიჩვენებს ფედერალიზმის «რუსული პრაქტიკა».

გასაკვირველი არ არის, რომ ასეთი ვითარება გავლენას ახდენს მუშებზე სოლიდარობის გრძნობის შესუსტებისა და

* იხ. «Dokumente des Separatismus»-ში სტატიები ვანეკის 141 ბროშურიდან, გვ. 29.

დემორალიზაციის მხრივ, ამასთან ეს უკანასკნელი ფეხს იკიდებს ბუნდშიც. მხედველობაში გვაქვს ებრაელი და პოლონელი მუშების უფრო და უფრო გახშირებული შეტაკებანი უმუშევრობის ნიადაგზე. აი რა სიტყვები გაისმოდა ამის შესახებ ბუნდის IX კონფერენციაზე:

«...პოლონელი მუშები, რომლებიც ჩვენ გვაძევებენ, ჩვენ მიგვაჩნია დამრბევლებად, ყვითლებად, მხარს არ ვუჭერთ მათს გაფიცვებს, ვშლით ამ გაფიცვებს. მეორეც, გაძევებაზე გაძევებითვე ვუპასუხებთ: ფაბრიკებში ებრაელი მუშების არდაშვების პასუხად ჩვენ არ ვუშვებთ პოლონელ მუშებს ხელის დაზგებთან... **თუ ეს საქმე ჩვენ არ ავიღეთ ხელში, მუშები სხვებს გაჰყვებიან»** * (ხაზგასმა ჩვენია. ი. სტ.).

ასე ლაპარაკობენ სოლიდარობის შესახებ ბუნდის კონფერენციაზე.

«გამიჯვნასა» და «განკერძოებაში» ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება. ბუნდმა მიზანს მიაღწია: იგი მიჯნავს სხვადასხვა ეროვნების მუშებს, იწვევს მათს წაჩხუბებას, შტრეიკბრეხერობას. სხვანაირად როგორ შეიძლება: «თუ ეს საქმე ჩვენ არ ავიღეთ ხელში, **მუშები სხვებს გაჰყვებიან»**...

მუშათა მოძრაობის დეზორგანიზაცია, სოციალ-დემოკრატიის რიგების დემორალიზაცია — აი სად მივყავართ ბუნდის ფედერალიზმს.

ამრიგად, კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეა, ის ატმოსფერო, რომელსაც იგი ქმნის, კიდევ უფრო მავნე აღმოჩნდა რუსეთში, ვიდრე ავსტრიაში.

VI

კავკასიელები, ლიკვიდატორთა კონფერენცია

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილის მერყეობაზე, იმ ნაწილისა, რომელმაც ვერ გაუძლო ნაციონალისტურ «სენს». ეს

* იხ. «ბუნდის IX კონფერენციის ანგარიში», გვ. 19.

მერყეობა იმით გამოიხატა, რომ ხსენებული სოციალ-დემოკრატები — თუმცა ეს მეტად უცნაურია — ბუნდის კვალს გაჰყვნენ და კულტურულ-ნაციონალური ავტონომია აღიარეს.

საოლქო ავტონომია მთელი კავკასიისათვის და კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კავკასიის შემადგენლობაში შემავალი ერებისათვის, — ასე აყალიბებენ თავიანთ მოთხოვნას ეს სოციალ-დემოკრატები, რომლებიც, აქვე უნდა ითქვას, რუს ლიკვიდატორებს ემხრობიან.

მოვუსმინოთ მათს აღიარებულ ლიდერს, საკმაოდ ცნობილ ნ.-ს.

«ყველამ იცის, რომ კავკასია დიდათ განსხვავდება შიდა გუბერნიებისაგან როგორც მცხოვრებთა გვარ-ტომობით, ისე ტერიტორიით და სამიწათმოქმედო კულტურით. ასეთი ქვეყნის ამუშავება და ნივთიერათ განვითარება მოითხოვს ადგილობრივ მუშაკებს, მცოდნეთ ადგილობრივი თვისებების და მიჩვეულთ ადგილობრივ ჰავასა და კულტურას. ყველა კანონები, რომელთა მიზანი იქნება ადგილობრივი ტერიტორიის ექსპლოატაცია, უნდა იცემოდეს ადგილობრივ და ტარდებოდეს ადგილობრივი ძალებით. მაშასადამე, კავკასიის თვითმართველობის ცენტრალური ორგანოს კომპენტენციას შეადგენს კანონმდებლობა ადგილობრივ საჭიროებებზე... ამნაირათ, კავკასიის ცენტრის საქმეა ადგილობრივი კანონმდებლობა, ე. ი. გამოცემა ისეთი კანონების, რომელთა საგანი იქნება ადგილობრივი ტერიტორიის გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა და ქვეყნის ნივთიერათ აყვავება» *.

ამრიგად — კავკასიის საოლქო ავტონომია.

თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ნ.-ს დასაბუთებას, რაც რამდენადმე აბნეული და დაულაგებელია, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი დასკვნა სწორია. კავკასიის საოლქო ავტონომია, საერთო-სახელმწიფო კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედი, რასაც არც ნ. უარყოფს, — მართლაც აუცილებელია კავკასიის შემადგენლობისა და საყოფაცხოვრებო

* იხ. ქართული გაზეთი «ჩვენი ცხოვრება» 142, 1912 წ., № 12.

პირობების თავისებურებათა გამო. ამას აღიარებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაც, რომელმაც — II ყრილობაზე გამოაცხადა «საოლქო თვითმმართველობა იმ განაპირა მხარეებისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან საკუთრივ რუსული ოლქებისაგან».

ამ მუხლს განსახილველად II ყრილობას რომ უდგენდა, მარტოვი მას იმით ასაბუთებდა, რომ «რუსეთის უზარმაზარი სივრცე და ჩვენი ცენტრალიზებული მმართველობის გამოცდილება საბაბს გვაძლევს საჭიროდ და მიზანშეწონილად ჩავთვალოთ საოლქო თვითმმართველობის არსებობა ისეთი დიდი ერთეულებისათვის, როგორიცაა ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია».

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ საოლქო **თვითმმართველობა** უნდა გავიგოთ როგორც საოლქო **ავტონომია.**

მაგრამ **ნ.** უფრო შორს მიდის. მისი აზრით, კავკასიის საოლქო ავტონომია «საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს» ეხება.

«აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით ადგილობრივი ცხოვრების მხოლოდ ნივთიერ ვითარებაზე. მაგრამ ქვეყნის ეკონომიურად განვითარებას ხელს უწყობს არა მარტო ეკონომიური საქმიანობა, არამედ სულიერი ანუ კულტურულიც»... «კულტურულად გაძლიერებული ერი ძლიერია ეკონომიურ სფეროშიაც»... «ხოლო ერს კულტურულად განვითარება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ ენაზე»... «ამიტომ ყველა ის კითხვები, რომელნიც შეკავშირებულია სამშობლო ენასთან, არის კითხვები ნაციონალურ-კულტურული. ასეთია კითხვები სწავლა-განათლების, მართლმსაჯულების, ეკლესიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, თეატრის და სხ. და სხ. თუ ქვეყნის ნივთიერად აღორძინების საქმე ადგილობრივ ერებს აერთიანებს და საერთო უღელში აბამს, ნაციონალურ-კულტურული საქმე კი მათ ერთი მეორისაგან აშორებს და თვითეულს განსაკუთრებითი სამოქმედო ასპარეზს უფარგლავს. პირველნაირი საქმიანობა დაკავშირებულია განსაზღვრულ ტერიტორიასთან»... «სულ სხვაა ნაციონალურ-კულტურული საქმეები.

ესენი დაკავშირებულია არა განსაზღვრულ ტერიტორიასთან, არამედ განსაზღვრული ერის არსებობასთან. ქართული ენის სვე-ბედი ერთნაირათ აინტერესებს ქართველს, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის. თქმა იმის, რომ ქართული კულტურა მარტო საქართველოში მცხოვრებ ქართველთ ეხებაო — დიდი სიბრიყვე იქნება. ავიღოთ მაგ. სომხის ეკლესია. მის მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა კუთხის და სახელმწიფოს სომხები. აქ ტერიტორია არავითარ როლს არ თამაშობს. ანდა ქართული მუზეუმის შექმნაში დაინტერესებულია როგორც თფილისელი ქართველი, ისე ბაქოელი, ჭუთათური, პეტერბურგელი და სხ. მაშასადამე ყველა ნაციონალურ-კულტურულ საქმეთა მეთაურობა, პატრონობა და სასურველათ წაყვანა უნდა ეკუთვნოდეს თვით დაინტერესებულ ერს. ჩვენ ვაღიარებთ კავკასიის ერთა ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას» *.

მოკლედ: რადგან კულტურა ტერიტორია არ არის, ხოლო ტერიტორია კულტურა არ არის, ამიტომ საჭიროა კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. ესაა და ეს, რის თქმაც კი შეუძლია ნ.-ს ამ ავტონომიის სასარგებლოდ.

ჩვენ აქ კიდევ აღარ შევეხებით ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას საერთოდ: ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ მის უარყოფით ხასიათზე. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რომელიც უვარგისია საერთოდ, კიდევ უფრო უაზრო და სულელურია კავკასიის პირობების თვალსაზრისით.

და აი რატომ.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობებოდ ეს ავტონომია ყოველგვარ აზრს კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მოკლებული არიან მშობლიურ ლიტერატურას. ეს ხალხები, ამას გარდა გარდამავალი არიან, ნაწილობრივ

* იხ. ქართული გაზეთი «ჩვენი ცხოვრება», 1912 წ., № 12.

ასიმილაციას განიცდიან, ნაწილობრივ უფრო ვითარდებიან. როგორ მივუყენოთ მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია? რა ვუყოთ ასეთ ხალხებს? როგორ «მოვაწყოთ» ისინი ცალკეულ კულტურულ-ნაციონალურ კავშირებად, რასაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია უეჭველად გულისხმობს?

რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რა ერებს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი «მოწყობა» ნაციონალურ კავშირებად? რა «კულტურული საქმეების» გარშემო «მოვაწყოთ» ისინი?

რა ვუყოთ ოსებს, რომელთაგან ამიერკავკასიელი ოსები ასიმილირდებიან (მაგრამ ჯერ კიდევ როდი არიან ასიმილირებულნი) ქართველების მიერ, ხოლო წინაკავკასიელნი ნაწილობრივ ასიმილირდებიან რუსების მიერ, ნაწილობრივ კი განვითარებას განაგრძობენ და თავიანთ ლიტერატურას ქმნიან? როგორ «მოვაწყოთ» ისინი ერთიან ნაციონალურ კავშირად?

რომელ ნაციონალურ კავშირს მივაკუთვნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? ხომ არ «მოვაწყოთ» ისინი ქართველებისაგან განცალკევებულად **რელიგიური საქმეების ნიადაგზე** და ქართველებთან ერთად **სხვა კულტურული საქმეების ნიადაგზე?** ანდა ქობულეთლები? ანდა ინგუშები? ანდა ინგილოები?

ეს რა ავტონომიაა, მთელ რიგ ხალხებს სიიდან რომ რიცხავს?

არა, ეს არ არის ნაციონალური საკითხის გადაჭრა, — ეს მოცლილი კაცის ფანტაზიის ნაყოფია.

მაგრამ დავუშვათ დაუშვებელი და წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი **ნ.-ს** ნაციონალურ-კულტურული ავტონომია

განხორციელდა. რას გამოიწვევს იგი, რა შედეგებს მოგვცემს? ავიღოთ, მაგალითად, ამიერკავკასიელი თათრები მათი წერა-კითხვის მცოდნეობის მინიმალური პროცენტით, მათი სკოლებით, რომელთა სათავეში ყოვლისშემძლე მოლები დგანან, მათი კულტურით, რომელიც რელიგიური სულით არის გაჟღენთილი... ადვილი გასაგებია, რომ მათი «მოწყობა» კულტურულ-ნაციონალურ კავშირად — ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სათავეში ჩავუყენოთ მოლები, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საჯიგნად ხელში ჩავუგდოთ რეაქციონერ მოლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შევქმნათ ახალი ბასტიონი თათართა მასების სულიერი დამონებისათვის მათი უბოროტესი მტრის მიერ.

მაგრამ რა დროიდან დაიწყეს სოციალ-დემოკრატებმა რეაქციონერების წისქვილზე წყლის მიშვება?

ამიერკავკასიელი თათრების განცალკევება კულტურულ-ნაციონალურ კავშირად, რომელიც მასებს უბოროტესი რეაქციონერების მონობაში ჩააგდებს, — ნუთუ ამაზე უკეთესი ვერაფერი «გამოაცხადეს» კავკასიელმა ლიკვიდატორებმა?..

არა, ეს არ არის ნაციონალური საკითხის გადაჭრა.

ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ **იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ.** მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა შეიძლება იყოს პროგრესული და სოციალ-დემოკრატიისათვის მისაღები. კავკასიის საოლქო ავტონომია სწორედ იმიტომ არის მისაღები, რომ იგი დაგვიანებულ ერებს აბამს საერთო კულტურულ განვითარებაში, იგი ეხმარება მათ მოიშორონ ვიწრო-ნაციონალური კარჩაკეტილობის ნაჭუჭი, იგი წინ ეწევა მათ და უადვილებს უმაღლესი კულტურის სიკეთეთ მისწვდნენ. ხოლო კულტურულ-ნაციონალური ავტონომია პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს,

ვინაიდან იგი ძველ ნაჭუჭებში ამწყვდევს ერებს, აჩერებს მათ კულტურის განვითარების დაბალ საფეხურებზე, ხელს უშლის მათ კულტურის უმაღლეს საფეხურებზე ავიდნენ.

ამით ნაციონალური ავტონომია აქარწყლებს საოლქო ავტონომიის დადებით მხარეებს, ნულად აქცევს მას.

სწორედ ამიტომაა უვარგისი ავტონომიის ის შერეული ტიპიც — ნაციონალურ-კულტურული და საოლქო ავტონომიის შეხამებით, — რომელსაც **ნ.** აყენებს. ეს ანტიბუნებრივი შეხამება კი არ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს საქმეს, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ დაგვიანებული ერების განვითარებას აფერხებს, იგი საოლქო ავტონომიას ნაციონალურ კავშირებად ორგანიზებული ერების შეტაკებათა ასპარეზადაც აქცევს.

ამრიგად, საერთოდ უვარგისი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კავკასიაში უაზრო რეაქციულ წამოწყებად გადაიქცეოდა.

ასეთია **ნ.**-ს და მისი კავკასიელი თანამოაზრეების კულტურულ-ნაციონალური ავტონომია.

გადადგამენ თუ არა კავკასიელი ლიკვიდატორები «ნაბიჯს წინ» და გაჰყვებიან თუ არა ბუნდს ორგანიზაციულ საკითხშიც — ამას მომავალი გვიჩვენებს. აქამდე სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ორგანიზაციული ფედერალიზმი ყოველთვის წინ უსწრებდა ნაციონალურ ავტონომიას პროგრამაში. ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები უკვე 1897 წლიდან ატარებდნენ ორგანიზაციულ ფედერალიზმს და მხოლოდ ორი წლის შემდეგ (1899) მიიღეს მათ ნაციონალური ავტონომია. ბუნდელები პირველად 1901 წელს ალაპარაკდნენ გარკვეულად ნაციონალურ ავტონომიაზე, მაშინ როდესაც ორგანიზაციულ ფედერალიზმს პრაქტიკულად უკვე 1897 წლიდან მიმართავდნენ.

კავკასიელმა ლიკვიდატორებმა საქმე ბოლოდან, ნაციონალური ავტონომიით დაიწყეს. თუ ისინი შემდეგშიც ბუნდის

კვალს გაჰყვებიან, მათ მოუხდებათ წინასწარ დაანგრიონ მთელი ახლანდელი ორგანიზაციული შენობა, აგებული ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასასრულს ინტერნაციონალობის საფუძველზე.

მაგრამ რამდენადაც ადვილი იყო მიღება მუშებისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი ნაციონალური ავტონომიისა, იმდენადვე ძნელი იქნება წლობით ნაგები შენობის დანგრევა, რომელიც კავკასიის ყველა ეროვნების მუშებს ასე სათუთად და მზრუნველობით უშენებიათ. საკმარისია ამ ჰეროსტრატესებურ წამოწყებას შეუდგნენ, რომ მუშებს თვალი აეხილოთ და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ნაციონალისტური დედაარსი შეიგნონ.

თუ კავკასიელები ნაციონალურ საკითხს ჩვეულებრივი წესით, ზეპირი კამათისა და ლიტერატურული დისკუსიის გზით წყვეტენ, ლიკვიდატორების სრულიად რუსეთის კონფერენციამ სულ არაჩვეულებრივი წესი გამოიგონა. იოლი და უბრალო წესი. ყური უგდეთ:

«მოისმინა რა კავკასიის დელეგაციის მოხსენება... ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნის წამოყენების საჭიროების შესახებ, კონფერენცია არსებითად არ გამოთქვამს თავის აზრს ამ მოთხოვნის გამო, ოღონდ აღნიშნავს, რომ ასეთი განმარტება პროგრამის იმ პუნქტისა, რომელიც თვითეული ეროვნების თვით-გამორკვევის უფლებას აღიარებს, ამ პროგრამის ზუსტ აზრს არ ეწინააღმდეგება».

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა — «არსებითად არ გამოთქვა აზრი ამ» საკითხზე, შემდეგ კი — «აღნიშნო». ორიგინალური მეთოდია...

მერე-და, რას «აღნიშნავს» ეს ორიგინალური კონფერენცია?

იმას, რომ ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის «მოთხოვნა» «არ ეწინააღმდეგება ზუსტ აზრს» პროგრამისას, რომელიც ერთა თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს.

გავარჩიოთ ეს დებულება.

თვითგამორკვევის პუნქტი ერების უფლებებზე ლაპარაკობს. ამ პუნქტის მიხედვით ერებს აქვთ არა მარტო ავტონომიის, არამედ გამოყოფის უფლებაც. ლაპარაკია **პოლიტიკურ** თვითგამორკვევაზე. ვისი მოტყუება უნდოდათ ლიკვიდატორებს, როცა ისინი ცდილობდნენ წაღმა-უკუღმა განემარტათ მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში დიდი ხნიდან დადგენილი ეს უფლება ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევისა?

ან, შეიძლება, ლიკვიდატორებმა იწყონ თავდაძვრენა და ამოეფარონ სოფიზმს: კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ერთა უფლებებს «არ ეწინააღმდეგებაო»? ესეც იგი, თუ ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ერი თანახმა იქნება მოეწყოს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საფუძველზე, მაშინ მათ, ამა თუ იმ ერების კრებულს, ამის სრული უფლება აქვთ, და არავის არ შეუძლია **ძალდატანებით თავს მოახვიოს** მათ პოლიტიკური ცხოვრების სხვა ფორმა. ახალიც არის და ჰკვიანურიც. ხომ არ უნდა დავუმატოთ, რომ, საერთოდ თუ ვიტყვით, ერებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი კონსტიტუცია, შემოიღონ მის ნაცვლად თვითნებობის სისტემა, დაუბრუნდნენ ძველ წესწყობილებას, ვინაიდან ერებს, და მხოლოდ თვითონ ერებს, აქვთ უფლება გადაწყვიტონ თავიანთი საკუთარი ბედი. ვიმეორებთ: ამ აზრით არც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია და არც რომელიმე ნაციონალური რეაქციულობა «არ ეწინააღმდეგება» **ერთა უფლებებს**.

ამის თქმა ხომ არ უნდოდა პატივსადებ კონფერენციას?

არა, ამის თქმა არ უნდოდა. კონფერენცია პირდაპირ ამბობს, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია «არ ეწინააღმდეგება» არა ერთა უფლებებს, არამედ **პროგრამის «ზუსტ აზრს»**. აქ ლაპარაკია პროგრამაზე, და არა ერთა უფლებებზე.

ეს გასაგებიცაა. ლიკვიდატორების კონფერენციისათვის რომელიმე ერს რომ მიემართა, კონფერენციას შეეძლო პირდაპირ აღენიშნა, რომ ერს აქვს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის უფლება. მაგრამ კონფერენციას მიმართა არა ერმა, არამედ კავკასიელი სოციალ-დემოკრატების, მართალია, ცუდი სოციალ-დემოკრატების, მაგრამ მაინც სოციალ-დემოკრატების «დელეგაციამ». და ისინი ეკითხებოდნენ არა ერთა უფლებებზე, არამედ იმაზე, ხომ არ ეწინააღმდეგება კულტურულ-ნაციონალური ავტონომია **სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს**, ხომ არ «ეწინააღმდეგება» იგი **სოციალ-დემოკრატიის პროგრამის «ზუსტ აზრს»?**

ამრიგად, **ერთა უფლებები და სოციალ-დემოკრატიის პროგრამის «ზუსტი აზრი»** ერთი და იგივე არ ყოფილა.

ცხადია, არის ისეთი მოთხოვნებიც, რომლებიც ერთა უფლებებს არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ შეიძლება პროგრამის «ზუსტ აზრს» ეწინააღმდეგებოდნენ.

მაგალითი. სოციალ-დემოკრატების პროგრამაში არის პუნქტი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ. ამ პუნქტის მიხედვით პირთა ყოველ ჯგუფს **უფლება აქვს** აღიაროს რომელი რელიგიაც სურს: კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა და ა. შ. სოციალ-დემოკრატია იბრძოლებს ყოველგვარი რელიგიური რეპრესიების წინააღმდეგ, მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და პროტესტანტთა დევნის წინააღმდეგ. მერე, განა ეს იმას ნიშნავს, რომ კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი და ა. შ. პროგრამის «ზუსტ აზრს არ ეწინააღმდეგებიან»? არა, არ ნიშნავს. სოციალ-დემოკრა-

ტია ყოველთვის პროტესტით შეხვდება კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის დევნას, იგი ყოველთვის დაიცავს ერთა უფლებას — ალიარონ რომელი რელიგიაც სურთ, მაგრამ ამავე დროს იგი, პროლეტარიატის სწორად გაგებული ინტერესების დასაცავად, აგიტაციას გასწევს კათოლიციზმის წინააღმდეგაც, პროტესტანტიზმის წინააღმდეგაც და მართლმადიდებლობის წინააღმდეგაც, რათა გამარჯვება მოუპოვოს სოციალისტურ მსოფლმხედველობას.

და იგი ასე მოიქცევა იმიტომ, რომ პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა და სხვ., უეჭველად, «ეწინააღმდეგებიან» პროგრამის «ზუსტ აზრს», ე. ი. პროლეტარიატის სწორად გაგებულ ინტერესებს.

იგივე უნდა ითქვას თვითგამორკვევის შესახებ. ერებს უფლება აქვთ მოეწყონ თავიანთი სურვილისამებრ, მათ უფლება აქვთ შეინარჩუნონ ყოველი თავიანთი ნაციონალური დაწესებულება, საზიანოც და სასარგებლოც, — არავის არ შეუძლია (არა აქვს უფლება!) **ძალდატანებით** ჩაერიოს ერების ცხოვრებაში. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია არ იბრძოლებს, აგიტაციას არ გასწევს ერის საზიანო დაწესებულებათა წინააღმდეგ, ერის მიზანშეუწონელ მოთხოვნათა წინააღმდეგ. პირიქით, სოციალ-დემოკრატია ვალდებულია გასწიოს ასეთი აგიტაცია და გავლენა მოახდინოს ერთა ნებაზე ისე, რომ ერები მოეწყონ იმ ფორმით, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება პროლეტარიატის ინტერესებს. სწორედ ამიტომ იგი, ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის რომ იბრძოლებს, ამავე დროს აგიტაციას გასწევს, ვთქვათ, **თათრების** გამოყოფის წინააღმდეგაც და კავკასიის ერების კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის წინააღმდეგაც, ვინაიდან ერთიც და მეორეც, მართალია, არ ეწინააღმდეგება ამ ერების **უფლებებს**, მაგრამ ეწინააღმდეგება **პროგრამის «ზუსტ აზრს»**, ე. ი. კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს.

ცხადია, «ერთა უფლებები» და პროგრამის «ზუსტი აზრი» ორი სრულიად სხვადასხვა სფეროა. მაშინ როდესაც პროგრამის «ზუსტი აზრი» გამოხატავს პროლეტარიატის ინტერესებს, ამ უკანასკნელის პროგრამაში მეცნიერულად ჩამოყალიბებულს, — ერთა უფლებები შეიძლება რომელიც უნდა იყოს კლასის — ბურჟუაზიის, არისტოკრატიის, სამღვდელოების და სხვ. ინტერესებს გამოხატავდნენ, იმისდა მიხედვით, თუ რა ძალა და გავლენა აქვთ ამ კლასებს. იქ მარქსისტის **მოვალეობებია,** აქ — სხვადასხვა კლასისაგან შემდგარ ერთა **უფლებები**. ერთა უფლებები და სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპები შეიძლება ისევე «ეწინააღმდეგებოდნენ» ან არ «ეწინააღმდეგებოდნენ» ერთიმეორეს, როგორც, ვთქვათ, ხეოფსის პირამიდა — ლიკვიდატორების ყბადაღებულ კონფერენციას. მათი ერთმანეთთან შედარება საერთოდ შეუძლებელია.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ პატივსადებმა კონფერენციამ სრულიად შეუწყნარებლად აურია ერთმანეთში ორი სრულიად სხვადასხვა რამ. გამოვიდა არა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, არამედ უაზრობა, რომლის მიხედვით ერთა უფლებები და სოციალ-დემოკრატიის პრინციპები ერთმანეთს «არ ეწინააღმდეგებიან», — მაშასადამე, ერთა ყოველი მოთხოვნა შეიძლება შეუთავსდეს პროლეტარიატის ინტერესებს, მაშასადამე, არც ერთი მოთხოვნა ერებისა, რომლებიც თვითგამორკვევისაკენ მიისწრაფიან, პროგრამის «ზუსტი აზრის საწინააღმდეგო» არ იქნება!

ლოგიკა არ შეიბრალეს...

სწორედ ამ უაზრობის ნიადაგზე წარმოიშვა ლიკვიდატორთა კონფერენციის ის ამიერიდან ცნობილი დადგენილება, რომლის მიხედვით ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნა პროგრამის «ზუსტ აზრს არ ეწინააღმდეგება».

მაგრამ ლიკვიდატორთა კონფერენცია მარტო ლოგიკის კანონებს როდი არღვევს.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დადასტურებით იგი არღვევს თავის მოვალეობასაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე. იგი სრულიად გარკვევით არღვევს პროგრამის «ზუსტ აზრს», ვინაიდან ცნობილია, რომ II ყრილობამ, რომელმაც პროგრამა მიიღო, **გადაჭრით უარყო** კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. აი რა ითქვა ამის გამო ამ ყრილობაზე:

«გოლდბლატი (ბუნდელი): ...მე საჭიროდ მიმაჩნია შეიქმნას განსაკუთრებული დაწესებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნებათა კულტურული განვითარების თავისუფლებას, და ამიტომ წინადადება შემომაქვს, რომ § 8-ს დაემატოს — **«და შექმნა დაწესებულებებისა, რომლებიც კულტურული განვითარების სრული თავისუფლების გარანტიას მისცემენ მათ»** (ეს, როგორც ვიცით, კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ბუნდელთა ფორმულირებაა. **ი. სტ.**).

მარტინოვი აღნიშნავს, რომ საერთო დაწესებულებები ისე უნდა მოეწყოს, რომ მათ კერძო ინტერესებიც უზრუნველყონ. არ შეიძლება შეიქმნას არავითარი **განსაკუთრებული** დაწესებულება, რომელიც ეროვნების კულტურული განვითარების თავისუფლებას უზრუნველყოფდეს.

ეგოროვი: ეროვნების საკითხში შეგვიძლია მხოლოდ უარყოფითი წინადადებანი მივიღოთ, ე. ი. ჩვენ ეროვნების ყოველგვარი შევიწროების წინააღმდეგნი ვართ. მაგრამ ჩვენ, როგორც სოციალ-დემოკრატებს, არაფერი გვესაქმება, განვითარდება თუ არა ესა თუ ის ეროვნება როგორც ასეთი. ეს სტიქიური პროცესის საქმეა.

კოლცოვი: ბუნდის დელეგატებს ყოველთვის წყინთ, როცა მათს ნაციონალიზმზე ჩამოვარდება ლაპარაკი. ამავე დროს კი ის შესწორება, რომელიც ბუნდის დელეგატმა შეიტანა, აშკარა ნაციონალისტური ხასიათისაა. ჩვენგან აშკარა შეტევითს ზომებს მოითხოვენ იმ ეროვნებათა დასაცავადაც კი, რომლებიც გადაშენების გზაზე დგანან».

...შედეგად **«გოლდბლატის შესწორება უარყოფილია უმრავლესობის მიერ სამი ხმის წინააღმდეგ».**

ამრიგად, ცხადია, რომ ლიკვიდატორების კონფერენცია პროგრამის «ზუსტი აზრის წინააღმდეგ» წავიდა. მან პროგრამა დაარღვია.

ახლა ლიკვიდატორები თავის გამართლებას ცდილობენ, რისთვისაც იმოწმებენ სტოკჰოლმის ყრილობას, რომელმაც თითქოს დაადასტურა კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. ასე, მაგალითად, ვლ. კოსოვსკი წერს:

«როგორც ცნობილია, სტოკჰოლმის ყრილობაზე მიღებული ხელშეკრულებით ბუნდს უფლება მიეცა შეენარჩუნებინა თავისი ნაციონალური პროგრამა (სანამ ნაციონალური საკითხი საერთო-პარტიულ ყრილობაზე გადაწყდებოდა). ამ ყრილობამ აღიარა, რომ ნაციონალურ-კულტურული ავტონომია ყოველ შემთხვევაში საერთო-პარტიულ პროგრამას არ ეწინააღმდეგება» *.

მაგრამ ლიკვიდატორების ცდები ამაოა. სტოკჰოლმის ყრილობას არც კი უფიქრია ბუნდის პროგრამის დადასტურება — იგი მხოლოდ იმას დათანხმდა, რომ საკითხი დროებით ღიად დარჩენილიყო. მამაც კოსოვსკის სითამამე არ ეყო სრული სიმართლე ეთქვა. მაგრამ ფაქტები თავისთავად მეტყველებენ. აი ეს ფაქტები:

«შესწორება შემოაქვს გალინს: «ნაციონალური პროგრამის საკითხი **ღიად რჩება, რადგან** ყრილობას იგი **არ განუხილავს**». **(მომხრე** — 50 ხმა, **წინააღმდეგი** — 32).

ხმა. რას ნიშნავს — ღიად?

თავმჯდომარე. როცა ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი ღიად რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნდს შემდგომ ყრილობამდე შეუძლია ძალაში დატოვოს თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე» ** (ხაზგასმა ჩვენია. ი. სტ.).

როგორც ხედავთ, ყრილობას ბუნდის ნაციონალური პროგრამის საკითხი არც კი «განუხილავს» — მან მხოლოდ

---

* იხ. «ნაშა ზარია» 1912 წ., № 9 — 10, გვ. 120.

** იხ. «ნაშე სლოვო» № 8, 1906 წ., გვ. 53.

«ღიად» დატოვა იგი და თვით ბუნდს მიანება გადაეწყვიტა თავისი პროგრამის ბედი შემდგომ საერთო ყრილობამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: სტოკჰოლმის ყრილობამ თავი აარიდა საკითხს, როცა არ მოგვცა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შეფასება არც ერთი, არც მეორე მხრით.

ამავე დროს, ლიკვიდატორების კონფერენცია სრულიად გარკვეულად იძლევა საქმის შეფასებას, მისაღებად ცნობს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას და ადასტურებს მას პარტიის პროგრამის სახელით.

განსხვავება თვალში გვეცემა.

ამრიგად, ლიკვიდატორების კონფერენციამ, მიუხედავად ყოველგვარი ფანდებისა, ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწია წინ ნაციონალური საკითხი.

ბუნდისა და კავკასიელი ნაციონალ-ლიკვიდატორების წინაშე ლაქუცი — ეი ყველაფერი, რის უნარიც ამ კონფერენციამ გამოიჩინა.

VII

ნაციონალური საკითხი რუსეთში

ჩვენ დაგვრჩენია დავსახოთ ნაციონალური საკითხის დადებითი გადაწყვეტა.

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ მომენტთან განუყრელად დაკავშირებით, რომელსაც რუსეთი განიცდის.

რუსეთი იმყოფება გარდამავალ ხანაში, როდესაც «ნორმალური», «კონსტიტუციური» ცხოვრება ჯერ კიდევ არ დამყარებულა, როდესაც პოლიტიკური კრიზისი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ქარიშხალთა და «გართულებათა» დღეები წინ არის. აქედან გამომდინარეობს მოძრაობა,

ახლანდელი და მომავალი, მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს სრულ დემოკრატიზაციას.

სწორედ ამ მოძრაობასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ნაციონალური საკითხი.

ამრიგად, ქვეყნის სრული დემოკრატიზაცია, როგორც ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის **საფუძველი** და პირობა.

საკითხის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო შინაგანი, არამედ საგარეო მდგომარეობაც. რუსეთი იმყოფება ევროპასა და აზიას შუა, ავსტრიასა და ჩინეთს შუა. დემოკრატიზმის ზრდა აზიაში აუცილებელია. იმპერიალიზმის ზრდა ევროპაში შემთხვევითი როდია. ევროპაში კაპიტალი გასაქანს ვეღარ პოულობს, იგი ეტანება უცხო ქვეყნებს, ეძებს ახალ ბაზრებს, იაფ მუშახელს, გამოყენების ახალ პუნქტებს. მაგრამ ეს იწვევს საგარეო გართულებებსა და ომს. არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ ბალკანეთის ომი [143] გართულებათა დასასრულია და არა დასაწყისი. ამიტომ სავსებით შესაძლებელია შინაგან და საგარეო კონიუნქტურათა ისეთი შეხამება, როდესაც რუსეთის ესა თუ ის ეროვნება საჭიროდ დაინახავს დააყენოს და გადაწყვიტოს თავისი დამოუკიდებლობის საკითხი. და, რა თქმა უნდა, მარქსისტების საქმე როდია, რომ ასეთ შემთხვევებში დაბრკოლებანი შეუქმნან მას.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ რუსი მარქსისტები გვერდს ვერ აუხვევენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

ამრიგად, **თვითგამორკვევის უფლება, როგორც აუცილებელი პუნქტი** ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში.

შემდეგ. რა ვუყოთ იმ ერებს, რომლებიც ამა თუ იმ **მიზეზით** მთელის ფარგლებში დარჩენას ამჯობინებენ?

ჩვენ დავინახეთ, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია უვარგისია. ჯერ **ერთი**, იგი ხელოვნური და უსიცოცხ-

ლოა, ვინაიდან გულისხმობს იმ ადამიანების ხელოვნურად თავმოყრას ერთ ერად, რომელთაც ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება, აცალკევებს და სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში ისვრის. მეორეც, იგი გვეწევა ნაციონალიზმისაკენ, ვინაიდან მას მივყავართ ადამიანთა ნაციონალურ კურიებად «გამიჯვნის» თვალსაზრისისაკენ, ერთა «ორგანიზაციის» თვალსაზრისისაკენ, «ნაციონალურ თავისებურებათა» «შენარჩუნებისა» და დანერგვის თვალსაზრისისაკენ, — ეს კი ისეთი რამ არის, რაც სრულებით არ შეეფერება სოციალ-დემოკრატიას. შემთხვევითი როდია, რომ მორავიელი სეპარატისტები რეიხსრატში გამოეყვნენ გერმანელ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს და გაერთიანდნენ მორავიელ ბურჟუაზიულ დეპუტატებთან ერთ, ასე ვთქვათ, მორავიის «კოლოდ». არც ის არის შემთხვევითი, რომ ბუნდელი სეპარატისტები ნაციონალიზმში ჩაეფლნენ და ქება-დიდებას ასხამენ «შაბათსა» და «ჟარგონს». სათათბიროში ჯერ კიდევ არ არიან ბუნდის დეპუტატები, მაგრამ ბუნდის რაიონში არსებობს ებრაელთა კლერიკალურ-რეაქციული თემი, რომლის «ხელმძღვანელ დაწესებულებებში» ბუნდი ჯერ-ჯერობით აწყობს ებრაელი მუშებისა და ბურჟუების «გაერთიანებას» *. ასეთია კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოგიკა.

ამრიგად, **ნაციონალური** ავტონომია ვერ წყვეტს საკითხს.

მაშ სად არის გამოსავალი?

ერთადერთი სწორი გადაწყვეტაა **საოლქო** ავტონომია, ისეთი ჩამოყალიბებული ერთეულების ავტონომია, როგორიცაა პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, კავკასია და ა. შ.

---

* «ბუნდის VIII კონფერენციის ანგარიში», თემის შესახებ მიღებული რეზოლუციის ბოლო ნაწილი.

საოლქო ავტონომიის უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ამ ავტონომიის დროს საქმე გვაქვს არა უტერიტორიო ფიქციასთან, არამედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ განსაზღვრულ მოსახლეობასთან. შემდეგ, იგი არ მიჯნავს ადამიანებს ერების მიხედვით, იგი არ ამაგრებს ნაციონალურ ტიხრებს, — პირიქით, იგი ამსხვრევს ამ ტიხრებს და აერთიანებს მოსახლეობას იმისთვის, რომ გზა გაუხსნას სხვაგვარ გამიჯვნას, კლასების მიხედვით გამიჯვნას. ბოლოს, იგი შესაძლებლობას იძლევა საუკეთესოდ გამოიყენონ ოლქის ბუნებრივი სიმდიდრენი და განავითარონ მწარმოებელი ძალები ისე, რომ არ დაელოდონ საერთო ცენტრის გადაწყვეტილებებს, — ეს კი ისეთი ფუნქციებია, რაც არ ახასიათებს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას.

ამრიგად, **საოლქო ავტონომია, როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური** საკითხის გადაწყვეტაში.

უეჭველია, არც ერთი ოლქი არ წარმოადგენს მთლიან ნაციონალურ ერთგვაროვნობას, ვინაიდან თვითეულ მათგანში აქა-იქ შერეული არიან ნაციონალური უმცირესობანი. ასეთები არიან ებრაელები პოლონეთში, ლატვიელები ლიტვაში, რუსები კავკასიაში, პოლონელები უკრაინაში და ა. შ. ამიტომ შეიძლება დაიბადოს შიში, რომ უმცირესობებს დაჩაგრავენ ნაციონალური უმრავლესობანი. მაგრამ ამ შიშს საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ქვეყანაში ძველი წესწყობილება **რჩება**. მიეცით ქვეყანას სრული დემოკრატიზმი, — და შიშსაც ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება.

წინადადებას იძლევიან — გაფანტული უმცირესობანი ერთიან ნაციონალურ კავშირად შევაკავშიროთო. მაგრამ უმცირესობებს ესაჭიროებათ არა ხელოვნური კავშირი, არამედ რეალური უფლებანი ადგილობრივ. რას მისცემს მათ ასეთი კავშირი სრული დემოკრატიზაციის **გარეშე?**

ანდა: რა აუცილებლობას წარმოადგენს ნაციონალური კავშირი სრული დემოკრატიზაციის **დროს?**

რა აღელვებს განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობას?

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ დედაენის უფლების უქონლობით. მიეცით მას საშუალება ისარგებლოს დედაენით, — და უკმაყოფილებაც თავისთავად გაქრება.

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ხელოვნური კავშირის უქონლობით, არამედ მშობლიური სკოლის უქონლობით. მიეცით მას ასეთი სკოლა, — და უკმაყოფილებასაც ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება.

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ სინდისის (სარწმუნოების), მიმოსვლისა და სხვ. თავისუფლების უქონლობით. მიეცით მას ეს თავისუფლებანი, — და იგი უკმაყოფილო აღარ იქნება.

ამრიგად, **ნაციონალური თანასწორუფლებიანობა ყველა მისი სახით (ენა, სკოლები და სხვ.), როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის** გადაწყვეტაში. მაშასადამე, საჭიროა საერთო-სახელმწიფო კანონი, რომელიც მოცემული იქნება ჭვეყნის სრული დემოკრატიზაციის საფუძველზე და რომელიც აკრძალავს გამოუკლებლივ ყველა სახის ნაციონალურ პრივილეგიას და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარ შევიწროებას ან შეზღუდვას.

ეს და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს უმცირესობის უფლებათა ნამდვილი და არა ქაღალდზე არსებული გარანტია.

შეიძლება სადავოდ მივიჩნიოთ ან არ მივიჩნიოთ ლოგიკური კავშირის არსებობა ორგანიზაციულ ფედერალიზმსა და კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას შორის. მაგრამ არ შეიძლება დავა იმაზე, რომ ეს უკანასკნელი ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნის უსაზღვრო ფედერალიზმისათვის,

რომელიც სრულ გათიშვად, სეპარატიზმად იქცევა. თუ ჩეხებმა ავსტრიაში და ბუნდელებმა რუსეთში საქმე ავტონომიით დაიწყეს, შემდეგ კი ფედერაციაზე გადავიდნენ და სეპარატიზმით დაამთავრეს, — ამაში, უეჭველია, დიდი როლი შეასრულა ნაციონალისტურმა ატმოსფერომ, რომელსაც ბუნებრივად ავრცელებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. შემთხვევითი როდია, ნაციონალური ავტონომია და ორგანიზაციული ფედერაცია ხელიხელჩაკიდებულნი რომ მიდიან. ეს გასაგებიცაა. ერთიც და მეორეც მოითხოვს ეროვნებათა მიხედვით გამიჯვნას. ერთიც და მეორეც გულისხმობს ორგანიზაციას ეროვნებათა მიხედვით. მსგავსება უეჭველია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იქ მიჯნავენ საერთოდ მოსახლეობას, აქ კი — ს.-დ. მუშებს.

ჩვენ ვიცით, რა მოსდევს მუშების გამიჯვნას ეროვნებათა მიხედვით. ერთიანი მუშათა პარტიის დაშლა, კავშირების დანაწილება ეროვნებათა მიხედვით, ნაციონალური შეხლა-შემოხლის გამწვავება, ნაციონალური შტრეიკბრეხერობა, სრული დემორალიზაცია სოციალ-დემოკრატიის რიგებში, — ასეთია ორგანიზაციული ფედერალიზმის შედეგები. სოციალ-დემოკრატიის ისტორია ავსტრიაში და ბუნდის საქმიანობა რუსეთში მჭევრმეტყველურად მოწმობს ამას.

ამის წინააღმდეგ ერთადერთი საშუალებაა ორგანიზება ინტერნაციონალობის საფუძვლებზე.

რუსეთის ყველა ეროვნების მუშების ადგილობრივ შეკავშირება **ერთიან** და **მთლიან** კოლექტივებად, ასეთი კოლექტივების შეკავშირება **ერთიან** პარტიად — ასეთია ამოცანა.

თავისთავად გასაგებია, რომ პარტიის ასეთი წყობა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს **ოლქების** ფართო ავტონომიას ერთიანი პარტიული მთელის შიგნით.

კავკასიის გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რაოდენ მიზანშეწონილია ორგანიზაციის ასეთი ტიპი. თუ კავკასიელებმა მოახერხეს სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უშიშარყოფა ხოცვა-ჟლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში, ნაციონალური ჯგუფების ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან კალაპოტში, — ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურმა წყობამ.

ორგანიზაციის ტიპი მარტო პრაქტიკულ მუშაობაზე როდი ახდენს გავლენას. იგი წარუშლელ დაღს ასვამს მუშის მთელ სულიერ ცხოვრებას. მუშა თავისი ორგანიზაციის ცხოვრებით ცხოვრობს. იგი იქ იზრდება სულიერად და იწვრთნება. და აი, თავის ორგანიზაციაში რომ ტრიალებს და იქ უცხოტომელ თავის ამხანაგებს ყოველთვის რომ ხვდება, მათთან ერთად რომ ეწევა საერთო ბრძოლას საერთო კოლექტივის ხელმძღვანელობით, — მუშა ღრმად იმსჭვალება იმ აზრით, რომ მუშები **უწინარეს ყოვლისა** ერთი კლასობრივი ოჯახის წევრები, სოციალიზმის ერთიანი არმიის წევრები არიან. ამას კი არ შეიძლება უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მუშათა კლასის ფართო ფენებისათვის.

ამიტომ ორგანიზაციის ინტერნაციონალური ტიპი წარმოადგენს ამხანაგური გრძნობების სკოლას, უდიდეს აგიტაციას ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ.

ასე როდია ეროვნებათა მიხედვით ორგანიზების დროს. ეროვნების საფუძველზე რომ ეწყობიან, მუშები ნაციონალურ ნაჭუჭში იკეტებიან, ორგანიზაციული ტიხრებით ემიჯნებიან ერთმანეთს. ხაზი ესმება არა იმას, რაც **საერთოა** მუშებს შორის, არამედ იმას, რითაც ისინი ერთმანეთისაგან

განსხვავდებიან. აქ მუშა **უწინარეს ყოვლისა** თავისი ერის წევრია: ებრაელია, პოლონელი და სხვ.. გასაკვირველი როდია, რომ **ნაციონალური** ფედერალიზმი ორგანიზაციაში ნაციონალური განკერძოებულობის სულისკვეთებას ზრდის მუშებში.

ამიტომ ორგანიზაციის ნაციონალური ტიპი ნაციონალური შეზღუდულობისა და დახავსებულობის სკოლას წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორგანიზაციის ორი **პრინციპულად** განსხვავებული ტიპი: მუშების ინტერნაციონალური შეკავშირების ტიპი და მუშების ეროვნებათა მიხედვით ორგანიზაციული «გამიჯვნის» ტიპი.

ამ ორი ტიპის შერიგების ცდებს დღემდე წარმატება არ მოჰყოლია. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის შემარიგებლური წესდება, რომელიც 1897 წელს ვიმბერგში შეიმუშავეს, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. ავსტრიის პარტია ნაწილებად დაიყო და თან გაიყოლია კავშირები. «შერიგება» არათუ უტოპიური აღმოჩნდა, არამედ მავნეც. შტრასერი მართალია, როცა ამტკიცებს — «სეპარატიზმმა თავისი პირველი ტრიუმფი ვიმბერგის პარტეიტაგზე მოიპოვაო» *. ასევეა რუსეთში. ბუნდის ფედერალიზმთან «შერიგება», რაც სტოკჰოლმის ყრილობაზე მოხდა, სრული კრახით დამთავრდა. ბუნდმა ჩაშალა სტოკჰოლმის კომპრომისი. პირველი დღიდანვე სტოკჰოლმის შემდეგ ბუნდი ხელშემშლელი გახდა იმისა, რომ მუშები ადგილობრივ შეერთებულიყვნენ **ერთიან** ორგანიზაციად, რომელშიც ყველა ეროვნების მუშები შევიდოდნენ. და ბუნდი დაჟინებით განაგრძობდა თავის სეპარატისტულ ტაქტიკას, მიუხედავად იმისა, რომ 1907 წელსაც და 1908 წელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია რამდენჯერმე მოითხოვდა, რომ

* იხ. მისი «Der Arbeiter und die Nation», 1912 წ.

ერთიანობა ქვემოდან ყველა ეროვნების მუშებს შორის, ბოლოს და ბოლოს, განხორციელებულიყო [144]. ბუნდი, რომელმაც საქმე ორგანიზაციული ნაციონალური ავტონომიით დაიწყო, ნამდვილად ფედერაციაზე გადავიდა იმისთვის, რომ სრული გათიშვით, სეპარატიზმით დაემთავრებინა. ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან კავშირი რომ გაწყვიტა, მან იქ დაბნეულობა და დეზორგანიზაცია შეიტანა. მოვიგონოთ, თუნდაც, იაგელოს [145] საქმე.

ამიტომ «შერიგების» გზა მიტოვებულ უნდა იქნეს, როგორც უტოპიური და საზიანო.

ორში ერთი: **ან** ბუნდის ფედერალიზმი, — და მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატია გარდაიქმნება მუშების ეროვნებათა მიხედვით «გამიჯვნის» საფუძველზე; **ან** ორგანიზაციის ინტერნაციონალური ტიპი, — და მაშინ ბუნდი გარდაიქმნება ტერიტორიული ავტონომიის საფუძველზე, კავკასიის, ლატვიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მსგავსად, და გზას გაუხსნის ებრაელი მუშების უშუალო გაერთიანებას რუსეთის სხვა ეროვნებათა მუშებთან.

საშუალო რამ არ არსებობს: პრინციპები იმარჯვებენ, მათი «შერიგება» კი არ ხდება.

ამრიგად — **მუშების ინტერნაციონალური შეკავშირების პრინციპი, როგორც აუცილებელი პუნქტი** ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში.

ვენა, 1913 წ., იანვარი.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ
«პროსვეშჩენიეში» [146] №№ 3 — 5,
1913 წ. მარტი — მაისი.
ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მდგომარეობა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში

«პრავდის» № 44-ში დაიბეჭდა შვიდი სოციალ-დემოკრატი დეპუტატის «განცხადება», სადაც ისინი მტრულად გამოდიან ექვსი მუშა დეპუტატის წინააღმდეგ [147].

«პრავდის» იმავე ნომერში ექვსი მუშა დეპუტატი უპასუხებს მათ და გათიშვისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს უწოდებს მათს გამოსვლას.

ამრიგად, მუშების წინაშე ისმება საკითხი: იყოს თუ არ იყოს ერთიანი ს.-დ. ფრაქცია?

დღემდე ს.-დ. ფრაქცია ერთიანი და თავისი ერთიანობით ძლიერი იყო, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ პროლეტარიატის მტრები აეძულებინა ანგარიში გაეწიათ მისთვის.

ახლა იგი, შესაძლოა, ორ ნაწილად გაითიშოს მტრების სასეიროდ და სასიხარულოდ...

მაშ რაშია საქმე? რის გამო გაემიჯნენ ერთმანეთს ასე მწვავედ ს.-დ. ფრაქციის წევრები? რამ აიძულა შვიდი დეპუტატი თავს დასხმოდა თავიანთ ამხანაგებს გაზეთის ფურცლებზე, მუშათა კლასის მტრების თვალწინ?

ორ საკითხს აყენებენ ისინი თავიანთ «განცხადებაში»: «ლუჩსა» და «პრავდაში» მონაწილეობის საკითხს და ამ გაზეთების შეერთების საკითხს.

შვიდი დეპუტატი ფიქრობს, რომ ს.-დ. დეპუტატები ვალდებული არიან მონაწილეობდნენ ორივე გაზეთში, რომ ექვსი დეპუტატის უარი «ლუჩში» მონაწილეობაზე ს.-დ. ფრაქციის ერთიანობის დარღვევაა.

მაგრამ განა ეს ასეა? განა მართალია შვიდი დეპუტატი?

ჯერ ერთი, უცნაურია, როგორ შეიძლება მონაწილეობდე ისეთ გაზეთში, რომლის მიმართულებასაც არათუ არ იზიარებ, არამედ მავნედაც თვლი? როგორ შეიძლება დააავალდებულო, მაგალითად, ორთოდოქსი ბებელი მონაწილეობას იღებდეს რევიზიონისტულ გაზეთში, ან რევიზიონისტი ფოლმარი — ორთოდოქსულში? გერმანიაში ხარხარს დაიწყებდნენ ასეთი მოთხოვნის გამო, ვინაიდან იქ იციან, რომ მოქმედების ერთიანობა არ გამორიცხავს შეხედულებათა განსხვავებას. მაგრამ ჩვენში... ჩვენში, მადლობა ღმერთს, კულტურულობა ჯერ კიდევ არ არის.

მეორეც, ჩვენ გვაქვს პირდაპირი მითითება რუსეთის გამოცდილებაზე, რომლის მიხედვით ორ სხვადასხვა გაზეთში დეპუტატების მონაწილეობა სრულებითაც არ არღვევს ფრაქციის ერთიანობას. ჩვენ ვლაპარაკობთ მესამე ფრაქციაზე [148]. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მესამე სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის 13 წევრიდან 9 მონაწილეობდა **მხოლოდ** «ზვეზდაში», 2 — მხოლოდ «ჟივოე დელოში» [149], დანარჩენი ორი კი სრულიად იკავებდა თავს როგორც ერთ, ისე მეორე გაზეთში მონაწილეობისაგან... და მაინც ასეთ ვითარებას იოტის ოდენადაც არ დაურღვევია მესამე ფრაქციის ერთიანობა! ფრაქცია ყოველთვის ერთიანი გამოდიოდა.

აშკარაა, შვიდი დეპუტატი ყალბ გზაზე დგას, როცა ამბობს «ლუჩში» მონაწილეობა სავალდებულოაო. ისინი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სავსებით ვერ გარკვეულან საკითხში.

შემდეგ. შვიდი დეპუტატი მოითხოვს «პრავდისა» და «ლუჩის» ერთ არაფრაქციულ გაზეთად შეერთებას.

მაგრამ როგორ შევაერთოთ ისინი? განა შესაძლებელია მათი ერთ გაზეთად შეერთება?

ნუთუ შვიდმა დეპუტატმა, «ლუჩის» ამ «იდეურმა მომხრეებმა», არ იციან, რომ «ლუჩი» პირველი ამბობს უარს ასეთ შეერთებაზე? წაკითხული აქვთ თუ არა მათ «ლუჩის» 108-ე ნომერი, სადაც წერია, რომ **«ერთიანობა არ შეიძლება მიღწეულ იქნას უბრალო მექანიკური ზომებით, როგორიცაა, მაგალითად, ორი ორგანოს შეერთება და სხვა»?**

და თუ წაკითხული აქვთ, როგორღა შეუძლიათ სერიოზულად ლაპარაკი შეერთებაზე?

მეორეც, იცის თუ არა შვიდმა დეპუტატმა, როგორია ლიკვიდატორობის ლიდერთა დამოკიდებულება საერთოდ ერთიანობისა და კერძოდ ერთი საერთო ორგანოსადმი?

მოუსმინეთ «ლუჩის» სულისჩამდგმელს, პ. აქსელროდს. აი რას წერდა იგი «ნევსკი გოლოსის» მე-6 ნომერში, როცა პეტერბურგის მუშების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა გამოეცა ერთი არაფრაქციული გაზეთი «ზვეზდას» და «ჟივოე დელოს» დასაპირისპირებლად:

«აზრი არაფრაქციული ს.-დ. ორგანოს შესახებ ამჟამად უტოპიაა და თან ისეთი უტოპია, რომელიც ობიექტურად ეწინააღმდეგება პარტიულ-პოლიტიკური განვითარებისა და ს.-დ. დროშის გარშემო პროლეტარიატის ორგანიზაციული გაერთიანების ინტერესებს. ბუნება კარიდან რომ გააგდო, ფანჯარაში შემოიჭრებაო... შეძლებს კი განზრახული მუშური ორგანო ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს ორ ერთმანეთის მოპირისპირე ბანაკს შორის?.. აშკარაა, ვერ შეძლებს» (იხ. «ნევსკი გოლოს» № 6).

ამრიგად, აქსელროდის მიხედვით, ერთი საერთო გაზეთი არათუ შეუძლებელია, არამედ მავნეცაა, ვინაიდან «ეწი-

ნააღმდეგება პროლეტარიატის პოლიტიკური განვითარების ინტერესებს».

მოვუსმინოთ «ლუჩის» მეორე სულისჩამდგმელს, საკმაოდ ცნობილ დანს.

«დიდი პოლიტიკური ამოცანები, — წერს იგი, — გარდუვალს ხდიან ულმობელ ომს ანტილიკვიდატორობასთან... ანტილიკვიდატორობა მუდმივი შეფერხება, მუდმივი დეზორგანიზაციაა». საჭიროა... «მთელი ძალღონით ვცდილობდეთ ჩავკლათ იგი ჩანასახშივე» (იხ. «ნაშა ზარია» № 6, 1911 წ.).

ამრიგად, «ულმობელი **ომი** ანტილიკვიდატორობასთან», ე. ი. «პრავდასთან», «**ჩავკლათ** ანტილიკვიდატორობა», ე. ი. «პრავდა» — აი რა წინადადებას იძლევა დანი.

როგორ შეუძლია შვიდ დეპუტატს ყოველივე ამის შემდეგ სერიოზულად ლაპარაკი ორი გაზეთის შეერთებაზე?

მერე, ვისი შეერთება, გაერთიანება სურთ მათ?

ორში ერთი:

ან მათ ვერ შეუგნიათ საკითხი და ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან «ლუჩის» პოზიციაში, რომლის მომხრეებადაც მიაჩნიათ თავი, — და მაშინ მათ «თვითონ არ უწყიან, რასა იქმან».

ანდა ისინი ნამდვილი ლუჩისტები არიან, დანთან ერთად მზად არიან «ჩაკლან ანტილიკვიდატორობა», აქსელროდთან ერთად არ სჯერათ ერთი გაზეთის შესაძლებლობა, მაგრამ **საქვეყნოდ** ლაპარაკობენ ერთიანობაზე იმისთვის, რომ **ჩუმ-ჩუმად** მოამზადონ ნიადაგი ფრაქციის გასათიშავად...

რაც უნდა იყოს, ერთი რამ უეჭველია: მუშების წინაშე დგას ს.-დ. ფრაქციის მთლიანობის საკითხი, ფრაქციის, რომელსაც გათიშვა ემუქრება.

ფრაქცია საფრთხეშია!

ვის შეუძლია იხსნას ფრაქცია, ვის შეუძლია უზრუნველყოს ფრაქციის მთლიანობა?

მუშებს და მხოლოდ მუშებს! სხვას არავის, გარდა მუშებისა!

ამიტომ შეგნებული მუშების მოვალეობაა ხმა აღიმაღლონ ფრაქციის შიგნით გათიშვის ცდების წინააღმდეგ, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს ცდები.

შეგნებული მუშების მოვალეობაა წესრიგისაკენ მოუწოდონ შვიდ ს.-დ. დეპუტატს, რომლებიც ს.-დ. ფრაქციის მეორე ნახევრის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

მუშები ახლავე უნდა ჩაერიონ საქმეში, რათა დაიცვან ფრაქციის ერთიანობა.

ახლა დუმილი შეუძლებელია. უფრო მეტიც — ახლა დუმილი დანაშაულია.

გაზეთი «პრავდა» № 47,
1913 წ. 26 თებერვალი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.

ლენის ხოცვა-ჟლეტის წლისთავი [150]

ამხანაგებო!

ერთმა წელმა განვლო ლენაზე 500 ჩვენი ამხანაგის დახვრეტის დროიდან. მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვისათვის 1912 წლის 4 აპრილს ლენის სამადნოებში რუსეთის მეფის ბრძანებით, ერთ მუჭა მილიონერთა საამებლად, დახვრეტილია 500 ჩვენი ძმა.

როტმისტრი ტრეშჩენკო, რომელმაც მეფის სახელით ჩაიდინა ეს ავაზაკობა, რისთვისაც მთავრობისაგან დიდი ჯილდოები და ოქროს მრეწველებისაგან უხვი საზღაური მიიღო, ახლა არისტოკრატიულ სამიკიტნოებში ატარებს დროს დაცვის განყოფილების უფროსის ადგილის მოლოდინში. მღელვარების ჟამს შეგვპირდნენ — დახოცილთა ოჯახებს უზრუნველყოფთო, თურმე — უტიფრად ცრუობდნენ. შეგვპირდნენ — ლენაზე მუშების სახელმწიფო დაზღვევას შემოვიღებთო, თურმე — ტყუოდნენ. შეგვპირდნენ — საქმეს «გამოვიძიებთო», სინამდვილეში კი ის ძიებაც დამალეს, რომელიც მათ მიერვე გაგზავნილმა სენატორმა მანუხინმა მოახდინა.

«ასე იყო, ასე იქნებაო» — წამოიძახა სათათბიროს ტრიბუნიდან ჯალათმა მინისტრმა მაკაროვმა, და ის მართალი

აღმოჩნდა: მეფე და მისი მმართველები იყვნენ და იქნებიან მატყუარანი, ფიცის გამტეხნი, სისხლისდამთხევნი, იყვნენ და იქნებიან კამარილია, რომელიც ერთ მუჭა მხეც მემამულეთა და მილიონერთა ნება-სურვილს ასრულებს.

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში ზამთრის სასახლის მოედანზე დახვრეტილ იქნა რწმენა ძველი, რევოლუციამდელი თვითმპყრობელობისადმი.

1912 წლის 4 აპრილს შორეულ ლენაზე დახვრეტილ იქნა რწმენა ახლანდელი «განახლებული», რევოლუციის-შემდგომი დროის თვითმპყრობელობისადმი.

ყველა, ვისაც სწამდა, რომ ჩვენში ახლა კონსტიტუციური წყობილება არსებობს, ყველა, ვინც ფიქრობდა, ძველი მხეცობანი ამიერიდან შეუძლებელიაო, დარწმუნდა, რომ ეს ასე არ არის, რომ მეფის ხროვა წინანდებურად პარპაშობს დიდი რუსი ხალხის ზურგზე, რომ ნიკოლოზ რომანოვის მონარქია წინანდებურად მოითხოვს თავის სამსხვერპლოზე რუსეთის მუშათა და გლეხთა ასობით და ათასობით სიცოცხლეს, რომ მთელ რუსეთში წინანდებურად შხუიან მათრახები და ზუზუნებენ ტყვიები მეფის დაქირავებული ტრეშჩენკოებისა, რომლებიც რუს უიარაღო მოქალაქეებზე ვარჯიშობენ.

ლენის მუშების დახვრეტამ ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენს ისტორიაში. მოთმინების ფიალა აივსო. ხალხის აღშფოთების ჯებირი გაირღვა. დაიძრა ხალხის რისხვის მდინარე. მეფის ლაქიის მაკაროვის სიტყვებმა — «ასე იყო, ასე იქნებაო» — ცეცხლს ნავთი გადაასხა. ამ სიტყვებმა ისევე იმოქმედეს, როგორც ცხრაას ხუთ წელს მეფის მეორე ჭოფაკის — ტრეპოვის ბრძანებამ: «ვაზნები არ დაზოგოთო!» აბობოქრდა, აზვირთდა მუშათა ზღვა. და ერთსულოვანი, თითქმის ნახევარმილიონიანი საპროტესტო გაფიცვით უპასუხეს რუსეთის მუშებმა ლენის მუშების დახვრეტას. მაღლა ააფრიალეს მათ ჩვენი ძველი წითელი დროშა,

რომელზედაც მუშათა კლასმა კვლავ წააწერა რუსეთის რევოლუციის სამი მთავარი მოთხოვნა:

8-საათიანი სამუშაო დღე — მუშებისათვის.

მთელი მემამულეთა და მეფის მიწების კონფისკაცია — გლეხებისათვის.

დემოკრატიული რესპუბლიკა — მთელი ხალხისათვის!

ბრძოლის ერთი წელი უკვე განვლილია. და, განვლილ გზას რომ გადავხედავთ, შეგვიძლია კმაყოფილებით ვთქვათ: საქმე დაწყებულია, წელიწადს ამაოდ არ ჩაუვლია.

ლენის მუშების გაფიცვა საპირველმაისო გაფიცვას შეუერთდა. 1912 წლის სახელოვანმა მაისობამ ოქროს ფურცელი ჩაწერა ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ დროიდან ბრძოლა ერთი წუთითაც არ ცხრება. ფართოვდება, იზრდება პოლიტიკური გაფიცვა. 16 სევასტოპოლელი მატროსის დახვრეტას 150 ათასი მუშა რევოლუციური გაფიცვით უპასუხებს და საქვეყნოდ აცხადებს რევოლუციური პროლეტარიატის კავშირს რევოლუციურ არმიასთან. სათათბიროში მუშათა წარმომადგენლების არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ პეტერბურგის პროლეტარიატი საპროტესტო გაფიცვას აწყობს. IV სათათბიროს გახსნის დღეს [151], დაზღვევის შესახებ ს.-დ. ფრაქციის მიერ შეკითხვის შეტანის დღეს პიტერელი მუშები ერთდღიურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს აწყობენ. და, ბოლოს, 1913 წლის 9 იანვარს რუსეთის 200 ათასამდე მუშა იფიცება დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად და ახალი ბრძოლისაკენ მოუწოდებს მთელ დემოკრატიულ რუსეთს.

ასეთია 1912 წლის მთავარი შედეგი.

ამხანაგებო! ახლოვდება ლენის ხოცვა-ჟლეტის პირველი წლისთავი. ჩვენ მოვალენი ვართ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ასე თუ ისე გამოვეხმაუროთ ამ დღეს. ჩვენ უნდა ცხადვყოთ, რომ პატივს ვცემთ ჩვენი დაღუპული ამხანა-

გების ხსოვნას. ჩვენ უნდა ცხადვყოთ, რომ 4 აპრილის სისხლიანი დღე ისევე არ დაგვიწყებია, როგორც არ დაგვიწყებია 9 იანვრის სისხლიანი კვირა.

ყველგან მიტინგებით, დემონსტრაციებით, ანარიცხებით და სხვ. უნდა აღვნიშნოთ ლენის ამბების წლისთავი.

და დაე მთელმა მუშურმა რუსეთმა დასცეს ამ დღეს საერთო ყიჟინა:

ძირს რომანოვების მონარქია!
გაუმარჯოს ახალ რევოლუციას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
დიდება დაღუპულ მებრძოლთ!

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

გადაბეჭდეთ და გაავრცელეთ!
ემზადეთ 1-ლი მაისის დღესასწაულისათვის!

დაწერილია 1913 წლის იანვარ-თებერვალში.

იბეჭდება პროკლამაციის ჰექტოგრაფირებული ტექსტის მიხედვით.

შენიშვნები

1 კ. კაუცკის ბროშურა ქართულ ენაზე ითარგმნა და თბილისში გამოიცა 1907 წლის მარტში. 1907 წლის 18 მარტს ბოლშევიკურ გაზეთ «დროს» მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ქართულ ენაზე გამოვიდა კ. კაუცკის ბროშურა კობას (ი. ბ. სტალინის) წინასიტყვაობით. — **1.**

2 კადეტები (კ.-დ.) — კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთავარი პარტია; ჩამოყალიბდა 1905 წლის ოქტომბერში (იხ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ტ. 1, გვ. 381, შენიშვნა 52). — **5.**

3 **«პირველი კრებული»** — მენშევიკური კრებული; გამოიცა პეტერბურგში 1907 წელს. — **6.**

4 **«ნაშე დელო»** — ყოველკვირეული მენშევიკური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის 24 სექტემბრიდან 25 ნოემბრამდე. — **7.**

5 **«ტოვარიშჩი»** — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1907 წლის დეკემბრამდე; ფორმალურად რომელიმე პარტიის ორგანოს არ წარმოადგენდა, ფაქტიურად კი მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში მენშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას. — **7.**

6 **«ოტკლიკი»** — მენშევიკური კრებულები, გამოდიოდა 1906 — 1907 წლებში პეტერბურგში. გამოვიდა სამი კრებული. — **9.**

7 **«მირ ბოჟი»** — ლიბერალურ-ი მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1892 წლიდან. XIX საუკუნის 90-იან წლებში იქ იბეჭდებოდა «ლეგალურ მარქსისტთა» სტატიები. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. 1906 წლიდან 1918 წლამდე გამოდიოდა «სოვრემენნი მირის» სახელწოდებით. — **9.**

8 **«გოლოს ტრუდა»** — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 21 ივნისიდან 7 ივლისამდე. — **11.**

9 ტრუდოვიკები, ანუ «შრომის ჯგუფი», — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხი დეპუტატებისაგან (იხ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ტ. 1, გვ. 386, შენიშვნა 77).

სახალხო სოციალისტები (ენესები) — წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წელს, — მას შემდეგ, რაც გამოეყო ესერების მემარჯვენე ფრთას. ენესები აყენებდნენ ისეთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებს არ სცილდებოდა. ლენინი მათ «სოციალ-კადეტებსა» და «ესერულ მენშევიკებს» უწოდებდა. — **14.**

10 ლაპარაკია პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1907 წლის 6 იანვარს II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საარჩევნო ტაქტიკის საკითხზე. კონფერენციას დაესწრო 40 ბოლშევიკი და 31 მენშევიკი. რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, წინაღადება მისცა დელეგატებს გაეფილიყვნენ საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად. მენშევიკები ვარაუდობდნენ ამ გზით მეტი ხმა მიეღოთ. კონფერენციამ უარი განაცხადა შეესრულებინა ეს მოთხოვნა, როგორც პარტიის წესდების საწინააღმდეგო. პროტესტის ნიშნად მენშევიკმა დელეგატებმა სხდომა დატოვეს. დარჩენილმა დელეგატებმა დაადგინეს განეგრძოთ კონფერენციის მუშაობა. კონფერენციამ მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენება და გაილაშქრა კადეტებთან საარჩევნო შეთანხმებათა დადების წინააღმდეგ, რადგან ეს შეთანხმებანი ცნო არათუ პრინციპულად

დაუშვებლად, არამედ პოლიტიკურადაც უთუოდ მავნედ. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება «დაუყოვნებლივ დაისვას დღის წესრიგში პეტერბურგისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმებათა შესახებ». ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა მენშევიკებმა, რომლებიც კონფერენციას ესწრებოდნენ, განაცხადეს, კონფერენციის დადგენილებები სავალდებულო არ არის პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისთვისო, ხოლო კონფერენციიდან წასულმა მენშევიკებმა პრესაში წამოაყენეს წინადადება კადეტებთან ბლოკის შეკვრის შესახებ. — **10.**

11 **«რეჩი»** — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან 1917 წლის 26 ოქტომბრამდე. — **17.**

12 **«ჩვენი ცხოვრება»** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; ლეგალურად გამოდიოდა თბილისში 1907 წლის 18 თებერვლიდან. გაზეთს ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. გამოვიდა 13 ნომერი. 1907 წლის 6 მარტს გაზეთი დახურეს «უკიდურესი მიმართულების გამო». — **20.**

13 «ნაჩერედი» — მენშევიკური ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის დეკემბრიდან 1907 წლის მარტამდე. გამოვიდა ოთხი ნომერი. — **21.**

14 **«დრო»** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში გაზეთ «ჩვენი ცხოვრების» დახურვის შემდეგ 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე. გაზეთის ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი. გაზეთის რედაქციაში შედიოდნენ აგრეთვე მ. ცხაკაია, მ. დავითაშვილი. გამოვიდა 31 ნომერი. — **22.**

15 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 55 — 56.

«ახალი რეინის გაზეთი» გამოდიოდა კიოლნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. — **24.**

16 გურკო — შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი; ლიდვალი — დიდი სპეკულანტი და ავანტიურისტი, რომელსაც გურკომ 1906

წელს დამშეულ გუბერნიებში პურის შეტანის იჯარა მისცა. ლიდვალის სპეკულანტურ აფიორაში მეფის დიდი მოხელის მონაწილეობამ გამოიწვია გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელსაც «ლიდვალიადა» უწოდეს. ამ საქმეს გურკოსათვის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, გარდა თანამდებობიდან გადაყენებისა. — **25**.

17 ოქტიაბრისტები, ანუ «17 ოქტომბრის კავშირი» — მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და დიდი მემამულეების კონტრრევოლუციური პარტია; შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები საკმაოდ უპერდნენ მხარს სტოლიპინის რეჟიმს, ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. — **25**.

18 «პარუსი» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1907 წელს. — **25**.

19 «სეგოდნია» — ბულვარული ტიპის ბურჟუაზიული საღამოს გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 — 1908 წლებში. — **26**.

20 «ხლოვო» — ყოველდღიური გაზეთი; გაზეთის გამოცემა დაიწყო 1904 წლის დეკემბრიდან პეტერბურგში. 1905 წლის ოქტომბრიდან 1906 წლის ივლისამდე ოქტიაბრისტთა პარტიის ორგანო იყო.—**26**.

21 გ. პ. თელია დაიბადა 1880 წელს, გარდაიცვალა სუხუმში 1907 წლის 19 მარტს. 25 მარტს გ. თელია დაკრძალეს ქუთაისის მაზრის სოფელ ჯაგანში. — **28**.

22 იგულისხმება თბილისის მუშების საპირგელმაისო დემონსტრაცია, რომელიც 1901 წლის 22 აპრილს გაიმართა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. დემონსტრაცია მოხდა სალდათის ბაზარში, თბილისის ცენტრალურ ნაწილში; მასში 2000-მდე კაცი მონაწილეობდა. დემონსტრაციის დროს შეტაკება მოხდა პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან. დაიჭრა 14 მუშა, დააპატიმრეს 50-ზე მეტი. თბილისის დემონსტრაციის გამო ლენინური «ისკრა» იუწყებოდა: «ის, რაც კვირას 22 აპრილს (ძვ. სტილით) თბილისში მოხდა, მთელი კავკასიისათვის ისტორიულად ღირსშესანიშნავი ამბავია: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა» («ისკრა» № 6, 1901 წ. ივლისი). — **29**.

23 1903 წლის 23 თებერვალს რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით შედგა თბილისის მუშების დემონსტრაცია. დემონსტრაციაში 6000-მდე კაცი მონაწილეობდა. დემონსტრაცია დამთავრდა ჯარის ნაწილებთან შეტაკებით. დაპატიმრებულ იქნა 150 კაცი. — **29.**

24 **«პროლეტარიატის ბრძოლა»** — არალეგალური ქართული გაზეთი, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო (იხ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ტ. 1, გვ. 374, შენიშვნა 21). — **31.**

25 **«ახალი ცხოვრება»** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1906 წლის 20 ივნისიდან 14 ივლისამდე. გამოვიდა 20 ნომერი. გაზეთის ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი, მუდმივი თანამშრომლები — მ. დავითაშვილი, გ. თელია, გ. ქიქოძე და სხვ. — **31.**

26 რსდმპ მეხუთე ყრილობა მიმდინარეობდა ლონდონში 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე. ყველა ძირითად საკითხზე ყრილობამ ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღო. ი. ბ. სტალინი ყრილობას დაესწრო როგორც თბილისის ორგანიზაციის დელეგატი. ყრილობის მუშაობის შედეგები ი. ბ. სტალინმა გააშუქა სტატიაში «რსდმპ ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)» (იხ. ეს ტომი, გვ. 47 — 82). — **33.**

27 ბუნდი — «ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი პოლონეთსა, ლიტვასა და რუსეთში»; შეიქმნა 1897 წლის ოქტომბერში (იხ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ტ. 1, გვ. 371, შენიშვნა 7). — **33.**

28 «სპილკა» — უკრაინული სოციალ-დემოკრატიული კავშირი, ახლო იდგა მენშევიკებთან. «სპილკა» შეიქმნა 1904 წლის დამლევს, მას შემდეგ, რაც გამოეთიშა წვრილბურჟუაზიულ, ნაციონალისტურ «რევოლუციურ-უკრაინულ პარტიას» (რუპ). არსებობა შეწყვიტა სტოლიპინის რეაქციის წლებში. — **33.**

29 **«ლახვარი»** — ყოველდღიური მენშევიკური ქართული გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1907 წლის აპრილიდან ივნისამდე. — **36.**

30 **«სხივი»** — ქართველი მენშევიკების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1905 წლის დეკემბრიდან 1906 წლის იანვრამდე. — **40.**

31 II სახელმწიფო სათათბირო მეფის მთავრობამ გარეკა 1907 წლის 3 ივნისს. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელშიც 65 დეპუტატი ითვლებოდა, პროვოკაციულად ბრალი დადეს სამხედრო შეთქმულებაში. მეტ წილ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს კატორღაში მუშაობა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. — **42.**

32 სტატია «რსდმპ ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)» არ არის დამთავრებული; ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ 1907 წლის მეორე ნახევარში პოლიციამ გააძლიერა ი. ბ. სტალინისადმი თვალყურის დევნება, ხოლო შემდეგ დააპატიმრა იგი. — **47.**

33 ვერგეესკი, ა. — კადეტური გაზეთის «რეჩის» თანამშრომლის ა. ვ. ტირკოვას ლიტერატურული ფსევდონიმი. — **47.**

34 კუსკოვა, ე. დ. — **«Credo»**-ს — «ეკონომისტების» პროგრამის ერთ-ერთი ავტორი; 1906 — 1907 წლებში თანამშრომლობდა ნახევრადკადეტურ-ნახევრადმენშევიკურ ჟურნალ-გაზეთებში. — **47.**

35 ალექსინსკი, გ. ა. — II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი; შედიოდა ს.-დ. ფრაქციის ბოლშევიკურ ნაწილში. რსდმპ ლონდონის ყრილობის შემდეგ იცავდა III სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკას. შემდეგში ჩამოშორდა ბოლშევიკების პარტიას. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — თეთრი ემიგრანტი. — **52.**

36 საკითხი შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის (II ინტერნაციონალის VII კონგრესის) შესახებ თავდაპირველად შეტანილი იყო რსდმპ ლონდონის ყრილობის დღის წესრიგში, მაგრამ შემდეგ ყრილობამ იგი მოხსნა და აღარ განუხილავს. კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა 1907 წლის 5 — 11 (18 — 24) აგვისტოს. ბოლშევიკებისაგან კონგრესს ესწრებოდნენ ვ. ი. ლენინი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. მ. ლიტვინოვი და სხვ. — **50.**

37 რიადოვოი — ა. ა. მალინოვსკის ფსევდონიმი; უფრო ცნობილია ბოგდანოვის გვარით (ჰქონდა აგრეთვე ფსევდონიმი «მაქსიმოვი»).

1903 წელს ბოლშევიკებს მიემხრო. რსდმპ ლონდონის ყრილობის შემდეგ ჩამოშორდა ბოლშევიკურ პარტიას (იხ. ამ ტომის მე-80 შენიშვნა). გარდაიცვალა 1928 წელს. — **56, 177.**

38 პეტერბურგის ორგანიზაციის გათიშვის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინის სტატია «საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები» (ამ ტომში, გვ. 14 — 20). — **57.**

39 მიწის საკითხზე «სახელმწიფო სათათბიროსაგან» მიშართვის პროექტი შემუშავებულ იქნა კადეტების მიერ და გამოქვეყნდა 1906 წლის 5 ივლისს პასუხად მთავრობის 1906 წლის 20 ივნისის ცნობისა გლეხური მიწათმფლობელობის შესახებ. კადეტები ურჩევდნენ გლეხებს დალოდებოდნენ სათათბიროს მიერ მიწის კანონის გამომუშავების დამთავრებას. რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, წინადადება მისცა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ხმა მიეცა კადეტთა პროექტისათვის. ფრაქციამ ხმა მისცა პროექტის წინააღმდეგ. — **57.**

40 ნაროდოველები (ნაციონალ-დემოკრატები) — პოლონეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში ნაროდოველები პოლონეთის კონტრრევოლუციის ძირითადი პარტია, პოლონელ შავრაზმელთა პარტია გახდნენ. — **61.**

41 იგულისხმება II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების — მენშევიკების ა. ლ. ჯაფარიძისა და ი. გ. წერეთლის გამოსვლები რსდმპ V («ლონდონის») ყრილობაზე (იხ. რსდმპ V ყრილობის ოქმები, 1935, გვ. 250 და 354 — 355). — **61.**

42 გედისტები — ჟ. გედის მომხრენი — მემარცხენე, მარქსისტული მიმდინარეობა საფრანგეთის სოციალისტთა რიგებში. 1901 წელს გედისტებმა შექმნეს «საფრანგეთის სოციალისტური პარტია». გედისტები ებრძოდნენ ოპორტუნისტებს საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში, გამოდიოდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკისა და ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტების შესვლის წინააღმდეგ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ გედისტებმა ოპორტუნისტულ პოზიციას დაადგა და ბურჟუაზიულ მთავრობაში

შევიდა. გედისტების ნაწილი, რომელიც რევოლუციური მარქსიზმის ერთგული დარჩა, შემდეგ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში შევიდა. — **67.**

43 იგულისხმება იური პერეიასლავსკის (გ. ხრუსტალიოვის) სტატია.

«ბაკინსკი დენ» — ყოველდღიური ლიბერალური გაზეთი; გამოდიოდა 1907 წლის ივნისიდან 1908 წლის იანვრამდე. — **72.**

44 ი. ლარინი, ლ. ა. რინი (მ. ა. ლურიე) — მენშევიკი-ლიკვიდატორი. 1907 წელს «მუშათა ფართო ყრილობის» მოწვევის იდეის პროპაგანდას ეწეოდა. 1917 წელს ი. ლარინი ბოლშევიკების პარტიაში შევიდა.

ელი (ი. ი. ლუზინი) — მენშევიკი-ლიკვიდატორი. — **72.**

45 იგულისხმება ბროშურა «სრულიად რუსეთის მუშათა სიეზდი და «ბოლშევიკები»», რომელიც ქართულ ენაზე გამოვიდა თბილისში 1907 წელს. «ბროდიაგა» — მენშევიკი გიორგი ერაძე; «შურა» — მისი ცოლი — მენშევიკი პიშკინა. — **78.**

46 ჩერევანინის სტატია მუშათა ყრილობის შესახებ მოთავსებული იყო მენშევიკურ კრებულში «პოლიტიკური მდგომარეობა და ტაქტიკური პრობლემები». მოსკოვი, 1906 წელი. — **76.**

47 ლინდოვი — გ. დ. ლეიტეიზენის ფსევდონიმი. — **78.**

48 1907 წლის შემოდგომაზე ბაქოს კომიტეტმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩაატარა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანია. ბაქოელი მუშების რწმუნებულთა კრებაზე, რომელიც 22 სექტემბერს შედგა, III სახელმწიფო სათათბიროს ამრჩევლებად არჩეულ იქნენ ბოლშევიკები. კრებამ მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი «განაწესი» და იგი ცალკე ფურცლად დაიბეჭდა რსდმპ ბალახანის რაიონული კომიტეტის სტამბაში. — **88.**

49 სტატია დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახული იყო მოეწვიათ ნავთობის მრეწველთა თათბირი ბაქოს მუშების წარმომადგენლებთან ერთად. თათბირის ბოიკოტის ტაქტიკას, რასაც მაშინ

ბოლშევიკები ატარებდნენ, მუშათა მასებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი. 1907 წლის 10 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე ბაქოს სარეწებსა და ქარხნებში შედგა მუშათა კრებები, სადაც განხილულ იქნა თათბირის საკითხი. ამ კრებებზე დამსწრე მუშების ორმა მესამედმა გაილაშქრა თათბირში მონაწილეობის წინააღმდეგ. მენშევიკები, რომლებიც თათბირის აუცილებლად მოწყობის მომხრენი იყვნენ, დამარცხდნენ. — **86.**

50 სარეწების მუშები — მუშები, რომლებიც ნავთობის ამოღებასა და ნავთობის ჭაბურღილების ბურღვაზე მუშაობდნენ. ხელოსნები — მექანიკური სახელოსნოების, ელექტროსადგურებისა და ნავთობის სარეწების მომსახურე სხვა დამხმარე საწარმოთა მუშები. — **88.**

51 «ფეშქეში» (სიტყვასიტყვით: საჩუქარი) — წვრილმანი საჩუქრების მიგდების სისტემა, რასაც ფართოდ მიმართავდნენ ბაქოს ნავთობის მრეწველნი იმ მიზნით, რომ მუშების ყურადღება ჩამოეშორებინათ პოლიტიკური ბრძოლისაგან და გაეთიშათ მუშათა მოძრაობა. საჩუქრის ოდენობა სხვადასხვა იყო და მეწარმეთა ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. ბოლშევიკები გადაჭრით ილაშქრებდნენ გაფიცვების დროს საჩუქრების მოთხოვნის წინააღმდეგ და იბრძოდნენ მუშათა ხელფასის გადიდებისათვის. — **89.**

52 კორეგარი — ი. შიტიკოვის (სამარცვევის), გაზეთ «გუდოკის» ოფიციალური რედაქტორ-გამომცემლის, ფსევდონიმი. — **90.**

53 «ნეფტიანოე დელო» — ნავთობის მრეწველთა ორგანო; გაზეთს უშვებდა ბაქოს ნავთობის მრეწველთა ყრილობის საბჭო 1899 — 1920 წლებში.

ყრილობის საბჭო — ნავთობისმრეწველი ბურჟუაზიის ორგანიზაცია. საბჭოს ირჩევდნენ ნავთობის მრეწველთა ყრილობებზე უდიდესი ფირმების წარმომადგენელთაგან. ყრილობის საბჭოს ამოცანა იყო ორგანიზებული ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ნავთობის მრეწველთა ინტერესების დაცვა მთავრობის წინაშე, ნავთობის მრეწველთა დიდი მოგების უზრუნველყოფა და ა. შ.—**93.**

54 დაშნაკცაკანები, დაშნაკები — სომეხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის — «დაშნაკცუთუნის» წევრები. დაშნაკები

სომეხთა ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ და ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალურ შუღლს აღვივებდნენ. — **94.**

55 1907 წლის ნოემბერში ბაქოს ბოლშევიკებმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით წამოაყენეს ლოზუნგი: «თათბირი გარანტიით ანდა არავითარი თათბირი». პირობები, რომელთა საფუძველზე მუშები თათბირში მონაწილეობაზე თანხმდებოდნენ, შემდეგი იყო: თათბირის კამპანიაში პროფესიული კავშირების აქტიური მონაწილეობა, მოთხოვნების ფართოდ განხილვა მუშების მიერ, რწმუნებულთა მომავალი საბჭოს თავისუფლად მოწვევა და თათბირის გახსნის მომენტის თვით მუშების მიერ არჩევა. ბაქოს სარეწებსა და ქარხნებში დაიწყო რწმუნებულთა საბჭოს არჩევნების ფართო კამპანია. ამ საბჭოს საბოლოოდ უნდა მიეღო თათბირში მუშების მონაწილეობის პირობები და აერჩია წარმომადგენლები თათბირის მომწვევ საორგანიზაციო კომისიაში. მუშების კრებები რწმუნებულთა ასარჩევად ღიად მიმდინარეობდა. მუშების უმრავლესობა მხარს უჭერდა ბოლშევიკების ხაზს. დაშნაკებსა და ესერებს, რომლებიც თათბირის ბოიკოტის მომხრენი იყვნენ, და მენშევიკებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ თათბირს სრულიად უგარანტიოდ, მასებმა მხარი არ დაუჭირეს. — **102.**

56 **«გუდოკი»** — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშების კავშირის ყოველკვირეული ორგანო. «გუდოკის» 1-ლი ნომერი 1907 წლის 12 აგვისტოს გამოვიდა. გაზეთ «გუდოკში» დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები, რომლებიც შესულია ამ ტომში. «გუდოკში» აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ს. სპანდარიანი და სხვები. გაზეთის უკანასკნელი, 34-ე, ნომერი, რომელიც ბოლშევიკურმა რედაქციამ გამოსცა, გამოვიდა 1908 წლის 1 ივნისს. 35-ე ნომრიდან «გუდოკი» მენშევიკების ხელში გადავიდა. ბოლშევიკებმა ბაქოში დაიწყეს ახალი პროფესიული ლეგალური გაზეთის — «ბაკინსკი რაბოჩის» გამოცემა, რომლის პირველი ნომერი 1908 წლის 6 სექტემბერს გამოვიდა. — **104.**

57 ბაქოში მირზოევის ნავთობის სარეწებზე მომხდარ გაფიცვაში 1 500-მდე მუშა მონაწილეობდა. გაფიცვა დაიწყო 1908 წლის 14 თებერვალს და 73 დღეს გაგრძელდა. — **105.**

58 მუშების რწმუნებულთა არჩევნები 1908 წლის თებერვლის დამდეგს დამთავრდა. მაგრამ რწმუნებულთა საბჭოს მოწვევას კატეგორიული

სიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით აჭიანურებდნენ. რწმუნებულთა საბჭოს პირველი სხდომა შედგა 1908 წლის 30 მარტს, შემდგომი სხდომები — 6, 10, 26 და 29 აპრილს. გ. კ. ორჯონიკიძე რწმუნებულთა საბჭოს მუშაობის შესახებ შემდეგში წერდა: «იმ დროს, როცა მთელ რუსეთში შავი რეაქცია მძვინვარებდა, ბაქოში ნამდვილი მუშური პარლამენტის სხდომები მიმდინარეობდა. ამ პარლამენტში აშკარად მუშავდებოდა ბაქოს მუშების ყველა მოთხოვნა, და ჩვენი ორატორები გაშლილად გადმოსცემდნენ მთელ ჩვენს პროგრამა-მინიმუმს». რწმუნებულთა საბჭოში ბოლშევიკების წინადადებას — თათბირი გარანტიით — ხმა მისცა 199 რწმუნებულმა, თათბირის ბოიკოტის სასარგებლოდ ხმა მისცა 124 რწმუნებულმა. ბოიკოტის მომხრეებმა — ესერებმა და დაშნაკებმა — საბჭოს სხდომა დატოვეს. წინადადება განაწესის ულტიმატური ხასიათის შესახებ გავიდა 113 ხმის უმეტესობით 54-ის წინააღმდეგ. — **113.**

59 **«პრომისლოვი ვესტნიკ»** — ლეგალური მენშევიკური გაზეთი, მექანიკოს მუშათა კავშირის ორგანო; გამოდიოდა ბაქოში, კვირაში ორ-სამჯერ, 1907 წლის ნოემბერსა და დეკემბერში და 1908 წლის მარტიდან ივლისამდე. — **115.**

60 ყ—ზა (ყარა-მურზა, პ.)—კადეტთა პარტიის წევრი, ბაქოს ნავთობის მრეწველთა ორგანოს «ნეფტიანოე დელოს» რედაქტორი. — **120.**

61 «ყოჩი» — ავაზაკი, დაქირავებული მკვლელი. — **123.**

62 ხანლარ საფარალიევი — ბოლშევიკი მუშა, აზერბაიჯანელი მუშების ნიჭიერი ორგანიზატორი. ნაფტალანის სარეწებზე წარმატებით ჩატარებული გაფიცვის შემდეგ, 1907 წლის 19 სექტემბერს ღამით, ხანლარი სასიკვდილოდ დასჭრა ნავთობის მრეწველების მიერ დაქირავებულმა მკვლელმა. რამდენიმე დღის შემდეგ ხანლარი გარდაიცვალა. რსდმპ ბიბი-ეიბათის რაიონული კომიტეტის მოწოდებით გაიმართა მუშების საერთო ორდღიანი გაფიცვა; მუშებმა ნაფტალანის საზოგადოებას მოთხოვნა წაუყენეს — სარეწებიდან მოეშორებინა ხანლარის მკვლელი — ბურღვის ოსტატი ჯაფარი, აგრეთვე მმართველი აბუზარბეკი. ხანლარის დაკრძალვა გადაიქცა მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად, რომელშიც 20 ათასი მუშა მონაწილეობდა. ხანლარის საფლავზე სიტყვა წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა. — **129.**

63 მიმოხილვა «პრესა» ი. ბ. სტალინმა დაწერა 1908 წლის ზაფხულში ბაქოს საპყრობილეში, სადაც იგი იმყოფებოდა 1908 წლის 25 მარტიდან 9 ნოემბრამდე, სოლუხჩეგოდსკში გადასახლებამდე.—**185.**

64 «ნაპერწკალი» — ქართველი მენშევიკების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1908 წლის მაისიდან ივლისამდე. — **185.**

65 «აზრი» — მენშევიკური ქართული გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1908 წლის 29 იანვრიდან 2 მარტამდე. — **186.**

66 ძმებმა შენდრიკოვებმა (ლევმა, ილიამ, გლებმა) ბაქოში 1904 წელს შექმნეს ზუბატოვური ორგანიზაცია სახელწოდებით «ბალახანისა და ბიბი-ეიბათის მუშების ორგანიზაცია» (შემდეგში მას ეწოდა «ბაქოს მუშების კავშირი»). შენდრიკოველები ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი აყენებდნენ ვიწრო ამქრულ ეკონომიურ ლოზუნგებს, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ საგაფიცკო ბრძოლაში, ცდილობდნენ ჩაეშალათ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება, აგიტაციას ეწეოდნენ «შემარიგებელი კამერების», არტელების და სხვ. დაარსების სასარგებლოდ. შენდრიკოველები სუბსიდიებს იღებდნენ ნავთობის მრეწველთა და მეფის ხელისუფალთაგან. მენშევიკებმა შენდრიკოველთა ზუბატოვური ორგანიზაცია ოფიციალურად ცნეს პარტიულ ორგანიზაციად. შენდრიკოველები ბაქოს ბოლშევიკებმა ამხილეს როგორც მეფის ოხრანკის დაქირავებული აგენტები და გაანადგურეს.

ჟურნალ «პრავოე დელოს» შენდრიკოვები პეტერბურგში სცემდნენ. ჟურნალის 1-ლი ნომერი 1907 წლის ნოემბერში გამოვიდა, № 2 — 3 — 1908 წლის მაისში. ქვემოთ მოხსენიებული გროშევი და კალინინი მენშევიკები იყვნენ, შენდრიკოვების მომხრენი. — **188.**

67 გუკასოვი, ა. — ბაქოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობის მრეწველი, ნავთობის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ხელმძღვანელი. — **189.**

68 ნავთობის მრეწველებთან თათბირის მოწვევის საკითხზე საორგანიზაციო კომისიის სხდომა შედგა 1908 წლის 13 მაისს 14 ნავთობის მრეწველისა და 15 მუშის მონაწილეობით. ამავე დღეს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები

კომისიაში არ დაიშვებიანო. მუშების დელეგაციამ, რომელიც სხდომაზე გამოცხადდა, უარი განაცხადა შესდგომოდა მუშაობას, თუ სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ პროფესიულ კავშირთა წარმომადგენლები. ამ უარის მოტივზეზებით, კომისიის თავმჯდომარემ ჯუნკოვსკიმ (კავკასიის მეფისნაცვალთან არსებული საბჭოს წევრმა) საორგანიზაციო კომისიის სხდომა დახურა. — **141.**

69 «მიწა და თავისუფლება», «ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას» — სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლოზუნგები. — **143.**

70 საყოველთაო გაფიცვა ბაქოში დაიწყო 1903 წლის 1 ივლისს, თბილისში — 14 ივლისს, ბათუმში — 17 ივლისს. გაფიცვა მოედო მთელ ამიერკავკასიას და გადაედო სამხრეთ რუსეთს (ოდესა, კიევი, ეკატერინოსლავი და სხვ.). — **144.**

71 ბაქოს საყოველთაო გაფიცვა დაიწყო 1904 წლის 13 დეკემბერს. გაფიცვა მოხდა ჯერ როტშილდის, ნობელის, მირზოევის ნავთობის სარეწებზე ბალახანაში და ბიბი-ეიბათის სარეწთა რაიონებში. 14-დან 18 დეკემბრამდე გაფიცვა მოედო ბაქოს მეტ წილ საწარმოებს. გაფიცვა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ბაქოს კომიტეტის მიერ გაფიცვის პირველ დღეებში გამოშვებულ პროკლამაციებში წამოყენებული იყო პოლიტიკური ლოზუნგები, აგრეთვე ჩამოყალიბებული იყო ეკონომიური მოთხოვნები — 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის გადიდება, ჯარიმების გაუქმება და სხვ. გაფიცვის დროს მუშების მრავალი მიტინგი და კრება იმართებოდა. გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით და რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში მუშებსა და ნავთობის მრეწველებს შორის პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით. «ეს გაფიცვა თითქოს იყო ჭექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ» («საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 68). ბაქოს დეკემბრის გაფიცვის მნიშვნელობის დაწვრილებით გაშუქება იხ. ამ ტომში, გვ. 179 — 184. — **144.**

72 **«ბაკუ»** — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა ხანმოკლე შეწყვეტით 1902 — 1918 წლებში. გაზეთი გამოხატავდა უმთავრესად სომეხთა ნავთობის მრეწველი და სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს. — **150.**

73 იგულისხმება სტატია «მუშათა კომისია ბაქოში», რომელიც მოთავსებული იყო ქართულ მენშევიკურ გაზეთ «ხომლის» მე-4 ნომერში 1908 წლის 17 ივლისს. — **151.**

74 ლ. ა. რინის (ი. ლარინის) ბროშურა «ნავთობის მრეწველებთან თათბირის შესახებ» 1907 წელს გამოსცა მექანიკოსი მუშების კავშირმა. — **151.**

75 **«პროლეტარი»** — არალეგალური გაზეთი, რომელიც ბოლშევიკებმა დააარსეს პარტიის IV («გაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე). გამოვიდა «პროლეტარის» 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში, დანარჩენი — ჟენევასა და პარიზში. «პროლეტარი» ფაქტიურად ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო იყო და მას ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. — **154.**

76 **«გოლოს სოციალ-დემოკრატა»** — მენშევიკ ლიკვიდატორთა საზღვარგარეთული ორგანო: გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე. «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: გ. ვ. პლეხანოვი, პ. ბ. აქსელროდი, ი. ო. მარტოვი, ფ. ი. დანი, ა. ს. მარტინოვი. «გოლოსის» აშკარა ლიკვიდატორული მიმართულების გამო პლეხანოვმა 1908 წლის დეკემბრიდან ამ გაზეთში თანამშრომლობა შეწყვიტა, შემდეგ კი ოფიციალურად გამოვიდა რედაქციიდან. მიუხედავად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებისა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» გამოცემის შეწყვეტის შესახებ, მენშევიკები განაგრძობდნენ მის გამოცემას და აშკარად ქადაგებდნენ ამ გაზეთის ფურცლებზე ლიკვიდატორობის იდეებს. — **154.**

77 **«სოციალ-დემოკრატი»** — რსდმპ ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის

გადაწყვეტილების თანახმად, შედგენილი იყო ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთაგან. «სოციალ-დემოკრატში» იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო სტატიები. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი ბრძოლას ეწეოდა თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს და ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. მენშევიკები მარტოვი და დანი საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «გოლოს სოციალ-დემოკრატაში». ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები, რომლებიც მოთავსებულია ამ ტომში. «სოციალ-დემოკრატში» სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის, მათ შორის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. — **154.**

78 1907 წლის 21 — 23 ივლისს შედგა რსდმპ მესამე კონფერენცია («სრულიად რუსეთის მეორე კონფერენცია»), ხოლო 1907 წლის 5 — 12 ნოემბერს — რსდმპ მეოთხე კონფერენცია («სრულიად რუსეთის მესამე კონფერენცია»). — **162.**

79 სათაური «პარტიიდან» წარმოადგენს გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» განყოფილების სახელწოდებას. — **174.**

80 «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია — ფაქტიურად ბოლშევიკური ცენტრი, რომელიც არჩეულ იქნა 1907 წელს რსდმპ V («ლონდონის») ყრილობის ბოლშევიკური ნაწილის სხდომაზე. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი მოხდა 1909 წლის 8 — 17 (21 — 30) ივნისს პარიზში, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. თათბირმა დაჰგმო ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი როგორც «შებრუნებული ლიკვიდატორობა». ოტზოვისტების მიერ მოწყობილი კაპრის «პარტიული» სკოლა თათბირმა ცნო «ბოლშევიკებისაგან გათიშვის გზაზე დამდგარი ფრაქციის ცენტრად».

ა. ბოგდანოვმა (რომელსაც მხარი დაუჭირა ვ. შანცერმა) უარი განაცხადა დამორჩილებოდა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის დადგენილებებს, და ის გარიცხულ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციიდან. — **175.**

81 ბაქოს კომიტეტის რეზოლუცია დაიბეჭდა 1909 წლის 3 (16) ოქტომბერს გაზეთ «პროლეტარის» 49-ე ნომერში რედაქციის შემდეგი მინაწერით: «იმაზე მეტი, რაც ბაქოელმა ამხანაგებმა თქვეს ოტზოვისტებზე, ულტიმატისტებსა და ღვთისმშენებლებზე, ჩვენც არაფერი გვითქვამს. ბაქოელი ამხანაგები თვითონ «აცხადებენ პროტესტს ამხ. მაქსიმოვის საქციელის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა, არ ვემორჩილები რედაქციის გადაწყვეტილებებსო». მაგრამ ამხ. მაქსიმოვი ბოლშევიკების ორგანოს დადგენილებებს **რომ** დამორჩილებოდა და მთელი დეზორგანიზატორული კამპანია არ დაეწყო ბოლშევიკური ფრაქციის წინააღმდეგ, არავითარი «ჩამოშორება» არ მოხდებოდა. «დაუმორჩილებლობა» კი, რასაკვირველია, «ჩამოშორებაა». ჩვენი ვითომდა «გამთიშველური» პოლიტიკის თემაზე ჩვენ ამ ნომერში დაწვრილებით გამოვთქვით აზრი სტატიაში «საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან» მათი ანალოგიური რეზოლუციის გამო, რომელიც რედაქციაში მიღებულია ბაქოელთა რეზოლუციაზე უფრო ადრე». რედაქციის მიერ მოხსენებული სტატია «საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან» ეკუთვნის ვ. ი. ლენინს (იხ. თხზულებანი, ტ. 16, მე-4 გამოც., გვ. 69 — 83). — **178.**

82 «ამშარა» — სიტყვასიტყვით: მონათესავენი, ერთი კუთხის ხალხი; «ასე უწოდებდნენ შავ მუშა არანელებს, რომლებიც ბაქოში საშოვარზე ჩამოდიოდნენ. — **180.**

83 «წერილები კავკასიიდან» დაიწერა 1909 წლის ნოემბერ-დეკემბერში და უნდა გამოქვეყნებულიყო «პროლეტარში» ან «სოციალ-დემოკრატში». ვინაიდან ამ დროისათვის «პროლეტარის» გამოსვლა შეწყდა, «წერილები» გადაეგზავნა რსდმპ ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მენშევიკურმა ნაწილმა უარი განაცხადა მოეთავსებინა ცენტრალური ორგანოს ფურცლებზე «წერილი კავკასიიდან», რომელიც ლიკვიდატორობის მკვეთრ კრიტიკას შეიცავდა. წერილი გამოქვეყნდა «დისკუსიონნი ლისტოკში» («სოციალ-დემოკრატის» დამატება). — **185.**

84 1890 წლის 12 ივნისის დებულება საეროზო დაწესებულებათა შესახებ მეფის მთავრობამ შეცვალა 1864 წლის დებულების ნაცვლად. ახალი დებულება, რომელიც წოდებრივ ცენზს აწესებდა წინანდელი ქონებრივის ნაცვლად, თავადაზნაურებს აბსოლუტურ უმრავლესობას აძლევდა მეტ წილ სამაზრო საეროზო საკრებულოებში და აძლიერებდა ერობის დამოკიდებულებას ცენტრალური ხელისუფლებისაგან. — 189.

85 «ბაკინსკი პროლეტარი» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა 1907 წლის 20 ივნისიდან 1909 წლის 27 აგვისტომდე ბაქოში. გამოვიდა შვიდი ნომერი. «ბაკინსკი პროლეტარის» პირველი ნომერი გამოვიდა როგორც რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის ბალახანის რაიონის ორგანო, მეორე ნომერი — როგორც რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის ბალახანისა და შავი ქალაქის რაიონების ორგანო; მესამე ნომრიდან გაზეთი რსდმპ ბაქოს კომიტეტის ორგანო ხდება. «ბაკინსკი პროლეტარი» გამოდიოდა ი. ბ. სტალინის რედაქციით. გაზეთში დაბეჭდილია მისი მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები, რომლებიც შესულია ამ ტომში. «ბაკინსკი პროლეტარში» მონაწილეობას ბღებდნენ აგრეთვე ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ს. სპანდარიანი და სხვები. მეხუთე ნომერზე «ბაკინსკი პროლეტარის» გამოცემა შეწყდა. იგი განახლდა 1909 წლის 1 აგვისტოს, როცა ი. ბ. სტალინი სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან გამოიქცა და ბაქოში დაბრუნდა. გაზეთის უკანასკნელი, მე-7, ნომერი 1909 წლის 27 აგვისტოს გამოვიდა. «ბაკინსკი პროლეტარის» რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული «პროლეტართან» და «სოციალ-დემოკრატთან». — 193.

86 «ტრუდი» — ქალაქ ბაქოს და ნავთობის სამრეწველო რაიონების მუშათა ერთიანი სამომხმარებლო კოოპერატივი; მოეწყო 1908 წლის დამდეგს. კოოპერატივ «ტრუდის» წევრთა რიცხვი 1200-მდე კაცს შეადგენდა. კოოპერატივმა თავისი განყოფილებები გახსნა ბალახანის, ბიბი-ეიბათის, ვაგზალსგადაღმა და შავი ქალაქის რაიონებში. 1909 წელს კოოპერატივი სცემდა ყოველკვირეულ ჟურნალ «ტრუდოვოი გოლოსს». ბოლშევიკები აქტიურ მონაწილეობას ღებდნენ კოოპერატივის მუშაობაში. — 198.

87 კლუბები «ზნანიე — სილა» და «ნაუკა» მიზნად ისახავდნენ ნავთობის მრეწველობის მუშების თვითგანვითარებისათვის ხელის

შეწყობას. ისინი აწყობდნენ საერთო-საგანმანათლებლო და ტექნიკურ კურსებს, წრეებს, ლექციებს. კლუბების სახსრებს შეადგენდა საწევრო შენატანები და ლექციებითა და წარმოდგენებით მიღებული შემოსავალი. კლუბს «ზნანიე — სილა», რომელიც ნავთობის სამრეწველო რაიონებს უწევდა მომსახურებას, ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, კლუბს «ნაუკა» — მენშევიკები. — **198**.

88 ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის ყრილობა გაიხსნა პეტერბურგში 1909 წლის 28 დეკემბერს და რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ყრილობას 510 დელეგატი დაესწრო. ყრილობის მუშათა ჯგუფში 43 კაცი იყო, მათ შორის ბაქოს მუშების 2 დელეგატი. მუშა დელეგატების ნაწილი ყრილობის დამთავრებისთანავე დააპატიმრა პოლიციამ. — **199**.

89 **«დასაწყისი»** — ქართული ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1908 წლის 4-დან 30 მარტამდე. — **202**.

90 ან, ნ., კოსტროვი — ქართველ მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლიდერის ნოე ჟორდანიას ფსევდონიმები. — **202**.

91 სიტყვები, რომლებიც გ. ვ. პლეხანოვმა თქვა თავის გამოსვლაში საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე პარიზში 1889 წელს. — **205**.

92 ლაპარაკია მიწის კანონზე (ბრძანებულებაზე), რომელიც მეფის მინისტრმა სტოლიპინმა 1906 წლის 9 ნოემბერს გამოსცა გლეხების თემიდან ხუტორებად გამოყოფის შესახებ. — **209**.

93 წერილში ლაპარაკია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 1910 წლის 2—23 იანვარს (15 იანვარს — 5 თებერვალს) შედგა პარიზში. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საჭიროა «ყველა» მეტად თუ ნაკლებად ორგანიზებული ფრაქციის მოსპობა და მათი გადაქცევა ისეთ მიმდინარეობებად, რომლებიც არ დაარღვევენ პარტიული მოქმედების ერთიანობას». ვ. ი. ლენინის მტკიცე მოთხოვნით პლენუმმა დაჰგმო ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი (თუმცა რეზოლუციაში «ლიკვიდატორობა» და «ოტზოვიზმი» ნამდვილი მათი სახელით არ იყო მოხსენებული). პლენუმზე შემარიგებელი ელემენტების სიჭარბემ შესაძლებლობა

მისცა მათ გაეტარებინათ მთელი რიგი ანტილენინური გადაწყვეტილებანი. პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობაში, მიუხედავად ვ. ი. ლენინის პროტესტისა, გავიდა რამდენიმე მენშევიკი-ლიკვიდატორი. პლენუმის შემდეგ ლიკვიდატორებმა გააძლიერეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ. — **224**.

94 იგულისხმება დადგენილება პარტიის ცენტრალური დაწესებულებების — ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური ორგანოს რედაქციის, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიის რეორგანიზაციის («რეფორმის») შესახებ, მიღებული რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის მიერ (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, გამოცემა მე-6, 1940, გვ. 157, 158). — **224**.

95 წერილში ლაპარაკია ექვს თვეზე, რაც დარჩენილი იყო ი. ბ. სტალინის სოლვიჩეგოდსკში გადასახლების ვადის დამთავრებამდე. ე. ი. 1911 წლის ივნისის დამლევამდე. — **225**.

96 «მისლი» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის აპრილამდე. გამოვიდა ხუთი ნომერი. ჟურნალი დააარსა ვ. ი. ლენინმა. მასვე ეკუთვნოდა ჟურნალის ფაქტიური ხელმძღვანელობა. «მისლის» 1 — 4 ნომრებში მოთავსებული იყო ვ. ი. ლენინის სტატიები. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. ბოლშევიკებს გარდა ჟურნალში თანამშრომლობდნენ პლეხანოვი და სხვა მენშევიკი-პარტიელები. — **225**.

97 **«რაბოჩაია გაზეტა»** — პოპულარული ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე). გაზეთის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. პრაღის პარტიულმა კონფერენციამ (1912 წლის იანვარი) აღნიშნა «რაბოჩაია გაზეტას» დამსახურება პარტიისა და პარტიულობის დაცვის საქმეში და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ აღიარა იგი. — **225**.

98 «ზვეზდა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (ჯერ ყოველკვირეულად, შემდეგ კვირაში ორჯერ და სამჯერ). «ზვეზდას» საქმიანობას წარმართავდა ვ. ი. ლენინი; იგი სისტემატურად გზავნიდა საზღვარგარეთიდან თავის სტატიებს გაზეთისათვის. «ზვეზდას» უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. გ. პოლეტაევი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი და სხვები. გაზეთში მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. 1912 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ყოფნის დროს ი. ბ. სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა გაზეთის მუშაობას და მოათავსა მასში მთელი რიგი სტატიები, რომლებიც დაბეჭდილია ამ ტომში. გაზეთის ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათასს აღწევდა. «ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდის» გამოსვლა. 1912 წლის 22 აპრილს მეფის მთავრობამ «ზვეზდა» დახურა. «ზვეზდას» გაგრძელებას წარმოადგენდა «ნევსკაია ზვეზდა», რომელიც გამოდიოდა 1912 წლის ოქტომბრამდე. — **225.**

99 ფურცელი «პარტიისათვის!» ი. ბ. სტალინმა დაწერა 1912 წლის მარტის დამდეგს; ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ ფურცელთან ერთად — «რსდმპ საარჩევნო პლატფორმა» — ფართოდ ვრცელდებოდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 26-ე ნომერში ცენტრალური კომიტეტის ბიურო იუწყებოდა: «ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთში გამოსცა ფურცლები: 1) პარტიისათვის (6 ათასი); 2) საარჩევნო პლატფორმა (10 ათასი). ეს ფურცლები დაგზავნილია 18 პუნქტში, მათ შორის მთელ რიგ დიდ ცენტრებში... ცენტრალური კომიტეტის ფურცლებს ყველგან სიხარულით შეხვდნენ, ოღონდ წუხდნენ, რომ ფურცლები ცოტაა». 1912 წლის 29 მარტს გ. კ. ორჯონიკიძე კიევიდან იწერებოდა, ორივე ფურცელმა «ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ხალხი აღტაცებულიაო». ცოტა უფრო გვიან ნ. კ. კრუპსკაია, ვ. ი. ლენინის დავალებით, იწერებოდა: «მივიღეთ თქვენი ორი წერილი (ადგილობრივი საქმეებისა და დასახული გეგმების შესახებ) და 2 ფურცელი «პარტიისათვის» და «პლატფორმა». მხურვალედ მოგესალმებით». — **226.**

100 ფურცელში ლაპარაკია სრულიად რუსეთის მეექვსე პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც შედგა პრაღაში 1912 წლის 5 — 17

(18 — 30) იანვარს. კონფერენციამ გააერთიანა ბოლშევიკური ორგანიზაციები და გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა. კონფერენციის დადგენილებით მენშევიკები განდევნილ იქნენ პარტიიდან, სამუდამოდ მოეღო ბოლო ბოლშევიკების ფორმალურ გაერთიანებას მენშევიკებთან ერთ პარტიაში. პრაღის კონფერენციამ დასაწყისი მისცა ახალი ტიპის პარტიას (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 169 — 176). — **226**.

101 პროკლამაცია «გაუმარჯოს პირველ მაისს!» ი. ბ. სტალინმა დაწერა მოსკოვში 1912 წლის აპრილის დამდეგს. იბეჭდებოდა ფარულად თბილისში — ლეგალურ სტამბაში. პროკლამაციის ტირაჟი შემდეგ გადატანილ იქნა პეტერბურგში. — **233**.

102 ძირითად სახელმწიფო კანონთა 87-ე მუხლი უფლებას ანიჭებდა მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის დროს კანონპროექტები დასამტკიცებლად უშუალოდ წარედგინა მეფისათვის. ამის საფუძველზე სტოლიპინმა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კანონები გაატარა სათათბიროს გვერდის ავლით, კერძოდ აგრარულ საკითხში. — **243**.

103 «**ზაპროსი ჟიზნი**» — ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909—1912 წლებში. 1912 წლის ზაფხულში ვ. ი. ლენინი ამ ჟურნალის შესახებ ა. მ. გორკის წერდა: «სხვათა შორის, უცნაური ჟურნალია—ლიკვიდატორულ-ტრუდოვიკულ-ვეხისტური» (იხ. ლენინის კრებული I, გვ. 125). — **245**.

104 მშვიდობიანგანმაახლებელნი («მშვიდობიანი განახლების პარტია») — მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და დიდი მემამულეების პარტია; დაარსდა 1906 წელს. ლენინი მშვიდობიანგანმაახლებლებს «მშვიდობიანი გაძარცვის პარტიას» უწოდებდა. — **246**.

105 «**დელო ჟიზნი**» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის 22 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე. — **247**.

106 «**ნაშა ზარია**» — ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი, მენშევიკ-ლიკვიდატორთა ორგანო; გამოდიოდა 1910 წლიდან 1914 წლამდე პეტერბურგში. — **247**.

107 პროგრესისტები — რუსეთის ბურჟუაზიის ლიბერალურ-მონარქისტული ჯგუფი, რომელსაც შუალედი მდგომარეობა ეჭირა ოქტიაბრისტებსა და კადეტებს შორის. პროგრესისტების ლიდერები იყვნენ მოსკოველი მეფაბრიკეები რიაბუშინსკი, კონოვალოვი და სხვები. — **254.**

108 IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მოხდა 1912 წლის შემოდგომაზე. მაგრამ უკვე ამ წლის გაზაფხულიდან ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მეთაურობით დაიწყეს მოსამზადებელი მუშაობა საარჩევნო კამპანიისათვის. ბოლშევიკური პარტია IV სათათბიროს არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვიდა, დემოკრატიული რესპუბლიკის, 8-საათიანი სამუშაო დღის, მემამულეთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგებით. 1912 წლის მარტში ვ. ი. ლენინმა დაწერა «რსდმპ საარჩევნო პლატფორმა», რომელიც ფურცლად გამოიცა და რუსეთის მთელ რიგ უდიდეს ქალაქებში გავრცელდა. საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკების მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობას ი. ბ. სტალინი ახორციელებდა. 1912 წლის 22 აპრილს დაპატიმრებამ დროებით შეწყვიტა მისი მუშაობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის მზადების საქმეში. ი. ბ. სტალინი ნარიმის გადასახლებიდან გამოიქცა და პეტერბურგში დაბრუნდა 1912 წლის სექტემბერში, როცა საარჩევნო კამპანია გაჩაღებული იყო. — **256.**

109 «ზემშჩინა» — შავრაზმული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1909-დან 1917 წლამდე; სახელმწიფო სათათბიროს უკიდურესი მემარჯვენე დეპუტატების ორგანო. — **261.**

110 «ნოვოე ვრემია» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე; რეაქციული თავადაზნაურული და მოხელეურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანო. 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო გახდა. — **262.**

111 «გოლოს მოსკვი» — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტთა პარტიის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის დეკემბრიდან 1915 წლამდე. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ა. ი. გუჩკოვი. — **262.**

112 «პრავდა» — მუშათა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილიდან 1914 წლის 8 ივ-

ლისამდე. «პრავდა» დაარსებულ იქნა ვ. ი. ლენინის მითითებით, ი. ბ. სტალინის ინიციატივით. ი. ბ. სტალინი, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობდა «პრავდის» პლატფორმის გამომუშავებას და მონაწილეობას იღებდა გაზეთის პირველი ნომრის შედგენაში. 22 აპრილს, «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის დღეს, ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს. მან შეძლო განეახლებინა თავისი მუშაობა «პრავდაში» მხოლოდ 1912 წლის შემოდგომაზე, ნარიმის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ. 1912 წლის ოქტომბრიდან 1913 წლის თებერვლამდე «პრავდის» ფურცლებზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები, რომლებიც შესულია ამ ტომში. «პრავდის» რედაქციის წევრები და უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, ი. მ. სვერდლოვი, ა. მ. გორკი, კ. ნ. სამოილოვა და სხვები. ორწელიწადნახევარში მეფის მთავრობამ რვაჯერ დახურა «პრავდა», მაგრამ მუშების დახმარების მეოხებით იგი კვლავ გამოდიოდა ხოლმე ახალი სახელწოდებებით («რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ» და სხვ.). («პრავდის» მნიშვნელობისა და როლის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 181 — 187). — 265.

113 «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის» დაწერილია 1912 წლის ოქტომბრის დამდეგს. იგი ერთსულოვნად იქნა მიღებული პეტერბურგის უდიდეს საწარმოთა მუშების კრებებზე და მუშა-რწმუნებულთა ყრილობაზე 1912 წლის 17 ოქტომბერს. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა «განაწესის» განხილვას სახელდახელო საჭარხნო კრებებზე. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა «განაწესს». სტამბაში რომ გზავნიდა მას «სოციალ-დემოკრატში» დასაბეჭდად, ლენინმა არეებზე წააწერა: «აუცილებლად **დაბრუნეთ!!** არ დასვაროთ. **მეტისმეტად მნიშვნელოვანია** ამ დოკუმენტის შენახვა». «განაწესი» გამოქვეყნდა «სოციალ-დემოკრატის» 28 — 29-ე ნომერში 1912 წლის 5 (18) ნოემბერს. «პრავდის» რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი მტკიცედ მოითხოვდა: «აუცილებლად მოათავსეთ ეს განაწესი პეტერბურგის დეპუტატისათვის თვალსაჩინო ადგილას ისხვილი შრიფტით» (იხ. თხზულებანი, ტ. 35, მე-4 გამოც., გვ. 49). — 267.

114 ტერმინი «განმარტება» შემოკიდა იმასთან დაკავშირებით, რომ «მმართებელი» სენატი საარჩევნო კანონებს განმარტავდა მთავრო-

ბისათვის სასურველი აზრით. ხელისუფალნი, კანონებს რომ «განმარტავდნენ», ჩატარებულ არჩევნებს თვითნებურად აცხადებდნენ გაბათილებულად. — 267.

115 ამრჩეველთა არჩევნები პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიაში პირველად მოხდა რწმუნებულთა საგუბერნიო ყრილობაზე 1912 წლის 5 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის 21 უდიდეს საწარმოს წართმეული ჰქონდა საარჩევნო უფლებები, ყრილობის მიერ არჩეულ 6 ამრჩეველში 4 ბოლშევიკი აღმოჩნდა. «განმარტებულ» საწარმოთა მუშები მასების ზეგავლენით აღდგენილ იქნენ უფლებებში. 1912 წლის 14 ოქტომბერს ამ საწარმოებში რწმუნებულთა ახალი არჩევნები ჩატარდა, ხოლო 17 ოქტომბერს შედგა პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიის რწმუნებულთა მეორე ყრილობა. სწორედ ამ ყრილობაზე მოხდა ამრჩეველთა ხელმეორე არჩევნები, ამასთან აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო 5 კაცმა — ორმა ბოლშევიკმა და სამმა მენშევიკმა. მეორე დღეს მოხდა დამატებითი კენჭისყრა, რომლის შედეგადაც მეექვსე ამრჩევლად არჩეულ იქნა ბოლშევიკი.

არჩევნების გარშემო ბრძოლის მსვლელობა დაწვრილებით აწერილია ი. ბ. სტალინის კორესპონდენციაში — «არჩევნები პეტერბურგში», რომელიც «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა (იხ. ეს ტომი, გვ. 290 — 305). — 270.

116 «ლუჩი» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე. «ლუჩის» ფურცლებზე ლიკვიდატორები აშკარად გამოდიოდნენ არალეგალური პარტიის წინააღმდეგ. გაზეთი უმთავრესად ბურჟუაზიის სახსრებით არსებობდა. — 270.

117 იგულისხმება ობუხოვის ქარხანა. — 273.

118 პროკლამაცია «რუსეთის ყველა მუშას და მუშა-ქალს!», რომელიც მიძღვნილია 1905 წლის 9 იანვრის მერვე წლისთავისადმი, ი. ბ. სტალინმა დაწერა 1912 წლის დეკემბერში. ასეთი ფურცლის გამოცემის აუცილებლობაზე ვ. ი. ლენინი კრაკოვიდან წერდა ი. ბ. სტალინს პეტერბურგში 1912 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს): «ძვირფასო მეგობარო, 9 იანვრის შესახებ მეტად საჭიროა წინასწარ მოიფიქროთ და მოამზადოთ საქმე. წინასწარ უნდა გამ-

ზადდეს ფურცელი მოწოდებით მიტინგებისა, ერთდღიანი გაფიცვისა და დემონსტრაციებისაკენ (ეს ადგილობრივ უნდა გადაწყდეს, ადგილობრივ უკეთ ჩანს)... ფურცლის ლოზუნგები უნდა იყოს სამი რევოლუციური (რესპუბლიკა, 8-საათიანი სამუშაო დღე და მემამულეთა მიწების კონფისკაცია), განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი რომანოვთა დინასტიის «სირცხვილის» 300 წლისთავს. უკეთუ საჭიროებით, ზედმიწევნით არა ხართ დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ფურცლის დაბეჭდვა პეტერბურგში, წინასწარ დროულად უნდა დაამზადოთ იგი აქ და ჩაიტანოთ» (იხ. თხზულებანი, მე-3 გამოც., ტ. XXIX. გვ. 82). — **284**.

119 1912 წლის აგვისტო-ოქტომბერში კუტომარისა და ალგაჩის საკატორღო საპყრობილეების პოლიტიკურ პატიმართა შორის (ნერჩინსკის კატორღა — იმიერბაიკალის მხარე), საპყრობილეთა ადმინისტრაციის ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ხდებოდა მასობრივი შიმშილობა და თვითმკვლელობანი. ამ ამბების გამოხმაურება იყო მუშების საპროტესტო გაფიცვები და სტუდენტობის კრებები პეტერბურგში, მოსკოვსა და ვარშავაში. — **284**.

120 1912 წლის ოქტომბერში სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 142 მატროსის საქმეზე, რომლებსაც ბრალი დასდეს შავი ზღვის ფლოტის აჯანყების მომზადებაში. 17 ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, 106-ს — საკატორღო მუშაობა და 19 გაამართლეს. სასამართლოს განაჩენის პასუხად მოსკოვში, პეტერბურგში, ხარკოვში, ნიკოლაევში, რიგასა და რუსეთის სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო გაფიცვები და დემონსტრაციები. — **284**.

121 1911 წლის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა ახალი დოკუმენტები, რომლებიც ამჟღავნებდნენ მთავრობის პროვოკაციას: ს.-დ. დეპუტატების წინააღმდეგ შეგროვილი საბრალდებო მასალები მთლიანად პეტერბურგის ოხრანკის მიერ შეთითხნილი აღმოჩნდა. 1911 წლის შუა ნოემბერში III სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა შეკითხვა მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა საქმის გადასინჯვის შესახებ. შეკითხვა სათათბიროს უარყო. ამასთან დაკავშირებით პეტერბურგში, რიგაში, ვარშავასა და რუსეთის სხვა ქალაქებში იმართებოდა მრავალათასიანი

მიტინგები და გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვდნენ მსჯავრდადებული დეპუტატების განთავისუფლებას. — **286**.

122 პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად პეტერბურგში საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ი. ბ. სტალინი იყო. პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისია — პეტერბურგის კომიტეტის ვიწრო შემადგენლობა; მას გამოჰყოფდნენ ხოლმე მიმდინარე მუშაობის გასაძღოლად. — **291**.

123 ლიკვიდატორებმა 1912 წლის სექტემბერში გამოცემული თავიანთი საარჩევნო პლატფორმიდან ამოიღეს რსდმპ პროგრამა-მინიმუმის ძირითადი პოლიტიკური ლოზუნგები. დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგი მათ შეცვალეს «სახელმწიფო სათათბიროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს» საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნით; მემამულეთა მიწებების კონფისკაციის ლოზუნგი — «III სათათბიროს აგრარული კანონმდებლობის გადასინჯვის» მოთხოვნით. — **294**.

124 ლაპარაკია ლიკვიდატორთა ეგრეთწოდებულ «აგვისტოს» კონფერენციაზე, რომელიც ვენაში შედგა 1912 წლის აგვისტოში. ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა ბოლშევიკების პრაღის კონფერენციისათვის დასაპირისპირებლად. — **297**.

125 ბოლშევიკი «X» — ნ. გ. პოლეტაევი; ლიკვიდატორი «Y» — ალბათ, ე. მაევსკი (ვ. ა. გუტოვსკი).

ქვემოთ მოხსენებული პიტერელი ლიკვიდატორები «აბ... და ლ...» — ვ. მ. აბროსიმოვი და ვ. ლევიცკი (ვ. ო. ცედერბაუმი). — **299**.

126 **«ნევსკი გოლოს»** — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის მაის-აგვისტოში. — **302**.

127 **იხ. «წერილები კავკასიიდან»**, ამ ტომის გვ. 201 — 205. — **308**.

128 «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-9 ნომერში გ. ვ. პლეხანოვმა გააკრიტიკა ქართველ მენშევიკ-ლიკვიდატორ ს. ჯიბლაძის გამოსვლა «გოლოს სოციალ-დემოკრატაში». — **308**.

129 პანისლამიზმი — რეაქციული, რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა სულთანის თურქეთში თურქ მემამულეებში, ბურჟუაზიასა და სასულიერო წოდებაში და შემდეგ გავრცელდა სხვა მუსლიმანი ხალხების შეძლებულ კლასებში. პანისლამიზმი ქადაგებდა ყველა იმ ხალხთა ერთ მთელად გაერთიანებას, რომელნიც ისლამს (მუსლიმანურ რელიგიას) აღიარებენ. პანისლამიზმის დახმარებით მუსლიმან ხალხთა გაბატონებული კლასები ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები და ჩაეხშოთ აღმოსავლეთის ხალხების მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა. — **309**.

130 სტატია «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» დაწერილია 1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს ვენაში; პირველად დაიბეჭდა კ. სტალინის ხელმოწერით ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» 1913 წლის მე-3 — 5 ნომრებში სათაურით «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». 1914 წელს ი. ბ. სტალინის სტატია გამოიცა ცალკე ბროშურად სათაურით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» «პრიბოის» გამომცემლობაში (პეტერბურგი). ბროშურა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ამოღებულ იქნა ყველა საჯარო ბიბლიოთეკიდან და საზოგადოებრივი სამკითხველოდან. 1920 წელს ნაშრომი ხელახლა გამოსცა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა ი. ბ. სტალინის «სტატიების კრებულში» ნაციონალურ საკითხზე (სახელმწიფო გამომცემლობა, ტულა). 1934 წელს სტატია შევიდა წიგნში: **ი. სტალინი.** მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი. რჩეული სტატიებისა და სიტყვების კრებული. სტატიაში «რსდმპ ნაციონალური პროგრამის შესახებ» ლენინი აღნიშნავდა იმ მიზეზებს, რომლებმაც ამ პერიოდში ნაციონალური საკითხი თვალსაჩინო ადგილზე წამოსწიეს, და წერდა: «თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და ს.-დ. ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე გაშუქებულ იქნა ამ ბოლო დროს (პირველი ადგილი აქ უკავია სტალინის სტატიას)». 1913 წლის თებერვალში (ახ. სტ.) ვლადიმერ ილიას-ძე წერდა ა. მ. გორკის: «ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და «პროსვეშჩენიესათვის» წერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეჰკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები». როცა შეიტყო, რომ წინადადება იყო სტატია სადისკუსიოდ ჩაეთვალათ, ლენინი გადაჭრით წინააღუდგა ამას: «რა თქმა უნდა, ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ. სტატია ძალიან კარგია.

საკითხი საბრძოლოა და ჩვენ იოტის ოდენადაც არ დავთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელი არამზადების წინააღმდეგ» (მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის არქივი). მალე ი. ბ. სტალინის დაპატიმრების შემდეგ, 1913 წლის მარტში, ვ. ი. ლენინი «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას წერდა: «...ჩვენთან საშინელი დაპატიმრებებია. კობა დაიჭირეს... კობამ მოასწრო დაეწერა დიდი («პროსვეშჩენიეს» სამი ნომრისათვის) სტატია ნაციონალურ საკითხზე. კარგი რამაა! უნდა ვიბრძოლოთ ჰეშმარიტებისათვის ბუნდისა და ლიკვიდატორების წრის სეპარატისტთა და ოპორტუნისტთა წინააღმდეგ» (მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის არქივი). — **312.**

131 სიონიზმი — რეაქციულ-ნაციონალისტური მიმდინარეობა, რომელსაც მომხრეები ჰყავდა ებრაელ ბურჟუაზიაში, ინტელიგენციასა და ებრაელ მუშათა ყველაზე ჩამორჩენილ ფენებში. სიონისტები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ ებრაელ მუშათა მასები პროლეტარიატის საერთო ბრძოლისაგან. — **313.**

132 ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბრიუნის პარტეიტაგი (ყრილობა) შედგა 1899 წლის 12 — 17 (24 — 29) სექტემბერს. პარტეიტაგის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის ტექსტი ი. ბ. სტალინს მოჰყავს ამ ნაშრომის შემდგომ თავში (იხ. გვ. 346 — 347). — **339.**

133 «ჩვენში, მადლობა ღმერთს, პარლამენტი არ არის» — მეფის ფინანსთა მინისტრ (შემდეგში პრემიერ) ვ. კოკოვცევის მიერ 1908 წლის 24 აპრილს სახელმწიფო სათათბიროში ნათქვამი სიტყვები. — **343.**

134 იხ. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» II თავი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», სახელგამი, 1940, გვ. 48). — **355.**

135 ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვენის პარტეიტაგი (ანუ ვიმბერგისა — ვენის იმ სასტუმროს სახელწოდების მიხედვით, სადაც ყრილობის სხდომები იმართებოდა) მიმდინარეობდა 1897 წლის 25 — 31 მაისს (6 — 12 ივნისს). — **357.**

136 იგულისხმება კ. მარქსის სტატია «Zur Judenfrage» («ებრაელთა საკითხისათვის»), რომელიც 1844 წელს დაიბეჭდა «Deutsch-Fran-

zösische Jahrbücher»-ში («გერმანულ-ფრანგული წელიწდეული») (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, რუს. გამოც.). — **358.**

137 ბუნდის VIII კონფერენცია 1910 წლის სექტემბერში შედგა ლვოვში. — **365.**

138 გ. ვ. პლეხანოვმა სტატიაში «კიდევ ერთი გამთიშველი კონფერენცია», რომელიც მოთავსებული იყო გაზეთში «ზა პარტიუ» 1912 წლის 2 (15) ოქტომბერს, დაჰგმო ლიკვიდატორთა «აგვისტოს» კონფერენცია, ხოლო ბუნდელთა და კავკასიელ სოციალ-დემოკრატთა პოზიცია დაახასიათა როგორც სოციალიზმის შეგუება ნაციონალიზმთან. წერილში ლიკვიდატორულ ჟურნალ «ნაშა ზარიას» რედაქციისადმი ბუნდელთა ლიდერმა კოსოვსკიმ გააკრიტიკა პლეხანოვი. — **368.**

139 ბუნდის VII ყრილობა შედგა ლვოვში 1906 წლის აგვისტოს დამ. ლევს — სექტემბრის დამდეგს (იხ. სტ.). — **369.**

140 «ისკრა» — პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი, 1900 წელს ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებული (იხ. ი. ბ. სტალინის თხზულებანი, ტ. 1, გვ. 376, შენიშვნა 26). — **371.**

141 კარლ ვანეკი — ჩეხი სოციალ-დემოკრატი, რომელიც აშკარა შოვინისტურ, სეპარატისტულ პოზიციებზე იდგა. — **372.**

142 «ჩვენი ცხოვრება» — ქართველ მენშევიკთა ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა ქუთაისში 1912 წლის 1-დან 22 ივლისამდე.—**374.**

143 ბალკანეთის პირველი ომი დაიწყო 1912 წლის ოქტომბერში, ერთი მხრივ, ბულგარეთსა, სერბიასა, საბერძნეთსა და ჩერნოგორიას და, მეორე მხრივ, თურქეთს შორის. — **388.**

144 იხ. დადგენილებანი რსდმპ მეოთხე («სრულიად რუსეთის მესამე») კონფერენციისა, რომელიც შედგა 1907 წლის 5 — 12 ნოემბერს, და რსდმპ V («სრულიად რუსეთის 1908 წლის») კონფერენციისა, რომელიც შედგა 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის

3 — 9 იანვარს) (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, გამოცემა მე-6, 1940, გვ. 118, 131). — **395**.

145 იაგელო, ე. ი. — პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) წევრი, არჩეულ იქნა IV სახელმწიფო სათათბიროში ვარშავიდან ბუნდისა და პპს-ის მიერ პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან შეკრული ბლოკით. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მენშევიკ-ლიკვიდატორთა (მენშევიკური შვიდეულის) ხმების უმეტესობით 6 ბოლშევიკი დეპუტატის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ იაგელო მიეღოთ ს.-დ. ფრაქციაში. — **395**.

146 **«პროსვეშჩენიე»** — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალის მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, რომელსაც რეგულარული მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთში მყოფ სარედაქციო კოლეგიის წევრებთან (მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა). პეტერბურგში ყოფნისას ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა **ი. ბ. სტალინი**. ჟურნალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული «პრავდასთან». 1914 წლის ივნისში, პირველი მსოფლიო ომის წინ, მთავრობამ ეს ჟურნალი დახურა. 1917 წლის შემოდგომაზე გამოშვებულ იქნა ერთი ორმაგი ნომერი. — **395**.

147 1912 წლის დეკემბერში IV სათათბიროს მუშა დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს, რომ მათი გვარები «ლუჩის» თანამშრომელთა სიაში შეეტანათ. ამავე დროს ისინი განაგრძობდნენ «პრავდაში» თანამშრომლობას. ფაქტიურად მუშა დეპუტატები «ლუჩში» არ მონაწილეობდნენ. ცენტრალური კომიტეტის სათანადო მითითების შემდეგ მათ განაცხადეს მოეხსნათ მათი გვარები «ლუჩის» თანამშრომელთა რიცხვიდან. ამ განცხადებასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორ ჯგუფს (ბოლშევიკურ ექვსეულსა და მენშევიკურ შვიდეულს) შორის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. — **396**.

148 ლაპარაკია III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე. — **397**.

149 «ჟივოე დელო» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის იანვრიდან აპრილამდე. — **397.**

150 პროკლამაცია «ლენის ხოცვა-ჟლეტის წლისთავი» ი. ბ. სტალინმა კრაკოვში დაწერა 1913 წლის იანვარ-თებერვალში. ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ხელით გადაწერილი, ეს პროკლამაცია ჰექტოგრაფით გაამრავლეს და რუსეთში გადმოგზავნეს; ვრცელდებოდა პეტერბურგში, კიევში, მოგილიოვში, თბილისსა და სხვა ქალაქებში.—**401.**

151 IV სახელმწიფო სათათბიროს სხდომები გაიხსნა 1912 წლის 15 ნოემბერს. — **403.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1907 წ. — 1917 წ. მარტი)

1907

1 იანვარი. გამოდის 1-ლი ნომერი გაზეთ «მნათობისა», რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

გაზეთ «ახალი დროების» მე-8 ნომერში დაბეჭდილია გაგრძელება ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?».

10 თებერვალი. ი. ბ. სტალინი წერს კ. კაუცკის ბროშურის — «იუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» — ქართული გამოცემის წინასიტყვაობას.

18 თებერვალი. გამოდის 1-ლი ნომერი გაზეთ «ჩვენი ცხოვრებისა», რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა. ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები».

21 — 28 თებერვალი. გაზეთ «ჩვენი ცხოვრების» მე-3, მე-5, მე-8 და მე-9 ნომრებში იბეჭდება გაგრძელება ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?».

11 მარტი. გამოდის 1-ლი ნომერი გაზეთისა «დრო», რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

18 მარტი. გაზეთ «დროს» მე-2 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა?».

17 მარტი. გაზეთ «დროს» მე-6 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან» (მოწინავე).

22 მარტი. გაზეთ «დროს» მე-10 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «ამხ. გ. თელიას ხსოვნას».

28 და 30 მარტი. გაზეთ «დროში» იბეჭდება თბილისის ბოლშევიკი მუშების რეზოლუციები ი. ბ. სტალინის რსდმპ V ყრილობის დელეგატად არჩევის შესახებ.

4 — 6 და 10 აპრილი. გაზეთ «დროს» 21 — 23-ე და 26-ე ნომრებში იბეჭდება გაგრძელება ი. ბ. სტალინის ნაშრომისა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?».

8 აპრილი. გაზეთ «დროს» 25-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «მოწინავე პროლეტარიატი და პარტიის მეხუთე ყრილობა» (მოწინავე).

10 აპრილი. გაზეთ «დროს» 26-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «აბდაუბდა...»

13 აპრილი. გაზეთ «დროს» 29-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «ჩვენი კავკასიელი კლოუნები».

30 აპრილი — 19 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ V («ლონდონის») ყრილობის მუშაობაში როგორც თბილისის ორგანიზაციის დელეგატი.

ივნისის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი, რსდმპ V («ლონდონის») ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ, ბაქოსა და თბილისში ჩამოდის; გამოდის მოხსენებებით ყრილობის შედეგების შესახებ ბაქოს, თბილისის და დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების სოც.-დემ. ორგანიზაციების კრებებზე. ი. ბ. სტალინი სათავეში უდგას

ბოლშევიკების ბრძოლას მენშევიკებთან, ესერებთან და სხვ.

20 ივნისი. გამოდის 1-ლი ნომერი ბოლშევიკურ არალეგალურ გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარისა», რომელსაც ი. ბ. სტალინი რედაქტორობდა. გაზეთში დაბეჭდილია მისი სტატიები: «სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები» (მოწინავე), «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)».

ზაფხული — შემოდგომა. ი. ბ. სტალინი ბაქოს რაიონებში მოწყობილ სადისკუსიო კრებებზე ამხილებს მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკას.

ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს ნავთობის მრეწველებთან თათბირის ბოიკოტის კამპანიას.

10 ივლისი. გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარისის» მე-2 ნომერში დაბეჭდილია გაგრძელება სტატიისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)».

ივლისის დამლევი. ბაქოს ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის მეთაურობით აწყობენ ნავთობის სამრეწველო რაიონების პარტიულ კონფერენციას, რომელიც გამოთქვამს აზრს საერთო გაფიცვის მოწყობის სასარგებლოდ.

12 აგვისტო. გამოდის 1-ლი ნომერი გაზეთ «გუდოკისა». «გუდოკი» იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის ლეგალური ბოლშევიკური ორგანო, რომელიც დაარსდა ი. ბ. სტალინის ინიციატივით.

24 აგვისტო. ხუთი რაიონული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და მუსლიმანური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის «გუმეტის» დელეგატთა კრებაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ საერთო-საქალაქო პარტიული კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის წევრად.

სექტემბერი — ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიას.

22 სექტემბერს მუშათა კურიის რწმუნებულთა კრებაზე ბაქოში მიიღეს ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი «განაწესი» III სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. დეპუტატებისათვის.

29 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს კაპიტალისტთა დაქირავებული აგენტების მიერ მოკლული მუშა-ბოლშევიკის ხანლარ საფარალიევის საფლავზე.

გაზეთ «გუდოკის» მე-4 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «თათბირს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ!».

25 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინს საერთო-საქალაქო ბოლშევიკურ კონფერენციაზე ირჩევენ რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრად.

ნოემბრის პირველი ნახევარი. საბუნჩის საავადმყოფოს შენობაში ეწყობა რსდმპ ბაქოს კომიტეტის სხდომა ი. ბ. სტალინის მონაწილეობით.

22 ნოემბერი. რსდმპ ბაქოს კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით აწყობს ერთდღიან საპროტესტო გაფიცვას II სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის გასამართლების წინააღმდეგ.

ნოემბრის დამლევი. ი. ბ. სტალინი თბილისში ჩამოდის პარტიულ საქმეებზე.

1907 წ. ნოემბერი — 1908 წ. მარტი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს კამპანიას ნავთობის მრეწველებთან თათბირში ბაქოს მუშების მონაწილეობის სასარგებლოდ, მუშების უფლებათა გარანტიის პირობით.

1908

18 იანვარი. გაზეთ «გუდოკის» მე-14 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «არჩევნების წინ» (მოწინავე).

იანვარი — თებერვალი. ბაქოს ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით აწყობენ მთელ რიგ დიდ გაფიცვებს.

3 თებერვალი. გაზეთ «გუდოკის» მე-17 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «ისევ გარანტიანი თათბირის შესახებ» (მოწინავე).

თებერვალი. რსდმპ ბაქოს კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით აწყობს «თავდაცვის შტაბს», შავრაზმელთა თავდასხმების გახშირების გამო.

2 მარტი. გაზეთ «გუდოკის» 21-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «რას გვეუბნება ჩვენი ბოლოდროინდელი გაფიცვები?».

9 მარტი. გაზეთ «გუდოკის» 22-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «შემობრუნება ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში» (მოწინავე).

16 მარტი. გაზეთ «გუდოკის» 23-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «უნდა ვემზადოთ!» (მოწინავე).

25 მარტი. ი. ბ. სტალინი, რომელიც გაიოზ ნიჟარაძის სახელს ატარებდა, დააპატიმრეს და ქ. ბაქოს ბაილოვის საპყრობილეში მოათავსეს.

25 მარტი — 9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი, საპყრობილეში ყოფნისას, კავშირს ამყარებს და ინარჩუნებს ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან, ხელმძღვანელობს რსდმპ ბაქოს კომიტეტს და წერს სტატიებს გაზეთების «ბაკინსკი პროლეტარისა» და «გუდოკისათვის».

საპყრობილეში ი. ბ. სტალინი მუშაობს პოლიტიკურ პატიმართა შორის, ატარებს დისკუსიებს ესერებთან და მენშევიკებთან, აწყობს პოლიტიკური პატიმრების მიერ მარქსისტული ლიტერატურის შესწავლას.

20 მარტი. გაზეთ «გუდოკის» 25-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «ეკონომიური ტერორი და მუშათა მოძრაობა» (მოწინავე).

21 აპრილი — 18 მაისი. გაზეთ «გუდოკის» 28-ე, 30-ე და 32-ე ნომრებში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «ნავთობის მრეწველნი ეკონომიური ტერორის შესახებ».

20 ივლისი. გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» მე-5 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატიები: «ლაქია «სოციალისტები»» და «ფარისეველი ზუბატოველები».

გაზეთის დამატებაში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «თათბირი და მუშები».

9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ ორი წლის ვადით.

1909

იანვარი. ი. ბ. სტალინი ეტაპით ვოლოგდაში ჩაჰყავთ და ვოლოგდის საპყრობილეში ათავსებენ.

27 იანვარი. ი. ბ. სტალინის გადასახლების ადგილად დანიშნულია ვოლოგდის გუბერნიის ქ. სოლვიჩეგოდსკი.

8 თებერვალი. გადასახლების ადგილისაკენ ეტაპით გაგზავნილი ი. ბ. სტალინი გზაში ავად ხდება შებრუნებითი ტიფით და ვიატკის საპყრობილიდან იგი ვიატკის საერობო საავადმყოფოში გადაჰყავთ.

20 თებერვალი. ი. ბ. სტალინი საავადმყოფოდან კვლავ ვიატკის საპყრობილეში გადაჰყავთ.

27 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ჩაიყვანეს სოლვიჩეგოდსკში.

24 ივნისი. ი. ბ. სტალინი გამოიქცა სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან.

ივლისის დამდეგი. ი. ბ. სტალინი გავლით რამდენიმე დღეს იმყოფება პეტერბურგში.

ივლისის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი არალეგალურად ჩამოდის ბაქოში, სათავეში უდგება მუშაობას ბაქოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების აღსადგენად და განსამტკიცებლად.

1 აგვისტო. გამოდის (ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ) გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» მე-6 ნომერი ი. ბ. სტალინის მოწინავე სტატიით «პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები».

2 აგვისტო. რსდმპ ბაქოს კომიტეტი, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, იღებს რეზოლუციას «პროლეტარის» რედაქციაში შექმნილი ვითარების შესახებ და მხარს უჭერს «რედაქციის უმრავლესობის პოზიციას, რომლის წარმომადგენელიც არის ამხ. ლენინი».

27 აგვისტო. გაზეთ «ბაკინსკი პროლეტარის» მე-7 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატიები: «პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები» (დასასრული) და «მომავალი საერთო გაფიცვისათვის».

სექტემბრის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი ბაქოდან ჩამოდის თბილისში, სადაც აწყობს და წარმართავს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ.

სექტემბრის დამლევი. ი. ბ. სტალინი ზომებს იღებს ბაქოს კომიტეტის არალეგალური სტამბის მუშაობის აღსადგენად.

19 ოქტომბერი — ნოემბრის დამდეგი. ი. ბ. სტალინი თბილისში ჩამოდის და ამზადებს თბილისის საერთო-საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწვევას და ბოლშევიკურ გაზეთ «ტიფლისკი პროლეტარის» გამოცემას.

არა უგვიანეს 12 ნოემბრისა. ი. ბ. სტალინი თბილისიდან ბაქოში ბრუნდება.

14 დეკემბერი. რსდმპ ბაქოს კომიტეტმა გამოუშვა ი. ბ. სტალინის ძიერ დაწერილი პროკლამაცია «დეკემბრის გაფიცვისა და დეკემბრის ხელშეკრულების შესახებ» (ბაქოს 1904 წლის გაფიცვის მეხუთე წლისთავის გამო).

ნოემბერი — დეკემბერი. ი. ბ. სტალინი წერს და პარტიის ცენტრალურ ორგანოს უგზავნის «წერილებს კავკასიიდან».

1910

1910 წლიდან ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულია («ცენტრალური კომიტეტის აგენტი»).

---

1 იანვარი. გამოდის 1-ლი ნომერი გაზეთ «ტიფლისკი პროლეტარისა», რომელიც დაარსდა ი. ბ. სტალინის უშუალო მონაწილეობით.

22 იანვარი. რსდმპ ბაქოს კომიტეტი იღებს ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ რეზოლუციას საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის, პარტიული მუშაობისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკული ცენტრის რუსეთში გადმოტანისა და საერთო-რუსული ხელმძღვანელი გაზეთის გამოცემის აუცილებლობის შესახებ.

23 მარტი. ი. ბ. სტალინი, რომელიც ზაქარ გრიგორიან მელიქიანცის სახელს ატარებდა, დააპატიმრეს.

გამოდის ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი ფურცელი «ავგუსტ ბებელი, გერმანიის მუშების ბელადი».

28 მარტი. ი. ბ. სტალინი მოათავსეს ქ. ბაქოს ბაილოვის საპყრობილეში.

7 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი საპყრობილეში იღებს კავკასიის მეფისნაცვლის 27 აგვისტოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ მას ხუთი წლის განმავლობაში აკრძალული აქვს კავკასიაში ცხოვრება.

23 სექტემბერი. ი. ბ. სტალინს ეტაპით გზავნიან სოლვიჩეგოდსკში.

29 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ჩაჰყავთ სოლვიჩეგოდსკში.

1910 წ. ნოემბერი — 1911 წ. ივნისი. ი. ბ. სტალინი კავშირს ამყარებს ვ. ი. ლენინთან, აწყობს გადასახლებულთა კრებებს, რომლებზედაც კითხულობენ რეფერატებს, მსჯელობენ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე.

31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი წერს წერილს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს («წერილი სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან»).

1911

მარტი — ივნისი. სოლვიჩეგოდსკში ი ბ. სტალინს (მ. პ. კუზაკოვას სახლში) არა ერთხელ ჩხრეკენ.

1 ივნისი. ი. ბ. სტალინი პარიზში შემდგარ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირზე დაუსწრებლად ინიშნება პარტიული კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის წევრობის კანდიდატად.

23 — 26 ივნისი. ი. ბ. სტალინს სოლვიჩეგოდსკში სამი დღით აპატიმრებენ გადასახლებული სოციალ-დემოკრატების კრების მოწყობისათვის.

27 ივნისი. ი. ბ. სტალინი განთავისუფლებულია პოლიციის აშკარა მეთვალყურეობისაგან, გადასახლების ვადის

დამთავრებასთან დაკავშირებით. კავკასიაში, დედაქალაქებსა და საფაბრიკო-საქარხნო ცენტრებში ცხოვრების აკრძალვის გამო ი. ბ. სტალინი საცხოვრებელ ადგილად ირჩევს პეტერბურგის ახლო მდებარე ვოლოგდას.

ი ივლისი. ი. ბ. სტალინი სამგზავრო მოწმობით მიემგზავრება სოლვიჩეგოდსკიდან ვოლოგდაში.

16 ივლისი. ი. ბ. სტალინი ჩადის ვოლოგდაში.

ივლისი — სექტემბერი. ვოლოგდაში ი. ბ. სტალინი პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ვლისი. ი. ბ. სტალინმა დაწერა წერილი ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამომავალი «რაბოჩაია გაზეტას» რედაქციისადმი. წერილში ი. ბ. სტალინი იტყობინება, რომ განზრახული აქვს იმუშაოს პეტერბურგში ან მოსკოვში.

ი სექტემბერი. ი. ბ. სტალინი არალეგალურად მიდის ვოლოგდიდან პეტერბურგში.

7 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი პეტერბურგში ჩადის და ეწერება პ. ა. ჩიჟიკოვის პასპორტით.

ი — 9 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ხვდება ბოლშევიკებს ს. თოდრიასა და ს. ალილუევს, კავშირს ამყარებს პეტერბურგის პარტიულ ორგანიზაციასთან.

9 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს და მოათავსეს საპყრობილეში (პეტერბურგის წინასწარი პატიმრობის სახლში).

14 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს ასახლებენ ვოლოგდაში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ სამი წლის ვადით.

ის დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ჩაჰყავთ ვოლოგდაში.

1912

5 (18) და 17 (30) იანვარს შუა. მეექვსე («პრაღის») საერთო-პარტიულ კონფერენციაზე ი. ბ. სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

კონფერენციაზე იქმნება პრაქტიკული ცენტრი რუსეთში რევოლუციური მუშაობის სახელმძღვანელოდ (ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო) ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

შუა თებერვალი. ვ. ი. ლენინის დავალებით ი. ბ. სტალინთან, რომელიც ვოლოგდაში იმყოფებოდა, ჩადის ც. კ-ის რუსეთის ბიუროს წევრი გ. კ. ორჯონიკიძე, რათა პირადად მიაწოდოს ი. ბ. სტალინს ინფორმაცია პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ.

29 თებერვალი. ი. ბ. სტალინი გამოიქცა ვოლოგდის გადასახლებიდან.

მარტის დამდეგი. ი. ბ. სტალინი წერს ფურცელს «პარტიისათვის!». ფურცელი გამოდის რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით და ფართოდ ვრცელდება რუსეთში.

მარტის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი ბაქოსა და თბილისში ჩამოდის, რათა მოაწყოს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. წერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის № 1 ცირკულარულ წერილს პარტიული ორგანიზაციებისადმი ცნობით ცენტრალური კომიტეტის საბოლოო კონსტიტუირების შესახებ.

29 მარტი. ი. ბ. სტალინი აწყობს ბაქოს ბოლშევიკური რაიონული ორგანიზაციების მუშაკთა თათბირს. თათბირი

უერთდება პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

30 მარტი. ი. ბ. სტალინი წერს და გაზეთ «სოციალ-დემოკრატს» უგზავნის კორესპონდენციას ბაქოს თათბირის შესახებ.

1 აპრილი. ი. ბ. სტალინი ბაქოდან პეტერბურგს მიემგზავრება.

აპრილის დამდეგი. პეტერბურგს მიმავალი ი. ბ. სტალინი მოსკოვში ჩერდება და ხვდება გ. კ. ორჯონიკიძეს.

ი. ბ. სტალინი წერს პროკლამაციას «გაუმარჯოს პირველ მაისს!».

ი. ბ. სტალინი თბილისში გზავნის მოსკოვის პარტიულ მუშაკთა ჯგუფის რეზოლუციის ტექსტს. ეს ჯგუფი მიესალმება პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და ახლად შექმნილ ცენტრალურ კომიტეტს.

ი. ბ. სტალინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით წერს წერილს კლარა ცეტკინს და თხოვს — მასთან შენახული პარტიული ფული გადასცეს ცენტრალურ კომიტეტს IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

10 აპრილი. ი. ბ. სტალინი არალეგალურად ჩადის პეტერბურგში.

10—22 აპრილი. ი. ბ. სტალინი რედაქტორობს მუშათა ბოლშევიკურ გაზეთ «ზვეზდას».

«ზვეზდაში» დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატიები: «ახალი ხანა» (მოწინავე), «ცხოვრება იმარჯვებს!», «ისინი კარგად მუშაობენ...», «დაიძრა!..» (მოწინავე), «როგორ ემზადებიან ისინი არჩევნებისათვის», «დასკვნები» (მოწინავე) და სხვ.

შუა აპრილი. ი. ბ. სტალინი უთანხმდება III სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის წევრებს ნ. გ. პოლეტაევსა და ი. პ. პოკროვსკის, აგრეთვე ბოლშევიკ ლიტერატორებს მ. ს. ოლმინსკისა და ნ. ნ. ბატურინს გაზეთ «პრავდის» გამოცემისა და მისი პლატფორმის შესახებ და მათთან ერთად ადგენს გაზეთის პირველ ნომერს.

22 აპრილი. გამოდის ყოველდღიური მუშათა გაზეთის «პრავდის» 1-ლი ნომერი ი. ბ. სტალინის სტატიით «ჩვენი მიზნები».

ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს და მოათავსეს საპყრობილეში (წინასწარი პატიმრობის სახლში).

9 ივლისი. ი. ბ. სტალინი ეტაპით იგზავნება პეტერბურგიდან ნარიმის მხარეში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ სამი წლის ვადით.

18 ივლისი. ი. ბ. სტალინი ზედამხედველის თანხლებით ტომსკიდან გემ «კოლპაშეველით» იგზავნება გადასახლების ადგილას ნარიმში.

1 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი გამოიქცა ნარიმის გადასახლებიდან.

12 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ჩადის პეტერბურგში.

სექტემბერი — ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიას, აწყობს ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ.

ი. ბ. სტალინი რედაქტორობს გაზეთ «პრავდას».

4 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შედგა პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა — მოეწყოს ერთდღიანი გაფიცვა ნიშნად პროტესტისა პეტერბურგის უდიდეს ქარხნებში (პუტილოვისა და სხვ.) რწმუნებულთა არჩევნების გაუქმების წინააღმდეგ.

ოქტომბრის დამდეგი. ი. ბ. სტალინი აწყობს არალეგალურ პარტიულ თათბირს, რომელმაც განიხილა ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა და დაასახელა IV სახელმწიფო სათათბიროს მუშა დეპუტატის კანდიდატურა.

ი. ბ. სტალინი წერს «პეტერბურგის მუშების განაწესს თავიანთი მუშა დეპუტატისათვის».

შუა ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციაში უგზავნის «პეტერბურგის მუშების განაწესს» («განაწესი» გამოქვეყნდა «სოციალ-დემოკრატის» 1912 წლის 5 (18) ნოემბრის 28 — 29-ე ნომერში).

17 ოქტომბერი. პეტერბურგის გუბერნიის მუშათა კურიის რწმუნებულთა ყრილობა იღებს ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ «განაწესს».

19 ოქტომბერი. გაზეთ «პრავდის» 147-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «რწმუნებულთა ნება» (მოწინავე).

21 ოქტომბერი (3 ნოემბერი). ნ. კ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინის დავალებით «პრავდას» და ს.-დ. ფრაქციის წევრებს წერს, რომ საჭიროა ი. ბ. სტალინის ჩასვლა კრაკოვში.

24 ოქტომბერი. გაზეთ «პრავდის» 151-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «პეტერბურგის მუშათა კურიაში ჩატარებული არჩევნების შედეგებისათვის».

25 ოქტომბერი. გაზეთ «პრავდის» 152-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «დღეს არჩევნებია».

ოქტომბრის დამლევი. ი. ბ. სტალინი ერთ ხანს იმყოფება მოსკოვში, კავშირს ამყარებს IV სახელმწიფო სათათბიროს ახლად არჩეულ დეპუტატებთან — მუშა-ბოლშევიკებთან.

29 ოქტომბერი. 10 ნოემბრამდე. ი. ბ. სტალინი მოსკოვიდან პეტერბურგს ბრუნდება. ი. ბ. სტალინი არალეგალურად ჩადის კრაკოვში ვ. ი. ლენინთან.

11 (24) ნოემბერი. ვ. ი. ლენინი «პრავდის» რედაქციას უგზავნის მის მიერ ი. ბ. სტალინისაგან მიღებულ «განაწესს» და წინადადებას იძლევა მოათავსონ იგი «თვალსაჩინო ადგილას, მსხვილი შრიფტით».

ნოემბრის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა სხდომაზე კრაკოვში.

ნოემბრის დამლევი — დეკემბრის დამდეგი. ი. ბ. სტალინი, კრაკოვიდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, ხელმძღვანელობს IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობას.

23 ნოემბერი (6 დეკემბერი). ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ წერილში წერს 9 იანვრის წლისთავისათვის მზადებისა და ფურცლების გამოშვების საჭიროების შესახებ.

დეკემბრის პირველი ნახევარი. ნ. კ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინის დავალებით წერს ი. ბ. სტალინს, რომ საჭიროა მისი ჩასვლა კრაკოვში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირზე IV სათათბიროს დეპუტატებთან (ბოლშევიკურ «ექვსეულთან») ერთად.

დეკემბრის დამლევი. ი. ბ. სტალინი არალეგალურად მიდის კრაკოვში.

1912 წ. 28 დეკემბერი (1913 წ. 10 იანვარი) — 1913 წ. 1 (14) იანვარი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა «თებერვლის» თათბირში პარტიულ მუშაკებთან და სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის წევრ-ბოლშევიკებთან ერთად. თათბირზე, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი სახავენ ღონისძიებებს «პრავდის» რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1912 წ. დეკემ-ბრის დამლევი— გამოდის ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია **«რუსეთის ყველა მუშას და მუშა-ქალს!».**

1913 წ. იანვრის დამდეგი.

1913

12 იანვარი. გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 30-ე ნომერში დაბეჭდილია **ი. ბ. სტალინის სტატიები «არჩევნები პეტერბურგში (წერილი ს.-პეტერბურგიდან)» და «ნაციონალიზმის გზით (წერილი კავკასიიდან)».**

იანვრის მეორე ნახევარი. ი. ბ. სტალინი კრაკოვიდან ჩადის ვენაში, საიდანაც აწყობს «თებერვლის» თათბირის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი **«უწყებისა»** და თათბირის რეზოლუციების ბეჭდვას პარიზში.

იანვარი. ი. ბ. სტალინი წერს ნაშრომს **«ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია».** ნაშრომი დაიბეჭდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3 — 5-ე ნომრებში **1913 წლის მარტ-მაისში.**

იანვარი — თებერვალი. ი. ბ. სტალინი წერს პროკლამაციას **«ლენის ხოცვა-ელეტის წლისთავი».**

შუა თებერვალი. ი. ბ. სტალინი საზღვარგარეთიდან პეტერბურგში ბრუნდება; ი. მ. სვერდლოვთან ერთად იწყებს **«პრავდის»** რედაქციის რეორგანიზაციას **ვ. ი. ლენინის** მითითებათა თანახმად.

23 თებერვალი. ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში პეტერბურგის ბოლშევიკური **ორგანიზაციის** მიერ გამართული **კონცერტის დროს და მოათავსეს** საპყრობილეში.

26 თებერვალი. გაზეთ **«პრავდის» 47-ე ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «მდგომარეობა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში».**

9 ივლისი. ი. ბ. სტალინს ეტაპით გზავნიან ტურუხანსკის მხარეში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ ოთხი წლის ვადით.

11 ივლისი. ი. ბ. სტალინი ჩაჰყავთ კრასნოიარსკში.

15 ივლისი. ი. ბ. სტალინი კრასნოიარსკიდან ტურუხანსკში იგზავნება.

10 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ტურუხანსკში ჩაჰყავთ და იგზავნება გადასახლების ადგილზე პატარა დაბა კოსტინოში.

1914

მარტის პირველი ნახევარი. ი. ბ. სტალინი გადაჰყავთ დაბა კურეიკაში, პოლარული წრის ჩრდილოეთით. ძლიერდება პოლიციის მეთვალყურეობა ი. ბ. სტალინის მიმართ.

1915

27 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს წერს წერილს სოფელ მონასტირსკოედან, სადაც იგი ჩავიდა იქ გადასახლებაში მყოფ ს. სპანდარიანთან. წერილში ი. ბ. სტალინი აკრიტიკებს პლეხანოვის ობორონცულ ხაზს და ხაზს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისას, რომელმაც ოპორტუნისტული პოზიცია დაიჭირა.

ზაფხული. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს პოლიტიკურ გადასახლებულთა — რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს და IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრთა კრებაში სოფელ მონასტირსკოეში. კრებაზე განხილულ იქნა საკითხი ფრაქციის გასამართლების შესახებ.

10 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ტურუხანსკის გადასახლებიდან წერს წერილს ვ. ი. ლენინსა და ნ. კ. კრუპსკაიას.

1916

8 თებერვალი. ი. ბ. სტალინი წერს წერილს საზღვარგარეთის პარტიულ ცენტრს, რომ მუშაობს სტატიებზე ნაციონალური საკითხის შესახებ.

25 თებერვალი. ი. ბ. სტალინი საზღვარგარეთის ბოლშევიკური ცენტრისათვის ინესა არმანდის ხელით გაგზავნილ წერილში ეკითხება, თუ რა ბედი ეწია საზღვარგარეთ გაგზავნილ მის სტატიას «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ».

12 მარტი. ი. ბ. სტალინი ს. სპანდარიანთან და სხვა გადასახლებულებთან ერთად წერს წერილს ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანიას» რედაქციისადმი.

14 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ეტაპით იგზავნება კრასნოიარსკში ადმინისტრაციულად გადასახლებულების არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით.

1917

თებერვლის დამდეგი. გამწვევი კომისია კრასნოიარსკში ათავისუფლებს ი. ბ. სტალინს არმიაში გაწვევისაგან.

20 თებერვალი. ი. ბ. სტალინი კრასნოიარსკიდან მიემგზავრება აჩინსკში, სადაც მას ნება დაერთო ეცხოვრა გადასახლების ვადის დამთავრებამდე.

8 მარტი. ი. ბ. სტალინი გადასახლებულთა ჯგუფთან ერთად აჩინსკიდან პეტროგრადს მიემგზავრება.

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა VII

1907

კ. კაუცკის ბროშურის — «რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები» — ქართული გამოცემის წინასიტყვაობა 1

საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები . 14

კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა? 21

პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან 23

ამხ. გ. თელიას ხსოვნას 28

მოწინავე პროლეტარიატი და პარტიის მეხუთე ყრილობა 33

აბდაუბდა... 36

ჩვენი კავკასიელი კლოშნები 39

სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები 42

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები) . 47 — 82

I. ყრილობის შემადგენლობა 49

II. დღის წესრიგი. ც. კ-ის ანგარიში. სათათბიროს ფრაქციის ანგარიში 54

III. არაპროლეტარული პარტიების შესახებ 62

IV. მუშათა ყრილობის შესახებ 72

განაწესი III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებისათვის, მიღებული მუშათა კურიის რწმუნებულთა კრებაზე ქ. ბაქოში 1907 წლის 22 სექტემბერს 83

თათბირს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ! . . . 86

1908

არჩევნების წინ 93

ისევ გარანტიანი თათბირის შესახებ 98

რას გვეუბნება ჩვენი გოლოდროვინდელი გაფიცვები? 104

შევოცხრუნება ნავთობის მრეწველთა ტაქტიკაში . 108

უნდა ვემზადოთ! 113

ეკონომიური ტერორი და მუშათა მოძრაობა . . 116

ნავთობის მრეწველნი ეკონომიური ტერორის შესახებ 120

პრესა . . . . . 135 — 140

ლაქია «სოციალისტები» 135

ფარისეველი ზუბატოველები 137

თათბირი და მუშები 141

1909

პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები . . . 153

მომავალი საერთო გაფიცვისათვის 167

პარტიიდან . . . . . 174 — 178

ბაქოს კომიტეტის რეზოლუცია «პროლეტარის» გაფართოებულ რედაქციაში არსებული უთანხმოების შესახებ . . 175

დეკემბრის გაფიცვისა და დეკემბრის ხელშეკრულების შესახებ (მეხუთე წლისთავის გამო) 179

1910

წერილები კავკასიიდან . . . . . 185 — 208

I. ბაქო 185

ნავთობის მრეწველობის მდგომარეობა . . . . —

სასარეწო თვითმმართველობა 189

ორგანიზაციის მდგომარეობა 192

«ლეგალური შესაძლებლობანი» 194

II. თბილისი 200
პროგრამული ლიკვიდატორობა 201
ტაქტიკური ლიკვიდატორობა 205

ბაქოს კომიტეტის მიერ 1910 წლის 22 იანვარს მილეგული რეზოლუციები (მომავალი საერთო-პარტიული კონფერენციისათვის) . . . . . 209 — 212

I. პოლიტიკური აგიტაციისა და პარტიის ფაქტიური დარაზმვის შესახებ 209
II. მომავალ საერთო-პარტიულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის შესახებ 211

ავგუსტ ბებელი, გერმანიის მუშების ბელადი . . 213

წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან 222

1912

პარტიისათვის! 226

გაუმარჯოს პირველ მაისს! 233

ახალი ხანა 240

ლიბერალი ფარისევლები 242

უპარტიო ახირებულნი 244

ცხოვრება იმარჯვებს! 247

ისინი ქარგად მუშაობენ... 250

დაიძრა!.. 253

როგორ ემზადებიან ისინი არჩევნებისათვის . . 256

დასკვნები 260

ჩვენი მიზნები 265

პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის 267

რწმუნებულთა ნება 270

პეტერბურგის მუშათა კურიაში ჩატარებული არჩევნების შედეგებისათვის . . . . . 273 — 279

1. რწმუნებულთა არჩევნები 273
2. ამრჩეველთა არჩევნები 274

3. ორი ერთიანობა 275
4. დეპუტატის არჩევნები 277

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ 280

1913

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲡ! 9 იანვარი . . 284
ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ (წერილი ს.-პეტერბურგიდან) 290 — 305

I. მუშათა კურია 291
1. ბრძოლა არჩევნებისათვის . . . . . —
2. განაწესი დეპუტატისათვის 293
3. ერთიანობა, როგორც ნიღაბი, და დეპუტატის არჩევნები 296
II. საქალაქო კურია 300
III. დასკვნები 303

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ (წერილი კავკასიიდან) . . . 306
ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ . . . 312 — 395

I. ერი 315
II. ნაციონალური მოძრაობა 326
III. საკითხის დაყენება 336
IV. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია 345
V. ბუნდი, მისი ნაციონალიზმი, მისი სეპარატიზმი . . . 358
VI. კავკასიელები, ლიკვიდატორთა კონფერენცია . . . 373
VII. ნაციონალური საკითხი რუსეთში 387

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ 396

ᲚᲔᲜᲘᲡ ᲮᲝᲪᲕᲐ-ᲪᲚᲔᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ 401

შენიშვნები 405

ბიოგრაფიული ქრონიკა (1907 წ. — 1917 წ. მარტი) . . . 436

ტირაჟი 15.000.
გადაეცა წარმოებას 31/VIII — 1953.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XII — 1953.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 29,5.
შეკვ. № 1013.
ფასი 6 მან.

•

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.